UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2021 / 4 / (42)

თბილისი
2021



***

უფალო დამიმშვიდე ერი,
რწმენით გაზაფხული ენთოთ.
გულით აღარავინ მღერის,
გვიშველე ერთადერთო.

გულნაზ ხარაიშვილი

მოციქულთაგანი პეტრე, მათე და ანდრია პირველწოდებულნი
ხატმწერები გიორგი და ხატია ლანჩიაშვილები



მთავარანგელოზი გაბრიელი
ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

ბიბლია
ხატმწერები **გითონგი** და **ხატია ლასხიაშვილები**



მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,
შემოფრინდა ჩემში გაზაფხული,
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

უნდა იცოცხლო უწმინდესო

აკროსტიხი

უშენობას ვერ აიტანს ერი,
ნექტრის წამალს გვიწილადებ ლოცვით
და ეს გვინდა ისევ ბევრზე ბევრი,
ალაგდება გულში გლოვის ბორცვი.

იისფერი გაზაფხულიც მოვა,
ცა ბობოქრობს, ქარიშხალით მოთქვამს,
ოცნებებით მე კი ფიქრის თოვას
ცისკრის დილის იმედებით მოვრთავ.
ხვალის დღეთა ვარდ-ბაღნარის ეშხით,
ლოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,
ომნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვს კი
უწმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.
წმინდანი ხარ, საგანძური ერის,
მამულის და საქართველოს მწყემსი,
იქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,
ნატყვიარი მიწა წყდება წელში.
დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო, ჩვენო უწმინდესო,
საქართველოს განძ-საძვალეს მუდამ
ო, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი



* * *

ნაცრისფერებში, სევდიანი იყო ზათხული,
მუხის ფოთლები ძირს ცვიოდა, კითხვის ნიშნებით...
ამდენი სევდა, ტკივილები, თვალით ნახული,
ნუ მეკითხებით, როგორ ხარო, როგორ ვიქნები???

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

ვაჟა ეგრისელი

ხეოფსსა და ტუტანხამონს

ათასეულ წლის მიღმიდან,
ცაში მლოცველ
პირამიდებს,
მინდა სიტყვა ვუთხრა ამო,
მაგრამ მაინც პირს ვარიდებ –
ხეოფსსა და
ტუტანხამონს.

1978

***

მადლს გწირავ,
მაცხოვარივით,
რომ ამამაღლე შენს ცამდე –
უფალო!
აქ დასარჩენი,
აღარა მეყო სიცოცხლე,
თუმცა კი ბევრი ვეცადე...

1992

***

დედამიწაზე რაც კი გზებია,
იმათი ბოლო
არის სამარე
და საბუდარი ფერმკთალ ნამქერთა,
სხვა გზას დაეძებთ?
ცისკენ სავალი –
გზები იწყება აი,
აქედან...

1967

***

სიყვარულის გასახარად,
ამ პარასკევს,
ან იმ კვირას
(სხვებს მოსწონთ თუ აღარ მოსწონთ)
ჩამოვსხდებით –
ხობის პირას
და დავანთებთ კოცნის კოცონს...

1956

***

გულმა "სიცოცხლე"[1] როცა იხილა,
სიხარულისგან
იწყო კანკალი
და ვნახე იგი,
რომ არ ოკდება,
გაუჯავრდი და მუშტი დავკარი!
ო,
არაუშავს,
ძაღლი კოჭლობით აღარ მოკვდება!

1968

***

მთვარის კოშკიდან მღერის სინათლე
და ბანს აძლევს დამე
მზიანი,
ხმები ჩვენამდე ადრე მოდის,
ხან იგვიანებს,
რადგან ვარსკვლავთა სიმებიანი
ცა –
ჩანგია მრავალხმიანი...

1987

***

როგორც მთავარანგელოზი,
ემზადები ხარებისთვის,
რის ყარიბი,
რა ეული,
ერეკები ხარებს –
რითმის,
სტრიქონების ანეულით.

1995

---

[1] სიცოცხლე – პოეტის პირველი წიგნია.

რვაასი წლის მერე

(საყვედური ქართველ მანდილოსნებს)

ძმათა სისხლი სდის რუსთველზე
“კარავს”
და მოდალატეს ვჭვრეტ
ყუთლუ არსლანს,
ვჭვრეტ შურს და მტრობას –
უძველეს ცოლ-ქმარს,
მაგრამ ვეძებ და არა ჩანს არსად,
ვეღარ ვპოულობ კრავაი ჯაყელს
და ხოაშაქ ცოქალს.

1991

***

თეთრი დუმილი ახურავს თოვლის
და ტყის სიზმრებში
სულ მარტოდ-მარტოდ,
წევს მაფასავით შიშველი ღელე,
და ბუჩქებიდან –
ძახილზე მარტის,
ძლივს ანძრევს ყინვის გაფიჩხულ ხელებს.

1977

***

ცა –
უზარმაზარი ქვეყანაა,
ვარსკვლავებით დასახლებული,
სადაც მთვარე –
მონარქია,
მეტეორები სინათლის ფრთებით –
ცივ უსასრულობაში დაჰქრიან...

1964

***

დღეები როგორ გვხიბლავს,
მარად ღიმილის მჩენი –
გადიდებული ლუპით,
რა არის ყოფნა ჩვენი,
წყალი,
სულ ერთი ყლუპი.

1981

***

სიბნელის მიღმა ისევ იელვებს,
ალბათ ჰორები
ცის დარბაზის კარებს
აღებენ,
დაღლილ სივრცეებს თვლემა ერევა,
მთვარე კუთხეში მიმჯდარა და
დედაბერივით
ქსოვს და ქსოვს ღამეს,
ვარსკვლავების ყაისნაღებით.

1962

***

არ იქნება მტკვარი დაშრეს,
რადგან ღამე მასში არ ჩანს,
ჩემს ერუშეთს,
ჭანეთს,
შავშეთს,
ოპიზას და ბებერ ანჩას –
ძველის-ძველი ნამეხარი,
გულს აჩნია, ვითარც აჩნდა,
მაინც...
ხვალის მზეს შეჰხარის...

1992

***

თოვლში და პაპანებაში
ივლის,
ვითარცა უვლია,
აღარ ყოფილა ეული,
მდინარე –
ზღვების სულია,
მთებიდან გამოქცეული.

1984

კვიპაროსი ჩემს ფანჯარასთან

ბაღში –
სინათლის სტვენით შაშვები,
ცისკარს ადგომას ისევ ასწრებენ,
ჩემს ფანჯარასთან მდგარ თეთრ კვიპაროსს,
სურს სიბნელეში
რომ გაიპაროს,
მაგრამ,
ო,
იგი, დაბმულია,
ჩრდილთა ბაწრებით.

1976

***

სიზმრის ქვეყნიდან მობობღავს
(საწუთროს უკუღმართობით)
და ღამე,
როგორც ობობა,
სიბნელის აბლაბუდაში
ახვევს და ახვევს მნათობებს.
1987

***

სიცხით და შფოთით ქანციმლეული
ზღვა,
ქარის სახელს –
წუხს და აბოდებს,
მთვარის სიზმრებში უღვთოდ მცურავი,
ტალღა მშობლიურს სტოვებს საბუდარს,
ეს პროტესტია
და სამდურავი.
1967

***

შენ ძილს გიკარგავს,
როცა მოგესმის
ხმა, -
შორეული უცნობი გზების
(რაც აწუხებდა რუსთველს და ნიზამს),
რადგანაც გაჩნდი ზეარსის
ნებით,
მიაყურადეთ, პოეტო! – იმ გზას.
1992

***

დღისა და ღამის კიბეებით
მიიწევ ზევით,
სადაც სიბნელით,
შენი სიცოცხლის ნათელს ხურავენ,
თუმც ცის ქაოსში არავინ არ ჩანს,
და აღარ იცის რამდენი დარჩა,
უკანასკნელ საფეხურამდე.
1995

***

წამომდგარან და მოხუცი მთები,
სხვა სიხარულით,
და დაუნჯებით,
თავს იმშვენებენ თოვლის პარიკით,
ვარსკვლავები რომ
არ იყვნენ მუნჯები,
ჩამოაქცევდნენ ცას –
ლაპარაკით.
1966

***

მთოვარით მომკილ ღამის ყანაში
რომ დგას,
ღრუბლების ჩალის ძნებია,
და ზღვაც ლურჯია, როგორც მელანი,
შორით მოსული ტალღები კი –
დაკარგული ჩემი ძმებია,
ჩემს დანახვაზე მიტომაა
ასე ღელავენ...
1979

მზე პირს იბანს

უცებ მოვარდა და ქარბორბალა,
ეზოს კუთხეში
ფოთლებს აქუჩებს,
ბაღს ეშინია და ილურსება,
დგას შუა დღე და
მზის ჩაქუჩით,
ცას –
მიწას აჭედს წვიმის ლურსმნებით.
1971

ჭიამაია

ციცქნა ბალახის ღერზე
მცოცავ ჭიამაიას
მზე ეცოდება:
ვით ავაო ცის კიდეზე –
ძმობილი ჩემი!
1967

ო, ღმერთო!

მზის და სიცოცხლის იყვნენ მაყრები,
ცა დაჰნათოდეს –
გმირ წინაპართა,
ჩემს ყევარ ბიჭებს –
ჯიქთა ნაშიერთ!
მიეც სიცოცხლე თავზე საყრელად,
ხოლო სამშობლოს სიყვარული,
სულ მოაშიე!
1984

სიონში

დნება სანთელი –
ფრთა იკაროსის,
და იღვენთება ლოცვები –
კვირის...
წვიმს ცრემლი...
და რომ გადაიკაროს
ქართულ მრუმე ცას,
არ უჩანს პირი.
1993

***

მარადჟამს ღვთიურ ცეცხლით მოსილი,
მბრწყინავი თვლებად
და მინანქრებად,
საუკუნეთა ნადავლს რომ წონის,
აზრის გოდოლზე დანთებული –
სიტყვის კოცონი
შენი, -
სამშობლოს ფიქრთა მთაზე,
აღარ ჩაქრება.

1994

***

ჩამავალი მზის ოქროს ყდაში ჩასმულ ზღვის
დიდ წიგნს,
ელვის თითებით მწუხრი გადაშლის
და დაიფრქვევა ცის სურნელება,
ტალღა კი ნაპირს,
თავს უდებს ცივ და სველ კალთაში,
კოცნის და კოცნის...
და ვერ ელევა...

1978

***

დამწუხრებული გადასცქერის
სივრცეს პოეტი,
მარტოკა დარჩა,
აქ წყდება ყველა გზა და ბილიკი,
საით წავიდეს?!
სავალი არ ჩანს.

1995

***

"დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ
საყდარი არი".

როცა ჩავუვლი დიდუბის საყდარს,
წარსულით სავსეს მომაწვდის ბადაგს,
ის მეთორმეტე,
ის ოქროს ხანა,
და ვხედავ: დღეებს თამარ მეფის გვირგვინი
ადგათ,
ღამეები კი –
ვარსკვლავების კუბოში წვანან.

1989

***

სიტყვას ვწნავ...
რადგანაც
კავობს და ლაკარტობს –
მეზვრე თუ მეხრეა,
"ხრიკ,
ხვანჯ და მაკარტო" –
მორკინალთა ხერხია.

1961

***

გადაიყარეს ნისლები
ჩემმა თმოგმა და ხერთვისმა,
როდესაც ღმერთი ვახსენეთ,
შორით ჩანს ციხე ქაჯეთის
და...
იქ გვყავს გამოსახსნელი:
ტაო,
ხანძთა
და კლარჯეთი...

1979

***

აღარც ლოცვა...
არც კურთხევა,
და არც შოთას ფარ-შიმშერი
ვერ გვიცავს...
დრო გვაკრეტინებს,
ეხ!
ნეტავი, რა გვიშველის,
დღე და ღამის კუბოებში ჩაკეტილებს.

1993

***

ქარიშხლით ოდნავ შეშფოთებული
ზღვა –
ვარსკვლავებით მოყვავილე,
მე მიჩანს ბაღად,
სად ალიონი მზის სანთელს მიკმევს,
და მე დღეების –
თეთრ კიბეებს მივყვები
მაღლა,
წინაპრის სულით განათებულ მშობლიურ
ცისკენ..

1966

მაყვალა გონაშვილი

***

ნუ შემომხვდებით გზაზე, რომელზეც
მე თვითონვე ვშლი მწუხრის ნაკვალევს,
ნულარ მიმატებთ იჭვებს და დარდებს,
მე საკუთარი ცრემლი მაკმარეთ,
რომელიც თქვენთვის არა ღირს ჩირად,
როგორც ბალახზე ცვარის ნაჟური,
მძიმეა ჩემთვის თქვენი უღელი,
სხვისთვის ბრწყინვალე და შესაშური.

***

მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია, უფლისწულო.
სიყვარულის ქათიბს მოგიქსოვ,
ფიფქივით მოგიკვდები ხელისგულზე.
მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია, უფლისწულო.
იმ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან
ერთგულების ძაფს დავართავ.
მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია, უფლისწულო.
სამ ვაჟს გაჩუქებ, მთვარის სწორს, და
სამივეს შენი თვალები ექნება.
მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრს არაფერს გთხოვ, უფლისწულო,
დამინახე!

***

როცა შემოხვალ მარტოობის
უფერულ ტაძარს
და მიუწვდომელს
როცა მისწვდები,
დაგავიწყდება ჩემი ლექსები,
და მეც სულ ისე დაგავიწყდები.
მე ავტირდები,
წამოვალ წვიმად,
ცა ყვავილებით
მიწას დაფარავს,
გავა დრო, მაინც ინანებ ბოლოს
ერთი სულელი გოგოს დაკარგვას.

***

დამიმახსოვრე? რად გიკვირს მერე?
მე ხომ ამქვეყნად არავის ვგავდი,
მიყვარდა კაბა წვიმების ფერი
და გზებზე მტირალ ყვავილებს ვრგავდი.
დღეს ჩვენი გზებიც გაიყო ორად,
გზები, ჰე, გზები, საით მიდიან?
მე მარტოსული მივყვები ბილიკს
და მხრებზე თქვენი ტვირთიც მკიდია.

***

ვით თესლი ხნულში – მზის აკვირტებას,
ვდგავარ და გელი მთელი წელია,
ჩემი სულიდან წამოსულ წვიმებს
შენამდე ვერც კი მოუღწევიათ,
არ გაიმეტა ბედმა – ავბედმა,
ჩემთვის ღიმილი და თეთრი ფარჩა,
თვითმკვლელობამდე შენი უარი
და კიდევ, ერთი ნაბიჯი დამრჩა.

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეცი შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე: –
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასმეერთე ღამე – გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

ეს მე ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბროწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

შენს საუფლოში

გადამიარეს გულზე წვიმებმა,
სიმარტოვეში ჭკნება აპრილიც,
რად მახსენდები ასეთი ელდით?
სიზმრის ახდენას რატომ დამპირდი?
ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში,
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.
სულ სხვანაირად თენდება დილა,
სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს,
იმ ნისლებივით ჩამოვიღვრები,
ღმერთი შენს ხილვას თუკი მაღირსებს.
იმ ტკივილისთვის, იმ სიშორისთვის,
იმ სიგიჟისთვის გიხდი მადლობას,
მოდი, გააღე გალიის კარი
და გამახსენე ახალგაზრდობა.
იცი, რა ტანჯვა გამოვიარე?!
მთელი წელია ვცხოვრობ ულექსოდ,
მოდი, მომხვიე მხრებზე ხელები
და გამაცოცხლე, სულზე უტკბესო,
წუთივით წავა წუთისოფელი,
მალე ვიქცევით უსულო ქვებად,
შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
რომელიც ახლა სხვის ჭერქვეშ ქრება.



ამირან ამირანაშვილი

კარანტინის დღიურიდან

ურწმუნოებამ მოგვივლინა განსაცდელები,
დაცემულია, უძლურდება მთელი სამყარო,
გონს მოდით ძმებო, დავივიწყოთ, ომი და მტრობა,
ვევედროთ უფალს დედამიწა კვლავ გაამყაროს.
დედაო ღვთისავ, წმინდა გიორგი და წმინდა ნინო,
დიდნო წმინდანნო, ივერიის მარად მფარველნო!
ღმერთს შევავედროთ, ღვთივ-კურთხეული ქართველი ერი,
განსაცდელისგან გამოიხსნას დღეს საქართველო!

---დღე პირველი --

აპრილი მოფრინდა, ჩუმად თავდახრილი,
დამნავეშავისავით თვალებს ვერ გვისწორებს,
მერცხლებიც მოფრინდნენ,ჭიკჭიკი არ ისმის,
მარტი აქვითინდა ცრემლებს ვერ იმშრალებს.
თვეო, რა გატირებს, რა შენი ბრალია,
აქ, ხომ დამნაშავე ადამიანია.
დაგროვდა ცოდვები უნდა განვიწმინდოთ,
ლოცვით და ვედრებით უფალი ვადიდოთ.
არც რჯულის კანონი, არც კონსტიტუცია,
ადამიანნო, ჩვენ არ დაგვიცვია.
ტირიან ტაძრები, დავხვრიტეთ მოძღვრები,
ციხეში დავწამლეთ ეპისკოპოსები.
უფლის უარმყოფელს ერქვა „ათეისტი“,
ტაძრებში შეყარეს ცრუ და აფერისტი,
მართმადიებელმა დაკარგა სიმართლე.
ეხლა კი ვისჯებით, თავს ვისთან
ვიმართლებთ.?
დავკარგეთ მორალი, სინდისი, ნამუსი,
მანტია მოვისხით ,,დემოკრატიული,“
სად გაქრა სამოსი, სირცხვილის მფარველი,
დემონი ბატონობს, გონების ამრევი.
მსოფლიო ზანზარებს, დადგა აღსასრული,
ხალხი იხოცება, არ აქვს დასასრული.
მსოფლიო ომია, ტრიალებს ავსული.
როდის დაესმება, ამ, რისხვას წერტილი,
ზეცაა, ცოდვებით, წელში გაწყვეტილი!

---დღე მეორე--

წუხელი დუმდა დედაქალაქი
შემზარავია დედის დუმილი,
უხილავ მტერთან ძნელია ბრძოლა,
არის მსოფლიოს გულის ტკივილი.
ზოგს ატომი აქვს, ზოგს მილიარდი,
მეგონა ამით თავს დავიცავდით,
სატანა მართავს, მსოფლიოს ნადიმს,
ათი მცნებიდან არცერთს ვიცავდით.
განრისხდა ღმერთი, მოვიდა რისხვა,
გონს რომ მოვეგოთ კაცი და ქალი,
სოდომ-გომორის დავგმოთ ცოდვები,
არ წაიბილწოს, წმინდანთა კვალი.
ამერიკელი სენატორები,
ახლა ლოცულობს, „მამაო ჩვენოს“...
ხალხი არ ყოფნით დიდ ევროპაში,
მიცვალებული რომ გაასვენონ.
სამწუხაროა, გლოვობს სოფელი,
შავად მოსილა დედაო ხვთისა,
თიკანი ცხოვარს გამოეყოფა,
მოგვიახლოვდა დღე განკითხვისა.
ღმერთო, შეუნდე შენს ცოდვილ შვილებს,
გამოგვიხსენი ცოდვებისაგან,
მკვდრეთით აღდგომა კიდევ გვაღირსე
და გაგვახარე აღდგომისაგან.

---დღე მესამე---

სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია,
რა განსაცდელი არ გამივლია,
თითქმის მსოფლიო შემომივლია,
წამიკითხია, უფლის ბიბლია.
მთელი სამყარო ღვთის შექმნილია,
ადამ და ევაც უფლის შვილია,
მაცდუნებელი არის გველია.
გველი ყოველთვის დასაჯელია.
მიწა ცოდვილთა სამყოფელია,
შრომაში ოფლი დასაღვრელია,
არსობის პური მოსამკელია,
შობის ტკივილიც დასათმენია.
შეიარაღდა კაცობრიობა,
ბევრი შრომობს და ზოგან ომია,
მთავარი არის იყოს მშვიდობა,
და არსად იყოს მტრობა-ფლიდობა.
წმინდაო ღმერთო, შენ შეგვიწყალე,
ცოდვილი შვილი გთხოვ, შეიბრალე.
დედაო ღთისა გემუდარები,
მფარველი კალთა გადაგვაფარე.

---დღე მეოთხე--

ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა დიდი მტერი,
მთელი მსოფლიო დაიბყრო, აღარავინ აღარ მღერის.
სამყარო შეზანზარდა და... ხალხს შეახსენა გამჩენი,
უფლის გარდა არვინ არის, დედამიწის გადამრჩენი.
არც ტყვია აქვს და არცა ხმალი, არც ტანკი და რაკეტები,
მილიარდელებს წაართვა, ყველა ბანკის საკეტები.
ღარიბები გაგვაფრთხილეს, საქმეში ნუ „ჩაერევი“,
იმედია გადავრჩებით, თავმდაბლობას ნაჩვევები..
სატანასაც მოვერევით, მთელ მსოფლიოს გავავოცებთ.
მაცხოვარი არ გაგვწირავს, სასწაულ ცეცხლსაც გადმოგვცემს,
ქრისტე აღდგომას გვახარებს, მოწყენის ნებას არ მოგვცემს.

---დღე მეხუთე---

ყოველი კვირა მორწმუნეთათვის,
არის სიმბოლო დიდი აღდგომის,
მოძღვარი ვარ და მივდივარ ტაძრად,
არავარ უფლის გვერდზე განმდგომი.
ტაძარში შემხვდა, გახარებული,
დისტანციურად მრევლი ფუსფუცში...
ზოგიც კარებთან განლაგებული,
თვალებით ყველას ვიკრავდი გულში.
საკურთხეველში ვემთხვიე ტრაპეზს,
კურთხევას ვიღებ უმცროსი ძმისგან,
დისტანცია გვაქვს იდეალური,
ზეციდან მადლი იღვრება ღვთისგან.
გვიახლოვდება, დღე სასწაული,
ხარება, ბზობა, ქრისტეს აღდგომა,
წავა თავის გზით ისევ კორონა,
მას ხომ არ ძალუძს უფალთან დგომა.

---დღე მეექვსე---

იყო ცხრა აპრილი, მკაცრი და ავპირი,
ნიჩბით დაგვილეწეს, ქართველებს თავპირი,
თავისუფლებისათვის, სისხლი დაიღვარა,
ბოროტმა ძალებმა, მსხვერპლი არ იკმარა.
ეს, საუკუნეც მიდის სულ ომებით,
ეპიდემიებით, ერთმანეთს ვშორდებით.
მაინც ჩავატარეთ შვიდგზის ზეთის ცხება,
ხორცის საკურნებლად, რა სჯობს მირონ ცხებას.
ცხრა აპრილს გავხსენი, ფერიის სამება,
აჭარულ ფერხულში, ძმები რომ ჩამება,
ვიცი შეგვიწირა, უფალმა ყოველი,
მწამს, რომ გადარჩება, ცოდვილი სოფელი,
წმინდაო, სამებამ! შენ გემუდარები,
არასდროს დაახშო სამოთხის კარები.

ჩემს ანგელოზებს

წუხელი თქვენი სადღეგრძელო ვთქვი:
„ვინც ჩვენ გვიყვარს და ვისაც ვუყვარვართ“,
თქვენ გიგულისხმეთ, ანგელოზებო,
ცხადად თუ სიზმრად, მუდამ თქვენთან ვარ.

გთხოვ, მაპატიო ჩემო გიგუჩა,
ღამით მძინარეს გამოგეპარე,
ვერ ავიტანდი გამოტირებას,
დამეწვა გული, შენც შემებრალე.

ჩემი თეონა დიდი გოგოა,
შეგნებული აქვს, სჩანს, ყველაფერი,
ცეკვავს და მღერის ჭრიჭინასავით
და არ ეშლება ხატვისას ფერი.

გიგუჩას უყვარს ველოსიპედი,
ხანჯალი, თოფი, ბურთები, ხმალი,
ფერად- ფერადი დიდი ბუშტები
და მანქანები თვითონ მავალი.

თეონა ხატავს მინდვრის ყვავილებს,
წითელ მზესა და ლურჯ ზღვაში გემებს,
ხატავს დედოფლებს თავზე გვირგვინით.
მხრებზე უხატავს პატარა პეპლებს. . .

მართალი არის, თავს დაგტრიალებთ,
დედიკო, ბებო, გივი ბაბუა.
მაგრამ ვიცი, რომ ხშირად იკითხავთ,
„ჩემი მამიკო მალე ჩამოვა?”

ვიცი, ძალიან გაგვიჭირდება,
მე – უთქვენობა, თქვენ – უჩემობა,
ჩემთვის ძნელია მთელი ერთი თვე,
უთქვენოდ ყოფნა, თქვენი დათმობა.

როცა ჩამოვალ, შეგისვამთ მხრებზე,
ერთად ვიფრინოთ, ჩემო მტრედებო.
თქვენ გენაცვალოთ თქვენი მამიკო,
თქვენი დედიკო, ბაბუა, ბებო. . .

24/VII 87წ.

წვიმის შემდეგ

კაშკაშა დილა, ირგვლივ მუსიკა,
მზე მოკამკამე მოწმენდილ ცაზე.
მაგიურ ძალად გადაქცეულა,
გინდა თუ არა გიხმობენ ზღვაზე.

ზღვაო, მიყვარდი ჭაბუკობიდან,
ახლა კი გული აღარ მომიწევს,
გახსოვს, მოვრბოდი ბიჭი სოფლიდან,
ახლა ჭაღარა სიდინჯეს იწვევს.

შენ გამიღვიძებ ტკბილ მოგონებებს,
ჩემი ყრმობის და ახალგაზრდობის.
ჭაბუკურ ფიქრებს, ოცნებებს, დარდებს,
ვერვისთან თქმულებს მე შენ განდობდი.

ჯერ ფლირტაობა ახალგაზრდული,
სისულელეებს არ ჰქონდა ზღვარი.
მანდილოსანთა გახსნილი გული,
მაგრამ ყველაფერს ჰქონდა საზღვარი.

მომიხაროდა ყოველთვის შენსკენ,
მელოდებოდნენ შენი ტალღები,
შევუერთდები ლივლივა ზვირთებს,
თუ რამ ცოდვა მაქვს, განვიბანები.

შენ იყავ ჩემი ნავსაყუდარი,
უღელის დადგმაც შენ გამიმტკიცე.
„შევქმნათ ოჯახი “, – თამროს ვუთხარი
და ჩვენი სიტყვა აღმოჩნდა მტკიცე.

დღეს ერთადა ვართ ჩვენ ბედნიერი,
სიყვარულით ვზრდით ანგელოზ შვილებს,
მგონი, ვიქნები ასჯერ ძლიერი,
რომ წარმოვიდგენ მათ ფრთაგაშლილებს.

მთელი ოჯახით რომ გესტუმრები,
მაშინ გაგაცნობ გიგას და თეას.
აღელვებულიც წამს დაწყნარდები,
არ მოგვაკარებ, ვიცი, ცივ ნიავს...

16/VIII 87წ.

ედუარდ უგულავა

ბოლო დროს

ბოლო დროს შინ ხარ,
ერთ შავ-თეთრ სურათს,
ხშირად უმიზნებ ერთგულ იარაღს,
არადა, დრო რომ ყველაფერს კურნავს,
სასაცილოა რა გულიანად...
მუდამ იმ ერთის სურნელი ჰქონდა
მინებზე თითით ნაწერ სახელებს...
ისეა, როგორც მძინარე ცოდვა,
გინდა, არ გინდა, თავს რომ გახსენებს.
წყალს მიცემული რამდენი წელი
ხელახლა გადის თვალწინ ტიტრებად.
კვლავ თავს იტყუებ ლექსების წერით,
შიშველ ნერვების დასამშვიდებლად.
ახლა სამარეს უფრო ჰგავს სახლი,
უღონოდ გიდევს მკერდზე ხელები
და ღამეების სიშავით დაღლილს
არ გეშინია არგათენების.
თუმცა დღეს უკვე აღარც შენ გიკვირს,
რომ ბედისწერას ხელს ვერ შეუშლი.
ხშირად უცქერდი თვალებში სიკვდილს
და მაინც გიდგას სული სხეულში,
ძლიერი დამწვრის სუნი რომ ასდის
და მზის სხივებს რომ იხვევს ყულფებად,
რომ დაეკარგა ცხოვრებას აზრი,
შენ ვერ მისცემდი ამის უფლებას.
თუმცა ხილვები გეხვია გუნდად
და სამარამდეც თავად მიხვედი,
რომ გექნებოდა იმედი მუდამ,
შენ მაინც გქონდა ამის იმედი!

* * *

როს ივსებოდა თვალი ბნდებით,
უცქერდი ასეთ სიზმარს თვეობით:
მისდევდი იმედს და ვერც მისდევდი,
ეწეოდი და ვერც ეწეოდი.
გული, რომელსაც ვერავის ანდობ,
სხვა რიტმს ირჩევდა მაინც დილიდან.
თავს გაურბოდი, მაგრამ ვერასდროს
ვერ გაიქეცი სინამდვილიდან.
და ახლა, შორი გზაგამოვლილი,
სულში ცვალებადს ებრძვი ამინდებს,
ნაფერები და კარგად მოვლილი,
უკვე ოცნებაც თვალებს გარიდებს.
არ გტოვებს მხოლოდ ქარი შორეთის,
სადაც წარსულის ცოდვებს სტირიან.
შენთვის რომ ღია იყო ყოველთვის
იმ სახლის კარიც დაკეტილია.
ახლა სადგურზე დამღლელ ქაქანით
აღარ ირვა ხალხი მილეთის.
ცარიელია ძველი ბაქანი,
გაყიდულია ყველა ბილეთი...
მატარებელი უკვე ჩავლილი
გზადაგზა ტოვებს ბედის წერილებს
და დრო მოპარულ ჩემოდანივით
იმედს შინისკენ მიარბენინებს.
მაგრამ ცხოვრებას იწყებ თავიდან,
(ის კვლავ თამაშობს, მუდამ ვინც აგებს),
ახედავ ზეცას და არაფრიდან
იჩქარი ისევ არაფრისაკენ.

**

დრო ისევ თავის ვნებით მიღელავს,
მაგრამ რაც უფრო გადის ცხოვრება,
ასე მგონია, ჩემი სიმღერა
თანდათან უფრო გეუცხოება.
იწყებ მომავლის ფიქრში მონიშვნას,
ავსებ ჩემოდნებს ნაცნობ ნივთებით.
თუ წასვლა გინდა, გზა მშვიდობისა!
ერთი წამითაც ნუ დაფიქრდები!
ეგ არაფერი, თუ უნებურად
უკვე სხვა თვალით ვუცქერ სამყაროს,
მაგრამ მე ისე არ დავწყებულვარ,
ხვალ უშენობამ რომ დამამთავროს.

* * *

ნერვიულად ვიმტვრევ თითებს,
გულს სიმშვიდე აღარ უნდა,
გამარჯობა უკვე იმდენ
ნაცნობს გაუხელოვნურდა.
რა ხანია უკვე ხანი
კაცის წუხილს აღარ უსმენს...
ისევ თვალებდარდიანი
ხალხი დაჰყავს ავტობუსებს.
რა გაალღობს ამდენ ცინიზმს?!.
ვინ იტვირთებს ამდენ ცოდვებს?!.
ხალხი ბჭობს და არ იცინის
ის, ვინც უნდა იცინოდეს.
არაფერი ხდება თითქოს
და გზად, კვლავ რომ წვება ბინდი,
ერთი-ორი კაცი იყოს
რომ იცოდეს საით მიდის.
არც მე არ მაქვს რამე საქმე
ახლა შენზე ფიქრის გარდა.
შევიდოდა კაცი სადმე
და ერთ ჭიქას გადაკრავდა.

* * *

ბატონ ზურაბ აბზიანიძეს

აფხიზლებს ქალაქს ხმაური წვიმის,
ამოდის ფიქრი წლების ფერფლიდან
და ცხადად ვხედავ _ შენს კეთილ ღიმილს,
ჩემი ბავშვობის საზღაპრეთიდან.
სიმართლეს ვამბობ, ხომ იცის ღმერთმა
(ტყუილად არ ვწერ სიტყვებს სამარხვოს),
რაც შენ შეძელი, არათუ ერთმა,
ათასმაც ვეღარ დაიტრაბახოს!
ყველას თავისი აქვს ბედისწერა,
თავის ვარსკვლავი დასცქერს ზემოდან...
შენ თამაშობდი და ხონის სცენას,
მომავლის რწმენა უბრუნდებოდა.
დიდ ხელოვნებას არ გასდის ვადა,
არც დროისაგან იღებს სამძიმრებს;
და ახლა, როცა დაეშვა ფარდა,
მაყურებელი ტაშით გაცილებს...

* * *

შენ იყავ ჩემზე ოდნავ გამწყრალი,
არ მადევნებდი მზერას ალერსით.
თავს დაგვყურებდა ზეცა აჭარის,
ულურჯესი და უსაყვარლესი.
შენ მოუყევი ტალღებს სიზმარი,
ვერ გამოსულო უცნობ შიშიდან;
და მახსოვს, სუნთქვა ,,აჭარისწყალის“
თმასა და ფიქრებს როგორ გიშლიდა.
თუმც გამხელილი წამსვე ინანე,
სწრაფად დაეშვი სიმწრის კოფოდან.
ჩვენი არ გეთქვა, თითქოს მდინარეს
თავისი დარდი არ ეყოფოდა...
ჰქონდა საღამოს ფერი იოდის
და იწყებოდა შიში თავიდან,
როს შენს ფიქრებში შემოვდიოდი,
შენი თვალების სისუფთავიდან.
მე დღემდე მომწონს, როცა გაბრაზებ,
(შენ გარდა ჩემი გულის ვინ იცის?!.)
მივდიოდით და ტრანსპორტს აბრაზე
მახსოვს ეწერა: ,,ქედა-თბილისი“.
.....
ჩვენ არ დაგვინდობს ბედთან თამაში,
და თუ აგვიშლის მუდმივ საბუდრებს,
მე მაინც მოვალ და აჭარაშიც
როგორმე ერთად უნდა დავბრუნდეთ.

* * *

მიშა ზაქარიაშვილს

მზე ამწვანებულს ათბობს მთაწმინდას
და ისე ტკბილად მღერის გიტარა,
რომ დავლევ , დავლევ, აბა რას ვიზამ
და ვადღეგრძელებ პაპა ნიკალას.
თუმცა, ღიმილი დაგყვა იმედად,
ცხოვრება მაინც ერთი წამია...
იქნებ ხშირ-ხშირად ვინც იღიმება,
ის სხვაზე მეტად ნაღვლიანია.
აქვს თავად დროსაც წესი თავისი,
ვერც კი მოვესწროთ იქნებ სიბერეს,
მაგრამ შენი დრო მაინც დაიცდის
და შენს სიმღერებს ხალხი იმღერებს.
თუმც მოაქვს ზეცას, ვერცხლით შეჭედილს,
სურვილი ათას ხილვის გაცნობის,
უბრალოება არის ბეჭედი -
ჩვენი ძმობის და ჩვენი კაცობის.

ნათია დაშნიანი

***

გაუსაძლისი როცა ხდება შენი ლოდინი ,
როცა სიჩუმე დამეცემა გულზე ლოდივით ,
მინდა ისრები დავუმტვრიო კედლის საათებს,
ყვითელ ნოემბერს მოუხდება სევდის მოტივი.
წარსულის მტვერით ავსებული დამაქვს თვალები,
ასე დასეტყვილ იმედებით ვიდრე მოგივლი,
თეთრ ქრიზანთემებს გავიშლიდით ველზე ლოგინად,
შენც უჩემობა რომ როგორმე დაგათმობინა.

* * *

ბამოთოვს მალე, გადაღლილ თვალებს
დაეფინება თეთრი ფანტელი,
ბავაშვებინებ სამყაროს ბრჭყალებს,
ბადავათეთრებ სულებს დამტვერილს.
ბიჩილაკებით, ნაძვის ხეებიით
თუ ჩაიბუდებს ჩვენში ზამთარი,
მაშინ ჩვენც ვივლით ცივი ხელებით,
ქრისტეს შობის დღის ცეცხლით გამთბარნი.
ბამოთოვს , რადგან მზის ამოსვლამდე
მეწყდა ამ დილით ფოთლის ფრიალი,
დღეს დედამიწამ მზე შეისრუტა,
ღრუბლებს აუტყდა ცაში წრიალი
და დასცვივდებათ მღვრიე თვალთაგან
მუჭისოდენა თეთრი ფიფქები,
შემოეხვევა ნისლი ჩვენს ოდას
თოვლი გარეთ და ჩვენ შინ ვიქნებით.
რომ არ გავრცელდეს ქუჩაში ჭორი,
გადაურაზე მთვარეს კარები ,
ბუხართან თბილად ვიქნებით ორნი
და სევდას აღარ გავეკარებით.

* * *

ყველა სატკივარს ქარი წაიღებს,
ქარი აშარი, ფოთოლხვეტია,
თვალებში რომ ჩანს ის სიყვარული
მწუხარებაზე ორჯერ მეტია.
სახეს ღიმილის სხივი თუ ათბობს,
მაშინ ცრემლებიც მალე შრებიან,
გული გაუთბეთ ადამიანებს,
წავლენ, დიდი ხნით არ დარჩებიან.
ხორცს გაიძრობენ ნაწამებ სულზე,
მიაბარებენ მთა-ბარს ნისლიანს,
ღმერთო, ბოლომდე მიგვაყვანინე,
ადამიანად ყოფნის მისია.

მთის მოტივზე

დარდს ნუ გაიხდი მბრძანებლად,
გულს ნუ შეაქმევ ქიასა,
გიჯობს გაზაფხულს დაუხვდე,
ფერი მოსტაცო იასა.
გამოდევნება სჩვევია
წუთისოფელსა ტიალსა,
თვითონ არარას გვიბოძებს,
რაცა გვაქვს ისიც მიაქვსა.

ვიგონებ გრანელს

უცხო სითეთრე
ჩამობარდნილ, მაღალი მთების,
გაშლილი მხრები
არწივების, მზერა ამაყი
მომნატრებია...
ნატაძრალთან აშლილა წლები,
დაბერავს ქარი,
მოგონებებს გულზე დამაყრის.
სველ თმებს იწურავს მზე,
სახეში მახვედრებს შხეფებს,
ერთმანეთს ჰგავენ
ეს დღეებიც, ჰგავენ ერთმანეთს
და ძაღლებივით
ორღობეში ფიქრები ყეფენ...
ვიგონებ გრანელს-
სევდიანი ლექსების მეფეს.

***

შენ , ჩემო სევდის ყვავილო,
ვაი, რა მალე მიკვდები,
თოვლის ალერსით დაღლილო
დაქკნები, გამიფითრდები.
იავ, ზამთარი მომწყინდა,
გულს შემომაწვა ფიქრები,
შორს გაგიტაცებს ნიავი,
გინატრებ, აღარ იქნები.
ხედავ?!- მთა- ბარი შემოსა
ამ გაზაფხულმა ფარჩებით,
მახარებს შენი შემოსვლა,
წახვალ, ტკივილად დარჩები.

ერთი კაცის პორტრეტი

თამბაქოს კვამლით და სინესტის
სუნით გაჟღენთილს,
ხშირი კითხვისგან გაუყვითლდა
ხელში გაზეთი.
ფერფლი წლებისა მოხუცს
თმებზე უხვად ეყარა,
ჩემ სათვალეში სხვანაირი
ჩანსო ქვეყანა.
როცა ზამთარი მზიან დღეებს
ერთურთს აბამდა,
გარდაიცვალა და სხვებივით
წარსულს ჩაბარდა.

***

მზემ წყარო პეშვით დალია,
გვერდზე გადიგდო ნაწნავი,
მზე -ერთი ციდა ქალია,
წყაროზე უყვარს წანწალი.

სენს შეგყრის , აღარ მოგარჩენს,
არც სიკვდილის გზას გასწავლის,
შემოგხედავს და სიცოცხლეც
მშვნიერია მასავით.
მზემ წყარო პეშვით დალია...

ეთერი ქელიძე

ჯვარო უფლისაო!

ბოროტების შემმუსვრელო,
ჯვარო მწყალობელო!
მართლისა და მადიდებლის
შემწევ და მფარველო!
ყრმის და შენი მოიმედის
უშურველო რწმენავ
ერთარსების გულისხმა და
გულს ჩაკრულო ზენა!
სათნოების წინამძღვარო
გამარჯვების ენავ
ქრისტეს მცნების დედააზრო
ქრისტეს მტრების გვემა-ვ...
ჯვარო, ვაზის წმინდა ქნარო
მოვლენილო მხსნელად,
ამა სოფლის მფარველი ხარ
ნათელსა ჰფენ ბნელსაც.
ჯვარო პატიოსანო და
მწყალობელო ყოვლის,
უწინამძღვრე ყველა მართალს
გზა უჩვენე ცოდვილს!!!

27.09.2021წ

***

ჩამიქროლე, მთის ნიავო,
დილის გულის სიამევ,
დამავიწყე, გადამფერთხე
ამა ქვეყნის სიავე...
დამაბედე ღიმილები
თუნდაც გამოგონილი,
ძალა მომეც სიხარულის
მოთმინებით შობილი...
შემაგებე პირმცინარე
ყოველი დღის თენება,
სიყვარული დამაბედე,
ხვალინდელის შენება!

ვედრება

უფალო, შენს წიაღში დავიბადე
და შენთვის მინდოდა მეთქვა:
გადამთიელი მასპინძლად გავიხადე
და მაინც ქართველი მერქვა...
მე ჩემი ისტორია გადავწერე,
ჩემი წვიმები და სეტყვა...
შვილებსაც მორჩილება დავუწესე
და მაინც, ქართველი მერქვა...
მზესაც ღრუბელი მოვაცილე,
მე თავად შემოვრჩი ნეფხვას.
სხვისთვის ვამრავლებდი შესაწირებს
და მაინც ქართველი მერქვა...
და მერე, თავი მოვიქაჩლე...
მტერი რომ მომრავლდა ჩემსა,
მომხდურს არ შევეპუე, ვიურჩე,
წინაპართა ხმა რომ მესმა...
ძალნი ზეცისგან ჩემთან ვიხმე ,
მზის გულ- ჩავუქარგე სხეპლა...
ჩუმად რამდენი ავიტანე,
ბუქი, მოხდომა და ჯგლეთა...
უფალო, შენს წიაღში დავიბადე,
და შენთვის მინდოდა მეთქვა...
სამშობლოს სიყვარული განმიახლე,
იმად, რომ ქართველი მერქვას...
უფალო, სულში ჩამისახლდი,
მოყვასმა გიხილოს და მტერმაც,
ერთურთის სიყვარულში გაგვაჯიბრე
იმად, რომ ქართველები გვერქვას...
სატკივარ -საფიქრალი დამიამე,
ძმათამკვლელს ნუ მოჰგვრი შვებას...
ჟამი სინანულის ამიბღავლე,
უფლის შთამაგონე ნება.
საკუთარ სამშობლოში დამაპურე,
დედაწულთ დაუთბილე კერა,
ჯალაბი მშვიდობით დამიბრუნე,
მიმობნეულები ჯერაც...
მიწა აჩეხილი გამიმთელე,
მაამე სიმრავლით ყრმათა,
სიმები დაწყვეტილი ამიჟღერე,
გზები გამიკვალე ტაძრად...
გული სიყვარულით ამიფეთქე,
მაკმარე ჭირხლი და ჯგლეთა...
ერთობა, გაბზარული, გამიმთელე
იმად, რომ ქართველები გვერქვას...
უფალო, შენდობა მოვითხოვე...
ეგ არის, რაც უნდა მეთქვა...

განშორება...

ცას გაუხსნია შუბლი,
დგას საავდრო დარი!
გზის პირს მიჰყვება რიდით
მზერა მიმქრალი ქალი...
გზაჯვარედინთან შედგა,
კუშტად მოავლო თვალი.
-რომელს გაყვება ნეტავ-
შორით უცქერის ვაჟი!
გაორებულა ფიქრი...
მოთელილია ქალი!
გზას აღარ უჩანს ბოლო,
გზას აღარ ააქვს თავი.
-იქნებ ეს არის ის გზა?
-იქნებ ეს აღარ არის?“
და მოჰგავს ქალი სურას,
წყაროს წყლისგან დაცლილს!
ცამ გაიღეღა მკერდი!
ცისა ნამ აპკურა მალი,
ქალი ვიდოდა უხმოდ
ვაჟი მისდევდა მალვით!

***

თესე რამდენიც შეგეძლოს
ეს მადლიანი სიკეთე
დაგიბრუნდება ასმაგად
გულს ამოდ ნუღა იკეთებ,
შეგხვდება დამნახავიც და
დაუნახავიც რამდენი
საყვედურს ნუ გაიმეტებ
ცოდვის იქნები ჩამდენი...
ალალი იყოს ვინაც კი
მოერგო შენგან გაცემულს,
უფალი მუდამ ხელს უწვდის
ჯვართან მუხლებზე დაცემულს,,
მაგრამ თუ ვეღარ ემთხვია
მატარბაზული სენი სჭირს
მუხის ტოტს აცოცებული
მუხის ფესვებსაც თავად ჭრის
და როცა საწყალობელი
ბედი შენს კართან მიაგდებს,
მიწის გულს მიაყურადებს
გონებაც მაშინ ინათებს
გაახსენდები დარცხვენილს
თუმც გზას გადასულს ნახევრად
და უფლის მცნებებს აცდენილს
შენც სინანულით დახედავ...

ქალს?!

ქალს ცოტა რამ უხარია
ცოტა რამე სწყინს...
მოგიზგიზე ბუხარია
როცა გარეთ წვიმს…
ქალი ხშირად ავდრიანობს,
ელვაც არის მზის,
იგი მუდამ ელოდება...
სიჩუმეში ზის…
ქალი ტკივილს ისე იტანს
ღიმილს არ წაშლის,
ქალი ფურცლავს, მაგრამ მშვიდად
დღეებს გარდაცვლილს...
ქალს ცოტა რამ უხარია
ცოტა რამე სწყინს,
გული მისი მზისდარია,
როცა სულში წვიმს...
ქალი მყარი კედელია
მისი ნდობა ღირს,
იგი ბედის მჭედელია
იასავით თრთის…
ქალებს უყვართ თაიგული,
სურნელება მზის,
ფურცელ ფურცელ აკინძული
გვირილები მთის.
ქალს, ცოტა რამ უხარია,
ცოტა რამე სწყინს,
ქალი დარდის ბუხარია
როცა გარეთ წვიმს!...

ზღვასთან...

ტალღა აცეკვდა გულის მდელოზე
გზა გაიკვალა შენთან,
იდგა ქარების ორომტრიალი,
გეთქვა, ნეტავი გეთქვა...
ცერულს ცეკვავდნენ მაგნოლიები,
მთვარე იკლავდა წყურვილს,
ეომებოდი შენში სიჩუმეს
ნეტავ დამეგდო ყური...
გულგატეხილი თვლემდა ცა, კენტი,
მასაც მეწყვილე სურდა,
დამორცხვებული მზერის ნამქერში
გული ზღვასავით ფეთქავს...
გაუბედავი კრთოდა ცის სკვერში
შემოთენება მზეთა,
დრომ გამოწურა გრძნობის მტევნები
გეთქვა, ნეტავი გეთქვა!...

*

ახლა...
მდორე სიჩუმე,
თეთრი ხმაური...
ფსკერ გაბზარული
სულის ოთახი.
ჟამი უბელო კვიცის
ქენებით
გონ-არეული,
გაუხედნავი...
დაუწერელი ლექსის
რითმები,
ვერ წაკითხული
აზრის დუმილი,
გზა აბურდული
სიტყვის ქიდილი
სიტყვა ავანსად
შემოწირული...
ვერ შეცნობილი
და ვერ აღქმული
დრო, ქარტეხილად
თავს დატეხილი,
დგას კარისკაცად
ყრუ მოციქული
მამული,
წელზე გადატეხილი?!
მკვდარი სიჩუმე...
თეთრი დუმილი...
გონგამოცლილი
ღამის თენება,
ყლორტაჩეხილი
ფესვის ექოდან
მზემიბნედილი
ერის გოდება....

20.09.2021

*

მუხას ესროლეს წალდი,
თოთო მოტეხეს ტოტი,
ყოველთვის ქართულს ვკლავდით
ასე ყოფილა ოდით,
ასე ყოფილა ვამბობთ
ისტორია ქმნის გვერდებს,
მერე დაკარგულს ვდარდობთ
მიზეზს კი სხვაგან ვეძებთ!
ვერ დასრულებულ დავას
ისევ აგრძელებს ვიღაც,
წლები დუმილში გავა
და აღარავინ გიცავს!
დაგვიანებულ ბჭობამ
გზაჯვარედინი მოსრა,
სამართალიო უფლის?
ისევ მოგვიწევს მოცდა!
ისევ გაცეტდა მრწამსი,
ვერ მოიკიდა ფეხი,
ღრუბელი ბეჭებს გაშლის
სადღაც ეცემა მეხი...
უცებ ნაბზარი ზეცა
და შეწყვეტილი ნანა,
ხმა შემცივნული ლოცვა
გონდაკარგული ხანა!!!

20.09.2021წ



რომელი ერთი, რამდენი ერთად!...

ჯერ არ გარდაცვლილ ერის საფლავთან
მე ვდგევარ ისევ ყრუ, უმეტყველო…
თვით განსასჯელმა, თან უფლის ჯვართან
ვისი ცოდვები ავამეტყველო?!

ჩემი თუ შენი,
            მისი თუ სხვისი,
რომელი ერთის გავშალო არზა,
„კარგ“ ქართველობის უნიშო ფინიშს,
შესწვდება ნეტავ რომელი ფრაზა?..

რა ვუთხრა ჯერ ვერ გარეცხილ სინდისს,
რა ვუყო ჯერ ვერ აწონილ ცოდვას,
მოყვარისათვის გასროლილ ფინდიხს
და სივერაგით დაბნეულ მოყვასს!

რომელი ერთი, რამდენი ერთად,
ფიცგატეხილის ნალეწი კალო,
ვერ პატიებულ ტკივილთან შერწყმა
როგორ ავწონო, როგორ დავთვალო?!

მე ვგლოვობ ახლა საკუთარ ცხედარს,
ჯერ ძეგლდაუდგმელ ბოღმას და წუხილს,
და გამოძერწილ უთავო მხედარს,
კვალდაკვალ რომ სდევს გვემა და მწუხრი...

რომელი ერთი, რამდენი ერთად,
დაუმსხვრეველი შურით და შუღლით,
ისევ წყალჩამდგარ ერთობის ფესვთან
კვლავ მოცელილი მამულის მუხლი...

რომელი ერთი, რამდენი ერთად,
შავ ღრუბლებივით გრაგნილი მწუხრი
და მოთმინებას, მხნეობას შენსას
გაძლებას შენსას თავს ისევ ვუხრი!

მალვინა ქელიძე

* * *

ქუჩაში დარჩენილი ობოლი გოგონა
წვიმის წვეთებით გალუმპული
პატარა ანგელოზი,
პატარა ფერია,
სითბო და სიყვარული
გზადა გზა დაუფენია.
თვითონ საზრუნავი,
ცეროდენა
ვარდის კოკორი,
გადაეფარა
მასზე პატარებს,
წვიმაში მოყოლილს.
სუსხი
ვერასოდროს
ვერ ჩაკლავს მასში
სიკეთის სურვილს,
ის უმწიკლოა,უმანკოა,
თავისი სულით!
თვითონ საზრუნავი,
გონებით და გულით ნათელი,
ქარიშხალს შეერკინა
გაუღო გულის სარკმელი.
დარდით აწვიმდა…
დარდით ათოვდა…
და უმწეოზე ზრუნვა
ათბობდა....
წვიმაში გალუმპული,
ფეხშიშველი,
პატარა ანგელოზი,
გზას გასცქეროდა და
მშველელს ნატრობდა...

შემოდგომის ფურცლები...

თუ შემოდგომის
გაცრეცილ ფერებს შეეკედლები,
დაცვენილ ფოთლებს
მიმოფანტავს ქარი შრიალით
და წვიმის წვეთებს
ფეხაკრეფით აედევნები,
და თუ გახდები ამ გრძნობების თანაზიარი.
თუ მარცვალ-მარცვალ
გაბნეული
სიკეთე შენში,
იმედის სხივად აინთება
ან გზად დაგხვდება,
ქარიშხალივით ჩაგიქროლებს
დღეები მხსნელი,
ყველა ტკივილი განელდება
გაგიქარწყლდება.
როცა სიკეთის,
ერთგულების აბჯარს აისხამ,
და საზიარო გაგიხდება
სხვისი დარდები,
შენ, სათნოებას, სიფაქიზეს
სხვისას დაიცავ,
ვარდის კოკრებად გაიშლები
და აყვავდები...
იდუმალია ეს სამყარო, თუმც მრავალ ფერი,
იმედის სხივად ანთებული
ზოგჯერ ჩაქრება,
უფალო ჩემო, როცა ერში
რწმენაა დიდი,
იქ განსაცდელიც უძლურია,
აილაგმება!
დღეს, ამ უცნაურ სამყაროში
დარდიც ბევრია,
დრო უდაბნოა,
გასავლელად მეტად ძნელია…
გზა გადამღლელი, ხანაც კიდევ მრავალფერია,
ხან მთვარის შუქით მოფენილი,
ხანაც ბნელია.
სიყვარულის და ერთგულების
გზებიც ბევრია,
გზა იდუმალი, საიმედოც,
ბევრის მთქმელია
და უკეთესის მოლოდინი
ხვალინდელ დღეთა,
ამ შემოდგომას
ხალიჩებად დაუფენია…

* * *

ბილიკ-ბილიკ მიმავალი,
მეგზურობას გაგიწევთ,
კლდის ქიმიდან მზეს მისწვდებით
თუ ზედ გადააბიჯებთ.
ეს ზღაპრული ჩემი მხარე
თეთრად დაუთოვლია,
ცას რომ ქაღი დაეკიდოს
არასად გამიგონია!.
დაილოცოს უფლის მადლით
ეს არწივთა საუფლო,
ისევ თეთრად შეიმოსა,
რამდენ ყინვას გაუძლო.
ეს ზღაპრული სილამაზე
ზეცამ ფუნჯით დახატა,
ლამაზ ფერად მიმოქარგა
და ღრუბელიც გაფანტა.
მონატრებას თავს ვერ ვაღწევ,
ფიქრმა ამიყოლია.....
სხვა სამოთხე ქვეყანაზე
არის? არა მგონია...
ამ დათოვლილ ბილიკებით,
მეგზურობას გაგიწევთ,
უშგულიდან ცას მისწვდებით,
თუ მთებს გადააბიჯებთ!

21....11...2021.

სვანეთი, უშგული.ფოტო
ბაჩო ქელიძის.

დედა ხარ მრავალ შვილის!

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

ღამე მშვიდი და მთვლემარე,
ფიქრებმა ლამის გამთქვან,
არასდროს მინდა
გაწვიმდეს,
არ გამიცივდე ზამთარს.
სულით წმინდა და სპეტაკი,
ბგერა, მზის ძაფზე ასხმა,
სიტყვა, ნუგეშის მომცემი,
რასაც არ ახლავს განცდა.
ალბათ სამყაროს შეცვლიდით,
სიტყვით, საქმით და გულით,
ჩემო სიკეთის ქალღმერთო!
დედა ხართ მრავალ შვილის.
რამდენ სიკეთეს გასცემთ,
არც კი გეტყობათ დაღლა,
შენ ჩემო დიდო პოეტო,
დღითი დღე იწევ მაღლა.
ოქროს ხალიჩას დაგიფენ...
ზედ რომ იაროთ დიდხანს,
ბრწყინავდეთ,ვითარც ვარსკვლავი,
გვაფრქვევდე სხივებს მზიანს.
შენს სიტყვას ოქროს ფასი აქვს,
და იხარჯები რამდენს,
ცისმარე, ყოველ განთიადს,
შენზე ფიქრები დამდევს.
მიყვარხართ,
დედი...უზომოდ,
გაბარებ მე ჩემს განცდებს,
ერთი უბრალო მგზავრი ვარ,
თქვენს გზას არ მინდა გავცდე.
ჩემო, ხვთისმშობლის სადარო,
თქვენი წყალობა თან მდევს,
არ ვიცი ხვალ რა იქნება,
საით მივყევართ ტალღებს,
უფალს ვთხოვ თქვენებრ
მზრუნველი,
ქვეყანას ბევრი ჰყავდეს

ადამიანო!..

ყველა სევდას გაუძლო,
დრომ იმედად ინათა,
დღეებს მხარი აუწყო...
სიყვარულით ბრწყინავდა…
ყველა ტკივილს გაუძლო,
დარდი თეთრად ათოვდა,
მზისკენ ხელებ გაწვდილი,
ვარკლავთ ცვენას ნატრობდა.
სული, ზამთრის ქარაშოტს,
თუკი ვეღარ გაუძლებს,
ღვთისმშობელო ქალწულო
სადარდელს ნუ გაუჩენ.
სანთლად იწვის იმედი,
სადღაც ისევ ინათა,
დაეძებდა გზა და გზა....
ერთგულების ბინადარს.
შემოდგომის ოქროსფერ
ფოთოლცვენამ იმატა,
დარდებს სადღაც აბნევდა,
ღამე მშვიდი ინატრა.!!!

მე თქვენით ვცოცხლობ ახლა!...

ჩემებს

ისე ლამაზად იღიმით,
არ ენახვებით ავთვალს,
მზის მცხუნვარებით დამთბარი,
რა უნდა თქვენთან ზამთარს.
ისე ძალიან უყვარხართ,
ამ ჩემს გულს, ბევრის ამტანს,
თქვენში, სიმშვიდეს დავეძებ,
მაგრამ სიმშვიდე არ ჩანს.
ფოთოლცვენაში მოყოლილს,
ამ შემოდგომის კართან,
სევდა ერთ გუნდად შევკარი,
შორს მოვისროლე,სადღაც....
გზაზე მიმავალს, უთქვენოდ,
დარდად დამათოვს ალბათ,
და მონატრებით დაღლილი,
გადავაგორებ ზამთარს.
გარეთ წვიმს, ღამის წყვდიადში,
მოგონებებმა გამცა,
დრო მიდის,მოგონებები,
თქვენით და თქვენთან დამრჩა.
ეს შემოდგომაც ჩაივლის…
მარტო დავრჩები დარდთან,
ფიქრი, რომელიც დამათოვს,
გამილამაზებს ზამთარს.
წლები, უთქვენოდ ჩავლილი,
რა უყო, დროს და განცდას,
ეს მონატრება ტიალი,
ამეტუზება კართან.
სამყაროს გულში დავიტევ,
ბრძოლა ვისწავლე დარდთან,
როცა თქვენ ასე იღიმით,
ვერ მივეცემი ჯვარცმას.!!!

სამშობლოს მთები, ჩემია და
ჩემი დიდება,
. უცხო ტომელზე აღარასდროს გაიყიდება.
შენ ჩემო ერო,ძლიერო და ძალზე ამაყო,
მიწამც გაუსკდეს, ვინც გიგანოს
და გიღალატოს.
რომელი ერთი სადარდელი
უნდა დათვალო,
დარდს შეხიზნული, გული ლამის
ამოგაცალონ.
გადაიღალე და რამდენჯერ
გარდაიცვალე....
ამ მცირე დროში რამდენი რამ
გადაიტანე.
უიმედობამ,... გაგიჩინა გულზე
ბზარები,
მოძმის ღალატმა არდაგინდო
განაწამები.

* * *

დარდს შეხიზნული, სევდიანი ცხოვრების
მგზავრი....
შენი ქართველი, უცხო მხარეს მიედინება,
შენი შვილები, მონობისთვის ვინც გაიმეტა,
ის ბედნიერი ვეღარასდროს
ვეღარ იქნება.
ჩარაზე გზები,ამოსუნთქვა იქნებ გაცალონ,
რომ საქართველო ,,ქართველისგან,
აღარ დაცალონ.
ლამის დაგიპყრონ, სიძულვილით....
უცხო ტომებმა,
სისხლის ცრემლებით აგიტირონ
ყოფა....დროება,
ღმერთო ძლიერო გევედრები....
შენ დაგვიფარე.
რამდენი შფოთი და ვაება გადავიტანეთ,
გულს თუ ნათელი ვეღარასდროს
მოეფინება....
და თუ სამშობლო ,სხვის მიწაზე უნდა
გავცვალო....
ფუჭია ყოფა ქვეყანაზე, გულს ეტირება...
წელთა სიმრავლე,სხვის მიწაზე,
რატომ დავთვალო.
მავანს და ბოროტს ,არ ექნება
ხვთისგან ცხონება,
თუ ჩემი მთები,დარდისფერად დაითოვლება.
სხვაგან სიცოცხლეს მირჩევნია.....
შენთან სიკვდილი,
ცრემლად დაღვრილი,უსამშობლოდ
ყოფნას მივტირი!!!!.

10....11....2021.

ეკატერინე ციცქიშვილი

საომრად მიწვევს

ო, როგორ სწვდება კაბადონს
გაუშიფრავი უხმო გოდება,
სხივმა უკუნი უნდა ჩაღადროს,
აზრის სიქველე ნუ დაობდება.
არ ჩამოიქცეს საყდრის კვარცხლბეკი,
არ გაებზაროს გული გუმბათებს,
ასკილს შეშურდა ხვედრი ქადრების,
ვინ ითავგვემა, ვის კი უმართლებს.
მიმოაფრქვია სითბო მაშხალამ
და ააწითლა მყინვარის ძგიდე,
მონატრებათა ცვარი დამშრალა,
ცრემლი ჩაგუბდეს ნაპრალში იქნებ.
იქნებ თასმები გაკვანძოს ისევ
მეორედ მოსვლის ეიფორიამ...
ხედავ, აჩრდილი საომრად მიწვევს,
ეს ჩემი სისხლი სიმწრის თქორია!

მოლოდინის კართან

ო, ამ ჩაქროლების სიომ
ისე ამითქორა ნერვი,
შენგან ნასხივოსნის ღიოფს
ძლივსღა შეშრობია ცრემლი.
ძლივსღა დაბოგინობს ქარში
ღვთისგან ნაბოძები მრწამსი,
ქარაფს უღრმავდება ბზარი,
მერქანს ჩახვევია ხავსი.
ცისკრის სიკამკამის მადა
ამკობს დასაოკებ წყურვილს,
სულგრძელ მოლოდინის კართან
ნიმფებს ნაწნავები უთრთით.
დამფრთხალ შთაგონების წყაროს
ღრუბლის ცემინება ამღვრევს,
მწყერი შეჰღაღადებს ტატნობს
სხივის გაელვების თანხვედრ!

ოდითგანვე

რადგან ოდითგანვე განისაზღვრა
მსრბოლავ სხეულების გვემა,
ცხვირი აიბზუა კანიბალმა,
ეშმა ნისლის ფარდებს კერავს.
მეფობს სიბილწეთის განივთება,
მთვარეს მიუცუცქდა ნიმფა,
სულის საყუდელი ჩამიჩდება,
კალო გაელეწა სიზმარს.
ბრბოში ჩავიკარგე განათქვეფი,
მაინც გარიყული ვრჩები,
ცრემლი აღიბეჭდა დანაფრქვევი,
ღრუბელს შეეკვეცა ფრთები.

განმუხტვა

ველოლიავე ოცნების სანთელს
და ველოდები წუთებს სანუკვარს...
ვერ ავეტმასნე განწყობას
თანხვედრს,
ვერ ვითავისე ნავსის განმუხტვა.
ვერ გავექეცი გულისთქმის წიოკს,
ვერ ვაშრიალე ტატნობის ფარდა,
ვერ ეგუება შროშანი ხრიოკს,
ვერ ჩამოვბანე ლაქები ჯარგვალს.
ამ უხიაგი ლანდშაფტის ფონზე
ცისარტყელამ რომ გაიბრდღვიალა,
თითქოს ქარავანს მიუძღვის მოსე
და მიქაელი კემსავს იარას.

სივრცის ფიასკო

ჩამოიქცა ცოდვით ზეცა,
მიწაც თანხვედრ იანცობს,
სითბოს როგორ გამოვძერწავ -
კვნესის სივრცის ფიასკო!
რადგან მსუსხავ მოძახილებს
რწმენის მადლი არ წირავს,
საწუთროს ვით მოვაცილებ
სადიდგულო ბაცილას!
მივეფიცხე წმინდა სანთელს,
გულს ოხვრით ვერ ვიოხებ,
ვარსკვლავებმა მიმოქარგეს
გალაქტიკის სიობლე.
მეყვსეულად შემოთენდა,
გაიზმორა გვირილამ,
ზენაარულ მიმოქცევას
ვეგუები ირიბად!

დრო და დრო

მიმოარწყულა აისის თქორმა
ღამენათევი მაისის ვარდი...
ამდენმა კრძალვამ, ამდენმა თრთოლვამ
ააგვირისტა სიმუხთლე დარდის.
გაუცხოების განზომილებამ
მიმოაფრქვია ბნელეთის კადრი,
სულს განივთება ეჩოთირება,
სვავმა თვალთვალი დაუწყო არწივს.
ამ ყიამეთის ფაციფუცეთში
სანაქებოა სიმორცხვის მადლი...
დროდადრო უნდა გახდე უხეში,
რომ სითვალთმაქცის ჩამოხსნა ჩადრი.

ცუთით მაინც

როცა ბინდი ჩაებუდა სიცოცხლეს,
ეუცხოვა თანაგრძნობა შენდობებს,
სასწაულის წარმოსახვას ვიმოძღვრებ,
მთავარია ერთმანეთის გვესმოდეს.
ვერ გვაცდუნოს სიამაყის ხორხოცმა,
ვერ მომთრგუნოს შეჭირვების ღიოფმა...
ხედავ, მთვარემ როგორ ციმციმ მოცოცხა,
როს მზის ეშხმა სხივის მადლი იოფლა.
ჩავეკონე მობრდღვიალე იალაღს,
ობოლ ვარდის სურნელებას ვემონე,
წუთით მაინც მოშუშდება იარა,
მთავარია ერთმანეთის გვესმოდეს!

რა სავალალო

როგორ მალი-მალ კრთება ნათელი,
როგორ ჩამუქდა საზღვრების ძგიდე,
ბილიკებს ფარავს თოვლის ფანტელი,
ძლივსღა შესამჩნევ ნაფეხურთ მივდევ.
რა სავალალო ნისლი ჩამოწვა,
ყინავს, არ ამცდა ადგილზე შფოთვა,
ბორცვებს ვადარებ წმინდა სალოცავთ,
განცდის სიმძაფრე აღმომხდა ოხვრად.
მაინც ის ძალა მიბიძგებს მკვეთრად,
რომ მივაშურო ფართე შარაგზას...
უნდა გავუძლო სიმუხთლის ფეთქვას –
სანამ სტიქია სივრცეს ჩარაზავს!

შენამდე

ო, როგორ მცელავს დროის ღვარცოფი,
როგორ დატბორა გარემო დელგმამ,
ვერ ვაგვირისტე სიტკბო დანდობის,
არ ეუცხოვა დასეტყვა კედარს.
ვერ მოვაღწიე რადგან შენამდე,
მიმოიფხრიწა ქალამნის ძირი,
ვით ზღვის ტალღები უნდა ვღელავდე,
ნისლის ჯოგების წინარე ვტირი.
ვერ გადავლახე განაწესები,
ჩასაფრებული ზარნაშო კივის,
ლაციცა ლანდის თრთოლვას ვეხები
და ამოვტვიფრე ძონძებზე მძივი!

ოხვრით

სულის ძარცვას ვეღარ ვუძლებ,
ჭირს იარის შუშება.
აიტაცებს უნა უძვლო -
ავსულ აკუნტრუშებას.
გაუმრუდდა სარბიელი
სხვის ცოდვების მაძიებთ.
უარყოფას გავუძელი,
შიში წამით დავძლიე.

იშვიათი წმინდა სისხლი
ისე მიმოიჩქეფა,
მიიქუფრა სივრცე ზიზღის,
დრო მიგუდა ციფრებმა.
არ მეამა ღრუბლის ცრემლი,
გულს მიწვრილებს სიცივე,
შებერებულ ხილვებს ვებრძვი,
ურვას ოხვრით ვიცილებ!

პაპუნა ქვარიანი

კატრენთა ჩაკვნეტა

***

ჩვენს გაღვიძების საესავს,
თუ არ დაადგა საშველი-
საფიხვნოს კვარცხლბეკს წალეკავს
გაუმაძღარი ქართველი!

***

ჩრდილოეთის სუსხის წნეხი,
თეთრი დათვის ქირქილი,
ერტოვნული აზარფეშის
შელაყებას მივტირი!

***

რადგან ჟამის მოსახდენ
შემართებით ვივსებით,
სათავეში მომრავლდნენ
ცრუპენტელა ვირთხები!

***

როცა ნაბიჯის სიმცდარემ
განწყობა გამომიფიტა,
დუმილი გავაპიარე
გაწბილებული სიმწრიდან!

***

არ გაწბილდება აროდეს
უკან დახევის საწყისი,
მთავარია, რომ ცხარობდეს
მრწამსი სულიერ ჩაწიხვლის!

***

ამ ქაცაქუცა ნახირის
დაბეჩავებას რომ ვუმზერ -
აყოყლოჩინდა თახსირი,
ისაქმა სვავმა გომურზე.

***

გონს რომ მოაკლდა სიფხიზლე -
მიმოტკბა ეშმას ამბორი,
მამულის მკერდზე ლივლივებს
სისხლის ნაწვიმის ნატბორი!

***

აუჩორიკდა გზამკვლევი
სიტყვიერების ასპარეზს,
ხავსს ეჭიდება ნაცრემლი
სათუთი აზრის საძვალედ!

***

გაიპწკიალა განწყობამ
კეთილი ნების საწინდრად...
მოჩვენებითი თანწყობა
უმადურობამ ჩაწიხლა!

***

მწათხე ეფემერა
ისე მეფერება,
სივრცეს ეკერება,
მადლის შეჯერება!

***

ფარა უგერგილოდ ვმწყემსე,
ვერც რა ვაგვირისტე ყოფა,
ჟამის უკურნებელ სენზე
ხვალის აღტკინება შფოთავს!

***

როცა აღარ იმსახურებ
თანდგომას და ნდობას,
იფხორება სიძაბუნე,
ამაოა ბჭობა.

***

სხვათა ძაგება ბრიყვთათვის
უკურნებელი სენია...
კენკრას დააცხრა ჭილყვავი,
ჩაღძა ნადელგმი ქერია!

***

როცა ვერას მიახვედრებ
თავნებას და ავყიას,
მოცუნდრუკე სირაქლემებს
ნამჯას ხორხში ჩასჩრიან!

***

ეჰ, ეროვნული სიმდაბლე
როს აჩორიკებს იაბოს,
კენტავრი უფლის ხილვამდე
ყოფის სარბიელს მიაპობს!

***

შეეფაკლათ ღაწვნი ველებს
მანანების სახვრეპად...
რა მსუბუქად მოვინელე
ამ კატრენთა ჩაკვნეტა!

***

გაუფასურდა
მოქცევის ხიბლი...
ჟამი საურავ
საზღაურს იხდის!

***

ის რაც გულის
ღადარია -
ის მომავლის
ნადავლია.

***

გახსნილია ყველა კარტი,
აექერცლა ძგიდე მითოსს,
შეეწიოს უფლის მადლი
შეცბუნებულ ერის სინდრომს!

***

ხვაშიადი არ ზრდასრულობს,
თავი ძლივსღა მოთოკეს,
ყველა სამოთხეს
ნატრულობს,
მე კი ველტვი ჯოჯოხეთს.

***

როს მოშხუის ზემოდან
იმფლაციის ზვავი,
დროზე უნდა შემოვკრათ
საგანგაშო ზარი!

***

მოხვეჭათა მანიამ
ისე იმელაძუა,
მიმოქცევის არიამ
წნეხი გამილაწუნა!

***

თავბრუდამხვევ წიოკებს
გაებზარათ დირე,
განცდას როს ვერ ვიოკებ
ჭაობს ვენაპირე!

***

როცა თავს აღწევ
წყენის გრაგნილებს -
დუმილი ნაკვთებს
მიმოაგრილებს!

***

მარგი ქმედების
წრებრუნვა,
როს დატრიალდა წაღმა,
მირაჟში გამომზეურდა
ჭეშმარიტების აღქმა!

***

შესისხლორცების წამი
როს აკიაფდა დარად,
ცრემლმორეული თვალი
სიწრფელეს ვეღარ
მალავს!

***

სიბრძნე თუკი მარადი
აღტკინების კვერთხია,
დახვეწილი ქარაგმით
პოეზია ღმერთია.

***

ო, რარიგ შესაბრალია
უძლეველობის მნდომი,
კედელზე მცოცავ კალიას
ობობა თვალით წონის!

***

თუ მეღირსება დროულად
ღვთის სასუფევლის დანახვა -
უკეთურობას ავლაგმავ,
ღვარძლს საწკვარამში
ჩავნაყავ.

***

ჩაცხრა სურნელის სიმძაფრე,
სულმა ზეობა იტვირთა,
რაც რო სიცოცხლეს
მიხარებს,
ის მაახლოებს სიკვდილთან!

***

*მივ*ანთხიე ბალღამი
მტრის შენიღბულ სანახებს,
ქიშპის მწუთხე განაჩენს
ორგულობა განაგებს.

***

ტანჯვის კრიახის
კრუნჩხვას ვეჩვევი,
ყოფის წიაღის
მოვრწყე ფესვები.

***

როცა რო აწმყოს
დაეგო მახე -
ცდუნება აწრთობს
მყოფადის სახეს.

***

ამდენ სიბეცით,
ამდენ შტეროზით,
ვეჯაჯგურებით
სულის გენოციდს!

***

თუ მამულის სამსახური
მიზნადა გაქვს დასახული,
თავგანწირვის მოლოდინში
ნუ იქნები დაზაფრული!

თემურ გოგსაძე

მდინარე ყვირილასთან

ეს მდინარება –
სიყვარულის გავს, მდინარებას –
„სიყვარულია წყარო სულის უკვდავებისა,
ავსება მისი ღალატის და სიცრუის ნაგვით,
უარესია, ვიდრე აქტი – მოკვდინებისა!“
ნახეთ, სათავე, ამ მდინარის,
ლურჯი წყალია,
შესართავში კი – ჯოჯოხეთის მოსარწყავია!
ნაღალატევი სიყვარული,
ყვირილის ხვედრი,
ღმერთო გავედრი
საშინელი სანახავია!!!

უსახელო გმირები

სახელდებულთა გმირთათვის,
ვლოცულობთ, თუმცა მეტია,
რომელთაც სამშობლოსათვის,
სიცოცხლე გაუმეტია,
სხვა ძმებს და სხვა არაგველებს,
ჩვენი მთა - ველი გვეტყვიან,
რადგან გმირობა, ქართველებს,
გენში გვაქვს და უშრეტია!!!
და ვინც აღვივებს, ქართველი,
რომ მოღალატე ერია...
შური კლავს განუსაზღვრელი
მტერზე უარესი მტერია!!!
ბევრია – ხარობს მოყვასი,
ცოტნე და ბერი თევდორე
მათი მემკვიდრე, ათასი,
გმირი გვყავს, თანამედროვე!!!
ყველა მათგანის სახელი,
სამშობლოს სინონიმია,
თაობათათვის ნათელი,
გაუწყვეტელი სიმია!!!
დღესაც რისხვაა მტრისათვის,
ის უსახელო გმირები...
გვიხმობენ – „მამულისათვის“
ლეგენდად გარდაქმნილები!!!

* * *

სამშობლო ჩვენი, მკვიდრი ბუდეა...
უცხო მხარეში გზები მრუდეა!..
თვით სიკვდილისაც არ დამრიდეა,
თავისუფლების ბრძოლის იდეა!!!

მონანიების მელოდია

მონანიების მელოდიად იღვრება სიტყვა
რამეთუ უფლის ბაგეთგან ითქვა –
ყოველი სიტვა თქვენი იქნება,
ანუ სასჯელი,
ან გამართლება?!
მონანიების მელოდიად იღვრება ფიქრი.
რამეთუ ცოდვის სადინარი,
განკითხვის ფითრი,
ფიქრია სწორედ!..
ფიქრით მართალი ძლიერი არის,
ღმერთსაც და კაცსაც
თვალს გაუსწორებს!!!

მონანიების მელოდიად იღვრება ლექსი,
რამეთუ ლექსებს, ვტოვებ როგორც
უწმინდეს ლოცვას
და ჩემი სულის
უტყუარ ვექსილს!!!
მონანიების მელოდიად ფერებს შლის ფუნჯი
და ჩემი სულის შუქ-ჩრდილებს ხატავს!..

ყოველდღიურად ვამზადებ ჩემს თავს,
რამეთუ, ღმერთო,
როს განიკითხავ,
შესძლოს ატანა, რასაც მიუსჯი!!!

1994 წ.

ლურჯი ჭრილობა

... აუჰ, რამდენ ხანს, ვაწვალე ფუნჯი...
დავხატე ჩემი ჭრილობა – ლურჯი: –
სულს დამჩნეული შენი თვალები
და სიყვარულის ნატერფალები!!!
ჩემივე ქმნილის ვარ ტყვეობაში,
რაა ნამდვილი – ეჭვში ვვარდები?!
დავცურავ ლურჯი ვალების ზღვაში
და ახლებურად შემიყვარდები!!!

მდინარე ყვირილასთან

ეს მდინარება –
სიყვარულის გავს, მდინარებას –
„სიყვარულია წყარო სულის უკვდავებისა,
ავსება მისი ღალატის და სიცრუის ნაგვით,
უარესია, ვიდრე აქტი – მოკვდინებისა!“
ნახეთ, სათავე, ამ მდინარის,
ლურჯი წყალია,
შესართავში კი – ჯოჯოხეთის მოსარწყავია!
ნაღალატევი სიყვარული,
ყვირილის ხვედრი,
ღმერთო გავედრი
საშინელი სანახავია!!!



ბადრი ქუთათელაძე

ქუჩა

ქუჩა, როგორც ძველი მეგობარი
გვერდით გვიდგას, გვამხნევებს...
სიცოცხლის ბოლომდე იქნება
ქუჩა ჩვენს მეხსიერებაში,
არც ის დაგვივიწყებს ჩვენ...
მხოლოდ ერთი რამ გვტკივა –
სად არიან ძველი მეგობრები?
მიდიან და თან მიაქვთ ჩვენი
ცხოვრების ნაწილი...
რჩება ქუჩა თავისი ფერით,
სუნითა და ჰაერით...
ამ ქუჩაზე ახლა სხვები დადიან...
ქუჩა, როგორც მატარებელი
ახალ მგზავრებს ელოდება,
მაგრამ არც ჩვენი ტანის
სიმსუბუქეს ივიწყებს.

* * *

დღეს მე არა ვარ
კმაყოფილი
ჩემი ცხოვრებით,
დაგაგვიანდა
ჩემთან მოსვლა,
გვიან მოხვედი.
და მე არ ვიცი,
რით ვუშველო
საქმეს წახდენილს,
ისევ სიონი,
სამება და ისევ სანთელი
და მე გიცქერი
განწირული
კაცის იერით,
დიდი ყოფილა,
ღმერთო, შენი
თვალსაწიერი.

* * *

კაფე თეატრალური
სიმწვანეში ჩაფლულა,
ალმა-ატელ გოგონებს
ვესაუბრე ქართულად...
თვალებამოქარგულებს,
კაფე თეატრალური
სულმთლად გავუქართულე.

...და მაინც შენით!

მე ვერ ვიპოვე
ერთი დღეც ლაღი...
ვიღლები ასეთ
ცხოვრების წესით!
ოცნებით,
ფიქრით,
დასკვნებით დაღლილს
სევდანარევი
გამომდის ლექსი...
...და მაინც შენით
მეხსნება ბაგე...
და მაინც შენით
ვამართლებ ყოფნას.
შენ კიდევ თითქოს,
განგებ და განგებ,
ახლოს ხარ და...
...და მაინც შორს ხარ.

* * *

ჩემი სულის ღმერთები
სადღაც შორს მიფრინავენ...
მიწიერი ვედრებით
შევრჩი ადამიანებს.
შევრჩი,
ვხედავ, მადლია
ჩემი სულის მოთოკვა,
ჩემში კარგი რაც კია,
ჩემში რაც კი მომწონდა -
ვერ პოულობს საყდარს და
ქარს მიჰყვება ქარივით...
სული ჩემი გაწამდა,
სული –
თეთრი ყვავილი.

* * *

ვიცი, მოიწყენს
ჩემი სხეული...
და სულს საფრენად
აღარ ეცლება...
დაიკეცება
ძველი რვეული

და ეს ოცნებაც
დაიკეცება...
და სანამ გრძნობა
ისევ ნებივრობს
და არყის ხეებს
ზეცა იზიდავთ,

ნუ წამიკითხავ,
კარგო, ეპილოგს,
ჯერ ხომ ისევ ის
ცელქი ბიჭი ვარ.

* * *

ჩემო კარგო, სიყვარულს
უკვე ველარ აგიხსნი,
არ ექნება სიანცე,
ის პეწი და ხარისხი...
ღვინობისთვის ხესა ჰგავს
ჩალისფერი სხეული,
ის დღეები არ არის,
სხვა დღეებად ქცეულა...

ჩვენ ერთმანეთს ვპასუხობთ
უფრო მეტად დუმილით.
შენს სხეულში გამშრალა
ოცნება და სურვილი...
უფრო მეტი ფიქრი და
გამოხატვა ნაკლებად...
რაც დრო გადის, ეს წლები,
მიწისაკენ გვაწვება.

მოსაკითხი ბარათი
ათი წლის შემდეგ

როგორა ხარ,
ქალბატონო ნანა?
ეს სიცოცხლე,
ვხედავ, არ კმარა...
შეცდომებსაც
ვერ ვასწორებთ, თურმე,

გვეჩქარება
წუთისოფლის სტუმრებს...
არ მასვენებს
ნოემბრის თვის ღამე,
რუსთაველი,
სიცივე და მთვარე,

შენი ცრემლის,
წრფელი ცრემლის გემო...
როგორა ხარ,
ქალბატონო ჩემო!

საქართველოს!

არ შემიძლია,
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!
ვალში ვართ შენთან,
ფარნავაზო,
მეფევ პირველო,
ათასეული
წლების მერე
უნდა გიმღეროთ...
ვალში ვართ შენთან
და სიშორე
აღარ გვაშინებს,
თითქოსდა ახლა

გიპოვეთ და
აღმოგაჩინეთ!
შორით გვიცქერის
დავით მეფე,
მეფე თამარი!
სიყვარულშია
ჩვენი ხსნა და
გამოსავალი...
აგერ, გაისმის
ლაფშა ცხენის
ტორთა თქარუნი,
ეს ცოტნე მოდის,
დადიანი -
და სიყვარული!
გვმოძღვრავს უბრალო,
წვეროსანი,

მღვდელი ტევდორე..
თავისი ნებით
სისხლი ჩვენი
მამულს ვერ ტოვებს...
და ეს დრო ჩქარი
ჭირ-ვარამში
როგორ გავიდა,
სირცხვილი ჩვენი!
ძეგლი ახლა
უნდა დაგიდგათ...
არ შემიძლია
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!

თეა კანდელაკი

ო, ბედისწერავ, რას მემდური, რას მემართლები

(სიმღერა სახელწოდებით „**Spirit of Tamar**“ გამოყენებულ იქნა ლ. ლერმონტოვის პიესის „დემონი“-ს მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „**DEMON**“. დემონის როლის შემსრულებელი და სცენარის ავტორი – მხატვრული კითხვის ოსტატი, რეჟისორი, ჟურნალისტი, პროდიუსერი, მსახიობი რუსტემ გალიჩი, რეჟისორი – ანდრე დიონი. თამარის სულის პარტიის შემსრულებელი და მუსიკის ავტორი – თამრიკო დავითაშვილი, ქორეოგრაფიული დადგმა და შესრულება – თეა კანდელაკის, 2006 წელი, ნიუ-იორკი, აშშ).

ო, ბედისწერავ, რას მემდური, რას მემართლები,
ნუთუ, პირისპირ, შენ ჩემს მეტი არვინ გხლებია?!
სად არ გაგექეც, რა არ ვნახე, რა არ ვიღონე,
მაგრამ, სულს დარდი და ნაღველი გამნახლებია.
იქნებ, ბახუსით სავსე თასმა მომგვაროს შვება,
იქნებ, ქარიშხლის მძლავრმა ქროლვამ სევდაც გაჰფანტოს,
ან, იქნებ ისევ შენზე დარდში გამთანგოს ნატვრამ,
შენზე ფიქრებმა გაუკვალავ გზებით მატაროს.
ო, ბედისწერავ, რას მემდური, რას მემართლები,
მხოლოდ ეროსის სითხით სავსე შევსვი ფიალა
და თუ ქურდობა დამებრალა მე – სიყვარულის,
რად დამაქვს დამღად უგულობის მძიმე იარა.
ვერცხლის ბარძიმში ჩამომისხით ღვინო ზედაშის!
დე, სიყვარული ჩამეთვალოს ერთადერთ ცოდვად!
ძველი თბილისის მთვარიან ღამეს მთრთოლვარე მტკვართან
ზურნა-დუდუკი აღსარებას აღავლენს ლოცვად.
ო, ბედისწერავ, რას მემდური, რას მემართლები,
ამ ცხოვრებაში შენგან ვის რა გამართლებია,
აჰა, წაიღე შენგან ძღვნილი ამაოება,
მე, სიყვარული თავად ღვთისგან დამნათლებია.

01.30.2003
აშშ

* * *

ხელისგულზე დატეული სამყარო
გულთან მჯიღად მივიტანე შეკრული
იქნებ სულში ატეხილმა სალბუნმა
ია-ვარდ-ქმნას საქართველო ბედკრული...
06.18.2014

სულთა გამოცდა

(ხილვა პირველი, სინას მაცხოვრის
პანტოკრატორის ხატის წერის დროს)

ჩემში ახლა ქარიშხალივით შემოიჭრა ჩემი უფალი
და ალბათ დავწერ იმ ქვეყნიურ სახეს საოცარს...
გარს განლაგდება ქერუბიმთა დიადი დასი,
სერაფიმები მოაწყობენ სულთა გამოცდას.

მე, ანგელოზთა ფრთათა ჩრდილში დავესვენები,
განა, ღირსი ვარ?! – მათი ფრთები მექნეს საფარად.
არა! უბრალოდ გადარჩენა მოუნდათ სულის
და თვით მხილველად გამაყოლეს წმინდა ქარავანს...

ახლა კი, სულში, ვგრძნობ, მაცხოვრის საოცარ მზერას
და დემონების შეკივლება აკვდება ექოს.
ანგელოზები მიმაქანებენ ბროლის ტახტრევნით
იქ, სადაც სულთა საუკუნო სიმშვიდე მეფობს.

ჩემი სხეული გარდაქმნილი, თითქოს უხორცო,
სული კი ისე გამჭვირვალე– ბროლის მსგავსია
და მე ცოდვილი, ვდგავარ ახლა ამ ფრთათა ჩრდილში
და ტანს მაცხოვრის მადლმოსილი კაბა მაცვია.

პარნასისი

ვუყურებ მზეს და სიაშკაშე მისერავს თვალებს
გზააბნეული ათას კუთხეს აწყდება მზერა,
ვხედავ ქვაკუთხედს, გამჭვირვალე ბროლის ნასხლეტის
და ირეალურ სამყაროში ვახერხებ ფრენას...
დავქრივარ ასე, მზის ციალში, სხივიდან–სხივზე,
ბროლის ნასხლეტებს მიმდევრობით ვუმატებ სუნთქვას
და ფშვინვიერიც, ზე აღმავალ ასოთა წყობით,
სტრიქონებს წერს და მარტოობის მაშორებს კრულვას.
სპეტაკ ფურცელზე იბადება სიტყვა და აზრი.
ნაწილი სულის იდუმალი ზესთა შეგრძნება.
პოეტის სული უჩვეულო, ხელთ შეუხები.
რითმათა ქროლვის დაუოკავ ფრენით ეღგზნება...
მოივლის ზეცის ეპილოგებს, ზღაპრულ ქურუმებს
მზისა და მთვარის მფენ სხივებით სიტყვას დაქარგავს
და პერგამენტით დაეშვება დედამიწაზე
იქ. სადაც უხმო პოეზია სულის ტაძარს გავს.
ვუყურებ მზეს და სიაშკაშე მისერავს თვალებს.
გზააბნეული ათას კუთხეს აწყდება მზერა...

02.15 14

* * *

ღმერთი ჩემშია და მე ვარ ღმერთში,
ბედის ბორბალიც ტრიალებს ჩემს თავს,
არ ვიცი საით მივყავარ ფიქრებს,
არ ვიცი გული ასე რად ფეთქავს,
ღმერთი ჩემშია და მე ვარ ღმერთში
და ილეწება ჩემს სულში კალო...

2001

ანზორ ჯაფარიძე

რა სიყვარული გოგო ხარ

რა სიყვარული გოგო ხარ,
დღითი-დღე უფრო მინდები,
ხანდახან შიში მაშფოთებს
ხომ არსად გამიფრინდები.
ამასწინ წითელ-წითელმა,
მთლად გადამრია ფიქრებით,
მე გადავწყვიტე შემდეგში,
მოგიყვან ჩემი იქნები.
მოფერების და ალერსის,
ათასი ფორმა არსებობს,
თორემ იცოდე ალერსით,
გული დარდებით ამევსო.
ვფიქრობ განვიცდი გაცდენას,
ვერა ვპატიობ ჩემ თავსა,
ნუთუ ვერაფერს შევძლებდით,
ვერ მოუვლიდით ჩვენ თავსა.
გულში მინდა რომ ჩაგისვა,
ისედაც ხომ ხარ ჩამჯდარი,
ღმერთმა არა ქნას ძვირფასო,
გვერდზე რომ გნახო გამდგარი.
სხვა პიროვნებებს რას ვერჩი,
დარდი სხვა მხრიდან მომედო,
თუკი ოდნავად მე გინდივარ,
გთხოვ, სამუდამოდ მომენდო.
მომანდე შენი სხეული,
გადარეულმა გაგითბო,
გულში ვნება და ალერსი,
მგზნებარე ალით აგინთო.

* * *

მსურს ერთად ვიაროთ ჩემო,
ერთად გადავკვეთოთ ქუჩები,
პატარა ბავშვივით გაქვს კარგო,
პატარა, პატარა, ტუჩები.
შენ სულ სხვა ხარ ძვიფასო,
არავის გავხარ ქალო,
და თუ მეც შემიყვარებ,
ვიტყვი, რომ ღმერთი მწყალობს.
პასუხს ველოდები შენგან,
ვფიქრობ და სულ ვარ შენთან.

მე ხომ პოეტი არავარ

მე ხომ პოეტი არა ვარ,
არ ვითვლი, რითმებს, ბგერებს,
ამას ვწერ იმას ვსაუბრობ,
რაც დამიმშვიდებს ნერვებს.
შენთვის ვქმნი, შენთვის ვსაუბრობ,
ლესექსებს მოგიძღვნი ქალავ,
გული სულ შენთვის ხმაურობს,
მჯერა არ ამიკრძალავ.
არ ვიცი რით გიმკურნალო,
რით ჩავწდე შენს ნაფიქრალს,
როგორ დავსაჯო ორგული,
მასთან შეხვედრაც არ ღირს.
ანდა მტერს ჩვენთან რა უნდა,
მოკეთეს ვხედავ უფრო,
მინდა მოგიხმო ძვირფასო,
ხშირ-შირად სასაუბროდ.
ოდნავ თუ მაინც იფიქრებ,
და მომენდობი კარგო,
მე შენს წინაშე ვიფიცებ,
მსურს გულში ამოგქარგო.

* * *

ცალმხრივი ყველა ცუდია
ორმხრივი არის კარგი,
ოღონდ შენ კარგადა მყავდე,
სხვისი არამაქვს დარდი.
მე გული შენ ერთს მოგანდე,
მინდა რომ გაგიფრთხილდე,
დარდი იმ, წარსულს ჩაბარდეს,
სულ ერთად დაგვილხინდეს!

* * *

შენ ჩემთვის ერთი ნატვრისთვალი ხარ,
გრძნობის, სიცოცხლის, ნანატრი წყარო,
რამ დაგადუმა რამ დაგამუნჯა,
მითხარი რამე ქალო.
შენ ვნებიანი მიხვრა-მოხვრა გაქვს,
ყველა დეტალი გრძნობის წყაროა,
მომეყრდენ ჩემო ნუ მერიდები,
შენ შემოგევლოს მთელი სამყარო!

* * *

მე შენს მოწყენას ვერ ვიტან,
ცხვირ ჩამოშვებულს გხედავ,
მე რომ ვიცოდე წამალი
რა გიშველიდა ნეტავ.
ალერსი ხვევნა, თუ კოცნა
შენ ჩემო ერთად -ერთავ,
კიდევ ძალიან ბევრს ვფიქრობ,
მაგრამ ბევრს ვერა ვბედავ.
შენს თვალებს დახრილს რომ ვხედავ,
რად არ ვსტირივარ ნეტავ,
ანდა ვით უძლებს ეს გული,
შენ რომ ცრემლიანს გხედავ.
განვლილი რაც თავს გადაგვხდა,
ცხოვრების გზას და ხიდზე,
შენ მასულდგუმლებ მაცოცხლებ,
შენს მკერდზე თავი მიდევს.
იქნებ შენც ასე იფიქრო,
ხომ ხედავ რჩევას ვბედავ,
ნეტავი ახლა ამ წუთში,
გულში ჩამხედო კარგო,
მინდა ბავშვივით შეგფუთნო,
რომ არსად დამეკარგო!

ელგუჯა ადეიშვილი

მსოფლიო კორონავირუსს (COVID-19) ებრძვის

ეპიდემიის მიზეზით,
მთელი მსოფლიო აშლილა,
უფსკრულში მიდის, სიკეთე,
რაც რომ კაცისგან შექმნილა.

არ ჩანს იმედი – შეჩერებისა,
არც ოქრო – ვერცხლი შველის „ხაზინის",
ნათლად გამოჩნდა ჭირის გაქრობას,
სჭირდება ცოდნა უფლის ხარისხის.
ეკონომიკა დაღმართში მიდის,
კრიზისი შთანთქავს ყველა ქმნილებას.

წამყვან ქვეყნებში ვერ გაუმკლავდნენ,
ეპიდემიას ხალხის წამლეკავს,
პანიკის დიდი გამოძახილით,
წყდება სიცოცხლე ქუჩები არ გვაქვს.

იზრდება მსხვერპლი ადამის მოდგმის,
ზომის მიღება დროზე ვერ შედგა,
პრეპარატები, რაც ამ ჭირს შველის,
ქართულმა გენმა გამოიყენა.

მძიმე გასაჭირს ჩვენი ქვეყანა,
შეხვდა, გმირულად და შემართებით,
დედამიწაზე ყველა დარწმუნდა
გვყავს მედიკოსთა რაზმი შედეგით.

ამ ელიტას, განათლება
მიუღიათ ჩვენს მხარეში,
რამაც საფიქრალი მისცა
მთელ მსოფლიოს სწავლის წესში.

შედეგები გვაქვს სიკეთის,
ვინემ სხვა ქვეყნების გვესმის,
მცირე გვყავს დაღუპულები,
სახე ჩანს გამოსწორების.

ექიმთა რჩევით – კონსულტაციით,
ხელისუფლება ატარებს ზომებს,
შეწუხებულა დიდი – პატარა
დღედაღამ ელის ბრძოლის შედეგებს.

მადლიერებით უყურებს ხალხი,
ჭკვიან პრემიერს (**გიორგი გახარია**) და
მრავალ მებრძოლს,
ექიმთა მხრიდან, შეუპოვრები
(ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე, თენგიზ ცერცვაძე, მარიკა ეზუგბაია, მარინა ენდელაძე, ლევან რატიანი, ეკა ნაფეტვარიძე, რეზი მეჭურჭლიშვილი...)
შედეგს აღწევენ – ჭირის მოსვლიდან.

იმედს გვაძლევენ, რწმენას თესავენ,
რომ გადავრჩებით მძიმე სენისგან,
მედიკოსების უზადო შრომით,
მალე გამოვალთ ბრძოლის ველიდან.

ეპიდემიის მოსპობით
მსოფლიო რომ დამშვიდდება,
ყველა გაიგებს ჭირის გაქრობას
ბრძნული ქართული გარჯა სჭირდება.

2020 წლის აპრილი.

ბევრეთი!! – წინასიტყვაობის მაგიერ – სოფელი ბევრეთის წმინდა თეკლას სახელობის დედათა მონასტერი (პირობითი სახელი "კალამონი" – მთა ანტიოქიაში, სადაც მოღვაწეობდა წმინდა თეკლა) თბილისიდან 35კმ-ში, მცხეთა, სოფელი ბევრეთი, მდინარე დიღმისწყლის სათავე, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთის დაბლობი, ტყის შერეული (ნაკვი) მასივით დაფარული ხეობა, ზღვის დონიდან 1100 მეტრი {1995 წლიდან მონასტრისათვის აღგილის შერჩევის, მიწის ნაკვეთის პირადი სახსრებით შეძენის და მონასტრის მშენებლობის მოთავე – მამა თეიმურაზ ჩაჩიბაია}. წმინდა თეკლას დედათა მონასტრის წინამძღვარი – იღუმენია თეკლა {კუჭუხიძე}, მოძღვარი და წმინდა იოვანე ნათლისმცემლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი – †იღუმენი იოვანე {ჩაჩიბაია}.

მასალა სოციალური ქსელიდან მოიძიეს - თამარ ფოფხაძემ და სოფიკო ბოლქვაძემ.

ბევრეთის (კალამონი) წმ.თეკლას დედათა მონასტერი

თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.
ცად აზიდული მთების – საწყისში,
შეირჩა მართლაც წმინდა ადგილი,
ქალაქთან ახლოს, ტაძარში შესვლა
წესით, ყოველთვის არა ადვილი.
მარადისობის ხე ხარობს – ნაძვი,
როცა უყურებ გიქრება დარდი,
გიპყრობს ბუნება – ულამაზესი,
იმედი ჩნდება ძალზე უღრმესი.

ღმერთი ადიდებს დიდ წმინდანს – თეკლას,
მადლს გადმოაფრქვევს მონასტრის ამგებთ,
და აამაღლებს მსახურთა დიდ შტოს,
უკლებლივ ყველას, უკლებლივ ყველას...
ვერ დაივიწყებ ამ ძვირფას ადგილს...
სადაც ულევი მადლი ირევა
და ამიტომაც ნიადაგ მრევლი
ამ „სამოთხისკენ" მიედინება.
თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.

2020 წლის 10 მაისი.

საოცარი რაღაც ვნახე,
უფლის სახლი დავინახე,
სამყარო სიწმინდის მარგი,
ბუნება ღმერთის ნაქარგი.
ტაძარი დიდმოწამეთა,
სავანე წმინდა – მიზნითა,
იქვე არსებულ შირიმით,
ნაგები ძველი სტილითა,
მსახურთ მოიწვევს კომპლექსი –
რჩეულებს დიდი რიდითა.

უშანგი მოსიაშვილი

ფიქრები

სიჭაბუკე გამეპარა უეცრედ,
ამედევნა უკვე ავი ფიქრები.
მე არ ვიცი რას მოვასწრებ ამ ქვეყნად,
ანდა კიდევ მე რამდან ხანს ვიქნები.
წუთისოფლის გზა სავლელად დიდია,
გასავლელი ბევრი ბეწვის ხიდია,
დაილოცოს ვინც რომ სწორად იარა,
ბევრ დავრდომილს მოუშუშა იარა.
იმათ რა ქნან ვინც რომ მრუდედ იარა,
ბევრ შემხვედრ კაცს გაუჩინა იარა,
ის სატანას მსახურია უიღბლო,
ქვეყნისათვის კარგი კაცი კიარა.

მონატრება

მუდამ ვნატრობ საქართველო,
იყოს ისევ დიდი,
მეზობლებთან მუდამ ქონდეს,
მისასვლელი ხიდი.
ძველებურად მეზობლობი
იყვნენ ჭირში ერთად...
მათ გასაჭირს ვიგებდი და..
თმებიც გამითეთრდა.
ქართველი ყველას ომში,
იყო მუდამ პირველი.
და მტრებისთვის მათი ქცევა,
იყოს გასაკვირველი.
მოწინავე იყო მუდამ,
საქართველოს ლაშქარი
მათ სარდლაბდა ვინმე გმირი,
თუ მუსლიმი ავშარი.
მათ გმირობით მოგვიტანეს,
ეს ლამაზი ქვეყანა,
მაგრამ ვერ შევინარჩუნეთ,
ჩვენ დიდება ვეღარა.
გევრდები ჩამოგვაცალა
თითქმის ყველა მხრიდანა,
აღარ დარჩა ჩვენი ხალხი,
სულ წავიდა მთიდანა.
მთა კი სულ ყოველთვის,
იყო გლეხის საშველი,
ომში მუდამ მოდიოდა,
მეომარი მაშველი.
რა დრო დადგა, რათ დავკარგეთ,
წინაპართა გენები,
ომში მუდამ იმარჯვებდნენ,
წინაპები ჩვენები.
ქვეყნის შიგნით ავირიეთ,
აღარა გვაქვს კაცის ბერი,
ჩვენი ასეთი ქმედებით,
არ დარჩება არვინ მთელი.
ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ,
ვიჯიჯგნებით როგრც მგელი,
და შემყურე ამ ამბისა
მე, სიკეთეს აღარ ველი.
ანდა დავდგეთ ყვლეა ერთად,
დავიბრუნოთ მიწა ძველი.
ძველებურად ავაყვავეთ,
გამრავლდება ჩვენი ერი.

რატომ აჩქარდა წუთისოფელი

რატომ აჩქარდა წუთისოფელი,
დღეები სწრაფად გადის,
ბევრი უჯიშო და უგნური
მაღალ კვარცხეგზე ადის.
მიხედ-მოხედვას რომ ვერ მოასწრებ,
კვირეები ისე გადის,
ბავშვიც ესწრაფის წუთისოფელსა,
ცხრა თვისა უკვე დადის.
ეტყობა მიწაც ჩქარა ტრიალებს,
კაცი მთვარეზე ადის.
უნდა, რომ უფრო დიდხანს იცოცხლოს,
ამას იმიტომ ჩადის.
ეტყობა ღმერთსაც ვაწყინეთ რამე,
რომ თოვლი ხშირად ბარდნის,
თუ დააკვირდით საქართველოდან,
ყველა მეორე გადის.
თუ არ მოვეგეთ მალე ჭკუაზე,
და არ ვიწამეთ ღმერთი,
ალბათ, დარჩება ამ ვეყანაში,
კაცი და მხოლოდ ერთი.

ბერი თევდორე

თევდორე, შე სულნათელო,
ჩვენთვის აიდგი ფეხიო,
შენ რომ არ გამოგვჩენოდი,
დაგვეცემოდ ამეხიო.
მტერს რომ ეგონა ქართველი,
მალე ღალატობს კერასო!!!
შენთან შეხვედრით დარწმუნდა,
რომ ვერ დაგაკლებს ვერასო.
ერსაც უშველე მეფესაც,
შენ კი დაგიჯდა ძვირიო,
მტერი დაჯაბნე დათრგუნე,
დარჩი მათ გასაკვირადო.
შენს ნაკვალევზე თევდორე,
ბევრი გაზრდილა შვილიო,
ბევრი შემბია მტრის ლაშქარს,
სისხლი უღვრია თბილიო.
შენი სახელი თევდორე,
ქართველთ გულებში დარჩება,
შთამომავლობას გადავცემთ,
გვეყოფა გამოსარჩლებათ.
დღესაც კი ათბობს მთადა ველს,
შენი გმირული სახელი, საუკუნეებს ეყოფ,
დიდების გამომსახველი.
თევდორე არ დაკარგულხარ,
არა ხარ ჩენთვის მკვდარიო!
ჩვენი ხალხისთვის მრავალჟამს,
იქნები ღმერთის დარიო.

დიდი წინაპრები

აბა მითხარით კიდევ ვის ყავდა,
ან გორგასალი ანდა დავითი,
განა არ არის ეს საკმარისი,
რომ ვიამაყოთ მარტო ამითი?
გორგასალი ხომ ძლიერი იყო,
მის დაძახილზე რეკდა ზარები,
დავითის დროშა ცას ნათელს ფენდა,
ნეტავ კვლავ გვყავდეს იმისთანები.
გზა გაკვალულით დღემდე მოვედით,
მამულს ატყვია ნაფეხურები,
ან მარტო რად ღირს მეფე თამარი,
რომლის ბადალი ქვეყნად არ არის.

ნანა ნოზაძე

ცხოვრების ღამე

დავყურებ საათს და ვხედავ,
როგორ ცვლის ისრები წუთებს,
წუთი, წამს შეაბერდა,
ცხოვრებას ღამეს ვუთევ...

ნაბიჯ-ნაბიჯ

ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვები,
ცის აღმართის კიბეს,
ჩემზე ლექსი მოგიყვებათ
გული გამოგითბეთ,
ორმოც წლამდე ყოველი დღე
იყო საამური,
ყინვა შრომით გამოვალღვე,
გულის სალამურით...
მერე როცა თეთრი თმებით
წლები გადათეთრდა...
ღამე ბუხრის ცეცხლთან გავთბი,
ლექსით გამითენდა.

მეზობლების მონაცრება

მე აქ მუხრანში ვარ,
მარტოდ-მარტო,
მოგონებას კი სათუთად ვუვლი,
ფიქრით თქვენთან ვარ,
ყოველთვის გნატრობთ,
ჩემთან ხომ შემოივლით.
მე მახსენდება, წყენაც და კარგიც,
ჩემო, კეთილო ხალხო,
გულით მიყვარხართ, მომნატრებიხართ
შევეცდები რომ გნახოთ.



ღიმილი

ღიმილი ყველას უხდება კაცია ქალი თუ ბავშვი,
მოდი ვუმღეროთ ერთმანეთს სითბო შემოვა სახლში.
სითბო დაივლის სხეულში თუნდ ვიყოთ თოვლ – ფარდულში,
ყველანი ვიყოთ კეთილი ცუდს ნუ გავივლებთ გულში.
მინდა რომ ყველამ იცოდეს სიკეთე გადაგვარჩენს,
მადლობა ვუთხრათ ყოველდღე, უფალს, ამ ქვეყნის გამჩენს.

***

ღმერთო, მომეცი უნარი, სიკეთე ვთესო ყოველდღე,
რომ ჩემი ხალხის სიყვარულს გულის მალამოდ დავადნე,
უფალო, გთხოვ მომიტევო, თუ კი რამ ქვეყნად შევცოდე,
ხომ მაპატიებ უფალო, ყველა ნაფიქრი გაგანდე...

ჩემი სოფელი

ის არ გეგონოთ უდაბნო და არც გეგონოთ მინდორი,
ფერდობზე გაშენებული ჩემი სოფელი სკინდორი.
გინდ ბაღნარი გამიშენეთ, გინდ მაცხოვრეთ სასახლეში,
ოცნებებით და ფიქრებით იქ დავფრინავ ჩემს სოფელში.
სადაც ჩემი მამაპაპის წმინდა ძვლები განისვენებს,
სადაც ჩემი გვარის, ჯიშის, მომავალი იდგამს ფესვებს.
ოცნებებით და ფიქრებით ვლოცავ ამ ჩემს მთას და მდელოს,
რომ უფალმა ეს სოფელი, აკურთხოს და ადღეგრძელოს.
მაგონდება, ჩემი სოფლის კოდილათი წყაროს ხევი,
კლდის წყარო და საქონდრიას სოფლის ყველა მოსახვევი.
პატივსა გცემთ გეფერებით, განურჩევლად თქმაც არ მინდა,
სკინდერლებო შემოგევლეთ, ყოველწუთში თქვენთან მინდა.
გამიმრავლდით მუდამ გლოცავთ, შემოგევლეთ წრფელი გულით,
თქვენს სიხარულს მე შევხვდები, სუყოველთვის სიხარულით.
დამენახოს ეს სოფელი, მზის სხივით გაბრწყინებული,
თაობები გაგეზარდოთ არ გნახოთ დაკნინებული.

მოგონება

ჩემი სოფლის ოღრო-ჩოღრო ერთად ერთი არის ქვეყნად,
ბევრი ტკბილი, ბევრი მწარე და ბავშობა გამახსენდა.
გამახსენდა სკოლის წლები, ჩემი ტკბილი მეგობრები,
დანანებით მოვიგონე ჩემი სოფლის წასულები.
ჩემი ტკბილი პოლა ბაბო, დატანჯული ჩემი დედა,
თალიკო და ჩემი ტატო, დამანახა კიდო ნეტა.
თებროლე და პელაგია, ოლია და ბაბილინა,
სარათი და ტკბილი ვერა, ტატიანა, კალისტინა.
თქვენი სახე ჩემში მუდამ ცოცხლობს, არა არ მცილდება,
რა ცუდია რომ აღარ ხართ, რა ტკბილია მოგონება.
მინდა ყველა გაგიხსენოთ, ჩემი სოფლის წასულები,
ამ ფურცელზე არ ეტევა, რომ დაგწეროთ დასრულებით.
სასუფეველს გისურვებთ და თან სულ გენთოთ თქვენ სანთელი,
მომაგონდით, გულში მყავხართ, ვინც ხართ ცაში წასულები.

*****

შემოდგომა მიიწურა, მოდის ცივი ზამთარი,
ბეღურები მობუზულან, ხის ტოტებზე დამსხდარი.
მზეს ძალა გამოლევია ისმის ქარის შრიალი,
ყველაფერი უფლით ხდება, დედამიწის ტრიალიც...
ამ ცივ ზამთარს ცოტა ხანში მოსდევს თბილი ზაფხული,
მომავალნო, უფლისაკენ რწმენით შემოტრიალდით.

****

როგორც სამშობლო ამ ქვეყნად თვითოეულისთვის ერთია!
და უწმინდესიც ასეთი ამ ქვეყნად ერთად ერთია!

სიზმარი

ძილის წინ შენ გამახსენდი, სიზმრად ცოცხლად გიხილე,
ყორე-ყორე დავხტოდი და ვიცინოდი ვილხინე.
ხტუნვა ხტუნვით მოვიარე კლდის წყარო და ულევი,
ცოტა პურმარილი გვქონდა ხალისი კი ულევი.
ჩემი დედა და ბებია ხაჭაპურებს მიცხობდით,
დაბადებას მილოცავდით სიყვარულით მიხმობდით.
განთიადზე გამეღვიძა ბედნიერი ღიმილით,
გაღვიძებულს შემრჩა ხელში, უთქვენობის ტკივილი.
ბნელი ღამე დღემ შეცვალა, წყალს გაუდის ლივლივი,
თქვენს ფოტოებს რომ შევხედე, შემრჩა გულის ტკივილი.

***

მეგობრობა ტკბილია და თბილია,
ერთგულება ძალზედ დიდი განძია,
მეგობრებთან ერთად მინდა დავლაშქრო,
ძველი ხანძთა, ასპინძა და ვარძია.
ნუ დავკარგავთ ტრადიციებს შვილებო,
ნუ გექნებათ მაცდური ამბიცია.
ჩემი ლექსით ტკბილად დამოძღვრილებო,
სამოსივით ლექსის კაბა მაცვია.
უძველესი კულტურა აქვს ქართველებს,
ამ კულტურით ამაყობდნენ გმირები,
მათ მიბაძეთ და ისწავლეთ ბავშვებო,
გაიზარდეთ საამაყო შვილები.

ამბობენ

ამბობენ გული არ ბერდებაო, მართალი არის!
სხეული ჭკნება მუხლი კი აღარ გემორჩილება,
გულით კი ისევ 17 წლის ვართ...
რა უყოთ დროსთან ჩვენ გვჭირდება
დამორჩილება.
თმები ჭაღარა, მუხლი უძლური,
გული კი ისევ ახალგაზრდაა,
და შემართული რწმენით, იმედით
ეს ჩვენი გული მუდამ მზადაა.

მთვარე

სავსე მთვარე ამოგორდა, ალაგ-ალაგ ეფერება ღრუბელი,
მედიდურად იცქირება გულო შენ გაუძელი,
მთვარეს თავზე ღრუბლის ჭერი აფარია,
ასე მოსჩანს აი ასე აღვიქვი...
თვალს ვერ ვწყვიტავ სილამაზეს, ღამეს თავის ხიბლი აქვს,
მთვარე ნაზად გეფერება, ისე როგორც ნიბლიას.
დაილოცოს ღმერთო, შენი შემოქმედი მარჯვენა,
ეს სამყარო შენმა ძალამ სასწაულმა გვაჩვენა.
მეცოდება ყველა – ყველა, ვისაც შენი არ სჯერა.

გასეირნება

მთვარის შუქზე მოვსეირნობ მომაცილებს მხოლოდ ჩემი აჩრდილი,
ხან მაღალი, ხანაც ჯუჯა, მეგობარი ნამდვილი.
მარტოობას სულაც არ ვგრძნობ, ჩემთან მუდამ ღმერთია.
მფარველი და ჩემი შემწე, მხოლოდ ერთადერთია.
მუდამა ვარ მადლობელი უფლის უზენაესის,
ვიყო თბილი, სუყველასთვის ყურში ასე ჩამესმის,
მთვარის შუქზე მოვსეირნობ, ქარიც დაქრის თავნება,
რა ლამაზი ღამე არის, დაილოცოს ღმერთო, შენი განგება.

ვახტანგ გოგრაჭაძე

აჭარა

დაგშვენდებოდა მეფობა,
სიტყვა შოთას და ხონელის,
შენ ვერ დაგხატავს ლამაზო,
ფუნჯი მხატვრის თუ პოეტის.

შენს ღრმა ხევებში ჩქაფობენ
კალმახიანი ჩქერები,
სამასჯერ შემოგეხვია
ნაცოდვილარი ხელები.

საყდრებმა ნამუსრევებმა,
ვერსად ვერ ჰპოვეს ალაგი,
სხალთაში შეხიზნულიყო
ანდრიას სიბრძნის მარაგი.

ღამეს უთევდნენ შენს ქართულს,
სელიმი, ტბელი, ბერები,
ნენემ ბოხჩაში დამალა
ქართული ადათ-წესები.

რუსთველის ენას მალავდნენ,
მთებზე ქოხები სერული,
ობლად შთენილყო ვენახი,
მიწიდან ამოხვეული.

ყელგამომშრალი ჭურები
და დაქცეული მარანი,
შენს მთებში შეხიზნულიყო
ქართული ენის მარაგი.

ჭადზე მალული ჯვარი და
ადათი შეურყეველი,
შენი მთებია პოემა,
მხარი-მხარ გადახვეული!

უცნაური

ასე უცნაური რად აღმოჩნდი,
ზღაპრულ სამოსელში გახვეული,
გზა შენს სასახლემდე მოსასვლელი,
ძალზედ შორია და ჩახვეული.
დრო კი ლიანდაგებს დაედევნა,
წამი ციფერბლატზე არ ჩერდება,
ჩემი ვაგონები ჩამოივლის
და შენს ფანჯარასთან გაჩერდება.
მე კვლავ ბოტიჩელის ყალმით გხატავ,
გრძნობამორეული გიჩურჩულებ...
ვცდილობ, მხოლოდ შენთვის ვიპოეტო,
მიყვარხარო - როდის მიჩურჩულებ?
მთელი ცხოვრება ჩემს სულში ზიხარ,
გულის საწყაული მეტს ვერ იტევს,
ჰეი, ცხოვრებავ, შენ საოცარო,
რამდენს უძლებ და რამდენს იტევ.
სადღაც მესახები უჩვეულოდ,
თუმცა არასოდეს არ მყოლიხარ,
შენ ხომ ჩემთვის არ ხარ გაჩენილი,
მაგრამ იმ თავიდან დამყოლიხარ.
ჩუმად გიმღერი და ჩუმად გიწერ,
ალბათ, პოეტების რითმებივით,
მოდი, მომეყრდენი, მოგეფერო,
სანამ ბელზებელი ჩამოივლის!

პატარავდება

პატარავდება
საქართველო,
პატარავდება...
თითქოს
ყოველდღე
სხეულს გვაჭრის
უცხო ყასაბი.
რა დაგვრჩენია,
დიდოსტატი
მკლავმოჭრილია,
მოდით და ერთად
განვაახლოთ
ძველი ფასადი...

დრო

დრო აღარა მაქვს ფიქრის,
სიცოცხლე წამებს მითვლის,
აგერ მომადგა კართან,
ეს შუახანი თითქმის.

დრო დაუნდობლად მიქრის,
წამებს ქურდივით მპარავს,
ქურდიც არის და გულქვაც,
მინგრევს ოცნების კარავს.

ქორივით მტაცებს დღეებს,
დროს ვერ მივაგებ პატივს...
მძულს და წიკწიკიც მზარავს,
საათის ციფერბლატის.

ვთქვათ და, დავამსხვრევ საათს,
მაგრამ დრო მაინც გარბის.
ვერ დავაბრუნებ გზიდან,
შორს გადაფრენილ აპრილს.

დრო აღარა მაქვს ფიქრის,
გზა გასავლელი მიცდის,
თუმც თვალს ვარიდებ საათს,
დრო კი ულმობლად მიდის.

დრო აღარა მაქვს ფიქრის,
სიცოცხლე წამებს მითვლის,
აგერ, მომადგა კართან,
ეს შუა ხანი თითქმის.

ზურაბ გორგილაძეს

მან ალაყაფი გაუხსნა გრძნობებს,
ღია დატოვა მუზების კარი,
მთელი ცხოვრება მწყემსავდა რითმებს,
სიყვარულით და სიკეთით მთვრალი.

„გადაუმუხლავს პერანგას მთა“ და
„ჩოლოქს უმარგლავს მწვანე ყანები“,
შემოხვეოდა თავის სამშობლოს
ვით „ლოფორთქანა“ ვაზის მკლავები.

ჯერ გამოჭედა სიტყვა ხალაში,
მერე გორი-გორ გადაატარა,
ცამდე აზიდა სიტყვამ პოეტი
და საქართველო შემოატარა.

სხალთის ზარივით ქუხს მისი ლექსი,
მისი ხაფი ხმა ხიხანს დაუვლის,
ისე ედება იმერ-ამიერს,
როგორც სურნელი თურაშაულის.

და აჭარული სიტყვა ფაქიზი,
ფრაზებს მოარგო ისე თამამად,
რომ იცნეს იგი, ვით გენიოსი,
ქართული ლექსის ერთი თამადა.

მან ყაბალახი მოარგო ლექსებს
და ჩაქურაში შემოსა ბგერა,
ვაჟასთან ერთად ამოგზაურა,
ტბელის, სელიმის, მემედის ენა.

ო, რა ტკბილია შენი ქართული
და აჭარული რითმების ჟღერა,
რა წმინდა არის და რა მართალი,
ზურაბ ბატონო, ეგ შენი მზერა.

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ქვეყანა ურვისგან – მტრისაგან დაიხსენით

მზე გადაიწვა, ჩაიფერფლა,
ჩაკვდა ჰორიზონტთან...
ოღონდაც, ახლა...
იწვის დედამიწა - ტყეები, ბაღები,
საშინლად ხმაურობს,
ბორგავს და დგარუნობს წუთები, წამები...
არ არის გარჩევა...
ჩვენგან დაუცველი ტირიან ბავშვებიც...
სისხლი არ დადუღდა, ჯერ კიდევ,
ოდესღაც ნაბრძოლი და განაწამები...
სადღაც მივიჩქარი, -
ვეძებ სახრჩობელას, - მინდა დავიტანჯო...
მხოლოდ, მაფრთხილებენ,
იქაც რიგია და... არ არის საშველი...
ვიღაცა სიბნელეს მთავაზობს - გარიგებით,
მე კი, პირთამდე სავსე ვარ დარიგებით...
პრობლემა რაშია? - ხმა მესმის დაჟინებით,-
შეირყა სამყარო, დრო არის გაგიჟების!
გახრწნილ გონებაში - ხითხითებს ლუციფერი...
ფიალა აივსო ბოღმით და განრისხებით,
ვერავის ვაკვირვებ სიჩუმით - დამუნჯებით,
ხმამაღლა გავყვირი, ზარების დარისხებით:
იცოდეთ, შვილებო! ნურასდროს დაიბნევით,-
სიკეთის, სიმართლის და რწმენის დაუნჯებით
ქვეყანა მტრისაგან - ურვისგან დაიხსენით.

გიორგობის თვეა

ქარი შეშლილი ზრიალებს, ბორგავს,
ხმელი ფოთლები მიაქვს და მოაქვს,
ასკდება ჭიშკრებს და სახურავებს,
ჩემს ფანჯარასთან ზუზუნებს, მოთქვამს...
ამაღამ ალბათ არ დაწყნარდება,
დაატრიალებს რისხვას და კოშმარს;
ამაღამ ისევ დატორავს ტყეებს,
ურცხვად გაძარცვავს ძელქვას და იფნებს.
ალბათ ბოლომდე აუშვებს აფრებს,
ჩემს ბაღში ატმებს დააცლის კვირტებს,
მერე დაუსტვენს გიჟურად ისე,-
ღელეებიდან ამოყრის ჭინკებს...
შეესევიან ჭინკები ჭალებს,
ცეცხლს მოადებენ ეკალს და ცირცველს,
წაიმახავენ კლანჭებს და კბილებს
და გახედნიან ულაგმო კვიცებს.
როცა დაიცხრობს წადილს და ვნებებს,-
ღრიალით ხევში ჩაკვდება ქარი...
რიჟრაჟზე ცხენებს გარეკავს კაცი
და გააკვირვებს ჭინკების კვალი....

გულნაზ ხარაიშვილს

შენი სიტყვები ზღვასავით ღელავს
ცისკარზე, როცა ზარები რეკავს,
როცა ცის თაღზე სიმართლე ელავს,-
„ფრთებს ანტიქრისტე რას დაგიკეცავს“...
როცა ქარიშხლებს ებრძვი ავბედითს,
მაინც ღია გაქვს გულის კარები,
ყოველ ცისმარე რწმენით მჟღავნდები,
ლექსით იწყები, - ლექსით მთავრდები.
თუმცა წყლულებით გათანგული ხარ,
რწმენის ჯავშანი გიცავს ნამდვილი,
შენ საქართველოს ცხელი გული ხარ
და მის ღირსებას იცავ მანდილით.
ლოცავ ახლობლებს, გადამთიელსაც,
ვინც გაიარა შენს ახლომახლოს,
შენი სხივი აქვთ ციურ მთიებსაც,
შენს გულში მხოლოდ სიკეთე სახლობს.
ბედმა დანდობა რომ არ იცოდა,
სული დამძიმდა დაგრჩა იარა...
ბევრმა ქართველმა დედა გიწოდა,
მოგესათუთა და გაღიარა!..
ვიცი, ბევრჯერაც გგვემა ავდარმა,-
სიმტკიცე შენში შესაფერია,
„სიდინჯე შენში სიბრძნის რქაა და...
რწმენა მზის სხივით შენაკერია“.

მზერა შემოდგომის

მზერა შემოდგომის ტყეებს აფერმკრთალებს,
ხეზე მოწყენილი სხედან ბეღურები;
ქარი ანიავებს დამზრალ ნაფერთალებს,
ისევ მარტო ვარ და დარდად მეგულები...
სულში შებიდნულა მთები დათოვლილი,
ყრია ნატერფალთან ზამთრის ნამქერები;
ფეხქვეშ მიცურდება წლები გამოვლილი,
ზღაპარ-მოგონებას ცვივა ფანტელები.
ნაცნობ ხეივნებში მხვდება მოწიწებით
რიდე-გაძარცვული ხეთა პროფილები...
ლეგა ღრუბლებიდან ცრემლთა გადმოდენის,-
ზეცაც იჟღინთება სევდა-შთაგონებით...
ხვალე დაიწყება ისევ გაისიდან,
ხვალეს ექვიება ხვალეც წარსული და...
ამო აღმოჩნდება ყველა მონდომება,
ცაში გაფრინდება ჩვენი მოგონება...

მზე იყო ჩემში

თვლემდა სილურჯე დაისის იქით,
მზე მიყვებოდა ტაატით დაღმართს,
მეც მივყვებოდი იფნების ჩრდილით
თლილ საფეხურებს უძირო ტბასთან.
რაც რომ ცრემლები წამწამებს სწვავდა,
მწუხრის მდინარედ დადენილიყო,
რაც რომ ყორნები საწადელს სვამდა,
უძირო ტბაში ჩადენილიყო,
თავად მზე - მწველი, საკუთარ არსსთან,
მის სილურჯეში ჩაფენილიყო...
ის, არ მახსოვდა, რა ვიყავ მაშინ,-
თუ ვიყავ ცისა, თუ ვიყავ მიწის,
მზე იყო ჩემში, მე ვიყავ მასში
და გრძელდებოდა ეს წამი მიწყივ...

ხათუნა ჩიტაძე

წვიმაში სათქმელი

წვიმის წვეთები მესტუმრნენ,
მინაზე ხატვას სწავლობენ,
გაგიბედე და გეხუმრე,
ახლა სიტყვები წვალობენ , _
როგორ მოვიდნონ შენამდე,
როგორ დახატონ შენი მზე,
გრძნობები მეკვრის ყელამდე,
უფალო! ცოდვა შემინდე!
ღრუბელმა ყველა ცის თაღი,
გულში იხუტა მაცდურად,
მე ზეცა მიყვას სულ ლაღი,
წვიმამ კი ისევ მაცდუნა!
რატომ მესტუმრე, რად მოხველ,
ნუ გინდა ჩემი ფერები...
ლექსი დავწერე მე წუხელ, _
ლექსს ვწერდი შენი ხელებით,
წვიმის წვეთები გულზე მდის,
წვეთი არის თუ ცრემლია
ცის თაღზე სულის რითმა ზის,
ვფიქრობ, უცილოდ ჩემია!
ხელი არ ახლოთ, ჩემია!

2015წ

სამოსი

ფორთოხლისფერ ფარდაგებს,
შარი-შმუშნვა უხდება,
მე ხელს ვუშვებ არტახებს,
დილა ნისლში მწუხრდება.
ხმაში ვუხმობ ბადაგებს,
მზისფერია გუნება,
ჩემს სიყვარულს რა დალევს, –
არის გამოულევლად!
შემოდგომის მეწამულ
ფერებს ვიფენ თვალებზე,
ისევ შენ დამეწამლე,
ხმათა ნატკბობ ხავერდზე!
ბაჯაღლოსფერ სხეულში
გული ლოცვად ანთია,
შემოდგომის მზეწნულში,
სიყვარული მაცვია!

* * *

სევდის ყელსაბამს დავიბნევ,
გარეთ ისეთი წვიმაა,
თვალები ცრემლით ავივსე,
ღიმილი, _ მხოლოდ შირმაა!
და ცხოვრებაში ტკივილი,
ისე წამის-წამ აგყვება,
რომ შვება არის ტირილი,
ცრემლი ხომ სატკივარს ყვება!
ნეტავ რამდენჯერ დაგვსეტყვავს,
ამ წუთისოფლის გამოცდა!
ნეტავ, სიმღერა არ მეთქვა,
ალბათ, იმედად წამომცდა!
დღე შემეყარა კაეშნის,
კვლავ ერთი გაღმა გავიდა,
საყვედურიც კი არ მეთქმის,-
სტუმარი იყო, წავიდა!
სევდის ყელსაბამს დავიბნევ,
გარეთ ისეთი წვიმაა,
სული ცრემლებით ავივსე,
ღიმილი _ მხოლოდ შირმაა!

2015წ.

ცა

ქრელი ღრუბლების სადავე
ცაზე ქარებმა აშალა,
ფიქრებით გდიო სადამდე,
დილამ ხელები გაშალა _
შენს გულში ჩასახუტებლად!
სადა ხარ, ოღონდ მითხარი,
ვგრძნობ, ჩემზე ფიქრობ უთქმელად,
ფიქრი გამხდარა მიტკალი.
ნუ შეგაშინებს ოცნება,
ეს ერთი, მართლაც, ჩვენია,
როგორც ცა ღრუბლის კოცნებით,
უცილოთ მშვენიერია!
წრფელი ღრუბლების ნაფიქრი,
ცაზე ქარმა ვერ წაშალა....

2015წ.

შემოდგომის ფიქრი

შემოდგომაზე ჰაერი ვნებით
გაჟღენთილ ფოთლის სურნელს მაგონებს,
რაც წლები გვერტყმს, მით უფრო
ვტკბებით,
ბუხარი ზეცას ფიქრებს აბოლებს...
და ამ მზიანი ქარვის ქვაფენილს,
ჩემი ფიქრის ხმა ერთვის, მიჰყვება,
სულ აღარ ვუჭვრეტ, სევდას, გაფენილს,
ციდან მზისფერი წლები იშლება.
ცისფერ ზაფხულის ბაღში ვისვენებ,
ვკოცნი სივრცეებს, ვუსმენ შენს სუნთქვას,
დარდს და სიხარულს ერთად გიხსენებ,
იმ თვალთა მზერას, რაც კი რამ უთქვამს!
სული მწიფს, როგორც ეს შემოდგომა,
თუმც გაზაფხული მხრებზე ახურავს,
ისე მამშვენებს გვერდს შენი დგომა,
როგორც ცის თაღი, – სახლის სახურავს!

2015წ.

საღამოს ექსპრომტი

შვილი იავნანას მღერის,
ნოემბერი მთვარეს ქარგავს,
გამიმრავლდეს ოღონდ ერი,
ვლოცულობ და მთვარის ქარგას,
ვუფრთხილდები, რომ ქარებმა
ბნელ-ღრუბელი არ მოდენოს,
ღამენათევმა თვალებმა,
ისევ თეთრად გაათენოს!
რომ მომავალს კვლავაც შვილმა
იავნანით დაიმღეროს,
ამ ოჯახის ძველმა ძირმა
ტრფობით გული გაიხელოს!
შვილი იავნანას მღერის,
გული მეცხრე ცაზე დაფრენს,
კალთაში კი მთვარის ბელი,
ელოდება ბებოს ზღაპრებს!
გამრავლდება ჩემი ერი,
სულს რომ არ მოაკლებ საფრენს!

2015წ.

ნოსტალგია

უკვე ცივა!
მონატრების სიცივეა,
თბილ ქვეყნებში გაჰყოლიათ ჩიტებს რწმენა!
ვერ შევცვალე,
ან ვერაფრით ვერ მიცვნია,
ჩემი, შენი, ჩვენი გულის ბედისწერა!
ისე ცივა...
რად დავბრუნდი ძველ საყდარში?
ოცნებები სანთლებივით კიაფობენ,
მე აღარ ვარ!
შენ აღარ ხარ!
იმ ცის ვარსკვლავს,
გაზაფხულის ცივი სიო სიამოვნებს...
მომენატრე!
მომენატრა შენი მზერა.
ისე ცივა...
შემოდგომის მკორტნის ქარი...
აღარც აწმყო,
არც წარსულის სულის ზენა,
უმოწყალოდ მოვიხურეთ ყველამ კარი!
...როგორ მცივა.....

2015წ.

სევდიანი დღე

მოღუშული გარემო,
მოლოდინით გამჯდარი,
მოდის სევდის სამეფო,
წვიმითა და ავ-დარით!
ყინვას ლოლო უხდება,
ბალახს თრთვილი, ნაფიქრი,
შემოდგომის ყურებას,
მიჯობს ზამთრის ზღვა-ფიქრი!
ღამენათევ ზმანებას,
უძილობას, სევდისფერს,
მე კი არ მეზარება,
გამოვძებნო ჩემთვის მზე!
ახლა თვალებს ნოემბრის
უფერული ბუნება,
ეხვევა და უხდება
გრძნობის შემობრუნება!
მოღუშულა გარემო,
თეთრი ღამე მენება,
ჟანგისფერი სამეფო,
დღის სევდით გათენება!

2015წ.

შორენა ჩხიკვიშვილი

გალაპტიონი

შენ ისე დგახარ პოეტებს შორის,
ვით ქანდაკება მონუმენტური,
მონიჭებული გაქვს სიდიადე
და ღვთაებრივი ძალა მითური.

როდესაც სევდა გეახლებოდა,
შენ დადიოდი კიდით კიდემდი,
დუქანში ლაღად დალევდი ღვინოს,
გზაზე ბარბაცით მიაბიჯებდი.

ბევრჯერ ყოფილხარ სრულიად მარტო,
უიმედო და გულდაწყვეტილი,
შენი სამშობლოს ბედით დამწვარი
და პოეზიის მადლით აღვსილი.

ბევრჯერ დაგიდგა ისეთი ჟამი,
გენატრებოდა თასი ღვინისა,
როგორ გიყვარდა „მთაწმინდის მთვარე“
და გათენება მზიან დილისა.

უზიარებდი სხვებსაც კაეშანს,
ბევრჯერ გინახავს კარგიც და ავიც,
მაინც იმედით ცოცხლობდი თითქოს,
სამშობლოსათვის გაწირე თავი.

მჭექარედ ქუხდა შენი სიტყვები,
ლაღი ლექსები, მზით გათანგული.
შენ დაგვიტოვე ურყევი რწმენა
და პოეზია ჯერ არნახული.

ელვარებენ და ბრწყინავენ ბნელში,
შენი ლექსები, ოქროს ზოდებად.
შენი აზრები და იდეები
მაღალ მწვერვალებს უახლოვდება.

22, 03, 2011

ლექსი მიყვარს ძალიან

ხანდახან არ მსურს მე ლექსის წერა,
დრო არა მაქვს და არა მცალია,
მაგრამ უეცრად, რომ მოდის მუზა,
რა ვქნა, განა ეს ჩემი ბრალია?!

მუზა რომ მოდის, თითქოს ვცოცხლდები,
მე ხელში ვიღებ კალამს მადლიანს
და ჩემს ნააზრევს დავწერ უეცრად,
რა ვქნა, რომ ლექსი მიყვარს ძალიან.

ხანდახან ვიტყვი: „რა დროს ლექსია!“
ბევრი საქმე მაქვს, არა მცალია,
მაგრამ, მაინც რომ ვერ ვძლებ ულექსოდ,
რა ვქნა, განა ეს ჩემი ბრალია?!

18.05.2011

ქალია თქვენი თავდავიწყება

ვუძღვნი მამაკაცებს

ნუთუ არ იცით, ვინ არის ქალი?
სიცოცხლე სწორედ ქალით იწყება.
ქალია თქვენი გრძნობის ამშლელი,
ქალია თქვენი თავდავიწყება!

ქალი ხანდახან კამათს დაგიწყებს,
ხანდახან კიდეც გაკაპასდება,
მაშინ ხომ უფრო მშვენიერია,
მოეფერები, წამსვე დაცხრება.

თუ შეიყვარებ, თუ დააფასებ,
სულ უფრო მეტად გალამაზდება
და მას თავისი მშვენიერება
ცხოვრების გზაზე მუდამ გაჰყვება.

მომხიბვლელია ქალის ღიმილი,
შორსმჭვრეტელია მისი გონება,
ქალის გარეშე უფერული და
უმიზნო არის თქვენი ცხოვრება.

თქვენ კარგად იცით, ვინ არის ქალი
ნაზი, ფაქიზი, სათნო არსება.
სწორედ ქალია სიცოცხლის არსი,
ქალია თქვენი თავდავიწყება!

ეკა ნადირაშვილი

* * *

დავრჩი ეული და მარტო სული, –
ოცნებებიც კი კარებს მირაზავს...
იმედის სხივებს ავედევნე და
ხელებს არ ვუშვებ გულში ვინახავ.

შემოდგომასაც მოუსხამს სევდა,
მოუხვევია თალხი ფერები,
ახლა გინატრე, რომ იყო ჩემთან
და შენი გულის მესმოდეს ხმები.

დავრჩი ეული და მარტო სული...
Gulnazi forwarded a message
Gulnazi Kharaishvili
სიძულვილისთვის არ მაქვს ადგილი,
სიყვარულია ჩემ სულში მუდამ,
დავთეს-მოვაბნევ სიკეთის მარცვლებს
და სიხარულით ავივსებ გულსაც.

ხელგაშლილობა სიხარულს მმატებს,
სიკეთე ჩემ სულს დარაჯად უდგას.
ავედევნები მზის ათინათებს,
და მზის სხივები გამითბობს გულსაც.

ღვარძლი ამ გულს კი ვერ მიეკარა,
რადგან სიყვარულს დაუდევს ბინა,
მადლით მოსილი ეს ჩემი გული,
მტერსაც მოყვრულად უღებს გულის კარს.

2021.11.19.

* * *

განა, რომ ვიცინი მე დარდი არ ვიცი,
ღიმილებს ვაფარებ სევდას და იარებს,
რამდენჯერ, ტკივილზე აპრილი ჩავიცვი,
ტირილით სავალზე ღიღინით ვიარე...

ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი საზიდი ვარამი,
რას მარგებს სახეზე მოგფინოთ ნაღველი?!..
რაც ბედმა მარგუნა - ქარი, თუ წკვარამი...
– დე, ნურც ვინ იქნება ჩემს ჭირის მნახველი...

ვერევი (მოგიკვდეთ...) ჩემს კუთვნილ საწუხარს,
რამდენი მზე ხართ და ვარსკვლავნი აბებად...
ოდესღაც, მთელ დარდებს მიწაში ჩავწურავ,
ღიმილი... ღიმილი დარჩება ამბებად...

ვივლი და ვიმღერებ სიცოცხლის საამოდ,
ნარჩენი ძალ-ღონე იმედით ავლესე...
ვიდრემდის მაკურთხებს "წასვლისკენ" მამაო,
დიახაც, – გაჩუქებთ სითბოს და ალერსებს!..

ექსპრომტი.

თვალებს მიჭრის ათინათის ბრწყინვალება,
ტყეებს შუა მოხვეულ გზას მივუყვები.
მზის სხივები ციდან ნაზად მესალმება,
ბედი მწყალობს მე დღეს უფრთოდ ავფრინდები.

მზისთვის ნიავს აუბია მხარი ანცად,
ისიც მოჰქრის მეამბოროს უნდა ხელზე.
ბედმა მე დღეს ოჰ რა რიგად გამიმართლა,
მუზაც მეტრფის ულამაზეს ლექსებს მიწერს.
თვალებს მიჭრის ათინათის ბრწყინვალება.
2020.11. 23.

* * *

ცამ მოიწმინდა ცრემლები მწველი,
ცისფერი თვალით, უმზერის არეს.
ამოიწვერა, მზე ოქროს ქოჩრით,
ნატიფ სხივებით ცრემლს უშრობს ვარდებს.
საამურ ხმაზე ჭიკჭიკი ჩიტის
ყვავილების ბაღს ათბობს და ავსებს.
დღის გათენება გვაცნო გუგულმა
და მზეც მიღიმს, – ფანჯარას ვაღებ…
ცამ მოიწმინდა ცრემლები მწველი..
ბედნიერება მე თავბრუს მახვევს...

2021.09.01.

ლია შენგელიძე

ნატვრა

(ვაჟა- ფშაველას ჰანგზე)

რად მინდა, ვიყო ამქვეყნად,
ვძულდე მტერსა თუ მოკეთეს,
ღმერთო, მომკალი ახლავე,
ამ წუთისოფელს მომკვეთე!
დიდი ხნით არ ვართ მოსული,
ცხოვრება ერთი წამია,
რად მინდა მერქვას ცოცხალი,
ქალი გველს ვგავდე შხამიანს!
არ მინდა, ვგავდე ღამურას,
სინათლის შიშით ვკვდებოდე,
ვემალებოდე სულიერთ,
სიბნელეს ველოდებოდე!
ნეტავი ვიყო პეპელა,
თუნდაც სამ დღეში ვკვდებოდე,
დავფარფატებდე ყვავილებს,
მათი სურნელით ვტკბებოდე!
მინდა, რომ ვიყო ბულბული
და ვარდებს ვეფერებოდე,
სიყვარულს ვუმღეროდე და
სიყვარულისთვის ვკვდებოდე!
ნეტავ მზე ვიყო, შემეძლოს,
რომ ყველას სითბო ვაჩუქო,
გავფანტო შავი ღრუბლები,
სინათლე გამოვაშუქო.
თოვლის ფიფქს ვგავდე ნეტავი,
თუნდაც რომ წამში ვდნებოდე,
ოხ, როგორ მინდა, გედივით
სიკვდილს სიმღერით ვხვდებოდე!

ეს ცხოვრება კი მოგვიტანს იმას, რასაც მომავლის იმედი ჰქვია!

წარსული უკვე წავიდა ჩვენგან
და მას ვერავის დავესესხებით,
ჩამოვიტოვეთ, შორს არის, მაგრამ
მაინც წარსულში გვიდგას ფესვები.
მთელი ცხოვრება არის წარსული,
აწმყო კი ერთი წამია მხოლოდ.
ყოველი წამი წარსულს ბარდება
და ჩვენც წარსულში მივდივართ ბოლოს.
წარსულს ყოველთვის ვიგონებთ,
მაგრამ აწმყოს ვივიწყებთ ძალიან ხშირად,
არ გვაპატიებს ცხოვრება ამას
და მომავალი დაჯდება ძვირად.
მოდით, აწმყოსაც ვაგოთ პატივი,
რადგან ამქვეყნად მცირე ხნით მოდის,
გამოვიყენოთ ეს ერთი წამი,
არ მოვანდომოთ მომავლის ლოდინს.
და თუკი აწმყოს შევიცნობთ გონით,
აღარაფერი იქნება გვიან.
ეს ცხოვრება კი მოგვიტანს იმას,
რასაც მომავლის იმედი ჰქვია!

სიცოცხლე მხოლოდ ამისთვის მინდა!..

სიცოცხლე რისთვის არსებობს ნეტავ,
ან რატომ გვიღირს ძალიან ძვირად?!.
სიცოცხლეს ვწირავთ ზოგჯერ ყველაფერს,
სიკვდილსაც ვნატრობთ ძალიან ხშირად.
წუთით მაინც რომ დავფიქრდეთ ერთხელ,
რას წარმოვადგენთ ამ სამყაროში,
რისთვის მოვსულვართ, ან სად მივდივართ,
სიცოცხლე იქნებ არ ღირდეს გროშიც!..
და მაინც, რაკი ღმერთმა ინება,
ჩვენთვის ებოძა ასეთი განძი,
რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლოთ ქვეყნად,
ალბათ, თავადვე განსაზღვრავს მანძილს.
ამიტომ, სანამ ქვეყნად ვარსებობთ,
უნდა ვიცხოვროთ წესით მარტივით,
ბედს რომ განაგებს ადამის ძეთა,
იმ ძვირფას გრძნობებს ვაგოთ პატივი.
სითბოს, სიკეთეს და თანადგომას,
მეგობრობას და სიყვარულს წმინდას,

აღარ მკითხო...

ამ ცხოვრების გზას და
ამ ცხოვრების ტალღას
მივყვებოდი მეც და
უცბად დამიღამდა...
წავიჩოქე მგზავრმა,
თითქოს დავიღალე,
თავზე წამომადგა
კუნაპეტი ღამე.
უსულგულო ხალხმა
გვერდით ჩამიარა,
არვინ შემამჩნია,
არვინ შემიბრალა.

ასე გავათიე
უამრავი ღამე,
ზღვისოდენა ხალხში
შენ ერთს შეგებრალე,
უნუგეშოდ შთენილს
შემაშველე ხელი,
მომიშუშე იარა და
შემიმშრალე ცრემლი,
გულთან მიიტანე
ჩემი გულის დარდი,
აღარ მკითხო, კარგო,
რატომ შემიყვარდი!

ნუ წახვალ ჩემგან!..

მე არ მეგონა, თუ სიყვარული
იყო სიკვდილზე მეტად შემტევი,
მას შემდეგ, კარგო, რაც შემიყვარდი,
ამ ქვეყანაზე ვეღარ ვეტევი.
შემიყვარდი და ასე მგონია,
თითქოს სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან,
ნუ წახვალ ჩემგან, თორემ, ხომ იცი,
მე უშენობას ვერ გადავიტან!

...მაგრამ მტერს მტრულად დახვედრა უნდა

გულში არავის მტრობა მქონია
და ბედნიერი მეგონა თავი.
თურმე რამდენი მტერი მყოლია,
დაუძინარი, ბოროტი, ავი...
მე ყველას მიმართ კეთილგანწყობით
ვიყავი, ყველას მოკეთედ ვთვლიდი,
მაგრამ რამდენმა გამწირა მწარედ,
ბევრი გამოდგა მათ შორის ფლიდი.
გავუძლებ ღალატს როგორმე მაინც,
ყველასთან ფხიზლად ვიქნები მუდამ,
მე არავისი მტრობა არ მინდა,
მაგრამ მტერს მტრულად დახვედრა უნდა!..

იასამანი და ქალი როიალთან...

წაიფარებს მზე ღრუბლების საბანს,
ბარში სიო დაიქროლებს ნელი,
კვირტებდამსკდარ მუქლურჯ იასამანს,
გადაუვლის უცბად სევდისფერი.
მოლოდინის სუნთქვით ნაფოფინებს,
იმედების წაუხდება კვალი,
ასაწყვეტად მკერდს დაბნეულ ღილებს
შეაჩერებს სევდის ნატერფალი.

ცრემლები ზღვად მოასკდება სარკმელს,
როიალთან ჰანგს აკვნესებს ქალი,
უმზეობით რა გაუთბობს მას მკერდს,
გული როა მოლოდინით მქრალი.
წაიფარებს მზე ღრუბლების საბანს,
ნისლს ოცნებად მოისხამენ მთები,
ოთახში ქალს, ბაღში იასამანს,
რაც აწუხებთ, უთქმელადაც ვხვდები.

ნელი საღინაძე

დამიბრუნე იბერია...

გულზე ცეცხლი შემომენთო
სულს ცრემლები დასცვივდა,
ქართლის კვნესა შემომესმა
მდუმარებდა მთაწმინდაც!

მამა დავითს ჩავეხუტე
ასურელთა მადლს ღვრიდა,
ღვთისმშობელის სიზმარ -ცხადი
იბერიას აწვიმდა!

დამიბრუნეთ ჩემი ტაო
ოშკითა და ხახულით,
დავით მეფის და თამარის
ნაფეხური წარსულის!

დამიბრუნეთ საქართველო
ერითა და ბერითა,
დამიბრუნეთ ჩემი მიწა
გაზიდული პეშვითა!

გამიხსენით იბერიის
სახარება ქართული,
სამრეკლოდან გუგუნის ხმით
უბრწყინავდეს ზარს გული!

ასომთავრულს, ნუსხურს ,მხედრულს
ცად ნიკალა მოხატავს,
ივერიის ძირძველ საზღვრებს
ღვთისმშობელი მოქარგავს!

დამიბრუნეთ იბერია
ერითა და ბერითა,
საქართველოს მიწა-წყალი
ქრისტეს მადლის რწმენითა!

* * *

როგორ მეწყინა, რომ მიმატოვე
და ნაადრევად სულშიც აცივდა,
გულს უმეგობრა დღეს ამ თვალებმა
და დარდის ნისლი ცრემლად აწვიმა!

რაც იყო იყო, მორჩა, წავიდა,
მე არ ვაპირებ შენს საყვედურებს,
ქუჩაშიც თვალს არ გამოგაყოლებ,
აღარც მოვძებნი შენს ნაფეხურებს!

იცი რად ვტირი?!--ამ ხნის მანძილზე,
რომ ვერ შეგიცან, ნეტავი ვინ ხარ,
სანთელთან ერთად ჩავწვავ ტკივილებს,
რადგან მივხვდი, რომ ჩემად არ ღირხარ!

* * *

შენ თევდორე მღვდლის მოდგმა ხარ,
არ შეგეშალოს რამე!
ღმრთის გვერდით იდექ, ილოცე,
სიმართლის ლოდი თალე!

ცოტნესაც შენთვის დაუდგამს,
თავს მეწამულის გვირგვინი,
თავდადებულსაც დიმიტრის,
უფლის დანათის ღიმილი!

შენთვის მცხეთეოსს უბრძვია!
სამას არაგველს ქართვლისთვის,
გმირებს კრწანისის, დიდგორის,
ბაგე მათ რიცხვს ვერ დაითვლის!

ქართლის დიდებას თავს ადგა,
სვანეთში მზე – ლამარია!
მცხეთას, ოძრახეს ,გრემს, გელათს...
კვლავ ლოცავს დედა მარია!

არ შეგვეშალოს ,კვლავ ვლეწოთ,
წიქარა ხარით სალეწი,
ლომებს, არწივებს მოვუხმოთ,
მტერს დავახვიოთ თავს რეტი!

შენ დავით მეფის მოდგმაც ხარ,
არ დაგავიწყდეს რამე!
თამარიმ შენთვის ათია,
ლოცვით ათასი ღამე!

ვერ დამაჩოქეს...

ბევრი ეცადეს, მაგრამ ვერა ვერ დამაჩოქეს,
წიწამურთანაც შეგნებულად მესროლეს ტყვია,
კრწანისის ველზეც გულსაკლავად ზურგს მკრეს მახვილი
და ეს ღალატი დღესაც ისევ გულზე მატყვია!
ვერვინ მიგებდა, რატომ ვზრდიდი ქართულ ვაზის რქას
მუმლი მუხასას და ლილეოს რატომ ვფიცავდი
არ მპატიობენ, დღესაც მისთვის მასობენ ლახვარს
მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტეს ვიცავდი!
მთელი ცხოვრება რქებით ვლეწე, ისე მოვედი
ქარქაშში ხმალი არასოდეს არ ჩამიგია,
კისერზე მედგა სატარებლად მე მძიმე ჯვარი
მაგრამ მტერს ჩემგან ერთი კვნესაც არ გაუგია!
თუ გინდ მომკალით, დამაცალეთ ტყვიათა ჯერი
ათასი სილაც გამაწანით, როგორც ინებებთ,
ამ საძირკველზე ამაშენეს რწმენის ლოდებით
გულზე დაცემულ ქრისტეს ნათელს ვერ დაგანებებთ!!!

* * *

ქალი სუსტიაო?! – ჩემო ვაჟბატონო,
არც კი გაიფიქრო, არ თქვა,
საქმეს თუ დასჭირდა იგი სულ ერთ წამში
ზურგზე მოიკიდებს ცხრა მთას!
ქალი სუსტიაო?! – ვერ დაგეთანხმები,
რა ვქნა რიდიც კი მაქვს თქვენი,
ამ სამყაროს ისევ ქალი ალამზებს,
ამ სამყაროს ქალი მშვენის!
ქალმა თუ გაბედა, ვგონებ ჩემო კარგო,
სისუსტეს ერთ წამში დაამარცხებს,
ქალს თუ უნდა ოჯახს ცაში ააფრენს და,
თუ უნდა მიწაზეც დაანარცხებს!
ქალი, რომ სუსტი იყოს,როგორ გაატანდა,
ამ ცას უსასრულოს ფიქრთა თვალებს,
იცით?!, რომ ამხელა დაღლილ დედამიწას
ქალის სიყვარული ატრიალებს!
როგორ დაგეთანხმო, რა ვქნა , ძლიერ მიჭირს,
ზღაპრადაც ვერ გეტყოდნენ ამას,
ქალმა თუ ჩაიფიქრა, ქალმა თუ გაიწია,
ვერ დააჭერინებენ ცხრა ხარს!
სულიც, რომ გაუპონ, სიტყვით დაუჩეხონ,
ცრემლებს შიგნით იშრობს მყისვე,
გულიც, რომ მოუკლან, უსიცოცხლო ნაწილს,
წუთში შეიმრთელებს ისევ!
ქალებს უძლურება არა, არ სჩვევიათ,
სიცოცხლის საწყისია რადგან,
ყველა ქალს და დედას ღვთისგან ნაბოძვარი
თავზე მზის გვირგვინები ადგას!

* * *

დავესესხები შოთას ცხრა სიტყვას კრძალვით და რიდით,
"ერო და ბერო, შიშიც მაქვს და თხოვნაც მაქვს დიდი,"
არ მიმიტოვოთ საქართველოს ეს მიწა წმინდა,
დასაბამიდან ქართველნი, რომ ვთვლიდით საფიცრად!
ვერსად შეხვდებით ამ ცისმაგვარ, ლილისფერ ლაჟვარდს,
გულს, რომ გივსებდეთ ვერსად ნახავთ თქვენ ისეთ სიოს,
არ მიმიტოვოთ საქართველო დღეს გევედრებით,
ამაყი გული არ ატკინოთ ჩემს კავკასიონს!
ამგვარ სიმღერას, ქართული სულის ვერსად მოისმენთ,
ჰანგები ბგერის ყურს , რომ უტკბობს იმერ-ამიერს,
დედამიწა, რომ შემოიაროთ, ვერ გაიგონებთ,
ჩვენს "ჩაკრულოსა", "ზამთაროს"და " მრავალჟამიერს"!

თქვენი მშობლების სითბოს ვერვინ, ვერსად შეგიცვლით
და თქვენი წასვლით ოცნებები არ დამითოვოთ,
იცით რასა გთხოვთ?-სიტყვას დედის შემოძახებულს
უცხო მხარეში უპატრონოდ, არ დამიტოვოთ!
არ დამანახოთ სახლის კარზე დიდი ურდული,
ჩამოშვებული ფარდები და სიმუქე ფანჯრის,
ქართველს არასდროს, არაფრისა შეშინებია,
ქართველი მუდამ ერთგული იყო ხმლისა და აბჯრის!
ვერ წაიკითხავთ ვერსად ისე ვაჟას, აკაკის,
ბარათაშვილის "სულო ობოლოს". "საყურეს" , "მერანს",
ტიციანს, ლადოს, გალაქტიონს და დიდ დიდოსტატს
საგულეს გულს, რომ ვერ დაიტევ ზღვასავით მღელვარს!
სხვაგან სად ნახავთ ჯვარს, შუამთას, გელათს, უბისას
და ალავერდის ამონათბას დილის მზის შუქზე,
გრემს , ბეთანიას, მარტყოფს, ყინწვისს, ვარძიას, სიონს
და სვეტიცხოველს, ქრისტეს კვართი, რომ იქარგა გულზე!
ამ კავკასიის მთებს, ჭიუხვებს, როგორ მიტოვებთ,
თქვენი შობა ხომ ქრისტე ღმერთმა ამ ცას ინება,
არხოტს, ხევსურეთს, თუშეთს, ყაზბეგს ნუ მიმიტოვებთ
დარდისგან მყინვარს გული უფრო გაეყინება!
რა პასუხს აძლევთ თქვენს "აი იას", და "დედა ენას",
მშობლის ბაგიდან ნამღერ ნანას და აკვანს ქართულს,,
აქ მამა-პაპის ვის უტოვებთ ცრემლებს ვაზისას
და მტევნებიდან გამონაჟურს საფერავს კახურს!
კარგად დაფიქრდით, სად მიტოვებთ კოლხეთს, იმერეთს,
ჭიუხვებს ჯიხვთა, ამაყად მდგარს თეთნულდის სვანეთს,
ქართლს, კახეთს ,ჰერეთს, გურიას და აჭარის ზღვისპირს,
ჩვენს სავედრებელ სიყვარულით სავსე მზიანეთს!
უცხო მიწაზე, ნუ დაიწყებთ განძის ძიებას,
რაც აქვე გაქვთ და ვერ გიცვნიათ, ვერ გაგიგიათ,
მშობელი მიწის ყივილი და შვილის ალერსი,
უცხო მხარეში ძნელი არის, არ ადვილია!
გახსოვდეთ მუდამ, უცხო ქვეყნისთვის უცხო იქნებით
და უცხო ხშირად ცხვირწინ კარებს მოგიჯახუნებთ
და რა გგონიათ, იქ ისე იგრძნობთ იმ აფეთქებას?--
გაზაფხული, რომ კარზე კარებს მოგიკაკუნებთ!
არ დამიტოვოთ საქართველო დღეს ქართველებო,
ხომ ხვდებით ურჩად დაუწყიათ ჩუმად ძირის თხრა,
დედა ღვთისა , რომ მობრძანდება თვის სავანეში,
რა პასუხს გავცემ თქვენს მაგივრად, ნეტავ რა ვუთხრა?!
ამ მიწის შვილნი უდროჟამობამ მოგფანტათ ყველგან,
თქვენს სულის ყივილს ვიცი, ვერსად ვერვინ შესცვლიდა,
მოდით დიდი ხნის მონატრებულს მკერდს ჩაეხუტეთ,
თორემ უთქვენოდ საქართველოს ძლიერ შესცივდა!!!

* * *

მე სვეტიცხოვლის თითო ლოდსაც მოვეფერები,
და ვადღეგრძელებ იმ მარჯვენას ,ვინაც ააგო,
ვინც, რომ სიმართლე ღმერთთან ერთად განძად დაგვიდო
და ვხედავ, დღესაც ქარქაშს ხმალი, რომ არ ჩააგო!
მე ბეთანელი მამების გზას ვარდებს დავაფენ,
აღმართს ავივლი ისე ალბათ , არ დავიღლები,
ქართული ვაზის ნაჟურ ღვინოს მოვეფერები,
ტაძართა ლოცვას გულს ჩავიბნევ და დავითვრები!
მე იმ სიწმინდეს დავულოცავ ყველა ქართველ კაცს,
ნამუსის ქუდი დღესაც თავზე, რომ ახურია,
ღვინის დოქების ტუჩებიდან ჭიქა შემივსეთ,
რადგან ეს სითხე ღვთიურია და კახურია!
სიტყვა მინდა ვთქვა სადღეგრძელოდ, აბა რაღა ვქნა?!
იქნებ ამ სიტყვით მოვუშუშო ხალხს იარები,
თქვენ არ იფიქროთ, ქალიაო და დაითვრება,
მე საფერავით,მხოლოდ ღმერთთან ვეზიარები!

* * *

კახეთო, ჩემთვის ღვთის საჩუქარო,
კახეთო ,ჩემო სულის ვედრებავ,
უფლის თითებით ჩარგულო ვაზო,
კახეთო, ჩემო მზით გათენებავ!
აქ მესმის შენი "მრავალჟამიერ",
"ურმულო" გულის სიმებს მიამებს,
აქ "ზამთაროსაც" შემოსძახებენ,
შემოსძახებენ "დაიგვიანეს"!
კახეთო, ძარღვში სისხლის დუღილო,
ძველო შუამთავ, იყალთო, გრემო,
კახეთო, ჩემი ალავერდი ხარ,
კახეთო, სულის ძახილო ჩემო!

* * *

სულშიც, გარეთაც ისე ჩამოთბა,
ღიმილით ვკოცნი ყვავილთა რტოებს,
საქართველოში ვარდები ყვავის,
ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ!
ვარდობის თვეა და სიყვარულიც
ახლოს მეწვია, გულს მიყვავილებს,
ხელებგაშლილი გამოიქეცი,
თორემ ვარდები დაიყვავილებს!
აქ, ჩემს ეზოში ფერად-ფერადი
ფურცლები მრავლად მიმოფანტულა,
სულმოუთქმელად დაგელოდები
ვარდის თვესავით თვალებხატულა!!!

* * *

შენთვის სიყვარული სანთლად დამინთია,
ხშირად სიხარულიც ცრემლად დამიღვრია,
ლალი-იაგუნდი ფეხქვეშ დამიყრია,
ჩემი სიცოცხლეც კი შენთვის დამითმია!
შენ ძლიერო ხარო, ერის გუთნის დედავ,
ცისკრის ვარსკვლავისა ხარ გამობრწყინება,
იალბუზიც ხარ და არწივების ფრენაც,
დედა ენაც ხარ და ჩვენი უფლის რწმენაც!
ჩემო მარგალიტო ციცქნა სამოთხისა,
ჩემო სალოცავო გრემის , გელათისა,
ძლევავ საკვირველო აღმაშენებლისა,
სულის სინათლეო შენ სვეტიცხოვლისა!
მიწავ იბერიის, ხარ მზიანი ლელო,
ჩემო საფიცარო, ჩემო საქართველო!



შოთა ვეკუა

* * *

დედის რძისფერი ღმერთი მყავდა, ჩემო ანიტა,
იყო ბავშვობა ტოქსიკური წლების ვიზამდე,
მერე გავძვერი, გავიქეცი ჩემი კანიდან,
ჩემს თავს ცხოვრება მოვპარე და წამოვიზარდე.
უკან დავტოვე ლოცვის მსგავსი მშობლის ხელები,
მზე ეწყებოდათ ტერფებიდან თმების ღერომდე,
მერე კი იყო სხვა ქალაქი, უცხო ხმელეთი,
სადაც ათასგვარ ენასა და ხმაზე მღეროდნენ.
და ღმერთი გახდა მაშინ-ქუჩა, თრობა, აზარტი,
დროს გავექეცი, დროც გამექცა, როგორც იციან,
მერე იყავი შენ, შენი ხმა, თმები ბაზალტის,
ბოლოს ვისწავლე უშენობის დეფინიცია.
იყო ბალზაკი, დოსტოევსკი, კიდევ ვინ იცის,
ღამეს ვათევდი, უფრო ხშირად ღამემ მათია.
ფონად ფირფიტა ხმადამტვერილ ძველი ვინილის,
ბითლზი, ქუინი, პინკ ფლოიდის ქრესტომათია.
ტრადიციულად იწყებოდა მერე დილები,
ვრჩებოდით ცალკე ერთმანეთის გაღმა-გამოღმა,
თავისუფლებას ვუმღეროდით, რადგან დილეგი,
ერთმანეთისთვის ერთიანად უნდა გამოვღრღნათ.
რამდენი ლექსი ჩაუყლაპავთ მეტროს ვაგონებს,
ხომ არ გამომრჩა, შემახსენე რამე ანიტა,
მე მოგონებებს პეპლისმჭერი ბადით ვაგროვებ,
დედის რძისფერი ღმერთი იქნებ ვნახო თავიდან.

***

ღმერთებს უმადლოდე არიადნა
მაგ შენს სავსე მკერდს და
გიშრის თვალებს,
გარეთ საამური ქარია და
კაბაც საამურად გიშრიალებს.
მოდი წავიმღეროთ ,,აშო ჩელა”
სიმებდაწყვეტილი ჩონგურიდან,
წყლული უმარილოდ არ მორჩება,
რინა მუშო მოკო დომღურიდა.
რა დროს ხიდის თავზე ცაცხვებია?!
ერთიც ჩამომისხი, გემაშვედა,
ომში გენერლებიც მარცხდებიან
და თუ დავმარცხდები დედაშენთან.
დაე გამოგაწყონ საბატონოდ,
დაე მიგათხოვონ ბატონოშვილს,
ქორწილს დანიშნავენ საბატონ დღეს
და თუ იმ ქორწილშიც არ მომიშვეს.
ყოფა რაღად მინდა არიადნა,
რინა ვამიღირუ უსკანეთი,
მოდი წავიმღეროთ დარდიანად
ბოლო ,,აშო ჩელა” თუ გწამს ღმერთი.

***

გრძნობები არასდროს იცვლებიან,
სახლები იცვლიან სახურავებს,
თარსი და უგვანო რიცხვებია,
დღეებს უშენობით ვახურდავებ.
ბოლო დროს მოვგავარ კაპელდინერს,
სიმშვიდეს ამყარებს-შენი სახე
ადგილებს ვერაფრით გავერიდე,
სადაც გიპოვე და შეგინახე-
მშვიდი კაფეები, თეატრები.
უწინ ჩემს ლექსებზე განათხოვარს
როგორ დავიჯერო გენატრები,
როგორ დავიჯერო არ გახსოვარ...
ახლა ამ ლექსებში ნაშიშვლები
გრძნობა უნდა იყოს ანტიდოტი.
როგორ ვიფიქრებდი გამიშვებდი,
როგორ ვიფიქრებდი წახვიდოდი...

წერილი ოჯახს

იმდენი რამე დამიგროვდა უნდა მოგიყვე,
უნდა მოგიყვე, რომ ვეღარ ვწერ ლექსებს, ვფაფხურობ,
ყოველ საღამოს სიზმრებს ვატან შენთან მოკითხვებს,
სიზმრებს, რომლებსაც შესაძლოა აღარც ნახულობ.
შემატყობინეს, რომ წაგვექცა ბაღში გულაბი,
დიდთოვლობამდე დაგვესეტყვა პაპის მარანი,
მე კი გავტეხე სანახევროდ სავსე ყულაბა,
რომლითაც უნდა შეგვეძინა კატამარანი.
გუშინ ბაზარზე გავიტანე ძველი წიგნები,
მანამდე მივწვდი მამაჩემის თიხის ფიალებს,
ხელგაშვერილი ამეკიდნენ გზაზე ,,ციგნები"
და ტაქსის ფული უანგაროდ ჩავუჩხრიალე.
ყინვაში ფეხით ავიარე მთელი აღმართი,
ქურთუკი ტანზე შემომაცვდა, ლამის დაძველდა,
ბინის ქირაზეც მომიწია დილით კამათი,
რადგან ხელფასი ავეჯივით გამინახევრდა.
გადავეჩვიე პირქვე წოლას, ვწვები გულაღმა,
ქერზე დავხაზე სამომავლოდ ყველა მიზანი,
გროში მასესხა ორიოდე, სკოლის გუშაგმა,
ხვალ ამ ფულს ბებოს წამლებისთვის გამოგიგზავნი.
ხვალ ლექციებიც დამეწყება, აბა დროებით!
გადამათენდა, შევიჩვიე ძილის აბები,
შენ ეს წერილი წაიკითხე განმარტოებით
და სახლში თქვი, რომ კარგადაა ჩემკენ ამბები.

***

ბროწეულივით დამსკდარ ტუჩებს, თეძოს, ლავიწებს,
ხორკლიან სხეულს, მკერდისთავზე მზეებს ჩაწურვილს,
რა დამავიწყებს, ღმერთო ჩემო, რა დამავიწყებს
ყინვაჩამდგარი თვალებიდან მზერას ქალწულის.
როგორ იცვლიდი პითონივით ტყავებს ვნებიანს,
შენი თვალები მწუხრზე იყო მთვარის აკვანი,
ბებიები კი თავშლებიდან გეუბნებიან,
არ გაგექცესო მუხლებსზემოთ კაბის მაქმანი.
შენც ქინძისთავებს ატარებდი მუხლებს ზემოდან,
გულზე ღრუბლები უნაყოფო, ღილად გეფინა.
და დღემდე მხრებზე შენი ცივი სუნთქვის გემო მაქვს,
რომელმაც სული შემასწავლა თითქმის ზეპირად.
ჰა, ხორბლისფერი თითებიდან მშვიდად ეშვები,
სიცოცხლის ფერი მოსდებია შენს მკერდს, ლავიწებს.
თვალებს არასდროს, არასოდეს არ შეეშლები,
რა დამავიწყებს შენს თავს, ღმერთო, რა დამავიწყებს.

ჯუბა ღებელი

*

გზა-გზა მი-მოყრილი ფოთლებივით,
როგორ დამეფანტეთ სტრიქონებო,
არყის ცარიელა ბოთლებს ვითვლი,
დარდი გამიქარვოს, ცდილობს ებროც!..

არა, თავის მოკვლას არ ვაპირებ,
ებრო უცხოა და ცივიც არის,
აქ ვინ გადამიხდის პარაკლისებს,
ძალად გამიკეთეს პისიარიც!..

ქარი ჩამჩურჩულებს - მოდი აქეთ,
თუ სიკვდილი არის, კაი კაცო,
ებრო რა ჯანდაბად გინდა ქართველს,
როცა რიონი და მტკვარი გაქვსო!..

ასე, ჩემო ებრო, კაეშანმაც,
იცის სხვა ხიბლი აქვს მაინც თვისტომს,
სანამ მე შენ თავი არ შეგაკლა,
მანამ არაფერი არ გეტკინოს!..

მე ვერ მოვიქცევი ლაჩარივით,
ვეყმე მზით მოქირხლულ განთიადებს,
ამ ჩემს გაბზარულ გულს რაღას ვჩივი,
ოღონდ საქართველო გამთლიანდეს!..

*

განა ცხოვრება დოგმაა,
ან სიყვარული დელგმაა?!.
ხანჯლის წვეროზე დგომაა,
საინტერესოც ეგაა!.

განა კოშკია ტაძარი,
ან ეკლესია სახლია?!.
უფალი არი, რაც არი,
თუ გულში დაგიმარხია!..

იღუპება საქართველო

იღუპება საქართველო,
ვინღა ჩივის გაყიდვას,
ჩვენს ყანაში გააქვთ "ლელო",
ჩვენივ ეზო-ყანიდან...
ნეტავ ერთხელ, ღვთისმშობელო,
ხელში აგაყვანინა!..

იღუპება ერი, ბერი,
სახნავ-სამკალს ვინ ჩივის,
ვერვინ ვნახე ბედნიერი,
ამოდენა ღვთისშვილში...
ვიყურებით ყველა ქერში,
როგორც სიკვდილმისჯილნი!..

აღარც სტუმარ-მასპინძლობა,
არც წესი და ადათი,
რამე ოდნავ თუ წამოგცდა,
გიჩვენებენ არათითს...
ეჰ, ცოდვილო კაცთა მოდგმავ,
როგორ გაგვითამამდი!..

ჰეი, ჩემო ქართველებო,
რა ძილ-ქუშმა შეგვიპყრო,
სად წავიდე, სად გეძებოთ,
ცხრა მთას გადახვეწილნო?..
ვსვამდით უფლის სადღეგრძელოს
და ჭიქებში მზე იყო!..

ახლა აღარც ღმერთი გვახსოვს,
არც ლოცვა და გალობა,
ჭილ-ყვავს ჩვენი სამოსახლო,
სამსჯავროზე გამოაქვს...
უფსრკულია ახლომახლოს,
შიგ ბებერი დაგორავს!..

იღუპება საქართველო,
მოკვდა ყველა კაი ყმა,
ცეცხლი უკიდია მდელოს,
თოვლი ჟონავს ყავრიდან,
ნეტავ ერთხელ, ღვთისმშობელო,
ხელში აგაყვანინა!..
Gulnazi forwarded a message
Gulnazi Kharaishvili

*

ვინ იცის, იქნებ ამ ხესაც ცივა,
რომელსაც ახლა ფოთლები სცვივა,
რომლებსაც აღარც მზე ათბობთ ციდან...
წვიმა რა?.. წვიმა იდგა და ცრიდა!..

ვინი იცის, იქნებ მგლის ლეკვებს შიათ,
აწუხებს ძუ მგელს შიმშილი შვილთა,
დაღალა ხვადიც დარდმა და შიშმა...
ქარი რა?.. ქროდა და ნისლებს შლიდა!..

ვინ იცის, იქნებ შენც დარჩი მარტო,
ვერ მოგწვდნენ მზის სხივს და ამ ცის ტატნობს,
ვერავის ხედავ, არავინ გნატრობს,
სევდაა შენი უძილო სატრფო!..

წლები კი, წლები ქარივით ქრიან,
დროს სიყვარულიც ქარდაქარ მიაქვს
და რომ ამ ყოფნას, არყოფნა ჰქვია,
მიხვდები, მაგრამ იქნება გვიან!..

*

თითქოს ჰაშიშით მთვრალია ქუჩა
და ბნელ ჩიხებში ბარბაცით დადის,
თითქოს შენს თვალებს ცრემლებმა ურჩმა,
ვერ განუქარვეს სევდა და დარდი...
შენ მთვარესავით დადიხარ ჩუმად
და ღრუბელივით გახურავს ჩადრი!..

წვიმა კი, წვიმს და ასხურებს წვეთებს,
კლავიშებივით დაღარულ კიბეს,
ვინ იცის, იქნებ ვარსკვლავებს შევწვდეთ
და შეგვიყვარდეს იქნება კიდეც...
ამ სიყვარულზე პოემებს ვწერდეთ,
ვთესავდეთ ხნულში, ზეცაში ვმკიდეთ!..

ქარი კლავიშებს ეხება ფრთებით,
დგას როიალი და უკრავს სევდას,
მეც სიყვარულის ჰაშიშით ვთვრები,
მზეს სიყვარულის თვალებით ვხედავ...
ისა ჩემი შვილიც და ღმერთიც,
მზის ადგილი და ადგილის დედაც!..

გოგო და ბიჭი

გოგო იჯდა, ბიჭი იდგა,
ბიჭმა გოგოს დინჯად ჰკითხა,
სად მიდიხარ, ანდა ვისთან,
რა გქვია და რა გვარის ხარ?!.

გოგომ უთხრა, თამარი ვარ,
ტანწერწეტა ალვავით ვარ,
წყაროსავით ალალი ვარ,
მაგრამ განა თამამი ვარ!..

შენ რა გქვია, მითხარ ვაჟო,
ალბათ ცხოვრობ სადმე ახლოს,
დროს თუ უძლებ ამ უჟამოს,
იქნებ გულში ჩაგისახლო!..

უპასუხა გოგოს ბიჭმა,
დამთმენი ვარ მრავალ ჭირთა,
გულში ქარი შემოიჭრა,
მარტოობა გამიჭირდა!..

გამომყევი ცოლად ქალო,
ერთი ცის ქვეშ დავესახლოთ,
მოგატარებ მთას და ახოს,
ხელი ქვეყნად ვერვინ გახლოს!..

მე ამ მთების არწივი ვარ,
დემეტრეც ვარ, დავითიც ვარ,
ჩემი ერთი გოჯი მიწა,
არავისთვის დამითმია!..

გოგომ - კარგი, წამიყვანე,
დაგითესავ ხორბლით ყანებს,
დაგიკოცნი ლამაზ თვალებს,
მოგაშენებ, გაგამრავლებ!..

მოეხვია გოგოს ბიჭი,
წაიყვანა ცხრა მთას იქით,
დღეის აწამაწას იქით,
არ უნახავთ გასაჭირი!..

ანამარია ლილუაშვილი

ცხოვრება

ცხოვრება გრძელი, რთული თანაც ულმობელია.
გზა დაბურული უცნობი და ძლიერ გრძელია.
კაფე ეკლები, რომ შენთან ერთად შვილმაც იაროს,
შეუმსუბუქე ტვირთი მძიმე, არ დაიღალოს.
და, თუ ვერ შეძლებ, მხოლოდ შენი თუ გემძიმება,
მიჰყევ დინებას, ნურაფერი ნუ გეწყინება.
სხვისი ტკივილი, თუ არასდროს არ გეტკინა,
როგორსაც გასცემ ისეთივე შეგეძინება.

ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილს

თქვენ ხართ ვენახი,
მსხმოიარე მწიფე მტევნებით
თქვენს ნაწურ ბადაგს
ვაგემოვნებთ საიმოვნებით
შიშმა შემიპყრო,
არ ჩავარდე ხიბლში „რჩეული“.
ლანგრით მორთმეულ,
მზა საჩუქრებს არ ვარ ჩვეული.

* * *

მინდა მომეფერო
და გულში ჩამიკრა
ჩურჩული მესმოდეს
მაგ შენი ბაგიდან
ფიქრები გრძნობებმა –
ერთ ძავზე აკინძა
და დაუფიქრებლად
ერთ სიყვარულს დაჰკიდა.

ქ-ნ ლია პეტრიაშვილს

თქვენ სიწმინდის დედოფალი გქვიათ,
და სხივების კორიანტელს აფრქვევთ
თქვენი თბილი და მზრუნველი ხმებით
გულს იმედის ნაპერწკლებით ანთებთ.

* * *

სამშობლოსთვის სადღეგრძელო წარმომითქვამს,
ჩამიწვნია ძეწნის ყველა ყლორტი
ბინდია და მწუხარება გულს მიფატრავს,
მაგრამ სასმისს სიმშვიდისთვის ვეტრფი.

* * *

თვალთა ნათელი მოჰფენია მშობელ ქვეყანას,
ცათა ღრუბელი დასწოლია მუქი ფერისა.
ზღვა ფიქრებიდან სხვა სურვილი არა მინდა რა,
გარდა-რომ ჰქუხდეს ხმა საყვირის საქართველოსა.

შენ ჩემი დარდი ხარ!

ისევ აბობოქრდა
„ტალღა“ აღმავალი
და გაინავარდა სულმა
ცის კალთებში
შენ ჩემი დარდი ხარ
ფიქრებში მავალი
და ჩემი ტკივილი
დარჩენილ წამებში.
შენ ხარ გაელვება
ტკბილი მოგონების
ბედნიერი წლების
წუთის და წამების.

ჩანჩქერი

ზღვას დარაჯობს მთის ფერდობი
და ჯარივით ეხვევიან გარს.
მთის პირღია ნაპრალიდან
ამოუსხამს მოჩუხჩუხე წყალს.
ეს გულიდან ამოხეთქილ
სიყვარულის საიდუმლოს ჰგავს,
და უცნაურ ჩანჩქერის წყალს
მთის ფესვებთან შადრევნი სვამს.
ცეკვავს მღერის შადრევანი
და დაცლილი უერთება ზღვას.

* * *

გულმა დაიქუხა,
სული გაინაბა,
წვიმად დაიღვარა
ცრემლი.
ტკბილი მოგონება
აინთო სანთლებად
დედიკო მენატრები!

* * *

გაიელვა თვალწინ ელვამ,
ფეთქავს გული ეული.
ღმერთს ვთხოვ, წმინდა სურნელებით
დამინამოს სხეული.
თავს მაპკუროს წმინდა წყალი
სულიწმიდის ჩამბეროს,
რომ დავუკრა სივრცის ქნარი
ზეციურზე მამღეროს.

* * *

დროა ისევ ამოკვეთო ფიქრებს გული,
დროა ისევ გააღვიძო გაზაფხული,
გააღვივო ნაკვერჩხალი შეფუთული.
დაუბერე ქარო! სად ხარ, გაყურსული?

* * *

მე ჩემს მეგობრად,
სწორედ მაშინ ვიგულე ქარი
როცა პირველად
განვიცადე გლოვა და ზარი

ლომი

ლომი ნადირთა მეფეა
ყველასა სჯობს სილამაზით.
ძლიერსა და მკერგანიერს,
გამოარჩევ სიმამაცით.

დაბლობში და წყალთან ახლოს,
უღრან ტყეში იდებს ბუდეს.
ამაყი და სულგრძელია
და ვერავინ ტოლს ვერ უდებს.

იბრძვის როცა საჭიროდ თვლის,
საკადრისი თუ ჰყავს მტერი.
ან იმარჯვებს და ან კვდება,
ამას ვერ ცვლის ვერაფერი.

მზის ჩასვლისას ემზადება
დააყენოს უნდა ბდღვერი.
იღრიალებს და მზად არის
დაიჭიროს თუნდაც შველი.

ბასრ გრძელ პრჭყალებს ისე კეცავს,
დედამიწას არ აკარებს.
არსებითად მშვენიერი,
ტყუილად არვის არ აჯავრებს.

* * *

სიტყვას თქმამდე დაფიქრება
რომ სჭირდება გესმის,
მაგრამ მაინც ტყვიასავით
სხვას ზურგში რად ესვრი.
სულს უბზარავ, არ გაჯავრებს
მტრულად თავს რომ ესხმი.
სანამ სხვას სჯი ამოიღე
შენ თვალიდან ბეწვი.

ერთი წამია

სულმა ანათა აელფერა მუქი
სამყარო,
გულმა უსაზღვრო სიყვარულის
წყარო ადინა.
ფიქრმა ოცნებებს შეუკერა
ფარჩის კაბები,
ცის კამარაზე აცეკვა , ბევრი
აცინა.
სრულ რეალობას გამოუღო
თვალმა კარები
და ცისარტყელის ყვავილები
გულზედ აბნია.
სიტყვამ ხმის სიმებს
ჩამოჰკიდა ლხენის ზარები,
სევდის ფიალა აავსო და პირმა
დალია.
აღარ იგლოვოთ, აამღერეთ
ტკბილი ჰანგები.
წუთი სოფელი ამად არ ღირს
ერთი წამია.

ის რაც დაფარულია

ის რაც დაფარულია
რაც არა სჩანს არსად
რომ გგონია იმ წარსულს
ჩააბარე გაქრა.

სადღაც სამყაროშია
ის ყველაფერს ხატავს.
ხმაც კი არ იკარგება
ეკვრის ბგერის ტალღას.

მოქმედს ფირზე აღბეჭდავს
წარსულს სხივად ატანს.
დრო კი დღეებს კი არა
ითვლის ბევრჯერ ათასს.

* * *

აზვირთებულა ზღვის
ტალღები
ბობოქრობს, ღელავს
ცას გაუჭიმავს ღრუბლის
ზღუდე
ხან შუქი ელავს.

ქარი მძვინვარებს, ქარიშხალი
გარემოს ბომბავს.
გემის საჭეს კი მართვა უჭირს
სიმწრითღა გოდავს.

დავით ახლოური

* * *

არავინ იცის, თუ რა ადარდებს
აი, იმ ღრუბელს,
ანდაც ა ემ ცას...
ვერავინ მეტყვის, იფრენს სადამდე
ფოთოლი, დღეს რომ ქადარს გაექცა...

მე რა ვუთხარი სიკვდილის მომგონს,
ხსენება მისი არავის უნდა...
და მაინც ვწირავთ სიცოცხლეს, როგორც
მოწყალებისთვის გაღებულ ხურდას...

წარსულის ლანდები

ჩემს სიზმარში ჯერ ისევ გაზაფხულის დარია,
დედის თბილი ხმა მესმის... ეზოშია ბებიაც...
გაკვეთილებს მოვრჩი და სახლში მიმიხარია,
შარშანდელი ზვავები მზის ალერსით დნებიან.

ჩემს სიზმარში ჩიტიანთ ყანას ქამენ ჩიტები
და განვდევნით, როგორც კი მოვა „ჩიტი-ფაფობა"...
მურაბით მაქვს მოთხვრილი თოკზე ქრელი ჩითები,
ჩვევად მექცა ქილაში ჩუმად თითის ჩაყოფა...

ჩემს სიზმარში ქორქოხის მთიდან მოჩანს იელი
და ყველდაბის აღმართზე ენძელები ყვავიან...
მიუყვება ქურთულას გოგო მოქალიელი,
უცხო ვაჟის დანახვამ მარტივით რომ არია.

ჩემს სიზმარში საღამოს შვიდის ნახევარია,
ავტობუსი სოფლისა კელაკლდეებს გამოცდა...
ვიდრე დაასრულებენ წლები ყრმობის არიას,
ჩავაბარებ ბავშვობას სიყმაწვილის გამოცდას...

მერე სადღაც გაქრება ლანდები და... ცოდვაა...
რეალობა მტარვალის ხელით შეიბილწება...
ქსნის ხეობის გარეშე ზღვის წვეთივით ცოტა ვარ,
საქართველო ჩემთვის ხომ ყელის ტბიდან იწყება!!!

* * *

ბუდეაშლილი მერცხლებივით ვეძებთ ერთმანეთს
ცხავატელები,
ქურთელები,
ცხრაზმისხეველნი...
რას მოვესწარით,
ეს რა ბედი დაგვყვა ღმერთმანი,
საკუთარ ქერქვეშ ვეღარა ვართ ღამისმთეველნი.
სადღაა ის დრო, მშობლიური და საამური,
როცა ფრესკებზე ვკითხულობდი ლარგვისის სევდას,
ღრუბლებს ვავედრებ, მომიკითხონ ჩემი ჟამური,
ჩემი ბერციხე - ქართველების მოხუცი დედა!..
...სად წახვედიო -
წინაპრები მეკითხებიან,
არსად წავსულვარ, ისევ ქარჩოხს დავეხეტები,
დედის ხელები საქედილე ქვაბთან თბებიან
და ყველდაბისკენ მივიჩქარი გულისფეთებით...
რა ლამაზი ხარ ახალგორო, ასე შორიდან,
ახლოს რომ მოვალ,
ალბათ დამწვავს შენი ალერსი,
ნისლში ჩაფლული მეფერება ჩემი ცხმორი და
სამებისაკენ უფლის მადლი მიხმობს ალევში.
წირქოლისა და ახშადურას ნახვა მწყურია,
კაბენზეც გეტყვით -
მზისდარია,
მაინც სხვა არი...
ჩემს გზა-სავალზე კორინთა და საძეგურია,
სადაც წინაპრებს აღმერთებენ ნავროზაანი.
უნდა შევძლო და გადავლახო დარდის რიკოთი,
მერე მზის სხივი მივახატო ღრუბლის ქულაზე,
სატრფოს გულივით მელოდება ჩემი იკოთი
და ტატუნაანთ „ალავერდი" ყანჩაურაზე.
მე მდიდარი ვარ:
ოსი ძმა მყავს, ოსი ნათლული,
რა მტერი უნდა მოერიოს იმათ სიყვარულს...
ჩვენ ერთად გვზრდიდა ღვთის ნება და მიწა ქართული,
ვენაცვალებით ერთმანეთის ჭირს და სიხარულს...
წარსულიც გვახსოვს, არვინ იყო ჩვენი მძლეველი,
თუმც არ გვზოგავდნენ,
მოდიოდნენ ხაკის კიტელით...
საქვეყნო საქმეს განაგებდნენ ქვენიფნეველნი,
იერუსალიმს დაიბრუნეს ტაძრის კლიტენი...
ვინ შემაჩერებს,
როცა ქსანზე გული იწევს და
პაპის ნაჯაფარს მედავება ვიღაც ოხერი...
დასაწერი აქვთ ისტორია ბანდაისძეთა,
ნახავენ, როგორ დაამიწებს მტარვალს ოხირი.
ლომისის მადლმა, დაიბრუნებს ქსნის ხევს პატრონი,
ღვთის დედა იცავს ჩემს სამშობლოს ჯვარ-ხედებიანს,
ძველ ციხეებზე ცეცხლს დაანთებს შანშე ბატონი
და ჩვენთან ერთად საფლავებიც ამხედრდებიან!...
ბუდეაშლილი მერცხლებივით ვეძებთ ერთმანეთს...

მამუკა ოჩიაური

არვიცი რა ვთქვა

ლამაზთვალებავ არვიცი რა ვთქვა,
გხედავ და გული სითბოთ მევსება
გამოგიტყდები ლექსებმა გამთქვა,
გამთქვა გრძნობების ღია ფესვებმა.

სტრიქონმა გამთქვა, სიმღერამ გამთქვა
გულისცემამ და ბრწყინვამ თვალების,
მხოლოდ ერთს გეტყვი, სხვა აბა რავთქვა,
ხარ დედოფალი ქვეყნად ქალების.

დაბლა დახრილმა თვალებმა გამთქვა,
სხეულმა გრძნობით იწყო შევსება
ლამაზთვალებავ არვიცი რა ვთქვა,
გხედავ და გული სითბოთ მევსება.

* * *

დავხედავ სურათს, დრო ჩქარა მიდის,
ბილიკს ფიქრების აავსებს ლოდი,
მე მიუწვდომელ მწვერვალად გთვლიდი,
რა იქნებოდა შენც გყვარებოდი.

ჩოხში მარიამობას

ახლა ამ ბოლო ჟამობას,
ლოცვით ვიმშვიდებთ სულებს
ჩოხსა ვარ მარიამობას,
დღეს ვსტუმრობ ბექაურებს.

ზარს რეკავს დეკანოზი და
ხატსაც აქვს ძალა დიდი,
მოხუცმა ლოცვით მოზიდა
რწმენის უტეხი მშვილდი.

ჩოხელებს მიჰყავთ საკლავი,
უნდა შესწირონ ხატებს,
მლოცველი ბევრის ამტანი
ხატის კარს ღამეს ათევს.

ზარი რეკს ხმამადლიანი,
დროს შველის ბოლოჟამურს,
ქალი ლამაზი თმიანი
გრძნობით უმღერის მამულს.

შუბლზე ჯვარგამოსახული,
ბალღი აურვებს მერანს
ამით მთავრდება ზაფხული,
ჟინმოუკლავი ჯერაც.

გახურდა სულის მაყალი
ხატს ენდო რწმენის მომცემს,
ვერ იტევს გუდამაყარი,
ბარიდან მოსულ მლოცველს.

ძმობილი ბექაურების,
ლაღი არხოტის მკვიდრი,
მონუსხული ვარ სრულებით
ხარბად თბილ წუთებს ვითვლი.

ჩოხში ვარ მარიამობას,
პირიმზის ხატის კარზე,
სამზეოს ბოლო ჟამობას
ჩემსას ვუტოვებ ნამზერს.

და სული – მწველი მაყალი,
ხატის ძალას გრძნობს ზევსურს,
მმასპინძლობს გუდამაყარი
დღეს არხოტიონ ხევსურს.

ღამე უშენოდ

ახლა ასას ხეობაში
ღამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
სრულად ვერ დაეტია.
და უნისლო ჭიმღის ქარაფს
მთვარის შუქი ანათებ,
საფიქრალი უხმოდ დამაქვს
მრავალ ღამეგანათევს.
შენი სახე მოჩვენებად,
ბისნის კლდიდან მიმზერის
მერამდენედ მეჩვენება,
ზეცა ტირის ზღვის ფერი.
ეს რამდენი დაღამება
გავატარე ეულად,
ნიავქართა გაქანება
ვხედავ შემოლეულა.
დათოვლილა ოქროსფერად,
კლდეთა ზოლი – შიბწვერი
და ვუსწორებ მთვარეს მზერას,
ფრიალოზე მიწვენილს.
სად ხარ, სად ხარ სანატრელო,
დამწვავს ფიქრი, ვნებანი
ლამის ლექსით გადავთელო,
ტკბილი მოგონებანი.
ახლა ასას ხეობაში
ღამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
სრულად ვერ დაეტია.

ფიქრები ქალის

მე ვიტყვი იმას რაც მართლა არის,
ქარი მთებს უშლის ნისლის სახვიელს
მე მიხარია რომ ლამაზ ქალის,
ფიქრები სწვდება ამღას*, ახიელს*!
რომ შორეული საქართველოდან
მთებს ეფერება გული დაღლილი
ცარიელია თითქოს დღეს ოდა
სიცარიელით ტყვია დახლილი
ოდაში დღემდე არ აქრობს კოცონს
ქალი მთებიდან მზეჭაბუკს უხმობს
რომ ბიჭის გამო ის მთები მოსწონს
ამიტომ იტანს ლოდინსაც უხმოდ
და მოგონება სიზმარეული
ყველა მოწყენას გადააბიჯებს
დღეს ქალი ტრფობით ჟინმორეული
ფიქრით ვაჟისკენ ითვლის ნაბიჯებს
მაგრამ დღეები უფეროდ მიდის
წვეთებად მიაქვს ლოდინის გარჯა
გამაგრება სურს იმ ბეწვის ხიდის
რაც ბიჭთან მისვლის იმედად დარჩა
არ გააცია თავისი ოდა
ფიქრს უვლის, ჩაფლულს მომავლის გზებში
ვისაც ეს წლები ელოდებოდა,
ის კვლავ ჯიუტად დამკვიდრდა მთებში
ქარი ჩამკეტი მთის ვიწრო კარის
უგულოდ წეწავს ნისლის სახვიელს
შორს, იმიერში ფიქრები ქალის
ვეღარ ივიწყებს ამღას ,ახიელს.

ამღა*, ახიელი* – სოფლები არხოტის თემში (პირიქითა ხევსურეთი)

ღამე უშენოდ

ახლა ასას ხეობაში
ღამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
სრულად ვერ დაეტია.
და უნისლო ჭიმღის ქარაფს
მთვარის შუქი ანათებ,
საფიქრალი უხმოდ დამაქვს
მრავალ ღამეგანათევს.
შენი სახე მოჩვენებად,
ბისნის კლდიდან მიმზერის
მერამდენედ მეჩვენება,
ზეცა ტირის ზღვის ფერი.
ეს რამდენი დაღამება
გავატარე ეულად,
ნიავქართა გაქანება
ვხედავ შემოლეულა.
დათოვლილა ოქროსფერად,
კლდეთა ზოლი – შიბწვერი
და ვუსწორებ მთვარეს მზერას,
ფრიალოზე მიწვენილს.
სად ხარ, სად ხარ სანატრელო,
დამწვავს ფიქრი, ვნებანი
ლამის ლექსით გადავთელო,
ტკბილი მოგონებანი.
ახლა ასას ხეობაში
ღამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე ,
სრულად ვერ დაეტია.

გიგი თეთრაძე

* *

თუ სიკვდილია, იყოს სიკვდილი,
ნეტავ რას გვარგებს ამ სოფლად გლოვა,
იცი რა არის ქვეყნად სირცხვილი?
უფალს რომ გმობენ ადამთა ხროვა.
მე ამ საწუთროს ფიქრი მაოცებს,
რად ატრიალებს ჩარხებს უკუღმა,
უფალი ალბათ ასე გვამოწმებს,
ქრისტემ სამყაროს ცოდვებს უკურნა.
ცრუ მღაღადებლებს ჯიბე აქვთ სქელი,
სიცრუითა და ორპირობით
ქვრეტენ მომავალს,
უგულოდ იქცა ღმერთისაგან შექმნილი კაცი,
გასამგზავრებლად ველოდები
უფლის ორთქმავალს.
წუთიერება ქვეყნიერებას
აქცევს არარად,
ჟამიანობა დაგვიწესდა გადასახადად,
უკუღმართობას ძეგლს უდგამენ
უკუღმართობის გადასაფარად.
თუ სიკვდილია იყოს სიკვდილი,
ნეტავ რას გვარგებს ამ სოფლად
გლოვა,
იცი რა არის ქვეყნად სირცხვილი?
უფალს რომ გმობენ ადამთა გროვა!

22.8.21

* * *

სულის ტკივილებს რა დატევს გულში,
ამ ბნელ სამყაროს ნათელი არ აქვს,
ადამიანი ღვთის მსგავსი, ხატი,
ის უფლის შექმნილს დღეს უკვე არ ჰგავს.

გამეფებულა ირგვლივ ქაოსი,
და ანგელოზი ძირს დაცემულა,
დაცემულია წმინდა გრძნობები,
ოცნება კაცის ძირს დაქცეულა,

მეკი ამ სოფელს ჩამქრალი სანთლით,
ჩუმად მივყვები ცოდვებით სავსე,
ალბათ ბოლოა ყოველი წუთი,
რომელსაც ღმერთი გვჩუქნის და გვაძლევს,

და იკარგება ასე დროება,
ხორციელ ფიქრებს ვისრულებთ მხოლოდ,
სულ გვავიწყდება მარადიული,
რომ ღმერთი არის თავიც და ბოლოც.

ყოველი დილა საღამოს არ ჰგავს,
და ვინ რა იცის ხვალ რა მოგველის,
წამი,რომელიც დღეს შენში დარჩა
ტყავს ნუ ჩააცმევ მიწიერ გველის.

სინათლის სხივი გაათბობს თითებს,
დაამახინჯეს უფლის მსგავსება,
ადამიანი არაფრის მთქმელი,
საწუთროს მისდევს,გზად იკარგება.

ნისლმა დაბურა ირგვლივ ყოველი,
ცოდვის შვილები მზეს ვემალებით,
არ გვინდა სითბო, მისი სხივები,
ამ ქვეყნად გვრჩება დროის ვალები.

ასე ნელნელა დროში ვილევით,
სულის ტკივილებს ვეღარ ვტევთ გულში,
ადამიანი ღვთის მსგავსი, ხატი,
არარაობას ჩაუსვამს სულში.

12.6.16

ჯვარცმა

ითმენდი ტკივილს,
ქრისტესავით ითმენდი ჯვარცმას,
გადიოდა სისხლი, ცრემლების ნაცვლად,
შენი გზა ქვეყნად არავის არ ჰგავს,
უძირო თვალებს სიმუქე დაჰკრავს,
დარჩენილ წუთებს ცხოვრება ფანტავს,
აპირებ ახლა მომავლის ხატვას,
ჯდები და იღებ უფერო ფანქარს.
ითმენდი ტკივილს, ითმენდი ჯვარცმას,
შენი ტკივილი არავის არ ჰგავს.
20.05.18

ზღაპარი

ზღვაში ჩამავალ მზეს მაგონებდა,
შენი თმების და თვალების სითბო,
ღამენათევი აისებს ველი
და ძველებურად შენს ალერს ვითხოვ.
წლები კი წლები მისდევენ ერთურთს
უიმედობის ჩნდება ნაპრალი,
ნაპირთან ვწევართ მე და ოცნება,
ჩემი ცხოვრება არის ზღაპარი.
გადაიფრენენ და გაქრებიან,
წარსულის დღეთა ტკბილი წუთები,
მოგონებების მიცურავს გემი
ნელნელა ავსებს მას წყლის წვეთები.
ზღვაში ჩამავალ მზეს რომ მაგონებს,
შენი თმები და თვალების სითბო,
მე ზღვის ნაპირთან აისებს ველი
და ძველებურად შენს ალერს ვითხოვ.
19.4.18

ბურუსი

ბურუსშია ქვეყანა,
ხალხი ნისლმა დაფარა,
პლანის წევით გართულებს
შეეპარათ ქაღარა.
დიდია თუ პატარა,
ფილტვებს ხეთქავს ბოლებით,
ჩვენ კი თაობებს ვკარგავთ,
ამაზე არც ვღონდებით.
ზოგი მარიხუანით,
ზოგიც ჭიქა არაყით,
კაიფშია ქვეყანა
და კატაობს ჰამაკით.
სიჩუმე და შეჩვევა,
გახდა ჩვენი თანმდევი,
ყველამ თავი ჩახარა,
ტანწვრილი თუ ტანგრძელი.
მაგალითის მიმცემი
მუტრუკი და ვირია,
დედის მაგინებელი,
ამბობს ბოშის შვილია.
კაცს ქალობა სწყურია
ქალს დედობა არ უნდა,
წინაპრების ოცნება,
ჩვენ უკუღმა აგვიხდა.
მუცელი თუ სავსეა,
ხინკლითა და მწვადითა,
აბა რაღა გვადარდებს,
შენ დაუკარ, წავიდაააა...
ასე ქრება სოფელი
თიხა მიწად იქცევა,
კაი კაცის სახელი,
ასში ერთზე ითქმევა.

2021

კობა ადეიშვილი

* * *

ცრემლებად დნება, ყინულივით
რემბრანტის ტილო.
პაპარაცები ყვითელ ფურცლებს,
ხვევდა ასანთით!
ხეიბარი ვარ ვცეკვავ! ბოლოს
უბელო გოდოლს.
ელეონორა ამეკიდა,
ხატვის მოცარტი...

საღ, ამურს რემში, ხეების ჩრდილს.
გაძარცვულ ქალაქს!
დრილის პეპლები ამშვენებდა,
რითმის რევისოლს.
ძრწოდა აშარი, ქარი გლეჯდა –
სიმორცხვის სლოგანს.
გარემო მოჰგავს, რელიეფის
წვდომის ეპიზოდს.

კერპის სათალო, ამორალო!
საშველად გხიბლავ.
აგონია, არველოდი
მარქმევდა სახელს.
ძველი ხალიჩის, სარეცელზე
ძერწავდა სტრიქონს!
გურანდუხტის ჯვარს!
დაემალა სა,ზანდას სახე.

აშორებულა ამეთვისტომი
ლეოპარდს ველის.
თეთრი აქატი, ბროლის ყელი
აბსტრალი ლაკონს.
მარმარილოზე ეპიტაფია,
მუნჯი ვარ ვმღერი!
სერენადები გიტარაზე
ნუ ღელავ ზღვაო....

* * *

ცხოვრების ესკიზი წვიმა და ქარები.
ხიდის გზას, მისამართს არეულ ნოტებზე,
ცვრის ქალი ნოემბრის, კუნძული კიბეზე:
ცისკარი მოჩანდა, სხეულის მოლბრეტზე.

ზღვა ქარვის, ზურმუხტის ეიერსახება!
ბაღნარებს ყვავილი მინდვრების ყაყაჩო,
ეისკის ნაპირებს, მაყვლის ბუჩქს მწიფობის
ინახავს კრძალვით და შიშველი ვარაზობს.

ღრუბლებში ვარშიყობთ ვუღიმით ერთმანეთს,
მინდვრები მწვანე ყდის, წიგნების ლალია,
დროული როიალს, ვალსების კლავიშებს,
გარმონზე სიყვითლის სამყაროს თვალია !

რომანი კოზირობს; მიყვება ჩურჩულით,
დღეს დილას სერჩუკი აღებდა ნათებას,
ლოყაზე კოცნა და სიწითლის ნამია,
ვტირით და ცრემლები თანდათან ლაგდება.

სალამი სიყვარულს! მაფიცებს დრიოდან.
დოროთეს უბანი შიმშილის ნაყოფი,
ბაღჩაში დეკემბრის სასტიკი ქარია.
ცხოვრება გამხდარა ყოფნა და არყოფნის!

ლამაზი ზღაპარი უხსოვარ დღეიდან,
სონეტი რევანშის ფესტივალს ჩუმდება,
ამ დროის ნახატებს, ამ დღის შემოქმედი,
კოდური ნიშნების ნუგეში ფიცხდება.

მივდივარ ქუჩებში ვაწყდები გრიგალებს,
ჩაუქრო სიმწიფის უღირსი მომენტი,
სასწაულს ველოდი, ცისკენ ხელებს ვიშვერ,
ჩხრიალებს გველი თუ, თმას იშლის მონეტი.

ცხოვრების ესკიზებს უბრალო შაირი,
აირი ჰაერის სიწმინდეს მპირდება.
იყო დღე, იყო დრო და იდგა მოლბერტი;
ზეცა და სამყარო ერთმანეთს ცილდება.

27 : 11 : 2021
ADEISHVILI KOBA

* * *

წამზომი გაჩერდა,
დრო არწევს,მაწუხებს!
დღეების ნისლები
მოვიდა ქარია.
შორეულ მარწუხებს
შერეულ ნამწუხრებს,
ცხოვრება ფილმების
დარბაზის რალია!.

წამზომი გამორთეს;
დრო დღეში გაჩერდა!
ფეთქავდა სისხლი და
მელანის თაღები,
ამინდის ვერხვები,
წყურვილის ყმუილი,
ვიფრქვევი, ვეხები,
ხმაურს ვეგებები.

სამყაროს გამორთეს
წამზომის ფირები!
უტევდა, ციბერპლატს
ისრების არია.
ხელები, წითელი
ფუნჯით მონახატი.
მყვირმალი, პეიზაჟს მელომანია!

სამყაროს აჩუქეს სუნთქვის
დროს გვირგვინი.
შეკრიბეს ჯალათი
ურარდუს ტომიდან!
ბეღელს მიაბარეს
მკერდის სამაჯური,
კრიფავდნენ ყვავილებს,
ნექტარის მოლიდან!

წამწომი მიჩვენებს
შერეულ ხელ, მწიფეს.
ყინავდა ღამეში,;
კედლების ორანჟებს!
გემბანი ირწევა,
ტალღების ესკიზებს.
მებაღე ბაღში,
რწყავს სურათის კოლაჟებს...

ეს ზეცა ნეტავი ვინ
დაყო თანაბრად?!
ამშვენებს წამზომი
დრო ითვლის თავიდან.
პლაზმების მონარეკლს,
ყინულის სარეცელს,
წამზომი აღებდა
მზის რკალის ალიდან!

წამზომი გაჩერდა,
პლანეტა ისვენებს!-
ლღვებოდა ცრემლების
სურვილის ბალიში.
მგლისფერი სალიღარს –
ვენების ადმირალს
ვღელავდი პალიტრა!
ფოთლები ქარიშხლის!
ფერფლი ვარ...

22 : 09 : 2021

* * *

ლურჯად არონი, თეთრი ვარდოს!
ცის სიმფონია.
ნეკერჩხალს, ნეკრესს,
ატმის ნორჩ ყლორტს;
ზურმუხტის საბანს!
ვგრძნობ მეამბორა, ჩამჩურჩულა,
ყვავილო ლომოს!
მაყვლის თვალები ჩუმად მიმზერს;
მიკეცავს ზღაპარს.
მოსაღამოვდა ბინდი შვენის,
საშოვარს ჰილად.
ნისლი ჩამოწვა, ღრუბელმა კი
მთვარე დატოვა.
დედის საშოდან დავიბადეთ!
ნუ გიკვირთ რამე.
პოეზიისთვის განკაცებული
სამომავლო ვარ...!

04.10.2021

ვარდი ოქტომბრის –
ზამბახის ყლორტს ეთამაშება.
სურვილი მეფობს სინანულის
აწყმო ვერდიქტობს.
სიზმრის ფოთლები,
მთვარის, ამურს ეალერსება...
ხმის გაგონებას, მოუსვენრად
ველი ხმების ტონს.

ვეტრფიალები, სიხარულის
მაწვდიან საბანს!
ფიქრის ზეწარი
შემოვიცვი ასე ანაზდად.
გამითამამდა;
ბედნიერი მიყურებს ზეცა,
ჩუმს, მოლოდინი თეთრი ღამე,
დილით დაზამთრდა.

ჩაფიქრებული დავაბიჯებ
სიძვის წიაღში!
მრუშის ბადაგი, ესპერალდა
გამხდარა უშნო,

* * *

ორი თევზი და აკვარიუმი!
ყინვის არხები, ყინავდა სურო.
ტალღებს ჰაერში, შადრევანივით
იმედს ვაყოლებ, არ გამიცრუვოთ!

მოსჩანს ქალწული, აისი მრთელი
მაწვალებს სულის მ ი ს ტ ე რ ი ე ბ ი!
მოდი შევწყვიტეთ, და გავათენოდ
ასპარეზი და ი ს ტ ე რ იები!

ამ ჩემს თვალებში!
დუღს ატმოსფერო,
გეძებდი გპოვე,
გამშვენებს ლანჩა.
უკიდეგანო ოკეანეში
ლამაზისეულ ვერძში,
გ ა ბ ა ხ ჩ დ ა.

გაჩაღდა რული, ორი თევზია.
ორი ჩემოდნით,
თ ა ვ მ ბ რ უ – დამხვევით

* * *

კვაზიმოდოსთვის ჩაუცვიათ
ცრემლის პერანგი!
ამეკვიატა მარტოობის
დიდება უწყლოდ...

დაფნის გვირგვინი გადაურჩა
დუქნის მიკიტნებს!
ლოთებმა დილის პახმელია
აი, მზიანეს,
ტივზე ორღანი შეშლილ რითმებს
აკვნესებს უცხოს.
ვარდის კოკორი ფესტივალში
იაზმნიანებს!

იასამანი გადახვეოდა, ლაქაშებს, ჭაობს"
დუების ლაშქარს!
კალმის კვირტი. ნორჩი ობოლი,
დედამიწაზე მარტოობის დავეძებ ამბორს!
მე და შენ ღმერთო! მე და შენ ქალო!
ასე ორ ორი....
ასე ორ, ორი

30.09.2021

* * *

„ქალი ნამუსი გეძღვნება შენ!“.....

ეს არტერია მაშინ გადარჩა
როცა ნამდვილში მოიხარჩები!

ქადრების ფოთოლს
სამ წამში წყდება!
ნამი წვიმიდან მოვიგერიეთ..,
ეს ზამბახები დამიდნა ხელში!
კ ლ ე ო პ ა ტ რ ა და (დემონს)

ვ დ ო მ ი ნ ე ბ!

უსინათლობა ეხლა დამჩემდა!
დომინოს რიგებს რწყავდა ფოლადი,
ტვია გავლესოთ, გთხოვთ შეავედროთ...
ღრუბელო! ცაში მიჰქრის ვერანდით.

ვგრძნობ ეკალს გულში
ორი თევზია!
ოკეანე და აკვარიუმი,
ეხლა ზეცაში მიწა ეწვია
– ორი ჩემოდნის –
ნ ო ს ტ რ ა დ ა მ უ ს ი

„33 A. K.“

ზეცას ეფინა
ცეცხლის ალები!
ზეცა იწოდა,
ტიროდა მიწა.
იდგა სურვილი
ვნების როლების!
იდგა! ამაყი
ტეხილი წმინდა.

შავი ზონარი! აწეწილ ფიქრებს,
დუღდა სამყარო, ამსხვრევდა ნაპობს!
ჩახერგილიყო შიში ს ი კ ვ დ ი ლ ი ს!
ბედს მინდობილი! ცრემლით ნახატო.

ივსება რკალი
მოგონებების,
მოედანია ბურთი
და მწვანე!
აღელვებული
ტალღები წამის!
ალჟირულ ბებუთს
ცემს მოელვარე!

,ნაწამებს ნაწამს ათასი წუთი!'
ათი დათვლა, და მახე ღობეა!
წვიმის ნიაღვარს ეცემა რკინა,
ელვის სისწრაფით ეთიოპია...

ველური თხილის
ფოთლების მზეში!
ლებანი მცნების
შვიდჯერ სამწყემსო....
ცილი წამესო,
მეუცხოება!.
დახიეს! ტანი
გველის ტრაპეზო!

მხრებზე მეხება წონის ეტაპი,
ბაირაღს ვირჩევ! წითელი ფერი .
წყალში დამქკნარი უფაიადო,
მარილნაკბენი და ფეხშიშველი...

მეკაცურები მხარჯველი ფანტი!
მომხდურყო დიდოს ცოფიან ველზე.
ქოხების ყორყში გურჯების სული.
უბრუნდებოდა ძველ მეპატრონეს.

დაგეშილ ბატონს,
ჩვეული დროშის!
ღიმილი ძუნწი. „33 ტი!“
ვიბრძოდი ძვლები
ნაოხრალია...
განცდები ტირის...
ლექსი ჰამლეტი.

ზეცას ეფინა, ცეცხლის ალები!
ზეცა იწოდა ტიროდა მიწა!
მე პოეზიის იალბუზივით!
ვიდექ ამაყი ტეხილი წმინდა!

26:05:2020

გერმანე საზანოელი

რატომ ან რისთვის
(დიდგორობას)

რატომ ან რისთვის თავს სწირავდნენ მამა პაპანი,
მათ გზას მუქ ფერად დაჰფენოდა მელნის სისველეც,
აუ რამდენჯერ გადახდია ნამუსს საბანი,
კავკასიონიც სულ ცრემლობდა, ღმერთო მიშველე!

რატომ ან რისთვის თავს გვაწონებს დღეს ქუთაია,
ისევ ამდენი წლების შემდეგ გვმოძღვრავს დავითი,
გაზაფხულისაც არ ესმოდა თითქოს ხმა იას,
სხვა რით გველექსოს მეწარსულე, ნეტავ, რა მითით?!.

რატომ ან რისთვის ვულამაზებთ რითმებს ბასიანს,
რატომ ან რისთვის გვეგებება სიწმინდე მტკვარის,
წერდნენ, ხიდებზე ვიღაც რწმენის ითმენს, პასიანსს,
იმ სისხლიან დღეს მდინარეც კი გამხდარა კვარი.

რატომ ან რისთვის შეფერილა წითლად ყაყაჩო,
ზეცის ამაყად დააბიჯებს სიტყვაც კრწანისი!
იმიტომ არა რომ მოგვიჭრეს ფრთები ხარაჩოს
და არც ტანჯვად რომ დაგვფენოდა არეს, წვრთნა ნისლის.

რატომ ან რისთვის დაიწერა დიდი ასპინძა,
რატომ ან რისთვის დაიბადა დიდი ერეკლე,
რატომ ან რისთვის გადაედნო ასჯერ ასი ძმა,
ჩვენი ცხენები რომ ემართა უღვთოდ, მეეკლეს?

ეს ჩვენი მიწაც მარიამის დიდი ნათლული,
უნდა მზეობდეს, უნდა იდგეს, მყარად, მარადჟამს
რატომ ან რისთვის გვიგალობდა, ენა ქართული,
რატომ ან ვისთვის დაწერილა ბრძენი მარაბდა.

ნუთუ იმისთვის რომ მოვიდეს ვიღაც დიდ გონზე
და ჩვენი ტურფა გოგონები მონად აციოს,
შემდეგ ზმორებით შეიგინოს დიად დიდგორზე
და მისი წყალი ფეხნაბანი ქართლმა აქციოს?!

ხედავთ აქ როგორ მზეს გვიხატავს ზეცაც, სხვაგვარად,
აქ გავზარდეთ შოთაც, ვაჟაც, ფუნჯით ფიროსიც,
ნუ გადავცემთ, ქართველიშვილს,უცხოს, ბრმად, გვარად,
მტერი გვყოფნის, ჩრდილისაც და სანაპიროსიც.

სიტყვით ყველასთვის საჭირო ვართ, საქმით, ბრმა ერი,
დაე, მტერმაც კი, ხმალი დაჰკრას, ამ რთულ პარადოქსს,
დაე ჩვენც იქნებ ჩავისუნთქოთ, რწმენის ჰაერი,
დაე გაბრწყინდეს საქართველო, როგორც არასდროს!

დაე აყვავდეს კიდევ ერთხელ თეთრად აპრილიც
და გადნეს ლოდი გულს რომ ადევს მტანჯავ გუნდებად
ვარდების ფეთქვას მზედ დაადგეს სუნთქვაც არილის
მოდის დავითი ქართულ სიტყვის დასაბრუნებლად!

*****

მსურს ვუალერსო სანიაღვრედ ხმის
ეპისტოლეს,
სადაც ლოცავენ სამართლიან პოეტთა მოდგმას,
უცხო სასხლეტით ელდა დავსცე იმ მეფის
ტოლებს,
გზა რომ მივცე აზრის არხში ზვავივით
მომდგარს.
როგორ დავხატო რას განიცდის გლოვაში კაცი,
თან რომ სიამით მოვეფრქვიო შვების სავანედ,
თვით განგებადაც უჩუქნია თოვაში რაც კი,
მის დაყვედრასაც ერთ კვირიან ბნედით
გვავალებს.
დიახ ჭირში, იმ ძნელ ჭირში რასაც ოდესღაც,
ჩვენი საქები ყოვლისმთქმელი თითებიც
ხმობდნენ,
აი ამ თითებს ბედნიერი დღეები ესხათ,
თბილ რჩეულებს კი რა ესმოდათ მითებიც
ხმლობდნენ.
ჭირი ერთია აქ დამრჩენი არის საკითხი,
გულს რომ გტკენენ უხეშებიც, უნებლიებიც,
გეტყვით რომ მესმის ეს დღეებიც არის სხვა
თიხის,
მე ვნახე როგორ ამშვენებდნენ უბნებს იებიც.
ვერც ვიგრძენ როცა, განცდის გულზე შემესო,
ხიწვი,
რომელსაც ალბათ მფარველობდა პოეტი
მხოლოდ,
და თუკი მუდამ თვალი გულთან, ვერსობს და
იწვის
ეუფერულა მოღაჟღაჟედ, ომს მეტი ბოლოც..
სტუმრად ვიყავი მეგობარის გულის ცრემლებზე,
იქ რამდენიმე ჩემი ლექსის მომიხდა თხრობა,
ყველამ დამხატა გულითაც და თვალით,
ცერებზე,
მე კი ლომობას მირჩევნოდა იმ წუთას თხობა.
რადგან მესმოდა რომ ვიყავი ძალიან მცირე
და იქვე ერთი ახლობელიც გულზე გასივდა,
მე მისი ძმობით ვერთვებოდი იმ დიად გმირებს,
რომლებმაც, შემქმნეს, შემომქსოვეს, ნულზე,
გარსს, წინდად.
მთხოვეს რომ ყველგან დამენახა მცირე
წერტილიც,
რომელიც სადღაც დიდ გონებას აპაუზებდა,
უნდა შემეგნო იშვიათად რასაც სწერს ტვინიც,
ეს ნიჭიც ზოგჯერ უნიჭობას აჰყვა მუზებად.
ვიდექ მარტოკა რადგან ვიგრძენ რომ ძმა
მიბღვერდა
და ის სახის ქილიკურმა გასცა ელვარით,
თითქოს ვიწვოდი, მოკიდებულ თუთუნის ღერად,
რომელსაც იქვე მაბოლებდა ყველა მკვლევარი.
მკვლევარნი ფიქრით მიჰყვებოდნენ ბგერის
ყოველ ბოლს,
რომელსაც ღელვად აგზავნიდა ჩემი
სტროფები,
შემდეგ კი ტაში და ალერსი მიპობდა ყოფას
და ჩემი თავიც გაიხლართა თითქოს
ტრფობებში.
გამომაფხიზლა მე ბავშვების ლამაზმა ენამ
და ეს ნათელი დაეფინა აზრებს მარხილით,
კალაპოტს ასცდა ცხელი სისხლი, გაბევრდა
ვენაც
გოგონებმა კი ამიტაცეს გერმოს ძახილით.
ავდექი ფეხზე მანდილოსნებს დავუკარ თავი
მათაც ვუმღერე რომ ვიფერებ ამ რუსფერს,
ერთობ,
ვის არ ხიბლავს სიყვარული და შუკა მთვარის
მეგობარი კი ციდ შავ ღრუბელს ვერც თმობდა,
ვერც თმობს.
კიდევ მახსოვს ახლობელი უბრად წავიდა,
სასჯელი არ ვარ, ვერ შევავსებ ქცევის მე
ოქმებს
ისე კი ვიტყვი რომ დაიწყო სუნთქვამ წვა
რიდად
ვერ შეეგუა ერთ ღარიბულ ცელით,
შემოქმედს.
არ ვფიცავ უხვად მახარებდა ბუმბერაზობა,
თავს მევლებოდა მე მასპინძლის უსულო
დედაც,
ორად ჭიდილის სიბნელიდან წუმპეც
ბრაზობდა,
გულღიაობა დაჰფენოდა უმცროსთა დედანს.
ვსასმისობდი, შენდობა ვთქვი, წასულ დედისა,
ყველამ ჭიქებში ჩავატიეთ ხსოვნა აფრებით,
მე კი უცნაურ გულითა და სულ სხვა ბედისა,
ისევ ზეცას მივაშურე უფრთოდ, თან ფრთებით.
სულ მახსოვდა ცრემლის დღეს რომ უფრო
გაავდრდა,
დიდი დრო კია, ვინახავდი იმ სუფრის ალერსს,
მოდურმა მთვრალმაც გარდაცვლილსაც
რაღაც აკადრა,
ზუსტად ვიცოდი რომ ოდესღაც შევქმნიდი ამ
ლექსს.
მსურს ვუალერსო სანიაღვრედ ხმის
ეპისტოლეს,
სადაც ლოცავენ სამართლიან პოეტთა
მოდგმას,
უცხო სასხლეტით ელდა დავსცე იმ მეფის
ტოლებს,
გზა რომ მივცე აზრის არხში ზვავივით
მომდგარს!

ნინო უძილაური

ნეტავ სად ხარ

ნეტავ სად ხარ,
ჩემს გულს რატომ ენატრები,
იქნებ ფიქრთა გადმოლახე ჯებირები,
გულს მგლეჯენ და
საფლავს თხრიან ჩემი მტრები,
ვიცოცხლებო...
ვერ გპირდები...ვერ გპირდები.

ნეტავ სად ხარ,
ნეტავ თუ გრძნობ რომ მჭირდები,
არ თენდება...უშენობით უკუნია,
ხომ იცი რომ,
ჩემს სიყვარულს შენ გპირდები.
შენ მჭირდები...
კოცნას ვატან ფიქრთა ნიავს.

ნეტავ სად ხარ,
ახლა ისე გვიანია,
სარეცელზე გაწოლილა სევდა კრული,
ასე რატომ,
რატომ დაგიგვიანია,
თვალს ვერ ვხუჭავ,
თვალზე მკოცნის სევდის რული.

ნეტავ სად ხარ,
ნეტავ სად ხარ ჩემო ახლა,
უშენობით
გულს მოუნდა ტყვიის დახლა.

დარდი ქუჩას

მიუყვება დარდი ქუჩას,
გზად ქსოვს ქსელის აბლაბუდას,
თვალი ვისაც გააყოლა,
საგზლად ატანს დარდის გუდას.
ზოგსაც სევდას შემოახვევს,
გატანჯავს და გააწამებს,
სიყვარულს ტანთ შემოახევს,
ძლივს შეკერილ ფარჩის კაბებს.
ატირებს და ცრემლად დაღვრის,
დაუსველებს ხშირ წამწამებს,
თუ შემოგხვდეს, მენდე, არ ღირს,
დარდს ატანდე ოქროს წამებს.

ყველა პოეტი

ყველა პოეტი
უმღერს სიყვარულს სათნოს...
ყველა პოეტს სურს,
გული გაჩუქოს,
დათმოს.
იწვოდეს...
წერდეს...
გეფერებოდეს ლექსად,
პოეტი ყველგან,
ცხოვრობს მუზათა მწყემსად.
აშრიალებულ სტროფებს ალაგებს რიგში,
დამალულ გრძნობებს,
ეძებს..
დაკეტილ სკივრში...
აღარც კალამი ემორჩილება თითებს,
როცა პოეტი,
ზეცას
უხატავს რითმებს.

ფიქრი დამესხა ავი

ფიქრი დამესხა თავს,
ფიქრი გუშინდელ დღის,
ეს ღამე სიკვდილს ჰგავს,
სიცოცხლე მძებნელს გზის.
სახლის იშლება ყორე,
ქვებით ნაშენი მთის,
სული ვიბრალო თორემ,
ცრემლი ისედაც მდის.
ფიქრი დამესხა ავი,
არგათენებულ დღის,
ღამე ჩამოდგა შავი,
სხივი ჩამუქდა მზის.

გმირთა სულები

ისმის ჟღარუნი...
თავგანწირვის ხმა და გოდება,
ბრძოლის ყიჟინა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...
სიცოცხლის მერე,
საუკუნო გარდაცვალება,
როცა გმირებმა უკვდავება უფალს მიანდეს.
აქ ახლაც ფეთქავს
მამულისთვის მაშვრალი გული,
მიწამიყრილი რჩება შიში,
გარდაცვალება,
სამშობლოსათვის შეწირული სიცოცხლე სრული,
მარადისობას უკვდავებად ეალერსება.
ისმის ჟღარუნი...
თავგანწირვის ხმა და სიმღერა,
გმირთა სულები ცას სიმღერით მიედინება...

ფშავლის ქალი

კელაპტრით ხელში, მე, ფშავლის ქალი,
მარად მლოცველი მზისა და მთვარის,
ისე, ვითარცა კლდეები სალი,
ვდგავარ არაგვთან, სიცოცხლით მთვრალი.
თავს დამტრიალებს აჩრდილი ვაჟას,
ამღერებული ვარსკვლავთა ქნარით
და შევციცინებ სამშობლოს ლაჟვარდს,
ჩემთვის სალოცავ მთითა და ბარით.
ვარ ბედნიერი...
თავს ვარსკვლავს ვადრი,
ვერ შემაშინებს ყრანტალი ყვავის!
რადგან ბუნების და უფლის მადლით,
ირგვლივ სიცოცხლე მეფობს და ჰყვავის!

მზე ვინიცის

რამდენ ვარამს ინახავს,
მიწა შენი, ვინ იცის,
წავალ, სევდად გამყვება,
მონატრება ვინიცის.
ხვალ მზე ზეცას მოხატავს,
ნაირ-ნაირ ფერებით,
უკრაინავ, ქართული
გულით მოგეფერები.
სიყვარული ამ ხალხის,
მეფერება მალულად,
ჩემში ეს სიყვარული
უკვე შემოპარულა.

27.06.2021

♥_____

ნეტავ სად ხარ

ნეტავ სად ხარ,
ჩემს გულს რატომ ენატრები,
იქნებ ფიქრთა გადმოლახე ჯებირები,
გულს მგლეჯენ და
საფლავს თხრიან ჩემი მტრები,
ვიცოცხლებო...
ვერ გპირდები...ვერ გპირდები.
ნეტავ სად ხარ,
ნეტავ თუ გრძნობ რომ მჭირდები,
არ თენდება...უშენობით უკუნია,
ხომ იცი რომ,
ჩემს სიყვარულს შენ გპირდები.
შენ მჭირდები...
კოცნას ვატან ფიქრთა ნიავს.
ნეტავ სად ხარ,
ახლა ისე გვიანია,
სარეცელზე გაწოლილა სევდა კრული,
ასე რატომ,
რატომ დაგიგვიანია,
თვალს ვერ ვხუჭავ,
თვალზე მკოცნის სევდის რული.
ნეტავ სად ხარ,
ნეტავ სად ხარ ჩემო ახლა,
უშენობით
გულს მოუნდა ტყვიის დახლა.

სიყვარულის სიმღერა

პატარა ქოხი...
სიყვარული სიცოცხლედ მღერის,
სასახლე დიდი...
უსიცოცხლოდ ილევა ჟამი,
სადაც სიყვარულს დღე და ღამე უწყვეტად ელი,
ჩერდება დრო და ბედნიერი თენდება წამი.
ტრფობა, ალერსი
და სიმშვიდე სულთა ერთობის,
სილაღე თვალთა
და ღიმილი ბაგეს რომ შვენის,
რა ბედენაა ქოხი გაქვს თუ სასახლე თრობის,
მთავარი არის სად ციმციმებს თვალები შველის.
პატარა ქოხი...
სიყვარული სამოსელს ქარგავს,
სრა სასახლეში...
იპარება ცხოვრება მალვით,
ბედნიერება უკვდავების ხესაც იქ დარგავს,
სადაც სიყვარულს სიძულვილი თაყვანს სცემს კრძალვით.

ცაგო აბაშმაძე

* * *

ცისფერ ნისლში ბარბაცებდა ჩუმი სევდა,
ქარს მიჰქონდა უნაზესი ტრფობის განცდა,
კანკალებდა სანთლის ალი მარტოხელა,
განშორებას გავურბოდი და ვერ ამცდა.
მიდიოდა, მიყვებოდა ცრემლის თქეში,
ბებერ ძეწნას ჩემი სევდა ატირებდა,
ღრიალებდა ქარიშხალი ფიქრთა წრეში,
უმისობა იცით? როგორ მაგიჟებდა.
ვერ შევძელი იმ წამების შეჩერება,
ვერ ვუთხარი, დამუნჯებულს არ შემეძლო,
თვალს ვახელ და აჩრდილები მეფერება,
ვერ მოვასწარ, სიყვარული რომ შემეგრძნო.
ჩამოასხი მიკიტანო, რას მდარაჯობ,
იქნებ მკითხო, სევდიანი რატომ ხარო,
იქნებ მკითხო, სასმელს რატომ ვამხანაგობ,
დღეს დავკრძალე სიტყვა ჩემი – მიყვარხარო.
მომაწოდე, შავი ღვინით სავსე თასი,
რას მიყურებ, მე არ მინდა შემიბრალო,
მოდი, შევსვათ მიკიტანო,ჩამოასხი,
არშემდგარი სიყვარულის სადღეგრძელო.

* * *

ვარდზე ჩურჩულია ნამის,
ვარდი სიყვარულით იწვის,
თვალზე მოსდგომია ცრემლი
თუ ეს ამბორია წვიმის.

გული გაუხსნია ცისთვის,
უკვე სურვილებს ვერ მალავს,
ვარდი,სიყვარულით მთვრალი
ჩემი მეგობარი გახლავთ...

* * *

წუხელ ალბათ, ვერ ვიყავი კარგად,
გულის კარი დამრჩენოდა ღიად
და უჩუმრად მოპარული გრძნობა
ჩემზე ეჩურჩულებოდა ნიავს.
რას გაიგებ, ქურდს რა უდევს გულში,
გულს გპარავს და აქეთ ვალსაც გადებს,
სიყვარულის უნაზესი გრძნობა
ქურდია და ჩემში ეჭვებს ბადებს.
გამიტაცა ოცნებებში სადღაც....
ულამაზეს ფერთა გამას მაცნობს...
თავს მევლება.... ფარვანაა თითქოს,
ეშმაკურად მიცინის და ანცობს.

* * *

მე, შენ და წვიმა
ვგიჟობდით იმ დღეს,
სველ ქვაფენილზე
ლაღი სიცილით
ვცეკვავდით ტანგოს
და არა მარტო....
და ამ სიგიჟეს ერქვა
ვნება წრეგადასული...
მორცხვობდა მთვარე,
ნაწვიმარ ტოტებს
ეკვროდა მისი
სველი სხეული...
ბაგეს სწყდებოდა
ალაგ ალაგ
ქურდული კოცნა,
ნაპარავ ამბორს
სდიოდა ვნების
ცეცხლის წივილი..
ჩვენ ვკისკისებდით,
ვტრიალებდით,
ვიწვევდით ამურს...
მე, შენ და წვიმა,
სამი გიჟი,სამი შეშლილი.....

* * *

კიდევ ერთხელ, გთხოვ ჩამხედო თვალებში,
აირეკლოს სულმა შენი სინაზე...
როცა წახვალ.. როცა არ მეყოლები..
დაიოკოს გულმა შმაგი სიბრაზე.
კიდევ ერთხელ, გთხოვ მაკოცე ძვირფასო,
ფერფლად ვიქცე, დამწვას შენმა ამბორმა,
ფერფლიდანაც წამოვდგები იცოდე,
თუნდ წამლეკოს ქარიშხალმა და შტორმმა...
კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ მეწვიე,
ჩემს სიზმრებში განმეორდი თავიდან,
წამიყვანე! ამიტაცე ღრუბლებში!
ყველაფერი რომ დაიწყოს ახლიდან....

* * *

არ მეძინა. ჯვარნაწერი ვიყავ დარდთან,
ზურმუხტისფერ ფარდაგებზე სევდა თრთოდა,
არ შემდგარი პაემანი ცისფერ ლანდთან,
ყაისნაღით ახალ ახალ ფიქრებს ქსოვდა.
ცელქი სიო, მაცდური და საამური
გვირილების ტახტრევანში ნანაობდა,
თავთით მედგა კუბიდონი და ამური,
ვარსკვლავები ლურჯ მთვარესთან ბაასობდა.
ქარს მიჰქონდა სიყვარულის ტკბილი ექო,
რაც გავეცი, უკან აღარ მიბრუნებდა,
სევდანარევ ოცნებებში ჩემი ეგო,
ღრუბლებიდან ალმაცერად მიყურებდა.

* * *

შენ ეხებოდი ჩემს სულს რითმებით
და ყოველ პწკარში თოვდა სინაზე,
იდგა წუთები არდავიწყების
ყველა ლამაზი ქალის ჯინაზე.
შენ მე გიყვარდი ყველაზე უფრო,
მამაკაცური ჟინით და ვნებით...
და ეძლეოდი თავდავიწყებას ....
სტროფებში გრძნობის აფეთქებებით.
მეც მწვავდა შენი ცეცხლის ალები,
გეტრფოდი ჩუმად... ქალური კდემით,
ორივე ერთი მუზის მსახურნი,
ვიწვოდით სიტყვის აბდაუბდებით.
ახლა... ვკითხულობ იმ ძველ ნაწერებს
და სტრიქონები ალდება ისევ,
იმ გაფრენილი წლების სიგიჟე
ისევ საოცარ შეგრძნებებს მისევს .

* * *

გინახიათ სევდისფერი ზეცა?
ნისლი ცრემლად ნაწვეთარი მთაზე,
სიყვარულით გულდამწვარი ძეწნა,
გიყვებოდეს საოცნებო ქალზე....
ვარდისფერად ალანძული დილა,
სიმორცხვისგან თავდახრილი ია,
გინახივარ? გამშრალი და უტყვი,
რადგან ჩემი სიყვარული გქვია.
მკერდაკოკრილ წითელ წითელ ვარდებს,
როგორ კოცნის აბეზარი ქარი,
ვნებიანად როგორ უცქერს სატრფოს
სულ ახლახანს გამომცხვარი ქმარი...
გინახიათ?გახელებულ ტალღებს
სიბრაზისგან მოსდგომოდეთ დუჟი,
ან ტალღებში მოცურავე მთვარეს
თვალით ქამდეს მოტრფიალე ბჟუჟი.
ან ქალებში ხეტიალით დაღლილს
მიეძინოს თქვენს მკლავებში ნიავს,
ვერასოდეს! თქვენ ვერ მნახავთ დაღლილს,
რადგან ჩემი სიყვარული გქვიათ...

* * *

როგორც კვირტები ფეთქდება ატმის,
როცა მზე ახვევს ტრფობის ალებში,
ისე ფეთქდება ჩემში ოცნება
და გაზაფხული მიწვევს ქალებში.
და ქალწულივით თრთიან ფიქრები..
ტუჩზე მადნება მზის ელვარება...
ახლა ნისლებში ჩავიკარგები
აღარაფერი არ მედარდება...
შემომეხვია ყელზე გვირილა,
თავბრუს მახვევს და გრძნობებში მიწვევს,
ქადრის ტოტიდან დაცურდა მთვარე,
თოთო ბავშვივით მკლავებში მიწევს...

* * *

ქარი სამიჯნუროდ ხეებს დაერია,
კოცნის, ეფერება, თავბრუ დაახვია,
ნეტავ მაცოდინა, ამდენ ლამაზმანში,
ქარის არჩეული ქალი, რომელია.

თრთიან,ირხევიან ეჭვებს აყოლილნი,
გული საალერსოდ მაინც გაუღიათ,
მე კი არ მასვენებს ფიქრი, ეშმაკური,
ქარის არჩეული, ნეტავ რომელია?

თითქოს საპასუხოდ ჩემი განაფიქრის,
ქარმა ვაჟკაცურად მხრები შეარხია,
– მე, შენ მიყვარხარო-ყურში მიჩურჩულა,
წვიმის ყელსაბამი ყელზე შემაბნია

* * *

ერთ სულ და ერთ ხორც გაბევრე ჩემში,
ჩაგრგე,გასხურე გრძნობები მწველი,
შენ გაიზარდე, გალაღდი მხრებში,
ვნებით ამივსე სამყარო ვრცელი.
ვეფერებოდი ფესვის ყოველ ნერვს,
ვფხვიერდებოდი შენდა სალხენად,
როგორც თოთო ბავშვს,ყოველ ახალ ნერგს
გრძნობის სიწმინდე ერქვა სახელად.
ჰო,გაიზარდე სამყაროს ხელა
და ჩემი გულის არ გეყო არე,
შენი ჩრდილის ქვეშ ახლა სულ ბნელა,
ვნებებს იოკებს ბებერი მთვარე.
და გამომშრალი, ვით დედამიწა
სულის შრეები უცრემლოდ ტირის,
ცალ ცალად დავრჩით მე, ცა და მიწა,
გავიზიარე სვე მეფე ლირის.

* * *

ღილი შეაწყდა მკერდთან ალიონს
და სურვილისგან დაიწვა ზეცა...
მზემ შემოეხვია მკლავი ამბიონს
ჩაიხუტა და მიუალერსა...
დღეა ისეთი ნაზი და მშვიდი,
ცაა ისეთი ლურჯი და წმინდა!
რომ არაფერზე არ მინდა ფიქრი,
მე მხოლოდ ცაში აფრენა მინდა!
მინდა ღრუბელი მეფინოს ლურჯი
და მზე მიწვავდეს ალისფრად სახეს...
ხელში მეჭიროს ვეება ფუნჯი
ვხატავდე ჩემი ოცნების მხარეს.
მინდა ვიწვნიო მზის ცხელი სუნთქვა,
ღრუბლის მანდილი მთვარემ მოქარგოს..
გვირილას ვიხმობ, სურვილს ჩავუთქვამ,
რომ სიყვარული ღმერთმა მომმადლოს.

* * *

მიყვარს სითეთრე იანვრის დღეთა,
ციდან ფარფატით ფრიალი ფიფქის,
უსპეტაკესი პალიტრა ფერთა
და ოცნებებში ნავარდი ფიქრის.
გარინდებული სამყაროს რიტმი,
თვალისმომჭრელი არილი სხივთა,
გახშირებული სუნთქვა და რითმი,
ქარს აყოლილი ფრიალი ზილფთა.
ფიფქის ნაკოცნი მიყვარს ტუჩები,
და მომნუსხველი,თამამი მზერა,
თოვლის ნამქერში ვქრები ოცნებით
და შენთან ერთად ლაჟვარდებს ვსერავ...

* * *

ცა მოიღრუბლა, ალბათ ისევ იწყება თოვა,
შენს ნაფეხურებს გადაფარავს ფიფქების ფრენა,
ვდგევარ სარკმელთან, ვიმედოვნებ, ,,ის ისევ მოვა",
აჭიკჭიკდება სიყვარულის ლამაზი ენა.
კარს შემომიღებ, დათოვლილ მხრებს გულში ჩავიკრავ,
ტუჩზე შერჩენილ თოვლის ფიფქებს კოცნით დაგიშრობ,
ცრემლიან თვალებს დავმალავ და ღიმილს ავიკრავ...
შენმა ამბორმა გულის ყინვა უმალ დამიზრო.
დაიწყო თოვა. ჩემს სარკმელთან ფიფქთა მეჯლისი,
ვტრიალებ წრეში,მუსიკის ხმას მივყავარ ცაში...
,,ის დაბრუნდება !" გაბრწყინდება ჩემი მერმისი...
,,ტკბილი ოცნების " სურნელება იღვრება სახლში.....

* * *

შორს...ცის კიდურზე ღრუბლებს ზემოთ
თეთრი ხომალდი მძიმედ მიცურავს....
მიგუგუნებს მონოტონურად... დაბლა კი....
ღრუბლებს გაუშლიათ თეთრი კარვები
და სადღეგრძელოს მთავაზობენ მამაპაპურად.
ასე მგონია ცის წიაღში ვიპოვე ბინა და
ლაჟვარდებში სეირნობა ჩემი ჰობია....
აქ, სამოსახლოდ ამოვირჩევ ერთ მცირე ღრუბელს
და დავსახლდები მზესთან ახლოს, ასე სჯობია.
რძისფერ ნისლებში ჩავიშლები ნატვრის
მძივებად და მარცვალ მარცვალ
ამკრიფავენ ცელქი ღრუბლები...
ერთს ვაჟკაცურად შემოვძახებ ,,ხასანბეგურას"
და გეფიცებით ისევ უკან დაგიბრუნდებით.....

* * *

ზოგჯერ მარტივით შევიშლები, მარტივით გიჟი,
და გრიგალივით მოვედები უძღებ სამყაროს...
ფეხქვეშ გავიგებ ხეებიდან ასხლეტილ ფოთლებს
რომ მერე ქუჩის გუბეებში მივყარ-მოვყარო.
ზოგჯერ ნამივით დავაცხრები ვარდის ბაგეებს,
გრძნობებს ავუშლი, ავაღელვებ სათუთ ღიღილოს,
დიახ, ქარი ვარ, სიყვარულით დამთვრალი ქარი,
ნება მომეცით ,ჩემებურად წავიღიღინო.
მე თუ ქალი ვარ,ჩემებურად, ნაზად მიყვარხარ,
თვალთა უპეებს შევაფარე ობოლი ცრემლი,
ახლა შეფარვით, ჩუმად გიმზერ ცისფერთვალიანს....
ნახატს ვამთავრებ...სურათია ჯერ კიდევ სველი...

ლეილა ვადაჭკორია

იკმარე ცოდვა

მე ამ პატარა მიწის შვილი ვარ
უფლის განგებით გადარჩენილი,
გულს რატომ მაცლი მკერდში რომ ფეთქავს
მერიდიანებს გადაწვდენილი.
რად გეცოტავა უსაზღვრო სივრცე,
ან დედამიწა ასე რად ბორგავს?
აკმარე ჯვარცმულს სისხლი და ცრემლი
იკმარე ცოდვა ადამის მოდგმავ.
დიდი ხანია გაორებული
ნდობა არ ნდობის საკითხს ვუნდები,
საით დაჰბერე მშვიდობის ზენავ,
მაჯებზე რატომ მადევს ხუნდები.
ისევ შემიპყრობს ეიფორია
ვიღაცა საცდურს დაუშვებს მაღლით
და მიკვირს მთვარეს ასე უმანკოს
გაავებული რად უყეფს ძაღლი.
ნუთუ მშვიდობა ასე ძნელია
ვინ ჩაურაზა სიმშვიდეს კარი,
დანაღმულ მინდორს მივწვდი ლელიანს
და მერე ცისკენ გამექცა თვალი.

***

ღმერთმა ჩემი მომახმაროს
არაფერი არ მშურს სხვისი,
ერთი, იმდენი კი მომცა
რომ მივაგო ყველას მისი.
გასაცემი თუ მაქვს რამე
გავცემ, არ შემოვდებ სხვენში
დაღვინება მოვასწრო და
მერე შემსვან ყველამ პეშვით.

მითხარ ახალი

წარსულის მუდამ თან გვდევს აჩრდილი
დიდებული და სირცხვილნაქამიც,
აქაც ხომ იდგა ადრე ბერმუხა
ნასისხლარი და ნაჭარმაგარი.
გვყავდა დავითი, გვყავდა თამარი,
ხედავ? გიყვები ისევ თავიდან,
ცოტნე გვყავდა და მღვდელი თევდორე
თუმცა რამდენი ხანი გავიდა.
ახლა მითხარი შვილო ახალი ,
რომ საამაყოს აწმყოსაც გავხდით,
გავუძლებთ ქვეყნად ყველა განსაცდელს
მაინც ვერ გვნახავს მტერი თავდახრილს.
ჩვენში ერთგული არ დაილევა
მამულს რომელიც დააჩენს კვალს და
იტყვიან რომ ჩვენ საუკუნეში
რა ღირსეული შვილები გვყავდა.

ქარტეხილს გამოვექეცი

ქარტეხილს გამოვექეცი
ნისლო შენ როგორ დამამცრობ,
შენგან ცრემლების დენას სჯობს
ისევ მზის სხივმა დამნაცროს.
წავალ ვაზს ცრემლი შევუშრო,
ყანას დავუწნა ფოჩები,
თორემ შენ ქარო მუქარას
ხომ არასოდეს მორჩები.

მადლი წეოდეს

სულ არ ველოდი
მტრედისფერ ღამეს
ისე მოჯარდა ცაზე
ღრუბლები,
ამობრიალდა მაინც
მთვარე და ...
გადაანათა ხოდაბუნები.
მადლი წეოდეს
ჩემს საქართველოს,
დაამებოდეს ყველა
წყლულები.

ერთსულოვნება

ისევ შრიალებს ფოთლები
ნაცნობი ბებერ ჭადრების,
აქ სილამაზე ზეიმობს
ჩუქურთმების და თაღების.
წამომეშალა ფიქრები
რამდენი რამ გვაქვს სათქმელი,
კვლავ მიცოცხლდება დღეები
მზის სხივებივით ნათლი.

თავისუფლების წყურვილით
ღირსებით სავსე ქართველებს,
გული ერთ რიტმში გვიცემდა
რამდენი ღამე ვათენეთ.
სად გაქრა ერთსულოვნება
ღმერთო გთხოვ, ისევ გვაღირსე,
მუხლმოდრეკილი შემოგთხოვ
თითებზე სანთლებს დაგინთებ.

მაპატიე, რომ შეგხვდი

მოქუფრულია ცა და
ნისლმა შებურა მთები,
ვეღარ გაგიფანტე ჯანღი
ვერ გაგინათე გზები.
მე ბედი მერგო მძიმე
შენ კი სულ სხვა ხარ ლაღი,
ვეღარ გიყურებ მშვიდად
ჩემი სიმძიმით დაღლილს.
იფრინე მაღლა ლაღად,
მაპატიე, რომ შეგხვდი
ვერ შეგიკვეცავ ფრთებს და
ვერ დაგამწუხრებ ჩემთვის.

***

ხიდს იქით ბარიკადები
ჩვენი გამყოფი ზოლი,
რამდენჯერ მქონდა ზმანება
შენი ხმაც მესმა შორით.
ხიდს აქეთ ვდგავარ უძლური
თვალი რომ მოგკრა ვნატრობ,
ხელი რომ დამიქნიო და
რომ გამიღიმო მარტო.

***

ისტორიას შეფარებულს
მივუტევე გადამთიელს,
ჩემო სისხლო
შენ კი ღალატს
ვერასოდეს გაპატიებ.

***

„უნახავმა რა ნახაო“
მართლაც,
ვერ ვუჯერებ თვალებს,
თავმდაბლობით ამოიცნობ
ღირსეულ კაცს
გენაცვალე.

მანანა სამყურაშვილი

ვარდმა დაიყვავილა...

შეღამების პირს მთვარე ცის
თაღზე უხმოდ წამოჯდა,
ღრუბლის თვალთაგან ნაბნევი ლურჯი
კენჭები გამიზნადა ჩემსკენ ისროდა.
მზე კი შურისგან გაორებული,
დალალებს ზეცას აფენდა,
ეგონა სატრფოს ჰკარგავდა,
თვალთაგან ცრემლი სდიოდა.
მთვარეს მე გვიან მივუხვდი,
ღამეს ჩემთვის რომ ათევდა,
ღრუბელთა გულებს ჟინისგან,
ორივე ხელით არღვევდა.
მე დავასრულე ჩემი მისია,
რადგან ეს გული უკვე სხვისია,
შვილთა ტრფობისთვის გავანახევრე,
შვილიშვილისთვის?! – სრულად მისია!..
მე, კი ვარ ახლა, ისე ვით,
ყინვისქვეშ ნამძინარევი მთის ია,
გულზე საკინძე ჩაძენძილს
შესწყდა მკერდს, ოქროს ღილია.
დასრულდა,ვარდმა დაიყვავილა,
ცრემლის არა აქვს რიდია,
ძველი სიტურფე შემოსძარცვია,
მაინც დგას, მეტად მშვიდია.
კურცხალ-კურცხალი ცრემლები,
ყელს შენაბნევი მძივია,
ელვარებს,ვითა ნატიფი,
მზისთვალთ ნაბნევი სხივია.

მურას შეხეთ...

ნისლის კაბა შევუკერე
დილას,ჩუმად ბანზე მჯდარა,
მისსა გვერდით მურა იჯდა
მას თვალები გაებხადრა.

სევდის წვეთი ჩამოდნა და
თითქოს გულზე ჩამოევლო,
ცად კამარა შეკრა უმალ,
სურდა ყირა გადაევლო.

დილა შეცბა,შეიშმუშნა,
სევდისფერი კაბის ბოლო
მან ფეხებთან შემოკეცა,
მურიამ კი ორი ყური
თვალებსშუა ჩამოკეცა.

შეუღრინა წვიმის წვეთებს,
გულზე რატომ ეცემოდა,
აიწია თათებზე და
წვეთს ჰაერში ეწეოდა.

დილა მეტად მოწყენილი,
მურას თვალზე შეაჩერდა,
გაუკვირდა ორივ თვალზე
ხალები რად გასჩენოდა.

პატარა და ასე ნაზი
წვეთს ჰაერში ეწეოდა,
წკარა-წკურით წვიმის წვეთი
მურას ტუჩზე ეცემოდა.

შემოფრინდა ბანზე ჩიტი,
ჯერ ჭიკჭიკით გადაჯერდა,
მერე ნისკარტის წვეროთი
წვიმის წვეთის სმას დაჯერდა.

წვიმის წვეთი რიგ-რიგობით
ფრთებზე ნაზად გადიყარა,
ფრთა-ფრთაზე რომ შემოარტყა
წვეთები შორს გადაყარა.

გაიბანა ორივ ფრთა და
გაიბანა მან ნისკარტი,
მურას შეხეთ, უყურებდა,
გადაედო ეს აზარტი.

გამოსწია ორივ თათი,
წვიმის წვეთით გადიბანა,
მერე თავზე ჩამოისვა
და ტუჩები მოიბანა.

ჩემო კალამო!..

ჩემო კალამო, აღარ გასვენებ,
ატყობ? არასდროს თავს არ განებებ?!
არ მინდა მარტოდ მიგაგდო სადმე,
არ დააშავო უჩემოდ რამე.
არ გაათენო უჩემოდ ღამე,
სადღაც ბნელ ხევში არ დარჩე სადმე,
მერე, ხომ იცი,შემოვადნებით, შენს გამო
თავებს გავწირავთ, მე და ღამე.
თვალზე ავანთებ ათინათებს და
მთვარის ბუხართან გადავშლი დავთრებს,
იქ ვინ მომიტანს ძვირფასს და
შემოვილაგებ ღრუბელთა სკამებს.
შემოვისახლებ სულში ვარსკვლავებს,
განთიადისას ავანთებ სანთელს,
ცისკრის ვარსკვლავი გადმოდგება და
ის იტყვის კარგად,ჩემს ძლიერ სათქმელს...
ჩემო კალამო! აღარ გასვენებ,
შემომათენდა ეს ბნელი ღამე,
ყოველ წუთს სულში ჩამკიჟინებს და
ხშირად მახსენებს, დაწერე რამე!..
მივმართო? ნეტავ,ვის რით მივმართო?!
მთვარეს ერევა გახრწნილი გული,
ჩამომჯდარია ცის კიდეზე და ცოდვისგან
გაჩენილი აქვს უკურნი წყლული.
მთვარეულია,აღარ ისვენებს,
დაბნეული აქვს გონი და სული,
ხელებს ირტყავს და თავადვე უნდა,
ამოიცალის მკერდიდან გული.
ჩემო კალამო! აღარ გასვენებ...
მზის ბუხარში მაქვს შედგმული კერძი,
განა უბრალო კი არ დავკალი,
მთვარეს დავუკალ მე, ოქროს ვერძი.
მზეც მელოდება, გათენებისას
უნდა ჩავაგდოთ ხნულებში თესლი,
გამიზნულია, მამულს ვაცილოთ შური და გესლი
რომ კვლავ ძლიერი აღმოვაცენოთ მომავლის ფესვი.
ჩემო კალამო! არ დამემდურო!..
შენით მიფეთქავს სიცოცხლე მკერდში,
უნდა მედგე და უნდა მალხინო,
მეამაყება რომ მყავხარ გვერდში.

მე და მთვარე...

ქარს გავყე,ზეცად ავიჭერ,
ვარსკვლავთა ვთვალე წყებაო,
ელვარებისგან გავბრუვდი,
სულის ვიხილე შვებაო.
მთვარემან ტრფობისა ნიშნად
მწარე ცრემლები ღვარაო,
ნაწამებს,ცის ლურჯ ტატნობზე,
რა დარდი შეეყარაო?!
ცის ხალიჩაზე გაგორდა,
სხივი უხვადა შალაო,
გულზე დაირტყა ხელი და
შეჰყვირა, ასე რამ დააქალაო?!
მოვიდა, მძივი მომიძღვნა,
ლალის, ალმასის თვალაო,
ო, რა ძვირფასი ზარდახშა
ჩემს თვალწინ გადაშალაო.
გახარებულმა ძლიერად,
რა დარდი გადაყარაო?!
ძვირფას-ძვირფასი მძივები
ხელში რომ ჩამითვალაო!..
სიტყვა შევკადრე, მთვარეო!
ცრემლის ზღვა ჩამოღვარეო,
ქარს ჩემი თავი წაართვი,
გვერდზე არ გამაკარეო.
ზარდახშა გახსენ ძვირფასი,
გაშალე,იაგუნდი და ლალიო,
სიყვარულის ბუშტი გასკდა,
ჩემს თვალწინ გადმოცალეო.
მთვარეს ცრემლები მოადგა,
რული არა მაქვს თვალზეო,
ვარდებს რაფაზე გიწყობდი,
სხივი გიშალე კარზეო,
შენკი გხედავ რომ ქალაო,
ურცხვად გამცვალე ქარზეო.
რამდენი ღამე ვათიე,
შენს ეზო, სახლის კარზეო,
შენკი უგულოდ დამტოვე,
გულს ნანთებ ცეცხლის ალზეო.
ვარსკვლავებს შეუკიჟინა,
მოდით! ჯვარს ვიწერ ქალზეო!
სანამ წავიდა, გამცვალა,
ცად მონავარდე ქარზეო.

მარწყვის ფერია...

დილით მზე ვხატე, საღამოს მთვარე.
ახლა გავაღებ ჩემს გულის კარებს,
არ შეიშმუშნოთ, არ გამეცალოთ,
მე მოგიხატავთ წამწამებს,თვალებს.
თუ გინდ თერძადაც ვიქცევი უმალ,
შეგიკერავთ და მოგიქსოვთ კაბას.
რომელს ისურვებთ, ტყისფერ ფარჩას თუ
გვირილის თეთრი ფრთილების კაბას?
ბაბთა მზისფერი სხივით ჩავქარგოთ,
ყაყაჩოსფერი კაბის ბოლოზე,
მისებრ ვაბნიოთ შავი ხალები,
გამოგაყოლონ მზერით თვალები.
იქნებდა ვარდის ფერი ინებოთ,
ან ჟოლოს ფერი, მალინის ფერი,
ბროწეულის ხომ ნაზი ფერია?
მწიფე თუთის ფერს რა შეედრება,
მას დამშვენებს თეთრი არშია.
ჩამოგითვალე, შენ აარჩიე,
ულამაზესო ჩემო ფერია.
მოდი ბოსტანში გადავიხედოთ,
იქნებ იქ არის შენი ფერია.
რეჰანს ამშვენებს მუქი ხალები,
სუსამბარი ხომ გრძნობის ფერია.
ისე გასჩერდი უმალ მიგიხვდი,
შენი ფერი ხომ მარწყვისფერია.
კაბა შევკერეთ მეტად ლამაზი,
წელს ზევით მარწყვის ფერია,
წელს ქვევით უღრან ტყის ფერზე
მალინის ფერი ერია.

მაშინ დარჩი დობილიო...

ლექსებსა ვწერ დამიჯერეთ
უჩუმრად და მალვითაო,
მერე გულში ვინახავ და
ვეფერები კრძალვითაო.
ჩამოვაგდებ ჩუმად ცრემლებს
დავინამავ თვალებსაო,
ლექსით ტრფობა ავიჩემე,
ვეტრფი ლამაზმანებსაო.
ლექსი ვწერე ჩემი კალმით,
მაღლით უფლის მადლითაო,
ქალო ნეტავ რას ფრიალობ
შროშანის ფერ კაბითაო.
შემოხვედი,სულს მაფრქვიე,
სურნელება ვარდისაო,
გულში სხივად შემოიჭერ
ვით, ნაშობი ცად მზისაო.
მთვარის ასულს ვერ შეგგკადრე,
ცად გუმბათზე დადიხარო?!
შორით გიმზერ დავდნი ლამის,
ჩემი გულის დარდი ხარო!
როგორ მინდა ახლოს ვნახო
ცა,ვარსკვლავთა მშობელიო,
მზის ასულზე ჯვარს დავიწერ,
ჩემთვისაა შობილიო.
თუ ცოლად არ გამომყვება
მაშინ დარჩეს დობილიო.

ნისლმა დანამა...
წუთისოფელი....

შემოდგომისფრად ყვავის ფერები,
სიოც ნაბერი წააგავს ერთობ,
ნისლმა დანამა თვალთა უპედა
არ ვეპუები,სულს მაინც ვაწრთობ.

გულს შევუსახლე სიყვარული და
სულს ვაკეკლუცებ,ვღიღინებ,ვართობ,
ადამიანებს განურჩევლად,
ვანუგეშებდა სიტყვანაკაზმით ვამკობ.

მზისფერი დილა როს გათენდება,
გინდაც ისმოდეს ღრუბელთა ჯავრი,
ხელაბყრობილი ზეცაში ვეძებ
მიჭირავს ქრისტეს ნატანჯი ჯვარი.

ვეძებ და სადმე თუ მომესმება,
ანგელოზებთა გაისმის კრება,
მაშინ სიტყვები დალაგდებიან,
უფალთან მიდიან წყება-წყება.

უპირველესი ნატვრაა ჩემგან...
ჩემი სამშობლო,მისი შენება,
ოდეს ნეტავი ვეღირსებოდე,
საქართველო როს დამშვენდება.

მეორე,ოჯახია და შვილთა სიმრავლე,
ჩემო სამშობლოვ! რა ბედენაა,
ფესვი თუ გახმა,თუ არ ვიმრავლე,
ნუ გამაქრობ და არ მომსრა ქვეყნად!
უხდება მამულს ფესვთა სიმრავლე.

მამულს უმრავლე მოკეთე ყველგან,
ამისთვის ვიცი,რა არის ჩვემგან...
უნდა ავაწყოთ სულის სიმები,
გავაცისკროვნოთ თვალთა სხივები.

აკვანში ჩვილი სულ მიხმიანე,
მისსა გარშემო მეც მატრიალო,
ხახადაღებულ დედამიწაზე,სულ
ცოტა, ასი წელი მსურს მატრიალო.

მერე თუ გინდა ჩემი დღეები
სულ ერთნაირად გაატიალე,
რა ბედენაა,რაღას გავიგებ,ცოდვითსავსე
დედამიწა რომელ მხარეს დაატრიალე.

ირმა სარაული

მადროვე უფალო!

~~~~~~~~~~~~~~~~

ცხოვრება მღალატობს, დამცინის შორიდან,
მე ვტირი, ის ცეკვავს ლეკურს და ბაღდადურს,
გამარტდა – ატმებმა დახეთქეს კვირტები,
სილაღე შეეტყო მშვენიერ გაზაფხულს.
ხეებმა ჩაიცვეს ზაფხულის სამოსი,
მერცხლები ბუდისთვის ქიკ-ქიკით ზრუნავენ,
გედები ქალწულის ნარ-ნარი სინაზით,
ლურჯი ტბის სიღრმისკენ ფარფატით ცურავენ.
იღვიძებს ბუნება, ზაფხულის ლოდინში
კოპწიობს მარტი და ზაფხულს ეპრანჭება,
ჩემს გულში ზამთარმა დათოვა რატომაღაც
სულმკვდარი სხეული სადაღაც მეკარგება.
სადა ხარ იღბალო, მხარი შემაშველე,
მოდი, რომ დაგეყრდნო მაგ მხარზე
დაღლილი,
ხანძარი, გულში რომ მიფერფლავს ოცნებას
ჩამიქრე ღრუბელო – არაა ადვილი.
თუ შევძლებ, დავდგები მტირალა ტირიფთან
ორივეს საკმაოდ გვქონია საერთო,
მიხსენი უფალო, მაშორე განსაცდელს,
ვნატრობდი ტაძარაში სანთლები დამენთო.
ვტირივარ უცრემლოდ, უჩუმრად, მალულად!!!
ჩემს სულში ნაგროვი არ მინდა გავშალო,
მადროვე უფალო და ჩემი სახელი
უთქმელად, უდროოდ არასროს წაშალო...
გაშმაგდა ღრუბელი, იწყვეტავს ბორკილებს,
დახეულ კაბიდან ცრემლები მოწვეთავს,
დავდგები წვიმაში, გაშლილი ხელებით,
ჩემს დარდებს წვიმა და ღრუბელი მოხვეტავს

~~~~~~~~~~~~~~~~

დედა ერთიაო !

~~~~~~~~~~~~~~~~~

დედა ერთიაო, დედა ღმერთიაო,
დედა ხატიაო, ფეხზე მოარული,
ჰოდა დაუჩოქეთ, მუხლზე მოეხვიეთ,
ფეხქვეშ დაუფინეთ თქვენი სიყვარული.
დედა ერთიაო, დედას ვერ აირჩევ,
ანდა არჩევანი განა გინატრია?!
ნუთუ მისი სუნთქვა ყურთან როცა გესმის,
უცხოდ გეჩვენა და აღარ გიხარია?!
დედა ხმალიაო, დედა ფარიაო,
შვილს თუ დაჭირდება, ვეფხვი და აფთარი!
სიცხემ შეგაწუხა? – ანკარა წყალიაო,
ცივი ქარიაო და მკაცრი ზამთარი.
დევის ძალა აქვსო შვილს თუ გაუჭირდა,
წარბს არ შეიხრისო, მთებსაც გადადგამსო,
დედა გახარებულს თუკი დაგინახავს,
ცაში აფრინდება, ფეხს არ დაადგამსო.
გცივა? – დედის მკერდი თბილად ჩაგიხუტებს,
გტკივა? – შენს ტკივილებს წამლად დაედება,
დედა სანთელია შენთვის დანთებული,
დედის სიყვარულს ხომ ჟანგი არ ედება.
ფერი არა აქვს და ვერსად ვერ აწონი,
შენს წინ ფეხზე მდგომი დედა – უფალია!
შენი თბილი სიტყვა უღირს მილიონი,
შენი გაღიმება გწამდეს, უხარია.
დედა ლოცვაა და თავად სალოცავი,
დედა წმინდანია, დედა სიძლიერე,
დედა რომ დაგყვება ფარულ ნაბიჯებით,
მიტომ ამაღლდი და მიტომ იძლიერე.
დედა ერთიაო, დედა ღმერთიაო,
დედა ანგელოზი – ფეხზე მოარული,
– სანამ ცოცხალია, სანამ შეგიძლიათ,
ფეხქვეშ გაუფინეთ თქვენი სიყვარული!

რამდენი წლის ხარ?

~~~~~~~~~~~~~~~

სულ მზე უცინისო ლამაზ თვალებში,
ხშირად უკითხავთო საიდან, ვინ ხარ?
ასაკსაც მალავსო ანცი გამოხედვით,
რამდენი წლის ხარ, რამდენი წლის ხარ?
ქალი მეწყერი, ქალი ატომი,
საოცრებათა სამეფოს მკვიდრი,
ხან ზეაფრენილს ხატავს ბუნება,
ხან მუნჯია და ზომაზე მშვიდი.
ხან მებრძოლია, გააფთრებული,
ხან ანგელოზის ასხია ფრთები,
ბავშვია ზოგჯერ და ბავშვზე მეტი,
ხანაც უმზერ და უღვინოდ თვრები.
რამდენი წლის ხარ, უკითხავთ ბევრჯერ,
უთქვამს ევა ვარ, ადამის მოდგმის,
ქალი ვარ ბრძენი და თან ძლიერი,
არ მეშინია ხან ქედის მოხრის.
საოცარია მისი ბუნება
ბევრჯერ გაოცდნენ, ეს ქალი ვის გავს?
ვერც რომ ასაკი ვერ დაადგინეს,
კიდევ უკითხავთ, რამდენი წლის ხარ?
წლებს რატო მითვლით, ციფრია მხოლოდ,
უთქვამს, ასაკი გატყუებთ ხშირად,
გული თუ მიცემს ცხრამეტი წლისა,
წლების გადათვლა არ მიღირს ჩირად.
ქალი ვარ, მხოლოდ სიცოცხლით სავსე
და კომპლიმენტი არ გსურს რომ მითხრა?
სულში ჩამხედე, თუ გინდა მიხვდე -
რამდენი წლის ვარ?
რამდენიც მინდა.
იმდენი წლის ვარ, ჩემს გულს რომ უნდა,
რამდენსაც მაცლის უფალი, ღმერთი.
სანამ ხალისი ტრიალებს მკერდში,
ასაკი ჩემს სულს ვერაფრით შეცვლის.

~~~~~~~~~~~~~

ვერაზე, ლურჯ მონასტერში
უფრთო არწივი წევს,
დადუმებული სამყარო
ცრემლით უსველებს წვერს.
ხმა, უტეხი და ძლიერი
ვაგლახ რომ ვეღარ ჟღერს,
არწივის გარდაცვალება,
დაამწუხრებსო ბევრს.
ზღვა სიყვარული აგროვა,
ცრემლის მოიმკო ზღვა,
სიკვდილს კარები გაუღო,
იქნებ ეგონა სხვა.
იქნებ ფიქრობდა, დამინდობს,
სიმთვრალეს ვეტყვი მას,
თუ არა, ერთსაც ვუმღერებ,
მერე რაც უნდა ქნას.
ენდო და ვაგლახ, ღალატი
სიკვდილს წესად რომ აქვს,
არ აპატია კარგობა
და აამაღლა ცას.
სიკვდილსაც იღბალი უნდა,
თუ კი უყვარხარ ხალხს,
მისთვის დაღვრილი ცრემლები,
ღრუბლად დაფარავს ცას.
გადაინაცვლა იმერში,
შვილი გაუღებს კარს,
"მოვედი, მამის ნატრულო"
-ალბათ აპირებს თქმას.
სიკვდილთან ზავი დადოო,
მას ხომ სიკვდილიც სწამს,
ამდენ სიყვარულს თუ იმკი,
რაღას ინატრებ სხვას.
სახელოვანი სიკვდილი
ბედის განგება არს
წავიდა, სიკვდილ – სიცოცხლის
საზღვარზე ავლებს ზღვარს.

~~~~~~~~~~~~~

(უავტოროდ ნუ აზიარებთ)

კარი გამიღე, ფართოდ გამიღე,
ნუთუ ვერ მიცან, ეს მე ვარ ბელა!
ცრემლის ხალიჩა ფეხქვეშ გამიგეთ,
ხელი ჩამკიდეთ, ძალიან ბნელა.
მცივა, გამათბეთ, ჩამიკართ მკერდში
მონატრებული მომაქვს სხეული,
იმქვეყნიური საწუთროს მკვიდრი
მოვედი, ნატვრის დღედაქცეული.
კარი გამიღე, არ ვარ წამსვლელი,
მე ჩემს სიყვარულს გამოვყევ კვალში,
ჩემი სიცოცხლის ყოველი წამი
დავასამარე მომაკვდავ ქალში.
დღეებს ვითვლიდი, ვითვლიდი წამებს,
შენთან შეხვედრა ოცნებად მქონდა,
ჩემთვის ზამთარი იყო მუდმივად,
რადგანაც გულში უშენოდ თოვდა.
გადაიდარებს მეგონა როცა,
ბუნებამ იწყო ვარსკვლავთა ცვენა,
საიქიოს კარს მოადგა ყველა
ვიმც კი მიყვარდა... გამიქრა რწმენა.
მეც წამოვედი, რა დამრჩენია,
დედამიწაზე დავრჩი ეული,
კარი გამიღეთ, სიას ვაკლივარ
მოვედი, თქვენსკენ გამოქცეული.
ჰოდა მოვედი, ასრულდა ნატვრა,
მე უშენობით იქ ვიყავ მკვდარი,
გამიღე კარი, სინათლე ჩაქრა,
აქ მელოდიები ოცნების ქალი.
კარი გამიღე, მაგვიანდება,
აქ ჩემი საძმო სუფრასთან მიცდის,
ხელი ჩამკიდე, სიცოცხლე მტკივა,
გულზე მაწვება სიმძიმე მიწის

ნიკა ფუხაშვილი

* * *

ფოთლები, ფოთლები, ფოთლები,
ტყის ბოლოს ისმის ძაღლის ყეფა,
ბოთლები, ბოთლები, ბოთლები,
გამოვცალე წამიხდა სულ ყველა
ნება,აქ არავინ ხართ ბრძენი!
რა მჭირს? ნუთუ ეს ფილოგინია ანდა
გინოფობია,მიდის უგზო უკვლოდ დღენი,
ტყის სიბნელეში მოგზაურობა? ეს ხო უბრალოდ
ჰობია,მე მარტოსული დავდივარ უცხოდ,
აქ ისევ სიჩუმეა ბნელი ღამე,
გათენებისას შენს ფიქრებს გავივლი
უხმოდ,სანამ დამიტირებს მთვარე,
მთვარიანი ღამეა და გონებას ბინდავს,
აღარაფერს განვიცდი აღარაფერს
ვდარდობ,აღარც შენს მკერდზე
ფანტელები მხიბლავს,ახლა მხოლოდ
მარტოობას ვლამობ,
ქალი, ქალი, ქალი,
არაფრის მთქმელ სიტყვებს
მაყრიან,ფლიდი, ფლიდი, ფლიდი,
ჩემგან ტყეში მგლებიც კი გარბიან,
მევარ ის ვინც ყველა ფურცელს
დახევს მხდლობის გზაზე
დამდგარხარ ისევ, მევარ ის ვინც
მთვარიან ღამეს დალევს,რადგან ეს
მთვარე მხოლოდ მე მისმენს,
კაცობრიობავ, საზარელო და სატანჯველო,
ვისთვის ბედნიერებავ ვისთვის
სადარდელო,ამ ბნელ ღამეს მე მომკლეს
ნამდვილად, ბოლო მომიღეს მარტივად,
ყველა ქალი თავის
ტკივილია,გაუშვი და გაწიე ფარდები
და მიხვდები რომ ყველა ქალს ფეხებზე
კიდია,ეს შენი ტკივილია, და გაშალე აფრები,
მთვარევ! შენ მაინც ყველა ქალს სჯობიხარ!
რადგან შენ ჩემი გულის მემენტომორი ხარ,
მივდივარ უგზო უკვლოდ არ ვიცავ წესებს,
არ დავეძებ არც თქვენ გულებს არც თქვენ
კერპებს,აქ ხო მხოლოდ ჭაობები და ხავსებია
გრძნობები უკეთ მეტყველებენ ვიდრე სიტყვები,
თუმცა ეს გრძნობები მხოლოდ თქვენს
აზრებშია,სარკიდან სარკეში დამალული ფიქრები!
ხოდა ახლა მიწოდეთ განდეგილი!ჩემი გული
მთვარეს შეჰკედლებია, მჭამენ მგლები, და აქ
ვრჩები ვით
დანერგილიგული ჩემი ყველა ქალს განშორებია,

1/11/2021

ხათუნა დოლიძე

როცა დამფერფლავს მონატრების მტანჯველი ალი!

ჯერაც, შორია – საბოლოო ის ნავსადგური,
მეც დღეთა ნისლში, ვიფერფლები, როგორც სანთელი...
ვიცი, მრავალი მელოდება წინაც საცდური,
არ მოუხურავს წუთისოფელს, ვიდრე სარკმელი!

....და მაშინ, როცა ჩემი გემი მიაღწევს ნაპირს –
გემი, რომლისაც თვით ცხოვრება იყო მესაჭე...
ვიტყვი, რომ ახლა, წარსულისკენ მიხედვა არ ღირს
– იქაც მოვირბენთ მზიან ველებს... ერთად მე და შენ!

მცხუნვარე სხივებს გავიყოლებ,შორ გზაზე საგზლად,
წელთა ჭიდილში მისხალ-მისხალ ნაგროვებ სითბოს...
გავარღვევ ფრთებით, სამყაროთა უჩინარ საზღვარს
და სხეულს მიწას ვუსახსოვრებ– ხარკად რომ ითხოვს!

იქაც მომიხმობს გაზაფხული, ლურჯი იებით,
მომიხმობს, გზებზე ფერად-ფერად ფოთლების გროვა...
დამათრობელი სურნელება აკაციების,
ტყემლის ყვავილთა ფანტელების მინდვრებში თოვა.

როცა დამფერფლავს, მონატრების მტანჯველი ალი,
მაშინ აპრილით ნაამბორებს, ვეწვევი მთა ბარს...
ალვის ხეებთან უცაბედად მოჭრილი ქარი,
მარადიული სიყვარულის მოჰყვება ზღაპარს!

ჩამჩურჩულებს ეს გრძნეული ღამე!

ხის ტოტებში ჩაესვენა მთვარე,
ღამე უხმობს, საცეკვაოდ ლანდებს...
მკრთალი სხივით ნაფერადებ არეს,
უჩვეულო ელვარება ადევს!

სურს გაექცეს ველ-მინდვრებს
და ჭალას,
თავი ცისკენ აუწვდია ჩინარს...
ჭრიჭინები უმღერიან „ნანას“
ახალშობილს-მთვარის
გულში მძინარს!

მიმაქროლებს ვარსკვლავებთან
ქარი-
თითქოს, ვხედავ მე იდუმალ
სიზმარს
და მუზების შთაგონებით
მთვრალი,
ოცნებებით ვაფერადებ... ცის
თაღს!

ჩამჩურჩულებს ეს გრძნეული
ღამე:
სტრიქონები გრძნობის ცეცხლით ვძერწო!
გამოვსტაცო ...შორს გაფრენილ
წამებს,
სიხარული– თუნდაც ერთი
ბეწო.

ჩამჩურჩულებს ეს გრძნეული ღამე!

ხის ტოტებში ჩაესვენა მთვარე,
ღამე უხმობს, საცეკვაოდ ლანდებს...
მკრთალი სხივით ნაფერადებ არეს,
უჩვეულო ელვარება ადევს!

სურს გაექცეს ველ-მინდვრებს
და ჭალას,
თავი ცისკენ აუწვდია ჩინარს...
ჭრიჭინები უმღერიან „ნანას“
ახალშობილს-მთვარის
გულში მძინარს!

მიმაქროლებს ვარსკვლავებთან
ქარი-
თითქოს, ვხედავ მე იდუმალ
სიზმარს
და მუზების შთაგონებით
მთვრალი,
ოცნებებით ვაფერადებ... ცის
თაღს!

ჩამჩურჩულებს ეს გრძნეული
ღამე:
სტრიქონები გრძნობის ცეცხლით ვძერწო!
გამოვსტაცო ...შორს გაფრენილ
წამებს,
სიხარული– თუნდაც ერთი
ბეწო.

მჯერა გიპოვი...

როს,მწვანე მინდვრებს
მოედება ყაყაჩოს ცეცხლი,
თავთავი მორცხვად გადმოკიდებს ოქროსფერ
ნაწნავს...
როცა, გრძნობათა აღმაფრენა ვერაფერს
შეცვლის,
მდუღარე ცრემლი
დამისველებს– დახშირულ
წამწამს!

წყაროსთან, ურცხვად გაიხდიან
ჭადრები... სამოსს,
ქარი,კოინდარს აუწეწავს
ჭაღარა ქოჩორს...

ხეები მზერით დაგესლავენ
წერწეტა საროს,
თიბათვის ღამე ძველებურად დაიწყებს
ორჭოფს!

...და მწვანე ფერთა უხმოდ
კვდომის -გავხდები მოწმე,
იმ ქარვისფერი შემოდგომის
დამდაგავს ეშხი.
როს ფოთოლცვენა გადააფენს ხალიჩებს
მოლზე-
მჯერა გიპოვი,მზით ნაფერებ...
უთვალავ ფერში!

მერაბ ლატარია

რისთვის

აუწყობელი გიტარა,
სიმგაცრეცილი ისიც,
ამით დავდივარ ყოველთვის
და ამით ვუკრავ სხვისთვის.

სისხლით ნაწერი ლექსები,
და ურითმოა ისიც,
მე ასე ვწვალობ ყოველთვის
და ლექსს ვკითხულობ სხვისთვის.

გაჩერებული ეს გული,
სულ დაფლეთილი ისიც,
მოხეტიალე ეს სული,
გვამებში დარბის ისიც.

ეს გადახრილი ნაბიჯი,
გზააბნეული ისიც,
ასე დავდივარ ყოველთვის,
მაგრამ ნეტავი რისთვის?!

რა უაზროა ცხოვრება,
არაფრის მომცემი ისიც,
ასე ვიცხოვრე აქამდე,
მაგრამ ნეტავი რისთვის?!

მატარებელში

მატარებელში, სასმელთან მარტო,
არავინ არ მყავს მე გვერდით სანდო,
მატარებელი ძველ ლიანდაგზე
ისევ მიაპობს ღამეებს მარტო.
მეც მიმაქანებს, დარდებით დამთვრას,
მეც მიმაქანებს, ამ ბედის ნადავლს.
თითქოს პლანეტამ ჩაიცვა ბნელი
თითქოს ვიღაცამ მთვარეს ჰკრა ხელი.
მატარებელმა ჩაიცვა ნისლი
და ძველ ლიანდაგს მოედო ხავსი,
მატარებელი მიდის და მიქრის
და მემანქანე მთვრალია მისი.
ეს ლიანდაგი ჩემი გზა არის,
მატარებელი-ცხოვრება ჩემი,
მემანქანე კი ეს მე ვარ მისი,
რომელსაც ბედთან ქიდილი უჭირს.
მატარებელი უაზროდ მიჰქრის,
საბედისწერო ლიანდაგს ერთვის,
მეც მიმაქანებს, დარდებით დამთვრალს,
მეც მიმაქანებს, ამ ბედის ნადავლს.

გულის მეწყერი

„მე არ ვწერ ლექსებს“,
ღმერთმა არ მომცა მე წერის ნიჭი,
უბრალოდ, მივყვები ცხოვრების ხიდებს,
და მე ვარ ერთი უბრალო ბიჭი.
რომელსაც გულში მეწყერი უწევს,
ამ მეწყერისკენ ბევრის გზა უხვევს,
მათ ამოყვანას ის წერით ცდილობს,
ხო, ურითმოა, მაგრამ ხომ ცდილობს.

მინდა რომ...

მინდა დაიწყოს თოვა და დაიფაროს ველი,
მინდა აივსოს მთვარე შუქში გამოჩნდეს მგელი,
მინდა მოედოს ხავსი წარსულის ყველა ტკივილის,
და აეფაროს ჩადრი საბედისწერო ყვირილის.

მინდა რომ გალღვეს გულში ჩამოწოლილი ზვავი,
და შიგ არ დარჩეს წამით გალღობის შემდეგ წყალი,
მინდა გამოჩნდეს ღამით მასსავით შავი ყვავი,
და მთელ ცხოვრებას ერთად წამში მოადოს ალი.

მე მიმატოვეს

მე მიმატოვეს,
მე მომისროლეს,
ისევ დამტოვეს,
ისევ მიმაგდეს.
ისევ მარტო ვარ,
არავინ არ მყავს,
მარტო დავდივარ,
გზებს გზებზე ვაბამ.
ისევ ლოცვებში
გამყავს მე ეს დრო,
მაგრამ ლოცვის ხმას
ქარის ხმა ფარავს.
ამაოდ ვცდილობ
მათ პატიებას,
და მე ეს გრძნობა
დამყვება დაღად.

ისევ...

ისევ მოვივლი ტაძრებს,
ისევ ვიწამებ ღმერთს,
ისევ ავანთებ სანთლებს,
ისევ ვილოცებ ბევრს.
ალბათ ვახსოვარ სადღაც,
ზოგჯერ კი მიყურებს მე,
შეცდომა დაუშვა სადღაც,
ალბათ რომ შემქმნა მე.
ვარჩიე შავი, თეთრ გზას,
შარავანდედს კი რქა,
და ანგელოზად ყოფნას
ის დემონური ფრთა.
ოთხი დაიწყო ისევ,
უნდა მეძინოს ამ დროს,
მე ისევ მახსოვს, ისევ,
რომ ვლოცულობდი ამ დროს.
რა დამემართა ნეტავ?
რატომ წავედი შორს,
რად არ გავყევი ნეტავ
მაშინ ხომ არ იყო შორს.
ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ,
ვნანობ ნაბიჯს ერთადერთს,
რომ არ წავედი იქეთ,
ღმერთი რომ მიწვდიდა ხელს.

წითელი მთვარე

ჩემდა უნებურად ცაში ავიხედე,
წითლად მოგიზგიზე მთვარე დავინახე,
სანაპიროზე კი უმალვე ჩავირბინე,
მისი დანახვისთვის ჰორიზონტს გავხედე.
ის სილამაზე და ის ანარეკლი,
ჩემს გონებაში ისე აღიბეჭდა,
როგორც კარგა ხნის წინ ერთხელ შენი სახე,
დავინახე და თუნდაც დაგიხატავ ისე აღიბეჭდება.
ზღვას რომ გახედავდი, მართლა დატკბებოდი,
თითქოს ცეცხლი იყო მის დიდ ტალღებზეო,
და ტალღას გაცეცხლებულს ჩემკენ მოაქანებს,
ის მთვარის ლანდი თითქოს გაცოცხლდაო.
ნეტავ ახლა ღმერთო ფუნჯი მომცა,
პატარა ტილო და საღებავები,
ისე ლამაზად გადავხატავდი,
აქამდე დახატულ რომ ვაჯობებდი.
ან თუნდაც მომცა ერთი კალამი,
ძველი რვეულის ფურცლის ნაგლეჯით,
მთვარეზე ისეთ ლექსებს დავწერდი,
აქამდე დაწერილს რომ ვაჯობებდი.
ნეტავ სად არის ჩემი გიტარა?
მინდა გიტარა და ერთი ნავი,
ისეთ სიმღერას დავუკრავ მთვარეს,
რომ დაადგება თვალებზე ნამი.
და რატომ მიყვარს მე ასე მთვარე?!
მთვარე მაგონებს შენს სახის ნაკვთებს,
მთვარე მაგონებს შენს სულს და თვალებს,
და ჩემს სიცოცხლეს მაგონებს მთვარე.

მინდა გახსოვდეთ

არ ამვარდნია თავში
ლექსების შემდეგ ტაში,
არ ამვარდნია თავში
სპექტაკლის შემდეგ ტაში.
მე არ დავფრინავ ცაში,
მზის სხივი არ მაქვს თვალში,
მთვარეს არ ვიჭერ ხელში,
ვარსკვლავს არ ვეძებ ზღვებში.
ერთი რამ მინდა მხოლოდ,
არ გავაგრძელებ დიდხანს,
მინდა გახსოვდეთ, ხალხნო,
რაც შეიძლება დიდხანს...

ირინა ხურციძე

**

პატიმარი ვარ ჩემივე ყოფის,
ვეღარ დავუსხლტი დროთა მირაჟებს,
ნუ განმიკითხავთ– მე ისიც მყოფნის,
რომ ჩემში მხოლოდ სევდა იმარჯვებს...
მარტოსულობა თუ მერგო წილად,
იმას არ ნიშნავს, სულ მთლად მარტო ვარ,
ვერ მოგიყვებით ახლა წვრილ- წვრილად,
ვინ მიერთგულა ან მიმატოვა...
მე ხომ ისედაც მშვიდად ვეწევი,
ჩემი ცხოვრების ამ მძიმე ჭაპანს,
თუ არც ვლოთობ და ან არ ვეწევი,
იმას არ ნიშნავს, ვარ სხვებზე კარგად....
ჩამომიქროლებს საცაა ბედის
მატარებელი, რელსებზე მდგარი,
ვწერდი და ვხევდი და ისევ ვწერდი...
მაინც მიმყვება ამ სოფლის ვალი...

**

გამოვიფხიზლებ ღრმა კოშმარიდან,
რეალობაში სევდა ჩამითრევს,
მოვა უჩუმრად ერთი ვარსკვლავი
და სათუმალთან ღამეს გამითევს..
მე მას დაავარქვი შენი სახელი
და ეს ნურასდროს გაგიკვიდება,
შენთანაც მოვა იგი უთუოდ,
როცა აპრილი გამოკვირტდება,
მოვა, მოგიტანს ამბავს ქალისას,
მთელი არსებით ვინაც გნატრობდა,
ვისაც დღესაც კი ეძვირფასები
და წასვლის მერეც არ მიგატოვა...

*

მიადვილებს შენზე ფიქრებს
სავსე მთვარის სერენადა,
სად მის ქიმზე, მოფარფატეს,
აბრეშუმის ვკიდებ კაბას,
ვიხდი ბოლო შესამოსელს,
შენი მინდა გავხდე კარგო,
ხელთ ჩაგადნე როგორ ფიფქი,
შენ უბეში ჩავიკარგო,
მერე ხელში აყვანილი
მოგატარო, ცის ტატნობი,
არ მიყვარდე ასე ძლიერ,
გულს ბოლომდე ვერ განდობდი,
და ეს ღამე, –მრუში ღამე,
მაჭანკალი იყოს ჩვენი,
ვარსკვლავები– მაყრიონი,
მთვარე გრძნობის გადამრჩენი,
სიზმარ-სიზმარ იწერება
ჩვენი ბედის გამაჩენი....

**

სულზე მომისწრო შენმა ალერსმა,
სხეულზე დამდის ცხელი სუნთქვები,
გათენებამდე ამ გულის სურვილს,
მინდა იცოდე როგორ უხდები...
ნასიზმრალ ფიქრებს როგორც საკინძეს,
მიხსნის ნიავი ნაზი ალერსით,
ნეტავი ახლა შენთან მამყოფა,
ჩემ თავს ვხედავდე მაგ შენ თვალებში..
და დავრჩეთ ასე ჩახუტებული
ვერ შეგვაშფოთოს ტალღის დინებამ...
ხელში ჩამადნი თოვლის ფიფქივით–
აღარ მინდოდა გამოღვიძება!!!....

**

მზე მიიმალა ღრუბლის ჩეროში
და თმებში შემრჩა კონად სხივები..
შემომივარდა ქარი ეზოში,
სულ გამაცალა ოქროს მძივები,
ზაფრანისფერი დაედო ფოთლებს,–
ვეღარ ითვლიან სახეზე ჭორფლებს,
ხეებზე ობლად შეხიზნულები
ფრთებს ისწორებენ მოლაღურები..
ზამთრის ლოდინში სარკმლის მდგმურები,
მომიფრთხიალდნენ კარს ბეღურები,
ამ სილამაზის ასე ყურებით,
შემოდგომას ვერ დავემდირები...

*

შეახმა ხეებს ფოთლები როგორც,
ხელებზე კანი საკმაოდ ხნიერს,
სევდით სავსე ქვევრს გადახდილ ორგოს,
მთვარე გულუხვად დააყრის სხივებს...
ილევა ბინდი ცის ნაკიდურზე,
ირწევა ფიქრი ვით ოწინარი,
ფეხი აუცდა ვარსკვლავს ყინულზე
და გაადინა ზღვაში ზღართანი...
სახელდახელოდ დადგმულ სცენარის
მთავარი დრამა ჯერაც წინ არის,–
რა უნდა მოხდეს ისე ფარსაგი,
საცაა, ცისკირის დარეკავ ზარიც
და დასრულდება ბოლო ანტრაქტიც.

ცრემლით მოველ...

გაგიმხელთ და...გული დამაქვს ნაისრალი,–
ლამისაა სისხლისაგან დავიცლები,
ვარ უბრალო პოეტესა– ერთი ქალი,
ხელში უკვე ფერნაცვალი ნარცისებით...
მომაწოდეს, სიყვარულის შხამით თასი,–
ვერ შევძელი ამეცდინა ეს სასმისი...
არაფერი არ ყოფილა დროის ფასი,
არც რა შემრჩა წარსულიდან გასასხვისი...
ვაწებ კალამს ცრემლის ტბაში, მსგავსად მელნის,
ვხატავ სურვილს უკანასკნელს იქნებ, ლექსად,
ვერ განვსაზღვრავ მომავალში თუ რა მელის,
რაც ფიქრების თავზე ჭერი ჩამომექცა....
გზას ვაგრძელებ, უხმოდ, მავალს გვირაბისკენ,–
იქ თუ ვპოვებ სამერმისოდ ნათელ წერტილს,
უკანასკნელ ამ ტკივილსაც ისე ვითმენ,
ამისთვისაც გამომიტანს ვინმე ვერდიქტს....
ჩავიმუხლებ, –წამით სული ამოვითქვა,
მერე წავალ, მზის ჩასვლასაც დავესწრები,...
აქ დამრჩება, გულის ფიქრით რაც რომ მითქვამს,
ცრემლით მოველ და ღიმილით გაგეცლებით...

**

შემოეხიზნე ჩემს გულის სარკმელს,
ვით უცნაური მგზავრი დაღლილი
და სულის სითბოს თვალთაგან ნაკმევს,
ვით სიზმრის ფრაგმენტს ჯერ ვერ ახსნილის,
ვხედავ ვით მირქმას, ლოდინის შემდეგ,
როგორ იღვრება ურდულახსნილი...
ჩამოიმუხლებ ჩემს სასთუმალთან,
ორიოდ ცრემლის მომგვრი კურცხალს და
თან შემახსენებ იმ ლამაზ წამებს,
ცად ფრთების გაშლა რარიგ გვიყვარდა...
მერე დამტოვებ ისე უჩუმრად,
როგორც მტოვებენ ღამის სიზმრები,
გულს აუხდენელ ოცნებად რჩება,
შენი და ჩემი ზიარმიზნები.

*

მაფიქრებს სიტყვები დღემდე ვერნათქვამი,
პირში თევზივით წყალს როს ვიგუბებდი,
განა არ ვიცოდი, უშობელ ამ ფრაზებს,
გულის კუნჭულშიც კი ვერ შევიტყუებდი...
ვერ შევიგუებდი, უმეცართ ქილიკსაც,
ამიტომ ვირჩევდი მეარა მდუმარეს,
ვინ იცის რამდენჯერ წამლეკა ცხოვრებამ,
რამდენჯერ დელგმებმა მკერდს გადამიარეს...
აგერ სამოცის შევსრულდი უკვე და
მაინც ვერ ვიშუშებ ამ ნაიარევს...
იმ სიტყვებს რა ვუყო გრძნობებად დარჩენილთ,
რომლებსაც აქამდე გულიც ვერ იტევდა,
ახლა ვით ხორბალი ცის ხელისგულიდან,
მოფრინდნენ, ამკენკონ დამშეულ ჩიტებმა.

**

მტოვებენ დღეები– ოქტომბრის ფერები,
ცად მიემართება ფოთლების ლაშქარი,...
მოგძებნი ფიქრებში და მოგეფერები,
შენს სახეს დავხატავ უცნაურ ფანქარით...

საცაა მთებს ბინდის დაფარავს მირაჟი,
ან ეს გზა სად მიდის ან თავად სად მივალ,
მივყვები ყრუ ქუჩებს გაწყვეტილ ილაჯით–
ის ბოლო ვაგონი მაინც სად წამივა...

მითვლიან საათის ისრები სუნთქვებს და
მიცქერის უცნობი ფერმკრთალი სარკიდან,
ნამსხვრევად ვაქცევდი რომ მომცა უფლება,
და მერე ცხოვრებას დავიწყებ თავიდან...

გზა ის მრუდია, სავალად საძნელო,
ხელების ცეცებით მივარღვევ სიბნელეს,
რად დაცარიელდი შენ სულის საბძელო,
რაღაში გარგია ზედმეტი სიქველე...

გაეცი ყოველი, რაც კი რამ გებადა,–
საფრენად მსუბუქი ფრთებია საჭირო,
უკვე გვიანია– საღამო დგება და
ვარსკვლავებს ვეტყოდი:–
გთხოვთ აღარ გამჭოროთ....



ლალი ევლალია პერპერიდი

ისევ მომერია!

ისევ მომერია სევდა
შენზე ოცნებები ფიქრი,
დროვ შეუჩერებლად
ნეტავ საითკენ მიქრი.
მანძილი ჩვენშორი ჩადგა
თუმცა არცისე შორი,
მე ისევ ისე მიყვარხარ,
შენ?აღარ გიყვარვარ მგონი.
მიდის მიიზლაზნება
უშენოდ ამაო დრონი,
მიყვარს შენი ხმა სათუთი
და რიხიანი ტონი.
მიყვარს ლაჟვარდ ცაზე მთვარე,
ასე რომ მნათობს არეს,
მზე ანათებს ჩემს გულს
მე კი შენს ლამაზ თვალებს.
მგრძნობიარეს და ტურფას
ასე რომ მწვავენ მათრობს,
ვადარებ ცისკრის ვარსკვლავს
მოკაშკაშეს და მნათობს.
ვით დედამიწას თოვლი
მე უშენობა მათოვს,
აშლილი გრძნობ ვნება
მე სიყვარული მათრობს.
მთვარე მოარე მნათი
ხეებში სხივებს აქსოვს,
ყოველი წუთი წამი
ო როგორ ტკბილად მახსოვს.
ვით დედამიწას თოვლი
მე უშენობ მათოვს,
აშლილი გრძნობ ვნება
მე სიყვარული მათბობს.

იდუმალება!

მსურს შევიცნო სამყაროს
არსი იდუმალების!
ღმერთს გონივრობა შევთხოვე
ცად ავაპყარ თვალები.

სულაც არმაქვს სურვილი
დავიპყრო მწვერვალები!
ძალზედ არ მსურს იმქვეყნად
გამყვეს სოფლის ვალები.

ხშირად ამაოებით
გულს მედება ალები!
ახლა კაცს ეტოლება
მჭერმეტყველობს ქალები.

ლოცვა დავიწყებიათ
არის გასაკვირველი!
ასეთნი ჯოჯოხეთში
მოხვდებიან პირველი.

მსურს შევიცნო სამყაროს
ძალზედ იდუმალება!
ძაღლის თვი სად არი
ნეტავ სად იმალება?

ხან სიამეს შევიგრძნობ
ხან სევდა მომემძლავრება!
ნტავ სოფლად მისიად
ხვალ რა დამევალება?

ხელში მიჭირავს შანდალი
წინ მივიწევ პირველი!
მინდა ვიქმნა საუამოდ
საქმე გასაკვირველი.

ჩემი ოცნება არ არის
დავიპყრო მწვერვალები,
საოცნებო ისარის როს ჩემს
მტერ მოყვარეს ავუხილო თვალები.

მსურს შევიგრძნო მზის სხივების
სითბო უმხურვალერსი,
საომოდ საოცარი
ჩაუწვდომი ალერსი.

* * *

1891 წლის 17 ნოემბერს
დაიბადა გალაკტიონ ტაბიძე.

“გილოცავთ პოეტთა მეფის
130 წლის საიუბილეო თარიღს"

ზეცა ზეიმობდა 17 ნოემბერს,
ნაზად ჰბერავდა არეს სიონი,
ანგელოზთა დასი გალობდა
როდეს დაიბადა გალაქტიონი.
მოდიოდა შორი გზით მოჰქუხდა
აზვირთებული იყო რიონი,
ზარები რეკდა რა საამოდ
მრევლით აღვსილი იყო სიონი.
დილით კი ცვარი ზეციური
გადმოიღვრილა ვითარ მირონი,
მზის სხივებით კი საოცრად
ელვარებდა მშვიდი რიონი.

* * *

კარგი საქმე კარგის მქმნელსა
წინ დახვდება წაადგება,
ქეშმარიტება გაიმარჯვებს
ხალხთა გულში ის აღდგება.
გაბრწყინდება საქართველო
ნანატრი დრო დაგვიდგება!
ქართველი ქართველს ხელს
არა კრავს არასოდეს გაუდგება.?
მისაბაძია სანაქებო
ჩვენი ადათ წესი, ზნე ბუნება,
ფარხმალს არ ვყრი ღმრთის წყალობით
კვლავ სიმშვიდე გვერგუნება.
ქართველთ გენი გამრავლდება
არასოდეს შემცირდება,
მისიმტერი ავის მდომი
დამდაბლდება დამცირდება.
ქართველნო მეომარნო კვლავ
ჩავკიდოთ ხელი ხელსა...
მადლი ციური როს მოგვევლინოს
ხსნას შევთხოვდეთ ჩვენ გამჩენსა.
ყოველივე მსურს იქმოდეს
სამეს ქვეყნად სანაქებსა,
საქართველოს აყვავებით
კვლავ დავუვსოთ თვალი მტერსა.

13.11.2019

მინდა შევავსო თასი!

ვიტყვი სადღეგრძელოს გულით
ერთხელ, მიბოძეთ ნება,
სხეულში შფოთავს სული
შემყრია ქირი და სნება.

ის არის ჩემი არსი
გმირი, მხსნელი, სულთა!
ჩემი იმედი მრწამსი,
რომელსაც უსამართლობა სძულდა.

პაპიჩემის წითელი ღვინით
მინდა შევავსო თასი!
გული მევსება ჟინით,
გალობს ანგელოზთა დასი-

მეფეს შეუსრულდა
წელი ასოზდაათი!
ჩემი არსი დუმდა
გრძნობებიც ათიმნათი.

გალაქტიონის სულსის
შესანდობარსა დავლევ,
მესმის ძგერა გულის
მეც მისებრ ცხოვრებას გავლევ.

სიყვარულით ვარ მთვრალი
ჩემში გრიგალებს ქარი,
მედება ცეცხლის ალი
რეკავს განგაშის ზარი.

შემება გრძნობების ეჟვანი
მარგალიტების მძივი!
ჩემშია გალაკტიონი,ვანი,
მთელი არსითა ვკივი.

განცდებს არ უჩანდა პირი
რეკდა განგაშის ზარი,
ვიქმენ ეული მწირი
ჰბერავდა უიმედოდ ქარი.

ვიტყვი სადღეგრძელოს გულით
ერთხელ, მიბოძეთ ნება,
სხეულში შფოთავს სული
შემყრია ქირი და სნება.

მაია კახიძე

მთვრალი ალუბალი

დგ... დგ...
ქალი კართან იდგა და
კაცმა შეავლო თვალი.
– ალბათ, ცოლიანიაო, – ქალმა,
– ქმრიანიაო? – ფიქრობდა კაცი.
– რა მამაკაციაო?! – ქალმა,
– მშვენიერიაო... უმზერდა კაცი.
– როგორ მიყურებსო, – ქალმა,
რა სურნელი აქვსო?
გაბრუვდა კაცი...
გარეთ კი გაზაფხული იდგა,
ჭრელა – ჭრულა და ანცი.
გაჩერდა ვაგონი და ფიქრში
და შეხლაში ჩავიდნენ
ქალიც და კაციც.
დგ... დგ...
– ეეჰო...ამოიკვნესა ქალმა,
– უუჰო...ოხრავდა კაცი,
ვააჰო...მატარებელმა და
წავიდა ისიც. დგ...დგ...
იყო საათის ათი...
საათს დახედა კაცმა,
საათს უმზერდა ქალიც.
– უქმრო იქნებოდაო...
წრუპავდა ღვინოს კაცი,
– უცოლოს ჰგავდაო...
ბალიშზე წრიალებდა ქალი.
გარეთ კი გაზაფხული იდგა,
ალუბალივით მთვრალი.
დგ...დგ...
მთვრალი ალუბალი.
დგ...დგ...
მთვრალი ალუბალი.
დგ...დგ.....

ავტოპორტრეტი

ლექსის ლექსი ვარ,
სიტყვის გიჟი, სტრიქონთა ტევრი,
ღამენათევი, მოფარფატე დილის პეპელა,
უკან მაბრუნებს ფიქრის ძაფი ნაგვირისტევი
და გულისცემა მიხშირდება, გულო, ნელ - ნელა.
მიყვარს რითმები ალმურივით მონაკიდები,
მიყვარს მზაობა მზის ფოჩივით სითბოთი სავსე,
ხან ბავშვები ვართ, ხანაც კიდევ, როგორ დიდები
და ეს გრძნობები მეხვევიან თითებთან წამსვე.
მე ერთგულება მიყვარს ლექსის, სულაც ლექსების,
ქვეყნიერების აწონვას ვცდილობ სიტყვის მარილით,
ყოველი ფიქრი, დარდი, სევდა ჩემი ფესვების,
ფურცელს ეცემა ვარდობისთვის წმინდა ცვარივით.
ლექსის ლექსი ვარ,
სიტყვის გიჟი, სიტყვის ერთგული,
შენი წერა და დახუნძლული შენი ნაყოფი,
სტრიქონებს შუა ჩამომჯდარი სული და გული,
ო, ისე გამძლე, ბეღურა ჩიტი, სად არ ნამყოფი.
მე შენ მიყვარხარ!
მე შენ მიყვარხარ, ისე ცხადლივ, სიტყვის თილისმავ,
რომ არ დავწერო, ვერ შევიძლებ, ალბათ, მოვკვდები!

გალაკტიონივით მითხარით რამე

მგონი, გალაკტიონივით ავფეთქდი ისევ,
გალაკტიონივით მიყვარხართ, მგონი,
გატრუნულია ზეცაში მთვარე,
მე დავწანწალებ ქარებში ღამე...
გალაკტიონივით მითხარით რამე,
გნებავთ – ამაღამ, თუ გნებავთ-ხვალე,
თორემ ეშვება გალაკტიონი
და მე არ ვიცი, რა მეშველება...
ქარმა გააპო ღალატის კარი,
გადაეხეთქა თვალებს ლურჯი ცა,
ფანჯრის აქედან ცახცახებს ქარი,
გალაკტიონი დაეშვა ციდან...
გაფრინდა ლექსში გალაკტიონი,
ყველა სტრიქონი ჰაერში გაქრა,
ხმელი ფოთლები მოკრიფა ქარმა
და გალაკტიონს გადააფარა...
.....
სიზმრებში მოდის გალაკტიონი,
მგონი, მიყვარხართ...
მიყვარხართ, მგონი...

მარინე შანიძე

როგორ მინდა?!

როგორ მინდა, გულში დარდი აღარ მქონდეს,
ღამით აღარ მაფხიზლებდეს ფიქრი,
დროზე თუ არ განმეშორა ეს ტკივილი,
ლამის, უკვე, უფსკრულისკენ მივქრი...

უფლის რწმენა მინდა რწმენით მტკიცდებოდეს,
ლოცვა სულის სიმშვიდისთვის გვეთქვას,
ღვთისმშობელი გვაფარებდეს დედის კალთას,
დარაჯობდეს ჩვენი გულის ფეთქვას!

ისიც მინდა, სათნოდ გაზრდილ გოგო-ბიჭებს,
გულში შერჩეთ სიყვარული მიწის,
მოკრძალება და პატივი ჰქონდეთ მისი,
ვინც მამულის სიკეთისთვის იღწვის!

ძმა ძმისათვის უანგაროდ ირჯებოდეს,
ერთი ჰქონდერთ საგზალი და სუფრა,
ლხინი მათი მუდამ ზეცას აყრუებდეს
და ძმობაში გული შერჩეთ სუფთა!

გაგვიმრავლდეს, ვინც ღირსებით შემკულია,
შრომისა და გარჯის ფასი იცის,
ქვეყნისა და მშობლის გულის გასახარად
ერთგულია სიყვარულის ფიცის!

მცხუნვარებით გვაოცებდეს ყველა დილა,
ჩვენს სამშობლოს გალავანი ერტყას,
თვალისჩინი წართმეოდეს მტერს და ორგულს,
ჩვენი მოდგმის საძრახისი ვერ თქვას!

დედა!

რა უსაშველოდ მომნატრებია,
ჩემი ბავშვობის ტკბილი საუფლო,
კედლებსაც ესმით გულის ძახილი,
აქ გარდასულზე ცრემლით ვსაუბრობთ.

მშობლიურ კერას მონატრებული,
ხელის კანკალით ვეხები კარებს,
დედა, აქა ხარ? – ჩუმად ვკითხულობ,
ვეძებ სითბოთი ავსებულ თვალებს.

ისევ მგონია, კალთაში ვზივარ,
დედის უბეში ხელს ვაფათურებ,
რასაც შევხედავ, ყველგან შევიგრძნობ
მის ნაფეხურებს და ნათითურებს.

კედლიდან მიმზერს ბოლო სურათი,
თვალებში ნაზი სხივი ციალებს,
მართლა აქ არის, რადგან ოთახში
დედის სურნელი ისევ ტრიალებს!

ახლა ვბრაზდები ჩემ სიცელქეზე,
ვერ ვღალატობდი ბავშვურ სურვილებს
და გული მწყდება, დედის ალერსი
ბოლომდე რომ ვერ მოვისურვილე...

სანამ გვერდით გყავთ,მიხედეთ დედას,
სანამ მის სითბოს ბედი გარგუნებთ,
ხშირად ჩახედეთ მზიან თვალებში,
თორემ დროს უკან ვერ დააბრუნებთ!

თამარ მეტრეველი

***

როგორ ვარ..... ?
მკითხულობ.....?!
გეტყვიან თვალები....
გულის ბაგა-ბუგი
მომესმის უბიდან,
ფიქრები, ფიქრებთან
ღამეებს ათევენ,
მოვალ და გაგითბობ,
გულის კარს თუ გინდა...
მაგრამ სიამაყის
დამყვება აჩრდილი,
ოცნებებს ღიმილით
ვმარხავ
თან ვტირივარ,
იცხოვრო ლამაზად
არ არის ადვილი,
ალბათ სიყვარულის
უძღები შვილი ვარ...
როგორ ვარ უშენოდ?
დაღამდა, არ მკითხე....
ტკივილმა ამავსო,
ცრემლით ვარ ავსილი,
ახლა გულცივობის
ღრუბლები ჩამოწვა
და მზიდან, მთვარემდე,
გაგრძელდა მანძილი..



გალაკტიონის დაბადებას
გილოცავ საქართველო...

გალაკტიონ....

შენს "ლურჯა ცხენებს",
ფაფარაშლილთ,
ვინ დააოკებს, ან,
ვინ იტვირთებს
გრაალს ლოცვას,
მუხლმოყრას ღამით,
დახრილ წამწამებს
სიმორცხვე სძლევს
"მერის" შავ თვალებს
და ათრთოლებულ ბაგეებით,
ჩურჩულებს, ამინ....
თქვენ! მხოლოდ ორნი,
შენ და ღამე ისევ ევნებით,
"მზე თიბათვისა"
ცაზე ისევ ბევრისმთქმელია,
ისევ ჯიუტად შრიალებენ
შენი "ვერხვები",
ვინც უკვდავება მოიპოვა
ბედნიერია...

თუ გულმა გამიძლო...

**

ამ ქვეყნად ყველაფერს
თავისი ენა აქვს,
ცეცხლს, წვიმას, ჩანჩქერს და
შლეგიან ქარიშხალს,
დაქნეულ ფრთის ძალაც
ხომ იმოდენაა,
თუ გულმა ინდომა
ზეცამდეც აგიშვას...
დღეს აბლაბუდასაც
წვრილ მძივად აუსხავს
ცრემლები წვიმის და
გულს ლხენას ანიჭებს,

თავთავის რძესავით
მაშრება ტკივილი,
როცა ჩემს ჭრილობას
ღიმილით აბიჯებ...
ამ დამჭკნარ თითებით
ყვავილებს ვეღარ ვწნავ,
სამიწედ დამიშრა
ვენაც და ხელებიც,
თუ გულმა გამიძლო,
თუ გულმა გამიძლო,
მოვალ და შენს საფლავს,
კვლავ მოვეფერები...

***

გაწყდა ის მძივი,
შენ რომ მაჩუქე
და თითქოს სადღაც,
რაღაცაც გაწყდა,
ცრემლმორეული
შავოსანივით,
დავდივარ, დამაქვს,
ტკივილის განცდა...
აზრი აქვს ნუთუ
ასეთ სიცოცხლეს?

როცა უფალმა,
წყვილად დაგვბადა,
მეგონა გპოვე,
ვერ შემიხორცე,
ვფიქრობდი გულზე
გაჩნდი, არა და...
ეჰ, მაგ გაბზარულ
ნეკნის ადგილზე,
ნეტავი ჩამსვას
ღმერთმა ძალადა...

***

წვიმს და დარაბებს
ცერად აწვიმს
დამსკდარ გულმკერდზე,
თან ქარს დაღლილი,
შემცივნული, ფოთლები მიაქვს,
იქვე კუთხეში
მოიმწყვდევს და თან ისე კოცნის,
დასწვავს ალმური
კენწეროში მომწყვდეულ ნიავს...
დილით ტოროლამ, მზეს წაუღო ცნობის დავთარი,
შეფაკლულ ღაწვით, მზე და გრძნობა ერთმანეთს
ჰგვანან,
გაზაფხულამდე ჩაადნება გულში ზამთარი,
რადგან ტოტებზე, ფოთლის ნაცვლად რკოები
მჯდარან...
პაემნებია ქარისა და ჭრელი ფოთლების,
საშემოდგომო, სიყვარულის ამინდებია...
თურმე
ბაგეზე დამჩნევიათ კვალი ამბორის ,
ქარს და ჭრელ ფოთოლს,
ღობის ძირში დასთენებიათ....

* * *

შენა ხარ, ის კოშკი,
ფიქრით რომ ავაგე,
საძირკვლის ქვებთან,რომ
ჩავუთქვი სურვილი,
თითო ქვის გამოჭრა
ცრემლებით დავალბე,
დუღაბის სიმტკიცეს
ვურიე დუმილი.
ჩემს ფიქრს
უამრავი ქონგური ექნება,
რომ გადმოვიხედო,
რა გზიდან მოდიხარ,
მერე ფეხშიშველი
გზად შემოგეგებო,
ახლოს ხარ ვითომ და
თან ისევ შორი ხარ.
ნაწნავებს დავიშლი
თავიდან დამვარცხნო,
ბალახს მიწოლილი
გვირილებს ჩამიწვნი,
მერე ჩვენ კოშკისკენ
წაგვიყვანს გზა ფართო,
ამ კოშკს ჭერი თუ აქვს,
არ ვიცი, არ ვიცი....



****

ვინ აღარ გვიმტრო! ვინ არ გვჟლიტა!... მაინც ხომ ვიშვით,
ჰა, უფლის ნებით გამოიწრთო ერი ბაჯაღლოდ,
მიმინოთაგან დაკორტნილნი არ ვდრკებით შიშით,
ბარგავს გმირების საფლავები, "მამულს ნუ დათმობთ"...
ჩვენ ნაკუწ-ნაკუწ დაგვიფლითეს გული არწივის,
მაგრამ უფალი კვლავ აღგვადგენს, როგორც ლაზარეს,
ისევ ვიხილავთ, ხოდაბუნებს წაღმა დათესილს,
ავაგუგუნებთ სამრეკლოზე მდუმარე ზარებს.
გვჟლიტეს და მაინც ვერ მოშალეს ივერთა გენი,
ქართველები ვართ, სისხლი გვიდუღს, ფიქრი გვაომებს,
თუ სამშობლოსთვის სხვა სიკეთე ვერარა ვქმენით,
ვილოცოთ! - ქართლი, რომ არ დარჩეთ არარაობებს!

***

.... - ს
გარინდებული, ბევრისმთქმელი
მაგ მზერის მიღმა,
ამპარტავნებას მოუხურავს
შენთვის ნაბადი,
შენ განწირულის დახმარება
სახელად გინდა,
შენთვის უცხოა,
თავმდაბლობის ტკბილი შარბათი...
მაგ დახვეწილი სახის მიღმა,
მალავ სიავეს
და მზაკვრულია ფიქრთა ფიქრი,
სამგზის ვერაგი,
სიყვარულისგან შენი გული
თუ დაცლილია,
შენ ვერ ჩააწობ ქრისტეს ჯამში
ხმიადს ვერასგზის...
იქნება ვცდები და ვნებდები
ცრუთა ჩვენებებს,
ჯვარცმის ფერდობზე
ყველა კენჭი თუ დათვლილია,
მაშინ პირველმა,
შენ მესროლე ეგ ქვა აღმართში
და მოგიკვდები
ხელში როგორც, თეთრი ლილია...

ნანა ჩარკვიანი

და დღეს ვინა ვარ?!

ჩემი სამშობლოს მთაცა და ბარიც,
ლამაზ სიზმრად მაქვს გადაქცეული.
წლებია უკვე,მისი სურვილით,
ნატვრით მაქვს გული გადალეული.
ვარ შუშანიკი,ვარ ქეთევანი,
ნატანჯ-ნაგვემი და წამებული.
ჩემში ჩასახლდა, ბერი თედორე,
გმირი დემეტრე თავდადებული.
ხან,აკაკი ვარ,ხან ვარ ილია
საქართველოზე შეყვარებული,
ზოგჯერ ვაჟაც ვარ, გალაქტიონიც
ზოგჯერ მგზავრი ვარ ,,თერგდალეული".
ზოგჯერ,ელჩი ვარ,ვით სულხან საბა,
კიდით-კიდე მაქვს შემორებული.
ზოგჯერ ვახტანგი,ზოგჯერ გიორგი,
მეფე ერეკლე ხმალ აღებული.
აღმაშენებლის ლანდი ვარ ზოგჯერ,
გელათი,მისგან აშენებული.
ტაძრის საგებად მძიმე ლოდები,
სულ სიმწრითა მაქვს ,,ამოთრეული".
ზოგჯერ ვარ ,ცხრა ძმა ხერხეულიძე,
ბრძოლაში,გმირად ვარ დაცემული.
მე,ის სამასი არაგველიც ვარ,
სამშობლოსათვის სისხლდაქცეული.
მე კრწანისი ვარ,სისხლით მორწყული,
და ზედ ყაყაჩოდ ამოხეთქილი.
მე, მძევალი ვარ როგორც პაატა,
საქართველოსთვის თავმოკვეთილი.
ქართლის დედაც ვარ, შეუდრეკელი,
შვილებზე,დარდით ლანდად ქცეული.
ბევრჯერ,მჭერია ქართული დროშა,
მტერი მინახავს,დამარცხებული.
ზოგჯერ,თამარის მშვენის გვირგვინი,
ვარ ამაყი და გალაღებული,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
გალავანი მაქვს შემოვლებული.
ეს წარსულია,და დღეს ვინა ვარ?!
ნატვრით მაქვს გული გადალეული.
ემიგრანტი ვარ,უცხო მიწაზე
გაშვილებული, ლანდად ქცეული.
დღეს ჩემი ქვეყნის ბედის ბორბალი,
ბრუნავს უკუღმა,გზაარეული.
ქართველი არის,ვით უდაბნოში,
შეშინებული და დაბნეული.
ბევრი,ბავშვი და ბევრი მოხუცი,
შიმშილისაგან დაოსებული,
მაგრამ არიან გამყიდველებიც
ქისა,ფულით აქვთ ამოვსებული.
საქართველოსთვის,უძგერდათ გული
და ბევრი გვყავდა თავდადებული.
დღეს კი,ყიდიან უტიფრად მამულს
და გული ქვად აქვთ გადაქცეული.

შეიბნიე საკინძე

გოგოვ,ნუ მეპრანჭები,
შეიბნიე საკინძე,
თორემ მოგეპარები,
უბეს, კოცნით აგივსებ,
ვნების ცეცხლში გაგახვევ,
ისეთ ამბებს დაგითევ.
ვინც ოდესმე გიყვარდა,
ყველას გადაგავიწყებ.
გოგოვ ნუ მეპრანჭები,
ნუ,მიწვევ,ნუ მაგიჟებ.
თორემ,თავს შეგაყვარებ,
მერე,ხვეწნას დამიწყებ.
გადაგმალავ ნისლებში,
ფეხქვეშ,მთვარეს დაგიფენ,
ციდან დავკრეფ ვარსკვლავებს,
კულულებში ჩაგიბნევ.
სიყვარულზეც გიმღერებ
და ლექსებსაც დაგიწერ.
ისეთ ღამეს გაჩუქებ,
არასდროს დაგავიწყდეს.
გოგოვ გიშრის თვალებავ,
შეიბნიე საკინძე,
გთხოვ,ცოლად გამომყევი,
ჩვენს სიყვარულს გაფიცებ.

განა რამეს ვიგონებ.

განა რამეს ვიგონებ
ან და,ტყვილად ვჩივივარ,
გაწყვეტილ-მოფანტული
მარგალიტის მძივი ვარ.
ჩემი ქვეყნის თაღიდან,
მოწყვეტილი სხივი ვარ.
ცახცახით, რომ გავდივარ
მე ის ბეწვის ხიდი ვარ.
ჩემი ქვეყნის უბიდან
აწყვეტილი ღილი ვარ.
თვალზე ცრემლშეუმშრალი,
საქართველოს შვილი ვარ.
ჩემი ქვეყნის ბუდიდან
აფრენილი ჩიტი ვარ.
როდის გამოიდარებს,
მხოლოდ ამას ვტირივარ.
ჩემი ქვეყნის მიწიდან,
მოწყვეტილი ია ვარ.
საქართველოს სიყვარულს,
გულში თბილად ვინახავ.

მარადისობის კანონი

ბავშვობა, ყველას ნანატრი ხანა,
დაბადებიდან,მქონდა ,,ხალები".
თუმც, დედას ვგავდი,მაგრამ მამისგან
გამომყოლია ,,მწვანე თვალები"
მეც ვიფერებდი ,,ნაბოლარობას"
ნაფერები და ნალოლავები.
ჩემს ეზოს ბილიკს შეუნახია,
პატარა გოგოს ნატერფალები.
ახალგაზრდობის ლამაზი წლები,
ცა,ქუდადაც,რომ არ მიგაჩნია,
იმ უდარდელი გოგოს კისკისი,
მაღალ მთებს,ექოდ შეუნახია.
მერე,ითოვა გადაუღებლად,
თეთრი საბანი მოსავდა მთა ბარს,
მინდვრად ამოსულ ენძელასავით
მეცვა,პატარძლის ქათქათა კაბა.
მერე,დავქალდი და დედა გავხდი,
შვილებზე ზრუნვით გავიდა წლები.
თვალთან ნაოჭიც შემომეპარა
და ,თოვლისფერი გამიხდა თმები.
ბევრი ლამაზი წლებიც გავლიე,
ბევრიც, ტკივილი მარგუნა ბედმა.
იყო დაცემაც და წარმატებაც,
დაფნის გვირგვინიც,მიბოძა ღმერთმა.
ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასავლელი
შვილიშვილებში ,მე ჩემს თავს ვხედავ.
ჩემში სულ ცოცხლობს ,,უმანკო ბავშვი"
და,ბავშვურადაც ოცნებებს ვბედავ.
გავა დრო,ალბათ ჩემი სიცოცხლეც
დრო როცა მოვა,შეწყვიტავს ფეთქვას.
და,დანანებით იტყვიან ალბათ,
,,მოკვდა ის ქალი, ლექსებს, რომ წერდა."
და სანამ ვცოცხლობთ ერთმანეთისთვის,
ტკბილი სიტყვა,ნუ დაგვენანება.
მარადისობის კანონი არის,
დაბადება და გარდაცვალება.

სატრფიალო

ქარმა შემომაფრქვია,
შენი თმების სურნელი.
ჩემი მინდა ,რომ გახდე,
ვიყო,შენზე მზრუნველი.
შენს ქუჩაზე ვათენებ,
გამოჩნდები,სულ გელი.
სიყვარულით მთვრალი ვარ,
არ გეგონო სულელი.
გოგოვ,რად გამირბიხარ,
ან და,რად მეურჩები.
საკოცნელად მიწვევენ,
ვნებიანი ტუჩები.
მედიდურად ჩამივლი,
გულს,დარდი მაქვს უთქმელი
შორიდან მწვავს,ლამაზო
შენი თვალთა შუქები.
შენ ერთს მინდა გაჩუქო,
სიყვარული ულევი,
გავიპაროთ სადმე და,
შევაერთოდ გულები.
ქარმა შემომაფრქვია,
შენი თმების სურნელი.
ჩემი მინდა რომ გახდე,.
ვიყო შენზე მზრუნველი.

მიუტევე და ,მოგეტევება

მიუტევე და მოგეტევება,
ღვთისაგან სიტყვა ნათქვამიაო,
უფალმა ჯვარცმა თუ გვაპატია
მაშინ შენ რა გჭირს ადამიანო.
ფარისეველთა დამდგარა ჟამი,
ეკლესიებში,თუმც დადიანო.
ნეტამც ერთი და, ფეხი დაგიცდეს,
წყევლით და კრულვით ამოგთხრიანო.
ტურა და მელა ირგებენ ნიღბებს,
ამ დროს,ცხვრის ტყავში,იმალვიანო.
ვინმეს დაცემულს თუკი ნახავენ,
ყვავ -ყორნებივით ესევიანო.
იქნებ,უფალი გიწყობს გამოცდას,
თუ გინდა სული გაიმზიანო,
დაცემულს ხელი შეაშველე და
წამოაყენე ადამიანო.
დრონი მეფობენ,არა მეფენი,
მიწაზე მომხდარს,ცაში სჯიანო.
მტერიც, რომ ნახო დამარცხებული,
ნუ გადაჯეგავ ,ადამიანო.
გაუტანლობა გამეფებულა,
შურის და ბოღმის თასებს ცლიანო,
უფალმა ჯვარცმა თუ გვაპატია,
მაშინ შენ რა გჭირს, ადამიანო.

* * *

შემოდგომამ
დაიბერტყა კალთა
მზემ სხივები
ამოჰფინა სხვენზე,
ცას მოავლო,
ოქროსფერი ფარჩა.
დილიდანვე
დაერია ხეებს,
დილიდანვე
აიწყვიტა ქარმა.
ფერდაკარგულ ,
გაყვითლებულ ფოთლებს,
დილიდანვე
მეჯლისი აქვთ ქართან.
საოცარი,
სურნელი დგას ირგვლივ,
შემოდგომამ
დაიბერტყა კალთა.

ბუნება კი,
ჯადოსნური ქნარით,
მთელს სამყაროს
ოქროსფერად ქარგავს.
დედამიწას ჩახუტებულ
ფოთლებს,
აშრიალებს,ქარი
ირგვლივ,ფანტავს.
ვინ გაიგებს,
მათ ჩურჩულს
და ოხვრას,
ვინ ჩაწვდება,მათ
სევდას და ნატვრას.
შემოდგომა,
მაჭრითაა მთვრალი,
და ბარაქით
დაიბერტყა კალთა.

* * *

მთვარეს სურვილი გამოვატანე
ღამემ დასცალა სევდის ფიალა,
სიბნელეს თავი,ძვლივს დააღწია,
მთვარეს ჩავუთქვი სურვილი ჩუმად
ნეტავ ,შენამდე ,თუ მოაღწია.
უერთმანეთოთ განვლილი წლების,
ყველა ტკივილი თვალებს ატყვია.
ჩვენ ერთგულების ვწიეთ ჭაპანი
და,სხვა სიმდიდრე არ გაგვაჩნია.
ზღურბლზე დავმდგარვართ შემოდგომისა,
უკვე,სიდინჯის გვმოსავს მანტია.
გული კი ისევ,გაზაფხულს ნატრობს,
მოგონებები თავზე დასხმია.
მზემ,შემოდგომის,ოქროსფერ დილას
ქარვის მძივები შემოახვია.
მთვარეს სურვილი გამოვატანე,
ნეტავ შენამდე, თუ მოაღწია.

შემოდგომის ქარო



შემოდგომის ქარო,
ქარო,აბეზარო.
შეუბრალებელი,
აბა რადა ხარო.
დაერევი ხეებს,
საერთოდ არ სწყალობ,
შენი შიშით ფოთლებს ,
გული უკანკალობთ.
თუმცა,ჯიუტი და,
თან თავნებაც ხარო.
მაინც შემოგბედავ
სათხოვარი მაქვსო.
ჩემს ნატვრის ხეს
გთხოვ,რომ
ფრთხილად ჩაუარო,
ჩემი ოცნებები,
ძირს არ ჩამოყარო.
ჩემი იმედები,
ქარს არ გაატანო.
მხოლოდ,მინდა
ყველა დარდი გაგატანო.
ცხრა მთასა და
ცხრა ზღვას იქეთ,
უნდა გადაყარო,
ამ წუთისსოფელში,
მეც, რომ გავიხარო.
როცა დაბრუნდები,
ერთად ვ ი თ ა ვ ქ ა რ ო თ.

თინიკო ხაბურზანია

დედის მეცხრე ნანინა

მგოსან ვაჟა ეგრისელს

ეს ცა, მიწა, ვარსკვლავები, მზე და ზღვა დაულევი,
არის შენი პოეზიის სიღრმე თვალშეუვლები.

ეპოქებში ჩაკირულმა ცრემლებმა კი იციან,
ლექსი შენი კაცობის და ერთგულების ფიცია.

ამ მიწაზე მდგარს ამაყად ცად აწვდილი ხელებით,
თავს გვირგვინად გადგას შუქი, მუზის ცისარტყელების.

სიყვარული შენი ქვეყნის ტანთ თორ-აბჯრად გაცვია,
ლექსებს შენსას ტკივილისგან თაობები დაცლიან.

დრო, ვერაგი, სისხლიანი შენ რომ, კალმით აცელო,
ტატოს მერანს დაადევნე ლექსით გმირი შავლეგო.

ბრძოლის ველი შენთვის, მხოლოდ პოეზიის ბინდია,
კალამს იქნევ ვით ხმალს ომში ბერდია და მინდია.

კოლხეთია შენთვის მუდამ შეუცნობი სამყარო,
ფსალმუნები სიბრძნის მადლით გულით უნდა ატარო.

ყმაწვილს, რომ გაგაქელინეს შორს უძირო ტრამალი,
იქაც მოგვწვდა კერის სითბო ქვარტლიანი ჯარგვალის.

თან მიგქონდა შორეთს ნატვრა, კოლხური მთა-ველების,
პოეზიის გრდემლზე ასე იწრთობოდნენ ლექსები.

შვილო! სიმწრით გამოზრდილო დედის მეცხრე ნანინავ,
სიზიფეს ქვა ღმერთმა მხრებით ცაში აგატანინა.

ნელი გიუნაშვილი

უშენოდ ჰყვავიან წითელი ვარდები

რატომ არ გივიწყებს ეს გული ტიალი,
რატომ მდის თვალთაგან ცრემლები ღვარებად,
ხომ ვიცი, არასდროს არასდროს არ მოხვალ,
და მხოლიდ დიდ სევდას მიგზავნი ქარებად.
უშენოდ ამოდის მზე დიდიხანია,
უძირო ღამეც, ხომ უშენოდ თენდება,
უშენოდ ჰყვავიან წითელი ვარდები,
ეს გულიც უდროოდ უშენოდ ბერდება.
მე შენი დაკარგვა არასდროს მინდოდა,
მე შენი ფიქრების უსიტყვოდ მესმოდა,
ეს გულიც სულ შენით ლაღობდა, ხარობდა,
და მუდამ, ყოველთვის მხოლოდ შენ გელოდა.
უშენოდ მათოვენ ფიფქები მალულად,
უშენოდ აყვავდა გვირილა, იაო,
იქნება ცოტახნით მაჩუქო ღიმილი,
და ვინძლო გამოჩნდე, არ დააგვიანო.

ლამზირა შეყილაძე

გალაქტიონს

მთვარის შუქზე წერდი „მე და ღამეს“
მკერდში გენთო მღელვის მწველი ცეცხლი,
შენს სიყვარულს დასტიროდა მწარედ,
სარკმლის მიღმა გაძარცული ვერხვი.
მთების იქით ქარს მიჰქონდა ჭორი,
გალაქტიონს მერი შეუყვარდა,
შენთვის უკვე მერი იყო შორი,
შენ მის გარდა გულში არვინ გყავდა.
ბედისწერა იდგა თავდახრილი,
ცივი ქარი სულში მიმოქროდა,
ჯვარს იწერდა მერი ფერმიხდილი,
შემოდგომის ფოთოლივით კრთოდა.
უცნაურად შეგიროკდა ძარღვი,
ბოლთას სცემდი, გაბრაზებით დარდებს,
განუწყვეტლად რად ყმუოდა ძაღლი,
ნეტავ ძაღლმა რა აუწყა მთვარეს.
შენ კი ქმნიდი უკვდავების სისხლით
და ძერწავდი მიუწვდომელ ქალღმერთს.
თვითმკლელობა გაიძულეს ალბათ,
გენიოსო! „მე და ღამეს“ დამწერს.
მერის გამო ეყრდნობოდი კედელს,
ბარბაცებდა, სივრცე შენით მთვრალი,
შენ, იმ ღამით, სულს უნთებდი სანთელს
და სიკვდილზე დაიწერე ჯვარი!

დარდის დარდი

წუხელ დარდმა ჩამჩურჩულა,
მეც უფალმა შემქმნა.
გავუხსენი გულის კარი,
მაშ რა უნდა მექნა.
მითხრა ცივ ქარს ვეღარ ვუძლებ,
გულში, რომ დაქრიან,
ყველამ კარი მომიხურა,
რადგან დარდი მქვია.
მეც მაქვს გულში იარები,
ვუსმენ, ამდენ ჭორებს,
ყველას ტკივილს ვაღიარებ,
დარდი მეც მაღონებს.
მეც მადარდებს
ამ საწუთროს მორყეული ჟამი,
ვინ რა იცის როგორ მტანჯავს,
ყველას საზრუნავი.
მწარე სევდა მაფერმკრთალებს,
ვერც მე ვიხსნი ხუნდებს,
დარდი ისე შემებრალა,
გულში ჩავიხუტე.

შვილო, ხომ არ გცივა

რაც წახვედი, იმის შემდეგ,
ჯოჯოხეთში ვსახლობ,
შენს თბილ გულში ჩახუტებას,
მოუთბენლად ვნატრობ.
მითხარი, რომ შენც მნატრულობ,
მალე მოხვალ სახლში,
ერთხელ კიდევ შემახსენე,
რომ აღარ ხარ ბავშვი.
მითხარი, რომ გაზაფხულზე,
კვლავ მომიტან იებს...
შენში ვხედავ, ჩემო ტკბილო,
სამომავლო იმედს.
დედა კიდევ დამიძახე,
დამეწიე გზაში...
გამუდმებით შენზე ვჯავრობ,
შვილო, ხომ არ გცივა,
მითხარი რომ კარგადა ხარ,
არაფერი გტკივა...
შენს საფლავზე ნაწამები,
დედის გული გდია...
მითხარი, რომ მე რაცა მკლავს,
მწარე სიზმარია.

დარდები მახრჩობს

სიმართლის გამო მისჯიან სიკვდილს,
დედამიწაზე არ გამეძლება,
ცრუ ზვირთებიდან გამოსვლა მიჭირს
და ნელა-ნელა ძალა მეცლება.
სიყვარულისთვის მომკვეთეს ფრთები,
მზერაშეშლილი შევყურებ ნისლებს,
უსამართლობის ქაობში ვკვდები,
ბნელი სარკმლიდან ვერ ვხედავ სივრცეს.
საპყრობილიდან გაქცევა ვცადე,
ამედევნენ და ბოლომდე მდიეს.
მკვდრეთით აღდგომის მზე, რომ ვიწამე,
სიცოცხლის აღქმა არ მაპატიეს.
როს დამაშვრალი შემოგღაღადებ,
თოკს მიმოკლებენ და არ მიშვებენ,
დაჭრილი გული მკერდში ფართხალებს,
დედაო ღვთისავ, რამე მიშველე.
ჩემი გზა ახლა აღარსად მიდის,
მთებთან მისვლა მსურს, მთები ზეგანობს,
მთვარე დამყურებს, ვით სიკვდილმისჯილს,
დარდები მახრჩობს, უკიდეგანო.
ნაცემ-ნაგვემი ვაგდივარ ხნულში,
უიარაღოდ გულმკერდში დამჭრეს,
ფიქრს და ოცნებებს ვილაგებ სულში,
ცივ სამყაროში არ მინდა დამრჩეს.

ტერენტი გრანელს

შენს ლექსებში ვუსმენ ნაცნობ ბგერებს
და შორეთში მიმაქანებს ქარი,
შენს ცხოვრებას ბუტბუტებდა ღელე,
ღელე შენი დარდებისგან მთვრალი.
მეც დამჩემდა შენეული დარდი,
ჟამსაწუთრომ მეც წამართვა სასო,
გულში უწყლოდ, ჩამომიჭკნა ვარდი
და ცხოვრება აღარაფრად ფასობს.
მეც შენსავით ცივ კედლებში ვცხოვრობ,
თეთრი ღამის მწუხარება მღალავს,
შუქი მოსჩანს ცის წიაღში მხოლოდ
და იმ შუქის ბრწყინვალება მძალავს.
ვერ გავიგე, ჩემს ფიქრში რად სახლობ,
ან შენსავით რატომ მტკივა გული,
რად ხარ შორი და თან ასე ახლოს,
შენს ლექსებით, რად ვარ გათანგული.
ახლა ვზივარ, ცივ საკანში მცივა,
ტანზე ვირგებ, გახუნებულ პალტოს,
დაფლეთილი გული ისე მტკივა,
აღარ ვიცი თავი ვის მივადო...
მითხარ რაა, ამ ნისლების იქით,
ან რას ნიშნავს, ხეთა ფოთოლცვენა,
რად ვიღლები, ნეტავ იმის ფიქრით,
სიკვდილი თუ? ... სულის აღმაფრენა.

გულს ვერ იტევ საგულეში

(გოჩა ქაბუკაიძეს)

ფსალმუნები, სულს მიამებს,
ეს ღაღადი ლექსად თქმული,
სტიქონ-სტრიქონ ვკითხულობ და...
გულში მიდგას გაზაფხული.
ცის და მიწის მხედარი ხარ,
კეთილ ნერგად გადმორგული,
მძიმე სავალს, გიმსუბუქებს,
უფლის მიერ სიყვარული.
გარიჟრაჟებს ლოცვით ხვდები,
ზეცას წვდება შენი ლოცვა,
გულს ვერ იტევ საგულეში,
შენს სამშობლოს უჭირს როცა.
დედამიწას დააბიჯებ,
ათი მცნებით, ქრისტეს რჯულით,
თვალხილულ ბრმებს შთაგვაგინებ,
ვისულდგმულოდ სიყვარულით.
უფლის რწმენით მაღალ ღმერთკაცს,
სატანაც ვერ დაგიმონებს,
გულზვიადი ქართველობა
გამზევებს და გაცისკროვნებს.

თამარ სვანი ნიუარაძე

სანამ

სანამ შენ მყავხარ არ მეშინია,
ჩემი ძალა ხარ, კარგო,
და ჩემი გულიც
მხოლოდ შენია,
არსად არ დამეკარგო.
შენ ხარ ის, ჩემი მომავლის სხივი,
შენში ვამყარებ იმედს,
შენ გამომილღვე სამყარო ცივი,
გზას სიხარულით მივდევ.

არ მიმატოვო

არ მიმატოვო არასდროს,
არ აატირო თამრო,
ქარი ისწდაც ნავარდობს,
ჩემი სიცოცხლე ხარო.

ნუ მისცემთ

სიძულს ნუ მისცემთ თარეშის უფლებას,
კარები მიუხურეთ,
გულს სიყვარული უხდება,
მეც გრძნობით დამაპურეთ!

მივყვები

მივყვები ცხოვრების დინებას,
აღმართს დაღმართი მოყვება,
მეც დამამშვიდოთ იქნება,
დარდით ხომ გული მოკვდება.

* * *

ამაყად მდგარ ჩვენ უშბას
და თეთრქუდა თეთნულდს,
შეუყვარდათ ერთმანეთი,
მაგრამ მათ არ მისცეს სიყვარულის ნება,
აუკრძალეს სიყვარული,
მათ არ მისცეს ერთად ყოფნის
ერთად ყოფნის ნება,
გაიყინენ და გაქვავდენ,
შორი ცქერით ერთმანეთის,
გადაიქცენ მყინვარწვერად
და ვერ იპყრობს მათ სიყვარულს
ვერაფერი, სიყვარულით შესცქერიან
დღესაც უშბა და თეთნულდი,
მათ სიყვარულს გვიყვებიან
უამრავი ლეგენდები,
სიამაყით სილამაზით
განთქმულია ჩვენი მთები,
ამაყად მდგარი უშბა და
თეთრქუდა თეთნულდი,
სიყვარულით შესცქერიან
საუკუნის მთები,
მათ სიყვარულს ვერ ერევა
მსოფლიოში ვერაფერი.
ასეთია სიყვარული
ვერ წაგაქცევს ვერაფერი.
ამაყი უშბა და თეთნულდი
მაგალითია ჩვენი.



გამოიცანით

ირგვლივ მტერის ბუნაგია,
ერი საით მიდის,
გული ფულის მსუნაგია,
იშოვნის და მღერის.
საქართველო არ აქციოთ,
მოღალატე ერად,
არ გაყიდოთ სული ხალხო,
არ ჩააქროთ კერა.

გულის კვნესა

საქართველოს გულის
კვნესა,
საზღვარგარეთ მესმის,
ქარიშხალის ხმა მომესმა,
ძმა, ძმას ტყვიას ესვრის.
ნაცი, ქოცი გაყვირიან,
გაწყდა საქართველო,
გეგონება ნახირია
ვინ გაიტანს ლელოს.

ბრძოლის ველი

სწორი გზა მინდა რომ ვნახო,
მომწყინდა ქარებთან ჭიდილი,
ღმერთმა სამშობლო მანახოს,
მხოლოდ იქ მინდა სიკვდილი.

ქალ-ღმერთს ვადრი

ამას ჰქვია მადლი,
ამას ჰქვია ნატვრა,
რავქნა ქალ-ღმერთს ვადრი,
ქალს, ყველაფრის ამტანს...
ჩაწვდა სიღრმის ტკივილს,
წაიკითხა, ჩუმად
განა სხვაგან ყვირის,
დარდი გამიჩუმა.
ღმერთო, დამილოცე,
დედასავით ტკბილი,
სითბო გაგაოცებთ,
დარდით გამოვლილი.
გული მომირჩინა,
აღარ მტკივა უკვე,
საქმეც გამიჩინა,
თოვლს მივდევდი უკვლევს
იმედია ხვალის,
მზე აქვს ქალ-ღმერთს გულში.
ისე, მომაცოცხლა,
წავალ ჩემს მამულში!



გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

დარდი

დარდმა ისე გადამსილა
ვით მორევში ქვიშის ლამი,
მერე ტალღამ ნაპირებზე
დამასვენა ერთი წამი.
კენჭებივით გამომრიყა,
მეც რა მექნა მივყევ ნებას,
ეგონა რომ დამიბრიყვა,
არ იცოდა რწმენა მკვებავს.
ჩემი ძალით გამოვცოცხლდი,
ქრელი კაბა შევიკერე,
დარდი ვეღარ გამომცოხნის,
დარდი თითონ დავაბერე!

სამშობლო

გაშლილა ნისლი ტყეზე მთლიანად,
გამოაგზავნის ალბათ მზეც სხივებს,
ღმერთო, სამშობლო გამიმთლიანე,
ერთად ავაბავ ლალისფერ მძივებს.
ჩვენ მარიამის კალთა გვფარავსა და,
ყველას ჩვენ-ჩვენი გოლგოთა გველის.
მჯეროდა ღმერთი დამიფარავდა,
ახალი დროა, წავიდა ძველი.
ღმერთო, სამშობლო გამიმთლიანე,
რომ შემოვძახო, რერო-დიელო,
ქართველი ვარ და მეგობრიანი,
შენ შორს იყავი გადამთიელო.

მოვითბინო?

დავიბადე, მე ამ ბედის მოვითბინო,
მოვითბინო, თუნდაც ხორცი მათალონ,
კი ბატონო, მაგრამ ერთხელ მომისმინონ,
რამდენი ხართ, მტრები უნდა დაგთვალოთ.
ერთი ორი, გადავთვალე უცებ გულში,
არ ეტევით, მოყვრები მსურს ვიშვილო,
როგორ გავძლოთ, უქართველოდ ჩვენს მამულში,
პოეტებო, საქართველოს ვუშველოთ!

ჰოდა მაინც

დარდის წისქვილს, დარდი დავფქვი,
გამოვაცხვე დარდი პურად,
იმას ვწუხარ, რაც არა ვთქვი,
მეც სვეხივით, რომ ვარ სტუმრად.
კარგა ხანი მიმასპინძლეს,
არ ვენდური ბედისწერას,
ხან წიგნივით ამკინძეს და...
ხან დამასწრეს, მზის ჯვრისწერას,
მომატარეს ღობე-ყორეს,
აწყმოს ახლა ჩემით მივწვდი,
ვაზის ლერწი გავაორე,
სხვა ტოტებსაც გადვწიდნი!

დარდის ვადა

(ლაშა ხარაიშვილს)

უკვდავების ფესვის წყაროს,
შეემატა, ოთხი ფესვი,
შემეკითხეთ, როგორ ხარო,
გიპასუხებთ, რომ ვარ მწყემსი.
უბრალო ვარ, როგორც ცვარი,
მაგრამ ბრწყინავს, ათინათი,
ადრე მომტყდა ბეჭის მხარი,
ბედს არ ჰქონდა ჩემი ხათრი.
უკდავების ფესვის წყარომ,
ამოხეთხა ნაკადული,
წყარო უკვე მოშხმარკალობს,
გაჩნდა გოგო დახატული.
გვანცას მოჰყვა, მერე ბარბი,
ბარბის შემდეგ გაჩნდა ბიჭი.
თავისთავად გაქრა დარდი,
ბრძნულად საკითხის გადამიჭრის.
და ბეჟანის წყაროს ფესვზე,
ერთმა ტოტმა, ფრთა გაშალა,
არ ვსაუბრობ ახლა ლექსზე,
საღერღელი ამეშალა.
ბეჟანი რომ ღმერთმა იხმო,
ობლად დარჩა ჩემი ლაშა,
რაც არ უნდა მძლავრი იყო,
ვერ შევჭამდი ტკბილად ვახშამს.
ლაშას მამა ვერ ვხვდბოდი,
უკვდავების გემს მართავდა,
ვიქცეოდი, თან ვდგებოდი
ბედიაწერა ძაფს ართავდა.
მიულოცავ, დღეს ჩემს ძმიშვილს,
 გიორგობას დაიბადა,
არ დავიწყებ, ცრემლით ვიშვიშს,
გაუვიდა ჩემს დარდს ვადა!

ბორბალა

ბორბალა, მწვანე კაბა გაცვია,
ზამთრის სითეთრეს როგორ უხდები.
იქნებ კანკალებ, ვინ იცის გცივა,
თვალს გადევნებ და ძალზე ვწუხდები.
თხმელა შიშვლდება მთელი სხეულით,
შენ კი ერთ ფოთელს ძირს არ დააგდებ,
იქნებ ყინვას ხარ შენც შეჩვეული,
გამძლეობაზე ღმერთან ქადაგებ.
ამტანი რომ ხარ ცხადზე, ცხადია,
არ შეგადარებ ნეკერჩხლის ფოთლებს,
შემოდგომითვე ფეხით დადიან,
ეს, უგულობა ძლიერ მაშფოთებს.
შენ რა ამაყად, დგახარ დიდ მთებში,
შენთან ბინადრობს, ქყორი და ძმერხლი,
მწვანე შუქივით ანათებ კლდეში,
ყურს ჩაგჩურჩულებს ხმაური მეხრის.
როგორ მინდა რომ მომიყვე ბევრი,
წარსულ მითებზე და ლეგენდებზე,
მე ჩემი მიყვარს, კენქი და კევრი,
მინდა ვიცოდე, ბებერ კლდეებზე.
ვერ შევეგუე, ხეთა სიშიშვლეს,
არანაირად არ მესმის მათი,
შენ კი ბორბალავ, მაძლევ სიმშვიდეს,
ვკანკალებდი და--- უკვე... გავთბი!

იმედი

იმედი არ მოკლა, იმედი ღვთისაა,
არა გაქვს უფლება, დღეები დათვალო,
სიცოცხლე კაცისთვის სულ ასი წლისაა,
სატანა ისედაც იბრძვის და ავთვალობს.
იმედით ადექი, იშრომე, იღვაწე,
საღამოს ხატებთან თქვი ყველა სათქმელი,
იცოცხლებ, ბოლომდე ას წელსაც მიაღწევ...
თუ, რწმენით აანთე უფალთან სანთელი.
გჯეროდეს, შეძახილს, ცუდი აქვს აურა,
ყოველთვის იმედით უყურე სამყაროს.
წუწუნი იმ შენს მტერს, არ უღირს შაურად,
ამიტომ ფარხმალი არ უნდა დაყარო...
ტირიხარ?... იტირე, თუ გინდა იყვირე,
რას შეცვლი ასეა, დღეს ღამე მოყვება.
დილით კი ეზოში მამალი იყივლებს,
ქარიც კი მზის სხივთან ხანდახან მოყვრდება.
მდინარის დინებას მიყევი უშიშრად
ხან მიიზლაზნება, ხან ჩქარი ტალღაა,
ნაპირთან სულელმა ხმალი თუ იშიშვლა,
ჩათვალე ნაპირი ჯერ შენთვის გაღმაა.
იმედი არ მოკლა, იცოცხლე, იმედით,
რომ ას წელს მიაღწევ, ირწმუნე, გჯეროდეს,
უფალი იქ, იყო ბილიკს რომ მისდევდი,
რა იცი ხვალისთვის `ჩაკრულოს~ მღეროდე?

ბრმა

ბრმა ვერ ხედავს ცისარტყელას,
ვერც სხივების ლიცლიცს ცაში,
ვარდის ყვავილს, ხედავს ტყემლად,
ხელს თუ წაკრავ, ყვირის მაშინ.
უხერულად შენ ხარ მუდამ,
ჯიკაობას, არ კადრულობ,
ტკივილს შენთვის გულში გუდავ,
ცრემლი თვალში ნაკადულობს.
ბრმა კი დადის აბდაუბდა,
ბრმის სტატუსი მოიხდინა,
როცა უნდა ხედავს ხურდას,
ყაჩაღობაც ჩაიდინა.
ასეთები ბაირამობს,
შენ კი ნამუსს დაფოფინებ.
შენ რომ სადმე შეიღამო,
მილიციას ატყობინებს.
ის ბრმაა და შენ გიქერენ,
ბრმა კი დადის მუდამ მთვრალი.
ბრმა იმ სტატუსს სულ იყენებს,
ბრმისკენაა სამართალი ...

იმერეთში

ვოცნებობდი, ლექსის წერა მესურვილა,
ნოსტალგიამ ამიტირა დარდის გული,
ჰე, საჩხერე, ჩემი ხვანი, და ძირულა,
იმერეთი უფლის ხელით დახატული.
იქ, აკაკის ნატერფალი მეგებება,
ვხედავ მგოსანს, სიყვარულით, ღამე ნათევს,
სტუმრისათვის ქიქა ღვინის შეგებება,
ჩვენია და აბა, ამას ვინ წაგვართმევს.
წლები მიქრის დამათოვა ჩუმად თმაში,
სიბერე კი დაჭიხვინობს დაზაფრული,
თამადა ვართ სიყვარულის ამოხსნაში,
იმერეთში??? სხვაფერია გაზაფხული.

რა დამაძინებს

თუ არ დავღალე, რა დამაძინებს,
ფიქრი რომელიც ცაში ტრიალებს,
მეგონა მიწას ვამძიმებდი და ...
ზეციდან ძალით მომატრიალეს.
მითხრეს, ჯერ ისევ კაფე ძეძვები,
მომავლისათვის ნერგი ახარე,
მტერიც თან დაგდევს თვალის ცეცებით,
გულს ტკივილები უკვე აკმარე.
დაუშვათ ასე გავითავისე,
ძილში ცაში ვარ, ცხადში მიწაზე,
ჰო, ამ ფიქრებით გავიხალისებ,
ვიცხოვრებ ისევ დედამიწაზე.

არ ვთლი ლაიქებს

არ ვთლი ლაიქებს, ყურადღება თუმც მიხარია,
დუმილმა უკვე მოიწყინა რა ქნას საბრალომ,
გმირებს დავეძებ, სამშობლოსთვის,
ცას რომ არიან,
რა იოლია, ყველაფერი, სხვას დააბრალო.
წავიდე? სად წავიდე, ვის გავეცალო,
ვხედავ, ჩემს მამულს,
ერთგულები რა რიგ ჭირდება,
ჩემს სამშობლოში, გამარჯვება უნდა მაცალოთ,
საქართველოში უსათუოდ გააპრილდება!

130 წლის იუბილე
(გალაქტიონი)

გადახტი? არა მგონია,
ტყუილია არის ხომ კაპოეტო,
იქნებ წარსულიც მონაგონია,
შენც მოგიშორეს დიდო პოეტო.
დღევანდელობას როცა შევცქერი,
თვითონ ხალხია დაუნდობელი,
იქნებ შეშურდათ ნაშრომ-ნაწერი,
და სხვას ეწადა, შენი ნობელი.
გადახტი? ეჭვი მიჩნდება,
სულს არ წირავენ, გოლიათები ...
ლექსების კითხვა არა მწყინდება,
შენს ლქსებთან ვარ ღამენათევი.!

ერთგულება

გათვალულია დედამიწა, ავი თვალისგან,
რითი უშველო, ნაცრის ფერი ადევს სამყაროს,
თუმცა მოვიწევ, იმედის ტოტს ისევ ხვალიდან,
შავი ღრუბლები, თვით ზეციდან უნდა გავყარო.
ერთგულებაა, მოსაძებნი, გადაკარგულა,
დაუნდობელი, შელახული არის დროება,
და სამომავლო ვაზის ნერგი სხვაგან დარგულა,
გაუსაძლისი, არის უკვე ყოფა-ცხოვრება!

გამხმარი ხე

დაუსხი წყალი თუმც გამხმარია,
მაინც ვეცადე, იქნებ მოცოცხლდეს,
სხვისი ტკივილიც სიმწუხრეა,
სხვისთვის დედას პურს უნდა ვაცხობდე.
დიახ! ასეა უნდა მტკიოდეს,
არ მურს ვცოცხლობდე, როგორც უგულო,
ხეს იქბებ ტოტიც გამოდიოდეს,
გარდაცვალებას როგორ ვუყურო.
იქნებ ფესვებით ისევ საღია,
და ითხოვს ისე ხელის შევლებას,
ქარმა სამოსი შემოახია,
და კლავ დაიწყოს აღმოცენება!

ნატვრის თვალი

ნატვრის თვალს ვეძებ, მთელი ცხოვრება,
რა არ ვაკეთე, სად არ ვიარე...
სიკეთის მთები დავდგი გორებად,
მტერო, კვლავ გულზე გადამიარე.
გული აღარ მაქვს, აქაც შენ შეცდი,
გული კლდედ, არის გადაქცეული,
პირისპირ ბევრჯერ უშიშრად შეგხვდი,
რომ დადიოდი გადარეული.
ქრისტიანი ვარ, შენ კი ურჯულო,
ამით გაჯობე, სისხლის მწოველო,
შენ დაიბადე, ცივი, უგულო,
უხსენებელი შვილის მშობელო.
ნატვრის თვალს ვეძებ, უბით მამული,
რომ ჩავიხუტო გულში მთლიანად,
რა ჯაჭვები გაქვს, ჩუმად გაბმული,
ვერ მოგაცილე, ქართვლის ნიადაგს.
სუყველაფერი შენი ბრალია,
რომ ეჯავრება ქართველს, ქართველი,
რომ გაღიარო, ჩემი ვალია,
რადგან სული მაქვს, შენზე ჯამრთელი.
ნატვრისთვალს ვეძებ, რომ მოგიშორო,
რომ გადაგხვეწო, სადღაც მთებს იქით,
ქართველი, ქართველს არ დამიშორო,
შენი მტრული და უაზრო ჯიბრით!

რაა ეს დრო

ნოემბერში კვლავ
გახშირდა ფოთოლცვენა,
ხან დიდი და ხან პატარა კვირტი ცვივა,
რაა ეს დრო, მართლა გახდა გამოცანა,
სუყველაფერს განვიცდი და გული მტკივა.
სიყვარულის ქარტეხილი გაფარჩაკდა,
დედაშვილის, ძმადნაფიცის მეგობრობა,
ყველაფერი გაიცრიცა, თითქოს ჩაკვდა,
ხალხში მხოლოდ ჯანსაღია ომობანა.
რა ძნელია აშენება, მერე ნგრევა,
გახარებულ ვაზს რომ ყინვა შემოჟარავს,
დარდით ალბათ, დედამიწაც შეირყევა,
არ იდარდოთ, საზღვრებს
ხელით შემოვბარავ!

ლამარია

მთებს გავცქერი ოპერიდან,
უშგულსა და ლამარიას.
იქ, ტირილიც მომერიდა,
რადგან გულში ზამთარია.
სვანურ კოშკებს ვუყრებდი,
ამაყსა და ცამდე მაღალს...
აღსარებას ვაბარებდი,
რომ ბუდობდა ჩემში დაღად.
თვალით მეფეს დავეძებდი,
ტახტრევანზე ფიქრით იჯდა,
უმღეროდენ თან გედები,
გული წამში ჩამოდინჯდა.
თამარ მეფის ლანდი ჩანდა,
ლამარიას ლოცულობდა,
ქარიშხალი წამში ჩადგა,
მანამდე, რომ ორგულობდა.
ცაც დამშვიდდა, დედამიწაც,
ჩურჩულიც კი არ ისმოდა,
ყველაფერი დამავიწყდა,
გული ლაღად მაისობდა!

დროს ვსადილობ

დროს ვსადილობ დარდის ლუკმით,
სასმელად კი ცრემლს ვიყენებ...
ვიცი ტირის შველის ნუკრიც,
ირმის ჯოგი მიაქენებს.
საით მიდის ის ტრამალი,
საქართველოს ფერდობს გაცდა,
არ იყივლებს იქ, მამალი,
ღრუბელია, სხივი არ ჩანს...
იმ გზას მიდევს ბრმად სუყველა,
არ იციან სად მიდიან...
საქართველო ვინ დაწყევლა,
ამ ჩვენს ცაზე სულ ბინდია.
შეიცვალა აქ, როლები,
აქ, სხვა რჯული დაჯლაგუნობს,
არ ჭირდებად გასტროლები,
ლამის გული გამომგულონ.
დროც ვივახშმე... ახლა უკვე,
დაძინებას შევეცდები,
დარდის ფიქრებს გავაუქმებ,
რადგან დარდით გარდვიცვლები.
უპატრონოდ დამირჩება,
წიგნები და ჟურნალები...
არც ერთი არ გადარჩება,
ჩემი სულის ცრემლნავლები.
ჯერ ბეvრი მაქვს მოსასწრები,
მერე დაისს ჩავბარდები,
თუმც გული მაქვს ნაკაწრები,
ცაში არ გადავბარგდები...
წიგნს ვერაფრით ავატირებ,
რაც არ უნდა გული მთალონ,
შორს წასულებს ვაპატიებ,
გინდათ ცუდად ჩამითვალონ...
შვილი დედას ვეღარ იცნობს,
კაცს მეუღლე ენატრება.
შვილებს ლავაშს უცხო უცხობს,
დარდით გული მეფატრება.
დრო გათენდა, სულის მარხვით,
ქიკქიკობენ მერცხლის გუნდი,
კი, გავყვები ცათა მარხილს,
შვილებს დედა ჩამოუდის!

აკროსტიხში

გულნაზ ხარაიშვილი

ცრემლს ღვრის პოეტი

თებერვალმა სუსხი ჩემთვის მოუმატა,
ც – ამაც გულში ჩამიღვარა დარდის მწუხრი.
რ – ამდენს ვუძლებ, სევდას სევდა დაემატა...
ე – ერთხელ მოვკვდი, მაგრამ სიკვდილს თავს არ ვუხრი.
მ – იცნობთ უკვე კლდედ ვიქეცი, ფიფქებს ვფანტავ...
ლ – ომისის ხატს შევავედრებ მთას და მდელოს,
ს – იყვარული გვქონდეს ყველას ანდამატად,

ღ – მერთო, იქნებ საქართველო გამიმთელო...
ვ – არდის სურნელს გადავაფრქვევ დედამიწას,
რ – იგში ვდგავარ სათნოების სასახლეში...
ი – მედები თუკი კიდევ დაიწიწკნა,
ს – აქართველოს არ ჩავუგდებ უცხოს ხელში.

პ – აპის გუთანს, ღმერთო, ქალი მოაშორე,
ო – მობანას მოვეშვათ და ვიყოთ ფრთხილად...
ე – ს ის დროა, რომ ვუვლიდეთ ღობე-ყორეს,
ტ – ოტზე ვსხედვართ და უფალმაც გაგვაფრთხილა.
ი – მედის კვალს ბოროტებით ნულარ ვჩიჩქნით...

ქარსაც რბოლა თავისთავად მოსწყინდება.
აღარ ავყვეთ მოენეთა უქმად ჩიჩინს,
საქართველო უსათუოდ გაბრწყინდება!

როდის მოგირჩენა გული სამშობლო?!.

(ავღანეთში დაღუპულ შვიდ ვაჟკაცს)

რ – ოგორ ვცდილობ მე, დავიმწუხრო განსხვავებულად,
ო – მის ქარბუქო, დღეს შენ მამულს დარდით რაგვავდი...
დ – იდი ტკივილით განთიადიც დაღამებულა,
ი – სე იქროლე, თოვლის მთები მხრებზე დაგვადგი.
ს – ამგლოვიარო სამოსშია ჩვენი სამშობლო,

მ – იმოიხედე, ცრემლში დნება ტაძრის კედლები...
ო – მს შეწირულნო, ნანინანატრად გაზრდილ-ნაშობნო,
გ – ულში დაჭრილ ერს თქვენც დარდებად შეეკედლებით.
ი – ქნებ უხმობდით თქვენს ახლობლებს, ჩვენო ბიჭებო,
რ – ამდენჯერ მიწას მოპოტნიდით გაწამებული...
ჩ – აწყდი სამარხო, ქვა და რიყევ, ეკალ-ჭინჭრებო,
ე – რთი კიარა, დღეს შვიდით ვართ გამწარებული.
ბ – დღვნიან ქარები, მწარე ცრემლებს ღვრიან ჭადრები,
ა – მ მწუხრის დილით, ქარიშხალმა დააგო მახე.

გ – არეთ რა არის, სულში ცრემლებს ღვრიან ჭადრები,
ჟ – ფლის რჩეულნო, მტრის ტყვიებით ავსებთ სამარხებს.
ლ – ოყაზე ცრემლებს ერი უკვე ვეღარ შეიშრობს,
ი – ფერფლებიან, ნაცრდებიან შვიდეულები...

ს – აქართველოს ცავ, ამ ბიჭებით იქნებ შეივსო,
ა – ღარ გასწირო დასაღუპად ღვთის რჩეულები.
მ – უხლმოკვეთილი დარჩნენ სადღაც, შვიდივე ერთად,
შ – ორს დაღვრილ მათ სისხლს დაჰხარიან შავი ყორნები.
ო, – ერთი მაინც დედებისთვის სიტყვა რომ გეთქვათ,
ბ – იჭებო, ცხარედ დაგტირიან გულისსწორები.
ლ – ომისის მადლი გმფარველობდეთ, ცის დასალიერს,
ო – რიათასჯერ მოსულიყოთ ამავ სოფელში,
თქვენ ხომ სიცოცხლე საქართველოს შეალიეთ და...
თქვენი სულები აწ და მარად იყოს ნათელში.
როდის იქნება საქართველოს შეაშრეს ცრემლი,
შვილებს ლუკმისთვის არ ვფანტავდეთ ვით მტრედის ხუნდებს,
ჩვენს მამულშივე მოვიქნიოთ ხმალი და ცელი,
რომ ბეწვის ხიდზე იმედები არ გაგვიხუნდეს...

სიცყვით ვერ ვთქვი და
არც კალამით თავს არ გიცოლემთ...

ს – ევდის პერანგს დავატარებ, მძიმე უღლად,
ი – წერება მხოლოდ ცრემლის სტრიქონები.
ტ – კივილები დამდევს ყველგან ბედის იღბლად,
ყ – ინვებია... სავალ გზებზე ნათქორები.
ვ – ინ რა იცის რას განვიცდი, რატომ ვკვნესი,
ი – მედს არა, დარდს შევყურებ ათასწლეულს.
თ – ითებს ვიკვნეტ... სანუგეშო ხმა არ მესმის,

ვ – აზი ტირის, ღრუბელს ხედავს, თავ აწეულს.
ე – ს ლაქაა, თუ ცის კანის შავი ფერი...
რ – ა დღეშია, მზის მკლავებში კოტრიალებს,

ვ – ახ! მზის სხივი გადაფარა ნისლმა თქორით,
თ – ავი მომჭრან, თუ მე მათთან ვიტრიალო.
ქ – არიშხალიც სულს მიმწარებს თავის ქცევით,
ვ – იბრძვი კალმით, კაშხალი არ გადმოტეხოს...
ი – მიტომ ვარ, განდეგილი, ზურგშექცევით,

დ – არდიან ქალს თავს ლაფი არ დამატეხოს.
ა – რც იფიქროს ჩემთან სულის გატოლება,

ა – ბა, ერთი გაბედოს და ხელი მახლოს,
რ – ამდენჯერმე ამოვხსენი განტოლება,
ც – ოტა არა, ბევრი წყენა მისგან მახსოვს.
კ – იბე-კიბე სულიწმინდით ცაში ავალ,
ა – თასნაირ ფერების ხიბლს არ ავყვები.
ლ – ამაზ ზაფხულს ვეახლები სულის წამლად,
ა – ხლა არა გაზაფხულზე ავყვავდები.
მ – ოვალ იად, შროშანად და კოკორ ვარდად,
ი – ქვე გავშლი ჩემს ჩრდილის ქვეშ ლამაზ სუფრას...
თ – ავთავიდან თუ მარცვლები ჩამომცვივდა,

თ – ითო-თითოდ წამოვკრიფავ ნამცეცს სუფთად.
ა – რწივის ფრთა, თუ საფრენად დამჭირდება,
ვ – ილოცავ და შევქმნი ლექსებს მუზის ღმერთით...
ს – ასწაულებს თუ იღბალი დამპირდება,

ა – ი, მაშინ მოვიფრთხვნები, მთვარის ფეხთით.
რ – ანი ვართ და რა ვიქნებით ცას რომ წავალთ,

გ – ულზე გრძნობით გადავიკრავ სხივის არტახს.
ი – ქნებ ლექსო, მახალისო წუთ და წამად...
ტ – ილოებზე შენთან ერთად შევქმნი ნახატს.
ო, – ახლა კი დიდ ტკივილებს ჩუმად ვფუთავ,
ლ – ექსით ვსუნთქავ, ნიჭი მერგო, ღვთით ნაკურთხი,
ე – კლებში ვარ, მომაწურე სიტკბო, თუთავ,
ბ – ედისწერის ცეცხლითა ვარ განათუთქი.
თ – .....


სიონის საკათედრო ტაძარი



მამა ამირან ამირანაშვილი
საქართველოს სიმდიდრე და სიამაყეა

მ-ამაო, კრძალვით გეტყვი ჩემს სათქმელს,
ა-რ იტევს გული უკვე ნაფიქრალს,
მ-ოგიახლოვდი, გადავხდი სარქველს
ა-რ დამჭირდება არვინ საფიცრად.
ა-რც დავფიქრდები, გულს გადაგიშლი,
მ-უმლი გარს მივლის აღარ მეშვება...
ი-მედის გზაზე მუდამ კვალს მიშლის,
რ-ამდენჯერ ბედსაც ჩემთან ეშლება.
ა-რაფრათ ვაგდებ, ვბრძოლობ და ვბრძოლობ,
ნ-ატყვიარ გულზე ბევრჯერ დამთოვა,
ა-ლბათ გადავღლი, ბოლოს და ბოლოს,
მ-ე ტკივილებთან ისეც მარტო ვარ.
ი-ცის უფალმა მტერსაც რომ ვლოცავ,
რ-ავიცი მამავ, შური არ მიყვარს,
ა-ღსარებაზე მომიწევს მოსვლა
ნ-აისრი გული თუ ისევ მომყვა.
ა-რავარ სუსტი, ქალი ვარ მაინც,
შ-არიან ტალღას როგორ ავყვები.
ვ-იცი მომიწევს ბრძოლები დაისს,
ი-ქ მოგროვდება, ქარის მაყრები.
ლ-ოცვა მიშველის, დამლოცე მამავ,
ი-მედიანო, ღვთის გზით მავალო...
ს-აქართველოსთვის გაზრდილხარ წამლად,
ა-მომავალ მზის ამომავალო.

ქ-ათინაურის არ მიმღებელო,
ა-ზრთა გამირიგევ, ცეკვის ოსტატო,
რ-ამდენჯერ დარდით ამღერებულო,
თ-ბილო ზაფხულო, სულის არხოტო.
ვ-იცი მამაო, დიდ ტვირთს ატარებ,
ე-ს დიდი გზაა, ცათა სოფელის,
ლ-ოცვით დაგვმოძღვრამ დიდს და პატარას
ო-ქროს და ვერცხლის უარმყოფელი.
ს-ად არ იარა თქვენმა სახელმა,
ს-აამური ხმით ჭექთი გუგუნით,
ი-ქნებდა მართლაც ღმერთმა ინება,
ა-ხლა ღვთის გზაზე რომ აბულბულდი.
მ-ამა ამირან, გთხოვ მაპატიო,
ა-მ გაბედვისთვის ვითხოვ შენდობას,
ყ-ინვას გაურბი, რომ არ დამთოვოს,
ე-ხლა ეს გული შენ ერთს ენდობა,
დ-ედის ცრემლები არ მსურს იხილო,
ა,-ეს სიმწარე ჯვარცმის ტოლია,
ი-მ ტანჯვის მერე როგორ ვილხინო,
მ-ტერი კეთილსაც ბევრი მყოლია,
ე-იფელის კოშკს დარდებით მივწვდი,
დ-ედამ შვილი, რომ მიწას დაუთმე,
ი-ქ ცის სოფელში ქმარშვილი მიცდის,
ა-ქკი სანთლები უნდა დაუნთო.

ბეჟან ხარაიშვილის უკვდავება

ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტი

მოქანდაკე **გიორგი ლარიაშვილი**

ძმაო, ახალგაზრდად დარჩი,
ბედმა ბევრნაირად გჟეჟა.
ბიჭო, შენ პოეტად გაჩნდი,
მე კი ლექსებს ვჩორკნი, ბეჟან,
შენი სიტყვა იყო ბრძნული,
რადგან წლების შემდეგ ბრწყინავ.
ლექსი მზის სხივებით წნული,
ბედი, ქარიშხალი, წვიმა.

მთას შენი სხეული

(ბეჟან ხარაიშვლის)

ძირულას ჩანჩქერში გაზრდილო კალმახო,
კედლად რად მიშენდა მთას შენი სხეული.
შევეცდები, რომ ის წლები დავმარხო,
უკვე მუჭში მყავს გამომწყვდეული.

იანვარში

იანვარში დარდები ბალახობდა,
თვალებმა ცრემლებში ცურაობა დაიწყეს.
მე გაჯობებო, ბედი ქართან ხირაობდა,
ბოლოს მორიგდნენ!
ბეჟანის სიცოცხლე გაიყვეს.

გულნაზ ხარაიშვილი

გელა ლარიაშვილი, ლევან ბაბუხადია, გულნაზ ხარაიშვილი, ერეკლე საღლიანი, გერონტი მესხი და ნიკო ბაღაშვილი.

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილისა

ბეჟან ხარაიშვილს

მიწას დაბნეული მარგალიტები,
ცაში დაკიდულან მძივად,
დაბინდულ მხედველებს ვერ აუკრეფავთ
მზეს კი გადმოუკიდია მძივად,
მაგრამ გამობრწყინდა ნაზი „ათინათი“
გული გაუთბო მცივანს...
სულ წმინდად აკრიფა ყველა მარგალიტი
და შემოგვაგება წიგნად.
თუ ასე გიყვარდა ვარდი მარგალიტი,
რატომ შეჰყურებდი მშვიდად,
ცხოვრებას სიტკბოთი ჩამოინავლებდით
იგიც გაიხარებდა დიდად.
მანაც გაიარა წლები წამებული,
მხოლოდ იარსება დედად,
ცხოვრება მოკრძალებით გამოიარა,
დღესაც სიმორცხვეში დნება.
მიწას მიბნეული მარგალიტები,
ცაში დაკიდულან მძივად,
მარცვალ-მარცვალ ნაგოგმანები
გულნაზიმ მოგვაგება წიგნად.

ნათია სირაძე-კახიძე

* * *

ვუძღვნი ახალგაზრდა, ნიჭიერი შემოქმედის, ბ-ნ ბეჟან ხარაიშვილის მარადიულ სიცოცხლეს

ფრთები ასწიე! გაშალე ფრთები!
შენ ახლა უფრო ახლოს ხარ მზესთან,
„ცის პოეზიის“ საღამოს აწყობ,
ჩვენ კი შენს ლექსებს ვკითხულობთ, ბეჟან!
ვარსკვლავებს აღარ ეთმობა ღამე,
ქარაფებს დღესაც ჩაუვლის დილა,
შვილიშვილები, შენს საღამოზე
წამოიწყებენ „შავლეგოს“ ტკბილად.
დადუმდებიან კლდე და ლოდები
ცა ატირდება, ჩამოყრის ცრემლებს,
იბორიალებს ქუჩებში ქარი
და უშენობის ჭორს გაავრცელებს.
რაინდო კაცო! დიდო პოეტო!
შენ ახლა მართლაც ახლოს ხარ მზესთან,
ვუყურებ ფოტოს... წლებს „ნასათუთევს“
და ვერ ვივიწყებ ნაღვლიან მზერას!!!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

დიდებულ უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილავო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს იღწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართვლის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

ბეჟან ხარაიშვილი

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მუავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

შენნაირები არა კვდებიან

(გურამ ჭავჭანიძეს)

შენნაირები ცაში ფრინავენ,
შენნაირები არა კვდებიან.
ზოგიც ცოცხლები აქვე გმინავენ,
და სამოთხეში არა ხვდებიან.
კეთილო გურამ, ცაშიც იყავი,
კაპოეტივით ფრინავდი ყველგან,
გვერდი მე აქაც გამოგიყავი,
ის უკვდავება უშენოდ ღელავს.
წინა დღის გეგმას რად უღალატე,
რად მომატყუე მოვალო შენთან,
ღონისძიების გეგმები მანდე,
თურმე ჯდებიდი სიკდილის გემთან.
აქ იტრიალებს ჯერ შენი სული,
და ჩემს ჟურნალშიც შემოანათებს...
ზეცაში არ ხარ ჯერ გადასული,
თამთა შენს თავთან დიდ სანთლებს ანთებს.
სულ ერთი თვე და კვლავ მოფრინდება,
დაბადების დღე, შენ რომ გიყვარდა...
ჩვენი ნურას დროს მოგერიდება,
თუ შენი სული ღვთით ცას მიბარდა.
ააღუღუნე ზეცა სიმღერით,
ააჭიკჭიკე ცა უსასრულო,
მომგონებლები დაგრჩა იმდენი,
ღმერთმა არასდროს არც დაასრულოს.
ე, ამას ქვია კაცურ ცხოვრება,
მეგობრობის და გრძნობების კაცო...
მოხდება შენი განმეორება,
ახლაც ლექსები ცეკვავს და ანცობს.
მერე რა, რომ წლებით დიდი ხარ,
ჩემი შვილი ხარ აკადემიის.
მე ხომ დედიკო, გურამ შენიც ვარ,
მტერი ვარ მხოლოდ ამ პანდემიის.
ქალი კი არა, ღმერთი ხარ ღმერთი,
რამდენჯერ ჩემთვის გითქვია გურამ,
დიდი რწმენა მაქვს გულში მე ერთი,
პოეტი ცაში არ მიდის მდგმურად.
ცას გელოდება სიცოცხლის წყარო...
გელოდება და შესვი პეშვებით. ..
როგორც პოეტმა მსურს გაიხარო,
მარადილი წლების შევსებით.

ლეილა გაფრინდაშვილი

ისეთი მხნე, სალისიანი, მიზანსწრაფული იყო, იმდენი სამომავლო გეგმები ჰქონდა, მიჭირს წარმოდგენა იმისა, რომ ჩვენთან აღარ არის. გურამ ჭავჭანიძე-თბილისის ტრუბადური, ღირსეული ქართველი, ნიჭიერებით, ცოდნით, გამორჩეული ხასიათით, სიყვარულით ავსებდა ყველას, ვინც კი მისი საახლობლო სივრცის მოზიარე იყო. ლექსს წაიკითხავდა და იმდენ გრძნობას, ემოციას ჩააქსოვდა, დარბაზში ცეცხლს დაანთებდა. როიალს მიუჯდებოდა და ისე აგიყოლიებდა, სიცოცხლის ხალისს შეგმატებდა! სულ ფუსფუსში იყო, მუდამ სამომავლო გეგმები ჰქონდა და ახორციელებდა კიდეც. ახლაც ემზადებოდა მოახლოებული დაბადების დღისთვის. ვაი, რომ არ დასცალდა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანთან მეგობრობა მეც მერგო წილად. რამდენი გასახსენებელი დაგვიტოვა სამეგობროს. დღეს მთელი არქივი გადავათვალიერე. პოეზიის საღამოები, შემდეგ კი ქართული სუფრები და ლამაზად მოლხენა. ნიკო ბაღაშვილის გადაღებული ფილმები, წიგნები, ფეისზე გამოქვეყნებული ლექსები. ერთგან მის ლექსზე ასეთი კომენტარი მიმიწერია: სიყვარულია მისი მისია, ჩვენი გურამი მარადისია! ამ ისე, უეცრად მიწერილმა კომენტარმა დღეს განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. მართლაც, მარადისი და დაუვიწყარი ხარ, ჩემო კარგო მეგობარო, არა მარტო ჩემთვის, მთელი ქალაქისთვის. ისიც ვიცი, როგორი მამა და ბაბუა იყავი. თითქოს უდედობასაც უვსებდი შვილებს, რაც მართლა იშვიათია.ბევრი საუკეთესო დეტალი მსმენია და ამიტომ ვწერ ამ სიტყვებს ასე გაბედულად და ხმამაღლა! ძალიან ბევრი კარგი რამ დამრჩა სათქმელი, ფურცლები რომ ვერ დაიტევს. მჯერა, სადაც ჩვენ, შენი მეგობრები შევიკრიბებით, შენი სპეტაკი სულიც მუდამ იქნება ჩვენთან. გზანათელი და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა! ვიცი, ეს წერილი ადგილს დაიმკვიდრებს ჟურნალ „ათინათში“. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო, ჯანმრთელობა, შემოქმედებითი წარმატებები არ ვუსურვო ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რომელიც მთელი გულით და მონდომებით იტვირთებს ხოლმე, უკვდავყოს შენნაირი ღირსეული ადამიანები.

ნელი გიუნაშვილი

გურამ ჭავჭანიძეს

ლექსი ეძღვნება
მწერალთა კავშირისა და ჯუმბერ ლეჟავას
სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს,
მეცნიერს, პოეტს

გაგასხივოსნა ლამაზმა ენამ,
ლექსმა ლამაზმა, შენ აგამღერა,
და სიმღერებმა, ღიღინ-ღიღინში,
დაგაღვინა და არ დაგაბერა.
შენ პოეზიის წიაღში ცხოვრობ
ლექსები შენი სიხარულია,
სიყვარულს უძღვნი, ლამაზ სიმღერებს,
შენი ცხოვრებაც სიყვარულია.
შენი თბილისი და შენი მტკვარი,
არის ზღაპარი ამქვეყნიური,
ყველას ხიბლია და საფიცარი,
ადგილი წმინდა და ზეციური.

უსიყვარულოდ ვერ გაძლებ ვერა,
შენ სიყვარულის შეგყრია სენი,
და, რომ იცოცხლო, უნდა გიყვარდეს,
უნდა გიყვარდეს, მოყვასი შენი.

ამ ლექსით გემშვიდობები
ბატონო გურამ. დიდი სიყვარული დატო-
ვე მეგობრებში და შენს ახლობლებში.
ღირსეულო ადამიანო მარად იცოცხლებ
ჩვენს გულებში. ნათელი და სანთელი
შენს უკვდავ და ლამაზ სულს.

გურა-ანგურა
გურამ გედევანიშვილი

გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება

ხმა ხმიანობს ხანგამძლე და ხნიერი,
ხელეურიც ხელდახელად იკვრის,
ეს, ცხოვრება მსრბოლი, წამიერი
ხანმოკლეა და ეს მეტად მიკვირს.
ხე იზრდება, ხვიარები გვეხვევა,
ხელისგულზე ფეთქავს ხვითოს გული,
გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება,
არსობაა წრფელად შენასკული.
ხიბლნაყური ჩქერალები ხვივიან,
თეთრ ჩაფხუტებს ჩამოეხათ კალთა,
ჭიუხები მეცხრე ცაზე ჰკიდია,
არა, ძმაო! უფრო, უფრო მაღლა.
რა მხარგძელი ხეობები გვქონია,
ხელთუქმნელი, ხუროთმოძღვრის ძალით,
ცად ლივლივებს ვნება, თუ ძელქორია,
აპა, რავა! ჰყეფს დროების ქარი.
ხეკორძულას ხელადები ივსება,
სვეტიხცოველს წვეთს მირონი წმინდა,
ხმა დაირის ბროლის ცვარად იმსხვრევა
და სიცოცხლე ამისათვის გვინდა.
ხეივნების დახვავებას ვუმზერთ,
ფერხისებიტ ხვიხვინებენ დრონი,
დავიძახოთ; კაცი-კაცი ქუდზე,
სიკეთისთვის, სიკეთისთვის ბრძოლნი.
ეხის ჭალას ხითხითებენ დევნი,
მაჭახელას ჭახჭახებენ შაშვნი,
სალაღობოდ დაუკარი ერთი...
და მომგვარეთ ცეცხლოვანი რაში.
ხელთ მომეცით ქნარი, ქნარის სიმზე
დავახვავო სიმღერების წყება,
ვინმე მესხი სიმღერებით გვიმზერს,
ჯვარს ეეედრა დაიჩოქა მცხეთას.
საქართველოვ! – ღაღადებდა ბერი,
ცრემლი-ცრემლი ნიაღვრებად სჩქეფდა,
აღმიდგინე ჯიში-ერი, ერი!
კვლავ ერთობით მარადისში ღმერთთან

სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი

მე თქვენ გეკუთვნით სულით და გულით, მე, თქვენ გეკუთვნით,
როგორც ამ კუთხით და ცით ნაკურთხი გამოვლინება,
კოსმიურ გზებით, ნისლეულით შემონაბერი,
დე, ეს იცოდნენ წვიმის ღვარად წამოშლილებმა
დე, ეს იცოდნენ სასწაულის მაუწყებლებმა,
როგორც ენება ღვთაებრივსა, ისე დამაწყო,
წრფელ მელოდიად გადმომფანტა, ათას ფერებად.
და მოწყალების შემოქმედი ხელი დამადო.
არც რას ვიგონებ, არცა რას ვთხზავ, არც რას ვარაკობ,
მხოლოდ დამათრო გრძნეულებამ მრავალსახეთი,
ვიცი, იმ გორით გამიტყვილებს, სადაც დამათოვს,
სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი.

პროზა

მერაბ შათირი

ანატორი

გაგრძელება

(დასაწყისი ანთოლოგიის მე-11 ნომერში)

ექო კლდეს მიაწყდა და ყრუ ზათქით გამოქვაბულში დატრიალდა, მერე სივრცეში აიჭრა და ბერდია თითქოს ცისკენ ძალუმ გაიყოლა – მკერდგანგმირულმა სიმწრის ღრიალი ამოუშვა, ხირიმი მხრიდან ჩამოუცურდა, იარაღის მოხელთება სცადა, მაგრამ გაშლილი ხელები ვერ დაიმორჩილა, სანუკვარ ცოლ-შვილს სიცოცხლისგან დაშრეტილი მზერა შეავლო და კლდის პირას გაიძაგრა.

მარიამ საშიშროება დედური ინსტინქტით წამისუსწრაფესად გაიაზრა, პატარა ბავშვი მიწაზე მსუბუქად დააწვინა, თავად ქმრის ცხედართან წაწვა და ხირიმი მოიმარჯვა, სავარაუდო საფრთხის ადგილი მიზანში ამოიღო.

ცხენმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჭირისუფალივით დაიჭიხვინა, ბრტყელ ლოდთან უსულოდ გაშოტილ პატრონსა და მის გვერდით მიწვენილ ახალშობილ უმწეო ჩვილს რიგრიგობით დაყნოსა – თითქოს ცოცხალი არსებიდან მკვდრის სხეულში უხილავი სულის გადმონაწილებას შეეცადა.

შუაზე გაპობილი ლოდის სამიზნედან თოფმა ისევ დაიქუხა, ტყვია კლდის კიდურს შეაწყდა და მოპირდაპირე ნაპრალში ზუზუნით გაუჩინარდა. ატკეცილი ფიქალის ნატეხი ბედაურს წვივში მოხვდა და კუნთზე სისხლიანი ნაკაწრი დაატყო.

– სისაურებო, უნდა ამოგწყვიტოთ და თქვენი შტო საბოლოოდ დავასრულო!..

მეშვიდე თაობაზე გადასული შურისძიების აღსრულების დამღლელმა მოლოდინმა გლახუნა ჯალაბაურს გონება სულ დაუბნელა – მთის ადათ-წესი, დიაცის მიმართ დამოკიდებულება და ჩვილის დანდობა სულ დაავიწყა, თოფშემართული ლოდს მუქარით გამოეცალა და მზვერავივით ჩამუხლული გამოქვაბულისკენ დაიძრა.

– უბადრუკო, შეჩერდი, დიაცთან რა გესაქმება?! – გამაფრთხილებლად შეაგება ქალმა და პაწია არსებას განწირული თვალებით გახედა.

– თქვენი სინსილა უნდა გავწყვიტო, ჩემი მკვდარი საიქიოში კარგა ხანია გელით, მისი სული მსახურების გარეშე იტანჯება!.. – დაუნდობელი იყო მოშუღარი და ლოდიდან ლოდს ამოფარებული მსხვერპლს უახლოვდებოდა, „დიაცის ნავაჟკაცარი არ გაიშვას!..“ – დამცინავად იმეორებდა და შურისძიების აღსასრულებლად კლდისკენ მიიწევდა.

მარია ხმას არ იღებდა, იცოდა, თუ ვერ იმარჯვებდა, უცოდველ პირმშოს საფრთხეში ჩააგდებდა. თოფის სამიზნეს გამახვილებულ მზერას არ აშორებდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

ღირსეული მოწინააღმდეგის გზიდან ჩამოშორებით გადიდგულებულმა ჯალაბაურმა ერთი ლოდიდან მეორე ლოდისკენ თამამად გააბიჯა და მისთვის სწორედ ის შუალედური მანძილი გახდა საბედისწერო – ქალმა სასხლეტს გამოჰკრა და იმწამსვე იგრძნო – მიზანს უწია.

ტყვიანაკრავი კაცი ჰაერში ბურთივით ავარდა და ქვის ძგიდეს შეასკდა, თოფთან ერთად იქვე ჩაცურდა და ჩამავალი მზის ბინდბუნდში სამუდამოდ დადუმდა...

მარია შეთეკაური ანატორისკენ ბედნიერებასთან ერთად უბედურებას მიასვენებდა. მკერდში ყრმას იხუტებდა, მხარზე ქმრის ხირიმი გადაეკიდა და ბედაურზე საყვარელი ადამიანის ცხედარი.

ხეობაში გაკერპებული სახით შედიოდა, ცისფერ თვალებში გლოვის ცრემლი უციმციმებდა, სული ეხუთებოდა და გული ეთანაღრებოდა – საცოდავი ბერდია ნანატრი ყრმის მზის სინათლეზე ხილვას ვეღარ ეღირსა, ქალი ყრუდ ოხრავდა და რჯულის კანონის მოსალოდნელ აღსრულებას ღირსეულად ეგებებოდა.

ანატორის მოსახლეობა ფეხზე დადგა. განსაკუთრებით სისაურებმა აიმაღლეს ხმა, თემის კაცებთან ერთად უხეცესთან საფეხვნოში შეიყარნენ, იმსჯელეს, ადგილობრივი დასტაქარიც მოიწვიეს და ბერდიას ცხედრის დათვალიერება სთხოვეს, რის შემდეგაც დაადგინეს: გლახუნა ჯალაბაურის თოფის პირველივე გასროლილ ტყვიას მოკლულის გულის ფიცარი მაშინვე შეენგრია. გამოცდილი კაცები შეტაკების ადგილზეც გაეშურნენ და სროლის მანძილი გაზომეს. გამოქვაბულის მიმდებარედ მეორედ გავარდნილი ტყვიით ქვის ანატკეციც იპოვეს და მოშუღარის გადაადგილების მიზანსა და განზრახვას საბოლოოდ ნათელი მოჰფინეს. დაადასტურეს: სისხლის ამღებ ჯალაბაურს დედა-შვილის ამოხოცვა და ბერდიას ოჯახის დედაბუდიანად ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული...

ანატორის თვალსაჩინო მამაკაცები კვლავ თემის უხუცესთან საფეხვნოში შეიყარნენ, ხალხისა და ჯამაათის თანდასწრებით შექმნილი ვითარება განიხილეს და საბოლოოდ დაადგინეს: ყრმის მშობელი დედა გულზე ხელებს ვერ დაიკრეფდა, ახალბედას სიცოცხლეს ავაზასავით უდარაჯებდა და რჯულით დაწესებულ კანონს ვერ დაიცავდა!.. ანატორის სასაწაულმოქმედ ხატს მარია შეთეკაურის, როგორც ღირსეული დედის შევრდომება სთხოვეს და შატილში, ხევისბერთან კაცები წარგზავნეს, თავშეყრა სთხოვეს.

შატილში ოთხი ხეობის ხევისბერი, თითქმის ყველა თემის უხუცესი და სახელიანი კაცები, რომლებსაც მთაში სიტყვა ეთქმოდათ, დათქმულ დროზე შეიკრიბნენ და ბერდია სისაურის სისხლის აღების წესით გამოწვეული მკვლელობის შედეგი განიხილეს: გლახუნა ჯალაბაურს შურისძიება გარდაუვალ კანონზომიერებად მიუჩნიეს, თუმცა მისი მკვლელობა და მარია შეთეკაურის თავდაცვითი ქმედება ვერაფრით დაგმეს – ახალშობილის დედა სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო, საჯაროდ განაცხადეს...

გლახუნა ჯალაბაურს გვარის გამგრძელებლად მხოლოდ ერთი მემკვიდრე, ძუძუთა ყრმა დარჩა. სხვა მამაკაცი და ჯალაბი მის გვარში აღარ მოიპოვებოდა.

დაქვრივებულმა დიაცმა, გლახუნას მეუღლემ, რომელსაც მობეზრებული ჰქონდა ქმრის მედიდურობა და უხეში მოპყრობა – მე ამქვეყნად დიაცის ხელით მოკლული კაცის ქვრივის სახელით ვერ ვივლი-ო!.. საჯაროდ განაცხადა და პატარა ჯაფარა შეძლებულ, მაგრამ უძეოდ დარჩენილ ტარიელ ქინქარაულის ოჯახს მიაბარა, თავად ბარში წავიდა, ხეობაში ჩემს ფეხს ვეღარ ნახავთ, სამუშაოს ვიშოვი და ვაჟიშვილს ბარიდან დავეხმარებიო.

ხევისბერებმა გამოწვლილვით იმსჯელეს და თემის კაცებთან ერთად ერთხმად დაადგინეს: ჯაფარა ჯალაბური, მამისახლობის უკანასკნელი ნაშიერი, ქინქარაულთა სალოცავი ხატის ყმა გახდებოდა და გვარიც ძირძველი დაუბრუნდებოდა; ტარიელ ქინქარაული კანონიერ მამად ცხადდებოდა და ვაჟის წეს-რჯულზე აღზრდის პასუხისმგებლობაც მას ეკისრებოდა, ხოლო სისხლის აღებისა და შურისძიების წყურვილს – სისაურებსა და ქინქარაულებს შორის – ასეთი მსჯავრითა და შეუვალი დადგენილებით საბოლოო წერტილი ესმებოდა...

გადიოდა ხანი.

ბერდია სისაურის მუცოელი ქვრივი მარია დაობლებულ სულიას ღირსეულ ვაჟკაცად ზრდიდა, მამის სიმამაცეს უნერგავდა, რჯულის კანონის პატივისცემასა და ხევსურთა წეს-ჩვეულებებისადმი ერთგულებას აჩვევდა.

ბიჭი პატარაობიდანვე ხმლისა და ფარის ხმარებაში იწაფებოდა, ცხენით ჯირითსა და მშვილდის ტყორცნაში ანატორელ თანატოლებს ეჯიბრებოდა, კოშკურის ბრტყელ ბანზე ძმადნაფიც ქუჯისთან ერთად ხის ხმლითა და ფარით ხევსურული ორთაბრძოლის ხელოვნებას ეუფლებოდა, გამუდმებით ვარჯიშობდა და ფარიკაობაში ოსტატდებოდა.

კეჭნაობაში გამოწვრთნილობას თითქოს წინაპრების სისხლის ყივილი ავალდებულებდა; ამასობაში ისეთი შესაშური ვაჟკაცი დადგა, ყველა ხატობასა თუ ტრადიციულად დადგენილ საზეიმო თავყრილობებში ლამაზმანების გულსაც ინადირებდა და თავმოყვარე ვაჟებშიც შურისა და გაჯიბრების სურვილსაც აღძრავდა.

ჯაფარა ქინქარაული შატილში იზრდებოდა. ქორივით მარდი ქაბუკი ხეობაში ტოლს არავის უდებდა და უბადლო მოფარიკავედ სახელდებოდა.

იმ დღეს – ხახმატობას – სულია და ჯაფარა ერთმანეთს შეხვდნენ. გაეცნენ, ერთურთი მზერით აწონ-დაწონეს, თითქოს წარსული და წინაპართა მოშუღარობა ქვეცნობიერად განაახლეს და კეჭნაობა გამართეს, უვნებელი შურისძიებით იფარიკავეს და ერთმანეთი მსუბუქი ზომიერებით დააზიანეს – ორთაბრძოლისთვის დაშვებული წესებით დაკმაყოფილდნენ.

მას შემდეგ ორი ვაჟკაცი ერთმანეთს სადაც შეეყრებოდა, მაშინვე კეჭნაობა იწყებოდა – ორთაბრძოლის დროს ერთურთისთვის ნაიარევიც დაუჩნევიათ, სისხლიც დაუდენიათ, მაგრამ შუბლის არეში სამი ნაოჭის ზემოთ ხმლის წვერი არ გაუკრავთ.

ცნობილი დასტაქარი, მგელიკა, დაშნით ნაჭრილობევს მატყლის ძაფით ზომავდა, მერე ნაზომი ბრტყელ ქვაზე გადაჰქონდა და ქერის მარცვლის თანმიწყობით ისევ ზომავდა, ბრძოლის დადგენილი წესით დამკვიდრებულსა და განსაზღვრულ ზღვარს ადგენდა და, წარმოიდგინეთ, ამ ორ მოკეჭნავე ვაჟს შორის დარღვევა არასდროს დაფიქსირებულა.

უკვირდათ ხევსურებს, მოქიშპე ქაბუკები მკლავს ასე ზომიერად როგორ იმორჩილებდნენ და რჯულის კანონით დადგენილ წესებს არ არღვევდნენ,

ერთმანეთს ზოგავდნენ და, მძიმედ დაკეჭვნის შემთხვევაში, დაწესებული ანაზღაურებისა და უღირსად შეფასებული საქციელისგან თავს იზღვევდნენ.

„თეთრი ოქროთი აგილესავ მაგ ჭრილობას!..“ – სულია ღიმილით დაიმუქრებდა და მოწინააღმდეგეს სატევარს მოუქნევდა.

„ბაჯაღლო ოქროთი შეგიმკობ მაგ ჭრილობას!..“ – თავის მხრივ ფრთიანად შეაგეგებდა ჯაფარა და დახვედრებული ფარით მოქნეულ ხანჯალს ოსტატურად შეაოკებდა, შუღლისა და მჯობნაობის დაუცხრომელ წყურვილს შეტევაზე გადასვლით აფერხებდა.

ხევსურეთში რომელიმე მამრი თუ ფარიკაობას გაურბოდა, მას ხალხში ზრახავდნენ, ბეჩავისა და ლაჩრის სახელით ამკობდნენ, ხოლო გაბედული მოკეჭნავეები დიდ პატივსა და მოწონებას იმსახურებდნენ, ომშიც მათი იმედი ჰქონდათ.

„კაი ყმა ლაშქარ მოკვდების, სწორების მჯობინობასა, ცუდაი – საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა!..“ იტყოდნენ ხოლმე და გამორჩეულად მიჩნეულებს ქება-დიდებას ასხამდნენ.

***

სულია სისაური ერთი წლის წინათ დედულეთში ხატობის დღესასწაულს დაესწრო. ქამარ-ხანჯლით აღჭურვილს შინდისფერი ჩოხა ეცვა და წაბლისფერ ბედაურზე ამხედრებულს თავი ისე ღირსეულად ეჭირა, მეფის ამალის წინამძღოლი გეგონებოდათ; მუცოელი ქალიშვილები, მამაკაცთაგან გამოყოფილად მიყუჟულები, ანატორელი რაინდის დანახვაზე ჩუმად ოხრავდნენ და მის მომხიბვლელობას ვერსად ემალებოდნენ.

ქაბუკმა მუცოელი ქალწულების მარაქას მწველი მზერა მოავლო და უეცრად მათ შორის ერთი მწვანეთვალება გოგონა შენიშნა. თვალი გაუშტერდა, სახეზე ალმურმა გადაურბინა. ქალის სილამაზით დატყვევებული უღირს საქმეზე წასწრებულივით დაიბნა და ცხენს მათრახი უადგილოდ მოუღერა.

ქალიშვილს ვაჟის გამჭოლი მზერა შეუმჩნეველი არ დარჩენია, ტუჩ-პირზე ხელი აიფარა და სიამოვნების ღიმილი დამალა.

ამ დროს სულია სისაური თავისი მოქიშპის, ჯაფარა ჭინჭარაულის გამომწვევ მზერას წააწყდა და მოეჩვენა, თითქოს მისი დაუცხრომელი მეტოქეც მწვანეთვალება ლამაზმანს მისჩერებოდა დაჟინებით – თავს აწონებდა და მასში ეცილებოდა. ბრაზისგან წამოენთო, გაგულისდა, ხანჯალი იძრო და მოწინააღმდეგე ფარიკაობაში გამოიწვია.

ხევსურები განზე გადგნენ, წრიულად გაიშალნენ და ცნობილ მოკეჭნავეებს ბრძოლის არენა დაუთმეს.

ცეცხლოვანი ორთაბრძოლა გაჩაღდა. ფარზე შეხეთქებულ ხანჯლებს ნაპერწკლები სცვიოდა. გლადიატორული სულისკვეთებით დაგეშილი ქაბუკები სატევარს გამეტებით იქნევდნენ, ერთმანეთს თვალით მტრულად ბურღავდნენ, თითქოს ქვეყნიერება ვერ გაუყვიათ და მათ შორის ერთ-ერთი უცილობლად უნდა მომკვდარიყო. ამ გახელებულ მოძრაობაში ზომიერების დაცვა და ჭრილობის სიღრმის შეზღუდვის სურვილი აღარ იგრძნობოდა. პირველი სისხლი და, შუბლის სამ ნაოჭს იქით უმნიშვნელო ჭრილობა ჯაფარას დააჩნდა – სულიამ მკლავი აშკარად ვერ დაიმორჩილა, რის გამოც მეთვალყურე ხევსური მამაკაცებისგან უკმაყოფილო შეძახილები და შეფასება მაინც დაიმსახურა. მერე ვალში არც ჯაფარა დარჩა – მოწინააღმდეგეს ხანჯლის პირით საპასუხო

ჭრილობა მიაყენა, მარჯვენა ბეჭზე ამოსირმული ჯვრის ქიმი შუაზე გაუპო და ხორცში შეაღწია...

მოქიშპეები არ ცხრებოდნენ, მამლებივით ძიძგილაობდნენ და ერთმანეთს გამეტებით ხანჯლავდნენ – ჭრილობებს აყენებდნენ და გამოჟონილი სისხლის დანახვაზე მოწყურებულებივით იღიმებოდნენ... და ბოლოს, ვიდრე გაავებაში გადასული შერკინება ერთ-ერთის მკვლელობით დასრულდებოდა, მუცოს უხუცესმა ხელი ასწია, ორთაბრძოლა მსწრაფლ შეაჩერა. მგელიკა დასტაქარს თავისთან უხმო და მოწინააღმდეგეთა ზღვარგადასული კეჭნაობის შედეგის შემოწმება დაავალა.

მატყლის ძაფით გაზომილი და ბრტყელ ქვაზე გადატანილი, თითოეული ჭრილობის სიგრძეზე დალაგებული ქერის მარცვლები სასწაულებრივად თანაბარი რაოდენობისა აღმოჩნდა. მართალია, არც ერთ მებრძოლს რჯულის კანონის მიხედვით დაზარალებულისთვის და კეჭნაობის წესების დარღვევისთვის საქონლით ანაზღაურების ვალდებულება არ დაკისრებია, მაგრამ მუცოს თემის უხუცესმა მოქიშპეები საჯაროდ მაინც გაკიცხა:

– თქვენს თვალებში შურისა და სისხლის წყურვილს ვჭვრეტდი... თუ მკლავის დამორჩილების უნარი არ შეგწევთ, სხვა დროს კეჭნაობა არ გაბედოთ, ნუ არცხვენთ და ეწინააღმდეგებით რჯულით დადგენილ წესებს, ამით გუდანის ხატს ეურჩებით და შერისხვა არ აგცდებათ!.. – ბოლოს დაუყვავა და მოშუღართ ემოციების დაცხრომისკენ მოუწოდა: – ამქვეყნად გასაყოფი რა გაქვთ?.. ერთმანეთს ხელი ჩამოართვით და ვაჟკაცურად მოუბოდიშეთ!..

მოშუღარნი ხეობის წესს დაემორჩილნენ, ერთმანეთს გულდაგულ გადაეხვივნენ და წყენა მაშინვე დაივიწყეს, ჭრილობებით მოგვრილი ტკვილიც მალევე განიქარვეს.

სულია სისაურმა, ვიდრე ხატობის დღესასწაულს დატოვებდა, მწვანეთვალება ქალიშვილი უჩუმრად დაძებნა, წამით მის დამაიმედებელ ღიმილს წააწყდა და მთელ სხეულში ცეცხლი წაეკიდა, მუცოს სანახები ფეხათრევით დატოვა, თითქოს უხილავი ძალა უკან ექაჩებოდა და მომაჯადოებლად ბოჭავდა – ანატორში დაბრუნება აღარ სურდა. წინდაწინ გრძნობდა, მოსვენებას ვერ იპოვნიდა და, მართლაც, იმ დღიდან ქალიშვილის ღიმილი გონებიდან არ შორდებოდა, გამუდმებით მასზე ფიქრობდა, დედულეთს ხშირად სტუმრობდა, ანატორიდან მუცომდე არსებულ მანძილს დღეში ორჯერ გადი-გამოდიოდა, შავრიას ქანცს აცლიდა, ფერდობებსა და კლდის ნაპრალებში უთავბოლოდ დაეხეტებოდა, გოგონას უთვალთვალებდა, ყოველ კუთხე-კუნჭულში დაეძებდა.

ბოლოს დედის უმცროს ძმას გამოუტყდა, გულის ნადები აუწყა:

– მეა დაიაური მიყვარს, მის გარეშე მზე არ მინდა და დღის სინათლე!.. – და დახმარება სთხოვა.

ბიძას გაეხარდა:

– მეა ანგელოზია, მუცოს თვალის ჩინია, არც შენ ხარ უგვანი, სანაქებო ვაჟკაცის სახელი გაქვს და ისიც სწორედ შენი ტოლფერია. მის სიყვარულს თემიც მოგიწონებს და გვარიც. არ მგონია, გაწბილდე!.. – დედის ძმამ ალალად გაამხნევა და შუაკაცობა ითავა.

მეორე დღეს დაიაურების სახლობას პატივისცემით ეახლა, ოჯახის უფროსს ესაუბრა, დისშვილის წადილი გაანდო და დარწმუნებით დასძინა:

– სულიას მიმართ არც შენი მეა უნდა იყოს გულგრილი!..

ქალიშვილის მამამ ქაღარა წვერზე ხელი დაისვა და შვებით ამოისუნთქა.

– მარია შეთეკაურის გაზრდილ ყრმას დასაწუნი რა უნდა ჰქონდეს!.. – კმაყოფილებით ჩაილაპარაკა, ადგა და ბანზე ტაბლა გამართა, სტუმარი და გასარიგი საქმე დალოცა, გუდანის ჯვარს ახალგაზრდა წყვილის მფარველობა და გამრავლება შესთხოვა.

სულია სისაურისა და მეა დაიაურის სიყვარულის ამბავი მთელ ხეობას სწრაფად მოედო, ვის ყურსაც მისწვდა, ყველა ღიმილით ამბობდა: „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა...“ უზენაესს ერთმანეთისთვის გაუჩენიაო.

ვაჟისა და ქალიშვილის სიყვარული მხოლოდ თვალთვალით, ურთიერთის ცქერით ამოიწურებოდა. მათი თვალები გამუდმებით ერთმანეთს დაეძებდა – წააწყდებოდნენ და მზერით ტკბებოდნენ, ალერსსა და სამუდამოდ გვერდში დგომას თვალებით გამოხატავდნენ – ერთგულებას თვალებით აღუთქვამდნენ, იწვოდნენ და დათმენასაც ინარჩუნებდნენ, ტრფობის დაუოკებელ სურვილს თვალთა მზერით ანელებდნენ და იმავდროულად ცეცხლს აღვივებდნენ.

არსად დედამიწის ზურგზე თვალებით სიყვარული და თვალთა ტრფიალი, მგრძნობელობა წყენისა და სიხარულის გამოხატვისა და, საერთოდ, თვალებით საუბარი და მინიშნებანი ისე მძაფრად და მეტყველად არ გამოვლენილა, როგორც ხევსურის ბუნებაში, რადგან მთაში სიძვა და თავისუფალი ყოფაქცევის აშკარად გამომჟღავნება რჯულის კანონით სასტიკად ისჯებოდა, ხეობაში დამკვიდრებული წესისა და ადათის საწინააღმდეგო ქმედებად ითვლებოდა, გვარისგან და თემისგან იდევნებოდა.

შეყვარებულები ერთმანეთთან მიკარებას შეგნებულად ეკრძალებოდნენ, ვიდრე არ შეუღლდებოდნენ და ცოლ-ქმრულ ერთობას ხატის წინაშე სამიდღემჩიო ფიცით არ განამტკიცებდნენ, ერთმანეთს შორით ეტრფოდნენ და შენატროდნენ.

გაზაფხული დადგა.

ანატორმა მწვანე სამოსელით შემოსვა იწყო: კლდეთა ფლატეები, გორაკებზე შეფენილი ფერდობები და ქვის სიპები სისვით შეისუდრა, ყველაფერი ამწვანდა და აყვავილნარდა, ჩიტები აგალობდნენ, ქარაფებიდან ჯიხვები გადმოდგნენ და რქებზე მზის სხივის სანთლები აიელვარეს, ქორებმა და არწივებმა ცის დასერვას უხშირეს, იალაღებზე ცხვარი მოხშირდა და სათიბებში ახოები გამოჩნდა.

სულია სისაურს შინ გული არ უჩერდებოდა, გონება და თვალის გეზი მუცოსკენ ეჭირა და, კოხტად შეკაზმული შავრიათი ყოველდღე შეყვარებულისკენ მიისწრაფოდა.

იმ დღეს მუცოელ მეაზე ფიქრმა უკაცრიელ მთებში გაიტყუა, კლდოვან გორაკებს აუყვა და ქისტეთში გადამავალი, „საპარავი ყელის“ ბილიკის შემაერთებელ ვიწრო გზას გაუაზრებლად დაადგა. ველური ბუნების დამატყვევებელმა მშვენიერებამ მომნუსხველად შეიქცია. ცხენიდან ჩამოქვეითდა. დაქანებული ფერდობის ბორცვებისკენ გადაინაცვლა და მაღლა-მაღლა აუყვა, კლდის ნაპრალიდან მჩქეფარე ნაკადულის წყალი მომყუდროებული ხელისგულით ხარბად შესვა, სახეზე ისხურა. იქვე გუბესთან ბედაური დაარწყლულა, ლოდზე ჩამოჯდა და ერთგული ცხოველი ქორფა ბალახზე მიუშვა. კლდეთა ფლატეებს შორის გაჭრილ ვიწრო და გველივით

დაკლაკნილ გზას ფიქრიანად დააჩერდა, ხახადაღებული ხეობის სიდიადეში შეყვარებული ქალის სახება ამოუტივტივდა და... ამ დროს ორ გორაკს შორის მომწყვდეული სივრციდან, თოფის მისაწვდენ სამიზნემდე ოთხი მხედარი შენიშნა. დააკვირდა. ერთ-ერთში თავისი მოშუღარი ჯაფარა ქინქარაული შეიცნო, რომელიც ცხენიდან ჩამოქვეითებულიყო და ასევე ცხენებიდან ჩამოქვეითებულ, ფარ-ხმლით აღჭურვილ მხედრებს ესაუბრებოდა, თითქოს რაღაცას ედავებოდა და იმავდროულად ეთანხმებოდა; მერე იმ სამ ჩამოქვეითებულს ერთ-ერთი გამოეყო, ჯაფარას პირისპირ დაუდგა და სახეში ჯიქურ მიაჩერდა. ცოტა ხანს ასე იდგა, მერე ოდნავ უკან დაიხია და ხანჯალი იშიშვლა, მოწინააღმდეგეს გაგულისებით შეუტია. ის ორი განზე გადგა და დაპირისპირებული რაინდების ორთაბრძოლას დარბაისლური სიმშვიდით მიაჩერდა.

„ქისტები!.. სულიამ ცხვრის ტყავის ქუდებით დაასკვნა და ბედაურს მოუხმო, ზურგზე მსწრაფლ მოახტა, წელზე ფარ-ხანჯალი მოისინჯა და ციცაბო ფერდობი ჩაითოხარიკა, ვიწრო გზას ქენებით დაადგა. ვიდრე ორთაბრძოლის ადგილამდე მიაღწევდა და უცხოტომელებს ანდერძს აუგებდა, ორი გორაკისთვის გარს უნდა შემოევლო. „ჯაფარა, გამაგრდი!“ ხმამაღლა ყვიროდა, თითქოს თავის ღირსეულ მოწინააღმდეგეს შორიდან ამხნევებდა და ცხენს გამეტებით მიაქროლებდა.

როცა პირველ გორაკს გვერდი აუარა, კამაროვანი სივრციდან ქისტსა და ხევსურს შორის გაჩაღებულ ორთაბრძოლას თვალი ისევ შეასწრო, შავრიას მათრახი გადაუჭირა, გამწარებით დაუკიჟინა და ბოლოს, როგორც იქნა, გასავლელი მანძილი გაცხარებული ჯირითით დაფარა და ხანჯალმომარჯვებული კლდის ჩრდილობში შეჭენდა.

მებრძოლები აღარსად ჩანდნენ.

უცებ გაღმა ფერდობზე ხევსურის შეკაზმულ ცხენს ჰკიდა თვალი.

„ვახ მე, ჯაფარა მოკლეს!..“ გამწარებით ამოიგმინა, უმხედრო ცხენს, რომელიც იალაღისკენ მუხლჩადგმული მიისწრაფოდა და თითქოს მტრის რისხვას გაურბოდა, მწყრალად გახედა და გარემო ქორივით მოათვალიერა.

ბრძოლის ადგილი ზერელედ მოათვალიერა.

კლდის ყურეში იდუმალი სიჩუმე იდგა.

მხოლოდ ცხენთა ფლოქვების ჩქამი აღწევდა შორიახლოდან.

გაწბილებულმა მხედარმა ხმაურს გულდასმით მიაყურადა და ჩრდილოეთ ფერდობის ბილიკს სწრაფად აუყვა. ცოტაც და, სამი ცხენოსნის სილუეტს კვალში ჩაუდგა, გამოსაწვევი მანძილით მიუახლოვდა და ყიჟინა დასცა:

– ძაღლთაპირებო, დადექით!.. სიკვდილს შეეგებეთ!..

ქისტი მხედრები უცებ დაიბნენ, მოულოდნელი თავდასხმის მიზეზს ვერაფრით ჩახვდნენ, ერთი კი გადახედეს ერთმანეთს გაკვირვებით და ხანჯლები იშიშვლეს.

ამ დროს სწორედ იმ მებრძოლმა, რომელიც ჯაფარას ექიშპებოდა, ორივე თანმხლებს ხელით ანიშნა – არ ჩაერიოთო და ბედაური შეტევაზე გადმოსული მხედრისკენ მიაგდო, მოქნეულ ხანჯალს ფარი დაუხვედრა, ოსტატურად აისხლიტა. ცხენები მკერდი-მკერდ მიბჯენილები ბურხლაობდნენ, ხანჯლები ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა, ჭახანს ჭახანი და კვესებას კვესება

ენაცვლებოდა. მებრძოლთა გავეშებული ძახილი გაღმა გორიდან საბედისწერო ექოდ მეორდებოდა.

ხევსური მებრძოლი ფარიკაობის ისეთ ილეთებს იყენებდა, გადამთიელი მომხდურისთვის ძნელად მოსაგერიებელი გამხდარიყო, თუმცა ქისტი მხედარი თავს ვაჟკაცურად იცავდა, მოსალოდნელ დარტყმას მოხერხებულად უმკლავდებოდა. ჩინებული მოფარიკავე ჩანდა და თვალებში შიშის ნატამალი არ ეტყობოდა.

ბოლოს მებრძოლებმა კლდოვან ფერდოზე გადაინაცვლეს.

ბედაურების ნალები ბრტყელ ქვებზე ხანჯლის პირებივით კვესავდა.

მოულოდნელად შავრიამ წინა ფლოქვი სიპის ძგიდეზე დაჰკრა და უხერხულად წაიფორხილა.

ხევსურმა რაინდმა სწორედ ეს წაფორხილება სათავისოდ გამოიყენა და ცხენთან ერთად თავადაც წაიხარა, მოწინააღმდეგეს ხანჯლის წვერი ჩოხამდე უწვდინა და პირდაპირ მკერდში ატაკა.

ქისტ ვაჟკაცს ღინღლით დაფარულ სახეზე წამიერი იმედგაცრუება გამოეხატა, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მოწინააღმდეგე მხედარი უკმაყოფილო მზერით დასუსხა და უნაგირზე შექანდა, თავდაყირა დაეშვა, უზანგში შერჩენილი ფეხით ქვა-ღორღისკენ გადაეკიდა.

სულია ერთხანს ადგილიდან არ დაძრულა. გადამთიელთა შემოტევას ღირსეულად დაელოდა და, რაკი დარწმუნდა, ორთაბრძოლა არ შედგებოდა – ცოცხლად დარჩენილ მხედრებს, გარდაცვლილი მოყმის ცხედარი მთებს იქით უნდა წაესვენებინათ და მათ თავშეკავება დაატყო – ვითარება აღარ გაამწვავა, ცხენი ხეობისკენ შეატრიალა.

შავრია ოდნავ კოჭლობდა, ეტყობოდა, წინა ფლოქვის ნალი დაზიანებოდა.

ვიდრე სულია კლდის ჩრდილობს მოათვალიერებდა და, სავარაუდოდ, მოკლული ხევსური მებრძოლის ცხედარს დაძებნიდა, ფერდობზე, სწორედ მისი ცხენის კვალდაკვალ, მუხლჩაუქად ამავალი ჯაფარა შენიშნა. თვალს არ დაუჯერა, გაკვირვებით მიმოიხედა, თითქოს ვიღაცისთვის პატიების თხოვნა ხმამაღლა დააპირა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ხეობისკენ მხრებდამძიმებული დაუყვა...

ქისტებთან შეტაკების ამბავი მთელ ხეობას სწრაფად მოედო.

ჯაფარა ჭინჭარაულმა სახალხოდ დაიქადნა:

– სულია სისაურმა დაძმობილებული ქისტი სტუმარი მომიკლა და სისხლით უნდა ვაზღვევინო!..

ხეობის კაცები შეწუხდნენ. შვიდი თაობის მტრობა ძლივს დააცხრეს და ახალი სისხლისღვრა ორივე გვარს ფრიად დააზიანებდა. იმსჯელეს და შატილის ხევისბერთან თავშეყრა გადაწყვიტეს...

***

სულია სისაური შატილის სამანებს გასცდა და მთის ფერდობზე შეფენილ კოშკურებს მიადგა.

კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე არღუნის ხეობაში, კლდოვან ფერდობზე, პატარა ქალაქის მსგავსი დასახლება შეფენილიყო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იბერიის ჩრდილოეთით გადმოსასვლელებს ფხიზლად დარაჯობდა.

სამშენებლო კომპლექსი კლდოვანი მასალის კომპოზიციის არქაულ თანწყობას წარმოადგენდა და ასევე კლდოვანი ფერდობის ზურგის ქიმს წვერამდე ასდევდა. ერთი ჩარდახიანი სახლი მეორე ჩარდახიან სახლზე მიდგმულიყო, ქვედა სახურავი ზედა სახლის ეზოდ ქცეულიყო და ამ მჭიდრო დასახლებას, რამდენადაც გასაკვირი უნდა ყოფილიყო, ერთი უჩვეულო რამ ახასიათებდა: თემიდან გამოუსვლელად ყველა სახლში მოხვედრა და ციხე-კოშკების კედელთა ხილვა შეიძლებოდა; ამ ციხე-სოფელს სამრევლო თავსაყრელი (მანდილოსნებისთვის განკუთვნილი) და საფეხვნოც (სამამაკაცო) შიდა კომპლექსში ჰქონდა.

ქაბუკმა საფეხვნოსთან ცხენს აღვირი მოუშვა და იქვე, ხის ოთხკუთხედ ბოძზე მიაბა.

თავი III

დარბაზის თავში მორქმით მჯდარი ხევისბერი ხორგაი გოგოჭური ქვის სკამებზე ჩამომსხდარ თემის კაცებს დინჯად ესაუბრებოდა.

შატილის ჯვრის ხუცესიც იქვე იყო და რამდენიმე ცნობილ, ცხოვრებანაცად მამაკაცსაც მოეყარა თავი.

ხორგაის თეთრი წვერი თითქმის მკერდამდე დაფენოდა. სამოცდაათს გადაცილებული იქნებოდა, თუმცა ჭარმაგად გამოიყურებოდა. მარჯვენა წარბი ძველ ნაჭრილობევს შუაზე გაეხლიჩა და ნაიარევი შუბლამდე ვიწრო კალაპოტივით გასდევდა. დაძაბული მზერა ჰქონდა და სიტყვის წარმოთქმისას სქელ ტუჩებს ისე შეარხევდა, მოსმენას გაიძულებდა. მისი გარეგნობა წვრილმანებითაც მიგახვედრებდა, რომ საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა, მისი სული და გონება ხევისა და ხალხის ინტერესებით გაჯერებულიყო, საჯარო პასუხისმგებლობა თეთრნაბდიან მხრებზე ისე დაწოლოდა, როგორც მთის გრეხილებს თოვლით დაზვინული კალთები.

სულია სისაურმა საერთო სალამი თქვა და ხევისბერს უძღებ ყრმასავით მიაჩერდა.

– ღმერთმა გამარჯვება მოგცეს!.. – ხორგაიმ თბილად გაუღიმა და მოყვარული მასპინძლის ტონით დასძინა: – აქეთ მოდექ, ვაჟო, ჩამოჯექი, დაღლილი იქნები!.. – ამით ანატორელ ქაბუკს საზოგადო პატივისცემა ყველას თანდასწრებით გაუმჟღავნა და თავყრილობას საერთო დაძაბულობა მოუხსნა.

მამაკაცები საფეხვნოში შემოსწრებულს ხმადაბლა მიესალმნენ და თავიანთი ადგილები დაიკავეს.

ხუცესმა კრება დალოცა.

– მადლობელი ვარ, ხევისბერო, ანატორიდან მოვდივარ, შატილამდე რა დამღლიდა, ასე მირჩევნია... – ქაბუკმა მხცოვანი კაცის შეთავაზებას მოგვიანებით უპასუხა, თავი ზრდილობიანად დაუკრა და ფეხები ზომიერად გააბოჯიჯგა, მტკიცედ დადგა და საფეხვნოს მწველი მზერა მოატარა. უცებ ჯაფარა ჭინჭარაულის გამჭოლ თვალებს წააწყდა და უნებურად თავი დახარა.

სახემოქუფრულ ჯაფარას შავი ჩოხა ეცვა. პროპორციულად გამოქნილ ყვრიმალებზე პატარა კუნთები ნერვულად უცახცახებდა, ვიწრო ულვაში და ქორივით თვალ-წარბი ახლად დაღინღლული ლოყები მის სიქაბუკეს უსვამდა ხაზს, თუმცა მკრივი აღნაგობა და სიტყვაძუნწობა, საკუთარი თავისა და

ღირსების შეგრძნება აშკარად მიგანიშნებდა, მასთან საუბრისას ფრთხილად უნდა ყოფილიყავი – სათქმელი კარგად აგეწონ-დაგეწონა.

სამსჯავრო განხილვა დინჯად დაიწყო:

– ქისტებთან რა მოხდა?.. – ხევისბერი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

სულიამ თავი ასწია, ხევისბერს თვალებში შეხედა, ჩაახველა და აღელვებით დაიწყო:

– იმ დღეს მუცოს სამანებს გავცდი, ბილიკიდან გადავუხვიე და გორაკის მაღლობზე ცხენი წავაბალახე, ბორცვთან ჩამოვიმუხლე, – ვაჟი შეყოვნდა, ჯაფარას სუსხიანი მზერა კვლავ იგრძნო და საკუთარ თავზე გაბრაზდა, დამსწრეთათვის მისი მთებში ხეტიალის მიზეზი ცხადი იყო და დამნაშავესავით განაგრძო: – ორი მთის შუა სივრციდან გაღმა კლდესთან ოთხი მხედარი დავლანდე. თვალი დავძაბე და ერთ-ერთში ჯაფარა ქინქარაული შევიცანი, დანარჩენი სამი მხედრის ცხვრის მატყლის ქუდებმა შორიდანვე მამცნო, გადამთიელნი უნდა ყოფილიყვნენ. არ მეპიტნავა, ერთ ხევსურს სამ ქისტთან ჰქონდა საქმე. სუნთქვა შემეკრა, ეს კიდევ არაფერი, მომეჩვენა, უცხოტომელებსა და ჯაფარას შორის საუბარი დაიძაბა, ერთმა მათგანმა ხანჯალი იშიშვლა და მამალივით აძაგრულმა ჩემს მოძმეს შემოუტია. მაშინვე ცხენს მოვახტი და საშველად გავქანდი. ცხადია, სამ მომხვდურს ერთ მოძმეს მარტოკას არ შევატოვებდი!.. როცა ბრძოლის ადგილს მივუახლოვდი, იქ არავინ დამხვდა. გაღმა ფერდობს გავხედე და ჯაფარას შეკაზმული ცხენი დავლანდე, გორაკისკენ მიუყვებოდა... ვიფიქრე, ერთგულ ბედაურს მხედარი მოუკლეს და მის ახლობლებთან მწუხარე ამბის მაცნედ მიიჩქაროდა. გამხეცებული შევბრუნდი და ქისტებს კვალდაკვალ დავედევნე... – მთხრობელმა შეისვენა, ჯაფარას უბოროტოდ შეხედა, თითქოს შვებით ამოისუნთქა და კვლავ განაგრძო: – მართალია, ჯაფარა ქინქარაული ჩემი მოშუღარია, მაგრამ ჩვენს წინაპრებს შორის სისხლის საწყავი გასწორებულია. ყველამ იცის, გამუდმებით ვკეჭნაობთ, თუმცა ერთურთისადმი ბოროტება და ღვარძლი გულში არ გვიდევს. მოძმის სიცოცხლეზე მომხდურსა და ვერაგს ვერ ვაჯეჯილებდი, ვერ გავახარები, მათი მკვდრების სულის მსახურად მამულიშვილის სულს ვერ გავხდიდი. ხევსურეთის საზღვრიდან გასაძურწად მალემრბოლი ქისტების ცხენებს წამოვეწიე და ჩემი ბედაური პირდაპირ სახმალაოდ მივაგდე. ერთი მათგანი დანარჩენებს გამოეყო. გაბედული ჩანდა და ოსტატურადაც ფარიკაობდა, გულდაგულ მიტევდა, თვალებს მტრულად მიბრიალებდა და ჩემი სისხლის წყურვილს სახემოქუფრული დუმილით მამცნობდა. ბრძოლის საპირწონე ჩემკენ გადმოიხარა და ღირსეული მოწინააღმდეგე ხანჯლით განვგმირე. იმ ორმა ბრძოლა არ ინება და არც მე მივეძალე. იქაურობას გავერიდე. უკან მობრუნებულმა ჯაფარას ცხედრის მოძიება დავაპირე. ამ დროს რას ვხედავ, გაღმა ფერდობზე, მისი ბედაურის კვალდაკვალ, მხრებში წახრილი ჯაფარა ქინქარაული მიიჩქაროდა!.. – ქაბუკმა თხრობა დაასრულა, თავი დახარა და განაჩენის მოლოდინში გაირინდა.

საფეხვნოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

გარედან ცხენის ლაგამის გაჟღარუნების ხმამ შემოაღწია.

– ჯაფარა რას გვეტყვის?.. – დუმილი ხევისბერმა დაარღვია და თავი იმ კუთხისკენ მიატრიალა, სადაც მეორე გამომსვლელი ეგულებოდა.

ქაბუკმა ხევისბერისკენ რამდენიმე ნაბიჯი წარდგა და სულია სისაურის მოპირდაპირედ გაჩერდა. დაბნეულობას ვერ ფარავდა – მოქიშპისა და მოძმის მოსმენის შემდეგ აშკარად საგონებელში ჩავარდნილიყო.

– კი, სულია მართალს ამბობს; გახსოვთ, ამასწინათ ქისტებმა ჩვენს ხეობაში მათი ბუნებისთვის ჩვეული ავაზაკური თარეშობა მოაწყვეს. ხახმატობის დღესასწაულით ისარგებლეს და ოთხმოცი სული საქონელი, რამდენიმე ათეული ცხვარი და ჩვენი ოჯახების საერთო საგვარეულო საყოლი საფარეხოდან წაასხეს, ანატორის სამწყესურიდანაც რამდენიმე სული პირუტყვი ხელს გააყოლეს... ის სამი ქისტი ბეგების გვარის წარმომადგენლებია, ქისტეთში განთქმული ვაჟკაცები. მათი დიდება და სახელი დაღესტნამდე აღწევს. მწყემსების მეშვეობით დავუკავშირდი და პირუტყვის გამტაცებლებთან შუაკაცობა ვთხოვე, შევუთვალე, საზღვართან შევხვედროდით და მოვრიგებულიყავით. დამთანხმდნენ. სტუმრებს შევეგებე. ვისაუბრეთ. შევთანხმდით. ერთმანეთი მოგვეწონა. ხეობაში შემოვიპატიჟე. ჩვენი წარმტაცი ბუნების ხილვითა და გულთბილობით გავუმასპინძლდი. ვიჯირითეთ კიდეც... ქისტ ძმებს შორის შუათანა, სელიმ-ბეგი მეტად ფხიანი მეჩვენა. ხანჯლები გავცვალეთ. ფიც-ვერცხლი ვჭამეთ და ბოლოს, ვაჟკაცობის დასტურად, ერთმანეთს მკლავი გავუსინჯეთ, ვიფარიკავეთ და მშვიდობიანად დავიშალეთ. მომავალი შეხვედრა დავთქვით და ერთურთს ძმებივით გამოვეთხოვეთ... გული სიხარულით სავსე მქონდა. მტერი ვიძმე, მოყვრად ვაქციე. ნაკადულთან ახლოს, მდელოზე წამოვჯექი და ბუნების სიმყუდროვის სმენითა და სილამაზის ცქერით გავერთე. ბედაური იალაღზე მივუშვი, წავიდეს, ცხოველიც გალაღდეს, ქორფა ბალახი მოძოვოს-მეთქი... – ვაჟი დადუმდა, სულია სისაურს სინანულით შეხედა და თვალებში უკუღმართი ბედისწერით მოგვრილი ნაღველი ჩაუდგა. – როცა სელიმის მკვლელობა გავიგე, შურისძიებით ავენთე, მტერიც რომ იყოს და თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, სტუმარი სტუმარია და მასპინძლობის წესი არ უნდა დაირღვეს. სამწუხაროდ, ბედის ბორბალი ისე დატრიალდა, სტუმარმასპინძლობის წესი დაირღვა. კიდევ კარგი, სიმართლე საკუთარი ყურით მოვისმინე და მონაყოლი ამბავი სინამდვილეში მომხდარს დავამთხვიე, თორემ ჩემსა და სულიას შორის აშკარად მტრობა ჩამოვარდებოდა, სისხლი დაიღვრებოდა. ეს კია, მაინც ცუდ დღეში აღმოვჩნდი: მოკლული ქისტი ძმადნაფიცის ძმები შურისძიების აღსრულებას ითხოვენ და ჩემს ბოლო სიტყვას ელოდებიან... რა ვქნა, არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე!.. – ქაბუკმა მწარედ დაიჩივლა და ხევისბერს დაბნეული თვალები მიაპყრო.

ხორგაი გოგოჭურმა თეთრ წვერზე ხელი დაისვა, ხუცესსა და რამდენიმე თემის კაცს მრავლისმეტყველად გადახედა, ჩაფიქრდა.

– რას ითხოვენ ქისტები?.. – დუმილი კარგა ხნის შემდეგ დაარღვია.

– სისხლს! – ჯაფარამ მოკლედ მოუჭრა და სულიას მზერა აარიდა.

ხევისბერმა ასეთი პირდაპირი კითხვა შექმნილი ვითარების ასაწონ-დასაწონად დასვა, თორემ კარგად მოეხსენებოდა, რასაც დაზარალებული მხარე ითხოვდა.

– უღირსად და ავაზაკურად წასხმული საქონელი დაიტოვონ, თავიანთ მკვდარს სულის საცხონებლად შესაწირი უხვად მიუძღვნან!.. – გოგოჭურმა შემამსუბუქებელი ვარაუდი გააცნო დამსწრეთ.

ჯაფარამ მრავალმნიშნელოვნად გააქნია თავი და სიმწრით ჩაიღიმა.

– გუშინ სელიმის ძმებმა, შეთანხმებისამებრ, როგორც შემპირდნენ, ხევსურეთის საზღვარზე გატაცებული საქონელი გადმოლალეს და პირწმინდად დაგვიბრუნეს. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, დათქმული პირობა პირნათლად შევასრულეთ და ახლა შენი ჯერია, უსამართლოდ მოკლული ძმის ღირსება დაგვიბრუნეო!.. – გამწარებით დასძინა და ხელი მობეზრებით ჩაიქნია.

სულია სისაური ხმას არ იღებდა, ჯაფარას გულის დარდს კარგად ხვდებოდა და თავს უმწეოდ გრძნობდა – უილაჯოდ, ხელფეხშეკრულად. მზად იყო, წასულიყო და სელიმის ძმებს ცოცხლად ჩაბარებოდა, ოღონდაც მისი მოძმე და მოქიშპე ვაჟკაცი საძრახისი პასუხისმგებლობისგან ეხსნა.

ხევისბერი კარგა ხანს ორჭოფობდა, სხვანი დუმდნენ, საკუთარი აზრის გამოთქმას ყველა ერიდებოდა, რადგან ასეთ დროს საღი აზრისა და სწორი გამოსავლის მოძებნა რთული იყო. აქ სეფესიტყვა ჯაფარა ჭინჭარაულს და მერე სულია სისაურს უნდა ეთქვათ, ხევისბერისა და თემის კაცებისთვის მსჯავრის გამოტანის ფხა მიეცათ.

საფეხვნო ჯაფარას სიტყვას ელოდებოდა და მსჯავრს მერე დაადგენდა.

– კარგად ვიცი და, თქვენც ხვდებით, რასაც ქისტები ჩემგან ითხოვენ... – ჯაფარამ ქვასავით დადუმებულ სულიას თანაგრძნობით გახედა და გადაწყვეტილად განაგრძო: – ჩემმა მოქიშპემ და მოკეჭნავემ, სულია სისაურმა, ჩემ გამო საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. შეცდომით მოიმოქმედა ეს თუ გააზრებულად, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს. ფაქტი ერთია: მან ძმობა გამიწია, ნამდვილი მოძმის ღირსება გამოამჟღავნა და მე მასთან დღეიდან სიცოხლით ვალში ვარ. გახსოვთ და გადმოცემითაც იცით, ორ გვარს შორის, საკმარისი სისხლი დაიღვარა, ჩვენი წინაპრების შვიდ თაობას მოსვენება არ ჰქონდა, ხოლო სისხლის აღების შემდეგ კლდესთან რაც დატრიალდა და თემმა რაც დაადგინა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. მაშინ მე და სულია ძუძუმწოვრები გახლდით და ჩვენც ხეობის გადაწყვეტილების სულისკვეთებით აღვიზარდენით... – ჯაფარა მხრებში გასწორდა, ხევისბერს თვალებში შეხედა და ურყევად განაგრძო: – დაე, რაც მიწერია, გუდანის ჯვარმა აღასრულოს. გადამთიელის გამო, თუნდაც ნაძმევის, საკუთარ მოძმეს ვერაფრით მოვიძულებ, იმ ვაჟკაცის სისხლს ვერ დავღვრი, ვინც ჩემი სიცოცხლის გამო თავი გასწირა და, დარწმუნებული ვარ, დღესაც იმავეს მოიმოქმედებს... სელიმის ძმებს შევუთვლი და, რაც სინამდვილეში მოხდა, შევატყობინებ, თუმცა ვეჭვობ, გამიგონ და ჩემი წუხილი საჭირისუფლო თანაგრძნობად მიიღონ. ცხადია, მათი შურისძიების წყურვილი ამით არ დაოკდება... – ჭაბუკმა სული მოითქვა, დადუმებულ ჯამაათს თვალი მოავლო და, რაკი საფეხვნოში საერთო მოწონების ატმოსფერო შეიგრძნო, სულიასკენ შებრუნდა, აღელვებით დასძინა: – სულია სისაურს თემის, გუდანისა და ხახმატის ჯვართა წინაშე დღეიდან ძმობას ვეფიცები. საჯაროდ ვაცხადებ, ძველი ჯავრის ნატამალიც აღარ მჭირს, მისი ხმალი და ჩემი კისერი... სელიმის ძმებს ავერიდები, იალაღებზე გავწევ და ცხვარში კარგა ხანს დავყოფ, ვიდრე ბედისწერა მათთან არ შემახვედრებს... რა გაეწყობა, როგორც ჩანს, მტერი მტრად უნდა დარჩეს, ხოლო მოყვარე მოყვრად!.. – შატილელი ჭაბუკი სიტყვის ომახიანად დასრულების შემდეგ ანატორელ ჭაბუკს მიუახლოვდა და მარჯვენა ხელი გაუწოდა, ძმობის ნიშნად გულმხურვალედ გადაეხვია.

სულიას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა.

ხევისბერს თვალები უჩვეულო კმაყოფილებით უბრწყინავდა, სიტყვას ვერ ძრავდა, ბოლოს მხრები შეარხია, თითქოს დათოვლილი კალთების დაბერტყვა მოისურვაო, და ფეხზე წამოიმართა, ჯვრის მახვეწარი და ხევის რამდენიმე განსწავლული, ქკუასაკითხავი კაცებიც მაშინვე ფეხზე წამოდგნენ და მხცოვან წინამძღოლს პატივისცემით მიაჩერდნენ.

– ხალხო და ჯამაათო, ჯაფარა ქინქარაულის სიტყვა ბრძნულკაცურია და თითქმის მსჯავრია. აფერუმ, ასეთ ახალგაზრდებს, დღეს ამაყი ვარ, როცა სამაგალითო და მისაბაძი საქციელის მომსწრე გავხდი. რაც შეეხება სელიმის ბრძოლაში დამარცხებას, თავად შეტაკება, მიუხედავად ტერიტორიული უპირატესობისა, როგორც დასტურდება, ღირსეული ორთაბრძოლით წარიმართა. ასეა, ხანჯლის მსახვრალი პირი ხან მტრის სიცოცხლეს იმსხვერპლებს, ხან მოყვრისას და არც ისაა დასავიწყარი და უმნიშვნელო ფაქტორი, რომ ხევსურები სხვის სამანებში არ ვიჭრებით და გადამთიელებს არ ვარბევთ, არ ვაწიოკებთ, ჩუმ-ჩუმად და მიპარვით თავს არ ვესხმით, საქონელსა და ქალებს არ ვტაცებთ. აქვე დავსძენ: სელიმი და მისი ძმები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იქნებ, უცოდველნი არიან, მაგრამ, ტაციობა და ვერაგულად თავდასხმა მათ მოძმეებზე მოდის და მათი პასუხისმგებლობაცაა... რაც მოხდა, მოხდა, მტერი არ მოისვენებს და სისხლს მოითხოვს, სამაგიეროს გადახდას დააპირებს, თუმცა ჯაბანნი არც ჩვენ ვართ და მომხდურს ღირსეულად დავხვდებით... ჯაფარა ქინქარაული და მისნაირი ვაჟკაცები ხევს ფხიზლად დარაჯობენ და დანარჩენ საქართველოს კავკასიის მისადგომებიდან მტარვალთა შემოსევებისა და აოხრებისგან იცავენ. ჯაფარა იალაღებზე წასვლას და ნახირში დაყოვნებას აპირებს, მას მხცოვანი გამზრდელები ჰყავს, ოჯახისა და თემისადმი პასუხისმგებლობა მის კისერზეა და ამას ღირსეულად გამკლავება ეგების. იარაღასხმული ხევსური მწყემსობაშიც უბადლო მეომარია, საკუთარი ქვეყნისა და ხეობის ერთგული ჯარისკაცია. სულია სისაური კი ამ კვირის სწორს მეფე ერეკლეს ეწვევა, ერთგულების ნიშნად სამეფო ტახტს მიეახლება, დიდ სარდალს ხეობის მოსახლეობისგან პატივისცემისა და სიყვარულის დასტურს გადასცემს... ჩვენი ქვეყნის მეფესა და მხედარმთავარს სულია სისაურის შესახებ შორიდან ვამცნეთ, იგი ახალგაზრდა ხევსურით მოხიბლულია და მოხარული დარჩება, თუ ჩვენი მებრძოლი მის სამეფო ჯარში მცირე ხნით წვრთნას გაივლის, სამეფო კარს დაუახლოვდება და მეფური მადლით აივსება... – ხევისბერმა შეისვენა, თვალები ჭერისკენ აღაპყრო და ხელაწევით დაასრულა: – ხმა ღვთისა, ხმა ერისა; ხმა ხევისა და თემისა, გუდანის სასწაულმოქმედი ჯვრისა და ფშავ-ხევსურთა ყველა სალოცავისა!..

სულია სისაურს ხევისბერის ბოლო სიტყვები თითქმის არ ესმოდა, გონებით მეფესთან გამგზავრებამდე დარჩენილ დროს საზღვრავდა, მეა დაიაურთან დაშორების სავარაუდო დროის ინტერვალი სინანულისა და დარდის შეგრძნებით მსჭვალავდა, ხოლო მეფესთან მოსალოდნელი აუდიენცია სიამაყესთან ერთად აღმაფრენით ავსებდა.

შატილი ნაშუადღევს დატოვა, როცა მზე სამხრეთის შუბის ტარიდან დასავლეთისკენ იხრებოდა და ხეობას ჩრდილის შემამცივნებელ სიგრილეში ხვევდა.

ბედაურს ზომიერად მიაჭენებდა.

მუცოში ასვლას ვეღარ ასწრებდა.

შავრია სამი ანატორული ნალით დაჭედილ ტორსა და დაღესტნურით დაწყვილებულ წინა ფეხს თანშეწყობით დგამდა და მზის მეორედ ამოსასვლელად სხივშემოვლილ გორაკს თანდათან უახლოვდებოდა.

მხედარი და ბედაური ანატორში მაშინ შევიდნენ, როცა მზე ხეობიდან ჩრდილოეთისკენ გადაგორდა და უსასრულო ცისკიდურში ჩაინავლა.

მდინარის ხუვილი და ნაპირ-ნაპირ გადევნებული ჯუჯა ხეების ფოთოლთა შრიალი, ხეობაში დაქროლილი გრილი ნიავის შარიშური და ცის ტატნობზე კლდის ქარაფებიდან აფრენილი მტაცებელი ფრინველის წრიაპი ბუნების იდუმალი აკორდებით თანწყობილი ბგერების ჟღერადობით ორკესტრირებულ მისტიკურ სიმფონიას ჰგავდა.

ციცაბო ფერდობებზე დაღარული ბილიკებით ცხვარ-ძროხა მიილალებოდა, სადღაციდან მწყემსის სტვენა და ქოფაკების ღრენა აღწევდა, გაღმა გორაკზე ასკილი ყვაოდა და ჭრიჭინებს გაუთავებელი ჭრიჭინისგან თავბრუ ესხმოდათ, ხეობიდან დღის ათინათი ჩუმ-ჩუმად მიიპარებოდა და მთის მწვერვალებიდან შავი ბინდი მოიზლაზნებოდა.

საფეხვნოს შესასვლელთან მდებარე პატარა მოედანზე ხევსურულ სამოსში გამოწყობილი მამაკაცები ირეოდნენ. ზოგნი ჯგუფებად იდგნენ და მშვიდობიანად მასლაათობდნენ, დღევანდელი შრომის შედეგებსა და ხვალინდელი დღის გეგმებს განიხილავდნენ. უმრავლეს მათგანს წვერ-ულვაში მოეშვა და შორიდან ერთმანეთს ტყუპისცალებივით ჰგავდნენ; მამაკაცები საფეხვნოს დარბაზშიც თავშეყრილიყვნენ და იქიდან დინჯი საუბრის ხმა გამოდიოდა.

სულია მოშორებით შედგა, ბედაურიდან არ ჩამოქვეითებულა, მეზობლებსა და კეთლმოსურნეებს საერთო სალამი უძღვნა და ნაჩქარევად დაიძახა:

– შაბათს ქორწილი მაქვს, პატარძალი მომყავს, ყველას გეპატიჟებით!..

იქ მდგომთა შორის სანდრო და ქუჯი დაძებნა, ვიდრე ნაჩქარევად მოწვეულთა ხმამაღალ შექებასა და დასტურის ნიშნად ხელის აწევით გამოხატულ კმაყოფილებას მადლიერების ღიმილით უპასუხებდა, კოშკურების წინარეთთან ქუჯი დალანდა და ცხენს დეზი ჰკრა.

– ქუჯი, დადექ, დამელოდე!.. – თანშეზრდილს შორიდან დაუძახა.

ჭაბუკი შეყოვნდა, დოინჯი შემოიყარა.

– გალაღებული მეჩვენები, თვალებში ბედნიერების მაუწყებელი ვარსკვლავები დაგიხტის... – მხედარს ღიმილით მიაგება და მწვანე ჯვრებით მოსირმულ პერანგზე ხელი დაისვა, თითქოს მომქსოვის თითებს ნაზად შეეხოო.

– ნაბიმ მოგიქსოვა?.. – სულია ცხენიდან ჩამოქვეითდა.

– აბა, სხვა ვინ იზრუნებს ჩემზე თუ არა სწორფერი?! – ამაყად მიუგო ქუჯიმ. – გული მიგრძნობს, სასიხარულო რამ უნდა მამცნო. – მხიარულად დასძინა.

– ამ შაბათს ქორწილი გადავწყვიტე, მეა დაიაურს ცოლად ვირთავ. სიყმაწვილიდან ძმადშეფიცულები ვართ და თავკაცობა შენ უნდა იკისრო... დეკეული და ათამდე ქედილა უნდა დაიკლას. ყველა ანატორელს შეატყობინე, თითოეულ ბანზე ქეიფი გავმართოთ, ხუცესთანაც მიმეგზავნე, ამცნე, მე და მეას ჯვარი დაგვწეროს... ყველა საზრუნავი მომიგვარე, ხომ იცი, სიცოცხლეს განდობ!.. – სულმოუთქმელად ამბობდა სულია და თანატოლს იმედიანად მისჩერებოდა.

ქუჯი მეგობარს გადაეხვია, გულით მიულოცა, გაიხარა და სიცილით უთხრა:

– ქვასვრიაც დავპატიჟო?.. – და გაიცინა.

– ქვასვრიას ბედნიერებისა არა სწამს, მოპატიჟება წყალში ჩაგეყრება!.. – სულიამაც გაიცინა.

ამ დროს ქვასვრია თავდაღმართში წითურ ხარს მიიდენიდა; მხარზე გუთანი გადაეკიდა, თითქოს ხარის კუდს ჩასჭიდებოდა.

„ურწმუნო ქვასვრია – იქნებ, ბედნიერიც!..“ სევდიანად გაიფიქრა ქუჯიმ...

– არ იდარდო, ისეთი გახურებული ქეიფი გავმართოთ, კავკასიონის მწვერვალებზე ყინული დადნეს!.. – მერე წამით მოიწყინა, თითქოს სულიას ბედი ინატრა და პერანგის საყელოს სათუთად შეეხო.

– შენს სწორფერს უთხარი, მისებურად დატრიალდეს, ქორწილი დაამშვენოს, ქალიშვილებს საქმე გაუჩინოს. – სულიამ მეგობარი გამოაფხიზლა.

– ნაბი ყველაფერს გაალამაზებს, მორთავს და მოკაზმავს!.. – აღმაფრენით მიუგო ქუჯიმ და სახე კვლავ გაუნათდა.

– წავალ, სანდროს შევამზადებ, ხელისმომკიდედ ვიწვევ... მოგვიანებით ხატის მსახურს და თემის თავკაცს უნდა შევუარო, შატილიდან მოკითხვა გადავცე!.. – სულია ძმადნაფიცს აჩქარებით გაეცალა, აღვირი მსუბუქად მოქაჩა, ცხენს ადგილიდან დაძვრა ანიშნა. მომავალ კვირისთავს მეფესთან წასვლის შესახებ სიტყვა არ დასცდენია, სანდროს საკომურისკენ ამავალ აღმართს სწრაფად შეუდგა...

***

ქუჯიმ კავკასიონის მთაგრეხილებზე გადმომდგარ მთვარეს ახედა, მეწამულისფრად მოციაგე ჩრდილოეთ ცისკიდურიდან მზის სწრაფად დაბრუნება ინატრა. მთვარე სევდას ჰგვრიდა და მთელი ღამე ფიქრისა და უიღბლო სიყვარულის დარდის მოძალებას უქადდა. სწორფერის კოშკურის ბანს უჩვეულოდ მომლოდინე მზერა მიმართა.

ამ დროს ქონგურიდან ქალიშვილის მაამებელი ღიმილი გაკრთა, მთვარისა და წარმავალი ნამზევის ბინდბუნდში მწვანე თვალებმა გაიელვა. ტანკენარი ასულის თეთრფეროვან სახეს ლამაზი და სწორხაზოვანი ნაკვთები მისტიკური მშვენიერებით ამკობდა, ბანის თავკიდურს თვალტანადი გოგონა უახლოვდებოდა და თითქოს უხილავი ღრუბლებიდან ჩანჩქერად გადმოფრქვევას ეპირებოდა.

„ნაბი!..“ – გულის სიღრმიდან აღმოხდა ქუჯის და ქალიშვილისკენ ხელი გაიწვდინა, თითქოს შეშინდა, მართლა ჩანჩქერად არ გადმოიფრქვესო.

„ქუჯი!..“ – დიაცის ბაგეებს ჩურჩულით დაცდა და ვაჟისკენ ხელი უნებლიეთ მანაც გაიწვდინა, თითქოს სივრცეში მის ხელებთან შეერთება ისურვა.

ეს ყველაფერი აუხდენელი ოცნების სიზმრისეულ სიუჟეტს ჰგავდა – განუხორციელებელ საზეო სიყვარულს, რომელსაც მხოლოდ ზეცაში ეწერა გახარება, დედამიწაზე კი, ამ ცოდვის სავანეში, გრძნობათა სიწმინდისთვის ადგილი არ მოიპოვებოდა და ყოველივე ამაღლებული ტანჯვისთვის განწირულიყო.

ხევსურეთში ქალ-ვაჟის ერთად ყოფნა, ლაციცი, გადამეტებული ღლაბუცი და მოლხენა საძრახისად ითვლებოდა. ხატობაში, ქორწილსა და სხვა სადღესასწაულო ადგილებში ქალ-ვაჟნი ერთად არ იკრიბებოდნენ, ცალ-ცალკე დგებოდნენ, მათ შორის ცელქობა და არშიყობა სასირცხოდ მიიჩნეოდა და ადათით იკრძალებოდა. ერთადერთ გართობასა და დროის ტარებას სამსიმიან

ფანდურზე საგმირო ბალადების დამღერება წარმოადგენდა; ქალისა და ვაჟის გამიჯნურება, ტრფობა თუ გამჟღავნდებოდა, უნამუსობად ფასდებოდა და თემში იძაგებოდა; ხოლო ერთმანეთის მოტრფიალენი თავიანთი სასიყვარულო გრძნობების დაფარვას სწორფერობის ნებადართული წესების შეფუთვით ცდილობდნენ, რაც უიშვიათესად რომანტიკული რამ იყო და თავდაჭერილობა სწორედ ვაჟს უნდა გამოეჩინა – რაინდობა და ერთგულება, ღირსება და დარდიმანდობა გამოევლინა; მთაში ზოგადად ერთი გვარისა და თემის ქალ-ვაჟნი სწორფერობდნენ, ოღონდაც არა ნათესავები და, ასეთი წესის გარიგებას შუამავლი, იგივე ახლობელი, ერთ-ერთის მასპინძელთაგანი თაობდა. გამართლების შემთხვევაში, ასეთი გარჯის გამო საიქიოში ცხონდებოდა კიდეც; სწორფერობის დადგენის მტკიცებულებად და ზნეობრივი სიმტკიცის გამოსავლენად ქალ-ვაჟს ერთ საწოლში აწვენდნენ და შუაში ხანჯალს უდებდნენ, თუკი ზნეობრივი სიწმინდე ეჭვქვეშ დადგებოდა, ე. ი. მდედრი და მამრი ზღვარს გადავიდოდნენ, ვნების ტყვეები გახდებოდნენ, სწორფერობა ჩაიშლებოდა და წყვილი სამუდამოდ გაიკიცხებოდა, სოფლისგან გაირიყებოდა.

სწორფერობა საპირისპირო სქესთა პიროვნული ღირსების, სინდის-ნამუსისა და ნებისყოფის გამოცდის, ცდუნებასთან გაწონასწორებული სურვილების დაოკების საოცარი რიტუალი გახლდათ.

სწორფერობამ ფშავ-ხევსურეთში ქსოვისა და ქარგვის ხელოვნება მწვერვალამდე აიყვანა. ხორციელ ჟინზე ამაღლებისდა კვალად სწორფერი ქალი ვაჟის მიმართ უანგარო ზრუნვას იჩენდა – ხელსაქმით თავმოწონება და ვაჟისთვის გემოვნებიანი ტანსაცმლის ან რაიმე სამახსოვრო ნივთის მოქსოვა დიდ პატივად ითვლებოდა; სწორფერობა ვნების მოთხოვნილებისა და სურვილის თავშეუკავებელი შეცნობის ზღვარდადებულ შესაძლებლობას იძლეოდა. ქალმაც და ვაჟმაც კარგად იცოდნენ, ურთიერთობის მისაღებ სამანს ვერ გასცდებოდნენ, დადგენილი წესისა და ადათის მიხედვით, თემში დამკვიდრებული ზნეობის მიჯნას ვერ გადალახავდნენ, რადგან უსათუოდ დაისჯებოდნენ, მოიკვეთებოდნენ, ხოლო განსაზღვრულ ზღუდემდე ვნებისა და ლტოლვის საზომი, სიამტკბილობის შეგრძნებისთვის დასჯის ფორმის დამკვიდრება, წინაპართა გონებამ და ზნეობრიობის შემფასებლებმა ვერაფრით დაადგინეს – სინამდვილეში, სად უნდა გასულიყო ზღვარი და რა შემთხვევაში დაისჯებოდა წყვილი, მათი საქციელი გარყვნილებად და საყოველთაოდ დადგენილი წესების წინააღმდეგობად რომელ ფაზაში შეფასდებოდა, ამას მხოლოდ ვნების შეუკავებლობა განსაზღვრავდა და სქესობრივი კავშირის დამყარებით დამტკიცდებოდა, ასეთი ფაქტის შემთხვევაში კი, საზოგადოების წარმომადგენლები სიყვარულსა და გრძნობის მოზღვავებას არაფრად დაგიდევდნენ, უზნეობისთვის სწორფერებს სჯიდნენ და სოფლიდან აძევებდნენ, რადგან წესი და ადათი ყოველგვარ სიყვარულსა და გრძნობაზე მაღლა იდგა – გარდა ღვთისა და ხეობის წმინდანებისა.

გარყვნილების ზღვრამდე, ვიდრე ქალისა და ვაჟის ინტიმური ურთიერთობა არ განხორციელდებოდა, წყვილმა მთელი არსით იცოდა, ვნებისა და შეცნობის უფლება რა ზომამდე ჰქონდათ, ტკბობის რა დოზით ზიარებას დასჯერებოდნენ; უყვარდათ ერთურთი, მაგრამ „წითელ ხაზს“, ხანჯლით დადგენილ სამანს ვერ გადაჰკვეთდნენ და უჩვეულო პრელუდიური ურთიერთშემხებლობით მანამ არსებობდნენ, ვიდრე ქალი სხვა მამრს მისთხოვდებოდა და ვაჟი სხვა

მდედრთან იქორწინებდა – სრულყოფილ სქესობრივ ურთიერთობას ეზიარებოდა.

ზღვარდადებული ტრფობის დასჯის მექანიზმი ვერ მოიფიქრეს ვერც მთის რელიგიის მესვეურებმა და მთის საზოგადოების ყოფა-ცხოვრების წესდამდგენლებმა; სწორფერობის სასიყვარულო შეხებისა და ლაციცის პრელუდია სიცოცხლისა და ხორციელად ტკბობის უზადო წყურვილს განასახიერებდა, რომელიც არასოდეს მთავრდებოდა – სასრული არ გააჩნდა, ხოლო სრულყოფილ სქესობრივ კავშირს თან ახლდა სასრული და სწორედ ეს სასრული გახლდათ სიკვდილის ტოლფასი – ადამიანის არსში სიკვდილის, ფაქტობრივად, დასასრულის შემგრძნები სიამოვნება, დაუსრულებლობა კი იმდენად იყო სანეტაროდ ტკბილი, რამდენადაც არ გააჩნდა დასასრული, ე. ი. არ ახლდა სიკვდილის შეგრძნება...

ქუჯისა და ნაბის შორის შუაკაცობა, სწორფერობის ელჩობა დიაცის ახლობელმა კაცმა დაიკისრა, ნაბის მამას მოელაპარაკა, სწორფერობა გაარიგა და ორი წლის შემდეგ მასთან ერთად მომხდურთან შერკინებაში გმირულად დაიღუპა – სწორფერობის გამართლებისთვისაც ცხონდა და მტერთან ბრძოლის დროს სამაგალითო შეუპოვრობისთვისაც.

სწორფერობის ღამის რიტუალი ნაბის სახლში შესრულდა. ქუჯიმ შეუბღალავად გაუძლო ვნებასთან ჭიდილს – საერთოდ არ გატოკებულა. მართალია, არც მას და არც ნაბის თვალი არ მოუხუჭავთ, მაგრამ სასწაულებრივი ნებისყოფა გამოიჩინეს და სხეულის ძახილსა და გრძნობის ქარცეცხლს არ აჰყვნენ.

დილით ოჯახის უფროსის დასანახად ქალმა ვაჟს ხელი დააბანინა, თუნგიდან წყალი დაუსხა და სამშრალებელიც მიაწოდა, რაც იმას ნიშნავდა, ღირსეული სწორფერი შეარჩია, რომელმაც საკუთარი თავმოყვარეობა და დარდიმანდობა მაღალი ზნეობრიობის დაცვით გამოავლინა – ასეთზე დაყრდნობა კი თავისუფლად შეიძლებოდა...

ქუჯისა და ნაბის სწორფერობის რომანტიკულმა ღამემ თემისა და ადათ-წესების მორჩილებით კი ჩაიარა, მაგრამ შიგნიდან გაღვივებული ცეცხლი და დაოკებული გრძნობის ღადარი გაასმაგებული აალებით აგიზგიზდა, ქალის სამზერი მუდმივად ვაჟისას დაეძებდა და პირიქით – ვაჟს სწორფერისთვის თვალი რომ არ შეესწრო, ის დღე ჯოჯოხეთად ეჩვენებოდა.

თავკაცის გარეშე დარჩენილ ნაბის ოჯახს სწორფერი ვაჟი მეურვეობდა, საქონლის მოშენებაშიც ეხმარებოდა და სათიბსაც ამუშავებდა, ყურადღებას არ აკლებდა; თავის მხრივ, ქალიც მუდმივად ვაჟზე ზრუნავდა, წელიწადის დროის მიხედვით, ჩასაცმელს უქსოვდა და უქარგავდა...

***

სანდრომ საყოლი დააბინავა და დააპურა, შიდა კიბით ზედა ოთახში ავიდა და ღიმილით შემოგებებულ მეუღლეს ალერსიანად შეხედა, წყლიანი კოკა ფრთხილად ჩამოართვა, მერე აკვანში მძინარე ძუძუმწოვარა გოგონას თბილი მზერა შეავლო და ბანზე გავიდა. ხის მოაჯირიანი აივნის ჯებირს მიუახლოვდა და, ვიდრე ხელს გადაიბანდა, ხეობის ბინდბუნდს ფიქრიანად გახედა:

– ჯავარ!.. – ცოლს მოუხმო და ჩუქურთმებიან ძელურ კარს მიაჩერდა.

ჯავარას ხორბლისფერი სახის კანი და მომშვილდური წარბები ჰქონდა, ცისფერი თვალებიდან ერთგულებას აფრქვევდა.

– დიახ, ჩემო ქმარო!.. – ვაჟს გამოსძახა და თავსაბურავი შეისწორა, აკვანს გარიდებული მსუბუქ ტაბლას წაეტანა და ბანზე გაიტანა. იცოდა, სანდროს სუფთა ჰაერზე ვახშმობა უყვარდა.

პატარაობიდან დიასახლისის საქმეს დაუფლებული ქალი მოქნილად მოძრაობდა, ტაბლაზე ჯამ-ჭურჭელი, ყველი და ნადუღი, თონის პური და ერთი კათხა ლუდი უცებ დაალაგა.

ქმარმა გაუღიმა, მადლიერების ნიშნად ხელი ასწია.

– დღეს ჩვენი ქალიშვილი ექვსი თვისა გახდა, არა?.. – მზრუნველი ხმით იკითხა და ტაბლას მიუჯდა.

– კი, ჩვენი ცისნამი მეშვიდე თვეში გადადგა!.. – ცოლმა ღიმილით დაუდასტურა და მზერა აკვნისკენ გააპარა, პატარას მიაყურადა.

– სანდრო, ჰა სანდრო!.. – მოულოდნელად გარედან გაისმა.

– ჩვენი სულიაა... – ჩაილაპარაკა მასპინძელმა, სწრაფად წამოდგა და ხის მოაჯირს მიადგა. – მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა... – ძუძუმტეს ჩასძახა.

– ამდილანდელი პირობა ხომ გახსოვს?.. ხელისმომკიდედ უნდა დამიდგე. ამ კვირის ბოლოს ქორწილს ვიხდი. ხვალ მუცოში წავალთ, საქმეს საბოლოოდ გავარიგებთ, შაბათს კი პატარძალს მაყრიონთან ერთად ეახლები და ანატორში შენ წამოიყვან!.. – სულია ქვის კიბეებზე ლაპარაკ-ლაპარაკით ამოდიოდა.

გურგულა ბუთქუნა კუდს აქიცინებდა, სასურველ სტუმარს ლაქუცით მიაცილებდა და პატრონისკენ იხედებოდა – უფლებამოსილებას ხომ არ ვაჭარბებო.

– ვიცი, ძმაო, ვიცი და, აგრემც გენაცვალოს ჩემი ჯალაბი, ჯავარაც გვერდში ამოგვიდგება და შენი ბედნიერებით ცისნამიც გაიხარებს!.. – სანდრო მხიარულობდა და კიბეზე ამომავალ მეგობარს გულთბილად ეგებებოდა.

მეორე დილით ცხენებზე ამხედრებული სანდრო და სულია ანატორის საფეხვნოსთან შეყოვნდნენ, თემის თავკაცსა და ხატის ხუცესს გაესაუბრნენ.

– ხვთისო, მწყალობელო, შაბათს ქორწილი მაქვს, ჯვარს მუცოელ მეა დაიაურზე ვიწერ, კვირა ცისმარზე კი მეფე ერეკლესთან უნდა გავქუსლო. ასეთია უფლის ნება!.. – სულიამ თემის თავკაცს მორიდებით მოახსენა და ისიც დასძინა, მეფესთან გამგზავრების შესახებ მხოლოდ სანდრომ და თქვენ იცითო.

– გუდანის ჯვარი გწყალობდეს, კარატისა კი გზას გინათებდეს!.. – მხცოვანმა კაცმა ახალგაზრდა ხევსური მხურვალედ დალოცა და დააიმედა: – ანატორელები შენს ჩამოსვლას დაველოდებით და მეას არაფერს გავუჭირვებთ!..

ანატორის ხუცესმა კი მუცოში მიმავალთ უხიფათო გზა უსურვა და პირჯვარი გადასახა.

ვიდრე ანატორში მზე მეორედ ამოსასვლელად ემზადებოდა, სასიძო და მისი ხელისმომკიდე ბედაურებით მუცოსკენ მიჭენაობდნენ და საურმე შარაზე მტვრის ბუღს აყენებდნენ.

მუცოში მისულმა ჭაბუკებმა ჯვრისწერისა და ქორწილის საქმე მშვიდობიანად გაარიგეს და ნაშუადღევს უკან დაბრუნდნენ...

კვირის ბოლოს ანატორი უჩვეულო ფაციფუცმა და სამზადისმა გამოაცოცხლა. ყველა ბანსა და კოშკურის აივანზე ხის გრძელი, ფიცრული მაგიდები პურ-მარილით უხვად გაიწყო, ჯიხვის ყანწებმა და თიხის ჯამ-ჭურჭელმა ყველა მაგიდაზე თავ-თავიანთი ადგილი დაიკავა.

ქეიფი სამ დღეს გასტანდა და იქაური მამაკაცები თადარიგს წინდაწინ იჭერდნენ: ოჯახის საქმე რომ არ წაეხდინათ, საყოლს დროულად აბინავებდნენ და საკვებით ამარაგებდნენ, ცხენებს იალაღიდან ახლო ნაკვეთებში ერეკებოდნენ და საგულდაგულოდ აჩაირებდნენ.

მხოლოდ ქვასვრია იყო გულგრილი. მისთვის მწუხარებასა და მხიარულებას ერთი ფასი ჰქონდა. წითურ ხართან ერთად ცხოვრობდა და სოფლის ჭირ-ვარამს ალმაცერად უყურებდა...

ღარიბი, წყალწაღებული და უთვისტომო ხევსური ხეობაში თითქმის არ არსებობდა. თუ ასეთი გამონაკლისი გამოერეოდა, ის თემისგან შეწყალებასა და თანაგრძნობას ვერ ეღირსებოდა. „ნუ ხარ ჯაბანი, გაექანე, ხელები გაანძრიე და ფონს გახვალ!.. რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ბეჩავო!..“ თვისტომნი უქონელსა და გლახაკს დაურიდებლად შერისხავდნენ ხოლმე – გამოფხიზლებას აიძულებდნენ.

წესიერი გვარიშვილის ქალი უჯიშო და უნიათო ხევსურს თუ გაუწყვილდებოდა – ბედს დაუკავშირებდა, მას ნათესავები მოიძულებდნენ, როგორც ჯილაგის შემბღალავს, ხოლო, თუ რომელიმე სისხლისმიერი ახლობელი დაინდობდა და უჯიშოზე თვითნებურად გათხოვებულს მასპინძლობას გაუწევდა, მისი სახლის კარზე კატას დაჰკიდებდნენ.

ასე რომ, ქორწილსა და ჯვრისწერას ხევსურ სასიძოთა ღირსეული უმრავლესობა იხდიდა და პატარძალსაც შესაფერისად ღირსეულს ირთავდა.

მჭედელმა პავლემ ნეფე-პატარძლისთვის საგანგებო საჩუქრები, ვერცხლის ნაკეთობები ჩამოასხა: სულიას შუბანის ჯვრის გამოსახულებით გველისთავიანი ბეჭედი, ხოლო მეას მზის ბორჯღალოთი დამშვენებული ყელსაბამი გაუმზადა.

შაბათ დღეს ჩოხაში გამოწყობილი და ფარ-ხმალასხმული სანდრო ბედაურზე ამხედრებული ათეული ანატორელი მხედრიონ-მაყრიონით მუცოში მეა დაიაურის სახლობას ესტუმრა.

„მაგვიხვე მშვიდობით!..“ – მიაგებეს მასპინძლებმა.

„დამხვდით მშვიდობით, აშენდით!.. სრუ მუდამ ლხინზე და მშვიდობაზედამც შეიყარენით!..“ – შეეხმიანენ სტუმრები.

სადედოფლო კაბით შემოსილი პატარძალი სოფლის მიჯნამდე, წესისამებრ, ორმა თანმხლებმა დიაცმა მიაცილა. იქვე საგანგებოდ გამომცხვარი ქადა დაჭრეს და დედოფალი დალოცეს, ბედნიერება და გამრავლება უსურვეს, ბოლოს ნეფის მეჯვარეს ჩააბარეს და გზა დაულოცეს.

პატარძალი ანატორის სამანებამდე შავრიაზე ნამარდულად შემომჯდარი მოაბრძანეს. აქაც კიდევ ერთი ქადა დაჭრეს და დასახლებაში თოფებისა და დამბაჩების გრიალით შევიდნენ, დეა საქმროს საცხოვრისთან შეაყოვნეს და ბოსლის შესასვლელთან ატუზულ სადედამთილოს რიდით წარუდგინეს.

ბედნიერების მომსწრე მარია შეთეკაურს თვალები უჩვეულოდ უციმციმებდა. ფიქრითა და გონებით, სისხლის აღების წესით მოკლულ ბერდიას, რომელმაც ახალშობილის მზის სინათლეზე ხილვა ვეღარ მოასწრო, ვაჟის გაბედნიერებას ულოცავდა, სახიდან სათნო ღიმილი არ შორდებოდა.

– ოჯახში ძალა შემოდის!.. – სადედამთილომ სარძლოს გასაგონად ჩაილაპარაკა და მანდილი გაუშალა, მარჯვენა ხელი დაუჭირა, კერას შემოატარა.

– „ბედიან-დოვლათიანი მოგვევლინე, ხუთი ვაჟის დედა გახდი და სამი ქალის!..“ – გულმხურვალედ დალოცა და დედაკაცები ახლოს მიუშვა, რომლებმაც პატარძალს საგანგებოდ გაცრილი ფქვილი აფქვიეს:

– „ისემც თეთრადაც აყვავდები...“ – დაუყვავეს და კალთაში ყრმა ბალღი ჩაუსვეს – ვაჟების გაჩენა დაგბედებოდესო.

მერე სამი კაცი მეზობლის სახლში შეფარებული ნეფის მოსაყვანად გაგზავნეს, ხოლო პატარძალთან მოახლოებულს, ქალებმა მძივებით შემკული არაყის ბოთლი მიართვეს, ხუცესს უხმეს და ჯვრისწერაც შედგა...

ზღაპრული ქორწილი გაჩაღდა.

ნეფე-დედოფალი ერთმანეთის სუნთქვას ასე ახლოს პირველად გრძნობდა. სხეულში აგიზგიზებულ ცეცხლსა და ვნების სიმხურვალეს პირველად განიცდიდნენ, თვალებით ერთურთში იკარგებოდნენ და თავდაჭერა დიდი ნებისყოფის ფასად უჯდებოდათ.

ყველა ბანსა თუ აივანზე მათი სადღეგრძელო ისმებოდა, ყანწი ყანწს ენაცვლებოდა, ჯამი – ჯამს, სანათურებში ლამპრები ციალებდა და კოშკურებიდან გამართული ზეიმის მონაწილეთა ლანდები ხეობაში შმაგად მჩქეფარე არღუნს სწვდებოდა.

მამაკაცები არაყსა და ლუდს სვამდნენ, მანდილოსნები კი ერთად შექუჩებულიყვნენ, მოქეიფეებს მშვიდად შეჰყურებდნენ და თანმონაცვლეობითი პასუხისმგებლობით მაგიდებს ემსახურებოდნენ, შეთხელებულ სუფრას ახალ-ახალ კერძებს ამატებდნენ და პურ-მარილს ამდიდრებდნენ.

მჭედელი პავლე სასმისებს ლაღად ცლიდა და ჯიხვის ყანწს სხვა მოქეიფეებთან ალავერდად გადადიოდა.

ტყუპი ძმები, პაპუნა და ჩალხია ხევსურულ სიმღერებს აგუგუნებდნენ. პაპუნას სამლარიანი ფანდური მოემარჯვებინა, ჩალხია კი საგმირო ბალადებს დამღეროდა. ძმები ერთმანეთს ხშირად ენაცვლებოდნენ, ყანწიდანაც სვამდნენ და მესუფრეებს სახუმარო კაფიებითაც ართობდნენ.

ანატორის თავკაცი მოძმეთა ღრეობას დინჯად ადევნებდა თვალყურს და სასმელს ნება-ნება წრუპავდა.

ერთ მოზრდილ ბანზე ოცდაათი გამოცდილი მებრძოლისთვის სუფრა საგანგებოდ გაეშალათ. წვერ-ულავაშითა და ცხვრის ჯუბაჩებით დამშვენებული მეომრები სახიფათო თავგადასავლებით „განებივრებულ“ ვიკინგებს ჰგავდნენ.

მათ თავყრილობას ბეგლარი თავკაცობდა, როხროხა და თავზარდამცემი ხმით თემის სასწაულმოქმედ ხატს ლოცავდა და ნეფე-დედოფალს დღეგრძელობას უსურვებდა; მისი თანამებრძოლები ყანწებს ერთხმად ცლიდნენ და შიგადაშიგ ომის ეპიზოდებსა და მტერთან გადახდენილ ფათერაკებს გზნებით იხსენებდნენ.

ანატორელ მეომართა გმირობის ამბავი მეფე ერეკლემაც კარგად იცოდა და მათ კავკასიის სადარაჯოზე გამაგრებულ საქართველოსთვის თავდადებულ გუშაგებად მიიჩნევდა.

ქუჯი და ნაბი ერთი ბანიდან მეორე მომიჯნავე ბანზე გადადიოდნენ და მოქეიფეებს ყურადღებას არ აკლებდნენ. ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ – მდუმარედ ეალერსებოდნენ და ღიმილით ათბობდნენ.

სანდრო დროდადრო საკუთარ სახლში გადადიოდა, ძუძუმწოვარა ცისნამს დახედავდა, ჯავარას თვალებით მიუალერსებდა და მაშინვე საქორწილო წვეულებას უბრუნდებოდა.

მოგვიანებით ნეფე-დედოფალი კოშკურის ზედა ოთახში განმარტოვდა.

ვაჟის ხელი ქალისას შეეხო, მათ სხეულებს ცეცხლის ალმური მოედო, ტუჩებს ტუჩები ცახცახით შეეწება და სუნთქვა სუნთქვაში გაერთიანდა – გახშირდა და გაცხოველმყოფდა, მამრი მდედრს მკერდში ისეთი ძალუმი სიფრთხილით იხუტებდა, თითქოს მისი სულისა და სხეულის მეორე ნაწილს იზიდავდა და სამუდამოდ ერთიანდებოდა, ერთ მთლიანობად გახდომას ლამობდა, სრულყოფილების შეგრძნებისკენ მიისწრაფოდა. თავდავიწყებით უყვარდა და ენატრებოდა, ეუფლებოდა და უფრო მეტი სიახლოვისთვის იხარჯებოდა – დაუსრულებელი სიღრმისკენ, ჯერარგანცდილი აღმაფრენისკენ მიისწრაფოდა...

დილით კი ქმარმა საყვარელ ცოლს ხმადაბლა აუწყა:

– მეფესთან მივდივარ, მალე დავბრუნდები!.. – და თვალებში დამნაშავესავით მიაჩერდა.

ქალი შეკრთა.

– ნება შენია, ჩემო პატრონო!.. – ხმის ცახცახით დაამშვიდა ქმარი და მკერდზე მიეკრა.

– არ ინერვიულო, ნუ გეშინია... მალე დავბრუნდები!.. – ხმა ქმარსაც აუცახცახდა.

– არ ვინერვიულებ, მხოლოდ გაუსაძლისი მოლოდინის მეშინია!.. – გამოუტყდა ცოლი და თვალები აუწყლიანდა.

ვაჟმა ნიკაპი წამოუწია და ტუჩებში ნაზად აკოცა.

– მალე დავბრუნდები!.. – ისევ გაუმეორა და ქალს მოკრძალებით გაეცალა, ისე ამოიოხრა, თითქოს მისი სულისა და სხეულის მეორე ნაწილს გაერიდა.

ვიდრე მზე ანატორის გორაკს ამოეფარებოდა, შავრიაზე ამხედრებული ხევსური ვაჟი სატახტო ქალაქისკენ მიჭენაობდა.

მეა კოშკურის ქონგურიდან საყვარელ მეუღლეს ცრემლდადენილი თვალებით მიაცილებდა, თეთრფეროვან სახეზე დროდადრო დარდის ნისლი ეფინებოდა, თუმცა მის სილამაზესა და წარმტაცობას ვერაფერი ჩრდილავდა...

მარია ბანის კუთხეში იდგა და მეფისკენ მოჩქარე შვილს გზას ულოცავდა, კედელზე ჩამოკიდებულ ბერდიას ხირიმს ხევსური დედის სიამაყით გახედავდა ხოლმე და გუდანის ჯვარს ახლადდაქორწინებული წყვილის ბედს ავედრებდა.

ქვასვრია ყორესთან ჩამომჯდარიყო; წვერს იწიწკნიდა და ბოძზე მიბმულ წითურ ხარს ფიქრიანად მისჩერებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვახტანგ გოგრაჭაძე

ორი აჭარელი
(COVID-19)

გაგრძელება
(დასაწყისი ანთოლოგიის მე-11 ნომერში)

– აბა, გამუუშვი შემდეგი. – უთხრა სასელამ. ისინი, აქაოდა, სიბრძნეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

– მოი, ამით, ახდენილ ზღაპრებს გუუმარჯოს! ადრე, ჩემ ბაღნობას დედეი მებნეოდა, რომ დრო მუა და კოდი დეილაპარიკებსო.

– აჰა, მოვდა მაი დრო და ტელევიზორი მეიგონეს. მემრე ამბობდენ, ხალიჩა გაფრინდებაო, ეიდა გაფრინდა თვით-მფრინავი.

გახსოვს, რომ ამბობდენ, ცისარტყელას გადაახტი და გოგო გახდებიო, თუ გოგო ხარ, – ბიჭიო. იმდენი ბიჭი გადაკეთდა გოგვებად, ვინ დეითლის. მაი ედეფსუზები და შეცდომით გაჩენილები. გახსოვს ჭო, კინო რომ იყო „ცისკარა“, – იქ დევი სარკეში ხედავს ტყეში მიმავალ ცისკარას, ახლა მაგას ლაივს უძახიან.

ამბობენ, რობოტები დეიპყრობენ დედომიწასო და მე მაგისაც მჯერა, მარა რკინის კაცი თუ ჩემი ფადიშაჰი გახდება, მე ამქვეყნად აღარ გავჩერდები.

– ეჰ, ჩემო შაღბან, არ იდერდო, მაი დრო რომ მუა, მე და შენ გადასწრობილი გვექნება იმქვეყნად. ვინცხაი აქ დარჩება, იმათ კი მუუწევთ თუნუქის კაცების ერთად ბორანოს ქამა.

მოხუცები ხალისობდნენ, მათი ხორხოცის ხმა ცარიელ სოფელს ექოდ ედებოდა.

– მოი, ამ ჭიქით კაი ხალხს გუუმარჯოს. – სასელამ სულმოუთქმელად გამოცალა ეგრეთ წოდებული „ბერიას“ ჭიქა.

– გუუმარჯოს! გუუმარჯოს! მარა რა მითხარი ჭო, იცი? ყველაი რომ ამბობს, რომე კაი ხალხს გუუმარჯოსო, ყრალი ხალხი ჰად არიან ბოლო-ბოლო, ის ყრალიც ამბობს – კაი ხალხს გუუმარჯოსო და თავი კაი გონია. ჰოდა, ვინც ყრალია, ის არ შედის სიაში? ამდენ ხალხს იცნობ, ამდენი ვინცხაი გყავს, ჰოდა, მითხარი, ვინ არის ყრალი? – შაღბანი ინტერესით მიაჩერდა.

სასელა დაფიქრდა და პასუხს ეძებდა.

– მე მაქფერი კაცი არ მყავს იმიტომ, რომ მე კაი ვარ და ჩემს ახლომახლო ყრალს არ გავაქაქანებ. – ნახევრად ხუმრობით დაასკვნა სასელამ.

– ჭო, შენ კი ხარ კაი, მარა ბელქიდა შენზე სხვა ამბობს, რომ ყრალიაო, დევჯერო ყველასთვინ კაი გაქ ნაქნარი? ყველაი ყველასთვინ ხომ კაი ვერ იქნება.

– თუ კაცი ვინცხასთვინ ყრალია, ვინცხასთვინ კაია და ცალთერეფაი კაცს ვერ შეაფასებ. ჩვენც ვინცხასთვინ კაი ვართ და ვინცხასთვინ ყრალი.

– მაშინ გამოდის, რომ დედომიწაზე ყველაი კაი ვყოფილვართ.

– აბა რა. შენ თუ არ მოგწონს, იმიტომ ყრალია? სამაგიეროდ, სხვას მოწონს. ახლა მე შენი დევჯერო თუ იმის.

– ჰოდა, მაშინ მოი, ყველას გუუმარჯოს. არ შემაკტა კაცო... – სასელამ ნერვიულად მეორეჯერ გამოცალა „ბერია“. შაღბანს მეტი რაღა გზა ჰქონდა და ორი პირთავამდე სავსე ჭიქა დასალევად მოამზადა.

მოხუცებმა „მოლაპარაკე კოდი“ ჩართეს და მოულოდნელობისგან ორივეს სახეზე ღიმილი შეეყინა. საინფორმაციო გამოშვება იუწყებოდა, რომ მსოფლიოში პანდემია გავრცელდა.

კორონავირუსი საქართველოშიც შემოვიდა და ქვეყანა სპეცცხოვრების რეჟიმზე გადასვლას აპირებდა.

– აჰა, ავშენდით სასელ! შავი ჭირი ისევ მოვდა.

– ჭო, რადა იქნას?

– აფერი არდა იქნას, მეემზადე, ბევრი ჭადი დააკარ, ბათუმიდან ბევრი ხალხი ამუა.

– აბა რას იქს, ჭო! აქეთ გამეიქცევიან. ისეგავ, სოფლის ავსობის ჟამი მოვდა.

– ჰოდა, გავშეილიგდებით. ქნა ჩემმა გეჯეგებმა ფასი და ეგაა.

„2020 წელი მსოფლიოს მძიმედ დააწვა. კორონავირუსმა მილიონობით ადამიანი შეიწირა და ეკონომიკური კრიზისი შექმნა. საქართველოში ვირუსის გამოჩენამ საზოგადოებრივი პანიკა გამოიწვია, ყველა რაღაცის მოლოდინში იყო. ადამიანებმა პაპისეულ მიტოვებულ სოფლებს მიაშურეს. დაჟანგებული თოხ-ბარი აიღეს და დიდი ხნის განმავლობაში დასვენებული მიწა კვლავ ააფუეს.

გაცოცხლდა სოფლები, სახლების საკვამურებში ასდინდა კვამლი, დიდი სამზადისი იყო ქალაქიდან სოფლად გადაბარგებისა“. – აცხადებდა რადიო.

– აჰა, ხომ გებნეოდი ჭო, ამოვლენ-მეთქი. ვიღას ეყოფა ახლა ეგ შენი ჭადი და ყველი?

– აპაა, ამოვდენ და თან რაფერ? ამოხუხუნდენ, ტევა აღარ არის სოფელში. ისე კი გავშეილიგდით მე და შენ, სასელ.

– გავშეილიგდით კი არა, ახლა საფიშმანო მეტი მაქ. მიჩვევლი ვიყავ ჭო, სიწყნარეს და ახლა თავი ბაზი ბუდესავით მაქ. ჩემი ალაგი აღარც მეიდან ოდაშია და აღარც გეზმეში.

„სახელმწიფო დაწესებული კოვიდ-რეგულაციების მიხედვით, ადამიანებს აეკრძალათ ერთმანეთთან მიახლოება, ყველა და ყველაფერი გადავიდა დისტანციურ ურთიერთობაზე. ქვეყანაში გამოცხადდა კარანტინი და საგანგებო მდგომარეობა, მუშაობა შეაჩერეს კაფეებმა, რესტორნებმა, წვეულებათა დარბაზებმა, სკოლებმა და ყველა სხვა დაწესებულებამ“. – კვლავ აცხადებდა რადიო.

ეს რეგულაციები, ალბათ, მხოლოდ ორ მოხუცს არ შეხებია, ისინი ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ და უფლის იმედით დააბიჯებდნენ ამ ქვეყანაზე.

– ჭო, რამდენი რამედა იდერდო, ფარა არ არისო, ე ხალხი რომ ამოზავდა აქა, ამათ რადა უუთავოს კაცმა, გადახრეს ყოლიმფერი. სიბერე ცალკე ჭვირთია, სიკდილი რომ გვეღრიჯება, იმას რა ეშველება და ახლა ეს კორონაი რაღა ჯანდაბაა.

– რა გადერდებს ჭო, მალე დაბერდები.

– სიბერე მაკლია ახლა მე. ოთხმოცი წლის ბერს კიდვენ დაბერება მინდა?

– ეიდა, იჯექი შენც აგერ სალაყბოზე, რა გაბღეზებს. ამოზავდენ ხალხი სოფელში, მარა მე და შენ ისვენ მარტვაი ვჯდავართ აქ, სახლებიდან თავს ვერ ყოფენ კორონას შიშით. – მოხუცები გულიანად ხარხარებდნენ.

– წუხელი არ დამაძინეს ჯიბგირებმა და მეც ერთი ლექსი დავწერე ჭო.

„მარტოობით დარჩენილი
ცრემლს ღვრიდა და ტიროდა,
ტურა გაგენგეშებული,
სახლქვეშიდან ყვიროდა.

დათვი სიმინდ არჩევდა და
მგელი ძროხას წველიდა,
კვამლი აღარ ასდიოდა
სახურავის წვერიდან.

სახლი დავაცარიელეთ,
თაგვებს მიყავთ პარადი,
მელას საქათმეში ძინავს,
ძილს არ უფრთხობს არავინ.

სალაყბოზე გადებული
ორ ძელს ხავსი სდებია,
ხან ეივსობა, ხან დეივსობა,
ესეც სოფლის ბედია.

ჰოდა, ახლა ავსებულა,
აღარ არის ეული,
ხოხოციაი გეჯეგები,
გახდა გამორჩეული.

გაჩახჩაღდა შუა ცეცხლი,
გათბა ძველი კერია,
სოფლის კლუბი ხალხით ეივსო,
გეგონება მერია.

გადასლა და გადმოსლები
და ქახუნი ქიქების,
ნადურები ახმაურდა,
მუხლმაგარი ბიჭების.

აქაური გვერხლი ქადი
შაქარი და ტორტია,
ერთმანეთზე ხვევნა-კოცნა
აქ მოსული პონტია.

რა კორონა, რის კორონა,
აქ ძმობაა მთავარი,
ჯამთელობის და სიცოცხლის
წლები მოგცეთ მრავალი“.

მოხუცებმა სოფლის ცენტრში ისეთი მხიარულობა და პოზიტივი დაანთეს, რომ თანდათან თანასოფლელები შეუერთდნენ და საღამოს კაი დიდი კოცონიც გააჩახ-ჩახეს. აღარავის ახსოვდა კორონა.

ბახუსმორეულები ისე აითქვიფ-აირივნენ ერთმანეთში, როგორც აჯაფსანდალი. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მათგან არც ერთს არ შეჰყრია ვირუსი. ყველა სასელა და შაღბანა ბაბუს ლოცავდა და მადლობას უხდიდა. – ჭო, რა კაი ყოფილა ამფერები, ა? კარგათ გავშეილიგდით.

– აბა რა, სასელ! კაია მარა, ხვალ გვერდები მიბეგვილივით რომ გექნება ამდენ ცეკვა-ხტუნვის მემრე, სექვიდან რაფერ გადმოფორთხავ, მაგასაც დევნახავ.

ზაფხულის ხვატმა სოფლის წყაროები თითქმის დააშრო, ერთადერთი ყელჩასას-ველებელი წყარო სოფლიდან ორი კილომეტრის მანძილზე იყო. იყოო – ვამბობთ, მაგ-რამ ისიც დღე-დღეზე დაშრობის შიშით შეპყრობილი, მოკრძალებით მოედინებოდა.

სასელ და შაღბანამ ბაბუებმა გადაწყვიტეს ქალაქიდან ამოსულ ახალგაზრდებთან გარიგება დაედოთ და წყალი ღვინოში გადაეცვალათ. ყოველ მოტანილ დოქ წყალში ერთ ჩაფ ღვინოს იძლეოდნენ. კარგი გარიგება იყო, ახალგაზრდები მიიზიდა. მო-ხუცების ეზოები აივსო წყლიანი კასრებით, იმდენი მარაგი დააგროვეს, რომ ბოსტ-ნებსაც რწყავდნენ, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ ახალგაზრდებს გალოთება და მარ-ნებს დაცარიელება ემუქრებოდა.

ამიტომ საჭირო დარჩა „ხელშეკრულების“ გადახედვა. ახლა მათ ახალგაზრდებს ერთი შვიდზე გარიგება შესთავაზეს. შვიდ დოქ წყალში ერთი ჩაფი ღვინო უნდა გაეცვალათ, ახალგაზრდებმა შეთავაზებაზე უარი განაცხადეს და მოხუცებთან ურთიერთობა საერთოდ გაწყვიტეს. მოხუცებს სხვა გზა აღარ დარჩათ და თავიანთი ძალებით შეუდგნენ წყლის ზიდვას. მაგრამ საქმე იმაში გახლდათ, რომ სოფლის გოგო-ბიჭები ყოველ საღამოს კო-ცონთან ქეიფობდნენ და ღვინის სავსე ყანწებით „ხმალაობდნენ“.

სასელას და შაღბანას მარნები იცლებოდა. მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და მარნები საგულდაგულოდ ჩაკეტეს. ჭურების თავსახურებიდან საძინებელ ოთახამდე მავთულები გააბეს და ზედ ეჟვნები ჩამოკიდეს.

ქურდის შესვლის შემთხვევაში და თავსახურის მოხსნისას, ეჟვნები ზარს გამოსცემ-დნენ და ქურდსაც იოლად დაიჭერდნენ, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

გოგო-ბიჭები ისევ ქეიფობდნენ და ჭურები ისევ იცლებოდა. მოხუცებმა ვერაფერი გააწყვეს და ბოლოს ჩუმად საქმეში სამართალდამცავები ჩართეს.

დაიწყო გამოძიება. ერთ-ერთი პოლიციელი, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი, ახალგაზრდებს დაუახლოვდა და მათთან ერთად ქეიფს მიჰყო ხელი.

ერთი თვის განმავლობაში აგენტი პოლიციელი ქურდობის საქმეს კი არა, ვინ რამ-დენი დალია, იმას არკვევდა. ის აუყვა პურმარილებს და ახალგაზრდებს ლოთობაში გადაასწრო, მაგრამ ახალგაზრდები ბოლოს სოკრატეს ჩიტებივით გაებნენ მახეში.

მორიგი ქეიფისას შეძენილი მეგობარი მოხუცების საცხოვრებელი სახლების ახლოს ხევში ჩაიყვანეს.

– იმ ქვეყნის არსებობის გჯერა?– ჰკითხა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ აგენტ პოლიციელს.

– მაინცდამაინც არა, მაგრამ თუ ამ ხევში ჩემს მოკვლას აპირებთ, ვერ მოგიწონებთ ვაჟკაცობას. – ისინი ხუმრობდნენ და ბახუსმორეულები ერთმანეთს სარკაზმით ამკობდნენ.

– არა, კაცო, რა მოკვლა, რის მოკვლა. იმ ქვეყნიდან შენმა ახლობლებმა ღვინო გამოგიგზავნეს. – ერთ-ერთმა „დარის“ ძირში მიწა მოჩიჩქნა და შავმა ღვინომ შადრევნად იფეთქა. სასწრაფოდ გაავსეს თასები და შეძენილ მეგობარს მიაწოდეს. გაოგნებული შესცქეროდა აგენტი მეგობარი იმ ქვეყნიდან მომდინარე საამქვეყნო სითხეს.

„პახმელიაზე“ მყოფმა პოლიციელმა დილაუთენია იმ „დარისკენ“ გასწია, სადაც ახალგაზრდებმა „იმ ქვეყნიდან“ ამოჩქეფილი ღვინო დააგემოვნებინეს. პოლიციელს საქმის ძაფის წვერი ხელთ ჰქონდა, მალე აეხადა ფარდა „საუკუნის“ ძარცვას.

ახალგაზრდებს გვირაბი გაეთხარათ და მილები მოხუცების ქურის ფსკერზე მიუერთებიათ. შუა ცენტრში სამკაპით გადაებათ და ერთი წვერი დარის პირას გაეყვანათ. ამიტომ იცლებოდა ერთნაირად ორივე ქური.

ეს ამბავი ქვეყანას მოედო, ახალგაზრდებმა მოხუცების და სამართალდამცავების შიშით სოფელი დატოვეს. თუ მოხუცები უჩივლებდნენ, ქურდობის ფაქტზე დააკავებდნენ და გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდები ქალაქ ბათუმში დააკავეს, ხელზე ბორკილები დაადეს, თვალები აუხვიეს და გაურკვეველი მიმართულებით გააქანეს.

რამდენიმესაათიანი განაწამები მოგზაურობის შემდეგ, ისინი მიწის ქვეშა სარდაფში შეიყვანეს და ჯალათს მიუგდეს. ის კედელთან დააყენეს და განუცხადეს, რომ უნდა დაეხვრიტათ.

პირველი გასროლის ხმამ იქაურობას სმენა დაუკარგა.

მეორე, მესამე, მეოთხე და ასე რიგრიგობით აყრიდა „ტყვიებს“ ახალგაზრდებს ჯალათი. თვალებშეხვეული ახალგაზრდების ღრიალის ხმა იქაურობას აყრუებდა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– შეხსენით და გაუთავისუფლეთ თვალები. – შესძახა ჯალათმა. ახალგაზრდებს შავი სახვევები შეხსნეს და მათ თვალწინ წარმოუდგენელი რამ გადაეშალათ.

სასელასა და შაღბანის მარანში გრძელ სუფრაზე ზღაპრული პურმარილი გაეშალათ და სანადირო თოფით ცარიელ ტყვიებს ისვრიდნენ.

– აბა, ჩვენო ღვინის ქურდებო და „საუკუნის მძარცველებო“, შემოუჯექით სუფრას. – დასძახა სასელამ.

ახალგაზრდები ჯერ კიდევ შეშინებულნი და გაოგნებულნი იდგნენ კედელთან. ერთმა მეორეს გადაულაპარაკა: – ბიჭო, მგონი მოვკვდით და სამოთხეში ვართ. ატყდა ერთი დიდი სიყვარული და გემრიელობები.

გათენებამდე ქეიფობდნენ ღვინის ქურდები, პოლიციელები და თავ-ბოლოში დამსხდარი – სასელ და შაღბან პაპები.

ხმაურიანი და ხალისიანი ზაფხული გაატარეს მოხუცებმა. შემოდგომა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, კორონავირუსის მეორე ტალღამ დაუნდობლად გადაუარა მსოფლიოს. შემოდგომის მიწურულს ისევ დაცარიელდა სოფელი, ისევ მოიწყინეს ფიცრულებმა, ისევ აღარ ასდიოდა საკვამურს კვამლი, ნაწვიმარ გზაზე ისევ გამოჩნდა დათვის კვალები. ჩვენი მოხუცები ისევ ემზადებოდნენ ზამთრის ცივი, გრძელი და ბნელი ღამეებისთვის.

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№28-41-ში და ანთოლოგიის 10-11 ნომრებში)

* * *

მეორე დღეს გამომძიებელმა ზვიადაურმა, პროკურორს დაურეკა:

– ხომ არ ინებებდით მანუჩარ წიკლაურის დაკითხვას დასწრებოდით?

– სიამოვნებით! – იყო ტელეფონის ყურმილში პროკურორის პასუხი.

შემოიყვანეს თუ არა მანუჩარ წიკლაური გამომძიებელთან, პროკურორიც შემობრძანდა.

მანუჩარ წიკლაური გამომძიებლის პირისპირ დაჯდა. პროკურორმა კი კაბინეტის კუთხეში დაჯდომა ინება.

– მანუჩარ, თქვენ ბრალად გედებათ... დაიწყო ზვიადაურმა, მაგრამ პატიმარმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა და ღრმა მწუხარებით მოცული სახით უთხრა:

– ვიცი! რასაც მდებთ ბრალად, მაგრამ ჩემი ძმა რომ ავად არ იყოს, მე ყოველგვარ ბოროტმოქმედებას მისდასასარგებლოდ ვაღიარებდი.

– რა იცით, რომ თქვენი ძმა ავად იმყოფება?

– ციხეში კედლები ლაპარაკობენ.

– და რა გითხრათ კედლებმა, თავი დამნაშავედ არა სცნოთ, რადგან თქვენი ძმა ავად არის და ყოველგვარი დანაშაულებანი თავის თავზე აიღოო?

– არა, რაც არ გაგიკეთებია, სხვისი დანაშაული არ მიისაკუთროო...

– რისთვის უნდა მიგესაკუთრებიათ სხვისი დანაშაული?

– იმისათვის, რომ გრძნობა ძმობისა, ყოველგვარ ბოროტმოქმედებას აღემატება, თვით სიყვარულზე და სიცოცხლეზედაც მაღლა დგას...

– თუ ასეა, გასაჭირში ჩავარდნილ ძმას რად არ დაეხმარე?

– რომელ დახმარებაზეა საუბარი?

– გვამების წყალში ჩაძირვა მაქვს მხედველობაში.

– ამ საქმეს უჩემოდაც მოევლებოდა, თუმცა მთელი ღამე მეთვალყურეობის ქვეშ მყავდა, სანამ სახლში არ მივიდა, მე კი რუსეთში იმ განზრახვით გავიქეცი, მკვლელობის ეჭვი ჩემზე აგეღოთ და ეროდი გადამერჩინა.

– ახლა თავი გადარჩენილი გგონიათ?

– ვერ წარმომიდგენია რას დამდებთ ბრალად!?

– თუგინდ მკვლელობის გაუმჟღავნებლობას ან ცოლ—შვილის მიტოვებას და ალიმენტის გადაუხდელობას!

– სასაცილოა, ბოროტმოქმედების გაუმჟღავნებლობისათვის ჯერ არავინ დაუპატიმრებიათ. ყველა გამფლანგველის ცოლმა იცის, რომ მისი ქმარი გამფლანგველია, მაგრამ ცოლები როდი იხდიან ქმრებთან ერთად სასჯელს? ყველა ქურდის მეუღლემ იცის, რომ მისი ქმარი ქურდია და ოჯახშიდაც მოაქვს ნაქურდალი, მაგრამ ცოლებს როდი იჭერენ? რაც შეეხება ცოლ—შვილის მიტოვებას, სიცრუეა, მე ისინი არ მიმტოვებია. ჩვენ კანონის ძალით ვართ განქორწინებულები და სასამართლო პროცესის შემდეგ უცხონი, ალიმენტის გადაუხდელობაც არ არის ბრალი, რადგან თვით ჩემმა მეუღლემაც არ იცის საიდან ღებულობდა უმისამართო „პერევოდებს“. თუ მან ალიმენტის გადახუდელობა განაცხადა, რატომ არ დაინტერესდა საიდან ან ვის მიერ ღებულობდა ფულს თვეში ას მანეთს, როდესაც თვითონ თვიური ხელფასი ასოცი მანეთი მქონდა? ჩემი სიმართლე შეგიძლიათ ფოსტაში დაამტკიცოთ.

– არც ისე საშიში ყოფილხართ, როგორც მეგონეთ, მაგრამ თქვენ პირველი იქნებით, რომელიც გასამართლდებით მკვლელობის გაუმჟღავნებლობისათვის.

– ნათურის სხივი ჭერს სწვდება, მაგრამ არ იზრდება ამით ქვეყნად ნათელი, ამას არა აქვს მნიშვნელობა მე თავისუფლებაში ვიქნები თუ ციხეში, ამით არ აღიკვეთება ქვეყნად ბოროტმოქმედება?

– რას იტყვით თქვენი მეუღლის შესახებ, რატომ განქორწინდით?

– ცათა სწორო ცოლის ქება აუგია“ * – რაც შეეხება განქორწინებას კი ბრალი ნამდვილად მიმიძღვის, რომელშიდაც სახალხო სასამართლოს ვადანაშაულებ, რადგან არავის არ უზრუნია ჩვენი შერიგება.

– ვენერიული დაავადების გავრცელებისათვის კანონი სასჯელს ითვალისწინებს.

– სწორედ ამაშიდაც ვადანაშაულებ სახალხო სასამართლოს, რომელმაც განაჩენი განქორწინება გამოიტანა და არა სასჯელი. თუ კანონი სწორად

* ავტორს ნაგულისხმევი აქვს ოპერა „აბესალომ და ეთერი”.

იმსჯელებდა, ვენერიული დაავადების გავრცელებისათვის უნდა მოესაჯათ იძულებითი მკურნალობა, ან თავისუფლების აღკვეთა დადგენილი ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ ოჯახში დაბრუნება.

სასამართლომ კი განქორწინება სცნო მიზანშეწონილად და ვენერიულ დაავადებაზე სიტყვაც არ დაუძრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ცოლი დაავადე, მოდექი ახლა სხვა ქალებიც გახადეო სამკურნალო.

– ალბათ ამ საქმეში თქვენ ძმას, იროდის მიუძღვის ღვაწლი!

– ღმერთო ჩემო, კანონი იროდი წიკლაურს ემორჩილება თუ იროდი წიკლაური უნდა დაემორჩილოს კანონს?

– არის შემთხვევა როდესაც თანამდებობას ან მეგობრობას ემორჩილება კანონი.

– მაშინ თქვენი კანონი არ ყოფილა მტკიცე და არც არის გასაკვირი იროდიც, რომ თავისი არშინით ზომავდა და თავისივე გამოჭრილ თარგს არგებდა ყველას.

– მაინც რას გვეტყვი იროდის საქმიანობაზე?

– იროდიმ რაც თვითონ გითხრათ მასზე დამატება არ ძალმიძს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს ყოველდღიურ კამათს.

– რისთვის კამათობდით?

– ოჯახურ პრობლემებზე, მინდოდა რომ სწავლას არ გაეთამამებინა, რადგან იმის სწავლაში ჩემი ღვაწლიც იყო გარეული, მაგრამ იროდი ბავშვობიდანვე იყო თავმოყვარე, თავმოყვარეობა კი მოგეხსენებათ ეს არის განუკურნებელი სენი, სიყვარული თავისი თავისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც მას სასიკეთოდ ევლინება. მისი წყალობითაა ადამიანები ასე რომ აღმერთებენ თავიანთ თავს და თუ ბედი უღიმით, ნამდვილი ტირანებივით ექცევიან სხვებს. თავმოყვარე მხოლოდ თავისთავს ელოლიავება, თავისთავს დაჰკანკალებს, ყოველივე დანარჩენი კი მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ფუტკარს – ყვავილი, რომელსაც ნექტარი უნდა გამოსწუწნოს.

– იმის თავმოყვარეობაში ან ხალხის სიძულვილში იქნებ სკოლა ან ოჯახია დამნაშავე?

– იმ სკოლაში და იმ ოჯახში აღვიზარდე მეც, მაგრამ სიკეთის მეტი არაფერი დამითესია, მანამ სანამ იროდის ძლევამოსილებამ არ გამათამამა, ცხოვრების გემო არ გავუგე და არ გავთახსირდი.

სამსახური კარგი მქონდა, მართალია მენავედ ვმუშაობდი, მაგრამ არ არის მაინც და მაინც ხელწამოსაკრავი მენავეობა ხელფასიც კარგი მქონდა და თან ორიოდე კაპიკს ტურისტებიდანაც ვშოულობდი, რომლებიც გასეირნებისათვის მჩუქნიდნენ. ფული მართალია თავზე საყრელად არ მქონდა, მაგრამ იმდენი მქონდა რომ იროდისაც დავხმარებოდი სტუდენტობის პერიოდში და ოჯახიც კმაყოფილი მყოლებოდა, მაგრამ შემიჩნდნენ სუსტი ნებისყოფის ქორფა გოგონები, რომლებიც იროდის ამოჰყავდა დედაქალაქიდან და შემდეგ ვღრეობდით. ტკბილმა ცხოვრებამ გათამამება იცის და მეც ნელ—ნელა გადავინაცვლე ტურისტებზე და ბოლოს სადისპანსეროში მოვხვდი კიდეც.

ბევრჯერ მითქვამს იროდისათვის, რომ კეთილსინდისიერ გზას დადგომოდა, აბა ვისთვის უნდა მერჩია, თუ არა ძმისთვის, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრებისა და გამომძიებლად დანიშვნის შემდეგ სულ მთლად გამოიცვალა. არასოდეს არ დამავიწყდება, ერთხელ რომელიღაც წიგნიდან ლექსი ამოვიწერე და იროდის წავუკითხე:

– „სახაზავმა უთხრა კალამს: თუ რამის თქმა გინდა ძმაო,

ნუ დამალავ, პირდაპირ თქვი საამოც და სავალალოც,

არაფერი საჭიროა, ძრომიალი ხაზებს შორის,

გვირისტებით გაოცება კოლეგის და თანამშრომლის,

წიგნიერის სავალ გზაზე არ აგებნეს, თუ გსურს გზები

გაატარე სწორი ხაზი, ყველასათვის გასაგები”...

იროდი მიმხვდა, რისი თქმაც მინდოდა ლექსით, გაეღიმა და მითხრა:

– ფრინველების საკვებით ხომ არ იკვებები

იადონივით, რომ ჭიკიჭიკებო, და იმ დღიდან „წიგნობარა" შემარქვა.

ახლა მეც გამეღიმა იმის მოსწრებულ პასუხზე და ალბად სიმკაცრე რომ შემენარჩუნებია ჯობდა, ჩემმა ღიმილმა იმ საღამოსვე ქალწულთან დამაწვინა და მას შემდეგ აეწყო ასე უბედურად ჩვენი საქმეც.

– იქნებ თქვა, რომ არც ქალწულის გაუპატიურებისათვის გეკუთვნის სასჯელი?

– მაშინ ყველა მამაკაცი დასაჭერი ყოფილა, ვისაც ცოლი შეურთავს, მე კი ნამდვილად ვაპირებდი იმის ცოლად შერთვას, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ...

– ცოლად შერთვას რომ უპირებდი, ტყვიის სროლა იმიტომ გადაწყვიტა შენზედ, თუ რომ არ აპირებდით?

– სიმართლე გითხრათ, ძალზედ მეჯავრებოდა, მაგრამ მებრალებოდა კიდეც და თუ ცოლი საბოლოოდ უარს მეტყოდა შერიგებაზე, აუცილებლად შევირთავდი.

– რას გავაკეთებდით, ეს ფილოსოფიური მსჯელობაა, ჩვენ კი იურიდიულად ვუდგებით საკითხთა უმრავსლესობა და თქვენ ბრალი გედებათ – მკვლელობის გაუმჟღავნებლობაში და მის თანამონაწილეობაში. ვენერიული დაავადების გავრცელებაში, მხედველობაში მაქვს არა მარტო თქვენი მეუღლე, არამედ ქალწულიც, რომელიც გააუპატიურეთ და ვენერიული დაავადებაც შეჰყარეთ. და ბოლოს ქალწულის გაუპატიურებაში, რომელიც შემდეგ თქვენი მსხვერპლი გახდა.

როდესაც ბედმა ასე აგაღზევათ იმ სიმაღლემდე, რომელზედაც ოცნებასაც ვერ ბედავდით და ამჟამად გრძნობთ არ იყავით ამ პატივის ღირსი, ახლა კეთილი ინებეთ, მოუხმეთ კეთილგონიერებას და პასუხი აგეთ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

გამომძიებელმა ზვიადაურმა პროკურორს გადახედა, სქელტანიანი საქაღალდე დახურა და უმაღლეს სასამართლოზე გადასაცემად გაამზადა.

* * *

როდესაც ზვიადაურმა მკვლელობისგამოძიება დასრულებულად ჩათვალა და საქმე უმაღლეს სახალხო სასამართლოზე გადასაცემად დახურა, გადაწყვიტა შორენა ძიძიგურსა და მის მეუღლეს არქის ავეტისიანს გასაუბრებოდა, არა როგორც ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილთ, არამედ როგორც ადამიანური მორალის უარმყოფელთ, რომელ ქმედებაზედაც სავალალოდ კანონი სასჯელს არ ითვალისწინებს.

გამომძიებელს არ გასჭირვებია სარქის აშოთის ძე ავეტისიანის მისამართის დადგენა (ბარნოვის ქუჩა 2) და ახლადშეუღლებული ცოლ—ქმარი პროკურატურაში გამოიძახა.

კაბინეტის კარები ფართოდ გაიღო და კაბინეტში მოზვრული შემართებით ისე შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, თითქოს მოჭიდავე ყოფილიყოს და საჭიდაო ლეიბი ეს ეს არის გამარჯვებულს მიეტოვებინოს. მას წვერი ახლად გაპარსული ჰქონდა და სადაც სამართებელს ემუშავნა სახის ის ნაწილიც სუფთად გამოიყურებოდა, ხოლო ცხვირის, თვალებისა და შუბლის არეში თმის ბუსუსები ისე ღრმად იყო ჭუჭყში ჩამჯდარი, რომ ახლად დავარცხნილი თმისაგან, რომელიც ჭუჭყისაგან შეწებებულიყო არაფრით არ განსხვავდებოდა. კისერი აბიბინებული თმით იყო დაფარული, საიდანაც რამოდენიმე ადგილას ძირმაგარა იყო გამოწურული და ჩირქნარევ სისხლს ხალათის საყელო შეეღება.

მოკლე კისერი განიერ ბეჭებზე ისე იჯდა, თითქოს უზარმაზარი თავი სადედეზე მოკლე კვირტივით ყოფილიყოს დამყნილი.

გრძელი და მსხვილი დაკუნთული მკლავები ფართო ხელის მტევნებით ბოლოვდებოდა, რომელიც ჭუჭყით ისე სქლად იყო დაფარული, რომ მშრომელი გლეხი ზედ ხახვს დათესავდა და უდანაკარგოდაც მოიყვანდა მოსავალს.

მთლიანი სიმაღლე ერთი მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი თუ იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე ერთად არც ბეჭების სიგანე ექნებოდა ნაკლები და ცოცხალი არსება უფრო უნიათო მეცნიერების მიერ შექმნილ კვადრატულ რობოტს მეტად ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

ბარნოვის ქ. 2—ში, რევოლუციამდე ქურჯიძეების ოჯახი ცხოვრობდა, სარქისის მამა, აშოთ ავეტისიანი, გაქნილი ვაჭარი იყო, მაგრამ როდესაც სერგო ორჯონიკიძე რუსეთის მეთერთმეტე არმიით თბილისში შემობრძანდა, აშოთ ავეტისიანი „დიდი მხედართმთავრის, ორჯონიკიძის" მარჯვენა ხელი გახდა. ბოროტი ენები იმიასაც კი ლაპარაკობს, თითქოს აშოთ ავეტისიანს საქვეყნო არეულობითა და ორჯონიკიძის ნდობით ესარგებლოს, ქურჯიძეების ოჯახი დაეხვრიტოს და მათ სახლში თვითონ დაედოს ბინა. რა თქმა უნდა, ამას „ბოროტი ენები" ლაპარაკობენ, მაგრამ ბოროტება ყო-

ველთვის როდი სრულდება კეთილად, ფაქტი ყოველთვის თავისას ამბობს, თვალნათლივ იცქირება ისე, როგორც ჩვენ ვიხედებით თუ როგორ ცხოვრობს ავეტისიანების ოჯახი ყოფილ გურჯიძეების ორსართულიან აგურის სახლში.

რევოლუციამ გაიმარჯვა საქართველოში, ვინც მარიფათი გამოიჩინა, ცხოვრებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა იმისათვის. მრავალი ფაბრიკა—ქარხანა აშენდა და მათ შორის გიგანტური „ჟიგულევსკი", – „უკეთესი სარფიანი ადგილი არც შეიძლება იყოს" – გაიფიქრა აშოთ ავეტისიანმა და თავის შვილს, სარქის ავეტისიანს მსუბუქი ავტომანქანების შეკეთება შეასწავლა.

ახლა გამომძიებლის წინაშე დგას სარქის ავეტისიანი და როგორც მსაჯს გამარჯვებული ფალავიანი ისე მიჩერებია ზვიადაურს.

– თქვენ დამიბარეთ უფროსო? – შეეკითხა სარქისი გამომძიებელს, რომლის გამომეტყველებაში ნათლად იგრძნობოდა რაღაცით გათამამებული კაცის დაცინვა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – თავაზიანად შეეკითხა გამომძიებელი და შეეცადა თვალი თვალში გაეყარა მოსულისათვის, მაგრამ ეს ვერ შესძლო, რადგან სარქსისს მზერა სქელი წარბების ჩრდილში დაემალა.

– ცას, ცავატანემ, როგორ ისე მეკითხები წიგნში რო წერია ტო, დამიბარე და ვერ მიცნობ?

– ვერა, ვერ გიცნობ!

– მე სარქისა ვარ, ვიფიქრე, ალბათ მანქანა ვერა ჰყავს ჯანზე—მეთქი და გეახელით ტო!

– ჰა, თქვენ სარქის ავეტისიანი ბრძანდებით?

– დიახ, დიახ უფროს—ჯან, თუ მანქანა გყავთ შესალამაზებელი ჩემს მანქანას ახლავე გადავაბრუნებ გარაჟში მივიტან და შენსას წავიღებ!

– არა სარქის, ნუ შეწუხდებით, საკუთარი ავტომანქანა არა მაქვს, მე გამოძიებას ვაწარმოებ და უბრალოდ თქვენი შორენაზედ დაქორწინების ამბავი მინდა მოვისმინო.

– აი უფროს—ჯან, თურმე რა გდომებია. მე შორენა მიყვარს და ეს რა საკითხავია, როგორ და რისთვის მოვიყვანე? იმისი არ იყოს წიგნში რომ წერია „მურმანოვო!"

– თქვენ თუ იცოდით, რომ თქვენი შეუღლების მიზეზით პატიმრობაში მოხვდა შმაგი მგლობლიშვილი?

– ეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხება უფროს—ჯან. ჩემი მოვალეობა ავტომანქანების შეკეთებაა ცავატანემ.

– მართალია, მაგრამ ხომ შეგეძლოთ მართლმსაჯულებისათვის შეგეტყობინებიათ: – „ადამიანს, რომელსაც დაღუპულად მიიჩნევთ, ჯანმრთელად იმყოფება და ჩემი მეუღლეა—თქო"?

– უფროს—ჯან, წიგნში რომ წერია საბჭოთა გამოძიება ჰუმანურიაო, დავიფიცებ, რომ იმ წიგნის დამწერს არასოდეს ჰქონია საქმე გამოძიებასთან, მე მაინც თქვენ მიკვირს, რა მსჯიდა მილიციაში მოვსულიყავი და გამეცხადებინა, „თქვენ რომ ადამიანს მკვდრად მიიჩნევთ ჩემი მეუღლეა—თქო?" ამით ხომ დავაჩქარებდი საკუთარი თავისადმი უსიამოვნებას?

– შენ უსიამოვნებას ერიდებოდი, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა ქალის მშობლების მხრიდან და არა მართლმსაჯულებისაგან, რადგან კანონი არ მსჯელობს სრულწლოვან ქალთან შეუღლებაზედ და არ გებრალებოდა ადამიანი, რომელიც ციხეში იჯდა და ამაოდ ელოდებოდა სიმართლეს?

– ხომ გითხარი უფროს—ჯან, ეგ საქმე ჩემი საქმე არ არის მეთქი. იმის დაჭერაში მე და შორენა უცოდველები ვართ და წიგნშიდაც ასე წერია: „უცოდველ ადამიანს ბედი არა სჯის ჩადენილი ცოდვებისთვისო". გამომძიებელს გაეღიმა და იმის ნაცვლად, რომ შეკითხვოდა – „უცოდველი როგორღა იქნება ადამიანი თუ ცოდვები ჩაიდინაო" – შეეკითხა:

– როგორ სულ წიგნის სიბრძნეებს იყენებთ ჩემთან საუბარში, ალბათ ბევრი წიგნი გაქვთ წაკითხული!

– არა უფროსჯან, შორენა კითხულობს ხოლმე და მე ვუსმენ!

– მაინც როგორ მოხდა თქვენი შეუღლება, გიყვარდათ ერთი—მეორე?

– მე შორენა მიყვარდა, შორენას კი როგორც ახლა ვატყობ ჩემი სახლი და მანქან უყვარდა.

– ბედნიერი ხარ შორენასთან მეუღლებით?

– კი! მე ის მიყვარს, მაგრამ წიგნში რომ წერია „ქალი ოჯახის კეთილი ანგელოზიაო", დავიფიცებ, რომ იმ წიგნის დამწერი უცოლო იქნებოდა.

ზვიადაურს გაეღიმა, ადამიანს, როდესაც უნდა ყველაზე უფრო ჭკვიანი ჩანდეს, ყველა ბრიტყვზე მეტ სიბრიყვესა და სისულელეს ავლენს, ამიტომ გამომძიებელმა საჭიროდ აღარ ჩათვალა სარქისა ავეტისიანთან საუბარი, ზეზე წამოდგა, თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა:

– თავისუფალი ხართ, მხოლოდ ნება მიბოძეთ თქვენს მეუღლეს გავესაუბრო.

– მხოლოდ ჩემი თანდასწრებით, ცავატანემ! – ისე გამომწვევად წარმოსთქვა სარქისამ, რომ გამომძიებელს ისევ გაეღიმია.

– კარგი, თქვენი თანდასწრებით იყოს, აქ ხომ არ გახლავთ? – შეეკითხა ზვიადაური და ღიმილი, რომ დაეფარა თავი საქაღალდეში ჩარგო.

– დიახ, აქ გახლავთ, „ვოლგაში" ზის და მუსიკებს უსმენს! – დამცინავი გორილასებური ღიმილით წარმოთქვა სარქისამ.

– გთხოვთ შემოიყვანოთ, – თქვა გამომძიებელმა და სარქისაც დაუყოვნებლივ გავიდა კაბინეტიდან.

ორიოდე წუთის შემდეგ კაბინეტის კარები ისევ ფართოდ გაიღო ყოველგვარი შეკითხვის გარეშე და კაბინეტში სარქისა შემოვიდა, რომელსაც ულამაზესი ქალისათვის მაჯაში ხელი ჩაევლო და წინ მოუძღოდა. ამ სურათის მნახველს თვალწინ წარმოუდგებოდა ცირკის მსახიობი, რომელიც მაყურებელს მადლობის გადასახდელად სცენას ნარნარი ტანის რხევით უბრუნდება და წინ გორილა მოუძღვის მაყურებელში მეტი ოვაციის გამოსაწვევად.

ნუთუ ყოველივე ეს სინამდვილეა? ნუთუ ფულს შეუძლია მოახდინოს სულის დამონება და ხორცის გაძარცვა? ნუთუ ეს სილამაზე არის ამ არასრულყოფილების ღირსი? თუმცა ეს სილმაზე სრულყოფილი რომ ყოფილიყო, მაშინ არასრულყოფილება ისეთი კარგი იქნებოდა, ეს სილამაზე მართლაც არ იქნებოდა ამ არასრულყოფილების ღირსი. მაგრამ აი თურმე ვინ ყოფილა ადამიანი, მას „გაუმაძღრობა" უნდა ერქვას და არა ადამიანი, რომელსაც სიკეკლუცითა და მგრძნობიარობით მოაქვს თავი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დარცხვენილი დუმს ანგარების ჭაობში ჩაყვინთული.

– შეიძლება დავჯდე? – ფიქრებში გართულ გამომძიებელს შემოესმა ქალის ხავერდოვანი ხმა.

– ჰო, რასაკვირველია. დაბრძანდით! დაბნეულად წარმოთქვა გამომძიებელმა, ზეზე წამოდგა და სავარძელზე მიუთითა ქალს.

ქალმა იგრძნო თავისი სიძლიერე და პირველი გამარჯვებით ნასიამოვნებმა ღიმილით წარმოთქვა:

– შეიძლება არ ვიყო ღირსი თქვენი ყურადღებისა, მაგრამ თავაზიანობა საკუთარი სულის ასამაღლებელი კვარცხლბეკია, სადაც ზრდილობიან კაცად უნდა ჩაგთვალონ.

– მაპატიეთ ქალბატონო უყურადღებობა, მაგრამ ჩემი ზრდილობის განსასჯელად როლი დაგიბარეთ, მე კვალმაძიებელი ვარ და თავს ვალდებულად ვთვლი დამნაშავეს თავისი ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად მოვემსახურო.

– ოჰო, დამნაშავედ და ბოროტმომქმედადაც შემრაცხეთ? რით დავიმსახურე ასეთი დიდი ღირსება მართლმსაჯულების წინაშე?

– თუ შეიძლება თქვენთან პირისპირ ვილაპარაკო ყოველგვარი მოწმეების გარეშე? – თქვა გამომძიებელმა და ქალის გამომწვევ მზერას თვალი გაუსწორა.

– არა, იყოს. ეს ჩემი „გოშიაა" – თქვა ღიმილით ქალმა და გორილას გადახედა, „გოშიამაც" ისეთნაირად გაიღიმა, გამომძიებელი კინაღამ ზეზე წამოხტა, რომ ქალი არ დაეკბინა.

– კარგი იყოს, თუ თავისუფლად იგრძნობთ თავს მეუღლის წინაშე, როდესაც სხვის სიყვარულზე გელაპარაკებიან.

– უფრო ღირსეულადაც, შემიძლია ვიამაყო, რომ ვიღაცას თავდავიწყებით ვუყვარვარ და თუ უფრო მეტად გააზვიადებთ ჩვენს სიყვარულს კიდევ მეტად კმაყოფილი დაგრჩებით.

– თქვენ გიყვარდათ შმაგი მგალობლიშვილი?

– ახლაგაზრდა კაცი ხართ და ნუ გამაცინებთ, რომელ სიყვარულზეა საუბარი, როგორ, არსებობდა ოდესმე სიყვარული? სიყვარული დროებითი ბავშვური გატაცებაა და მეტი არაფერი. თუ ოდესმე არსებობდა სიყვარული მას მარადიული სიცოცხლე არ წერებია, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიყვარული არასოდეს არ არსებობდა.

– ასე რისთვის მსჯელობთ, შმაგი მგალობლიშვილს თქვენ თავდავიწყებით უყვარდით.

– თუ ვუყვარდი ახლა რატომ ვძულვარ? ესე იგი, თუ სიყვარულს დავიწყება და შეძულება შეუძლია, არც არასოდეს ვყვარებივარ და აქედან გამომდინარე სიყვარულიც არ არსებობს.

– თქვენ როგორ გგონიათ, დუსჯელად ჩაივლის ეს ჩვენი ბავშური გატაცების მოტყუება? თუ ფიქრობთ, რომ შმაგი მე მოსაკლავად არ გამიმეტებს თუკი ამის საშუალება მიეცემა? თუ ვუყვარდი და არსებობს სიყვარული, როგორც შეუძლია თავისი სიყვარული მოკლას ადამიანმა?

– თქვენ სიყვარულში არასრულყოფილებას ხედავთ და დადებით თვისებებს რატომღაც ვერ ამჩნევთ!

– პოტურ სიყვარულზე მელაპარაკებით? ეს ხალხის გულში სიყვარულის გამაღვიძებელი

გამოძახილია, რომლის ცრუ გამოძახილს ადამიანთა მოდგმა თვალნათლივ ხედავს და დღემდე „პოეტურ სიყვარულს“ კაცობრიობაში ფეხი ვერ მოუკიდებია.

– კი მაგრამ დღევანდელი ქმრის სიყვარულზე რას მეტყვი, ნუთუ არც ის ადამიანი გიყვარს, რომელთანაც მთელი სიცოცხლის გატარება გადაგიწყვეტია?

– ხომ გითხარით სიყვარული არ არსებობს— მეთქი. მე ქმართან თუ ვარ და მასთან ოჯახის შექმნა გადამიწყვეტია. ეს ქალის მოვალეობაა და არა სიყვარული, ჭკუათმყოფელი კი ამაზედაც უარს იტყოდა. ოჯახის შექმნას ვეძახით ჩვენ როდესაც ჩვილი ჩანასახიდანვე დედის სისხლით იკვებება და სიკვდილამდე გვჭამს? მე მაინც ვერ მივხვედრივარ რას ვხედავ კარგს ამ მოვლენაში?

– თქვენებური შეხედულება ცხოვრებაზე თქვენს დედას რომ ჰქონებოდა კარგი იქნებოდა?

– რომ მე არ გავჩენილიყავი?

– დიახ?

– რატომ, სწორი მსჯელობისათვის?

– არა, სიყვარულისა და ადამიანთა მოდგმის უარყოფისათვის.

– გიმეორებთ, სიყვარული არც ყოფილა და არც იქნება. თუ ვინმეს სჯერა სიყვარულის არსებობისა ეს იმიტომ, რომ ბევრს ქადაგებენ იმისი ძლევამოსილების შესახებ. ჩემში კი სიყვარული მარადისობას მაშინ ჰპოვებს, როდესაც გრანდიოზულსა და განუმეორებელს შექმნის რაიმეს, დღეს კი სიყვარული სიძულვილსა იქმს, ეს უკანასკნელი კი – სიკვდილს.

– კარგი, თქვენებურად იყოს, მაგრამ თქვენ ხომ ბავშვური გატაცებით გიყვარდათ შმაგი მგალობლიშვილი, ღალატისათვის სინდისის ქეჯნას არ განიცდით?

– სინდისი სიტყვის მასალაა, სინამდვილეში კი არავითარი კავშირი არ გააჩნია მასთან ადამიანს, მაგრამ როდესაც წონასწორობას ვკარგავთ, ვცდილობთ დავეყრდნოთ მას და ვიყოთ სინდის—პატიოსნების მქონენი. მაშინ კი ყოველთვის ცუდად ვგრძნობთ თავს, რატომ? იმიტომ რომ ჩვენ არ შეგვიძლია სინდისი ბოლომდე შევინარჩუნოთ და ცხოვრების ბოლომდის პატიოსნად ვატაროთ ის.

– ესე იგი, თქვენი აზრით, არც სინდისი არ არსებობს და არც მის ქეჯნას განიცდით შმაგის ღალატისათვის!

– შმაგისათვის მე რომ არ მეღალატა, ის მიღალატებდა. ამას სიყვარულის არარსებობაში შემოპარული მატერიალური სიდუხჭირე განაპირობებდა. მართალია, შმაგიმ უმაღლესი განათლება მიიღო, მაგრამ რას გვაძლევს იმისი განათლება? ნაქირავებ ბინას, შიმშილსა და სიტიტვლეს? ღმერთო ჩემო, ადამიანს მოწყინდა სულ გაჭირვებაში ყოფნა და თუ უკეთესობისაკენ გაგვიწიოს გულმა, ამის ღალატს ნუ დავარქმევთ.

ჩემს მეუღლესთან როდესაც რეგისტრაციაში გავეტარე ხელი ჩემი მეუღლის ნაცვლად მისმა მეჯვარემ მოაწერა, რადგან სკოლაში ერთი დღეც არ უვლია და საკუთარი სახელისა და გვარის დაწერაც არ შეუძლია, მაგრა იმისაგან ნაბოძები ეს ბრილიანტის ბეჭედი შმაგის საგვარეულოს იყიდის. უკვდავი არა ვართ, რომ ბედნიერი სიცოცხლეცა და სიდუხჭირეც გამოვცადოთ ცხოვრებაში, მე უპირატესობას მატერიალურ ფუფუნებას ვანიჭებ და სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანად მიმაჩნია.

„იცოცხლო, რათა იფიქრო” ამბობდა სპინოზა, რა თქმა უნდა მას მხედველობაში არ ჰქონია ფიქრი ლუკმა-პურის შოვნისათვის, მისი აზროვნება ზეციურ ფიქრს ითვალისწინებდა, მაგრამ ასეთი ფიქრისათვის შმაგის არასოდეს არ ექნება საშუალება, რადგან აზროვნების ფიქრს მატერიალური შესაძლებლობა უყრის საფუძველს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რეზო ადამია



მზე-ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი“

გაგრძე;ება (დასაწყისი ანთოლოგიის მე-11 ნომერში)

ახლა შევეხოთ აზრ-ვერსიათა თავშეუკავებელ ხეტიალს.

რაში სჭირდებოდა შოთა რუსთველის დაუოკებელ იშვიათ გენიას აღმოსავლეთით გახედვა ან სამხრეთ-დასავლეთით, თუგინდ თავისივე სამშობლოს ხალხური თქმულებების და არაკების აკრეფვა, რათა მასში თავადვე იჯდა, როგორც მოარული იგავ-არაკები თუ ფანტასტიური თქმულებები, რაც მთავარზე უმთავრესია შორეული სივრცეების უდრეკი შემოქმედებითი ფანტაზიის ენერგია, როდესაც მგოსნის სხეულში და სულ-გონებაში წარსულის ათასწლეულთა ფანტასტიური აზრ-ფორმათა შინდისფერი ხვეულები რომ ელაგა. მათგან შევწარსულდები: შუმერული, პელაზგური, ეტრუსკული, ქალდეური საოცრებანი და ხეთების ცივილიზაციის უშორესი სხივებიც ირეკლებოდა; დიდი შემოქმედის ნერვიული და გონებრივი სიახლის შექმნის ქსელით დაბანდული იყო, კერძოდ უძველესზე არქაული პელაზგური ჩაუქრობელი უკვდავებით, როდესაც მგოსან-მოციქული ფლობდა კოლხურ-იბერიულ სულიერებას და თავისი ქართული დროის ოქროს ხანის სიბრძნე ამდიდრებდა; იქვე რწმენით აძლიერებდა იესო ქრისტეს ჰუმანური მოძღვრება და უღრმესი თანამედროვეობის საერთაშორისო განათლება, რომელსაც უკიდეგანო კოსმოსი ავსებდა ბრძენი პოეტი ალმასბრილიანტ სხივთ ნაკადად. მგოსანი დღენიადაგ იქით გასცემდა ზეციურ სიმდიდრეს. იყალთოს და გელათის აკადემიებში გამობრძედილმა გენიამ შექმნა მსოფლიოში უძლიერესი და უნიჭიერესი სიახლე პოეზიის კოსმოსი, ხალხთა სიბრძნის უნიკალური ინსტიტუტი და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნება.

ღიმილის მომგვრელად ტყვედ მყოფი დიდი მეცნიერები, ვისკენაც გონების ხელს იშვერენ, რითაც არასწორ კვლევებს გვაწვდიან, ისინი ხომ რამდენიმე ათასი წლის წინ უძველესი ქართული ტომების მიერ სიბრძნე-გონებით ნაძერწი ერებია. ამ შემთხვევაში ისევ დავასახელებ უძველესი ისტორიისა და ისტორიამდელ ხალხთა ნუსხას: ქალდეველები, შუმერები, პელაზგები, ეტრუსკები, ხეთები, უძველესი კოლხები და გენიალური ჰეგელის ზეადამიანური სიტყვებით დავამთავრებ: კოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი... დანარჩენი ხედვა სიცარიელისკენაა.

რამდენიმე ასეული წლის მერმე გენიალური გოეთე დაწერს: „რწმენა საწყისი კი არა, ყოველი სიბრძნის დასასრულია“. ფერწერის ვარსკვლავსაც ვან გოგს ეყო გამბედაობა, რომ დაეწერა: „რაც უფრო რელიგიური ხარ, უფრო მალავ შენს სათქმელს“. თუმცა მხატვარი ყოფილი მღვდელი გახლდათ. როგორც მოგახსენეთ, მიწიერ-ზეციური გენია კოსმიური უშრეტი ენერგიის ფენომენია, რომელიც ოდითგანვესდროინდელ რელიგიებზე მაღლა მდგომია...

იშვიათ მოვლენა მგოსანს და დიდ მოაზროვნეს შესწევდა ძალა და უნარი თემათა თუ ნაწარმოების ფაბულათა ცოცხალი ორგანიზმის უსასრულობის ნაკად-მოსვლისა, რომელსაც მზით ნაფერი წარმოსახვა აღმატებული ფანტაზია და მუზები დღედაღამ ტალღურ-სინქრონულად თავს დასტრიალებდა, რითაც სიყვარულის, სიკეთის, გმირობის, თავდადებულობის, მეგობრობის, მიმტევებლობის ზეადამიანურ ენით აღუწერავ მრავალ მიდრეკილებას უკიდურეს სიღრმემდე წვდებოდა და ზნეობრიობის სიახლე მაცხოვრისეულ აზრ-შეგონებით ნათელ თვისებებს ვარსკვლავეთურად დიდ პოეზიაში ავრცობდა...

უსათუოდ უძველესი რელიგიები და რწმენები, როგორც ყოველთვის, შეაბერდება სამყაროს მარადიულ ცვლილება მთლიანობის ცივილიზაციურ გარდამავლობას, ხოლო ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ ათი მცნებასავით პლანეტიდან ვარსკვლავებზე ბრილიანტებასხმულ ოქროს ბირთვად იგორავებს, რომელიც ანტიკური ზეგენიის ფიდიასის ქანდაკებების მხატვრული უფაქიზეს-უმკვრივესი ნატიფი ფორმებივით გაუცვეთავია. დიახაც, ვიტყვი სიმართლეს, ქალდეველების, შუმერებისა და პელაზგების მიერ აღზრდილ-ნაკვები ერებისგან რა უნდა მიეღო განსაკუთრებული მათივე ძირუბერებელ აგორებულ ნაშიერს?! მეგობრებო, ჩვენს ისტორიას შავი ღრუბლებით ნუ დავფარავთ, თორემ ყველანი ჩვენ მასწავლებლებად და მოქიშპეებად გაგვიხდებიან.

საკვირველია, რომ უძლეველი დრო უფუნქციოდ გაურბის მათ. აქედან გამომდინარე, კეთილშობილნო და ზედმეტად თამამნო, ნუ ვაღიზიანებთ უმიზეზოდ ურყევს და თვითმყოფად სამართლიან კოსმოსს, ზნეობის, სიყვარულისა და სიკეთე-სიმართლის უფალს. მათი უშუალო მონაწილეობითი ქმნილება ხომ „ვეფხისტყაოსანია“ ქართულ-მესხურ მარად უკვდავსა და უნოყიერეს ნიადაგზე?!

შოთა რუსთველისეული შემოქმედებითი

ხედვა სრული პლანეტისეულია, მგოსნის უზომო ფანტაზია გადასწვდა დედამიწას და მისი მდიდარი პოემის გმირები, სხვადასხვა ეროვნებისანი რომ არიან, არ დაგვაბნიოს ახლომხედველობითობამ. ქართული სულით და გენიით პრაქსიტელივით ძერწავდა მათ ხასიათებს, მოვლენებს და ამითაა „ვეფხისტყაოსანი“ კაცობრიული, მგოსნის შემოქმედებითი გენია ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანივით დაქროდა უკიდეგანობაში...

როდესაც საქვეყნოდ პირველი მგოსანი დიდი ფილოსოფოსია, მგონი ნებისმიერ მხოლოდ ფილოსოფოსზე არანაკლებ წარმატებულია უფლის და მიუკერძოება სამყაროს აზროვნების წინაშე...

ჭეშმარიტად განღმერთებულ რუსთველს ავსებდა და აწიოკებდა უძველესი მიწად ქცეულ საფლავთა ბნელეთური იდუმალება, მათი მიუწვდომელი კვნესა, მხოლოდ სულის უკუნეთთან გაურკვეველი ბრძოლა, ფერწასული სევდა, არამზისქვეშეთური დარდი და სიკვდილთან დამარცხების წუხილი; ყოველივე მიწა-პატრონმა რომ გადაიბარ-გაითავისა უვადოდ...

მგოსან ფილოსოფოსს და კაცთა შორის ზნეობათა უფალ-კოსმოსივით დამკანონებელს საკუთარი გამოკვეთილი ბედ-ვარსკვლავი თან სდევდა, განსაკუთრებით აზრთ გამოქანდაკების ჟამს და პოეტური უზადო მხატვრული გემოვნების გამოვლენისას, შოთა რუსთველის ლექს-პოემის განსაკუთრებული პლანეტისმიერი სივრცეში საამო შემავსებელი გუგუნის ხმა მშვენიერი ხომ დამოუკიდებელი და განსხვავებულია მსოფლიოს ნებისმიერი დროის პოეზიისგან. ამიტომ, მომავლის მართალო და იდეურად ამაღლებულო მეცნიერებო, მხატვრებო, კომპოზიტორებო, ვარსკვლავეთური ფორმით და სივრცითი სახის აზროვნებითი გზით შეიძლება ყოვლისშემძლესთან რეალური მიახლოება, რომელიც საბოლოოდ ისევ ირეალურ სახეფორმას მიიღებს... (რაც კოსმოსის ხასიათთვისებაა), რომელსაც ვერ განვეშორებით.

ყოველივე, რასაც ვწერ ამ თემატურად ურთულეს ესსეში, მხოლოდ უშუალო წარმოსახვებმა და ჩემს რაღაც იქითობამ დამაწერინა. მიწიერება განუყრელია გენიის ძირითად შემოქმედებით ფუძესთან, მაგრამ შორეულიდან გადმოტყორცნილ მგზნებარე კოსმიურ სხივებს, წარსულის დროსთან მებრძოლ ფესვებს, და ამდაგვარ ზნეობრივ აზროვნებას თავს უხეშად ნუ ავარიდებთ. თუ არა, მაშინვე უპატიებელი შეცდომები გამჟღავნდება უზარმაზარი შედეგრის წინაშე.

ჩვენი ეპოქის დიდი ქართველი გრაფიკოსი მხატვარი, ბატონი სერგო ქობულაძე ამ ფორმის სივრცეში შეძლებისდაგვარად პოულობდა „ვეფხისტყაოსნის“ იდუმალების სახეს და ხელოვნების მოყვარულთა სულს უწყვეტად იზიდავდა. აქედან გამომდინარე შესანიშნავმა მხატვარმა კოლეგათაგან ყველაზე უკეთ შეძლო მიახლოება უდიდეს გენიასთან და არა პოემის მიუვალი ღვთიური ნიუანსური საცავების სრულყოფაში შეღწევა, რადგან პოემა მზესთან მიახლოება ამ შემთხვევაში ხელოვნების ნებისმიერი ტექნიკით თუ მიდგომა-გამბედაობით შეუძლებელიაო, უთქვამთ ზეციურ უმართლეს ხილვებს და გენიათ ზეციურ პატრონებს...

რა თქმა უნდა, გახლავთ მიწიერი ვარაუდები და არსებობენ ზესამყაროსეული სრულყოფილი სინამდვილე. პირადად მე თვითნებურად ამ ვარსკვლავეთურ ნაპირებთან აღმოვჩნდი. პოემა-მუსიკა, რიტმული კომპოზიცია გრანიტის ქანდაკება – მსგავსი შუმერულისა, ფილოსოფიური ფართოფორმიანი მოძღვრება და ზნეობრიობის ჭეშმარიტი საუნჯე, იმდენად შემკულია ქართული უღრმესი სულისმიერი მარგალიტებით, რომ საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელს ახლოდ მისულს ვინაობა ავტორისა თავისად მიაჩნია. პოემა-ძეგლი სულიერ-გონებრივად ამაღლებულია ნებისმიერი ერისა და ეპოქის წარმომადგენლისათვის და სამართლიანად ყოველი მათგანი თავის სასიცოცხლო თუ კულტურის სულიერ მარცვლებს პოულობს, აქაა უფრო, მთლიანობის კაცობრიულობა და ამ შემთხვევაში პირნათლად ვმართლდები, რომ შოთა რუსთველი პლანეტა დედამიწის და სამყაროსეული მთლიანობის გონებრივ-განუყოფელი მზე-აზროვნებაა. რადგანაც მეზობელი, განსჯით თავისუფალი ერებისგან სტიქიური მომდინარეობით სადავო ხდება მოვლენა ხელოვანის წარმოშობითი ვინაობა, ასე გამოდის დიდ შემოქმედს ვარსკვლავეთური ზეუცნაურობიდან გამომდინარე ეროვნულობა ხელს უშლის საერთაშორისო მთლიან-კუთვნილობისას. რადგანაც ამდაგვარ შემთხვევაში წარმოშობის მდგომარეობა უხეირო გონებრივი მოვლენებისგან გაუმართავია; ესეც ერთ-ერთი გენიის ღვიძლი შთამომავალთათვის წამება-წვალების ობიექტია, უზენაესი შემოქმედი ხომ მრავალმხრივი ტანჯვა-შეწირულობაა. ყველა მათგანი რომ საერთოკაცობრიულია, უთუოდ ღვთიური განგებაა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში დიდი პოეტი, კოსმოსშემოქმედებიდან გამომდინარე წარმოსახვითი, მართალ-უშუალობით, ღმერთსაც აღიზიანებს. როგორც მოგახსენეთ, გენიათ ბუნებრივი გაჩენის ეროვნულობა რომ არ ბოჭავდეთ, უთუოდ მათი გონმიუვალი კაცობრიულობა მეტად ღია და თავისუფალ-ღვთითკოსმიური იქნებოდა, რადგან გენია ყოველთაგანის კუთვნილებაა, როგორც უფალი, მზე, დედამიწა და ვარსკვლავები. ფაქტიურად კოსმიური არტერიაა სისხლუხვი... ყოველივე ამდენი აზრთნაკლული წინააღმდეგობისა მთავარ პირად ფუნქციებს პირნათლად და მედგრად მაინც ასრულებენ საკაცობრიო ურთულესი ურთიერთობისას,

უკიდეგანობის შემოქმედებით, სიკეთე-სიყვარულით და ენით გამოუთქმელი დიადური აზროვნების სიახლეთა მოვლინებით. უსათუოდ მხოლოდ უფლის და მათივე უმაღლეს შეგნებაშია, რომ ზეეროვნულობა და მრავალი მიწიერ-ზეციერი თვისება მიქაელ მთავარანგელოზისეულია. ხოლო მათი იშვიათი ქმედებითი დაბალი საფეხურები მხოლოდ ადამიანურს განეკუთვნება, რისგანაც ზოგ მათგანს, თუ უმეტესობას არა! უჭირს ამ ბუნებრივ-მიწიერი თვისებებიდან თავის დაღწევა.

მომავალ ათასწლეულში, ქვეცნობიერად ვგრძნობ სამყაროთა შორეულში, პლანეტათა სხიებივით ჯერ მოუღწეველი ბუნდოვანი რელიგიათა სიახლეა კოსმოსში. ამდაგვარ წარმოსახვათა აზრებმა მე თუ ამწეწა, წარმოიდგინეთ, რუსთველი-გენია ამ სახის რელიგიათა შორეულზე ფიქრებს რა დონეზე ესაუბრებოდა...

ყოველი გენიალური პიროვნება გაჩენილია მხოლოდ უფლისმიერი სულის მატარებელ თასად,

რადგანაც უფალი ქადაგებს პოემიდან განუზომელი ხელოვნებით.

წარმოვიდგინოთ, მაცხოვრის ერთ-ერთი მოსწავლეთაგანი რომ ყოფილიყო შოთა რუსთველი, უთუოდ მეხუთე შეუდარებელ სახარებას დაწერდა და უკეთილშობილესი ღვთისმშობელივით დაამშვიდებდა ნებისმიერ მორწმუნეთა სულებს. თუმცა, დიდი პოემა არცერთ მათგანს არ ჩამორჩება ქმნილების უმდიდრესი ღვთიური, კოსმიური და ზეადამიანური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ვარსკვლავეთურ-უფლისმიერი შინაგანი ინდივიდუალურად თამამი სამართლიანი ჰარმონიით. ჯერჯერობით რაც კი გვიბოძა ზეუსასრულობამ, უსათუოდ მხოლოდ ღვთიურ-ადამიანურია შემოთავაზებულ-შობილი „ვეფხისტყაოსნით“ და მაგდაგვარი შემართებით ივლის მარადის გონუსაზღვროობის ლექს-საგანძური.

რატომღაც მშურს პოეზიის, რუსთველით...

მგოსნის მშობლიური მესხეთი მაგონებს იმ უნიკალური ნაყოფის მომცემ მარადმწვანე წმიდა ხეს, რომელიც სარეველების გარემოცვაშია მოქცეული, მაგრამ „გამძლეობა“, მაინც ლაღად ხარობს და მზეს ეალერსება.

პრიმიტიულ-არქაული, პირველყოფილი მხატვრულ-მეცნიერული ცივილიზა-ცია ხომ მზესავით უკვდავია და ყოველი მათგან-ნიმუში ნებისმიერ მიწიერ თუ ზეციურ განზომილებაში ინახება. მათი უმცირეს ფართამდე – სივრციდან დაწყებული უიშვიათესი ქართული თვითმყოფადი სულიერ-იდეალური დიდებულება კვებავდა, უპირველესი გენიის მიმღებ სხეულგონებრივ საუფლოს.

ტიტანი ხელოვანნი ძალიან ცოტაა დედამიწაზე. ეჭვს გარეშე ერთ-ერთი მათგანი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია...

მოვლენა პოეტის მოციქულებრივი გენი და მოარული მოგვივით მიწიერი ცხოვრებისგან გვემული სხეული გახლდათ, ზემგრძნობიარობითი და ვარსკვლავეთის გარემოსაგან უნაკლოდ იზიდავდა ყველაფერს და მიუწვდომელ ყოველივეს... მაგრამ უხილავი მგრძნობიარე ცოცხალი მექანიზმები გენიისა მხოლოდ სიბრძნეთაგან უმთავრეს, სიყვარულით შემკულ სიკეთეს თავისას იტოვებდა, დანარჩენ სამყაროს მრავალმხრივთვისებიანს, უფრო ფერმრავლობითს, ზენაარის მეხსიერებას გაატანდა. ამიტომაა მოხეტიალე სივრცობრივი სტიქია ქარი, – ბუნების საკვირველი მბორგავი მოვლენა, მოუსვენარი ფორმა-სახე და უმნიშვნელოვანესი გრძნობათა ამყრელ-სწრაფგადამტანი. აგრეთვე გონების, ნიჭის და შემოქმედებითი მუზათა გამღიზიანებელი, ბუნების უთვალავი მიზეზებიდან გამომდინარე, ალბათ მიცვალებულთა სულების აღმგზნები...

შოთა რუსთველს, არაა გასაკვირი, გონებრივად ვერ მისწვდა სავალალოდ ქართულმა თანამედროვეობამ და საუბედუროდ აიძულეს ღვთიურ--ვარსკვლავეთური ზნეობის უწმინდესი ხელოვან-მეცნიერი, ფილოსოფოსი, წინასწარმეტყველი, კაცთა მზრუნველ-მიმტევებელი და მათგანვე პატივაყრილი შორეულ იერუსალიმში სამუდამოდ გამგზავრებულიყო (თუ გადაასახლეს?), სადაც მგოსანი ლუკა, ბართლომე და მატათა მოციქულებივით დაიკარგა, მაცხოვარივით თავადვე ჯვარს ეცვა ღვთიური ჭეშმარიტების ქრისტესმიერად მუდამ ზურგშეუქცეველი...

სამყაროს სივრცეში წნევათა, მაგნიტურ სხვადასხვა ველთა რითმ-არითმია, ტეხილი ხაზები და მოულოდნელი უცხო მრავალფერადი შუქთ ლაქებიც არსებულა, რომლის გამოსხივების ველი ზოგჯერ უცნაურსა და მხოლოდ გამორჩეულ ადამიანს ეახლება თურმე და პერიოდულად ტანჯავს მას, ან გაურკვევლობაში აგდებს...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთის არა მშობლიურმა სივრცემ, საქართველოს სიშორე მიუწვდომლობამ, უფრო დააღონა, უთუოდ თვითმყოფადი ქართული გენიის ძლიერი ბუნება, აგრეთვე სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესრიგი, რომელიც დღენიადაგ სულიერად აფორიაქებდა. მაგრამ მაცხოვრის დედულეთის ქვეყანა, შედარებით ამშვიდებდა განდეგილს...

შორეულიდან მობრძანება პოემა „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ბევრი პოეტური, პროზაული თუ ფილოსოფიური შედევრი შექმნილი ექნებოდა უბადლო ხელოვანს, მაგრამ დრომ, სივრცემ, ბოროტებამ მიითვისა და უხილავ სამალავებში ჩაალაგა. სივრცისა და სამყაროს უსასრულობის მრავალშინაარსობრივი დრამატრაგედია ხომ უხილავ-ხილული მოვლენაა და

უთუოდ სიღრმისეული გაგებით ზოგჯერ ადამიანური უაზრო კომედიაა ყოველივე. ამდაგვარი უმძიმესი ურთულესი და წარმოუდგენელი ლიტერატურული ქმნილების გარემოში მოექცნენ ჩვენი აღმატებული მხატვრები, კომპოზიტორები, მეცნიერები უცხოელთა მონაწილეობითაც და პოემის ირგვლივ ცისფერ ფერფლად მიმოიფანტნენ, ჩემდა სევდის მომგვრელად თქვენი მეგობარ-მორჩილიც.

არის, ისევ ყოველთა იმედად, უშორესი გარემოსეული შემოქმედებითი საშველი. უახლოესი და უმშვენიერესი გონებისა და ფანტაზიის მფლობელნო, „ვეფხისტყაოსნის“ მოყვარულ-მკითხველ შემსწავლელებო, თქვენივე ნებისმიერთ შეგწევთ უფლება-უნარი და შორს ხედვები, შინაგან უკიდეგანო წარმოსახვაშივე, უხილავ აბსტრაქტულ კადრებად თავადვე დაასურათოთ პოემა და იმავ დროს უსათუოდ საკმაოდ შეღწეულნი, უცილოდ მეტსაც მიიღებთ დიდი ქმნილებისაგან: ალბათ მოიძიება სხვა უფრო მეცნიერულ-მხატვრულშინაარსიანი აზრთმიდგომებიც და მომავალში თქვენზეა დამოკიდებული...

მებრალება ჩვენი პლანეტა კეთილ-მორჩილი, უთვალავი ცოცხალ არსებად გამომკვებავი და უსულო საგანთა სულის მბოძებელი. განუსაზღვრელად გამოყენებული, ზოგჯერ გამოფიტვამდე მისული, მაგრამ ზემოთ როგორც ვიმსჯელეთ, აღდგენითობა ხომ სამყაროში ყველას მკურნალია. სიკვდილის მერმეც მის ზურგზე თუ უბეში რომ ხარობენ და განაგრძობენ აღმდგენობით ჰაეროვან ცოცხალ მოძრავ ხაზოვან ფუნქციებს უკვდავ სულებთან ხელიხელჩაჭიდებულნი; მერმე დედა პლანეტის სხეულში ყოველნი საიმედოდ ჩასახლდებიან, იბადებიან, იზრდებიან, ხარობენ, წვალობენ, იბრძვიან, ბერდებიან, კვდებიან და, როგორც გიამბეთ, დაუსრულებლა კვლავ იბადებიან.

სიკვდილი ხომ პლანეტის უსაზღვროდ დაძაბული და სამყაროს ყველგან მარბენალი გასაიდუმლოებულ-დემონური თანაშემწეა. განვლო მილიონობით წლებმა და კვლავ ბურუსოვანია მისი მუქ-შავი საქმიანობა და ზნეობრივად განუხილავ მიუწვდომელია, უსასრულობაში კეთილია ის, ბოროტი თუ ზოგჯერ ერთეულთა მხსნელი და ქვეყნიური აუცილებელი შუამავალი? ამ უმძიმეს გაურკვევლობაში რუსთველმა მოკლედ და გადაჭრით ბრძანა: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. დამოუკიდებელ-ფილოსოფიური აფორიზმ-გამონათქვამი სრული გაგებით ათი მცნების რომელიმე გამოკვეთილი კონკრეტული მუხლის შეგონების დონეა!

უსახო და უსულო მოკვდინებით დაუღლელ სიკვდილს, ამ ჰარმონიულ მიუწვდომელ მრავალ მნათობთა ულამაზეს ქვეყნიერებაში თავისი თავი ეცოდება უთუოდ...

დედამიწას უახლოესი საოცრება მზე და კოსმოსი რომ არ კვებავდეს, მათგან დიდი ხნის წინ სრულიად გამოიფიტებოდა. აქედან გამომდინარე პლანეტა ჩვენი უზარმაზარი მზე-ძუძუა, უხილავი არსებებიდან დაწყებული, დამთავრებული გიგანტურ ცხოველებამდე, აგრეთვე ოდინდელ მარადიულ მარტოსულთა განუსაზღვრელობით მოძრაობით გარემოებაშია მოქცეული. დიახ! ამდაგვარი ქვეყნიური საოცრებიდან იშვა შოთა რუსთველი და იღვაწიტანჯა სამყაროს ბუნების მარად უცვლელი კანონებით და ბოლოს თანამემამულეებმა სამშობლოს მაინც მოაშორეს.

საკუთარმა ერმა ვერ შეუქმნა და არგუნა პლანეტაზე უპირველესთაგანი მგოსნის ერთი მუჭა მიწა საფლავი, ვერც უცხოეთმა უწყალობა: რა თქმა უნდა, სადღაც გახლავთ განღმერთებულ-მიბარებული, მაგრამ მე როგორც მოგახსენეთ, უფრო ფიქრ-ოცნებით თუ სევდიანი სიამაყით მეგულვება, რომ შორეულ კოსმოსშია, გენიის ბედით შეწირული, ვარსკვლავივით დაბრძანებული და, რა თქმა უნდა ტალღოვან მარად მოუსვენარ სივრცეში მცირე პლანეტა მნათობად უსასრულო რითმად ირხევა...

საშინელი და აღმაშფოთებელია ჩვენი ადამიანური გაჩენის ბუნება, მისივე ურთულესი ყოველდღიურობით, შენს გვერდით მდგომნი და საკუთარი სხეულიც როს გაწვალებს მუდამჟამს ფიზიკური ტკივილებით თუ მრავალმხრივი ცხოველურ-მიწიერი მოთხოვნილებებით. ამავ დროს შეუსვენებლივ გაწრიალებს სული მოუსვენარი და გონება თანმიმდევრულად ამყოლ-მიმნდობი, რითაც აურაცხელი აზრთ და ფიქრთ კორიანტელია, ამ შემთხვევაში რატომღაც უჭირთ კოსმოსს და უფალს სანატრელ ყოველთა დარეგულირება...

ნამდვილად მოკრძალებული მთხრობელი, სრულიად მართალი და ჭეშმარიტი ესეისა, გახლავართ ჩვეულებრივი ადამიანი: ერთი სიტყვითაც არ ვეჯიბრები დიდსა და გამოჩენილ პრეტენზიამომარჯვებულ მეცნიერებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, არც ვეკამათები. ყოველ მათგანს საკუთარი დამოუკიდებელი შეხედულებები, შერჩეული დასკვნები და ანალიზებს ფლობენ. პირადად როგორც მხატვარს და მწერალს კი შრომით ნაძიები, მოკრძალებული აზროვნება და შეხედულებები გამაჩნია როგორც ყოველ ჩვენგანს სხვადასხვა მხრიდან გვებოძა გარკვეული განათლება, თემა მასალათა და სიტუაციათა შეგრძნება და მთლიანობის ანალიტიკურ-სამართლიანი გაგების ინტუიციური კანონი.

დაახლოებით აი, როგორ ჩავწვდი პოემის თითქოსდა ცხოვრებისეული სინამდვილისა და სიმბოლურ მისტიკურ-კოსმიურ საიდუმლოებას. საერთო კაცობრიული, ზოგადი თუ უმთავრესი ადამის მოდგმისეული ცხოვრების ხასიათ-განწყობილებით ყოველმხრივი ნიუანსური ფორმა უნაკლოდ შეკრული, მთავარი და

მარადიულით, გმირ პერსონაჟთა იმდაგვარი ფსიქოლოგიურ-მხატვრულ პოეტური უნატიფესი ხასიათ-არსია გამოძერწილი, რომელთაც მომავლის საოცრება ცივილიზაციებიც ვერ შეცვლის, რადგან ზეციურ-მიწიერი უმთავრესი მარადიული განწყობილება გამაოგნებელ სანუკველ ფრესკებად გასხივებულ-მოხატულია, შეუდარებელი ბრძნული პოეზიის ნათელიხილვებით. ყინწვისის ანგელოზივით ყველგან მწვდომი მუსიკალურად ზეციდან მონარნარმოცურავე ჰარმონიული უხილავ უწვრილეს ნერვამდე აღმგზნებ-მგრძნობიარე ბგერათა რითმებით და შემოქმედებითი სიახლისგან გამაოგნებელი გაუმჟღავნებლის ტალღისებური ქვეენარული გადადინებითი სვლაა პწკარედიდან კუპლეტებში; საოცრება სემანტიკური იდუმალ ზეციური, ხაზ-თარგებით; ჩვენს წინაშე შორი-შორს ჯადოსმიერად რომ ილანდება, რომელიც ანდამატურად სულთ დამატყვევებელია ნებისმიერ კეთილწამკითხავი და უნაკლოდ შემგრძნობი პიროვნებიდან, გენიით დამთავრებული.

ზეცაში გახიზნული ვარსკვლავეთივით მიუწვდომლობაა პოემის სიბრძნით ნაყოფასხმული ოქროსტოტებიანი ზემსწრაფი კენწეროები და ადამიანური უხსოვარდროინდელი ძირძველი მრავალგვარ ფსიქოლოგიურ თვისებათა გახსნა-მხილებაა... ასე რომ, გული ნუ დაგწყდებათ, შემქმნელის იდუმალ უბეში მარგალიტების მაძიებელნო, რადგან კოსმოსური მიუდგომელი შინაარს-სივრცეებიდან იშვა თითქმის აზრობრივად მიუვალი პოეტური საოცრება.

ამდაგვარი შედევრებითაა ბედნიერი დედამიწა, ქვეყნიერების სხვა აურაცხელ ვარსკვლავ-პლანეტათა შორის...

ზოგი მეცნიერ-მიმომხილველი უფრო ხილულ მიწიერითაა შევსებული, ხოლო გამონაკლისნი კი მაღალი უხილაობის ზეციურ-ბუნებრივია. სიმართლის გონებით თუ მივუდგებით არცერთი არაა დასაძრახი, მაგრამ ვარსკვლავეთურ, ხილულ-უხილაობის მეცნიერულ-ისტორიულ-მხატვრულ მართალ წარმოსახვით ჭეშმარიტებას კი არაფერი უდგას წინ.

ჩვენს ეპოქამდე მოაღწია მგოსნის უხილაობად ქცეულმა ხილულმა სხივობრივმა სახებამ, შოთა რუსთველი გახლდათო უაღრესად დიადური, ამაღლებული სულიერ-განწყობილების. ამავ დროს კეთილი – იმედგამცემი მზერის, ვისგანაც უშრეტი მზე-მიწიერი სიცოცხლე ანათებდაო და ყოველთ ათბობ-აძლიერებდა. მგოსნის შორეული უძლიერესი გენეტიკური სიწმინდე ნებისმიერი დონის გარემოს აკეთილშობილებდა და პიროვნება ლოცვად იყო შობილი. ზეციური სრული შემოქმედებითი და ეროვნულ-პატრიოტული სიცოცხლის დანახშირებამდე ტანჯვის ჯვარი განუყრელად უტარებია. რუსთველი, როგორც გამორჩეული ზესეული შეწირვა წარმართობიდან მოყოლებული, ქრისტიანობის ჩათვლით, სრულიად განსხვავებული და გონებრივად მიუდგომელი გახლდათო. დედამიწაზე ჩამოსული, ყველგან მოარული უკეთილშობილესი ვარსკვლავი ბრძანებულა და ასეთად დარჩა კოსმიურ მარადიულ მეხსიერებაშიო...

ურთულესი ტვირთ-ამოცანაა ქმნილება „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-მეცნიერული განხილვა, უფაქიზესი გარჩევა და უერთგულესი პლანეტათამიერობითი კვლევა. ასევე მიგნებულად სიუჟეტთა მხატვრული დასურათება. გამოჩენილ და თამამ კომპოზიტორთა მიერ კლასიკურ მუსიკაში გაჟღერება, რათა პოემა, თავად კოსმოსური სივრცის მთლიანობის პოეტური სიმფონიაა დაუსრულებელი და წარმოუდგენელი მხატვრული სურათებია დახატული სრულიად განსხვავებული გენიის ზეციურ ლანდებად ქცეული მსოფლმხედველობით. ამ უიშვიათეს შემთხვევაში ვეცადე, რთულის და უმთლიანეს-უმთავრესის – უხილაობის კოსმოსური საშოთა მოძიება საიდანაც ბობოქარ ქარტეხილად იშვა რუსთველის ზეადამიანური ნიჭიერების ქმნილება. სამართლიანად სამყაროსგან განღმერთებული ხელოვანის გენია, რომელიც ვარსკვლავეთური ელვისებური სხივებით დაუშრეტელ ზეადამიანისეულ ენერგიას ფლობდა. ამიტომაც არ პატიობდნენ სიმართლეს მოციქულებრივ უდიადეს ხელოვანს.

აუცილებლად ისტორიულ-მეცნიერულად მისაკვლევია რუსთველი, სათაყვანებელი თამარ მეფის უკეთილშობილესმა და უფლისმიერმა მიმტევებელმა ბუნებამ ხომ არ გადაარჩინა უაზროდ გაღიზიანებული რელიგია-მდაბიოშურიანთაგან განწირული მგოსანი. უთუოდ ვერ ეზიარნენ მგოსნის უხსოვარდროინდელი მზის თუ მნათობთა თაყვანისმცემლურ უკვდავების ზეციურ შეგრძნებებს, მაგრამ კოსმოსურ მოვლენათა მიუვალ კანონებს მაინც თავისი უმტკიცესი სიმართლე გაჰქონდა, წარმოიდგინეთ, პლანეტის ძლიერ აღმატებული ახალგაზრდა რელიგიის გარემოშიც. რა თქმა უნდა, ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი ბოლომდე ვერ არჩევდნენ, რათა ხატ-ფრესკათა სიმბოლიკა დიადემები ხომ, მზეა გვირგვინოსანი. ბრმად მხოლოდ თავისას ამკვიდრებდნენ და ინკვიზიციის საშინელი მარცვლები მცოცავი ლმობიერებით, მაგრამ მათთანაც ღვივდებოდა. რითაც შეურაცხყოფას აყენებდნენ დედამიწაზე გაუგონარი, ჰუმანურობის, სიკეთის, სიყვარულის და მიტევების უფალ მაცხოვარს... არა მგონია იესო ქრისტეს უზომო სიყვარული, მოწიწება და კოსმიური ხედვა არ ჰქონოდა განუსაზღვრელობის მზის მიმართ, თავადვე ვარსკვლავეთიდან ჩამობრძანებულს.

სამყაროს განგების უდიდესი შემავსებელი გამოკვეთილ-მოქმედი ფორმა, რომლის სახელი არაა შემეცნებულ-განსაზღვრული როგორც

მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ასევე ხელოვნებაში; შესაძლებელია ღმერთის მცნებაზე ბევრად განსხვავებული მიუვალ სხვაა? ქვეყნად არ მოიძებნება მრავალ ენათაც მისი შესატყვისი: ადრე, ჩვენამდე რომ მოსულიყო, ყოველივე უთუოდ ქალდეველების, შუმერლებისგან, პელაზგებისგან, ატლანტიდელებით ან ბაბილონელების, ებრაელების და ძველ კოლხებს, იბერიელებს მიახლოებით მაინც შესწავლილი ექნებოდათ, მაგრამ არა! იდუმალება ზეძალამ, ალბათ, როდისმე მომავალში, სივრცეთა იდუმალ-საოცრებებმა უნდა გამოგზავნოს მისი შემადარი სახელის დარქმევა და არა ზუსტი: ნამდვილი კი ზეცაში იქნება შენახული მარადიულ ხელუხლებელ ფორმად ქმნილი. ამითი უსასრულო გარემოში არ იკარგება და ბინდდება – ის, უზომო ძლიერების თავისთავადობაშია, მაგრამ წარმოიდგინეთ, ზეცაში საიდუმლოდ მიუკვლეველი ხომ საიდუმლოდ ჩვენს ადამიანურ უმცირეს უჯრედშიცაა გამთლიანებული უწყვეტ ძაფად, ან უძვირფასესი კოსმოსური ძალისმერებით შეერთებულ კავშირშია მთლიანობის კანონიერ-გამუდმებული მიდგომით; სიკვდილის მცნებისა არ იყოს, ყოველივე მაინც იდუმალია და იქნება მარადის... ოოო! რამდენი აქვთ ფიზიკოს მეცნიერებს საკვლევი!

ქვეყნიერების მზე-უფალი უთუოდ სამყაროს კოსმიური სახის მთლიანობის სრული მსგავსება ხასიათ-განწყობილებისაა. ოცნება, მომავლის მხატვარ-ფერმწერი, რომელიც თავდადებით მიაღწევს ზეადამიანური ფორმის ვარსკვლავეთურთან მიახლოებას, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს და რაფელის ნიჭიერების შემოქმედი იქნება; ვასილი კანდინსკიმ, უპირველესმა აბსტრაქციონისტმა ხომ ბრძანა: პლანეტაზე ნებისმიერი სალოცავები აბსტრაქტულად ამაღლებული ფერწერით უნდა მოიხატოსო...

სინათლე მზე და სითბო ხომ ყველაფერ ზედმწვდომს მოიცავს. ჩვენი მხსნელის შობიდან დროთა ჟამში ადამიანების მიერაა ვითომდა ღვთიური აზროვნება და მარადისობის რჩევა დარიგებები უაზროდ დეფორმირებული. დიდება ღმერთს, „ვეფხისტყაოსანი“ რომ შემოგვრჩა უვნებლად, როგორც ბოლნისის სიონის ტაძრის მთავარშესასვლელის თავზე გამოკვეთილი ჯვარი პატიოსანი, მზის წრიულ დიადემაში ჩასმული, რომელიც უძველესი ქრისტიანული ქართულ ხუროთმოძღვრულ სივრცეში მხატვრულ იშვიათობას წარმოადგენს...

სამყაროს, გალაქტიკის, ჩვენი მზის სისტემისა და პლანეტათა ფორმა – ძუძუ, თავად მზეა, ღვთისმშობლის გულ-მკერდზე ასახული.

განუხილველი იდუმალებით აღელვებულ კოსმოსურ ტალღათა მოწოლისას, როდესაც თანადგომით, სასწაულებრივად გაიხსნება ვარსკვლავეთის შემოქმედებითი საკვირველი მეცხრე ცა, მაშინვე იწყება უხილავი გენიის სხივთა ჩამოგზავნა და მტკიცე მინიშნება, ღვთისგან რჩეულ პიროვნებასთან; ანუ დედამიწის აუცილებელი მონიშვნით კონტინენტის რომელიმე ბედნიერ ხალხში. ამჟამად რატომღაც მიჭირს და საგანგებოდ თავს ვარიდებ უკვე ადრეული საუკუნეებით მოვლენილსა და უიშვიათესი გენიალური მრავალგანხრითი ხელოვანთ-მეცნიერთ, ფილოსოფოს-ისტორიკოსთა პიროვნულ დასახელებას. სიმართლე რომ ითქვას, ყოველ მათგანში სინანულად მაინც არ გახლავთ ღმერთთან ან კოსმოსთან გათანაბრებული ნიჭი (რომელიც შეუძლებელია). მხოლოდ უფლის შემოქმედებითი თანადგომაა ურთიერთსაკვირველი. მათი ტოლფარდობა რომ იყოს; უფლის მთლიანობის ქმნილება-ნაწარმოები, ზე-სრულყოფილების გამო, შემოქმედებით ხელოვნებაში სიახლეების ძიება-მიღწევები და წინსვლა უსათუოდ შეწყდებოდა, რითაც მცირე რაოდენობის ერთსახოვანი და მოსაწყენი ზექმნილებანი კვლავ ვარსკვლავეთს ღვთიური პირველყოფილი ფორმით დაუბრუნდებოდა. ხოლო ჩვენსმიერი ჩვეულებრივი მიწიერი მრავალფერადი გენიათა შედევრები ხომ ისეთივე რთული მიუწვდომელია უბრალო მოკვდავთათვის, მაგრამ ამ სახის თითქოსდა მიწიერ-ადამიანური გენია ქმნილების სიახლეთა სწრაფვის უწყვეტი გზა, მუდამჟამს ხელოვანთათვის ღიაა, ოცნება ზეციური შემოქმედებითი მიუღწევლობა სივრცისკენ მუდამ მზირალი, რომელიც თავადვე ღვთივ უკვდავებას წარმოადგენს. ოღონდ მიწიერებაში მყოფი, ნებისმიერ საცავთა სრულყოფილი კანონკუთვნილებით. პირველსა და მეორე შემთხვევაში პლანეტარიუმის და უფლის ოდნავ განსხვავებული, მაგრამ უწყვეტი კავშირ-მთლიანობაა ურღვევი.

საშინელებაა და გონებრივად მიუდგომელ-გაუმართლებელი ტრაგედიაა, აბა რაა?! სტიქიის უბედურებებს, ომებს, დამპყრობლური იქნება თუ განმათავისუფლებელი, ძმათა სისხლისმღვრელი რევოლუციები, გრიგალი, ქარბუქი, ჭირი, აუტანელი ყინვა და სიცხეები, ოკეანეების ცხრაბალიანი ღელვები და მსხვერპლი; წამლეკავი წყალდიდობები... ბოლო რომ არ უჩანს კოსმიურ უმძიმეს მოვლენებს, მეტეორების ფრენა და მათგან დედამიწაზე თავდასხმები, მზისა და მთვარის პერიოდული დაბნელებები, ვარსკვლავთა გაბრაზებები და ბოროტი თუ კეთილისმყოფელი სხივთ დენა; მრავალი სნეულება, ოდითგანვე მუსრს რომ გაავლებდა ხალხს – მასას; დღესდღეობით კი მკურნალობას რომ არ ექვემდებარება, კიბო და შიდსია, რომლებიც სპობს ადამის მოდგმას და სიკვდილია განვრცობილი. რატომ არ კონტროლდება ზეძალებისაგან ეს ყველაფერი? თუ უსაშველო ქვეყნიური მოვლენებია? თუმც, ყოველივე მცირემასშტაბიანია სამყაროს სივრცესთან შედარებით. იქ, ჩვენგან ძალიან შორ, ხშირ ადგილებში ფართოფორმატიანი პლანეტათა კატასტროფებია, დიდი აფეთქებები,

ნგრევა, წვა, მწვავე ვარსკვლავთ გადაადგილებები და იქიდან იქმნება ისევ სიახლე. ამ გაუთავებელ ციურ მოვლენათა ტყუპისცალია ადამიანის ცხოვრებაც და მას ვუძლებთ, ანდა არა! უფრო კი!..

ნამდვილად გვეამაყება, რომ ჩვენი მზის სისტემა, მათემატიკურ-არითმეტიკული სიზუსტით და მეცნიერული ფიზიკის კანონებით სივრცეში, ყველაზე მკაცრი და დროითაც მოწესრიგებული სისტემაა ამ შიშის მომგვრელ უსასრულობაში. მზე ღმერთია თავად...

ადამიანი, ბევრ რამეზე დამოკიდებული, უფრო თავისმა ჯანსაღმა გონებამ უნდა იხსნას; დაუსრულებლად გამოიგონოს, შექმნას და მეცნიერებაში ეძიოს, თუ არ უნდა გადაშენება. ღმერთი კი ადამიანის მაღალი ზნეობაა, სიყვარული და სიკეთე. „ათი მცნება“ ხომ ყოველი ჩვენგანის ჯანსაღი კონსტიტუციაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, უამრავი მისაღები რჩევაა ყურანში, თორაში და ბუდას უმდიდრეს მოძღვრებაში. გონიერი და უდრეკი კოსმოსი მათი მეშვეობით უთუოდ გადაარჩენს ადამის მოდგმას, რომელიც ქვეყნიერების უკიდურესად მკაცრი და მუდამ მოძრავი სისტემიდან იგზავნება. ესენია ყველაზე რბილი და ჰარმონიულ-ორგანული მოვლენები. როგორც მოგიყევით, სხვადასხვა ათასწლეულებში დედამიწა-პლანეტას სიახლეებად სთავაზობს. ყოველივე აქ მონაყოლი უსათუოდ კოსმოსის გონიდან და ენერგიიდან მოგვევლინება. ამდაგვარ ურთულეს გარდაუვალ მოვლენებზე ვერ დასვამ კითხვას სინაგოგებში, ბუდისტურ სალოცავებში, ვერც მეჩეთებში, ქრისტიანულ ეკლესიას ხომ ახლოსაც ვერ გაეკარები; ხოლო ქვეყნის მრავალ სექტასთან საუბარი ამ თემაზე უშედეგოა.

წარმოიდგინეთ თანამოაზრენო, კოსმოსურ ღრმა რეალურ სამყაროსა და უძლიერეს აღმსარებლობებს შუა ვართ განმარტოებულნი...

დასკვნა: უთუოდ საკვირველია, რომ რვაას ორმოცდაათი წლის წინ შოთა რუსთველი უნაკლოდ ეზიარა ყოველგვარ მიუწვდომელ კოსმოსურ-რელიგიურსა და უსასრულობის მართალ კანონებს, რითაც მზიური აზრთ სივრცობრიობა დაუსრულებლად განავრცო „ვეფხისტყაოსანში“...

შემოქმედებითად ყოველგვარი დიადურის, ამაღლებულის და გენიალურის შექმნა, პიროვნებისგან ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ზნეობრივ-თავდადებით და სულიერი სიყვარულით უკიდურეს შეწირვას მოითხოვს. ალბათ სამყაროში ამდაგვარი ფორმა-შინაარსი ურთულესთაგანია, რადგანაც კოსმოსური სტიქია უსაშველოდ ღია-ინტუიციურია, რითაც გამჟღავნებულია ვარსკვლავეთის დაუდგრომელი მრავალთვისობრივი უმკაცრესი ძრაობა, რასაც წინ არაფერი არ უდგას. მზის აფეთქებები-წვა ულევი ენერგია შემოდიოდა რუსთველში, სამყაროსეული აღდგენითობა კი, ვარსკვლავთ რაობის შემოქმედებით სიახლე ხატად გაუმთლიანდა.

ურთულესმა თემატიკამ უკვე უმთავრესობას მიაღწია, ამიტომ იძულებული ვარ, შოთა რუსთველისეულ ზეციურ გრძნეულ ტალღათა სივრცობრივ ქროლვა-შფოთვას თავი უნდა დავაღწიო და მძაფრი განცდებით განგშორდეთ...

მუდამჟამს აუცილებელია ვიწამოთ კოსმოსური ენერგიის და გენიათ უწყვეტი დინება...

დედამიწელებო, ნებისმიერ ათასწლეულებში „ვეფხისტყაოსანი“ ვიკითხოთ და ვისწავლოთ!

2019 წ. აგვისტო-სექტემბერი

ირმა კეკელიძე

უმთვარო ღამე

ზამთარი. დეკემბრის თვე. თბილისი. კვირა დღე. დილის შვიდი საათი. ჯერ ისევ ბნელა. ლამპიონებით განათებულია ქალაქი. მთაწმინდა, მამადავითის ასასვლელი... სამი მანდილოსანი და ორი მამაკაცი, ზამთრის ტანისამოსით შემოსილნი აქეთ-იქით ბოლთას სცემდნენ. რამოდენიმე წუთში თეთრი ფერის მიკროავტობუსმა თითქმის მათ ფეხებთან დაამუხრუჭა და შეჩერდა. გათოშილები, გაყინული ხელ-ფეხით, მანქანის თბილ სალონში ასულები უკანა მხარეს მოთავსდნენ და შვებით ამოისუნთქეს.

– ხუთი წუთი მოცდა მოგვიწევს, სადაცაა ქალბატონი ლუიზა მოვა და ყველანი ვიქნებით, – ხმამაღლა წარმოსთქვა მძღოლის უკანა სავარძელში მოკალათებულმა ახალგაზრდა ქალბატონმა ნათიამ და გვერდით მჯდომ, ჩაძინებულ პატარა ექვსი წლის ტასოს მზრუნველი თვალით გადახედა. დედის ხმაზე ტასო გამოფხიზლდა და ნათიას შეეკითხა:

– დედა, ხომ მალე წავალთ?

– როგორც გითხარით, ისე იქნება. ქალბატონი ლუიზა მოვა და ყველანი ადგილზე ვიქნებით, – ნათიას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მიკროავტობუსის გვერდით მწვანე ფერის მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა, საიდანაც სამოცდაათ წელს გადაცილებული ქალბატონი ლუიზა გადმოვიდა. ხელში დიდი, მუყაოს თეთრი ფერის ყუთი ეჭირა. იგი ქოთქოთით ავიდა მიკროავტობუსში. ნათია მიეშველა და ყუთი სწრაფად გამოართვა ხელიდან.

– მაპატიეთ, დამაგვიანდა. საცხობში ლობიანები შევუკვეთე და იქ მომიხდა ცოტა ხნით მოცდა, – სულმოუთქმელად წარმოსთქვა ქალბატონმა ლუიზამ და პატარა ტასოს გვერდით მისთვის საგანგებოდ შენახულ სავარძელზე ჩამოჯდა...

– წავედით? – ხმამაღლა წამოიყვირა ზომაზე მეტად ჩასუქებულმა, ლოყებგაბერილმა მძღოლმა რეზომ და მანქანის ძრავი ჩართო.

– წავედით, წავედით, – გაისმა რამოდენიმე შეძახილის ხმა. მიკროავტობუსი ადგილიდან დაიძრა... დავით გარეჯისკენ მიმავალ გზას დაადგა...

თენდება. გარიჟრაჟია. მიკროავტობუსმა გარეჯის უდაბნოს გზაზე გადაუხვია... მგზავრებიდან ზოგი თვლემდა, ზოგსაც ღრმად ჩასძინებოდა. ზოგი კი პირიქით, საგანგებოდ გამოფხიზლებულიყო და უდაბნოს გზას გაჰყურებდა და აკვირდებოდა... ზამთრის სუსხიან დილას უდაბნოს ჰორიზონტზე საოცრად წითელი, დიდი მრგვალი მზე ამოსულიყო. პატარა ტასომ უეცრად შეჰყვირა:

– ნახეთ, როგორი წითელია მზე, თან როგორი მრგვალია, როგორი ლამაზია!

ყველამ მზისკენ გაიხედა. ვინც თვლემდა და ვისაც ეძინა, ისინიც გამოფხიზლდნენ და სარკმელებიდან იცქირებოდნენ.

– მართლაც რა საოცრებაა!... ასეთი წითელი და ლამაზი მზე არსად მინახავს, თითქოსდა მთის წვერზე წამოსკუპებულაო. გახედეთ, ჰორიზონტს გახედეთ! რა საოცრებაა! შეხედეთ, დატკბით, შეიგრძენით ბუნების ეს სასწაული, – აღტაცებას ვერ მალავდა მძღოლის გვერდით მჯდარი, ლამაზი, სიმპათიური, სახემცინარი ქალბატონი მზია.

უდაბნოში ნელა, რწევა-რწევით მიდიოდა თეთრი მიკროავტობუსი. ზამთრის მზე უკვე კარგად ამოწვერილიყო და არემარე, გარეჯის უდაბნოს მთელი ჰორიზონტი უკიდეგანოდ გაენათებინა და გაებრწყინებინა...

– ნახეთ, ჩვენი მიწის ნაკვეთი, სადაც გაზაფხულზე პურის ყანა აბიბინდება. პურიც კი ჩვენი საკუთარი გვექნება, – წამოიძახა უკანა სავარძლიდან, აქამდე ჩუმად მჯდარმა ნათიას მეუღლემ, სანდრომ.

– ჰო, მამი, ჰო, რა კარგი იქნება, ჩვენი საკუთარი პურის ყანა გვექნება, – აჰყვა მამას გვერდით მჯდომი თენგიზი, ათიოდე წლის, თეთრი, ლამაზი პირ-სახის ბიჭუნა.

– ამ პურის ყანის დათესვაში ჩვენს ანთუსას მიუძღვის დიდი ღვაწლი, – თენგიზთან ერთად სიტყვა მიაგება სანდროს მისმა უფროსმა ქალიშვილმა, ელენემ.

– რას ამბობთ, მე რა შუაში ვარ?! აქ რაც ხდება სასიკეთო, მამა ნეოფიტეს და ძმა სიმონის დამსახურებაა! მე რა შუაში ვარ?! ისინი არიან ყველაფერი. მე არაფერიც არ გამიკეთებია, – თავმდაბლად წარმოსთქვა მიკროავტობუსის უკანა კარებთან, მცირე სავარძელზე მჯდარმა სანდომიანი სახის, შუახნის ქალბატონმა ანთუსამ.

– ანთუსა თავმდაბალი ქალბატონია, რაც არ უნდა მოგვემსახუროს, რაც არ უნდა სიკეთე გააკეთოს, არასოდეს თავის დამსახურებად არ თვლის, – წარმოსთქვა მძღოლის გვერდით მჯდომმა ქალბატონმა მზიამ.

– იმიტომ, რომ მდიდარი სულის ადამიანია, – თავისთვის ჩაილაპარაკა მძღოლმა რეზომ და საქე რაც შეიძლებოდა დიდი ძალით მარჯვნივ დაატრიალა და მიკროავტობუსი მონასტრისკენ მიმავალ აღმართს შეუყენა.

– შეხედეთ, უკვე მოსჩანს ჩვენი მონასტერი, – წამოიძახა პატარა ტასიკომ და თეთრი ფუნჩულა ხელები ერთმანეთს შემოჰკრა.

– მართალია! მოსჩანს, მოსჩანს! თითქმის მოვედით, რამოდენიმე წუთში ადგილზე ვიქნებით! – გაიძახოდნენ ავტომანქანის უკანა სალონში მსხდომი ადამიანები.

– ტასიკო, გაოცებული ვარ, როგორ არ გეზარება ასეთ პატარა ბავშვს ყოველ კვირა დილას უთენია ადგომა და გარეჯში წამოსვლა? – შეეკითხა ქალბატონი ლუიზა პატარა გოგოს და თან ინტერესით გარშემო მყოფთ შესცქეროდა.

– არა, არ მეზარება! ძალიან მიყვარს გარეჯში წამოსვლა! – მოკლედ მიუგო პატარა ტასომ.

მიკროავტობუსში მსხდომი ადამიანები ყველანი ბედნიერი სახით მაღლობზე, კლდეზე შეფენილ მონასტერს შეჰყურებდნენ, რომელსაც მზის სხივები უხვად აფრქვევდნენ თავის სიკაშკაშეს და განსაკუთრებით მიმზიდველსა და მომხიბვლელს ხდიდნენ... ნათლისმცემლის მონასტერი თავის მრევლს ელოდებოდა...

***

ნათლისმცემლის მონასტერში ტაძრის წინამძღოლი, მამა იოანე მსახურებას მორჩა. მრევლისგან აღსარება მიიღო. ყველანი აზიარა... წინამძღოლს მამა ნეოფიტეც საგულდაგულოდ ეხმარებოდა... მამა იოანემ ქადაგება დაიწყო: „...ყველა ჩვენთაგანის გული, გონება სიკეთისკენ, კეთილი მიზნებისკენ უნდა მივმართოთ, უფლის უნდა გვესმოდეს და მის ცნებებს გავუხსნათ გულის კარები, რათა მასში მხოლოდ ქრისტეს ნება-სურვილი იყოს დავანებული... სულ მუდამ სიკეთესა და კარგის ქმნაზე უნდა ვიფიქროთ... ძალიან ხშირად ვეწინააღმდეგებით ღვთის ნებას, მის მადლს. ადამიანს იმიტომ კი არ ეძლევა ქონება, სიმდიდრე, ფული, რომ ცხოვრება ღრეობაში და უზნეო ყოფაში გაატაროს... ადამიანი შეიძლება იყოს ლამაზიც, მდიდარიც, განათლებულიც, მაგრამ იყოს გულგრილი. მისი გულის კარი ყოველი კეთილი საქმისა და სიკეთისათვის დახშული იყოს... ასეთი ადამიანი ვერასოდეს ვერ დაადგება უფლის გზას... გულიც, გონებაც, ქონებაც იმიტომ ეძლევა უფლისგან ადამიანს, რომ კეთილი საქმეები აკეთოს, სიკეთე თესოს... მოყვასი უყვარდეს და გაჭირვებაში მყოფთ დაეხმაროს!...“

***

კლდეში გამოკვეთილი მონასტრიდან გარეთ გამოფენილი მრევლის ჟრიამულმა აავსო არემარე. ბავშვები მხიარულად დარბოდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ. იქვე მოფენილიყვნენ და ადამიანებს ფეხებში ებლანდებოდნენ სხვადასხვა ასაკის, ფერის და ზომის კატები თავისი ნაშიერებით. სატრაპეზოს გვერდით, სამზარეულოში თუჯის ღუმელში შეშა გიზგიზებდა... იქვე სამზარეულოში ანთუსა, ნათია და რამოდენიმე ახალგაზრდა ქალბატონი, მამა ნეოფიტეს კურთხევით ტრაპეზს ამზადებდნენ... გარეთ მზიანი, მაგრამ ზამთრის სუსხიანი ამინდი იდგა. ქალბატონი მზია გაჰყურებდა გარეჯის მოშიშვლებულ მთებს, რომლებიც ტალღებივით გადაჯაჭვულიყვნენ ერთმანეთზე და მის გვერდით მდგომთ, ქალბატონ ლუიზას და მიკროავტობუსის მძღოლს, რეზოს ესაუბრებოდა:

– რა საოცარი და ღვთიური გარემოა. ვუყურებ და ვერ ამიხსნია, რატომ იცვლის ბუნება ასე ფერებს. დილით ყველაფერი ყავისფერი იყო, ახლა ყველაფერს მომწვანო ფერი გადაკრავს. რა საოცრებაა!...

– ამბობენ, აქ სამჯერ მობრძანება, იერუსალიმში ერთხელ ჩაბრძანების ტოლფასიაო, – წარმოსთქვა ქალბატონმა ლუიზამ... საუბარი რეზომ გააგრძელა:

– მართალი ხართ, აქაურობას საოცრად დიდი ძალა და მადლი აქვს. ჩვიდმეტი წელია ამ გზას ვადგავარ, მრევლს ვემსახურები... მე პირადად მძიმე ავადმყოფი ვიყავი. ავთვისებიანი

სიმსივნე მქონდა, ექიმებმა ყველა იმედი გადამიწურეს, ოპერაციასაც აზრი არ ჰქონდა. ზუსტად ჩვიდმეტი წლის წინ იყო ეს ამბავი... ამ გზას დავადექი, უფალს მივენდე, გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მრევლი გავხდი და უფლის სასწაულიც სახეზეა, ცოცხალი ვარ. თხუთმეტი წლის განმავლობაში არანაირი გამოკვლევები არ გამიკეთებია, ვერ ვბედავდი!... ორი წლის წინ მამა იოანემ მითხრა, რომ შიში დამეძლია და გამოკვლევები გამეკეთებინა.

– მერე, რა ჰქენი, გაიკეთე გამოკვლევები? – გაოცებულმა იკითხა ქალბატონმა მზიამ.

– დიახ, გავბედე და გავიკეთე!... გავიკეთე და უფლის სასწაულიც სახეზეა, ჯანმრთელი ვარ!... არ დამიჯერეს ექიმებმა, რომ როდესღაც თირკმელები მქონდა დაავადებული... არ დამიჯერეს, რომ ავთვისებიანი სიმსივნე მქონდა, – ეუბნებოდა რეზო ქალბატონებს და უდაბნოს ჰორიზონტს გაღიმებული სახით გაჰყურებდა.

– მზეა, მაგრამ მაინც სუსხი და სიცივეა, – ჩაილაპარაკა ქალბატონმა ლუიზამ.

– მონასტერში კი როგორ თბილა. თან ბუნებრივად. არანაირი გაზი, არანაირი ელექტრობა, არანაირი ცივილიზაცია! ნამდვილი საოცრებაა! – თავისთვის ლაპარაკობდა ქალბატონი მზია.

– აქ განათებაც მზის ენერგიით აქვთ, – გააგრძელა საუბარი ბატონმა რეზომ და გაუცნობიერებლად ისევ უდაბნოს ველებს გაჰყურებდა... ცოტა ხანში პატარა ტასოს ხმა გაისმა:

– ტრაპეზი!...ტრაპეზი!... ყველანი მობრძანდით ტრაპეზზე! – გარეთ მყოფმა მრევლმა ნელ-ნელა, დინჯი ნაბიჯებით, მორჩილად სატრაპეზო დარბაზში დაიწყო შესვლა...

***

მამა ნეოფიტე მრევლს მორჩილებისკენ მოუწოდებდა, მითითებებს აძლევდა, თუ ვინ სად, როგორ და რარიგად უნდა მისხდომოდნენ სატრაპეზო, გემოვნებით, სითბოთი და სიყვარულით გაშლილ მაგიდას. შემდეგ ლოცვა წაიკითხა და მრევლს სატრაპეზო კურთხევა მისცა.

– ასეთი სიამოვნება არსად და არასდროს არ მქონია, – წარმოსთქვა ქალბატონმა ლუიზამ.

– ასეთი გემრიელი საჭმელი არასოდეს არ მიმირთმევია, როგორიც ეს ტრაპეზია, – გააგრძელა ქალბატონმა მზიამ.

მამა ნეოფიტეს ქალბატონი მზიას სიტყვებზე გაეღიმა. პარიზიდან დაბრუნებულმა მიხეილმა არც აცია და არც აცხელა, ლექსად მიაგება:

ბანაობას ვარჩევ ტბაში,
საჭმელებში მიყვარს ხაში,
შაბათ-კვირას მანის ქაში,
ექიმებში – მზია ჯაში!

ირგვლივ მხიარული შეძახილები გაისმა, ზოგმა ტაშიც დაუკრა.

– საიდან გაიგეთ, რომ გვარად ჯაში ვარ და თანაც პროფესიით ექიმი რომ გახლავარ?

– მრევლმა მომახსენა, – მოკლედ უპასუხა მიხეილმა.

– გთხოვთ მიირთვათ, ასეთ გემრიელ ტრაპეზს მხოლოდ ნათია ამზადებს. ყოჩაღ, სანდრო! ნამდვილად გაგიმართლა, რომ ასეთი კარგი მეუღლე გყავს... კარგი დიასახლისი, საუკეთესო დედა, რომელიც სამ ულამაზეს ბავშვს ზრდის, – არ ჩერდებოდა მამა ნეოფიტე.

– რას ბრძანებთ, მამაო! არაფერი განსაკუთრებული მე არ გამიკეთებია, – თავმდაბლად მიუგო ნათიამ.

– თავმდაბლობა კარგი თვისებაა! ნამდვილად ქების ღირსი ხარ, – გააგრძელა საუბარი იქვე მაგიდასთან მორიდებით მჯდარმა, ბერის სამოსში გამოწყობილმა მორჩილმა სიმონმა.

– ყველაფერი ეს სიკეთე, რაც ჩემს თავსაა, მხოლოდ და მხოლოდ უფლის წყალობაა, – გაღიმებულმა უპასუხა სანდრომ.

– ნათია ნამდვილად უფლის საჩუქარია ჩვენი ოჯახისათვის. ღმერთმა ყველას ოჯახში შეიყვანოს ასეთი რძალი. მე ნათიას მეუღლის, სანდროს ბიცოლა ვარ და ძალიან ახლოს ვარ ნათიასთან, – მრევლის გასაგონად, ხმამაღლა წარმოსთქვა ქალბატონმა ანთუსამ.

მამა ნეოფიტე გაღიმებული სახით შეჰყურებდა გამხიარულებულ მრევლს. შემდეგ ნათიას და სანდროს გადახედა. მიხეილმა მის მზერას თვალი გააყოლა და ხმამაღლა დაიწყო:

სხვებისთვის კაკანათია,
სანდროსთვის ლიმონათია,
თაფლად შეგერგოს, ნათია,
სანდრომ რაც ღამე ათია.

ირგვლივ მხიარული შეძახილების და სადღეგრძელოების კორიანტელი დატრიალდა...

შუა ტრაპეზის დროს მამა ნეოფიტე ფეხზე წამოდგა და ყურადღება მოითხოვა:

– ჩემო თანამეინახენო, ვინც აქ ვართ, ჩვენ ყველანი გარეჯელები ვართ. ყველას გვიყვარს ეს უდაბნო, რომელიც თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, გარე კახეთში მდებარეობს. კლდეში

ნაკვეთი დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსი ყველა ჩვენთაგანისათვის სულიერი სავანე და თავშესაფარია.

– ნამდვილად ასეა, მამაო, სულმოუთქმელად ველოდები კვირა დღეს, რომ აქ მობრძანების ბედნიერება შევიგრძნო. აქედან ყოველთვის ამაღლებული და დამშვიდებული სულით მივდივარ. ყოველთვის ვგრძნობ, რომ უფალი ჩვენთან არის... ყოველი კვირა საღამოდან, მომავალი კვირა დღის დილამდე იმ სურვილით ვცხოვრობ, რომ აქ მოსვლის ბედნიერება კვლავ თავიდან შევიგრძნო... კვირიდან კვირამდე ამ სურვილით ვცხოვრობ! – გულწრფელად წარმოსთქვა ქალბატონმა მზიამ.

მამა ნეოფიტემ მადლიერებით დაუკრა თავი ქალბატონ მზიას და გააგრძელა:

– დავით გარეჯელი „ცამეტი ასურელ მამათაგან“ ერთ-ერთი იყო, რომელიც თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯის უდაბნოში, პატარა მღვიმეში დასახლდა. ასე დაარსდა მონასტერი, რომელიც დავითის ლავრად არის წოდებული. შემდეგ ორი სხვა მონასტერიც შეიქმნა – დოდოს რქა და ნათლისმცემელი, სადაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით...

– დიდება უფალს, რომ ნათლისმცემლის მონასტრის მრევლი გამხადა, – თავისთვის წარმოსთქვა ქალბატონმა ანთუსამ.

ფეხზე მდგარმა მამა ნეოფიტემ კვლავ განაგრძო:

– ჩვენმა დიდმა წმინდა მეფეებმა დიდი ღვაწლი გაიღეს ამ საოცარ ადგილზე სამონასტრო ცხოვრების მოწყობისთვის. დავით აღმაშენებელმა გარეჯის სამონასტრო კომპლექსი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა, გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს დავით გარეჯი საკმაოდ ძლიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა...

ამავე დროს, დავით გარეჯი, თავისი მონასტრებით არაერთხელ დაარბიეს და ააოხრეს მონღოლთა და სპარსთა ლაშქრებმა... შემდგომში უკვე მეფე თეიმურაზი და მეფე არჩილიც ცდილობდნენ გარეჯის უდაბნოში სამონასტრო კომპლექსის და ცხოვრების აღორძინებას... მიუხედავად მრავალი ბრძოლებისა, ნათლისმცემლის მონასტერში მაინც შემორჩა რამოდენიმე ბერი, რომელთა ლოცვამ და დიდმა რწმენამ უფლის შემწეობით დღეს ჩვენ აქ ისევ შეგვკრიბა... წმინდა ბერების გადმოცემით ამ უდაბნოში საოცარი რამ ხდებოდა, რის შედეგადაც მონასტერიც და წმინდა მამებიც სასწაულით გადარჩნენ.

– რა სასწაულით, მამაო, საინტერესოა, იქნებ გვიამბოთ, – ვერ შეიკავა თავი სანდრომ.

მამა ნეოფიტემ მრევლს თვალი გადაავლო და მშვიდად განაგრძო:

– რა თქმა უნდა, გიამბობთ. მტერი შემოსევისათვის ყოველთვის „უმთვარო ღამეს“ ირჩევდა, რათა უჩუმრად, ბნელში ისე შემოპარულიყო და აეოხრებინა აქაურობა, რომ წმინდა მამებს ვერ შეემჩნიათ და ვერც მათი მოგერიება ვერ მოეხერხებინათ... ის სასწაული, რაც მათი შემოსევის დროს, ყოველ უმთვარო ღამეს ხდებოდა, თურმე არა ერთხელ, ხშირად მეორდებოდა.

– რა ხდებოდა, მამაო, უმთვარო ღამეს? – თავი ვერ შეიკავა ქალბატონმა მზიამ.

მამა ნეოფიტემ კვლავ მშვიდად განაგრძო:

– ყოველ უმთვარო ღამეს, რომელსაც მტერი თავდასხმისთვის ირჩევდა, სასწაული ხდებოდა. ციდან არაერთი ნათლისსვეტი ეშვებოდა თურმე და არემარეს ისეთი კაშკაშა შუქით ანათებდა და თვალისმომჭრელად აბრწყინებდა, რომ ამის მომსწრე მტრის ურჯულოთა ლაშქარი დამფრთხალი და შეშინებული ტოვებდა აქაურობას.

– ეს როდის მოხდა, მამაო? – ჩაეკითხა ნათია.

– როგორც გითხარით, არაერთხელ, ხშირად ხდებოდა, თითქმის ყველა უმთვარო ღამეს, როცა მტერი ახლოს იყო, – უპასუხა მამა ნეოფიტემ.

– უმთვარო ღამე, რომელმაც ეს წმინდა ადგილები შემოგვინახა!... დიდება შენდა, უფალო! საიდან ჩნდებოდნენ ნათლისსვეტები? ეს ხომ ნამდვილი სასწაულია, უფლის სასწაული! – გაოცებას ვერ მალავდა ქალბატონი მზია.

– ამბობენ, იმ დროს მონასტერში შეფარებული რამდენი ბერიც ლოცულობდა, ზუსტად იმდენი ნათლისსვეტი ეშვებოდა ზეციდანო! – მშვიდად წარმოსთქვა თმაჭაღარა და თეთრწვერა მორჩილმა სიმონმა.

– დიდება შენდა, უფალო! – თავს ვერ იკავებდა თვალზე ცრემლმომდგარი მზია ექიმი, რომელიც მისდაუნებურად ფეხზე წამოდგა და პირჯვარი გადაიწერა. მას სხვებიც აყვნენ და უფლის სადიდებლად და მადლიერების ნიშნად პირჯვარი გადაიწერეს... მამა ნეოფიტე მრევლს მშვიდად მოუთხრობდა:

– ამჟამად დავით გარეჯში მრავალი გამოქვაბული, ეკლესია, სამლოცველო და სატრაპეზოა. მათ კედლებზე შემონახულია ძველი ფრესკები, სადაც გამოხატულია მეფეთა პორტრეტები და ეპიზოდები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. ქვეყნის ისტორიაში დავით გარეჯი კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც დაცული და შემონახული გახლდათ მნიშვნელოვანი

ხელნაწერები. გარეჯის მონასტერში სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ: დემეტრე პირველი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ პირველი, გაბრიელ მცირე, ონოფრე გარეჯელი და სხვა ჩვენი ერის ღირსეული შვილები და წმინდა მამები, რომელთა სულებიც დღესაც ჩვენს გვერდით არიან და ერსა თუ ბერს გვაძლიერებენ და გვამხნევებენ.

– დიდება უფალს! ბედნიერი ვარ, რომ აქ ვარ! ასეთი ძალა და ამაღლებული განწყობა არსად და არასდროს მქონია, – გულწრფელად წარმოსთქვა პარიზიდან დაბრუნებულმა მიხეილმა.

– დასხედით ყველანი და მშვიდად მიირთვით და შეირგეთ ტრაპეზი, – ღიმილით მიმართა მამა ნეოფიტემ მრევლს. თავადაც სუფრას მიუჯდა და ტრაპეზიც მხიარული შეძახილებით გაგრძელდა...

***

ზამთრის შუადღე გადასული იყო. მზეც ოდნავ გადაიწვერა, მაგრამ მაინც თავის ბრწყინვალებას მატებდა გარეჯის ტალღისებურად გადაჯაჭვულ მინდვრებსა და მთებს... მრევლით სავსე მიკროავტობუსი თავდაღმართში დაეშვა. უკან დარჩა კლდეში საგულდაგულოდ „ჩაქედილი“ ნათლისმცემლის მონასტერი, რომელიც მაღლობიდან გადმოჰყურებდა თავდაღმართში დაშვებულ სულიერი შვილების მცირე დასს და თავის მადლსა და სითბოს საგზურად ატანდა...

– საოცარია, გარეჯის ველის ფერთა გამა და მონაცვლეობა... დილით მოყავისფროა, შუადღეს მომწვანო ფერის იყო, ახლა კი ალაგ-ალაგ მუქი მწვანეა, ალაგ-ალაგ კი მოწითალო ფერიც გადაჰკრავს, – თავისთვის ხმადაბლა ჩაილაპარაკა ქალბატონმა ლუიზამ და მის გვერდით მჯდომ მიხეილს გადახედა.

– უცნაური და გამორჩეული ადგილია, რაღაც საოცარი, მიმზიდველი ძალაც თან სდევს აქაურობას, – უპასუხა მიხეილმა.

– გაოგნებული ვარ, რა საოცარი ამბავი გვიამბო მამა ნეოფიტემ. „უმთვარო ღამის“ ამბავზე მოგახსენებთ, ნათლისსვეტები როგორ ჩნდებოდნენ ზეციდან... ეს ხომ ნამდვილად უფლის ხილული სასწაულია?! – ხმამაღლა, ყველას გასაგონად ლაპარაკობდა ქალბატონი მზია.

– ნამდვილად სასწაულია, რომელიც აქ, ამ ადგილებში ხდებოდა!..

– საოცარი წარსული აქვს ამ წმინდა ადგილს, რომელიც უფლის სასწაულით გადაურჩა საბოლოოდ აოხრებასა და აწიოკებას, – საუბარი გააგრძელა ქალბატონმა ანთუსამ.

– ნეტავ რას გვიპირებს უფალი მომავალში? კარგი იქნება, თუ ერი და ბერი, მთავრობა და მხედრობა ჩვენი, გულისყურით მოეკიდება ამ ადგილებს და ამ სიწმინდეებს მომავალში ჩვენი შთამომავლობაც გაუფრთხილდება, – თავისი აზრი გამოთქვა მძღოლმა რეზომ.

– მომავლის განჭვრეტა თუ გინდა, წარსულს უნდა გადახედო, – ხმამაღლა უთხრა ქალბატონმა მზიამ და სარკმელიდან კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი სხვადასხვა ფერებში გაბრწყინებულ დავით გარეჯის უკიდეგანო ველებს...

საღამოა. გარეთ უკვე ბნელა. თბილისში, ორთაჭალის გზატკეცილზე შემოსულ თეთრ მიკროავტობუსში მსხდომი მრევლი თავისთვის მიყუჩებულიყო. ზოგს ძილი მორეოდა, ზოგიც თავისთვის გარინდული იჯდა და ოცნებებში წასულიყო. ქალბატონი მზია კი ისევ „უმთვარო ღამესა“ და უფლის სასწაულზე ფიქრობდა... მიუხედავად დეკემბრის თვისა, ქალაქში მშვიდი და თბილი საღამო იდგა. ზამთრის სავსე მთვარე კი მედიდურად დაჰყურებდა ღამის თბილისს და ცდილობდა თავისი შუქი შეემატებინა ლამპიონებით განათებული, თავად უფლისგან შემონახული და გაბრწყინებული დედაქალაქისათვის...

ხათუნა დოლიძე

ლოცვის ძალა

ჩამავალი მზე დაბურულ ტყეში, ტანმაღალ ხეებს შორის დარჩენილი სივრციდან, უკანასკნელად იჭვრიტებოდა. მცხუნვარება დაკარგული სხივების ოქროსფერი ათინათი, ხან ბებერი მუხის ძირში გამოისახებოდა პატარა მოელვარე სფეროდ, ხანაც კი ნეკერჩხლისა და წიფლის ფოთლებში იწყებდა ციმციმს...

...მაყვლის კრეფაში გართულმა ფრანჩესკამ, მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ შუადღე კარგა ხნის გადასულიყო და მალე ბინდიც ჩამოწვებოდა. შემცბარმა პირამდე გადავსებულ კალათს ხელი დაავლო და ტყიდან გასასვლელ ბილიკს დაადგა.

– სანამ დაბნელდება, უკვე სოფელში ვიქნები... დღეს ბევრი მაყვალი მოვაგროვე. ხვალ დილაადრიანად ავდგები და ბაზრობაზე წავიღებ! – ჩაილაპარაკა კმაყოფილი ხმით გოგონამ. მძიმე კალათი რამდენიმე წუთით მიწაზე ჩამოდგა და ეკალ-ბარდისგან დაკაწრულ ხელებზე დაიხედა.

თორმეტიოდე წლის ცელქ და მხიარულ ფრანჩესკას, ხალისიანი გამომეტყველება სრულიად გაქრობოდა. ახლა, მისი უმანკო, ზღვისფერი თვალებიდან დიდი ტკივილი გამოსჭვიოდა.

ოდესღაც ბედნიერ და უზრუნველ გოგონას, მამის გარდაცვალების შემდეგ, მხრებზე მთელი ოჯახის ტვირთი დააწვა. დედა, რომელიც უკვე მეორე წელია ლოგინად იყო ჩავარდნილი, მისი მოსავლელი და საპატრონო იყო.

– უფალო, გევედრები, დაეხმარე საბრალო დედას და მალე გამოაჯანმრთელე! რაღაც უნდა ვიღონო, რომ ოპერაციისთვის საჭირო თანხის შეგროვება შევძლო! – გაიფიქრა თავისთვის ოჯახის უსახსრობით დადარდიანებულმა გოგონამ და საკუთარი უსუსურობის გამო ცრემლები მოერია...

სოფელს ნელ-ნელა ღამის ბინდი შემოეპარა. მოწმენდილმა ცამ, უეცრად, წარბი მრისხანედ შეყარა და გარშემო ავდრის, კუპრივით შავი ღრუბლები შემოიკრიბა. რამდენიმე წუთში, არე-მარე ელვამ გადაანათა. გაელვებას მალევე ძლიერი ქუხილის ხმაც მოჰყვა. მაღლიდან ისეთი თქეში წამოვიდა, თითქოსდა, ზეცა ადამიანთა უსამართლობით დამძიმებული დედამიწის წალეკვას ლამობდა!

შეშინებულმა ფრანჩესკამ თავი, სოფლის განაპირას მდგარ ჭადრის ხეს შეაფარა. თავიდან ფეხებამდე გალუმპული გოგონა, დასველებას სრულიად არ ნაღვლობდა, მთელი მონდომებით ცდილობდა, რომ მაყვალით სავსე კალათი, როგორმე კოკისპირული წვიმისგან გადაერჩინა...

ძლიერი ქუხილი ისევ განმეორდა. ამჯერად ქვემეხის გასროლის მსგავსმა გრუხუნმა, მთელი სოფელი შეაზანზარა... უსწრაფესად მოარულმა ელვამ, ბოლოს გეზი ჭადრის ხისკენ აიღო.

მცირე ხნის შემდეგ, გზის განაპირას მდგარ მეხდაკრულ ჭადართან, თავი უამრავმა ადამიანმა მოიყარა. რამდენიმე მამაკაცი გოგონას სიკვდილისგან დახსნას, ამაოდ ცდილობდა.

სილაში ჩაფლულ ფრანჩესკას, მხოლოდ გაფითრებული და ნატანჯი სახე მოუჩანდა. ხის ძირში მიმოყრილი მაყვალი, წვიმას ერთბაშად მოელესა და მისი მარცვლები სველ ბალახს, სისხლის წვეთებივით შემორჩენოდა...

...თებეა საწოლში შეშფოთებული ბორგავდა. ცუდი წინათგრძნობა დილის მერე სულს უფორიაქებდა. ფანჯრის მინებზე ღვარად მოვარდნილი წვიმის ხმა, ყურებში სასიკვდილო განაჩენივით ჩაესმოდა.

– გული ცუდს მეუბნება, მის თავს უთუოდ რაღაც ხდება. ამდენხანს არასდროს დაუგვიანია. ყველაფერი ჩემი ბრალია, ფრანჩესკას მძიმე ტვირთად ვაწევარ! – იცრელმლებოდა სასოწარკვეთილი ქალი.

რაღაც დიდი უბედურების მომლოდინე თებეა, გულმხურვალედ ლოცულობდა და სრულიად გაუთვიცნობიერებლად საკუთარ უღონო, ხანრგძლივი წოლისგან არაქათგამოლეულ სხეულს ებრძოდა, რათა ოთახის კუთხეში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატთან მისულიყო...

....თვალი გაახილა, სასწაულებრივად გადარჩა! – უფლისადმი მადლობის ნიშნად, ხელები მაღლა აღმართა სოფლის თავკაცმა ნიკოლოზმა. შემდეგ კი გოგონას გონზე მოსვლის გამო სიხარულით ახმაურებულ თანასოფლელებს მიუბრუნდა:

– ყველა ჩვენგანის ბრალია, რაც ფრანჩესკას დაემართა. სოფელი მოვალეა ქვრივ– ობოლს და გაჭირვებულს დაეხმაროს!

– მართალი ხარ, ნიკოლოზ, მართალი! – ერთბაშად აღმოხდათ დარცხვენილ მეზობლებს...

...წვიმამ თანდათან იკლო და რამდენიმე წუთში შავი ღრუბლებიც უკვალოდ გაიფანტა, ცა ისე უეცრად მოიწმინდა, მნახველი იფიქრებდა ცოდვილ მიწას, მდუღარე ცრემლებით სირცხვილი ჩამორეცხა და ახლა დაგროვილი სადარდებლისგან გათავისუფლებულმა, შვებით ამოისუნთქაო...

მალე, რამდენიმე თანასოფლელი საკაცეზე დასვენებულ გოგონასთან ერთად, თებეას სახლისკენ გაემართა.

კარის შეღებისას, მეზობლები მოულოდნელობისგან ადგილზე გაქვავდნენ. ორწლიანი მიჯაჭვულობის შემდეგ, ავადმყოფი საწოლიდან წამომდგარიყო და სალოცავ კუთხეში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს, ხმამაღალი ქვითინით თავისი ერთადერთი იმედის, ფრანჩესკას კარგად ყოფნას ავედრებდა!

– უფალო, შენს მიერ დაშვებული სასწაულის თვითმხილველი, დღეს უკვე მეორედ გავხდი! – ხმამაღლა შესძახა გაოგნებულმა ნიკოლოზმა, ქუდი მოიხადა და ხატის წინ მოწიწებით დაიჩოქა.

ირინა ხურციძე

უკანასკნელი იმედით

მთელი დღის უაზრო ხეტიალის შემდეგ, არაქათგამოცლილი დაბრუნდა შინ, სადაც სიცივისა და შიმშილისაგან ღონემიხდილი ცოლშვილი ელოდებოდა. სიმთვრალე მოიგონა, არეული ნაბიჯით შეადგა ფეხი სადარბაზოში. ძლივს აითრია დაბუჟებული ხელი და კარზე სამჯერ დააკაკუნა... შინ დაუპატიჟებელი სტუმარივით შევიდა. რა თქმა უნდა, ძველებურად სასადილო ოთახში არ შეძღოლოდა მეუღლე და არ ეთქვა: – ოთარ, დაღლილი იქნები, წყალი გადაივლე, ივახშმე და მერე დაიძინეო''.... ეს ფრაზა კარგა ხანია დაივიწყეს ამ სახლში. მას შემდეგ, რაც სამსახურში შეამცირეს, დღემდე უმუშევარი დაეხეტება აქეთ-იქით.... დიდხანს იწრიალა საწოლში, არ იქნა, არ დაეძინა, აწეწილი ფიქრების კორიანტელი დასტრიალებდა თავს, რაც მოსვენებას უკარგავდა.... ამ ბოლო დროს უამრავი განსაცდელი დაატყდა, ჯერ იყო და შეშლილი ნახევარძმა დაასაფლავა, მერე სამსახურიდან დაითხოვეს, შემცირებაში მოახვედრეს. მართალია, გარდაცვლილი ნათესავის ერთადერთი მემკვიდრე იყო, მაგრამ ახლა ამის დამტკიცებას ვინღა შეძლებდა. ადვოკატი რომ აეყვანა, მისი ფული სად ჰქონდა, ამიტომ არც გაუხედია ძმის სახლკარისაკენ. მერე კი გაიგო, იქაურობას რძლის, გურანდას ნათესავები დაპატრონებოდნენ...

– ვინ ვარ ახლა მე? არარაობა, მიწის მტვერი, ამ ქვეყნად მხოლოდ ტანჯვისთვის გაჩენილი, უმაქნისი არსება, ვისაც არ ძალუძს თვალი რეალობას გაუსწოროს. სანამდე უნდა იყოს ოჯახი ერთ უბრალო მასწავლებლის ხელფასზე, რომელის პურის ფულადაც არ კმარა. ვმუშაობდი, ოჯახს ვინახავდი, არც მტერ-მოყვარეში ვირცხვენდი თავს, დღეს კი გამხელა მრცხვენია მშენებელი ინჟინერი რომ ვიყავი ერთ დროს, ან კი ვინ დაიჯერებს ამას,როცა ქუჩაში მაწანწალასავით მოხეტიალეს მხედავენ. ხანდახან რომელიმე ნაცნობს გადავეყრები, ას გრამ არაყზე დამპატიჟებს

და ცარიელი კუჭი ცოტა ხნით გაბუჟდება... ვინ არის მერე ყველაფერ ამაში დამნაშავე, ვინ!!, გასკდა თავი ამდენი ფიქრისგან, პასუხი კი არა და არ ჩანს....

– რა დროს უაზრო ფიქრია, რას მიედ-მოედები, ტვინი გაანძრიე – შეაწყვეტია ფიქრი იდუმალმა ხმამ.

– თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე, ჩემი გასაჭირიც მეყოფა, ახლა შენ არ მომიგო შანი.

– ჰმ! თუ ღმერთი გწამსო! ეს შენს თავს კითხე, თქვენ, კომუნისტებს, რწმენა რომ გქონოდათ ამ დღეში არ ჩაცვივდებოდით. სწორედ ათეიზმის ხანის პირმშოებმა დაანგრიეთ ეს ქვეყანა, აქაოდა, ღმერთი არ არსებობს, ჩვენ ვართ, ვინც ვართო! გაიძახოდით... იმას კი ვერ ხვდებოდით, საცოდავებო, რომ იმ ტოტს ჭრიდით რომელზეც იჯექით. ხალხს, ქრისტეს ჯვარის ნაცვლად ანტიქრისტეს სურათი დაჰკიდეთ გულზე და მთელი სამოცდაათი წელი მკერდით ატარებინეთ, აი, შედეგიც... დამდგარხარ ახლა ამოდენა კაცი და წუწუნებ.

– რას გადამეკიდე ვიღაცა ხარ, მე რა ბრალი მიმიძღვის ქვეყნის დანგრევაში, ერთი უბრალო ინჟინერი ვიყავი და ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებდი.

– ცოტ-ცოტა ყველამ დააშავეთ, ერთად კი ბევრი გამოვიდა. შენ ახლაც აშავებ გიორგიჩ! არ გინდა ცოლშვილს დაბეჩავებული ეჩვენო და თავს იმთვრალიანებ, ამით ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემას ემსგავსები, სინამდვილეში, დარდით და ვარამითა ხარ მთვრალი და თუ დროზე არ გამოფხიზლდი, ამ სატანჯველს თავს ვერასოდეს დააღწევ. ირგვლივ მიმოიხედე მეგობარო! დაინახე ხალხი რითი ცხოვრობს, სულდგმულობს. დაივიწყე ათეისტი რომ იყავი, ადი გელათში, სანთელი დაანთე, ღმერთს პეტიება სთხოვე, გულმოწყალეა უფალი, არ მიატოვებს გასაჭირში მის მძებნელს.

– ეჰე, შენ რამდენი რამ გცოდნია, მე კი ზერელედ გისმენდი. რამდენი წიგნი წამიკითხავს, მისწავლია, მსგავსი რჩევა კი დღემდე არავის მოუცია. ,,სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს'' – ხომ გაგიგონია ხალხური ანდაზა. გული გაიმაგრე, რა დიაცივით ჩამოგტირის სახე,კაცი ჭირში გამოიცდება, ისე ლხინის გემოს ვერ გაიგებს. ახლა ძილის დროა, გატყობ დაიღალე.... საწოლში გვერდი იცვალა და უჩინარი მოსაუბრეც გაქრა, თითქოს ოთახის რომელიმე ბნელ კუთხეში გაუჩინარდა.... კარგა ხანს იწრიალა, მერე როგორც იქნა ჩაეძინა.... დილით სააბაზანოში თავი მოიწესრიგა, მერე გარდერობიდან საგარეო ტანსაცმელი გამოიღო, ჩაიცვა, ეგონა პირველად იცვამდა ასე სუფთად. ცოლი შორიახლოდან უცქეროდა მეუღლის ამ ცვლილებას და ვერ გაეგო რა ხდებოდა.... შინიდან უხმოდ გავიდა, სადარბაზოშიც არავინ შეხვედრია; დინჯი, მშვიდი ნაბიჯებით გადაჭრა მოპირდაპირე ქუჩა... კარგა ხანს იდგა გაოგნებული თეთრ ხიდზე, თვალს ადევნებდა რიონის მოდგაფუნე ტალღებს, მკერდი ძალუმად, მამაკაცურად უცემდა... სხვა გზა არაა – ამოუტივტივდა თავში საშინელი აზრი... ამ დროს მის ყურთასმენას ეკლესიის ზარის ხმა მოსწვდა, შერცხვა თავისი საქციელის, წუხანდელი შეგონებაც გაახსენდა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მდინარის მღვრიე ტალღებს და გზა განაგრძო....კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ ჯიბეები მოიქექა, გაუკვირდა, ორი ლარი და რაღაც ხურდა აღმოაჩნდა, იფიქრა, სანთელის ფული აღარ დეამრჩებაო და ფეხით დაადგა გელათის ტაძრისაკენ მიმავალ გზას, პირველად თავის სიცოცხლეში, თუმცა არავისთვის უკითხავს: ,,ეს გზა ტაძართან მიმიყვანს?'' რადგანაც უკვე ისედაც ჯეროდა, რომ ეს იყო გზა გადარჩენისა.... ტაძარში შესვლისთანავე პირჯვარი გადაიწერა, სანთლები დაანთო და წირვასაც დაესწრო...

სხეულში უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს მხრებიდან მძიმე რამ ტვირთი მოეხსნათ მისთვის. ტაძრიდან გამოსულმა შინისაკენ გასწია, ჯიბეში კიდევ დარჩენოდა ხურდა ფული, მაღაზიაში შევიდა, ორი ცალი პური იყიდა და სადარბაზოში მხნედ შეაბიჯა.... სასტუმრო ოთახიდან უცხო ხმა შემოესმა.

– ნეტა ვინ უნდა იყვნენ? – ფიქრი ხმამაღალი გამოუვიდა – იქნებ ქალიშვილის ამხანაგებია, მათთან მე რა მესაქმებაო და სამზარეულოში შევიდა. ფეხის ხმაზე მეუღლე შემოეგება:

– მოხვედი ოთარ?, აქ სტუმრებია, შენს მოსვლას ელოდებიან.

– ვინ არიან, ცაცა?

– თაკოს მნახველებია, სასიძოც აქ არის.

– სასიძო?, დამანებე რა თავი, იქნება ახლა ვინმე, ჩემსავით ჯიბე გაფხეკილი...

– არა ოთარ, კარგილ ხალხია, გაიცნობ და გაიგებ. როგორც იქნა დაჰყვა ცოლის ნებას, სტუმრებს საღამო მშვიდობისა უსურვა და სათითაოდ ჩამოართვა ხელი ყველას. ერთ-ერთი

სტუმართაგანი, მაღალი, დარბაისელი შესახედაობის მამაკაცი ფეხზე წამოდგა და მასპინძელს მიმართა:

– ბატონო ოთარ! ჩვენ მეტად კეთილი საქმისთვის მოვედით თქვენს ოჯახში. ჩვენს შვილებს ერთმანეთი უყვართ, ნუ გაგიკვირდება, მეც ახლახან გავიგე. ინსტიტუტი ერთად დაამთავრეს, მერე მე ჩემი ოჯახით რუსეთში წავედი, ახლა დროებით ვართ ჩამოსულები, თუ თქვენი ქალიშვილი თაკო თანახმაა და რა თქმა უნდა, თქვენც, დღესვე დავნიშნავთ, ერთი კვირის მერე ქორწილს გავაჩაღებთ.

– ბატონო ანდრო, ნამდვილად გაოგნებული ვარ, თუ მაცლით გონს მოსვლას კარგი იქნება.

– აქ საჭოჭმანო არაფერია, ამოდენა გზა მისთვის გამოვიარეთ ამათი ბედნიერებით გაგვეხარა. თაკო მორცხვად თავდახრილი იდგა მამის წინაშე.

– თავი ასწიე შვილო, თუ ერთმანეთი ნამდვილად გიყვართ დე, იყოს უფლის ნება.... სასიძოს, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, თვალები უბრწყინავდა, ეგონა დიდი დავიდარაბა ატყდებოდა და რადგან ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მორიდებულად იკითხა:

– შემიძლია საცოლეს გადავეხვიო?...

ანდრომ მეუღლეს წასჩურჩულა: – რას გაშტერებულხარ ქალო, სასძლოს ნიშნები შეაბი.... ცაცამ არაყი და ხილი მოართვა სტუმრებს, ოთარიმ სასმისი შეავსო და იქ მსხდომთ მიმართა:

– ასე უბრალოდ პირველი ბედნიერების აღნიშვნა არ ეგების, იქნებ...

– დამშვიდდი ოთარ! მე ვიცი ახლა საქართველოში რანაირად უჭირს ყველას, დღევანდელ დღეზე ბოდიშს ნუ იხდი, რაც შეეხება ქორწილს, ყველაფერზე თავად ვიზრუნებ. დაპატიჟე ვინც გინდა, შეზღუდვა არ იქნება; ქორწილის მერე ისევ მივდივართ. აქეთ სამი ბინა გავყიდე იქით რომ საქმე წამომეწყო. თავის დროზე ცხონებული დედაჩემი მსაყვედურობდა რუსის ქალი რომ შევირთე ცოლად, აი, ხომ ხედავ გამომადგა მოყვრები... კარგად იცით რუსეთში როგორ სდევნიან ქართველებს, მე კი ჩემი კნეინან შემწეობით ხელშეუხებელი სიძე ვარ დიდი რუსი ხალხისა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩემი საქართველო მირჩევნია. ნეტა იმ დღეს მომასწრო საქმე ისე გამოკეთდეს ისევ სამშობლოში დავსახლდე, ჯერ-ჯერობით კი სხვა არჩევანი არ მაქვს, ისევ უნდა გადავიხვეწოთ. არნახული სუფრა გაიშალა გერაძეების ოჯახში, გვარიანი ქორწილიც გადაიხადეს... თაკომ მოსკოვში თან ძმაც წაიყვანა. თორნიკეს პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა უცხო მიწაზე ცხოვრება, მერე კი როგორც იქნა შეეჩვია... ერთი წლის შემდეგ ცაცა და ოთარი ძეობაზე მიიპატიჟეს მოსკოვში. იქ ჩასულებს ახალი სიურპრიზიც დახვდათ, შვილიშვილის დაბადებას ვაჟიშვილის ქორწინებაც დაერთო. ოთარიმ ორი წლით ბინა ობოლ ნათესავს დაუტოვა, იმ პირობით, თუ რუსეთში დარჩენას გადაწყვეტდა, ბინას შეღავათიან ფასში გადაუფორმებდა. ცაცას არც გაჰკვირვებია მეუღლის ასეთი გულხვაობა. საწყენი კი ის იყო მხოლოდ, რომ კიდევ ერთი ქართული ოჯახი სტოვებდა სამშობლოს და უცხო ქვეყანაში მიდიოდა. აი, სწორედ ამათზეა ნათქვამი; ,,ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვაო''.

სინანულის ცრემლები

ნოველა

უმისამართო ბარათები მარტოხელა ქალის დღიურიდან:

– შორს, ჭაღარა ნისლით დაბურულ მთებს გავცქერი, იქ, სადღაც ჩემი ლამაზი ოცნება დამრჩა. დგება ჟამი, როცა გინდა საკუთარი სახელი დაარქვა ყველაფერს. რა არი ჩვენი ცხოვრება, თუ არა ერთხელ თვალის გახელა.

ვცდილობთ, საკუთარი აზროვნების ნეგატივში ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია ჩავატიოთ.

ადამიანის უპირველესი დამთრგუნველი მისი მარტოობაა; ამ მღვრიე, პირავყია წუთისოფელში რთულია ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

მივუყვები ნაცნობ შარა-გზას დაღლილი, გულჩათხრობილი, საკუთარ ცხოვრებაზე დაბოღმილი, ამ დროს არ მინდა ვინმე შემხვდეს, ხმის გაღებაც კი არ მსურს. ყურს იმ გულისნადებს მივაპყრობ, ჯერ კიდევ ცოცხალს, ჩაუმქრალს,სანამ არ ჩაფერფლილ- ჩანავლებულა, პატარა ნაპერწკალს, სულის შებერვის მოლოდინში გარინდებულს, რომ ისევ აინთოს, კოცონივით აბრიალდეს...

ფიქრებში გართულს ნაცნობი ფრაზა მახსენდება: ,,სხვანაირად ვაპირებდი ცხოვრების მოწყობას", თუმცა წლები ხელში ცვილივით შემომადნა... ის დრო გამახსენდა, როცა ოცნების ფრთებით დავქროდი აღმა-დაღმა. განუმეორებელი ხანაა ახალგაზრდობა, სიცოცხლისა და ნეტარების უმაღლესი მწვერვალია, მითუმეტეს თუ შეყვარებული ხარ, სხვა თვალით ხედავ და აღიქვამ სამყაროს.

სიყვარული ლამაზი ყვავილივითაა, დაკრეფის შემდეგ დიდხანს რომ ვეღარ ძლებს, ფერს იცვლის და ჭკნობას იწყებს, ამისათვის კი არ უნდა მოწყვიტო, ხშირ-ხშირად მორწყო და მოუარო...

მარტოობის წლებმა უსასრულო მწუხარების კვალი დამამჩნია, მალე სიბერე მოვა, უცხო, უხამსი, უსახური.თითქოს არ ვნებდები დროის ცვლილებას, მშვიდად, უჩვეული ნაბიჯებით გადავდივარ სარკმლიდან, ფარდის მიღმა რჩება უსულო სხეული...

...გახსოვს? როდის იყო, აღმართს ერთად მივუყვებოდით, იმედითა და რწმენით აღვსილნი. ნელი,საამო ნიავი ქროდა. ხმელ ფიჩხებს ფეხქვეშ ტკაცანი გაჰქონდათ. თითქოს დრო შევაჩერეთ... ეს იყო წამი,თუნდაც წამის მეათასედი... მერე კი გაჰქრა, მიინავლა ყველა ოცნება...

...შემოდგომა ახლოვდებოდა, ფრინველები თბილ ქვეყნისაკენ აპირებდნენ გაფრენას, შენც მათ გაჰყევი, შორს, ძალიან შორს წახვედი. ჩემში კი დარჩი, ვით სიჭაბუკის ტკბილი ოცნება.

ყოველი ფრაზა ქალის მიერ გრძნობით წარმოთქმული, სევდისა და თანაგრძნობის მომგვრელი იყო. ვკითხულობდი ბარათებს უმისამართოს, უადრესატოს და გული სიბრალულით მევსებოდა.

– წვიმდა, ნელი, საამო ნიავი ქროდა, მომიახლოვდი, შენს სუნთქვას ჩემს სახესთან ვგრძნობდი..

– დასველდები! – მითხარი და მოსასხამი მომახურე. სულ ერთიანად ვცახცახებდი, რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე. გაოგნებული მომჩერებოდი. შენმა აჩქარებულმა სუნთქვამ შემაკრთო...

– წადი! არ მომეკარო!– ეს სიტყვები ჩემდა უნებურად წამომცდა. შენთან სიახლოვეს ვნატრობდი, ეს წამიც დადგა, მე კი ხელი გკარი. ცივად შეტრიალდი, არც დამემშვიდობე,საკოცნელად გამზადებული ტუჩები მოგეკუმა, თვალებიდან ნაპერწკლები გცვიოდა... დავრჩი ერთ ადგილას დაქვავებული.

წვიმას გადაეღო, მთვარეც გამოსულიყო ღრუბლებიდან. მინდოდა მეყვირა: ,,შეჩერდი", კრინტი ვერ დავძარი. იმ წამში საკუთარ თავს სასტიკი განაჩენი გამოვუტანე, მარტოობისა და მიუსაფრობის განაჩენი...

.... გაფრინდა ის ლამაზი წლები და თან წაიღო ჩვენი ფიქრები, ოცნებები...ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა, შენ კი თვალი ჩემსკენ გეჭირა, ვერავის ამჩნევდი; მე კი სწავლის წყურვილით შეპყრობილი საჭირო დროს ვერ გითმობდი; ამაოდ ცდილობდი ჩემთან დაახლოებას, თუმცა ამის ნებას არ გაძლევდი...

ქარაფშუტა გოგოები,რომლებსაც შენი მოხიბვლა უნდოდათ, დამცინოდენ: ,,ასეთ ბიჭს ხელს როგორ კრავო", ერთ–ერთმა ისიც კი მითხრა ნიშნის მოგებით:,, ერთ მშვენიერ დღეს შენს სატრფოს მე დავითრევ და მშრალზე დაგტოვებო." იხტიბარი არ გავიტეხე და მივახალე: ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს...

მეგონა შენთან ურთიერთობა სწავლაში ხელს შემიშლიდა, მინდოდა რეალობას გავქცეოდი, მიყვარდი!

განა არ მიყვარდი?, მაგრამ შენ ამას ვერ გრძნობდი, ამის გაგების საშუალებას მე არ გაძლევდი, ბოლოს მოგწყინდა ჩემი ხვეწნა – მუდარა, მეც ,,წადი" გითხარი და შენც უსიტყვოდ დამიჯერე... მთელი ამ წლების მანძილზე ვცდილობდი გულიდან ამიმეგლიჯე, ვერ შევძელი... დამთავრდა ყველაფერი... დაგკარგე სამუდამოდ, ამაში ბრალი მარტო მე მიმიძღვის, ჩემი უარი, რომ არა, ახლა უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი, ჯიუტი და თავკერძა ვიყავი, ახია ჩემზე რაც დამემართა, ახი!...

გზა უფლისაკენ....

ო, ღმერთო ჩემო! მარტოობამ დამღალა, უნუგეშოდ დარჩენილმა შენ შემოგგვედრე, მხოლოდღა შენი იმედით ვცოცხლობ, მჯერა, არ მიმატოვებ განსაცდელში გზააბნეულ ცხვარს... განმინათლე გონება, შემაძლებინე,

დარჩენილი სიცოცხლის წლები შენზე ლოცვაში და სინანულში გავატარო, რადგან, ,,არ არის ადამიანი უნუგეშო, შენზე მონდობილი, არც მარტოსული, არამედ ჰყავს ნუგეშისმცემელი"...

— უაზროდ ვიხეტიალე ამ წუთისოფელში, რასაც თვალი დავადგი, რასაც ხელი შევახე გაიცრიცა და გაცვდა, უფერული, უსახური გახდა, ამიტომაც გული ვერაფერს დავუდევი... ბოლოს გადავწყვიტე ჩემი ცრემლიანი ისტორია ვინმესთვის მეამბნა. გამოჩნდა კიდეც ერთი კეთილი ადამიანი, ვინაც გულისყურით მომისნინა, ჩემთან ერთად ცრემლიც ბევრი ღვარა... მადლობელი ვარ ღმერთო! რომ საშუალება მომეცი, ვინმესთვის გული გადამეშალა, რათა ნაწილობრივ მაინც გავთავისუფლებულიყავი ამ მძიმე ტვირთისაგან...

...გადის წლები და წუთისოფლის ბორკილებისგან თავს ვერ ვიხსნი, საუკუნო პატიმრად ვრჩები ჩემი უიღბლო სიყვარულისა.... დავეხეტები უსასოო მწუხარებაში დანთქმული, არც არავინ მესალმება, არც არავინ მეძებს... ზოგჯერ მდინარის პირას ჩამოვჯდები, დაქანცულ ფეხებს წყალში ჩავაწყობ და ასე გავცქერი დასალიერს– უსასრულო სივრცეს...

... უეცრად ღიმილი მომინდა, ნაღვლიანი ღიმილი... მზეს გავუღიმე-შემოქმედის თითების ნამოქმედარს, ისიც კი შემომწყრა, ღრუბლებს მიეფარა და მრუმე ფარდის მიღმა უცქეროდა ჩემს მარტოსულობას... გავიფიქრე: აღარაფერი შველის ჩემს ჩაღამებულ სიცოცხლეს... ერთი... ორი... სამი ნაბიჯი და დამთავრდება ყველაფერი... დამთავრდება კი?!...

...წამიერად თვალწინ გამიელვა ბავშვობის წლებმა, დედასთან გატარებულმა, მცირე, მაგრამ მაინც ბედნიერმა წლებმა...იმ წელს, სკოლა რომ დავამთავრე, დედა გარდამეცვალა, ეს იყო პირველი თავზარდამცემი ამბავი, რამაც მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება... ამის შემდეგ კიდევ უფრო სევდიანი და გულჩათხრობილი გავხდი. ასე მეგონა მთელი სამყარო ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულიყო... მალე, მამამ მეორე ცოლი შეირთო. არ იყო დედინაცვალი ცუდი ქალი, მაგრამ დედისმაგიერი სახლში მაინც ვერ ავიტანე. ვგრძნობდი, არც მამა იჩენდა ჩემ მიმართ დიდ ყურადღებას... პედ-ინსტიტუტში მოწყობის შემდეგ შინიდან წამოვედი...ერთი წლის თავზე, გავიგე ნახევარძმის დაბადების ამბავი.

არც დავინტერესებულვარ, მენახა... მას შემდეგ სოფელში ერთხელ ჩავედი, ისიც მამაჩემის დასაფლავებაზე. ყველაზე მეტად გული იმან მატკინა, რომ მამა დედაჩემის გვრდით არ დამარხეს. ჩემი ნახევარძმა მაშინ თორმეტი წლის იყო, ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო მასთან დაახლოება ვერ შევძელი. მას შემდეგ მათი ამბავი არც მიკითხავს... ძალიან ვნანობ, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. რა გაეწყობა, დაღვრილ წყალს ვეღარ ავხვეტავ...ორმოცდაათ წელს მივუკაკუნე, სიბერე კარს მომდგომია, გვერდით კი არავინ მყავს, ვინც ჩემზე იზრუნებს. ვინ იცის, ნახევარძმისადმი ოდნავი ყურადღება რომ გამომეჩინა თავის დროზე, ასე უპატრონოდ ქუჩაში არ დავრჩენილიყავი. იგი ახლა დაცოლშვილებული იქნება, მამაჩემის კერა ისევ ენთება, მე კი....აი, ჩემი ბოლო განაჩენი – თვითმკვლელობა!...

...ო, არა, უფალი არ მაპატიებს ამ უგუნურ საქციელს... მაგრამ მაქვს კი უკან მოსახედი?...

– ,,შეჩერდი!" – მესმის მკაცრი ხმა– უფლის მიერ ნაბოძებ სიცოცხლეს ვერ ხელყოფ, ადამიანო!...

ვინ მოგცა ამის უფლება!... – უეცრად გონს მოვეგე, სიმწრით წამოვდექი და შინისაკენ ფეხათრევით წავლასლასდი...

აქ მთავრდებოდა ჩანაწერი, რომელიც ხელთ მქონდა, ძალიან მაინტერესებდა მისი შემდგომი ბედი. არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, თავს რაიმე ხიფათი ხომ არ აუტეხა...

ერთ-ერთ საავადმყოფოში ახლობლის სანახავად მივედი, ყური მოვკარი, მედდები ვიღაც უპატრონო ავადმყოფს ახსენებდნენ, სახელიც გავიგონე–ციცო. დავინტერესდი, ის ქალი ხომ არ იყო, ჩანაწეწები რომ გადმომცა. ექთანს ვთხოვე შოროდან მაინც დაენახვებიათ უცნობი პაციენტი. პალატაში შეხედვისთანავე ვიცანი, ის იყო...

აი რა მიამბო მედ-პერსონალმა:

– სამი დღის უკან ერთმა მეთევზემ გონწასული ქალი სააყადმყოფოში მოიყვანა. მამაკაცმა მისი ვინაობა არ იცოდა. არც არავითარი საბუთი თან არ ჰქონდა, ჩანთაში მხოლოდ მისი ჩანაწერები ეწყო, რომლის ბოლო გვერდზე იყო წარწერა: ,,ტანჯული – ციცო''.

მეთევზის საუბრიდან:

მდინარეზე სათევზაოდ ხშირად დავდივარ, მაგრამ სამი დღე გადაუღებლად წვიმდა.

ამიტომ შინიდან არ გავსულვარ. დღეს უხალისოდ ჩავიარე მდინარის პირას, ფიჩხს ვაგროვებდი და ამ საბრალოს კი წავაწყდი. ჯერ მკვდარი მეგონა, პოლიციის გამოძახება მინდოდა, როცა ახლოს მივედი, დავინახე, დროგამოშვებით სუსტად სუნთქავდა. იქვე,

ახლოს ვცხოვრობ, მეუღლის დახმარებით შინ მივიყვანე, მერე სასწრაფო გამოვიძახე, ეს

იყო და ეს, მეტი მე არაფერი ვიცი მის შესახებ.

მთავარი ექიმის მოსვლამდე, მორიგე ექიმმა გასინჯა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია, ამ დროს ისიც მოვიდა, პაციენტი გულდასმით გასინჯა, მერე მედდას რაღაც გადაულაპარაკა და მე მეკითხება:

– თვენი ახლობელია?

არა, უბრალოდ, ნაცნობია ვუპასუხე ექიმს.

– სახელი და გვარი მაინც არ იცით?

– ვიცი, რომ ციცო ჰქვია.

– ციცო... ციცო...გაიმეორა ნაწყვეტ- ნაწყვეტ ექიმმა და კიდევ უფრო ინტერესით

დააჩერდა ავადმყოფს– საიდანღაც მეცნობა...

– არა მგონია–ჩავერთე საუბარში ექიმს – ერთი უთვისტომო ქალია, რომელმაც

ცხოვრება ვერ აიწყო.

– კიდევ რა იცით მის შესახებ!–მუდარა იგრძნობოდა ექიმის ხმაში.

– მან ცოტა რამ მიამბო თავის ცხოვრებიდან, თუმცა არა მგონია დაგაინტერესოთ.

– მაინც რა გიამბოთ?

შეყვარებული ჰყოლია ვინმე გიორგი, თავისი თანასოფლელი, რაღაც უბრალო მიზეზით

დაშორებულან, მერე კი მთელი ცხოვრება მისტიროდა დაკარგულ სიყვარულს. მძიმე ტვირთად ატარა მარტოობა და აი, შედეგიც.

არა!,ეს ქალი ნამდვილად ის არის ღრმა ფიქრებში წასულმა, ხმამაღლა წამოიძახა ექიმმა–

ეს ქალი ციცო კი არა მეგი იმედაძეა, ჩემი ყოფილი შეყვარებული, ვისზე ოცნებაშიც გავლიე სიჭაბუკის წლები და გზაზე შემომაღამდა...

– უკაცრავად, მე ამ ქალის ცხოვრებაზე მოთხრობას ვწერ, ეს დღიურებიც გამატანე–ვთხოვე

ექიმს.

– თქვენ მწერალი ბრძანდებით?

– დიახ!

– თქვენი სახელი?

–მარინე!

– ჩემი გიორგი–გამეცნო ექიმი.

–კეთილი.

– ქალბატონო მარინე, იმ მოთხრობაში ჩემი ადგილი იქნება?

– ბატონო გიორგი, მთელი მისი დღიურები თქვენ გეძღვნებათ და თუ ახლა კიდევ ისეთს მიამბობ, რაც მე არ ვიცი, მზად ვარ მოგისმინოთ.

– დიახ, გიამბობ, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ჯერ დავრწმუნდე მის გამოჯანმრთელებაში.

სანამ ავადმყოფი კომაში იყო და კრიზისის გადალახვას სულმოუთქმელად ველოდით, ექიმი საუბარზე დავიყოლიე.

გიორგის ნაამბობიდან:

მე იმას გიამბობ, რასაც მეგის არ შეეძლო ცოდნოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, შეძლებული მშობლების წყალობით სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელე. დღეს როგორც მხედავთ ექიმი ვარ... ვინ იცის რამდენი პაციენტის სიცოცხლე მიხსნია სიკვდილის კლანჭებისაგან, ეს საბრალო ჯერ გონსაც ვერ მოვიყვანე... ბოლო სიტყვების შემდეგ მის ცხოვრებაში ჩარევა უადგილოდ ჩავთვალე, ვიფიქრე, აღარ ვუყვარდი, ის კი ჩემსავით მარტოდ- მარტო დარჩენილა... რატომ, მეგი!, რატომ მკარი ხელი, თუ ასე გიყვარდი, მეც დამტავჯე და შენი თავი გაიუბედურე. ამ ხნის მანძილზე ვერავის შეყვარება ვერ შევძელი, შენ დარჩი ჩემთვის ერთად-ერთი და განუმეორებელი სიყვარული...

ყურს ვუგდებდი ექიმის საუბარს და გული სიბრალულით მეთუთქებოდა.

მე, დღევანდელ გაცნობილ ადამიანს მან გული გადამიშალა.

რა არის კაცის ცხოვრება: ორი სიყვარულით ანთებული გული ჯერ ერთმანეთს დაშორდა, ახლა როცა მათი მზე საშუადღოზე გადახრილა, ისინი ერთმანეთს ისევ შეხვდნენ, ერთი როგორც გამოჩენილი ექიმი და მეორე პაციენტი–გრძნობადაკარგული და ტანჯვის იარებით გულდასერილი.

უსაზღვროა მწუხარება, როცა ხედავ საყვარელ ადამიანს, სიკვდილის აჩრდილთან მებრძოლს და შველა კი არ შეგიძლია, მიუხედავად იმისა, ექიმი ხარ და თანაც გამორჩეული...

– რადაც არ უნდა დამიჯდეს უნდა ვუშველო– გარკვევით, ხმამაღლა წამოიძახა ფიქრებში წასულმა ექიმმა და პალატიდან გავიდა.

გადიოდა დღეები, მეგის ჯანმრთელობა დღითი-დღე უარესდებოდა.

ავადმყოფის დღიურიდან:

დღეს სკოლაში ადრიანად წავედი, პედაგოგს დაგვიანება არ შეჰფერის, მერვე კლასში პირველი ორი გაკვეთილი საკონტროლო წერა მაქვს. მთელი მონდომებით ვესაუბრე ბავშვებს თემის ირგვლივ. გულისყურით მისმენდნენ, შეკითხვებიც საინტერესო დამისვეს, ასე, რომ დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ...

მეხუთე დღეა, მეგი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. რადგან ბოდვა დაიწყო, იმედიც გაჩნდა, აგონიაში მყოფი ავადმყოფი ვინმე გიორგის უხმობდა, მაშინ როცა მთავარი ექიმი თავზე დაადგა.

— გიორგი, შენა ხარ?, დაბრუნდი?, მაპატიე ხელი რომ გკარი?, თუ ასეა, მაშ მოდი, ახლოდან დამენახე, დავაჟკაცებულხარ!...ხედავ რა ცუდად ვარ?– ბოდავდა ავადმყოფი.

– ჰო, მე ვარ ჩემო სიცოცხლევ!– პასუხობს ექიმი აგონიაში მყოფს.– დავბრუნდი, ყველაფერი გაპატიე, შენც მომიტევე დღემდე რომ არ მოგძებნე, ახლა ისევ შენთან ვარ...

ავადმყოფს მისი სიტყვები არ ესმოდა, ექიმი საწოლთან ჩამოჯდა, მეგის ხელს ხელი ფრთხილად შეახო, დაიხარა და ნაზად აკოცა.

თითქოს იგრძნო ავადმყოფმა, ახლობელი ადამიანის სიახლოვე, ბოდვა შეწყვიტა, შეიშმუშნა და თვალები არც გაუხელია, ცრემლები ისე წამოუვიდა.

არ ელოდა გიორგი საყვარელ ადამიანთან ასეთ შეხვედრას. მშობლები კარგა ხანია გარდაეცვალნენ, ნუთუ სამშობლოში იმისთვის დაბრუნდა საყვარელი ქალი ასეთ დღეში ეხილა?... შველოდეს მაინც რამეს...

ავადმყოფის დღიურიდან:

ჯანმრთელობის გაუარესების გამო თავს ვანებებ მასწავლებლობას, უმუშევარი ვრჩები. ბავშვებთან მუშაობას დიდი ენერგია სჭირდება, მე კი დღითი-დღე ვიფიტები. თვალების ოპერაციას ჩემი საცხოვრებელი ბინა შევწირე, სანაცვლოდ ერთოთახიან დაგირავებულ ბინაში გადავედი... დღეს ერთი ქალი გავიცანი, დავმეგობრდით კიდეც, ჩემი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი ვუამბე, დამპირდა, მოთხრობას დავწერ შენზეო. გამეცინა, რა საინტერესო ჩუმი ამბავია მოთხრობა რომ დაწერო-მეთქი. მისმა მეგობრულმა საუბარმა გული გამითბო, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა. თავისი მისამართიც მომცა, რამდენჯერ ვეცადე ჩემი დღიურები მისთვის მიმეტანა, ვერ მოვახერხე. ჩანაწერები, რაც დაკარგვას გადამირჩა, პირველი შეხვედრისთანვე მას მივეცი, იმ ქალს მარინე ჰქვია, ნამდვილად ასეა არ დამვიწყებია მისი სახელი...

ექიმი დერეფნის ბოლოში ფანჯარასთან იდგა გაოგნებული, მერე თითქოს გამოფხიზლდა, ისევ ავადმყოფთან შევიდა, დამწუხრებული ჭირისუფალივით დაცქერდა მომაკვდავს, ძალა მოიკრიბა, დაიხარა, მაჯისცემა გაუსინჯა და დარწმუნდა, ამაო იყო მისთვის, ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა. როცა ყველა იმედი ამოეწურა, ,,წმიდა გიორგის'' სახელობის ტაძარში წავიდა, ცრემლების ფრქვევით დაემხო ხატების წინ და ღმერთს შეევედრა მეგის გადარჩენა...

ახლა მხოლოდ სასწაულს შეეძლო მისი სააქაოს მობრუნება...

იმ დროს, როცა გიორგი ღმერთს მეგის გადარჩენას ევედრებოდა, ავადმყოფი საწოლში შეირხა, აწრიალდა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოდისო...სიზმარში უფლის ანგელოზი იხილა: ,,ნუ გეშინია, შენ არ მოკვდები – უთხრა ანგელოზმა, ღმერთმა შეისმინა შენი ექიმის ლოცვა- ვედრება, უფალი მოწყალეა, რწმენით მთხოვნელთ არ მიატოვებს უკუნისამდე... ,,ითხოვე და მოგეცემა, დააკაკუნე და გაგეღება...'' – ეს თქვა ანგელოზმა და გაშორდა. გიორგი ისევ მუხლმოდრეკილი იდგა ტაძარში...ბოლოს ღმერთს თავის მხრიდან მსხვერპლის გაღება აღუთქვა, მეგის ჯანმრთელობის სანაცვლოდ:

...ისმინე უფალო შენი მონამორჩილის გიორგის ვედრება, მეგის ჯანმრთელობის სანაცვლოდ თავს ვანებებ ექიმობას და დარჩენილ სიცოცხლეს შენ შემოგწირავ, ფეხშიშველა მოვალ შენს წმიდა ტაძარში რათა მორჩილება აღდითქვა. – ეს თქვა, პირჯვარი გადისახა, სამჯერ ,,მამაო ჩვენო აღავლინა და ტაძრიდან დიდი რწმენით გამოვიდა...

პალატაში შესულს საოცარი სურათი დახვდა, მეგი საწოლზე წამიმჯდარიყო, გაფითრებული, თუმცა თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალი უკიაფებდა. ამის დამნახავმა მთელი ძალით იყვირა: ,, გმადლობ, შენ უფალო!'' ,,გმადლობ შენ უფალო'' – გაიმეორა კიდევ, – იყოს ნება შენი – ამბობს გახარებული, იხდის ექიმის ხალათს და სკამზე დებს.

– უკეთ ხარ? – კითხავს ავადმოფს კმაყოფილი.

– გიორგი, ეს შენ ხარ? შენ გადამარჩინე?

– არა, მეგი, მედიცინა უძლური შეიქნა შენი სნეულების წინაშე, შენ ღმერთმა გადაგარჩინა.

– ისეთი მორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, უფლისგან ამხელა მადლი რომ მიმეღო...

– დღეიდან ირწმუნებ სასწაულს, დიახ, ეს ხილული სასწაულია.

– ანგელოზი ვიხილე, დიდებული შესამოსელით, მან მითხრა შენს შესახებ, რომ უფალმა შეისმინა შენი ლოცვა.

– ხომ ხედავ ღმერთი არ ცრუობს, ამიტომ არც ჩვენ უნდა ვიცრუოთ მის წინაშე...

– ჩემი სიცოცხლე უშენოდ რისი მაქნისია.

– ეგ არ თქვა, ღმერთია თავად სიცოცხლე, რადგან: ,,ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა, ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღვთის რისხვა დარჩება მასზე'' (იოან.3. 36).

– თუ ასე გადაწყვიტე, მეც დედათა მონასტერში წავალ...

ასე გახდა გიორგი და მეგი უფლის მორჩილები, რამეთუ არა არს ხსნა გარდა უფლის გზისა, აკი გვაფრთხილებს მაცხოვარი:

,,გამოერიდეთ ჩემო ხალხო ბოროტ წუთისოფელს და მე ვიუფლებ შენზე''...

მერაბ ზაქარიაძე



იქ, მისი შვილის გული ძგერდა

(მინი რომანი)

გაკვეთილის დასრულების მაუწყებელმა ზარმა და თავისი ერთადერთი ვაჟის უმძიმეს ავტოავარიაში მოხვედრის, თავზარდამცემმა ამბავმა ერთდროულად მოუსწრო დალის. . - გილოცავთ, ბატონო ვაჟა! დონორი ვიპოვეთ! ახლა, აუცილებლად გადავარჩენ თქვენს ქალიშვილს! ავტოკატასტროფაში დაღუპული ვაჟის დედა დათანხმდა, სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად, გარდაცვლილი შვილის გული დათმოს! . მთელი წელი ეძებდა ნანა თავისი ახალი გულის, ძველი მეპატრონის ოჯახს. . კარებზე ზარის ხმა გაისმა. მერე ისევ. დალიმ კარები გამოაღო. მის წინ ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა იდგა. გრძელი ქერა თმები მხრებზე დაჰყროდა. პატარა გაბუსხული ტუჩები ოდნავ გაეპო. დიდი, თაფლისფერი, გრძნობით სავსე თვალებით და მღელვარე მზერით შესცქეროდა ნაადრევად გაჭაღარავებულ შავოსანს! . -ვინ გნებავთ? . -გამარჯობა დედა! . -დედაა? ! . -გმადლობ, რომ სიცოცხლე მაჩუქე დედა!!! - გოგონამ დედის ხელი აიღო და მკერდზე მიიდო. 22. XI. 20 21 წ.

ეთერი ქელიძე

მზევ შემოდი ჩემში?!

შემოდი მზევ, ჩემში... დამითბე სული შემცივნული...
სული სათუთი, ხან კლდიდან მომსკდარ უსამართლობის ზვავს შეჭიდებული
ხან ერთი ფოთოლის თავზე დაცემით შეშინებული...
ხან ენგურივით აბორგებულ-აბობოქრებული...
ხან გაზაფხულის სიოსავით თავდახრილი და დამორცხვებული..
ხან, მაისის ვარდის ფურცლებად გადაშლილი...
ხან შემოდგომის ხეებივით შემოძარცული...
ხან სიყვარულით ანთებულ-აფერადებული...
ხან ცისარტყელას მანდილ შემოხვეული...
ხან იმედ გაცრუებული, ოცნებების ჩირაღდნით სინათლიდან წყვდიადის ფერხთით დანარცხებული...

ხან ბედნიერ გზაზე ფრთებგაშლილი, მიწიერიდან, ცის კიდის უსასრულობამდე გაფრენილი...
ხან ბედნიერების მოლოდინში ცეცხლის ალივით ჩაფერფლილი...
ხან ცალყბად მომღიმარი, გაბოროტებული და სხვების მსგავსი...
მზევ, შემოდი ჩემში...შენ მზისგული ხარ, სამყაროს გული...
შენ შეგიძლია გაალღო
შვილდაკარგული დედის გაყინული
სხეული.
შენ შეგიძლია სიკვდილს ფერი
უცვალო...
მზევ, შემოდი ჩემში... შემომაცვი შენი
ცეცხლოვანი სამოსი, რომ ღირსეულად
ამათვლევინო გოლგოთის გზაზე
მიმავალი ყველა
საფეხური...დაბადებიდან-
გარდაცვალებამდე...
გაზაფხულის სურნელება სულს აცხე
ჩემსას და აყვავილე, როგორც ჯეჯილი...
გამითბე მუხლი, მუხლი, რომელიც ვინ
იცის რამდენჯერ დაეცა...რამდენჯერ
გაიკაწრა...რამდენჯერ გაიმართა...
თვალი ამიხილე, რათა შევძლო
თვალებზე ლიბრგადაკრულმა მტრის
ნაცვლად მოყვასი არ ავჩეხო...

გული გამინათე, რომ ღვარძლი და ბალღამი იქ ჩავმარხო სადაც ჩემი ქართული ყლორტი უნდა აღმოცენდეს...
გონი გამინათე... უფლისთვის მუხლი მომახრევინე, კაცთათვის მიტევება შემაძლებინე...
მზევ, შემოდი ჩემში, მადლის ზეთი მაცხე, სხვებსაც რომ ვუწილადო სწორედ იმდენი...
წვიმის წვეთებად აქციე წყენა და სიბრაზე, რაც ნებით თუ უნებურად დავიმართე!
მზევ, შემოდი ჩემში... უსიყვარულობისაგანა განკურნე კაცთა მოდგმა...
მომხვიე ხელები და დამითბე გული და გონება, ფიქრი და მრწამსი, სიტყვა და აზრი, ზეცა და მიწა, ერთგული ძაღლი, მიტოვებული ეზო-კარის მეპატრონე...

გამითბე სჯულში ავსიტყვაობით
მომხრჩვალი სული...
სიძულვილისგან განკურნე ობმოდებული
გონება, რათა მტერმა ვერ შეძლოს
გამარჯვება...
მზევ,შემოდი ჩემში, ეს მე ვარ, დედა
ღვთისმშობლის კალთის ნაგლეჯი,
ათიათასჯერ დაჩეხილ სხეულს ვუთვლი
იარებს,
მინდა მალამოდ ვაცხო სული, ათასი
ურჯულოს ხელით გაგლეჯილი და
შეკოწიწებული...
მომეცი ძალი, შენი სხივთა ელვარებით ალესილ ხმალით, მოვსრა ვინც კი ერთი
მტკაველი მიწა ამათალა,
ვინაც მტრულად მოირგო მოყვასის მანტია, ვისაც ვენდე და ვერ მიერთგულა...ვინც ჩემი
ტაძარი თავისად გაიხადა!
მზევ, შემოდი ჩვენში...გაათბე კაცთა გადაჯეგილ ი სულის საწყაო,
სადაც უნდა გავლიო სიცოცხლის დღენი!
შემოაღწიე ჩემ სულში, მზეო, შემოდი ჩემში!!!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ფოლკლორი

სვანური სულის ღაღადისი

იუბილე ღირსეული ხელოვანის, ღირსეულ ქართველს გაეხარდებოდა, პირველ რიგში და ასეც მოხდა. ამ იუბილით გახარებული ემოციას არ მალავდა და ფეხზე დგომით კულისებიდან, ეგებებოდა ბატონი ივერი ქელიძე, კანდიდ მერლანს.

კანდიდ მერლანის ოთხმოცი წლის იუბილე, ერის გამოღვიძებას გავდა. სვანური გაუტეხავი ჯანსაღი სულით, თითქოს საქართველოს ჯაჭვი შემავლეს და სიყვარულის ცეცხლი დაანთეს, ოპერის თეატრში.

ივერი ქელიძე

ყვითელი ფოთლები

მივიხედ-მოვიხედე და მივიწყებულ ფიქრთან შევჩერდი. იმედმა ჩაფიქრებული დამინახა, გამესაუბრა – რა გაწუხებსო – მკითხა.

ყვითელი ფოთლები მაწუხებს, ყვითელი ფერი ჩემში ცუდად ასოცირდება კრძალვით მივმართე იმედს.

ეჰეჰეი! შესძახა იმედმა ყინვისაგან დახრუკულ ფოთლებს, გაუზაფხულეთ, გაუფურჩქნეთ სულის არე პოეტს. „გადანეკერდით“ სანამ დროა მიეშველეთ. დროში იწვება, რას დაფრინავთ ქარის მიმართულებით. ქარი არ დაგინდობთ. პოეტი ქალია, ყველას ეფერება, თქვენ კი აღმა-დაღმა დაეხეტებით, შეხედეთ ქარმა გაძარცვა ხეთა ტოტები, თქვენც ძირს ჩამოგყარათ, ხალხის ფეხის სათელად. დაიბრუნეთ პირვანდელი ბედნიერება, კვირტად იქეცით, აი, თოთო ნეკერს, რომ ეძახიან ისე. „გადანეკერდით“.

იმედო, ჩვენ ჩვენი დრო მოვჭამეთ, ძირს ჩამოგვყარა თოვლმა და ყინვამ. იძულებული გავხდით ბედს მივნდობოდით, ქარს გავყოლოდით რათა ცოტა ხნით მაინც შეგვენარჩუნებინა პირვანდელი სახე. დაბლა ხალიჩად როდესაც დავეფინეთ, ფეხით შეგვდგა გამლელი და გამომვლელი მერე წვიმით გვერდები დაგვისველდა. პოეტს რა უშავს ლექსებთან ჩურჩულებს. საღამოს ლექსის მკლავებთან მიწვება და მიიძინებს.

საუბარში ჩამეძინა. სიზმარში ბედი ვნახე, ბედმა ცინიკურად გამიღიმა და საყვედური პირში მომახალა. იმედს რას ეწუწუნებოდი, ჩემთვის გეთხოვა გაზაფხულება, ყველა განაჩერნი ჩემთან იწერება არ გინახია? იანვარში, მზის სხივებით დედამიწა ისე გამითბია, ხეებს კვირტები გამოუსხამს, მერე, გაფურჩქნულა და ნაყოფითაც დახუნძლულა.

გამახსენდა სკოლის პერიოდი, ერთხელ იანვარში ისეთი სითბო იყო, ირგვლივ ტყე და მინდვრები, ყველაფერი აყვავდა, ატამი, ვაშლი და მსხალი, მერე ხეხილმა დაიყვავილა, ნაყოფი გამოისხა, სკოლიდან დაბრუნებისას, ბავშვებმა მეზობლის ვაშლები მოიპარეს. ისიც გამახსენდა, რომ მე არასოდეს არაფერი არ მომიპარია.

გამეღვიძა, სიზმრის შინაარსი გავაანალიზე და ისევ ლექსებს მივუტრიალდი რომელიც არასოდეს მღალატობს, ხან ზაფხულში მამყოფებს და ხან ციგით დამასრიალებს ზამთრის სუსხიან ამინდში. ბედისწერის უფრო ვიწამე ვიდრე იმედის. მაგრამ იქვე სხვა ახსნაც მოვუძებნე ფიქრის კორიანტელს. ბედისწერას წინასწარ ვერავინ გაშიფრავს, ვერავინ გაანალიზებს იმედი კი არასოდეს არ უნდა დაკარგოს ადამიანმა, ასე დავადგინე: ბედისწერა და იმედი უსათუოდ დაძმანი არიან. ლექსი? სულის სიმშვიდეა, ჯანმრთელობაა, სიყვარულია, ახალგაზრდობაა, ისტორიაა, მეცნიერებაა, ხელოვნების ყველა დარგია.

ეჰეჰეი! შევძახე მთებს და კმაყოფილი ლექსის ზღვაში გავუჩინარდი.

სიხარულის ზეიმი

2017 წლის თექვსმეტი თებერვალი რუსთავის მეჩვიდმეტე საშუალო სკოლა. წინა დღით დამირეკეს მეორე „ა“ კლასის პედაგოგმა ქალ. მაია გეგეჭკორი და მეექვსე „ა“ კლასის პედაგოგი ირმა იოსელიანი სკოლაში მისვლას მთხოვდნენ. თექვსმეტ თებერვალს მსოფლიოს მაშტაბით წიგნის კითხვის დღეს აღნიშნავენ და ჩვენი წვლილი გვინდა შევიტანოთ ამ მეტად მნიშვნელოვან დღესთან დაკავშირებით.

თხუთმეტში ჩემი მეგობრის ლამზირა შეყილაძის პოეზიის საღამო მოაწყვეს რუსთავის ბიბლიოთეკაში. ძალიან თბილი და ლამაზი საღამო ჩატარდა, თბილისიდან ჩამოსულები იყვნენ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრები, ყველამ დიდი სითბო გამოიჩინა პოეტის მიმართ.

ნელი ლიქოკელი, სოფო შავიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, ვახტანგ სხირტლაძე და პედაგოგი მაია გეგეჭკორი.

თექვსმეტში აუცილებლად სოფელში უნდა წავსულიყავი, რისთვის? ამას არ დავწერ მტკივნეულია ამის თქმა ჩემს გარდაცვლილ შვილს ეხება და თავს შევიკავებ. პედაგოგს თანხმობა უთხარი მოვალ ყოველ მიზეზის გარეშე.

მარტო წავედი არავინ შემიწუხებია, კარებში თბილად შემხვდენ პედაგოგები. დირექტორი ვიკითხე ქალბატონი ნელი ლიქოკელი, მითხრეს თავის ოთახშიაო და გზა გავაგრძელე.

ქალბატონი ნელი ნაზი ქალური სიდარბაისლით შემეგება და ცოტახნით საუბარი გავაგრძელეთ. მოვიკითხე ყოფილი დირექტორი ქალბატონი გურანდა სირბილაძე, ახლა იგი სასწავლონაწილია, აღსანიშნავია მათი ურთიერთობა, ტკბილი-მეგობრული, მათთვის სკამი არაფერს ნიშნავს, მთავარი ბავშვების აღზრდა და ერთმანეთის პატივისცემაა, ქალბატონ გურანდას გაკვეთილი ქონდა, ამიტომ მისი ნახვა არ შედგა.

გადავინაცვლეთ აუდიტორიაში სადაც ტარდებოდა ღონისძიება.

მეექვსე კლასი და და მეორე კლასი იყო გაერთიანებული, მეორე კლასელები სკამებზე ისხდნენ, დიდები ფეხზე, მაგრამ ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნიდნენ.

მეორე კლასის ყველა მოსწავლეს ჩემი სურათი ხელში ეკავათ და სურათის მეორე მხარეს ამოწერილი ჰქონდათ ჩემი ლექსები. ლექსები იყო ყველა პატრიოტული, ასეთი სიხარული არცერთ ღონისძიებაზე არ მიგრძვნია, ესენი იყვნენ პატარა ანგელოზები, რომლებიც ჩემს სულში იყვნენ, მამშვიდებდნენ და თითქოსდა მეუბნეოდენ, ჩუ, ნუ სტირიო ქალბატონო, შეხედე როგორი ბიჭი ეზრდება შენ გელასო. ვიჯექი და ეს სიტყვები ყურში ჩამესმოდა, პედაგოგი მაია გეგეჭკორი ფიქრის ლოცვებში გავახვიე. ხოლო მეექვსე „ა“ კლასის პედაგოგი ირმა იოსელიანი, ქების მწვერვალზე ამაყად დასეირნობდა, რადგან ოცდამეერთე საუკუნე კომპიუტერის ხანაა, თითქმის ოთხმოცი პროცენტი მოსწავლეებისა კომპიუტერებით სარგებლობენ, უფრო მეტიც კომპიუტერში სწავლობენ, ან ამზადებენ თემებს. „კომპიუტერი კარგიცაა და ცუდიც. ცუდი იმიტომ, რომ ის უარყოფითად მოქმედებს თვალებზე და თითქმის მთელ ორგანიზმზე, ამიტომ სასურველია, გამოიყენონ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ამ ღონისძიებაზე პედაგოგის მთავარი ლაიტმოტივი დათმობილი იყო წიგნის კითხვას, მეექვსე „ა“ კლასის მოსწავლეებმა წაიკითხეს სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებები. იყო საშუალო და ძლიერი წამკითხველები, რომლებსაც დაულოცავ გზას წინ, მწვერვალებისაკენ.

ხოლო მეჩვიდმეტე სკოლის დირექტორის თვალებიდან მზის ათინათები იფრქვეოდა ირგვლივ, თბილი ხელმძღვანელები ამ დროში იშვიათობაა, ქალბატონი ნელი ლიქოკელი ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონია, მის სულში მზეა და სითბოს ყველა ბავშვს უნაწილებს ამ დღეს ყველაზე მეტი სითბო ჩემი გელას ბიჭს, ვახტანგი სხირტლაძეს შეხვდა. რამაც იმედი ჩამისახა, რომ ჩემს პატარა შვილიშვილს ნაბოლარა ვახოს, რომელსაც თავისი მამიკო აღარც კი ახსოვს სკოლაში სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ, რადგან იგი სამი წლისაც არ იყო როდესაც მამამისი წავი-

და ცის სასუფეველში. მეკი თავს იმითი ვინუგეშებ, რომ თავისი სიკეთიდან გამომდინარე გელას შეხვდებოდა სიმშვიდის სახლი. მე ისიც მჯერა, რომ ის თავისი ერისა და თავისი ცოლშვილის დამცველი იქნება ცის საუფლოდან.

რაც შეეხება სკოლის ყოფილ დირექტორს ქალბატონ გურანდა სირბილაძეს, იმ დღეს არ შემხვედრია, მაგრამ მინდა დიდი მადლობა გადაუხადო იმისთვის, რომ მას თანამდებობის იოლად დათმობა შეუძლია. იმ დღეს გავიგე, რომ მეჩვიდმეტე სკოლის მოსწავლეები წაუყვანია ექსკურსიაზე, არვიცი სად იყვნენ, მაგრამ ჯუმბერის საფლავზე რომ მივიდნენ ეს კი მითხრეს. ეს დიდი ღვთიური დამთხვევა უფლის დიდი მადლი იყო. მამა ამირან ამირანაშვილმა წირვა აღავლინა, ამაღლების ეკლესიაში, ჯუმბერ ლეჟავას სულის მოსახსენებლად ბოლოს აკადემიის წარმომადგენლებმა ღონისძიება ჩავატარეთ გარეთ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ერთ-ერთ ლამაზ დარბაზში „სატრაპეზოში“ სადაც წაკითხული იყო მამა ამირან ამირანაშვილის ლექსები და ბოლოს, აკადემიის ერთ-ერთმა ლიდერმა „ჯგუფზღვარის“ წარმომადგენელმა პოეზიის დიდოსტატმა და ლიტერატორმა სერგი ლომაძემ მამა ამირანს დიპლომი გადასცა. ხოლო კახა ბაციკაძე იგივე ტიტულის მფლობელმა და კულტურის დარგში ყველაზე სულით ამაღლებულმა ახალგაზრდამ სიმღერებით გაახმიანა ეს მნიშვნელოვანი დღე. მამა ამირანს ვინ გააკვირვებს, ხელოვნებით, ის ხომ დამსახურებული მსახიობი, მოცეკვავე, მომღერალი იყო. იყო საერო ცხოვრებაში, მაგამ მჯერა ის დღე ერთი ლამაზი ისტორიაა იქნება მის ცხოვრებაში. მან შეგვისრულა თავის მეუღლესთან ერთად „ღვინო კახურო“, ბატონმა ანზორ ჯაფარიძემ წაიკითხა მისდამი მიძღვნილი ლექსი, მოძღვარი. თემიდან გადაუხვიე და მგონი იმ დღის ღონისძიებაში შევცურდი. ამიტომ აქ წერტილს დავსვამ. უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს ლამაზი დღე დაემთხვა რუსთავის მეჩვიდმეტე სკოლის, ქალბატონი გურანდა სირბილაძის ღონისძიებას. ეს ღვთიური დამთხვევა იყო რისთვისაც ბატონი ჯუმბერის სული, ცაში იზეიმებდა.

დაუბრუნდები მეჩვიდმეტე სკოლას, მეორე კლასელებს შევპირდი, 2017 წლის ხუთ მაისს ჩემი ახალი წიგნის პრეზენტაციას მამა ამირანის კურთხევის და მამა მერაბის მოლოცვის შემდეგ ეს პატარები წარდგებიან იმ პროგრამით, რომელი პროგრამითაც თექვსმეტ თებერვალს გამახარეს. წიგნს ალბათ „ფიქრის ხეივანს“ დავარქმევ, არცერთი ძველი ლექსი არ შევა, და იქნება, სიცოცხლის გაგრძელება, ხოლო ოცდაათ მოსწავლეს გადაეცემა სიგელები აკადემიისაგან.

დალოცვილები იყავით ღვთისაგან და ხალხისაგან ჩემი გახარებისათვის.

დედის დღეზე მორთმეული ძვირფასი სიჩუქარი

2017 წლის ორი მარტი, ჟურნალ ათინათის დაკაბადონება დავიწყე. თბილისში ჭავჭავაძის ცხრამეტშია ეს გამომცემლობა „უნივერსალი“, დირექტორი გოჩა ხარებავა, მენეჯერი იზა ხარებავა, თანამშრომლები: ეკა თანდილაშვილი, ნანა ყანდაშვილი, ირაკლი უშვერიძე. გამომცემლობა „უნივერსალის“ თანამშრომლებს იმდენად შევეჩვიე, ჟურნალის გამოცემიდან გამოცემამდე მენატრებიან. ექვსი წელიწადია მათთან ვთანამშრომლობ, ასე მგონია ჩემი სისხლი და ხორცი არიან. შვილებივით მიყვარან, ნანასთან მიწევს უფრო მეტად ურთიერთობა, რადგან ჟურნალს ის აკაბადონებს. ამას იმიტომ ვწერ, რომ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა არ უნდა მღლიდეს, მაგრამ, ამდენი დარდის მატარებელს, კიდევ რითი მიდგია სული. თუ ვინმე მკითხავს – როგორ ხარ? ჩემი პასუხია: კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?.. პირველად ვატყობდი, ყველას უკვირ-

და, გაკვირვებულები შემომხედავდნენ. ახლა კი შეეჩვივნენ. თვითონ ჩემი მომკითხველები, რომ

მოხსნიან თავიანთ გასაჭირის ფიქრის სკივრს სარქველს, ქვის გული უნდა გქონდეს არ გეტკინოს, არადა ჩემნაირი ტკივილი მტერსაც ააცილოს ღმერთმა. ჰოდა, გზაში შემხვედრი ნაცნობების ტკივილებით დატვირთული შევედი სახლში. არ გასულა დიდი დრო კარები ჩემმა უფროსმა შვილიშვილმა – შემომიღო ბაბო, გილოცავ დედის დღეს! ხელჩანთიდან ჩაის ჭიქა ამოიღო, ჭიქაზე ჩემი სურათი ჩაუხატია ყვავილებით. ისეთი სიფაქიზით ჩამეკონა იმ სიყვარულმა, ჩემი შვილი გელა გამახსენა. არ შევიმჩნიე, ცრემლები ჩუმად მოვიწმინდე, მადლობა გადაუხადე, გულში ძალიან დიდხანს მყავდა ჩაკრული, თვალწინ დამიდგა ჩემი თბილი ბიჭი. ყველა ძალიან უყვარდა, ხელგამოწვდილებს რომ თავისი ხურდებით ანებივრებდა, ამავე დროს ძლიერიც იყო. თამუნამ უმაღლესში რომ ჩააბარა, უხაროდა და ახლაც ასე მწამს, ისევ მამის სული ამხნევებს, ლოცავს ცათა სასუფეველიდან. ათ თებერვალს არც თავისი ბიძა დავიწყებია. ბიძამისს დოქი უყიდა და ვახოსთან ერთად (გელას ბიჭი, რომელიც სამი წლისაც არ იყო, გელა რომ გარდაიცვალა) გამოვიდა და მიულოცა დაბადების დღე.

ჭიქა, რომელიც მე მაჩუქა იმდენად ძვირფასია ჩემთვის, არ გავცვლი ძვირფას განძში.

თვალი შევავლე თაროზე წიგნებს, სევდიანად გამოიყრებოდნენ. დუმდნენ, ფიქრით ჩემი შვილის სულს შევეხმიანე...

დუმდნენ თაროზე წიგნებიც და...
მტვერს ისრუტავდნენ,
რადგან წიგნებიც გამერიდნენ, როს მიმატოვე...
ახლა „თაკოთი“ მზის სხივებით,
დღეებს მირთავენ...
უიმედობა არასოდეს
დამიმარტოვებს.

ჩემი თბილი თამუნა, თავის სიტყვას ლამაზად იტყვის ცხოვრებაში, რადგან ის დინჯად ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება ცხოვრების წლებს. ზოგჯერ ბედმაც გამოსცადა, მაგრამ არ დაიჩოქა, არ გაბოროტდა, პირიქით მის ფაქიზ სულში სიკეთემ იმძლავრა.

ის ჩემი გულის ფეთქვა და...
არის სიცოცხლის წყარო...
მისთვის იმედებს ვკენკავ და...

ღმერთო, გთხოვ გაახარო.

თამუნას ცხოვრება წინაა, ნათელი მომავლისაკენ. ის ბებოს პირველი სიხარული და გულში ჩაკირული სიყვარულია.

ბედი

ბედი მაშინ შეგახვედრებს იმ პიროვნებას, როცა უნდა შეხვედროდი და გაგეცნო.

ჩემი გადასახედიდან სისულელედ მიმაჩნია, იჯავრო ცოცხალ ადამიანზე, ვინც ვერ გაგიგებს და ვისაც ვერ გაუგებ, არ უნდა იზრუნო მის დასაბრუნებლად. რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის შენგან წასული, კერძოდ: გაუგებრობით, ღალატით, თუ ხასიათის არ შეწყობით. ყველა ისეთი რჩება, როგორ ხასიათსაც გამოავლენს პირველ შეხვედრის დროს, ანდა პირიქით, როცა მოასწრებ წლების განმავლობაში მის სახეს აფარებული ნიღაბის შიგნით შეთვალიერებას და დაინახავ, მის რეალურ, შენთვის მიუღებელ ხასიათის პიროვნებას უნდა დაულოცო გზა და მორჩა...

2017 წელია, გაზაფხულს ელოდება დედამიწა ყინვით გათოშილი გულის გასათბობად. მე ერთ-ერთ დაწესებულებაში რიგში ვდგავარ, ოთახში არ ცივა, მაგრამ ერთჯერადი სითბო არ ყოფნით ადამიანებს, ისეთი სითბო უნდათ, გზაში რომ გაყვებათ და სახლამდე მაინც მიაცილებს, თუ სამუდამოდ მათი სულის ბინადარი გახდება ამას არაფერი ჯობს.

მოგახსენეთ, რიგში ვდგავარ და ველოდები ჩემი რიგის ნომერს. გადავათვალიერე ჩემს წინ მდგომი ყველა ასაკის პიროვნებები და ფიქრით გავაანალიზე, რომ დიდხანს დამჭირდებოდა ლოდინი. ჩემს გულს ხშირად ვესაუბრები და იმ წუთშიც შევძახე ჩვენ ხომ უქმად დგომას ვერ ვიტანთ, რაღაც მოვიფიქროთ ძვირფასოთქო და ფეხზე მდგარმა ხელჩანთიდან ჟურნალი „ათინათი“ ამოვაძვრინე, ჩემს ჟურნალში სულის შიმშილს ნამდვილად არ იგრძნობს ადამიანი, ვისაც ოდნავი წიგნისადმი სიყვარული და მოწიწება გააჩნია, პოეზიაზე გავაჩერე ყურადღება. ლამზირა შეყილაძის ლექსი შემხვდა თვალში, ჩავიკითხე ეს სიტყვები, და „თუ დაგჭირდი ჩემო მამულო, ამომაშენე საყდრის კედლებშიო“ წერდა პოეტი. ტელეფონი მოვიმარჯვე, რადგან გამახსენდა მან ერთ-ერთი ლექსის კონკურსში გაიმარჯვა რუსთავის ბიბლიოთეკაში სადაც გადასცეს პრიზი.

„ლამზო“, მოვეფერე ჩემი ერთ-ერთი აკადემიის წევრს, სათნო გულის პატრონს. ახლა მე რიგში ვდგავარ საყვარელო, დრო რომ მომეკლა „ათინათი“ ამოვიღე, თვალში შენი ლექსი მომხვდა, მომეწონა და დაგირეკე ალბათ ამ ლექსით მიიღე ის სიგელი არა? არაო. მიპასუხა პოეტმა, ის სხვა ლექსი იყო. ამ დროს ჩემმა რიგმაც მომიწია, გარეთ გამოსვლისას კი ერთმა ლამაზ თვალება ქალბატონმა შემაჩერა. პოეტი ხართ? შემეკითხა, კი ქალბატონო, რატომ მეკითხებით? იცით, მეც ვწერდი ლექსებს, ადრე კონკურსებშიც ვიღებდი მონაწილეობას, შემდეგ მეუღლე, შვილი, შვილიშვილები – დარჩა და გაიყინა ერთ ადგილზე ჩემი შემოქმედება. თქვენ რომ საუბრობდით, თითქოსდა რაღაც ძალამ მიბიძგა თქვენთვის გული გადამეშალა და სურვილიც გამიჩნდა, რომ ჩემს შემოქმედებას გადაგახედოთ. ქალბატონს დავაკვირდი, მის ხმაში მიმქრალი პოეზიის ვულკანი იმალებოდა, ვულკანი სადაცაა ამოხეთქვას აპირებდა. ქალბატონო, რა თქმა უნდა, გადავხედავ და თუ საჭიროდ ჩავთვლი დაგიბეჭდავ კიდეც, ჟურნალი საჩუქრად დავუტოვე და გავაფრთხილე, უფლის ნაბოძი ნიჭის მიჩუმათება, ღვთისადმი უპატივისცემლობად მიმაჩნიათქო. ტელეფონები გავცვალეთ და ერთმანეთს დავშორდით.

გავიდა რამოდენიმე დღე და უცნობი ქალბატონი მირეკავს, ქალბატონო, მე ჩემს ლექსებს მოგიტანთ თუ მოგეწონებათ დაბეჭდეთ. გაზაფხული იყო მარტის თვე, მისი ლექსები გაზაფხულს ჰგავდა, ათასნაირი ფერებით გადაბარდნილი. ზოგიც კი ტყემლის ყვავილებივით ქათქათებდნენ, თეთრი ლექსები.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში ვგრძნობდი, რომ საკადრის ადგილს დაიკავებდა და ასეც მოხდა ქალბატონი მანანა მიქაძე აკადემიის სრულყოფილი წევრი გახდა.

ფიქრის ხეივანი

ფიქრის ხეივანი ჩემი წიგნის სათაურია, თუ ისურვებთ გასეირნებას, სევდიანი ლექსიდანაც მადლი გადმოვა, ტკბილად დაიმოძღვრებით, ჩემი გულის სითბოთი თქვენი გულებიც გათბება. 2017 წლის ხუთ მაისს ღონისძიება მწერალთა სახლში შედგა. ყოველთვის ვცდილობ, მკითხველს მივაწოდო სიყვარულითა და სითბოთი გაჟღენთილი გულის ძარღვებზე მოსხმული, სისხლის წვეთებით დაღვინებული ლექსები. ეს უფლის წყალობა, დაპურებულ ასაკში მეწვია, ვცდილობ ვიყო თბილი, და პრინციპულიც სევდას მომავლის რწმენა უნდა ჯობნიდეს, მკითხველი არ უნდა დაითრგუნოს.

რუსთავის №17-ე სკოლის დირექტორი – ნელი ლიქოკელი, პედაგოგი მაია გეგეჭკორი და სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ეკატერინე ფხიკიძე მოსწავლეებთან ერთად.

იმ დღეს მაინც ვღელავდი, იმიტომ, რომ სხვადასხვა სკოლის მხატვრული კომპოზიცია უნდა მიეღო და შეეფასებინა დიდ ელიტურ საზოგადოებას, მამა ამირან ამირანაშვილს, საერო ცხოვრებაში დიდ მსახიობსა და სასულიერო გზაზე პირნათლად დამდგარ მამაოს, მწერალთა კავშირიდან, დიდ მწერალსა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურიატს ბატონ რეზო მიშველაძეს, მეცნიერებს: ბატონ სოსო სიგუას და ქალბატონ ლუარა სორდიას. ჯგუფ „ზღვარის“ წევრებს: სერგი ლომაძესა და კახა ბაციკაძეს, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელს ბატონ მანუჩარ მაჩაიძეს, მხატვრებს: ბატონ რეზო ადამიასა და ბატონ ნიკო ხერკელაძეს, ძალიან ბევრ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს.

ქ. რუსთავიდან მეჩვიდმეტე სკოლის მეორე „ა“ კლასის მოსწავლეებს ხელმძღვანელობდნენ პედაგოგი ქალბატონები: ირმა იოსელიანი, მაია გეგეჭკორი და სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ეკატერინე ფხიკიძე, ბავშვებს წინ მოუძღვოდა ვახტანგ სხირტლაძე, ჩემი შვილიშვილი, ჩემი გარდაცვლილი შვილის ვაჟი. რამხელა ტკივილი და სიხარული იყო ერთმანეთში შენივთული, ამას

ვინ გაიგებს, არც არის საჭირო ამის გაგება. ბავშვები კითხულობდნენ ლექსებს დარბაზში არ ცხრებოდა ტაში და სასიხარულო ემოციებით შეძახილები.

თბილისის №36-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შეცვალეს რუსთაველი პატარები, უნდა აღინიშნოს პედაგოგის ქალბატონი ციური ხაჭუას რეჟისორული ნიჭი, იმ დღეს თაობათა კავშირი იყო ერთად გაერთიანებული. უფროს თაობებს, ახალგაზრდები ცვლიდნენ, ახალგაზრდებს მოსწავლეები და ასე შემდეგ.

მადლობა მინდა გადავუხადო, რუსთავის მეჩვიდმეტე სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნელი ლიქოკელს და თბილისის 36-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მაია კვინიკაძეს, დირექტორის გარეშე, ვერც ერთი პედაგოგი ვერ გაბედავს სკოლიდან ბავშვების გამოყვანას, ქალბატონი მაია კვინიკაძე თვითონაც ესწრებოდა ღონისძიებას, რუსთავის დირექტორი ქალბატონი ნელი ლიქოკელი კი გარკვეული მიზეზების გამო არ ესწრებოდა, მაგრამ ჩემი მისდამი პატივისცემა მწვერვალს უტოლდება. პედაგოგ მაია გეგეჭკორის შექება კი იმდენად დიდია, ამაზე ალბათ სხვა დროს დავწერ. ყვავილების გარემოცვაში მოვხვდი გულში სიყვარულის ლამპიონები მენთო, ერთსულოვნების ჟურნალისტების ინტერვიუში განვუმარტე ჩემი წიგნის სათაურის „ფიქრის ხეივანის“ შინაარსობლიობა. „როგორ გავახარე ფიქრის ხეივანი? „სულ ახალ-ახალი საჯიშე დავმყენი, მცველად დავაყენე სულის ჯეირანი, რადგან წარსულზე ეხლაც ვარ ნაწყენი“. ახალ-ახალ საჯიშეებში ჩვენს ახალგაზრდობას ვგულისხმობ, სულის ჯეირანი, ეს პროფესორი ქალბატონი ლუარა სორდიაა, რომელმაც დაწერა ჩემი პოეზიიდან გამომდინარე წიგნი „მადლშემოსილი“. ეს ნიჭიერი ქალბატონი ჩემი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის პოეზიით იმდენად დაინტერესდა, შეუქმნა ჩემს ძმას უკვდავების წიგნი, „ბეჟან ხარაიშვილი ქართული პოეზიის მიმინო“. წარსულის წყენაში ნაგულისხმებია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგული ტერიტორიები.

ახალგაზრდები კი ჩემთვის მზის, ცის სამყაროა, მათით ვცოცხლობ, სერგი ლომაძემ ისეთი წიგნი დაწერა, გზა მწვერვალისკენ, რომ ბატონი რეზო მიშველაძისაგან შექება დაიმსახურა, ხოლო ქალბატონმა ლუარა სორდიამ ძვირფასი კალამი უსახსოვრა ნიჭიერების საპატივსაცემოდ.

ხუთი მაისი, თბილი და ტკბილი დღე იყო, შემომილღო გაყინული გული სითბომ. ყველაზე დიდი სიხარული და იმ დღის გვირგვინი კი ჩემი პატარა იოანე ლობჟანიძის მოსვლა იყო, ჩემი შვილთაშვილის ხილვა.

ჩემი გელას ცოლშვილი, რძალი ეკატერინე, ჩემი თამუნა, თეონა, ვახტანგი, იოანე, დიდი სიხარული და ... ტკივილი გელას არ ყოფნის, მაგრამ მაინც სიხარული, რადგან ჩემი შვილიშვილები თავიანთი, წინსვლით, გაახარებენ ჩემი შვილის სულს, ეხლა კი ქალბატონ ლიანა ოსიაშვილს ერთხელ კიდევ შევეხმიანები, იწამოს ცათა სოფელი, მისი შვილი დათო მელიქიძე, ცის ანგელოზებთან არის, თავისი სიკეთიდან გამომდინარე ღამის ვარსკვლავადაც გვევლინება.

ლიანა ოსიაშვილი ყველაზე იუმორისტული პოეტი იყო ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში, მისი, გამოჩენა ზეიმი იყო ყოველთვის ღონისძიებაზე, მისგან დაწერილი სტატიები, დამაჯერებელი და სიბრძნით სავსე იყო, ბევრჯერ არც ვეთანხმებოდი, იმდენად დიდი ეპიტეთებით მამკობდა, როგორიცაა მაგალითად „ღმერთსა და კაცს შორის შუამავალი“, ბეწვის ხიდზე და ასე შემდეგ... ერთხელ მეუფე თადეოზთან (მირიან იორამაშვილთან) მოვხვდი ოჯახში, მახსოვს მეუფემ შეაქო ქალბატონის დაწერილი სტატია, ტელეფონის ნომერი გამომართვა და დალოცა ლიანა ოსიაშვილი. თუმცა ლოცვაზე ძლიერი გამოდგა ბედისწერა და ... ლიანა ოსიაშვილი დარდის სამოსელში გაეხვია, აი, ასეთი ქალბატონი ჩამოვიდა ჩემს საღამოზე, წაიკითხა ჩემდამი მოძღვნილი ლექსი თბილი, მაგრამ სევდიანი, მოვიდა წი-

თელი ვარდებით შაოსანი ქალბატონი, მე ვგრძნობდი, რომ ჩემი გელას სული და მისი დათოს სული სიხარულით დაგვტრიალებდა თავზე და ჩვენი პოეზიის ამბავი ცაში აჰქონდათ, ჩვენს მეუფესთან და ჯუმბერ ლეჟავას სულთან.

აკადემიის რამდენიმე წევრმა ისურვა რესტორანში წასვლა, რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო, სიყვარულისა და ყურადღების გარემოცვაში მომახვედრეს, ყველა გამოხატავდა სითბოსა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემას.

ღონისძიება გაგრძელდა, ლამზირა შეყილაძე და ანა ბეინაშვილი სადღაც უკითხავად გავიდნენ, მოსვლა დააგვიანდათ, ძალიან გამიკვირდა, რადგან მათ ასეთი რამ არ ახასიათებთ. მოვიკითხე და გავჩერდი, დაველოდე მოვლენებს. ვხედავ ძალიან დიდ ტორტს წარწერებით – ქალბატონ ბელა ალანიას მათთვის დაურეკავს და გაუფრთხილებია, რომ „სურპრიზი“ გაეკეთებინა ჩემთვის, თვითონ კი საზღვარგარეთ იყო მივლინებული. ქალბატონი ბელა ალანია უაღრესად მგრძნობიარე პოეტია, მაგრამ ამხელა ყურადღებას მისგან ნამდვილად არ ველოდი. წარწერა იმდენად ფაქიზად იყო შესრულებული, მართლაც და გავდა დამკვეთს.

მწერალთა კავშირიდან გადმოცემული პრემია კულტურის დამსახურებული ამაგდარის წოდება, შეუფასებელია ჩემთვის, სხვისი არ ვიცი და ჩემთვის ფული არაფერს ნიშნავს. ფული იმას უნდა, ვისაც ფული აქვს. მე უფალს ასე ვეხვეწები: ღმერთო, მომეც რომ ვაპურო მშივრები, შენი მადლი ნუღარ დააგვიანებს“ ხოდა ელემენტარულის საჭიროების შემდეგ მაინც სხვისკენ გავიშვერ ხელს, სხვას ვუწილადებ, მე არას დავიტოვებ.

ამ პატარა ემოციურ წერილს ასე დავამთავრებ, მქონდა ნამდვილად სიხარული დიდ ტკივილთან განუყოფელი.

ყველა პროფესიას თავისი ღირსება აქვს

ხშირად ჩემი თავისათვის დამისვამს კითხვა; რა არის ქართველი ქალისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი აუცილებელი თვისება, რომელიც ისტორიულად მოდგამს ქართველ ქალს და განსაზღვრავს მის ინდივიდუალურობას? პასუხი მარტივია, ოჯახი, შვილების აღზრდა, სამშობლოს სიყვარული.

36-ე სკოლის მოსაწვლეები მწერალთა სახლში „ფიქრის ხეივანის“ პრეზენტაციაზე.

ქალბატონ ციური ხუჭუას კი ღრმად სწამს, რომ დიდია ქართული ლიტერატურისა და მასწავლებლის როლი მსოფლიო კულტურაში.

ყოველ პროფესიას, რომელიც ადამიანს სრულყოფისათვის არის შექმნილი, თავისი ღირსება აქვს, მაგრამ წლების განმავლობაში ასწავლიდე და ტრიალებდე მოსწავლეთა აღზრდის კერაში ეს უკვე ნიშნავს იყო ხვალინდელი დღის შემოქმედი.

ნოდარ დუმბაძის აზრით ოთხ ძირითად საიდუმლოს უნდა ფლობდეს მასწავლებელი პირველი – უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები. მეორე – უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის. მესამე – ჰქონდეს უნარი, ეს სიყვარული სხვასაც შეაყვაროს როგორც უკურნებელი სენი, მეოთხე – ჰქონდეს ცოდვა-მადლის, ანუ სიმართლის გაჩენისა და მოთმინების დიდი უნარი.

ქალბატონი ციური ფლობს ამ ოთხ საიდუმლოს, რომელსაც უშურველად ანდობს თავის კოლეგებსაც. ასეთი სიყვარულისა და ნიჭის მატარებელი აღარ გამკვირვებია ის ფაქტი, რომ იგი არაჩვეულებრივი პროგრამით წარსდგა ამაწლის ხუთ მაისს მწერალთა სახლში, ჩემი წიგნის, „ფიქრის ხეივანის“ პრეზენტაციაზე. ციური მასწავლებელი ცდილობს სულიერი სამოსით შემოსოს მოსწავლეები, სკოლიდან სახლში დაბრუნებულ მოსწავლეებს ხვავრიელ საგზლად დიდ სიყვარულს ატანს. სიახლით დაჯილდოვებული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს, მას გააჩნია ტაქტი, რწმენა, და უნარი საკუთარი შემოქმედებისამდი. მის მიერ შედგენილი სცენარი დაიბეჭდა ჟურნალ „ათინათში“.

აქვე მინდა ავღნიშნო ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორი ქალბატონი მაია კვინიკაძე ხელს უწყობს, არამარტო ციური მასწავლებელს, არამედ მთელ პედკოლექტივს ამიტომაა, რომ თბილისის 36-ე საჯარო სკოლა ბევრჯერ იზეიმებს გამარჯვებას. ეს სკოლა მიყვება 167-ე სკოლის კვალს და აკადემიისაგან გაიგონებენ თბილ და სამადლობელ სიტყვებს.

2017 წელი 26 მაისი

2015 წელს, 26 მაისს, უწმინდესმა და უნეტარესმა – ილია მეორემ დალოცა ხარაიშვილების გვარი. ამ დღეს სხვა გვარებიც ეზიარნენ ღვთით კურთხევას. მაგრამ, რადგან ჩემში ხარაიშვილების გენი და სისხლია, ვალდებული ვარ, ჩემს გვარზე ვისაუბრო.

ხარაიშვილები ფიზიკურად ძლიერები, ნიჭიერები და პატრიოტული სულის მატარებლები არიან. აქვთ სამშობლოს დიდი სიყვარული და მოყვასისადმი ერთგულება... და მაინც მთლიანად საქართველოშიც და გვარშიც შეგვხვდება გამორჩეული პიროვნებები ასეთი გამორჩეულები არიან: გვანცა და თორნიკე ხარაიშვილები. მათი მონდომებით, დიდი შრომითა და გმირული თავგანწირვით მოხდა ხარაიშვილების გვარის დალოცვა. თუ ომის წლებს გადავხედავთ, არა ერთი ხარაიშვილი შეეწირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომს.

თბილისში, სადაც მე ვმუშაობ, ეს არის წერეთლის პროსპექტი, ორი ხარაიშვილი გავიცანი ტარიელ და გია ხარაიშვილები, ისინი სოხუმიდან არიან ლტოლვილები, ტარიელი ფიზიკურად ძალიან მაღალი, ლამაზი პიროვნება იყო, წერეთელზე ისეთი ლამაზი ვაჟკაცი არ დადიოდა, ბიჭებშიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. თბილი და კეთილშობილი ტარიელი სიყვარულით დამიძახებდა ხოლმე „მამიდა, როგორ ხარ? მეც ვპასუხობდი, არა მიშავს მამიდა – კვლავ შემომიბრუნებდა ხოლმე სიტყვას ტარიელი, თუ რამე დაგჭირდეს, აგერ ვართ ორი ხარაიშვილი მე და ჩემი ძმა. ისე, გიასგან ძალიან მიკვირდა, სისტემატიურად იჯდა თავის სამუშაო ოფისში, ბევრჯერ მიფიქრია, რა ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ტარიელი სულ დადის, ხან სად შემხვდება და ხან სად, გია კი კარჩაკეტილივით ზის ოთახში.

მარტის თვე იყო, ამინდი ცვალებადობდა. ერთხელ, ვხედავ გია გარეთ დგას ბიჭებში და მზეს ეფიცხება, შევხედე – ცალი შარვლის ტოტი აკეცილი აქვს. თვალი ფეხისკენ გავაპარე და ადგილზე გავშეშდი, გია შვილო, ფეხზე რა მოგივიდა? აღშფოთებითა და სინანულით შევეკითხე, სოხუმში დავტოვე ჩემს მიწა-წყალზე, თავს იმით ვინუგეშებ, ამბობს მწარე ხუმრობით, ფეხი მაინც დამრჩა ჩემს სახლ-კარში, მე ხომ იქით აღარავინ შემიშვებს.

– შვილო, პროტეზს რატომ არ იკეთებ?! ვუთხარი და თვალებიდან ცრემლები დაუპატიჟებელი სტუმრებივით გადმომისრიალდნენ სახეზე. ვერ შევეგუე, ფეხი მიღიზიანდება და მტკივა.

გამახსენდა სამაჩაბლოს ომი, აწიოკებული ბავშვები, მოხუცები და ქალები ქარელის რაიონის სოფელი კოდა – კონფლიქტის ზონაა, ამ სოფელს ახლაც საქართველოს პოლიცია აკონტროლებს. არადა 1989 წლიდან იქ მშვიდი ცხოვრება არ არსებობდა, ენანებოდათ მცხოვრებლებს ლამაზად მოწყობილი სახლების დატოვება, ომამდე ცხოვრება არ ჭირდა, სოფლის მიმდებარე ტერიტორიებზე ორ-ორი წარმოება ფუნქციონირებდა, აბანოს დოლომიტების წარმოება და სოფელ წნელისში „ტალკის“ წარმოება, ეს ორი წარმოება სამ ცვლაში მუშაობდა, დღედაღამე გაჩირაღდნებული იყო სოფლები, მოსახლეობა დასაქმებული იყო... არ ჭირდა არც სახლის აშენება და არც მისი გამართვა. მუშაობდა კულტურის ცენტრები, ომის პერიოდში შეწყდა ყველაფრის ფუნქციონირება.

1989 წლიდან 2005 წლამდე ამ სოფლებში დათარეშობდა სხვადასხვა დაჯგუფება. ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად დასაჭერია, „ჰოდა“ სოფელი არ კონტროლდებოდა, იყო განუკითხაობა. როცა, სროლები ატყდებოდა, ქალები და ბავშვები გაურკვეველი მიმართულებით გარბოდნენ, ბევრჯერ ისეთი შემთხვევაც ყოფილა, მოთარეშე დაჯგუფებებს სროლა დაუწყიათ, ამ ხმაში რას გაარკვევდი, ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე, შიში, ცრემლი, კივილი და უბედურება მძვინვარებდა. ერთ-ერთი არეულობის დროს, ჩემი მეუღლის ბიძაშვილის ცოლმა შემომჩივლა, გივი სხირ-

ტლაძის მეუღლემ (მზიამ), რაღა ვქნა, გოგიტას და თამრიკოს წავიყვან, და ჩემი გაგი აკვნიდან უნდა ამოვიყვანო, რას მოვასწრებ, (მშობიარობის დროს დააკლდა თვალში). ამის თქმა და არც შევკითხივარ, ისე შევიჭერი მის სახლში, პატარა გაგი აკვნიდან ამოვიყვანე, და ერთ „ადიალაში“ გახვეული ქართოვაში გავრბოდით, ერთ სახლში შევედი, მზიაც წამომეწია და ძუძუთი დააშოშმინა პატარა, ასეთმა კადრებმა უამრავმა მოიყარა თავი ჩემს მეხსიერებაში, ქარელის რაიონის სოფელ კოდაში დღეობა იცის ოცი მაისი ძველი სტილით (ცხრა მაისი) აღნიშნავს სოფლის მოსახლეობა. ყველა ოჯახში გაშლილია სუფრა, შეუძლიათ თუ არ შეუძლიათ, ამ დღეს ყველა აღნიშნავს. ოც მაისს ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის მოსახლეობაც აღნიშნავს. ეს ორი სოფელი კოდა და წნელისი გვერდიგვერდ ერთმანეთის ახლოს არიან და ჭირი და ლხინიც ერთად ჰქონდათ ომამდე. ერთ ეკლესიაში მოვიყრიდით თავს, ამ ეკლესიას შვიდი მაისის ეკლესიას ვეძახდით, იყო ერთმანეთთან სიყვარულით სავსე სასმისების დალევა. ერთმანეთს ვმსაპინძლობდით ქართულ-ოსური ხაჭაპურებით და ხაბიზგინებით. ახლა უკვე ერთმანეთის მიმართ დაიკარგა ნდობა, ოსური მოსახლეობა იძულებით ემორჩილებოდა, მესამე პირის ბრძანებას, ისინიც თავს იცავდნენ, მოსახლეობას ვგულისხმობ და არა სიტუაციის შემდეგ შექნილ დაჯგუფებებს.

ოც მაისს თბილისიდან ჩამოსული იყო თემურ იარღანაშვილი, თავის მამიდასთან ნინა იარღანაშვილ-სხირტლაძესთან. დილით მზე ჩვეულებრივზე მეტ სითბოს გამოსცემდა, შუა დღით ჭექა-ქუხილი ატყდა, წვიმებს სროლებიც მოყვა, სადღაც ბომბი ჩამოვარდა, ერთი, ორი და კვლავ ყვირილი, ქალებმა და ბავშვებმა დატოვეთ სოფელი, ისმოდა მამაკაცების ხმები. იყო საშინელება ვინ საით გარბოდა, არ იცოდა, მოხუცები, ინვალიდები, დაფეთებული ბავშვების თვალებით აივსო მდინარე ფრონის მიმდებარე ტერიტორიები. ტყვიებით დაიფარა ირგვლივ ყველაფერი. ორ საათს გაგრძელდა ეს აუტანელი სანახაობა. წვიმამ გადაიღო ყველაფერი დამშვიდდა, არსაიდან სროლის ხმა აღარ ისმოდა. ყველანი სახლებში ამოვგროვდით, ერთმანეთი მოვიკითხეთ. უცებ კივილის ხმა გავიგონეთ: მოგიკვდეს თემო მამიდა, რა ვუთხრა შვილო მამაშენს?“ თემურ იარღანაშვილი მოკლეს ულამაზესი ახალგაზრდა ბიჭი.

კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია, აღიმართა მტრული კედელი სოფელ კოდასა და წნელისის სოფელს შორის. დაიბოღმა ხალხი. სიძულვილი ძლიერდებოდა, ნახევრად დაიცალა წნელისისადა კოდის მოსახლეობა და სწორედ ეს უნდოდათ ოსებისა და ქართველების წამქეზებლებს, განმკითხავი აღარავინ იყო, გაქრა ნათელ-მირონობა, დაინგრა ოსურ-ქართული ოჯახები, სიძულვილს სიძულვილი მოჰყვა.

ერთი თვის შემდეგ ორი ახალგაზრდა მოგვიკლეს, ლერი მჭედლიძე და კახა ქელეხსაევი. ეს სიცოცხლით გაუმაძღარი ოს-ქართველი ბიჭი შეეწირა ბრმა ტყვიას ან შეგნებულად ჩასაფრებული მოწინააღმდეგეების ტყვიებს ამას ვინ გაიგებდა იმ არეულობაში. ლერი მჭედლიძე ისეთი უშიშარი იყო, როცა სროლები დაიწყებოდა, პირველი ის მიდიოდა თავისი სანადირო თოფით წინა ხაზზე, მოსახლეობას ანუ სოფელში მცხოვრებლებს შემოსძახებდა, ნუ გეშინიათ, მე აქა ვარო. ეს მზეჭაბუკი ბიჭი შეეწირა ტერიტორიების დაცვასა და ხალხის დიდ სიყვარულს. იმ პერიოდში დაჭრილი ემზარი სხირტლაძე კი წლობით ჰყავდათ ცხინვალში დაკავებული, როცა ემზარი გაათავისუფლეს, ისევ დაიწყეს თარეში. მოსვენება და მშვიდი ძილი დაკარგა თითოეულმა ოჯახმა. დაქირავებული ბოევიკებით გაივსო სოფლის შემოგარენი ტერიტორიები. გარეთ გამოსულს, რომ ვერავის ხედავდნენ, ეზოებში დაიწყეს თარეში, თავისი სახლის ეზოში მოკლეს ნორა კვინიკაძე ამ ამბის დამნახავი სახლებში შემალული მეზობლები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი თავი დამალვით გადაირჩინეს.

სოფელს არ ტოვებდა ჩემი მაზლის ცოლი იზოლდა ტეფნაძე, რომელიც ღამეს კომშის ხეზე ათევდა. მას ზედმეტ სახელად დურმიშხან სხირტლაძემ „ქორია“ შეარქვა. მიწყნარებული სიტუაციის დროს სოფელს შემოივლიდა და გამამხნევებელი სიტყვებით მკურნალობდა ყველას. და იმ საშინელ დღეს გზაზე როცა გავიდა, დაინახა, სისხლის ტბები იდგა, გაბრაზდა და ოთარაათ ქვრივივით დაიწყო ტკბილ-ანჩხლი სიტყვებით შემკობა, საქონელი თუ დაკლეს, რაღა გზაზე დააქციეს სისხლიო, იმ მომენტში არ იცოდა რაშიც იყო საქმე. სინამდვილეში ეს სისხლი იყო ნორა კვინიკაძის და მისი შვილისა და შვილიშვილის. სოფელ კოდას ემსახურება ბრეძის მკვიდრი ნიკოლოზ (მურიკა) უგრეხელიძე, იმ დღეს სახლში იმყოფებოდა თავის სოფელში, სროლების ხმაზე თავისი საკუთარი მანქანით წამოსულა ამბის გასაგებად და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გადარჩა მამა-შვილი გია და რაულ კვინიკაძეები. ნორა კი იმ წუთში გარდაიცვალა თავისივე ეზოში, ნიკოლოზ (მურიკა)

უგრეხელიძის ეს თავგანწირული მოქმედება გმირობის ტოლფასია, რომ ენახათ მანქანაში ჩაცხრილავდნენ. ნიკოლოზმა ის მანქანა გაყიდა, რადგან მანქანის დანახვაზე ახსენდებოდა ეს საშინელი დღე ტკივილისა, განუკითხავებისა და უსამართლოდ დახოცილი ხალხი.

უსამართლობას არ ეგუებოდნენ კოდაში მცხოვრები მამაკაცები, ბოღმას გულში იტრიალებდნენ და ამიტომაც ჩემს უბანში, სადაც მე ვცხოვრობ, სრულიად ჯამრთელების მოულოდნელად, გარდაიცვალნენ: ბეგლარ ძაბახიძე, ბეგიზა მუმლაძე, ჟორა სხირტლაძე, ჩემი მეუღლე ვახტანგ სხირტლაძე, ოლეგი სხირტლაძე, ამირან სხირტლაძე, თეირან მჭედლიძე და ვინ ჩამოთვლის მათ სიას, კიდევ რამდენი.

აგვისტოს ომი კი იყო, ომი სისხლის ღვრისა, აფხაზეთს არ დაკმაყოფილდნენ და გორი, ქარელი, ბორჯომი, ცეცხლის ალში გაახვიეს, რუსული ტანკები ისე დასრიალებდნენ სოფლებში, როგორც კერძო მანქანები.

ასეთი ომის ქარცეცხლგამოვლილ გორში მივდიოდით, 2017 წლის 26 მაისს, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი უნდა გვენახა, მიგველოცა სპორტული ასპარეზის ყველა მწვერვალის დაპყრობა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

ბურაბ ჩაგუნავა, ქეთევან კუხალაშვილი, გულნაზ სარჩაიშვილი, ლია ოქრუაშვილი, ლამზირა შეყილაძე, ნუგზარ ნადარაია, უშანგი ბოხიაშვილი

ქეთევან კუხალაშვილი
დალამზირა შეყილაძე

ხოსრო ვახტანგაშვილი,
გორის დეპუტატი

გულნაზ სარჩაიშვილი
დ. ნიკო ბალაშვილი

ამ ღონისძიების იდეის ავტორი კი ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია და დიდი ქართველი მეცენატი და ბიზნესმენი ბატონი უშანგი მოსიაშვილი იყო, კაცი ცოცხალი ლეგენდა მას ეს სახელი შეარქვეს დამსახურებულად. მას მთელი საქართველოს ისტორია აქვს მხატვრის ფუნჯით დახატული (მხატვარი ციხელაშვილი) თავისი სახსრებით აშენებული აქვს ეკლესია, რომელიც სულ მალე დამთავრდება მამა-შვილის გელა და ხატია ლარიაშვილების ხატებით მოჩუქურთმებული.

მე პირადად ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი. რადგან 26 მაისს, ჩემი გვარის, ხარაიშვილების დალოცვის დღეს აღნიშნავდნენ, სავალდებულოდ ჩავთვალე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენლებსაც გამოეჩინათ ეროვნული მხარდაჭერა და ერთიანი გადაწყვეტილებით ვესტუმრეთ გორს. გორში დაგვხვდა ბატონი გივი აბალაკი, ცნობილი ბიზნესმენი, ყოფილი პარლამენტარი ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის გორის ორგანიზაციის თანათავჯდომარე, ბატონი იოსებ ვახტანგიშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი, ფაზისის საერო-სამეცნიერო ორგანიზაციის კორდინატორი, სტალინის სახლმუზეუმის დირექტორი გორის ორგანიზაციის თავჯდომარე ქალბატონი ლია ოქრუაშვილი. ქეთევან კუხალაშვილი მეცნიერ-მუშაკი, სევერიან სააკაშვილი, გელა აღდგომელაშვილი, და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

გორის ცენტრს როდესაც მივუახლოვდით, მანქანებიდან გადმოვედით და ფეხით გავაგრძელეთ გზა მოედნისაკენ, მოედანი სავსე იყო, სხვადასხვა ასაკის ხალხით, იყო საზეიმო განწყობილება, ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი ნუგზარ ნადარაია, ჩვეულებრივი სიდინჯით აკონტროლებდა ყველაფერს. ჩვენი ჩასვლის ძირითადი მიზეზი ახალგაზრდა სპორტსმენი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი იყო, ღონისძიების დამთავრების შემდეგ მოგვიწვია საქართველოს სახელოვანი სპორტსმენის სახლში მისვლა. ბატონ ნუგზარს მისთვის გადასაცემად წამოღებული ჰქონდა ხატი: „ქებაი და დიდებაი“ და ათტომეული თავის „ცოდნეიდელის“ მე პირადად გადავეცი ჩემი ბოლო გამოცემული ლექსების კრებული „ფიქრის ხეივანი“, ჟურნალი „ათინათი“, ანთოლოგიის ტომი. კედლები ღაღანებდნენ ახალგაზრდა სპორტსმენის წარმატებებს. ყველა ჩვენგანის თვალში სიხარულის ცრემლები იდგა, გაკვირვებულები ვიდექით ამ ობოლი ბიჭის წარმატებებით. ქალბატონმა ლამზირამ ჩაილაპარაკა მისთვის მიძღვნილი ლექსი მე უკვე გონებაში დაწერილი მაქვსო, თუ რამის დაწერას აპირებ მოგაწოდებ და სტატიაში ჩართეო და მეც ვასრულებ მის თხოვნას.

ხარ, საქართველოს შუქურნათება,
ძარღვებში სისხლი გიდუღს ქართული.
შეუბღალავი ერის ღირსება,
დაგაქვს ამაყად ზეაღმართული.
შენ ამოგვყარე ჯავრი მავანთა,
ვერ დავითვალე შენი მედლები.
რაც მტერმა გვჩეხა, დაგვაშამათა,
იმ დიდ სატკივარს ესაკმევლები.
და გულში ამად დასახე მიზნად,
რომ უმძიმესი ტვირთი გეზიდა.
სამშობლოს ცაზე ამოდიადდი,
რომ მთვლემარენი გამოგვეფხიზლა.

შენ ისე ღრმა და ისე დიდი ხარ,
მნათობ აისებს ხელით შესწვდები.
ოცდახუთი წლის ყმაწვილობაში,
ამწვერვალება როგორ შესძელი.
გადარდიანებს მიწა–წყლის ბედი,
ომის ქარცეცხლის ნაიარები.
გწვავს ღვთაებრივი მარადი ცეცხლი,
მამულის გულში აღარ ჩაქრები.
ღმერთმა დაგლოცოს ერის მედროშე,
შენი სახელი აღწევს ზენამდე.
ერის დიდება გეტარებინოს,
მწვერვალებიდან, მწვერვალებამდე.

მსჯელობა ეროვნულ ტკივილთან დაკავშირებით

უშანგი მოსიაშვილი, გივი აბალაკი, გულნაზ ხარაიშვილი, გელა აღდგომელაშვილი, ნუგზარ ნადარაია, ლამზირა შეყილაძე, სოსო ვახტანგაშვილი, ზურაბ ჩაგუნავა

ბატონ უშანგი მოსიაშვილზე ბევრი დამიწერია ლექსის თუ პროზის სახით, მაგრამ ამ პიროვნებაზე, საწერს ვინ გამოლევს, იგი ყველგან მასპინძელია, თავის სახლშიც და სხვაგანაც. გაუთვალისწინებია, რამდენიც ვიქნებოდით, აქედან ჩასულები და იქ დამხვედრიც და წამოუღია, ყველასთვის სამყოფი სურსათ-სანოვაგე და ღონისძიების დასრულების შემდეგ ატენში ისურვილეს წასვლა, იქ სადაც ღვინის ქარხანაა. სუფრა ცაცხვის ძირას გაიშალა, ქარხნის დირექტორი, ბატონი გელა აღდგომელაშვილი, სევერიან სააკაშვილი, იოსებ ვახტანგიშვილი, სუფთა ღვინითა და სუფთა გულით აღნიშნავდნენ ამ მნიშვნელოვან დღეს, ჩვენც ვუერთდებოდით მათ ზეიმს და კვლავ ფიქრით გორში ვტრიალებდით, სტალინის სახლმუზეუმში, დიდხანს არ გავჩერებულვართ, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანი უფრო ეროვნული საქმის გაკეთება იყო, ასეც მოვიქეცით, ისევ გორში ჩამოვედით, სადაც გველოდებოდნენ, მუზეუმის დირექტორი და მისი მოადგილე, სტუმ-

რის სტატუსით შეგვიშვეს და მთელი პასუხისმგებლობით აგვიხსნეს თითოეული ისტორიული დეტალი. ვჩქარობდი, ძალიან ვჩქარობდი, რადგან თბილისში მელოდებოდნენ ჩემი გვარის წარმომადგენლები, ბატონი უშანგი მოსიაშვილის შვილიშვილმა – ლევან მოსიაშვილმა წამოგვიყვანა, მე და ჩემი მეგობარი პოეტი ლამზირა შეყილაძე და თან გვახლდა კინო რეჟისორი ბატონი ნიკო ბაღაშვილი. უკვე ექვსი საათი იყო, რესტორან ოროველაში თავმოყრილ ხარაიშვილებს სიყვარულით შევეგებე, იყვნენ ნაცნობებიც და იყვნენ უცნობებიც, სიყვარულით შეციცინებდნენ ერთმანეთს, ერთი სისხლისა და ერთი ჯიშის სხვადასხვა ასაკის ხარაიშვილები. მეც მათ სიხარულს შეუერთდი და მათი სულის ნაწილი გავხდი. სუფრას თამადობდა, მალხაზ ხარაიშვილი, ისმებოდა სასმისები, ბესო ხარაიშვილი, ავთო ხარაიშვილი, ჯუმბერ ხარაიშვილი, ნოდარ ხარაიშვილი, ბუბენ ხარაიშვილი, ემზარ ხარაიშვილი, ნაილი, ნათელა, ნანა, გვანცა, ციური ხარაიშვილები სიყვარულით შემომეგებენ.

დღე იყო, პატრიოტული და სევდიანიც, სევდიანი იმიტომ რომ 2016 წელს მათ გვერდით იყო მომღერალი აჩიკო ლომიძე, სიძე ხარაიშვილებისა, ნუნუ ხარაიშვილის მეუღლე, ახლაც ყურში ჩამესმის მისი ხმა, როდესაც რესტორნის მეპატრონეს ვთხოვე მიკროფონი, რომ დამოუკიდებლობის დღეს, პატრიოტული ლექსები გამეხმიანებინა, დარბაზში სურვილი დამიკმაყოფილეს და ლექსები ვთქვი, აჩიკომ იმღერა, მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა, „საქართველო დამილოცე ღმერთო“. ახლა აჩიკო შენ ცათა სასუფეველში ხარ, ხარაიშვილების დაჟინებული თხოვნით, შენი მეუღლე ესწრებოდა თავისი გვარის დალოცვის დღეს, ის აღარ იყო, ისეთი როგორც შენ გახსოვს, მაგრამ მაინც ჩვენ გვერდით იყო, მჯერა შენც ჩვენთან იქნებოდი, შენი სული მაღლიდან დაგვტრიალობდა, ალბათ, მჯერა ასე იქნებოდა.

ხარაიშვილების გვარის წარმომადგენლები, გვერდით **ლამზირა შეყილაძე და სულიკო სამხარაძე**

ხარაიშვილები, ხარაზიშვილები და ჩადუნელები ერთი გვარისანი ვართ. ადამიანები ინდივიდუალურები არიან, ზოგს სიმღერა უყვარს, ზოგს – ლექსი. თბილისში წერეთელზე ბესო ხარაიშვილმა სტამბის დირექტორმა ავთო ხარაიშვილის წიგნი გამოუშვა. ლექსების კრებული, თავისი სახსრებით მან გამოუშვა ჩემი ერთ-ერთი კრებული „დარდის პირამიდები“ და სერგი ლომაძის წიგნი „გზა მწვერვალისკენ“, რომელიც ჩემზე იყო დაწერილი, ბესო ხარაიშვილმა 500 ლარის შეღავათი გამიკეთა, უფრო მეტიც, ბესო ესწრებოდა ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის წიგნის პრეზენტაციას, რომელიც პროფესორ ლუარა სორდიას ავტორობით გამოვიდა: ბეჟან ხარაიშვილი „ქართული პოეზიის მიმინო“. მან მოისმინა ერეკლე საღლიანის სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ ბეჟანი ერთ-ერთი ექსპედიციის დროს სვანეთში მოხვედრილა ერეკლე საღლიანთან ერთად. სვანეთში ერთ-ერთ ეკლესიაში ინახება თურმე თამარ მეფის თასი, სვანებიო, ამბობდა ერეკლე, ამ თასს არავის არ ანახვებენ ვინც არ უნდა მივიდესო. ბეჟანისო, არა თუ გამოუტანეს, შიგ ღვინო ჩაუსხეს და დაალევინესო. ბეჟანიმო დაიჩოქაო და ასეთი სიტყვები წარმოთქვაო: ღმერთო, ახლა მე რომ მოვკვდე, აღარაფერს ვინაღვლებო“, და მის ერთ-ერთი ლექსის სტროფებში ეს აღნიშნულია, „თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა“. ღონისძიებაზე გამოდიოდენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც აღნიშნავდნენ ბეჟანის ნიჭს, ის 30 წლის ასაკში მოკლეს და

დაატოვებინეს მიწიერი სამყოფელი, განა ეს გასაკვირია?! ასეა-ასეა ბევრის სულში სატანა რომ არის ჩაბუდებული. კი არ უნდა ვკლავდეთ ერთმანეთს, სულს უნდა ვუბერავდეთ, რომ იარსებოს ქართველთა ჯიშმა, ბესო ხარაიშვილმა იქვე აღნიშნა, ვინც ბეჟანიზე დაწერთ, რაც არუნდა დაჯდეს წიგნს მე გამოუშვებო, აი, გვარის სიყვარული, აი, პოეზიის დამფასებელი ვინ არის.

ხარაიშვილებში საამაყოები ბევრი გვყავს: ნათელა ხარაიშვილი, ნაილი ხარაიშვილი, ეთერი ხარაიშვილი და ბევრი სხვები, მაგრამ არ შეიძლება მაინც ჯუმბერ ხარაიშვილზე ყურადღება არ შევაჩერო, სადაც მოვხვდი, გზაში, თუ რომელიმე დაწესებულებაში, და დამჭირდა გვარის ხსენება იმ წუთში ჯუმბერ ხარაიშვილს შემეკითხებიან თუ ვიცნობ, რამდენს საუბრობენ მის სიკეთეზე, მის პიროვნებაზე ეს უკვე სიცოცხლეშივე მისი უკვდავებაა, ძალიან ბევრი ხარაიშვილია, რომლებიც მედიცინის სფეროში მუშაობენ, ხაშურში იური ხარაიშვილი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ჩემი ეთერ ხარაიშვილი, არიან სამხედრო პირებიც. დაე, სიხარულმა დაისადგუროს თითოეულის ოჯახში და ერთი მუდამ ახსოვდეთ: ხარაიშვილები, ხარაზიშვილები და ჩადუნელები ერთი გვარისანი ვართ,... რომლებიც ჩვენთან არ იკრიბება და გული მწყდება რადგან მეშინია არ მოხდეს წლების შემდეგ გაუგებრობა და შთამომავლებმა ერთმანეთს სხვა თვალით არ შეხედონ, რასაც ერთმანეთთან გათხოვება, დაქორწინება ქვია. ამ შეკრებაზე ისინი არ მოდიან.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარაიამ გადასცა ხატი „ქებაჲ და დიდებაჲ“ და სპორტსმენს უსურვა წარმატებები.

ასე შეერწყმა 2017 წლის 26 მაისი ჩემი ტკივილისა და სიხარულის ფიქრის ხეივანს. სიხარულმა დაჯობნა, რადგან იმ ერს ვინ დააჩოქებს, სადაც ისეთი ახალგაზრდები იზრდებიან, როგორიც ვლადიმერ ხინჩეგაშვილია. კვლავ მედლები, მწვერვალები ვლედიმერო!

მწვერვალები

(ვლადიმერ ხინჩეგაშვილს)

მწვერვალები, მწვერვალები, მწვერვალები,
როგორ შეძელ ამ ობოლმა ბავშმა.
ცის თაღიდან ტაშს გიკრავენ ვარსკვლავები,
ომის ცრემლი თავისთავად გაშრა.
ვერ დავთვალე პრიზები და ვერც მედლები,
საქართველოს სიმდიდრე ხარ შვილო,
გიმღერიან, გიმღერიან დედები და,
საამაყოვ, დიდი მამისშვილო.
გაიხარე, გაიხარე, გაიხარე,
ვლადიმერო, ერის სიამაყევ,
უფალთანაც რწმენით ბევრჯერ დაიხარე,
რომ ეშველოს ერს მტერისგან ნაყმევს...
კვლავ მედლები, კვლავ მედლები საქართველოს,
ო, ეს ჟინი გულთან როგორ მაწევს.
ქართველებმა ყველგან უნდა იქართველონ,
უსამართლოდ რადგან ბევრჯერ დაგვწვეს.
ვერ დავთვალოთ, პრიზები და ვერც მედლები,
გული როგორ გამიხარე შვილო,
გაგვახარე, გაგვახარე, დედები, რომ
საქართველო სხვას არ მივაშვილოთ

ლექსისა და სიკეთის ქალბატონი

თითქმის ორი წელია, რაც ნანა ნოზაძე გავიცანი, რა ადვილია პიროვნების ამოცნობა თუ ის ზეციური მადლით, პოეზიით არის დაჯილდოვებული. უფალი მას შინაგანი მედან გადმოაფრქვევინებს იმ შარბათს, რაც მასშია. თუმცა (იშვიათად) მაგრამ არიან ისეთებიც, მათი შემოქმედებით აღფრთოვანდები, მიუძღვნი ლექსებს, პოემებს, დაწერ წიგნებს იტყვი (აი ბატონი, ან ქალბატონი გავა დრო და მასში მხეცს დაინახავ ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს).

ქალბატონ ნანა ნოზაძეში წმინდა პოეტური სულია ჩასახლებული, მან კარგად იცის წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის გაფრთხილება, რომ შური წყლულია სულისა და საწამლავია მისი. წმინდა ბასილი ასე წერს შური – ისე ჭამს კაცის სულს, როგორც ჟანგი რკინას შური არის წუხილი, სხვისა სიკეთისაზე და ქალბატონი ნანა სხვისი სიხარულით ცხოვრობს მას არ აავადებს სხვისი წარმატებები, დღედაღამე მოფუსფუსე ქალბატონმა სამი შვილი გაზარდა, იგი ლექსით გადმოცე მას რომ თაიგულში ჩააქსოვა სამი ტოტი, მერე როგორ გამოისხა, ამ ტოტებმა ექვსი ყლორტი. ექვს ყლორტში გულისხმობს შვილიშვილებს.

„ცამ პირბადე ჩამოიხსნა,
და მონათლა ყველა ტოტი,
ცოდვებისგან გამოხსნა,
და მივიღე ნატურმორტი...
დაანათლა სიყვარული,
ერისა და მოყვასისი
ობლის ჰქონდეთ სიბრალული,
არ აიღონ ოქრო სხვისი.

ქალბატონი ნანა, ქალი დედა, მეუღლისადმი დიდი სიყვარულის მატარებელი და პოეტი, მოსაფერებელია ნამდვილად. მადლობა უფალო, რომ შემახვედრე ასეთ თბილ კეთილშობილ იმერელ ქალბატონს, როგორიც ნანა ნოზეძეა. მასში არის მიმტევებლობა და მომავალი თაობის აღმზრდელი ქალის დიდი კეთილშობილური თვისება. აი, რას წერს ერთ-ერთ ლექსში ჭკვიანს უწოდებს, ისეთ პიროვნებას, რომელიც მოითმენს და გზა-შარაზე არ ატეხავს ჭექა-ქუხილს, იგი ასეთ ადამიანებს გმობს, რადგან იცის, რომ „მჩხავანა კატა ვერასოდეს, თაგვს ვერ დაიჭერს“, ლექსით ურჩევს, წამოდი სახლში, აანთე სანთელი, ღმერთს მიანდე, მისი სვებედიო. იგი, უფალს ევედრება თავისი სამშობლოს ბედს. მას უნდა, რომ სამშობლო იყოს აყვავებული ისე როგორც ედემის ბაღია, იმ ბაღნარში უნდა ცხოვრობდეს საქართველოს შვილებიო, საქართველოს უნდა შემონატროდეს მსოფლიოს ყველა ერიო. ახალგაზრდა დედებს კი მოუწოდებს, რომ ბავშვი აღზარდნონ თოთო და ჩვილიო, აქვე ლექსით ხატავს იმ სურათს, თვითონ როგორ შეასრულა დედობის ეს მისია.

„ენის ღობეა ბაგე და კბილი,
სახლის ბატრონი გასაღებია,
ბავშვი აღზარდეთ თოთო და ჩვილი,
მე მათ აღზრდაში დამღამებია.
შევგებებივარ დილით პირიმზეს,
მიფუსფუსია დღითა და ღამით.
და თვალი როცა მიმილულია,
დამისვენია სულ ერთი წამით.

ხოლო ლექს რომელსაც სათაურად „გულის თქმას“ უწოდებს, ამ ლექსში კი იმხელა გულის-

ტკივილია ჩადებული, ამას უცრემლებოდ ვერ წაიკითხავთ ამ ლექსის ახსნას მხოლოდ ის პოეტი გაიგებს, ვისაც ღვთით საჩუქარი თანაც დიდი ტვირთი, ასაკში ეწვია მართლაც და უცრემლებოდ ვერ წაიკითხავთ, რადგან სანამ საზოგადოება გაიცნობს, სანამ აღიარებენ პოეტად, მას ოჯახის წევრებთან უხდება დიდი ბარიერის გადალახვა ეს არის ჯვარცმა, ბეწვის ხიდზე წაღმა – უკუღმა სიარული, აი, რას წერს ამის შესახებ პოეტი:

„ვერა გავიგე ამ ხალხის,
რითა ვარ სხვაზე ნაკლები,
ვერავის გავაგებინე,
ამ ჩემი გულის ნადები.
ჩემს ლექსს პოეტი მიხვდება.
ზოგიც დამცინებს მავანი
თუ ერთი ლექსით შემოვრჩი
აი, ესაა მთავარი.“

და ასე მიიწევს ნანა ნოზაძე პოეზიის ზღვისაკენ. ჯერ-ჯერობით კი ზღვის ნაპირზე აუყვება და დაუყვება ნაპირებს, ფრთხილობს გაცუროს? მე აქვე შეუძახებ, მიდი ნანა, მიდი, შედი ზღვის შუაგულში, შენ უნდა ამოიცნო პოეზიის კიდევ ბევრი საიდუმლოებები, ლაბირინთებშიც მოხვდი ნუ გეშინია, ღმერთი მოგეხმარება. ამ ტვირთის ტარება ზოგს ადვილი გონია, ზოგი მჯღაბნელ-საც გიწოდებს, ზოგიც მოცლილს, არდა მე ასე ავხსნი. ეს არის ტვირთი და ისეთი მოვალეობა-ცაა, როგორიც დედობა. ღმერთი ხომ შვილს გაჩუქებს, ვალდებული ხარ, გაზარდო ასეა ლექსიც, პოეტი ქალები უბრუნდებიან ისევ დედობას, ლექსი უნდა გაზარდონ, ანდა პირიქით ლექსებს ვინ ბავშობიდან წერს, ეს იმას ნიშნავს მათ ტვირთი პატარაობიდან უფრო მეტი აქვთ აი, მაგალითად ლექსი, სწავლა, ოჯახი და... ათასი ჯაფა...

ასეა მამაკაცებიც, მათი ბედიც ასეთია ამიტომაა, პოეტს, პოეტი გაუგებს და კიდევაც წერს ამის შესახებ.

„ჩემს ლექს პოეტი მიხვდება
ზოგიც დამცინებს მავანი,
თუ ერთი ლექსით შემოვრჩი
აი, ესაა მთავარი.
როგორ ლამაზად ეფერება ყვირილას
„სამოთხეა საქართველოს ბუნება
ფერთა, გამა, ურთხმელი და გვირილა,
ჩემი მხარის სიო მებულბულება.
მეფერება ჩემი შლეგი ყვირილა“.

და მთლიანად მამულის სიყვარულს ასე გამოხატავს: „შენ ჩემო მამულო, მთიანო, ქვიანო, მზიანო, ცვრიანო, მუდამ მტრიანო და... მადლიანო.

თავის სოფლის მთებს კი ასე შეეფაქიზება
„ფიქრით მოვიარე,
ტყეები, მინდორი...
მუდამ ლამაზია
სოფელი სკინდორი.

სკინდორი ჭიათურის რაიონის ერთ-ერთი სოფელია. პოეტის თვალში კი მუდამ ლამაზია ზამთარშიც და ზაფხულშიც, ის ოსტატურად ფლობს, რითმების წყობასა და საიდუმლოებებს მინდორი – სკინდორი...

ნანა ნოზაძის ლექსები დატვირთულია სიყვარულით, მიმტევებლობით, აღმზრდელობით, თითქოსდა აქ არ შეინიშნება შემტევითობა, მაგრამ ბოლომდე როცა მის პოეზიას ჩავყევი, დავინახე მისი ბრძოლით ანთებული თვალები. თუგინდა რომ იმაისოო, მტერსო პირში უთხარი სათქმელიო. ქალბატონი ნანა წუთსა და წამს შეჩერებია და ცხოვრებას ღამეს უთევს.

„დავყურებ საათს და ვხედავ,
როგორ ცვლის ისრები წუთებს...
წუთი, წამს შეაბერდა,

ცხოვრებას ღამეს ვუთევ...

იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება ცის აღმართის კიბეს, მან ცხოვრების ყინვები შრომით გამოალღო, გულის სალამურით აამღერა, მერე როცა თმები გაუთეთრდა, მიჯდა ლექსის ბუხართან და ლექსის მჭადები დააცხო... იგი მზადაა ხალხის სიყვარულში დანაცრდეს და დაიფერფლოს. მინდა ჟურნალ „ათინათის“ მკითხველები იცნობდეთ თბილ და კეთილშობილ ნანა ნოზაძეს.

ნანა ნოზაძე

ის რისი გაკეთებაც შეგიძლია

შენი რწმენა, შენი დამოკიდებულება, შენი ფიქრები, შენი პერსპექტივები, ვინ იქნებიან შენი მეგობრები, რომელ წიგნებს წაიკითხავ, რამდენ რისკს გაწევ, როგორი კეთილი იქნები, რამდენად ხშირად იტყვი მადლობას.

და მე მაია ტყემალაძეს უთვალავ მადლობას ვეტყვი ამ ისტორიული პროექტისათვის.

ზღვასავით ღელვა შოთა რუსთაველის ვეფხვისტყაოსნის ციკლიდან

ასეთი შინაგანი ღელვა არასოდეს მიგვრძვნია, ეს პასუხისმგებლობა იყო შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის პოემის წინაშე, მიხაროდა, განვიცდიდი, ვფიქრობდი, ვთრთოდი, ზეციური კოსმიური ტალღები მატორტმანებდა. ვწერდი, ვკანკალებდი, ჩემს გვერდით მყოფებს შევხედე, შევატყე ისინიც ჩემზე უარეს დღეში იყვნენ. ფანქრით შემოხაზულ ასოებს შლიდნენ, ისევ წერდნენ. ძალა მოვიკრიფე და ერთი სტროფი ჩამოიქნა.

ციკარელი

ცასა და დედამიწას აერთიანებს ჩემი ფიქრი. ხანდახან ჩემს თავზე ვბრაზდები, სულ ზეცაში რატომ ვიხედები, ვის უღიმი, ვინ გყავს ასე ტკბილი და კარგი. აბა, რა გითხრათ, რითი გაგაკვირვოთ, ამ გარდაცვალებულთა წელიწადში. ვინ მყავს და შვილი მყავს. მეუღლე და ხუთი ძმა, ძმიძვილიშვილი დათა. მაზლი და მაზლიშვილი.საყვარელი მული და საყვარელი დეიდაშვილ-ბიძაშვილები. ვინ მყავს და ყველა გარდაცვლილი შვილი ჩემი ტკივილი და ცრემლია. ვინ მყავს და სიყვარულით ნაშენი ოჯახი, სხვისიც ჩემი ტკივილია, მერე გარდაცვალებულებით დაშორებული . წადი ჩქარე, ორიათას ოცდაერთო წელიწადო. თვე ნახევარი დაგრჩა, წადი! მე ჩემი ტკივილით დამძიმებული ისეც დავდუმდი. რამდენი დედა, ჩამონისლე და ააცრემლე. რამდენი დედა მისვამს კითხვას, რითი გადაიტანეო. რა ვუპასუხო, ორიათას ოცდაერთო წელიწადო, გადავიტანე? ვინ გადაიტანს იმნაირი შვილის დაცილებას, როგორიც მე მყავდა. შვილი, რომელიც ყველა ლამაზ ქალში მე მხედავდა. მე არაფრით არ განვსხვდები არავსგან. ჩემი შვილისთვის ვიყავი ყველაზე, თბილი და კარგი. არა

ჩემი შვილი იყო ცარიელი გული. ჩემ შვილს არ შეეძლო ღალატი, იყო ვაჟკაცი და თბილიც. ეს, გაცისკროვნებული თვალები, წარმოსახვით ხედავს თეთრ ღრუბლებში შვილს და უღიმის. დილით ცისკარსაც შვილთან ფიქრით ეგებება ამიტომ მქვია გულნაზ (ცისკარელი)

დღეს აკადემიაში

თითქოს გაყინული სივრციდან, შემოსულ ბეღურებს გავდნენ, ჩემი აკადემიის წევრები. ერთმანეთის სითბომ, სიყვარულმა დროებით მაინც განტვირთა თითეული. ვუყურებდი და გული სიამით მევსებოდა, როგორი სიყვარულით შეციცინებდნენ ერთმანეთს. ერთმანეთს უსმენდნენ და მეგუბრულ რჩევებს აძლევდნენ. ცოდნის გაზიარებით ივსებოდნენ, ხარობდნენ, მათ თვალებში ზღვა სიხარული დაცურავდა. დილით მისულები, საღამოს შვიდ საათამდე, სიჩუმის

ჰარმონიაში პასუხობდა სამი პოეტი, ხათუნა ელიაშვილი, მზია ელიაძე და მამუკა ოჩიაური აჭარის ტე-ვე თორმეტის ჟურნალისტებს. მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ვამაყობ ჩემი აკადემიის წევრებით, რადგან ერთმანეთს პატივს სცემენ. უფრო ვრცლად სხვა დროს დავწერ. ამჯერად ცნობის სახით მოგაწოდეთ, აკადემიის მუშაობით დაინტერესებულო მზესავით თბილო, საზოგადოებავ.

მე, აღმოვჩნდი ასეთი ფაქტის წინაშე. როცა, აჭარის ტელევიზიის დირექტორმა, ბატონმა ჯემალ მეგრელიძემ შემომთავაზა, რომ ჩემს წარდგენილ კანდიდატურებს, პირდაპირი ჩართვით, დაუსვამდა კითხვებს და მას, სამი აკადემიის წევრი, ქალბატონი ხათუნა ელიაშვილი, ქალბატონი მზია ელიაძე და ბატონი მამუკა ოჩიაური გაცემდა პასუხსს. არ ვშიშობდი, მაგრამ ვფრთხილობდი. რა კითხვას დასვამდა საკმაოდ აღიარბული ტელე ჟურნალისტი ბატონი ჯამალი და როგორ უპასუხებდნენ, აკადემიის წევრები. გავიმერებ ჩემს სიტყვებს და თამამად დავწერ, რომ თვით ბატონი ჯემალი არ მალავდა აღფრთოვანებას. სამი პიროვნება, სხვადასხვა ჟანრით წარდგნენ პირდაპირი ეთერის წინაშე. ორ საათზე დაწყებული, საღამოს შვიდ საათზე მოვრჩით ჩაწერას. აკადემიაში ჩურჩულიც კი არსაიდან ისმოდა გარდა კითხვა პასუხის დიალოგისა. ეს დღე დასაფიქრებელიც იყო და საამაყოც.მე არ ვიცოდი თუ ასე ძლირი აკადემიის წევრების გარემოცვაში ვტრიალებდი. აღფრთოვანებას, არ მალავდა, თვით ბატონი ჯემალიც, რომელმაც სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ ის, ძალიან კმაყოფილი იყო თითეული მათგანის. ეს, ინფორმაცია ეტაბოვრივად გაშუქდება ეთერში.

დედის ნაამბობიდან

მე დავბადებულვარ, გაზაფხულის ულამაზეს თვეს, (ხუთ მასს) დედაჩემს, (დონიკა შუბითიძეს) ძალიან გახარებია გოგონას დაბადება რადგან, მე მისი, ორი ვაჟის, ლევან და თამაზ ხარაიშვილების შემდეგ გავჩნდი. სახელად გულნაზი დამარქვა და აკვნის არტახებში ჩაკრულს, ათასნაირი ფერუმარულით მპრანჭავდა თურმე. ეს დედის ნაამბიბიდან: – შვილო, დავდები, აკვანს და გიყურებდიო, ეს ვინ დამებადა ეს რა გამიჩნდაო. აკვანს სხვადასხვა გვერდზე აკვინწიალებდა თურმე, რომელი პროფილიც მოეწონებოდა, იქიდან გიყურებდიო. ჩემს შემდეგ გაჩნდა იუზი, იუზის მხოლოდ ერთი წელის სიცოცხლე, რგებია ბედისწერის წილად. იმ წელიწადს, ყივანა ხველა (ბატონები) წვევია ჩვენს ოჯახს. ოთხივეს ერთად შეგვხვედრია. ახლანდელი კორონასავით, მოსაფერებელ – მოსაფიქიზებელი ინფექცია, ოთხი ბავშის ორგანიზმში გაბატონებულა. ყველას სხვადასხვანაირად გვაინტერესებდა თურმე, ახლობლებთან კონტაქტი, მე, ციური გელაშვილთან მინდოდა, ლევიკოს ჯემალისთან, თამაზის ჯამბულითან. სასოწარკვეთილ – გაბოროტებულ დედას, თავისი დედაც ეხმარებოდა, აღათი ტაბატაძე, და დაიკო ელენეც, მაგრამ მაინც გაუჭირდა, რადგან არ ვაძლევდით უფლებას, რომ იუზისთვის ძუძუ მოეწოვებინა. რამდენი, ბავშვის აკვნისკენ, წავიწევდიო, ყველას ერთად ცხვირიდან სისხლი წაგვსკდებოდათო, მე მაინც ვძალაობდი და ყურადღებას, ოთხივეს გინაწილებდითო. პატარა იუზის თავისთავად დედის რძე და ყურადღება, ალბათ ისე არ შეხვდა, როგორც ეს მის უმანკო ორგანიზმს ესაჭირეობოდა. იუზი გარდაიცვალა. ერთი წლის იუზი ახლა ხვანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესის მიმდებარე სასაფლაოზე, განისვენებს. ჩვენ, არც ერთ დედმამიშვილს, მისი, არც სახე გვახსოვდა და არც აკვანში აღუ- აღუს ჭყლოპინი. აღდომას როცა ავიდოდით, კვერცხებს ვუგორებდით, ჩვენი კაპრიზებით, გარდაცვლილ იუზის. ბეჟანი, მის შემდეგ გაჩნდა, მერე ეთერი და ბოლოს ამირანი. ჩემი გაზრდილი და ნაამაგარი, რომელიც შარშან დეკემბრის თვეში, კოვიდით გარდაიცვალა და ასე არის ზეცის ბინადარი, ჩემი ხუთი ძმის სული. დავრჩით მე და ეთერი დარდის სამოსახლოში. მაინც დაუბრუნდები დედის ნაამბობს. სანამ იუზი გაჩნდებოდა, როგორ მივლიდა უფროსი ძმა ლევანი, როცა დედას კარაში გასულს დაიგულებდა. წყალი მოშორებით ქონებიათ. დედას დაუძინებია ლევიკო, თამაზი და მე კიდევ აკვანში ძუძუთ დანაყრებულს მშვიდად მიმილულავს თვალები. ანთებულ ბუღრის გვეედით, ქოთნით ლობიო ჩუხჩუხებდა. ლევის გაღვიძებია, იმ წამს თამაზისთვინ მუჯლუგუნი წაუკრია, ადექი ზეზე მარტო ვართო. მათ ფართხა- ფურთხში მე აკვანში ავტირებულვარ, ლევი ზეზე წამომხტარა, თამაზისთვის უთქვამს, ალბათ შივაო და ადუღებული ქოთნიდან, ხის კოვზით ლობიო ამოღია და ჩემი პირი ლობიოთი ამუვსია. ამასობაში დედაც მოსულა, აკვნიდან კი არ ამომიყვანა, ამომგლიჯა და დახრჩობას გადამარჩინა. ერთ დღესაც კიდევ ასე, ჩვენი ძილის პერიოდში წყალზე, წასულს მაზლი ცოლი ქრისტინა უძახის თურმე დედაჩემს, შენი ბავშვები, თოვლში კოტრიალებენ და პატარა გულნაზის ჩხავილმა ჩემამდე მოაღწიაო. მოგეხსენებათ, იმერეთში შორი - შორს ცხოვრობენ და რა განწირული ხმით უნდა მეჩხავლა, რომ ქრისტინა ბაბოს გაეგონა. ახლა იქ, რა მოხდა. დედას, გარედან კარები დაუკეტია, რადგან ხშირად ლევი, თვალებს ხუჭავდა, სინამდვილეში არ ეძინა. დედის მოსავლამდე, თავისი ხის ოჩაფეხაზე შეჯდებოდა და ბევრჯერ ცხვირ გატეხილი დახვედრია დედას. ჰოდა, დედა იძულებული გამხდარა, სახლი დაეკეტა და თავისი ცელქი ლევანი ამ დაკეტილ სახლში დაეტოვა თუკი რა თქმაუნდა ატყუებდა და თავს იმძინარებდა . თვალ მიხუჭულ ლევიკოს ასეთი ხერხი უხმარია. ამოუღია ფანჯარა, ჯერ თამაზი გადმოუსვია, მერე მე აკვნიდან დედაშობილა ამოუგლეჯივარ, თამაზისთვის გადმოუწოდებივარ, გეგონება მათი სათამაშო თოჯინა ვიყავი. მერე თითონ

გადმომხტარა ფანჯრიდან და თოვლში ჰერი - ჰერიოს გაიძახოდა, თამაზის კი რა ექნა აბა, როგორ გამაჩუმებდა გაყინულ-აკანკალებულს?.

დედას, პირველად ჩემთვის დაუვლია ხელი და წყლით სავსე კოკა კი თოვლში მიუგდია. კოკაც კოტრიალ - კოტრიალით სადღაც გაჩერებულა. პირველად ჩემთვის უტაცია ხელი, გაყინულ- გათოშილი გულში ჩაუკრივარ და სანამ სახლში შემიყვანდა მანამ გარეთ, ხელით მასაჟები გაუკეთებია, აჩხავლებული გულნაზისთვის და მეც დაუწყნარებივარ. ლევი და თამაზი კი პატარა დამნაშავე ჯარისკაცებივით იდგნენ თურმე კარებში მობუზული ბეღურებივით. დედა, როცა შეკითხვია ლევის, ეს რატომ გააკეთეო, უპასუხია, აბა, ჩემს დაიკოს სახლში მარტო ხომ არ დავტოვებდიო. დედაც გაჩუმებულა, ანდა რა პასუხი უნდა გაეცა პატარა ჯარისკაცებისათვის. ასეთი თავგადასავლების მომსწრე ბერჯერ გამხდარა ჩემი დედა სანამ შვილებს დაგვზრდიდა. შვილოვო, ერთხელ უკვე დიდი ვიყავი, როცა დამარიგა, დედა გენაცვალოს, არასოდეს არ დამიწყევლიხართ, არც თქვენ და არც არავინ სხვა. აბა, შენ იცი რიგორი თბილი და კეთილი გაიზრდებიო. ეს დარიგება დედის დღემდე მომდევს და ვცდილობ ისეთი ვიყო , როგორიც ჩემი დედის სულს გახარდება. კიდევ ის, რომ არასოდეს არაფერი არ მომიპარავს, თუ რატომ, ამას უკვე ჩემი ბავშობის მეხსიერებიდან შემორჩენილს მოგიყვებით. სააღდომოდ დედამ წითელი კოპლებიანი კაბა შემიკერა. ნაჭერი კიდევ მორჩა და შარვალიც შემიკერა. დაბლა რეზინი გაუკეთა, მაშინ ალბათ ასეთი მოდა იყო. გარედან ერთი ჯიბე მიაკერა, აღდომა მოდიოდა და ჯიბეში კვერცხს ჩაიდებო. მაღლიდან წითელი ლამაზი კოსტუმის სტილში ლამაზი მოსახამიმომიხკაფირთა. მოკლედ, წითელ ქუდას დამამგვანა. აღდომის წინა დღეს, თამაშობით გული, რომ ვიჯერე, ქრისტინა და პელო ბებოსთან შევიარე. სახლში დაშა მამიდა დამიხვდა, დაშა თავის დის ტანსაცმელებს აუთოვებდა. ნახშირის უთოში ცხელი ნაკვერჩხალი ჩაეყარა, და ხელის აქეთ- იქით ქნევით მხურვალებას მმატებდა უთოს. ნახშირის უთოთი სტუდენტი დის გალინა მამიდს ტანსაცმელს აუთოვებდა. მე, მივჩერებოდი და თვალით ვტკბებოდი, ლამაზი კაბების ყურებით. გალინა მამიდა ზესტაფონში ახლა ის თბილისში ცხოვრობს, რუსო დუგლაძის დედაა. სკამზე გადაფენილ კაბებთან ერთი ლამაზი ცხვირსახოცი შევნიშნე, რომელიც ძალიან მომეწონა. ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა დაშა მამიდა გარეთ, რომ ის ცხვირსახოცი ჯიბეში ჩამედო და მომეპარა. ლოდინი დიდხანს გაგრძელდა, თითქმის მზე ჩასვლას აპირებდა, მე ვიჯექი და ველოდებოდი ქურდობის მომენტს. მოთმინების უკანესკნელ საფეხურის კულმანაცისას, დედამისმა დაუძახა ქრისტინამ.დაშამ, უთოობას თავი დაანება და გარეთ გავიდა. მეც მეტი რა მინდოდა, ცხვრსახოცს ხელი ვსტაცე და აღდომის კვერცხისთვის გამზადებულ ჯიბეში, მოპარული ცხვირსახოცი მოვათავსე. გარეთ გამოვედი და გამარჯვებული, სულ ხტუნვა- ხტუნაობით ჩამოვირბინე ფერდობი. დაღამებას კიდევ აკლდა, ლენა ხარაიშვილს შევეხმიანე, გამოდი, კლასაობა არ გინდა? ის გაცილებით თავიდანვე დინჯი ბავშვი იყო ჩემთან შედარებით, ლენამ დედისგან დასტური აიღო, და ძირულის პირზე კლასაობა გავმართეთ. სულ გადამავიწყდა, ჯიბეში მოპარული ცხვირსახოცი, რომ მქონდა. შებინდებისას, მაღლა ფერდიბიდან, დაშა ყვირის, დონიკაა. დედაჩემმაც დაუყონებლივ გასცა პასუხი. დაძახილის ხმას თვითონ დაშაც ალეწილი სახით მოყვა და დედაჩემს აუხსნა თუ რაში იყო მდგომარეობა. ვაი, შენს გულნაზის გავფიქრე და ვითომც არაფერი კლასაობა განვაგრძე.

დედაჩემი ხმამაღლა არასოდეს საუბრობდა. არც გაბრაზების დროს მინახავს წონასწორობიდან გამოსული. დედის მშვიდმა დაძახილმა სითამამე შემმატა და სირბილით შერბენილი, სიმშვიდით დავდექი დედის გვერდში. დაშა მამიდას კი, სიბრაზის ელფერი უთამაშებდა სახეზე. დედაჩემმა კალთაში ჩამიჯინა და ტკბილად დამისვა კითხვა. შვილო, მამიდას ცხვირსახოცი რატომ მოპარე? არ მომიპარავს. ჩემი პასუხით გახარებული დედა დაშას მიუბრუნდა , ხომ გეუბნეოდი, ჩემი შვილს შენი ცხვრსახოცის მოპარვას როგორ აბრალებ? დონიკა, შეუტრიალა კითხვა დაშამ.

ცხვირსახოცი არაფერია, მე იმიტომ ჩამოვედი, რომ არ გაიზრდება კარგი, შეეჩვევა (ხელცივობას) და ბოლოს სანანებელი გაგიხდება. დედამ თვალი, თავისი შეკერილი შარვლისაკენ გააპარა. მოდი აქ, გოგო, ბრძანების კილოთი მომმართა. მეც მივედი. ჯიბეში ხელი ჩამიყო და ცხვირსახოცი ამომაცალა. აქ, აღარაფერს დავწერ. რათქმა უნდა დედამ დამსაჯა, მაგრამ მას დასჯის მეთოდიც კი განახვავებული ქონდა. მშვიდი და უმკაცრესი. მას შემდეგ, ისე გავიზარდე, ქარისგან ჩამოყრილი მწიფე მსხალიც კი არ ამიღია სხვის ეზოში. გულნაზ ხარაიშვილი(ცისკარელი)

ჩემი მამამთილი

ჩემი მამამთილი, შალვა სხირტლაძე, უძლიერსი პიროვნება იყო. ის, გამოირჩეოდა, როგორც ფიზიკურობით, ისე თავისებური სიბრძნით. ვწერ ამ სიტყვებს და არ მეშინია იმისა, რომ ვინმემ ცინიკურად ჩაიცინოს. პირიქით ბოდიშს მოვიხდი მის სულთან, რომ დავაგვიანე მისდამი ყურადღება. ისეთი ვაჟკაცი იყო, სოფელში კი არა, ყველგან თვალით დავეძებ, კიდევ ვინმე გავდეს საქართველოში მას. ეს ვინმე ჩემი მაზლის, შვილიშვილია. გავს, ლაშა სხირტლაძე დიდ ბაბუას. თითქმით ყველაფრით გავს. ისევ გადავანაცვლებ ყირადღებას, ჩემი მამამთილისკენ. ის იყო ძალიან კომუნიკაბელური პიროვნება. სამი რძალი ვყავდით, არ იცოდა რძლების განსხვავება. თავის მამაშვილურ სითბოს ყველას გვინაწილებდა. და..., მე მაინც, გავიხსენებ ჩემს ურთიერთობას მამამთილთან. უფროსი რძალი ვიყავი, ორი მაზლი საქორწილო დამიხვდა, მული გულნაზი სხირტლაძე, სკოლის მოსწავლე. ბევრჯერ, დედამთილი ლოგინში ჩამიწვებოდა, ჩემს ფეხებს გულში ჩაიხუტებდა და კოცნიდა. ამ სიმართლით თვით ჩემი დედამთილის სულს ვაამებ, ისიც მწამს და მჯერა, რომ მისი სული ამას შეიგრძნობს და ამ აღიარებით, ჩემი შვილის სულსაც წავაშველებ დედური მადლის სითბოს. ჩემი მამამთილი, ომის ინვალიდი იყო, ცალი ფეხი, ჩემი რძლობის პერიდში მოკვეთეს. ერთი წელი დაჭირდა, ჭრილობის შეხორცებას, ბოლოს მკურნალობას დაემორჩილა მისი ვაჟკაცური სხეული. ამ პერიოდში, ჩემი დათო გაჩნდა, მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ჩემი დედამთილი მუშაობდა, დილიდან საღამომდე მეურნეობაში იღლებოდა. გადაღლილი, მერე ოჯახსა და ცხობა, კეთებას უნდებოდა. დიდი მოკრძალებით მოვკიდე ხელი ჩემს პატარა დათოს აღზრდასთან ერთად, მამამთილისთვის დღეში სამჯერ შეხვევა გამეკეთებინა.

ისე ვუვლიდი, როგორც საკუთარი მშობელი. არა სიტყვები არც მყოდნის მის შესაფასებლად, ვის შევადარო არ ვიცი. მას უყვარდა, თავის თავგადასავლების მოყოლა. მეც დიდი სიამოვნებით ვუსმენდი, როცა ჩემი დათოს ნაჭრის გადმოხარშულ საფენებს ვაუთოვებდი. ადრე არ იყო, ის საშუალებები რაც ახლა არის. მისი მონაყოლი ძალიან საინტერესო იყო და ისე გადიოდა დრო, ვერც ვგებულობდი.

მამამთილს, მამას ვუძახდი, ეს იყო ნებაყოფლობითი და არა ძალდატანებით. ძალიან უყვარდა ჩემი ძმები, თითქმის ყველა ასაკის ადამიანთან შეეძლო, ურთიერთობის დამყარება. მთასავით მამაკაცს, დიდი გული ჰქონდა. დიდი ადამიანი იყო. ძალიან უყვარდა თავისი ერთად ერთი ძმიშვული, თამრო სხირტლაძე. ორი ძმები ყოფილან, გრიგოლი და (შალვა) ჩემი მამათილი. მისი ძმა ოშში გაუწვევიათ, სულ პატარა დარჩენილა მისი ძმიშვილი თამრო. ჩემი მამამთილი როცა წამოზრდილა, დედამის უთქვამს, შალიკო თუ ჯარში წაიყვანეს, მე მოვკდებიო. მართალაც ასე მოხდა, ქარელამდე არ ვიყავი ჩასული დედის გარდაცვალების დეპაშა ფეხებში რომ მომყვაო. ვანოს, ჩემი მამამთილის მამას დიდი ტვირთი დაწოლია, მეუღლის გარდაცვალება რძალი, შვილიშვილი, უგზო უკვალოდ დაკარგული გრიგოლი. ასე, რომ მამამთილიც ბევრი დარდის გადამტანი იყო. ომიდან დაჭრილი ჩამოვიდა, ჩქარე დაოჯახებულა.

სიყვარულით, ერთი ალელი გოგო ყვარებია, პედაგოგო ყოფილა. რატომღაც ეს, საქმე არ მომხდარა და ხშირად იგონებდა. მე ვიყავი მისი მესაიდუმლე. ჩემი დედამთილი ძალიან ლამაზი და მარჯვე ქალბატონი იყო ვარა გოგატიშვილი. მას შრომით, დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული. მამამთილს როცა ფეხი მოკვეთეს, ყველანაირი ტვირთი მას დააწვა. თამაზი და ჟორა ჩემი მაზლები ჯარში დამიხვდნენ, მე როცა მათი რძალი გავხდი. ჩემი მული სკოლაში იყო, დედამთილი სამუშაოზე. სახლს მოუარე, დათო დავაძინე და აკვანი მამამთილთან დავდგი, თუ იტირებდა დაარწევდა თავის პირველ შვილიშვილს. მზიანი დღე იყო. მოვისურვე საბნების გამზიურება. ჯერ ეზო დავგავე, მერე, საბნების გატანა დავიწყე გარეთ.

ვაზი დაყვავილებული იყო და კლავდია ბიცოლა, ჩემი მამთილის ძმის ცოლი ვიცოდი , რომ ვენახში იყო წასული ვაზის ასახვევად. ამ ბაღის ადგილს პავჩაკრებს უძახდნენ და საკმაოდ შორს, იყო. დამიბარა კიდეც, თუ ვინმე მიკითხოს, იცოდე სადაც ვარო. საბნების, გაზიდვას, რომ მოვრჩი. შევხედე ალუმინის ტროსს. გამახსენდა ჩემი ბავშობა, ძალიან მიყვარდა, სპორტი. ვარჯიშობდი. მივიხედ- მოვიხედე, სახლში არავინ იყო, მამათილი ვერ ადგებოდა. ჩამოვეკიდე ტანსაცმელისთვის გაჭიმულ მავთულს და ერთი ხუთჯერ ამოვტრიალდი. თურმე, კლავდია ბიცოლა, გვერდით ვენახში გადასულა და გულში მლოცავდა ეს რა მარჯვე რძალი მოვიყვანეთო. მავთულზე მოვარჯიშე, რომ დამინახა. მიკივლა, გულნაზი ხომ არ გაგაგიჟა ჩემმა გამჩენმაო. მისი სანაქებო რძალი ალუმინის უჟანგავ მავთულზე დაკვინწიალობდა. იმ წუთში მასთან გავჩნდი, ვთხოვე , რომ საიდუმლოდ შეენახა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან არ უთქვია, ახლა მე ვაღიარე, ჩემი მიამიტური საქციელი.

იმ დღეს სულ ფართხაფურთხით ვაკეთებდი საქმეს, ცოტა დაბნეულობაც მეტყობოდა. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. საღამოთი კი, კლავდია ბიცილამ მიმიხმო. შვილოვო დაიწყო საუბარი. მე, ისეთი პატარა ვიყავი, როცა გრიგილმა მომიყვანა, თოჯინებს კაბებს ვუკერავდი, მერე ჩემივე ხელით შეკერილ ნაჭრის თოჯინას, ჩავაცმევდი და ასე ვირთობდი თავს, სანამ გრიგოლი არ მოვიდოდაო. ერთი- ორჯერ დედამთილს შეუნიშნია და სასტიკად გამაფრთხილა. აღარ დაგინახო, ასეთი რამ გააკეთოვო. ახლა კი პირიქით მოხდა, მე გაფრთხილებ, ასეთი რამ სოფელში არ შეიძლება. მეც დაუჯერე მაგრან ახლაც თვალებში მიდგია დიდი პანტა მსხალი. გვერდით ჩაგდებული თორნე, მოფუსფუსე ჩემი დედამთილი. მარჯვე, ცეცხლი გადიოდა ხელებიდან. ბიჭები ჩქარე, ჩამოვიდნენ, სამხედროდან. ჟორამ ჩემს მულს და მე, წითელი დვოიკები მოგვიტანა საჩუქრად. მერე თამაზიმაც გაგვახარა ისიც ჩქარე გვესტუმრა სამხედროდან. გაივსო ოჯახი ხალხით. ჩემს მამათილს ფეხი მოურჩა, მუშაობა დაიწყო, ,ტალკის წარმოებაში. მაზლები ჩქარე დაქორწილდნენ. უმცროსი მაზლი თამაზი რუსთავში ცხოვრობდა. ჩვენ კი სოფელში.დედამთილი არაფერს გვაკლებდა, თუკი რამე იყო სახლში, მიმალულ- მიჩქმალული არაფერი იყო. რაც გვქონდა, ყველაფერი ერთნაირად ნაწილდებოდა. ერთ დღეს მე და იზო მარტო ვიყავით სახლში ჟორას მეუღლე. ქათმის ხორცი მოგვინდა. დედამთილის თქმა მოგვერიდა, რომ გვეთქვა, აუცილებლად დაკლავდა, ერთი ქათამიც რომ ყოლოდა. იზომ თქვა, მოდი არაყი დავალევინოთ ქათამს, ბარბაცს დაიწყებს და დაკლავენო. დავტეიალდით პატარძლები, მე არაყი მოვიტანე, იზომ ქათამი დაიჭირა, იმდენი არაყი ჩავახი პირში ქათამმა თავი მოიკვინწიალა და აქეთ- იქით ბარბაცი დაიწყო. მოვიდა დედამთილი, თავისებურად მიტრი- მოტრიალდა. სახლში მისთვის საქმე არ ილეოდა. ქათმებს სიმინდი დაუყარა და დაინახა, რომ ერთი ქათამი უკვე ფეხებს აფხარკალებდა. არიქა შალიკო დაკალი სანამ სული შერჩენია პირში. მკვდარი ქათმის ხორცს ვინ მიეკარებაო. ჩემმა მამათილმა ქათამი დაკლა და წვეთი სისხლი არ გადმოუვიდა საცოდავ ჯუჯულას. არაყმა სისხლი გაუთეთრა უბედურს. იზომ, რომ დაინახა აღარ მიირთვა, მე კი კარგად გეახელით.

ბეჟანი ლექსებს უძღვნიდა, ჩემს მამთილს. მასაც ძალიან უყვარდა ბეჟანი.

ის ძალიან, განათლებული პიროვნება იყო, საამაყო იყო მის გვერდით ჭირში თუ ლხინში წასვლა. ბეჟანი როცა ჩამოდიოდა, მათი საუბრის მოსმენას არაფერი ჯობდა. მსჯელობდნენ და გმობდნენ, იმ პერიოდის მოვლენებს. ეს, ის პერიოდი იყო, როცა ქართული ენა უნდა დაეგმოთ, მოსკოვის ბრძანებით და რუსული ენა უნდა გაბა-ტინებულიყო საქართველოში. საუბრობდნენ დინჯად და გაუთავებლად. საკუთარ აზრს მამამთილი უზიარებდა და მკაცრად ამბობდა: მიუღებელია, ეს არ უნდა მოხდეს. მერე ახალ ლექსებს უკითხავდა ბეჟანი და ასე თენდებოდა ღამე. ჩემი დედმამიშვილები ჩემ

მაზლის ცოლებს დედმამიშვილებივით უყვარდათ. იზომ ჩემ უფროს ძმას ლევანის თავისი და მერი მოანათვლინა. ჩემი მაზლიშვილი ჟორას გოგო, იზა ჩემი ძმის ცოლის ნათლულია. იზო ძალიან კარგად მღეროდა. როცა, ბეჟანი გარდაიცვალა, მას ათი წელიწადი ხმა არ ამოუღია. მერე თვითონაც ჯერ ქმარი და მერე შვილი გარდაეცვალა და დარჩა იზო დარდებთან. ჩემი მამამთილი კი, სიკეთისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ დარჩება საახლობლოში.

სვანეთში ვიმოგზაურე

არასადოს არ უნდა თქვა არ მცალია, როცა ისეთ რამეს გთავაზებენ, სადაც ნახავ სიწმინდეს, ლამაზ ისტორიასთან ერთად. ამ პანდემიის დროს, ოპერის სცენაზე აცეკვებული ოთხმოცი წლის ხელოვანის იუბილე ჩაატარა კულტურის სამინისტრომ. ცხოვრობდე საქართველოში და სვანეთში არ იყო ნამყოფი, ეს იმას ნიშნავს, არ გიცხოვრია საქართველოში. ისეთი სურვილი გამიჩნდა, ჩავსულიყავი და იმ სალოცავის გვერდით დუმილში გამომეხატა ის, რასაც იმ წუთში ვგრძნობდი. როცა სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ ხელოვანთა ანსამბლს ვუყურებდი, გამახსენდა ჩემი აწ გარდაცვლილი ძმა. ბეჟანი, არც ერთ ექსპედიციას არ აცდენდა და დადიოდა სხვადახვა რაიონებში. ბატონი ერეკლე საღლიანის ნაამბობიდან მომისმენია, ასეთი რამ. იმ, ეკლესიის ტაძარში სადაც თამარ მეფის თასი ინახება, სვანები პრეზიდენტიც, რომ ჩავიდეს, არავითარ შემთხვევაში არ გამოიტანენ თამარის თასოო. ბეჟანი როდესაც სვანეთში ჩამოვიდა, ეკლესიის მსახურმა, ბეჟანის თამარ მეფის თასი გამოუტანა, შიგ ღვინო ჩაუსხა და საქართველო დაალოცინაო. ვიჯექი სკამზე და თვალით ვხედავდი სვანეთის ბუმბერაზ მთებში ,,უშგულს“, ,,ლამარიას“ და ვგრძნობდი, რომ ჩემი ოცდახუთი წლის ძმა დააბიჯებდა იმ, დიდ მთებში. დააბიჯებდა და საქართველს ლოცავდა. სვანეთის პეიზაჟი რეჟისორს ისე კარგად ჰქონდა გადაღებული და პროფესიანულად გაშუქრბული, რომ ვეღარ ვგებულობდი რისთვის მეყურებინა, ხელოვანთა ცეკვის ანსამბლისთვის თუ, ბუნების ცქერით დამტკბარიყავი. ის, ერთი დღე ერთი წლის განტვირთვის ტოლფასი გახდა. მთები თითქოს ქედს უხრიდნენ დედა თბილსს და ქაშვეთის ეკლესიაში მომლეცველ მრევლს, მთის ძალას მატებდა. გამახსენდა, ბეჟანის ლექსი, ,,მტკვარი გველივუთ ჭადრებში შეცურდა და აათამაშა მკერდზე ნატვრისთვალი, ,,თბილისი“ და მე ვინატრე, მე პატრონმა ამხელა განძის, დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე“, ამინ! ახლა უკვე აწ გარდაცვლილო ბეჟანი, ოცდაათი წლის გარდაიცვალე და შენი გარდაცვალებიდან ოცდათვრამეტი წელი 2022 წლის პირველ იანვარს გახდება და წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს. შენ კი, თამარ მეფის ღვინით სავსე თასით საქართველო დალოცე და სამადლობელი მოიხადე პოეტო. დღეგრძლი იყოს საქართველო უკუნისი, უკუნისამდე ამინ!

ლეილა გაფრინდაშვილი

ნეტავ!

დღეს ხომ პირველი აპრილია... ნეტავ ტყუილი იყოს, რომ შენ აღარ გვყავხარ.

სიყვარულის ნერგმა, რომელიც ჩვენმა ბაბუამ, ალექსანდრე გაფრინდაშვილმა დარგო და ახარა, მერე ჩვენი მშობლები ფესვებს ურწყავდნენ და იმ ხის ჩრდილში ზნეობის, სიკეთის, სიყვარულის გაკვეთილებს გვიტარებდნენ, ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა, ჟამთა ცვლამ ვერ შეასუსტა, პირიქით, გაამაგრა, გააძლიერა და ჩვენ, შვიდნი, „ფუძესახლის“ შვილიშვილები, სიყვარულის ძაფით გადაგვნასკვა ერთმანეთში.

ჩემო ლევიკო, (ლევან გამყრელიძე) ჩემო ტკბილო ძამიკო, მხოლოდ შენს ოჯახში კი არა, ჩემი, ლენდას, ნუგზარის, უზანას, ცისმარის, გურამის გულებში, ის იარა, რომელიც შენმა წასვლამ გააჩინა, არ მოშუშდება. იმ ადგილიდან მუდამ, ვიდრე ჩვენ ცოცხლები ვართ, იდენს სისხლის წვეთი და ჩუმი ცრემლი, ცრემლი დამალული, (რომ სხვა არ შევაწუხოთ, თავს არ მოვახვიოთ ჩვენი ტკივილი). ერთმანეთის გამხნევებას ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, მოდის და მოდის ცრემლების ნიაღვარი...

დაგვრჩა ჩვენი ბავშვობის, სტუდენტობის ერთად ცხოვრების ტკბილი მოგონებები. ჩვენი შეხვედრებით განცდილი სიხარული, ბედნიერება რომ გვეხატა ყველას სახეზე. გულში ჩახუტება, ურთიერთის გაფრთხილება და პატივისცემა! ჩვენს ურთიერთობებში არ ყოფილა ერთი ზედმეტი უკადრებელი სიტყვაც კი.

გაგრძელდება ჩვენი ცხოვრება ჩვენო ტკბილო ძმავ, მაგრამ ჩვენს შეკრებას აღარ ექნება ის ხიბლი, ხალისი, დააკლდება ის ნაპერწკალი, სიხარულის ცეცხლს რომ აალებდა ხოლმე ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით. ამ ყველაფრის მომსწრე ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჩვენსავით იზიარებდნენ ამ ბედნიერ წუთებს, მივღიღინებდით ერთად, ვაკავშირებდით ჩვენს მომავალ თაობას და ა. შ...

ერთი მონაკვეთი ჩვენი ცხოვრებიდან: ტელეფონის ზარია, უზანა მირეკავს: „ჩქარა, მოემზადე, ზვიადმა დამირეკა, იმერეთისკენ ყველა, „ფუძესახლში“, საქეიფოდ, ერთმანეთის მოსაფერებლად – დიღომში, ქალაქის გასასვლელში ვიკრიბებითო.“ ერთი კი წავიბუზღუნე, ასე უცებ, როგორთქო, მაგრამ პარალელურად სამზადისიც დავიწყე, ან ვინ მომცემდა დაფიქრების დროს, ითქვა და მორჩა!

იმ პერიოდში შუქები ქრებოდა, გენერატორი წავიღეთ და სამი ბედნიერი და დაუვიწყარი დღე ვაჩუქეთ ერთმანეთს!

და კიდევ რამდენი...

ბოლო შეკრება, უდიდესი მხიარულება, დედას 90 წლის იუბილე იყო, რა თქმა უნდა, შენ იყავი თამადა, თბილი, კულტურული, სიტყვაწყლიანი, იუმორით გაჯერებული...

დედა აღარ მყავს, მაგრამ... შენი წასვლით გამოწვეულ ტკივილს მაინც ვერ გადაიტანდა... ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე, რარიგად აფასებდით ერთმანეთს და როგორ ეხატებოდა სახეზე შენი დანახვის სიხარული!

დედას 40-ზე მიმავალს საავადმყოფოდან დამირეკე: მებოდიშებოდი, გული გწყდებოდა, რომ ჩვენთან არ იყავი, ტირილით მოვკვდი, ზნემაღალო, გულიანო და თუ რამ სიტყვა არსებობს, ადამიანის შესაქებლად, ყველა რომ გესადაგება, ჩემო და ჩვენო ტკივილო და სიამაყევ!

როგორ დაგტირის შენი ქალაქი ჭიათურა, რომელსაც ვერ შეელიე, ვერ უღალატე მეგობრებს, კოლეგებს... აკი გქონდა შემოთავაზებები, დედაქალაქში გადმოსულიყავი. რა გულწრფელია კომენტარები, რომლის წაკითხვაზეც ცრემლად ვიღვრები, რადგან ვიცი, რა სიმართლეა თითოეულ სიტყვაში!

გივი მოდებაძე – ქალაქ ჭიათურის მერი: ,,ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ, ბატონ ლევან გამყრელიძის გარდაცვალების გამო. ძალიან დასანანია, რომ ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა: თხემით-ტერფამდე ინტელიგენტი

ადამიანი, თავისი ქვეყნის, ქალაქის პატრიოტი და კარგი მოქალაქე. ბატონი ლევანის ცხოვრება მთლიანად იყო დაკავშირებული თავის ქალაქთან, სამთო მრეწველობასთან. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა „ჯორჯიან მანგანეზის“ სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ამჟამად, შ. პ. ს. „პროფიუნიტის“ ხარისხის მართვის კოორდინატორი გახლდათ, ასევე- ქიათურის მერის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. აქტიურად იყო ჩართული ქალაქში მიმდინარე პროცესებში.

გულწრფელად თანავუგრძნობ ბატონი ლევანის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, და კოლეგებს ამ დიდი დანაკლისის გამო.“

მაია ტყემალაძე – ქალაქის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი: „ბატონი ლეო! უსაზღვროდ მეწყინა, მეტკინა. ის ხომ გამორჩეული ადამიანი იყო, ნამდვილი ინტელიგენტი, ქალაქის კოლორიტი, ჭკუის საკითხავი კაცი...

ვწუხვარ, გითანაგრძნობთ მთელი არსებით! ნათელში დამკვიდრებულიყოს მისი ლამაზი სული!“

რამაზ გამეზარდაშვილი: ,,ძალიან მძიმე განცდაა, რომ ლევან გამყერელიძე აღარ არის. სიკეთის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, საქმის ცოდნის, პროფესიული ღირსების ეტალონი. სრულად გამოვლენილი სიკეთე, წონასწორობა და უკომპრომისობა ერთ ადამიანში. მშვიდობით უფროსო მეგობარო, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა!“

ეთერი ზედანია: „სუნთქვა შემიჩერდა ამ მოულოდნელი ელდისაგან. რა დიდებული პიროვნება, როგორ ღირსეულ ოჯახში აღზრდილი. დიდი დანაკლისია ყველა ქიათურელისათვის, ვისთანაც ჰქონია ურთიერთობა. ნათელში იყოს მისი ფაქიზი სული.“

მამუკა გოგატიშვილი: ,,ღიმილიანი, კეთილი, განათლებული, ინტელიგენტი... ძალიან ბევრი სიკეთე მახსოვს! ვიზიარებ, ღმერთმა გაანათლოს მისი სული!“

რომელი ერთი დავტიო ფურცლებზე...

გმადლობთ ყველას, ვინც გულთან მიიტანეთ, თბილი სიტყვები არ დაიშურეთ...

შენ გენაცვალე, ჩემო ზვიად, როგორ თავდაუზოგავად იბრძოლე, ძალას გაძლევდა უზარმაზარი სიყვარული და პატივისცემა შენი ბიძის, მეგობრის, მესაიდუმლის, მაგალითის მომცემი პიროვნების მიმართ!

ილო, მოსიყვარულე, გულიანო კაცო, მადლობა ჩვენგან, რომ მთელი გულით იდექი შენი საუკეთესო სიმამრის გვერდით.

ვაი, რომ დავმარცხდით!

ზემაღალი სიყვარულის კაცო, ჩემო ლევიკო, მიყვარხარ! ამ გრძნობას არა აქვს საზღვრები. დაგვაკლდები და, მერე როგორ. რას ვიზამთ, უნდა გავუძლოთ... მჯერა, შენი წმინდა სული
ადგილს დაიმკვიდრებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

გიორგი კეკელიძე

///

წელიწადის ამ დროს ან ცოტა უფრო გვიან სოფელში უმიზეზო სუფრა იშლებოდა რომელიმე მეზობელთან. არც ნადის საქმე იყო, არც დაბადების დღე. უბრალოდ, სუფრა და მორჩა. რამდენიმე კაცი. ოთხი მეზობელი და ერთი მასპინძლის ბიძაშვილი ახლო სოფლიდან. და რადგან სუფრა გაეშალათ, საგანაგებოდ ორი ლამფა ენთო, ერთი ძველი და მეორე თურქული – სარკიანი. თუ უცებ ელნათურას წამოაბოდებდა და აინთებოდა, ლამფები არ ჩააქროთო, ჩაუწიეთო – ამბობდა ქალი. ეს ქალი წესით შუახნის იყო, რადგან მოხუცი ღუმელთან იჯდა და თავს არ წევდა. იმას, შუახნისას, სახეზე გამარჯვებულის ღიმილი გადაჰკრავდა, როცა დენი წავიდოდა მალე და ლამფებს ისევ აუწევდნენ. კაცმა რომ თქვას, ასეც სჯობდა. აწი იცოდნენ, რომ აღარ მოვიდოდა და მშვიდად აგრძელებდნენ სმას. ეს შეგუებული სიმშვიდე, მჟავე ადესით და კიდევ უფრო მჟავე ფიქრით, ოდნავ სახეზეც რომ ჟონავდა, დღემდე არის ყველაზე ახლო და შორეული სიმაღლე ჩემთვის. ეს გაუგებარი არაფერი, გაფანტული სადღეგრძელოებითა და ცარიელი მოლოდინით. გარეთ ამინდის გადარევით და იმით, რომ ეს გადარევა იყო სულერთი. ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: არაფრად ყოფნის სიამოვნება არის უდიდესი სიამოვნებათა და უმაღლესი საფეხურთა შორის. ამას იოლად ვერ მიხვდებით და ვერ დაიჯერებთ. ამისთვის ოქტომბრის შუაში უნდა წამომყვეთ, ასე ოციოდე წლის წინ, ახლო მეზობელთან, სამი ჭიშკრის და ერთი ალაგეს გავლით.

///

შეიძლება პოეტური ბოდვაა და გლობალური დათბობა ძველ კალენდარულ მოწყობებს არ ცნობს, მაგრამ დღემდე ცხადად ვგრძნობ და მტკიცედ მჯერა, რომ აგვისტოს მიწურულს მობერილ ნიავში, თუ ჩაუსაფრდები, აუცილებლად დაიჭერ ერთ წვეთ სუნს, რომელიც მთელ შემოდგომას დაგანახებს.

///

ალბათ ოდესმე მეცნიერები იმსჯელებენ, რომელია წამების უმაღლესი ფორმა სმენის ჟანრიდან: კოღოს ჯიუტი წუილი ყურთან გამთენიის ხუთისკენ, მოშლილი ონკანიდან წყლის შეუდრეკელი, ოღონდ მოფრთხილო წანწკარი თუ ქვაბის ძირის წმენდა წვერსაპარსის პირით (ვინც ბოლო წინადადება ვერ გაიგო, განვმარტავ – ჩახანას ფხეკა ბრიტვით).

///

ცა ერთი და იგივე არ არის. არის ბავშვობის ცა და ეს ცა აუცილებლად შენი ეზოს თავზეა ან აივნის, ან ფანჯრის. მაშინაც, როცა ოცდათხუთმეტის ხარ ან სამოცდათხუთმეტის. ასეთი ცა არ იცვლება, არც ღრუბლები იცვლებიან და არც ვარსკვლავები. იქ ვარსკვლავები სულ ჩვეულებრივი ვარსკვლავები არიან – ციცინათელების ტოლები და რომ დაითვლი და მეჭეჭები ამოგივა – ისეთები. არც მილიონი წლის წინ არის წამოსული მათი ნათება და არც რაღაც გალაქტიკების პლანეტარული სისტემების წევრები ჰქვიათ. უბრალო, პატარა, ძალიან პატარა ვარსკვლავებს ხედავ და მხოლოდ შენს ცაზე ანათებენ.

//

გრუხუნა – ასე ერქვა იმ ამინდს. ელვა და კვალში გრხხხ.

პირველი – თუ შუადღე იყო, შემთხვევით ლამპოჩკა ენთო (იმ ენაზე ვწერ, ქართულისთვის ნუ დამძრახავთ), შეითამაშებდა და გაქრებოდა. ამას წინ უსწრებდა: „ე, დენი წავა ახლა, ძაბვა არ დავარდეს, გამორთე მაცივარი“ და მოსდევდა : „დედა, რაფერ გლახათ წევიდა ცა, კიდომ კაი რომ გამოგართვიე. აი, ისე წევიდა, აღარც მუა“.

მეორე – თუ საღამო იყო, კრუხი შფოთდებოდა და წიწილები გარბოდნენ მისკენ. მერე ბებია კრუხს მიეპარებოდა, ფრთების თავში ხელს ჩაავლებდა და ბუდისკენ მიჰყავდა. წიწილებს სხვები ვიჭერდით. დევნა. მთელი ფილმი. გრხხხ საუნდტრეკით და ხაპის ფოთლებზე პირველი წვეთების ხმით.

მესამე – თუ შუაღამე იყო და ვიყავი ასე ოთხიდან ექვს წლამდე, მამაჩემს ზურგზე ვეკვროდი. ხოლო მამაჩემი ყვებოდა ზღაპარს და სახურავზე წვიმა დააბიჯებდა.

მეოთხე – თუ დილა იყო, ვფიქრობდი, რომ ასეთი ამინდი, ალბათ ყველაზე უკეთესი მაშინაა, როცა შეყვარებულთან ერთად წევხარ, შეყვარებულს ცოტა ეშინია და შენ იღიმი.

ასეთია ჩემი ბავშვობის გრუხუნის ანატომია.

////

მამაჩემი, წესისამებრ, ოქტომბერში ჩამოდიოდა. ოთხმოცდაათიანების შუა საუკუნეები იდგა. ზაფხულში სურებში ადიოდა, ჯერ თხილს აბინავებდა და მერე შეშას ამზადებდა. პატარა, ქოხისმაგვარი სახლი, უშუქობა, უმეზობლობა, უიმედოება. ბუხარი არის და ცეცხლის დანთება შეგიძლია, მაგრამ ამდენი სასტიკი უ-ს შემხედვარეს და შემგრძნობს, არც მაგის ხალისი გაქვს, თუნდაც გალუმპული იყო და გციოდეს... ჰოდა, მამაჩემი ოქტომბერში ჩამოვიდა და მიყვება, რომ მთელი დღე წვიმდა და "თხილს ხეკდა". საღამოს ავტობსი ჩამოვიდა თემში, ქვევით და ოზურგეთიდან ,,გამოტანებულს'' დახვდა. იქნებოდა იქ ლამფის ფითილები, ორი თავი ყველი, პურები, მჭადის ფქვილი, შპროტები და გამოსაცვლელი შარვალი, სიჩქარეში რომ დარჩა. ამოიარა ტალახიანი აღმართი, შევიდა ოთახში, ინერციით შეხსნა ფუთას თავი, დაიწყო დაზარებით ამოლაგება დაზეპირუბული გზავნილის. და უცებ.. და უცებ პატარა ბროშურა გადმოვარდა. გიორგი კეკელიძე. "დაიბადა ხარი, ჰოდა..." 1998 წელი... ლექსების პატარა კრებული. კარგმა ხალხმა რაღაც ნიჭი შემამჩნია და გამოსცა. მამაჩემი იმ დროის და განცდის კაცი იყო, ბეჭდურად გამოხატული სიტყვა სულ სხვა წონას რომ გულისხმობდა. წამიერად მთელი დაღლა და იუმედობა მომეხსნაო. მოვისროლე წვიმით სავსე ბუშლატა და გიჟივით ცეკვა დავიწყეო. მივვარდი ბუხარს და დავანთეო. დიდი და საგანგებო ცეცხლიო. წვერს რომ იპარსავდა, სახეზე არაყს ისვამდა ოდეკოლონივით და ის არაყი გადმოვიღე და დავლიეო. უზარმაზარი ზეიმი ჰქონდა, უზარმაზარი. და ამას ისე მიყვებოდა, იქ მეგონა თავი. და ახლაც იქ მგონია, ახლა როცა 35 წლის გავხდი და მამაჩემი აღარ არის.

მე ვიცი ასეთი სიხარულის ფასი, ასეთი დანთებული ბუხრის ფასი, რომელიც მეორე დღეს ისევ ძველებურად ბჟუტავს. რადგან ხვალინდელი დღე უკვე განწირულია მარტოობისთვის და უიმედობისთვის. ჩემი სურვილი და ვნება ეს არის, ამიტომაც მოვედები ამდენ და ამდენნაირ საქმეს, რომ ბუხარი ხვალაც ენთოს. ჩემი ცხოვრება სავსეა მარცხებით და გამარჯვებებით და ერთადერთი რაც შედეგად შემიძლია დავიკვეხნო, ბარემ ათი ადამიანის ცხოვრება გამოვიარე. დრამა მეტი იყო, ზეიმი ნაკლები. აქ,თქვენთან, ზეიმებს უფრო ვაჩენ, უფრო საჯარო და საყოველთაოა და იმიტომ.

მე ადამიანის ფერიცვალების მჯერა, ამიტომაც ყოველდღე ვცდილობ, რომ ჩემი გუშინდელი დღე დავამარცხო.

ჩემთვის, მამაჩემისთვის, შენთვის და მისთვის. შემდეგი წლებიც ამისა იქნება.

ელგუჯა მგელაძე

ოჯახური იდილიები

ოჯახში სამი, ერთმანეთზე ულამაზესი, სასკოლო ასაკის ბავშვი გვყავს. უფროსი მარიამი (მია-მია) მალე 12 წლის გახდება, ხოლო ტყუპები: თათია და თეონა მგელაძეები – თერთმეტის. სამივენი ძალიან ენაკვიმატი, მაგრამ ხშირად წუწუნა და პრეტენზიულები არიან.

გთავაზობთ მათი ენაკვიმატობის რამდენიმე სახალისო მოგონებას.

თეონა, მარიამი (მია) და თათია მგელაძეები

მგელაძეთა გვარის ჰიმნი

ოდითგანვე საქართველოს
თავს ეხვია მუდამ მტერი,
მაგრამ ქვეყნის დაძახილზე
ფეხზე იდგა მთელი ერი.

სამშობლოს დამცველ ვაჟკაცებს
გვერდით ედგა მგელაძენი,
თუმცა ტაო და შავშეთი
მაინც აღარ არის ჩვენი.

დღეს ვერ ნახავთ ისეთ სფეროს
მგელაძენი არ შრომობდნენ
ღირსეული სამსახურით
ქვეყნისათვის არ ომობდნენ.

დიდება მგელაძეთა გვარს
ყველა მგელაძეს დიდება.

მია-მია და კნუტები

მარიამი (მია-მია), ალბათ 7 წლისა იქნებოდა, როცა ძაღლის ყიდვა მოგვთხოვა. ჩვენ კორპუსის ბინაში ვცხოვრობთ, რის გამოც სახლში ძაღლის შენახვა უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ბავშვს აკვიატებული სურვილი ვერ გადავათქმევინეთ. ბოლოს, როცა დარწმუნდა, ძაღლის მყიდველები არ ვიყავით, მისი ჭკუით ცოტაოდენ დათმობაზე წავიდა და ძაღლის მაგივრად პატარა ლეკვის შეძენა გვთხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახისთვის დიდი შეღავათი იყო, ლეკვის არსებობაც დიდ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, გულახდილად რომ ვთქვა, დიდად არ მხიბლავდა ოჯახში ძაღლის არსებობა, თუმცა ძალიან მიყვარს ნადირობისას კარგ მწევართან ურთიერთობა.

მოკლედ, ბევრი ტირილის, თხოვნისა და ჯუჯღუნის მიუხედავად არც ძაღლი და არც ლეკვი არ ვუყიდეთ.

ერთხელ, ზაფხულში აგარაკზე წასვლის წინ, ჩემმა თანამშრომელმა ნინო მახარაძემ მითხრა, რომ სახლში კატის ხუთი კნუტი ჰყავდა. უნდოდა მათგან სამი გაეჩუქებინა და თუ ვინმეს სურვილი ჰქონდა სიამოვნებით მისცემდა.

ნინოს ნათქვამი ჩემდა ჭირად სახლში გავაჟღერე, რასაც ყური მოჰკრა მია-მიამ. იგი მთელი სერიოზულობით აჩქარებული გამოემართა ჩემკენ, მე და ჩემ მეუღლეს, მარინა ქავჟარაძეს წინ დაგვიდგა და ოლიმპიური სიმშვიდით გამოგვიცხადა: ''ისე მე ლეკვი მინდოდა, მაგრამ რადგან თქვენ არ მიყიდეთ, ჰო კარგი, იყოს სამი კნუტიო.“

ოჯახში კნუტების შემოყვანის სურვილიც არ მქონდა, მაგრამ ვიფიქრე, რადგან მთელი ოჯახი აგარაკზე მივდივართ, სადაც ეზოიანი კერძო სახლი გვაქვს, ჯანდაბას, რაც არის არის, იქ წავიყვანმეთქი.

იმავე დღესვე დავურეკე ნინოს, კნუტები არ გაეჩუქებინა და მეორე დღეს სამივეს წავიყვანდი. ისიც, რა თქმა უნდა სიამოვნებით დამთანხმდა.

იმ დღეს ჩემი მია-მია სულ კნუტებზე მესაუბრებოდა და მთხოვდა ახლავე წავიდეთ და წამო-

ვიყვანოთო. მალე ტყუპებიც აიყოლია და სამივემ ერთად შემომიტია, მაგრამ რაღაც საპატიო მიზეზი მოვიფიქრე და მათი წამოყვანა მეორე დღისთვის დავგეგმეთ. აგარაკზე წასვლის წინ გზად გავუვლიდით ნინოს და კნუტებს წავიყვანდით.

ის საღამო ბავშვებმა კნუტებზე საუბარში გაატარეს. კნუტები გაინაწილეს და სახელებიც შეურჩიეს. მოილაპარაკეს, აგარაკზე რანაირ სახლს მოუმზადებდნენ, რას აჭმევდნენ, ასმევდნენ, ყელზე რანაირ ყელსაბამს შეაბამდნენ და კიდევ რა ვიცი რას არ გეგმავდნენ.

დილით მია-მიამ ყველაზე ადრე გაიღვიძა, ჩვენც გაგვაღვიძა და აგარაკზე წასვლა დაგვაჩქარა. ერთი სული ჰქონდა როდის იხილავდა მის საოცნებო კნუტებს.

დილის 10 საათზე სახლიდან გავედით და გზად მიმავლებმა ნინოს მივაკითხეთ. მან უკვე მუყაოს ყუთში ჩასმული დაგვახვედრა კნუტები, რომლებიც ვაჩვენე ბავშვებს. სამივენი მართლაც ლამაზები იყვნენ. ალბათ ასე, ორი-სამი კვირის იქნებოდნენ.

ავტომანქანის საბარგულში კნუტები მთელი გზა კნაოდნენ, ყუთს ფხოჭნიდნენ და იქიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ.

აგარაკზე ჩასვლის შემდეგ, მათ სახლის პირველ სართულზე მივუჩინეთ ადგილი, მოვუწყეთ სპეციალური სადგომიც.

თავდაპირველად, ბავშვები მთელ დღეს მათთან ატარებდნენ. სახელებიც დაარქვეს, ეფერებოდნენ, აჭმევდნენ, ასმევდნენ და როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

კნუტებს ძალიან უყვარდათ ძროხის რძეში ჩამბალი სპეციალური საჭმელი.

მალე დავრწმუნდით, რომ კნუტების სახლში ყოლა არც ისე სასიამოვნო ყოფილა. ისინი გამუდმებით აჭუჭყიანებდნენ იქაურობას და ხშირად კნავილით იკლებდნენ სახლს, რის გამოც ეზოში ცალკე მდგომ სათავსოში გავასახლეთ, რითაც ოჯახის წევრებმა ნაწილობრივ შვებაც ვიგრძენით.

ამასობაში, კნუტები წამოიზარდნენ და ეზოში მორბენალ პატარა წრუწუნებზეც დაიწყეს ნადირობა, მაგრამ, რატომღაც ბავშვებმა მათ მოვლა-პატრონობაზე გული აიცრუეს, რის გამოც ერთ მშვენიერ დღეს სამთვიანი განშორების შემდეგ ისინი ისევ თავის ძველ სახლში დავაბრუნე, რითაც ნინოს ახალი თავსატეხი გავუჩინე.

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მათ სახლში არსებულ ხუთ კატას კიდევ სამი დავუმატე.

ახალი კაბა

მაშინ, როცა მია-მია 7 წლის იქნებოდა, ბებიამ – მარინა ქავჟარაძემ პეკინის ქუჩაზე ელსი ვაიკიკის მაღაზიაში წაიყვანა ტანსაცმლის საყიდლად.

მაღაზიამდე ისინი მანქანით მივიყვანე, მაგრამ მანქანის გასაჩერებელი ადგილი არსად იყო, რის გამოც მათ ავტომანქანაში ველოდებოდი. უცებ, ჩემს წინ მდგომი ავტომანქანის მძღოლმა გასაჩერებელი ადგილი გაანთავისუფლა და იმ ადგილზე გადავინაცვლე. ცოტახანს ავტომანქანაში მუსიკას ვუსმენდი, შემდეგ მომწყინდა და გადავწყვიტე მეც მაღაზიაში შევსულიყავი, მენახა რას აკეთებდნენ ბებია და შვილიშვილი. ისინი მალე აღმოვაჩინე მაღაზიის მეორე სართულზე. ორივეს ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა.

მარინამ ღიმილით მიამბო, რომ მია-მია თვითონ ათვალიერებს და არჩევს ტანსაცმელს, ხოლო რომელსაც 7-8 ზომა აწერია ყველას ჩემთან მოარბენინებსო. როცა კარგად დავაკვირდი, მას უკვე გასასინჯად 15-ზე მეტი კაბა, როლინგი, სვიტრი, მოსაცმელი და სხვა ტანსაცმელი ჰქონდა ბებიასთან მიტანილი.

მაღაზიაში გამოფენილი ტანსაცმლიდან მია-მია ერთ, ძალიან ლამაზ კაბასთან შეჩერდა, ჩანს იგი ძალიან მოეწონა, თუმცა აღმოჩნდა, რომ იგი შედარებით ძვირი ღირდა, ამასთან სამი ზომით დიდი იყო. მის ეტიკეტზე გარკვევით ეწერა 10-11, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი 10-11 წლის გოგონებისთვის იყო განკუთვნილი.

მია-მია ხარბად მისჩერებოდა კაბას და ბებიას სთხოვდა მის ყიდვას. მარინამ ჯერ კულტურულად აუხსნა, რომ ეს კაბა მისი ზომა არ იყო და იგი ალბათ სამი-ოთხი წლის შემდეგ ექნებოდა კარგად. ამის მიუხედავად ბავშვი კაბას არ სცილდებოდა და ბებიას ეხვეწებოდა მიყიდე, მიყიდეო.

როცა ტკბილმა საუბარმა არ გაჭრა, მარინამ დაუცაცხანა: მეტი აღარ მიხსენო მაგ კაბის ყიდვა, თორემ რაც უკვე მომიტანე, იმასაც არ გაგასინჯებ და გიყიდიო.

რადგან ბებიასთან ვერაფერი გააწყო და მარინაც სხვა სექციაში შევიდა ,,შმოტკების“ ასარჩევად, მია-მია მე მომვარდა და ხვეწნა დამიწყო: ბაბუ კაბა! კაბა ბაბუ!, შენ მაინც მიყიდე ხომ ხედავ ბებო არ ყიდულობსო.

თავდაპირველად მეც დავაპირე ამეხსნა მისთვის, რომ კაბა დიდი ზომის იყო და მას ალბათ არ მოერგებოდა, მაგრამ გაგიგონიათ? იგი თვალცრემლიანი კვლავ განაგრძობდა მხოლოდ ორი სიტყვის წარმოთქმას: კაბა ბაბუ! კაბა ბაბუო! მე გამეღიმა და ვუთხარი აბა წამიყვანე ბაბუ და მაჩვენე ასეთი რა კაბაა-მეთქი.

მან უცებ ჩამკიდა ხელი და იქით წამაჩიქჩიქა, სადაც კაბა ეგულებოდა. მისვლისთანავე შევამჩნიე, რომ ამოჩემებული კაბა მართლაც ძალიან ლამაზი და საუკეთესო, თუმცა ორი-სამი ზომით დიდი იყო. კონსულტანტ გოგონას ვთხოვე იქნებ ჩემი ბავშვის ზომაც გქონდეთ-მეთქი, მაგრამ მან უარი მითხრა და დამიკონკრეტა, რომ ამ ერთის გარდა ასეთი კაბა მეტი არც საწყობში გაგვაჩნიაო.

იმის მიუხედავად, რომ კონსულტანტის პასუხი მია-მიამაც კარგად გაიგონა, იგი უფრო აგრესიული გახდა და მოუხშირა ხვეწნას, კაბა ბაბუ! ბაბუ კაბაო!

ბავშვი ხელს არ მიშვებდა, ხოლო მეორე ხელის საჩვენებელი პატარა თითით იმ კაბაზე მანიშნებდა, რომელიც ასე მოსწონდა.

მის საცოდაობას ვეღარ გავუძელი და კონსულტანტ გოგონას მაშინვე ჩამოვახსნევინე ამოჩემებული, შედარებით ძვირადღირებული კაბა. როცა მარინამ იმ კაბით ხელში დაგვინახა, მია-მიას დაემუქრა, მაგ კაბას მაინც არ გიყიდიო, თან ისეთი სახე მიიღო, თითქოს მართლა მისი გადასახდელი იყო ნავაჭრის ფული.

მია-მიას ცალ ხელში სანატრელი კაბა ჰქონდა ჩაბღუჯული, ხოლო მეორე ჩემზე მყარად ჰქონდა ჩაკიდებული. როცა ჩემმა მეუღლემ მას კიდევ ერთხელ გაუმეორა, რომ კაბას არ უყიდდა ბავშვმა დამცინავი თვალები მიაპყრო ბებოს და ნიშნისმოგებით უპასუხა: ,,შენ ბებო არ მიყიდო, მყავს მე აქ მაგ კაბის მყიდველიო“.

ორივეს სიცილი აგვიტყდა და ჩვენთან ერთად პატარაც მხიარულად იცინოდა.

P.S. სხვათა შორის კაბა მართლაც შესანიშნავი გამოდგა, მაგრამ ეს არის, რომ იგი ჩვენმა მია-მიამ მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოირგო.

ტირია ბაღნები

ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე ჩვენი სახლის წინ, სულ რაღაც 20 მეტრში შესანიშნავი საბავშვო ბაღი ,,ანბანელა“ გაიხსნა. აქ შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე გაუთავებლად ისმის ბავშვების ტირილი, სიცილი, ჟრიამული, განსაკუთრებით ბავშვების მიყვანის და წაყვანის დროს.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ყოველდღიურად ჩვენი ბინის აივნიდან თვალს ადევნებს ოჯახის სამივე პატარა ,,პრინცესა“ – მარიამი (მია-მია), თათია და თეონა მგელაძეები.

ქობულეთის ქუჩაზე, დილის საათებში, ყოველდღიურად დადის მოძველებული ჟიგულის მარკის ავტომობილი, რომლითაც მისი მეპატრონე ჯართს აგროვებს. მას ავტომანქანაში დამონტაჟებული აქვს ხმის გამაძლიერებელი მეგაფონი და მოსახლეობას მიმართავს, რომ ჯართს იბარებს. ავტომანქანის მეპატრონეს ბოხი, ჩახლეჩილი ხმა აქვს. იგი სისტემატიურად იმეორებს ორ სიტყვას: ,,ჯართს ვიბარებთ, ჯართს ვიბარებთო“. მისი ხმის ინტონაციიდან გამომდინარე სიტყვა ,,ჯართს“ საკმაოდ გაუგებრად წარმოთქვამს. რის გამოც ბავშვებში კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

ერთხელაც, როცა ჩემს შვილიშვილებთან ერთად ქუჩაში ვიყავი, ისევ გაიარა ჯართის შემგროვებელმა ავტომანქანამ, მისი მეპატრონე მეგაფონით მიმართავდა იქვე მცხოვრებლებს ჯართს ვიბარებთო.

ჩემი ბავშვები მაშინ პატარები, ასე 4-5 წლისანი იყვნენ. ყველაზე უმცროსი თეონა შემეკითხა: ბაბუ ამიხსენი ვინ არის ის კაცი და რას იბარებსო.

მე, უნებურად, ბავშვს გავეხუმრე, რომ ის კაცი იძახის ბავშვს ვიბარებო. მეჯართის მიერ წარმოთქმული ,,ჯართი“ და ,,ბავშვი“ ხმის ტონალობით ძალიან წააგავდა ერთმანეთს. თეომ მაშინვე მკითხა რანაირ ,,ბავშვს“ იბარებსო. მეც ვუთხარი, რომ იბარებს და მიჰყავს მხოლოდ ,,ტირია ბაღნები“ ბავშვები და ისინი, ვისაც კარგად ჭამა არ უყვარს-მეთქი. იქვე დავამატე, რომ რადგან ჩვენს ქუჩაზე ორი საბავშვო ბაღია, სადაც ბევრი ბავშვია, სწორედ ამიტომ დადის იგი ყოველდღე ჩვენს ქუჩაზე-მეთქი. ასევე დავამატე, რომ, თუ თქვენც კარგად არ შეჭამთ საჭმელს ან იტირებთ, ჩაგიბარებს და წაგიყვანს-მეთქი.

ბავშვებმა თვალებით ერთმანეთს რაღაცა ანიშნეს.

ერთ დღეს, მაშინ როცა ჯართის შემგროვებელმა ტრადიციულად ჩამოიარა და მისივე მეგაფონის ხმა გაისმა ჩვენმა ბავშვებმა აივანზე გაირბინეს და საკმაოდ ხმამაღლა სამ ხმაში დაიწყეს ძახი-

ლი: ,,ჩვენ არ ვართ ტირია ბაღნები, ჩვენ საჭმელს კარგად ვჭამთ, ჩვენ არ უნდა ჩაგვიბაროთო“.

ეს ისე ბუნებრივად მოხდა, რომ ამის შემხედვარე ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად სიცილი ვერ შევიკავეთ.

თევზის ფხა

ოჯახში მყოფ ჩვენს სამივე ,,პრინცესას“, მათი ბებია, მარინა ქავჟარაძე, თითქმის ყველაფერს საკუთარი ხელით აჭმევს. ეს ძირითადად მორიგეობით ხდება. ბებო სამივეს ერთად დასვამს მაგიდის ირგვლივ, თვითონ შუაში ჩაუჯდება და იწყება გაუთავებლად ერთი და იგივე:

– ჰე, თათია, დააღე პირი!

– თეო, ჩქარა დაღეჭე!

– მია, ჩქარა გადაყლაპე!

ამ დროს ბავშვები მობილურ ტელეფონებში რაღაცას გატაცებით თამაშობენ ან ტელევიზორში მულტფილმებს უყურებენ და ანგარიშმიუცემლად ილუკმებიან.

შემდეგ იწყება იგივე სიტყვების ხელმეორედ, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ და ა.შ. გამეორება, ჭამის საბოლოოდ დამთავრებამდე, რაც დაახლოებით, თითქმის ერთ საათამდე გრძელდება.

როცა სადილად ბავშვებს მოხარშული ან შემწვარი თევზი აქვთ, მარინა წინასწარ გამოაცლის თევზს ფხებს და ისე, როგორც იტყვიან, პორცია-პორციებად უწყობს ყველა ლუკმას ბავშვებს თეფშზე.

ერთხელაც, მარინა ბებო სათვალის გარეშე შეუდგა თევზიდან ფხების გამოცლას, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მიას თეფშზე დაწყობილ ლუკმებში ერთი ფხა ,,გაეპარა“, რაც ჭამის დროს უფროსმა ,,პრინცესამ“ აღმოაჩინა და ერთი ამბავი ატეხა. ამაზე განაწყენებულმა, გაგიკვირდებათ და ტელეფონში თამაშსაც კი დროებით თავი მიანება და ბებოს ჭკუის დარიგება დაუწყო, რომ თევზიდან ფხების გამორჩევის დროს სხვა რამეზე არ უნდა ფიქრობდე და თევზის ფხა სათანადოდ მომზადებულ ლუკმებში არ უნდა გაგეპაროსო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მარინა თავჩაქინდრული ისმენდა ამ სამართლიან შენიშვნებს და ჩანდა, აღარ იცოდა თავი რით ემართლებინა. სწორედ ამ დროს იგივე რამ განმეორდა შუათანა შვილიშვილის შემთხვევაშიც.თათიამ ისევე, როგორც მიას ლუკმაში, პატარა, მაგრამ აშკარად ფხას მიმსგავსებული ძვალი აღმოაჩინა. თუმცა მას ამაზე ისეთი ამბავი არ აუტეხავს და არც აგრესია გამოუხატავს, როგორც მის პრეტენზიულ უფროს დაიკოს.

მარინამ ორივე ლუკმიდან მაშინვე ამოაძრო თევზის ფხა და ბავშვებმაც მართალია, უღიმღამოდ, მაგრამ მაინც გააგრძელეს ჭამა.

მოულოდნელად, მესამე, ოჯახის ნაბოლარა ,,პრინცესას“, თეონას ლუკმაშიც აღმოჩნდა თევზის ფხა! მან პირში ჩადებული ლუკმიდან თვითონვე გამოიღო თევზის პატარა ძვალი.

თავდაპირველად პატარა თითებში რამდენჯერმე დემონსტრაციულად შეატრიალა იგი, შემდეგ კი ბებოს ირონიით მიაჩერდა და მთელი სერიოზულობით მიმართა: მარინა ბებო! გუშინ მე და ჩემმა დაიკოებმა, რომ გაგაბრაზეთ, თევზის ფხები იმიტომ ჩაგვიტოვე საჭმელში?

ეს ისე ბუნებრივად და ისე გულიანად იყო ნათქვამი, რომ ჩვენ, მე, და ბავშვების უსაყვარლესმა მამიდამ, მაიკო მგელაძემ, სიცილი ძლივს შევიკავეთ, ხოლო დარცხვენილმა მარინა ბებომ აღარ იცოდა თავი რით ემართლებინა!

საოცნებო თოჯინა

ოჯახში სამი ულამაზესი ,,პრინცესა” გვყავს. აქედან უფროსი მია-მია მგელაძე ამჟამად 12 წლისაა, ხოლო მისი უმცროსი ტყუპი დაიკოები თათია და თეონა კი 11 წლისანი არიან. ერთხელაც, მაშინ როცა სულ ნაბოლარა თეონა ალბათ ოთხი წლისაც არ იქნებოდა, დილით, სამსახურში წამოსვლამდე რაღაც თოჯინის ყიდვა დამიბარა. მე ისე, როგორც იტყვიან ,,ცალ ყურში შევუშვი” მისი თხოვნა და ვითომ კარგად ვერ გავიგე მისი დანაბარები, ასე მივმართე მას. ვერ გავიგე რას ჩლიფინებ, საღეჭი რეზინი გამოიღე პირიდან და თუ რამე გინდა ისე მითხარი-მეთქი. პატარა ,,პრინცესამ” მართლაც გამოიღო პირიდან საღეჭი რეზინი და ხელმეორედ გამიმეორა, როგორი თოჯინაც უნდა მეყიდა...

საღამოს სახლში მისვლისას ბავშვი კარებთან შემომეგება და ჩემს მიერ მიტანილ სხვადასხვა პროდუქტებს დაუწყო თვალიერება და ქექვა. ვინაიდან იმ დღეს თოჯინა არ მიყიდია, ისიც რას იპოვნიდა?

პატარა თეონა თვალებზე ცრემლებმორეული მიყურებდა და მეკითხებოდა, ჩემი დაბარებული თოჯინა სად არისო. მე რამდენჯერმე სიტყვა ბანზე ავუგდე, როცა მაინც არ მომეშვა, ავდექი და მივახალე: რაღაც არ მახსენდება შენ რომ ჩემთვის თოჯინა დაგებარებინოს მეთქი. აი მაშინ კი იფეთქა თეონამ და რა იფეთქა: აბა კარგად გაიხსენე, ასე რომ მითხარი პირიდან საღეჭი რეზინი გამოიღე და ისე მითხარი რაც გინდაო. მერე მე რომ მართლაც გამოვიღე პირიდან საღეჭი რეზინა ისე გაგიმეორე ჩემი თხოვნა. ამასთან თან მარჯვენა ხელის თითების მოძრაობით, ენის მოჩლექვით და თვალების მოჭუთვით შემომიტია: ,,გაგასხენდა ახლა, გაგასხენდაო". მე და იქ მყოფმა ჩემმა ოჯახის წევრებმა სიცილი ვერ შევიკავეთ ბავშვის ენამოსწრებულ პასუხზე და მისი ენის მოჩლექვით ლაპარაკზე, მაგრამ იმ დღეს თეონა მაინც უსაჩუქროდ დამრჩა...

მეორე დღესვე რა თქმა უნდა გამოვასწორე ჩემი ,,დანაშაული".

მშველელი

ჩემი შვილიშვილებიდან უფროსი, მარიამი (მია) მაშინ 6 წლისა სრულდებოდა. ხოლო ტყუპები– თათია და თეონა მგელაძეები კი ხუთ-ხუთის.

ისინი შესანიშნავად ერთობოდნენ შინ ერთმანეთთან თამაშით, ხოლო საბავშვო ბაღში კი, რომელიც ჩვენი სახლიდან სულ რაღაც ორმოცდაათი მეტრით იყო დაშორებული, ლექსებს, სიმღერებს და ცეკვებს სწავლობდნენ.

ერთხელაც გადავწყვიტეთ სამივე მათგანი მარინა ცერცვაძის სახელობის თბილისის ფიგურული სრიალის ცენტრში გვეტარებინა, რაც გარდა იმისა, რომ ბავშვების ტანს მოქნილს და პლასტიკურს გახდიდა, ამასთან შესანიშნავი საშუალება იქნებოდა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით კი სასუნთქი გზებისა და ბრონქების პროფილაქტიკისათვის.

ჩვენი ოჯახის ყველაზე ნაბოლარას, თეონა მგელაძეს, მორიგი გაკვეთილიდან გამოსვლის შემდეგ ციგურებს ვხდიდი და ჩვეულებრივ ფეხსაცმელს ვაცმევდი, თანაც ვეფერებოდი, ვკოცნიდი და შექებით, მომავალში უკეთესი სრიალის სტიმულს ვაძლევდი.

მისი მოფერება მგონი მართლაც გადამეტებულად ხმამაღლა გამომივიდა, ვინაიდან მოულოდნელად ჩვენს გვერდით მჯდომი ახალგაზრდა მომხიბლავი ქალბატონი, რომელიც ჩემი თეონას ტოლ გოგონას უცვლიდა ფეხსაცმელებს, მოულოდნელად ასეთი ფრაზით გაეხუმრა ჩემს შვილიშვილს:

– მე ახლა ბაბუს წაგართმევ და ჩემს სახლში წავიყვანო: ამაზე თეონა, რომელსაც ცალ ფეხზე უკვე სპორტული ბოტასი ეცვა, ხოლო მეორეზე კი ჯერ კიდევ ციგურები, უეცრად ფეხზე წამოიჭრა, ჩემსა და იმ გრძელფეხება ქალბატონს შორის ჩადგა და ნიშნისმოგებით, ორივე ხელის წინ გაშვერით პირდაპირ მიახალა:

– ვერსადაც ვერ წაიყვან, ჩემი ბაბუ ძალიან მიყვარს და მე თვითონ მჭირდება, ჩემთვის შოკოლადებს ყიდულობს, ყველგან მას დავყავარ, ბაღში, ზოოპარკში, მუშტაიდში, ციგურებზე... ამასთან, როცა ამას ეუბნებოდა, მარცხენა ხელის თითებზე ითვლიდა კიდეც. შემდეგ პაწუკამ უკვე შეკითხვით მიმართა იმ ჩვენთვის უცხო ახალგაზრდა ქალბატონს:

– კი მაგრამ, ჩემი ბაბუ რომ წაიყვანო, მერე მე რომ დამჭირდება, ასეთ ბაბუს სადღა ვიშოვიო?...

ეს სიტყვები ისე ხმამაღლა და ისეთი გაბრაზებული ტონით წარმოთქვა, რომ მე და იქვე მყოფ სხვა მშობლებსაც, სიცილი აგვიტყდა.

მე მაინცდამაინც არ გამკვირვებია მისი ასეთი საქციელი, ვინაიდან იგი გვარად მგელაძეა, ამასთან ლომის ზოდიაქოთი ვეფხვის წელიწადშია დაბადებული. იქ მყოფებმა შეაქეს და უამრავი წამახალისებელი სიტყვით მიმართეს ჩემს ,,მშველელს", თორემ ვინ იცის ბედი რას მიმზადებდა.

ამ ამბით გაოგნებული დავრჩი, თუმცა ძალიან გამიკვირდა ბავშვის ასეთი სითამამე და გულახდილად რომ გითხრათ, იმ წუთში ამით ვიამაყე კიდეც.

ეს ამბავი სახლშიც და ნაცნობ-მეგობრებშიც მოვყევი, რაზეც ბუნებრივია, კარგადაც ვიხალისეთ, თუმცა ამის მოსმენის შემდეგ მისმა არანაკლებ მტაცებელმა უფროსმა დაიკო მარიამმა, აღფრთოვანებით მიმართა მას:

– ყოჩაღ, თეო, მასეთი ვინმე უნდა ,,გაბანძოო". თეონას ტყუპისცალმა თათიამ კი, მართალია, საქციელი მოუწონა, მაგრამ დაარიგა, რომ იქ ბევრს ნუ ვიბლატავებთ, თორემ გამოგვაგდებენო.

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა

საკაცობრიო მნიშვნელობის ღვთიური მისია შესრულებულია

ერკვადორის უმაღლეს მწვერვალ ჩიმბურასოზე, ჩვენმა მოგზაურმა პერუელ და ინგლისელ მეგობრებთან ერთად საქართველოს დროშა ააფრიალა.

აშშ-ის შტატ ფლორიდაში დაბრუნების შემდეგ მოვინახულე ზღაპრული კუნძული კიუ-ვესტი, ქალაქი ორლანდო, სპეის ცენტრი, კანავერალი და სხვა. მეტად თავისებური შთაბეჭდილება დატოვა ქალაქებმა მაიამიმ და მაიამი ბიჩმა. კლასიკური ფლორიდის სტუმრობის ჟამს ბევრი ვნახე და ბევრიც დავწერე.

მკითხველო, თქვენ გელით ამ მოგონებების წაკითხვით მოგვრილი დიდი სიამოვნება. დამიჯერეთ!

ამ საოცარი შტატის სტუმრობის შემდეგ არანაკლებ საოცარ მექსიკის გაერთიანებულ შტატებს ვეწვიე. მეხიკოში ჩემი მასპინძელი ქართველი ექიმი – ირაკლი გვახარია გახლდათ, რომელმაც ჩემს მოგზაურობას გარკვეული ამაგი დასდო. მქონდა ასევე შეხვედრები ტელევიზიებში, პრეს-კონფერენციები.

ვინ არის მის ბენოტო?..

ამ შესანიშნავ ქვეყანაში 41 დღე ვიმოგზაურე და, შეიძლება ითქვას, რომ უნახავი, თითქმის არაფერი დამრჩენია. ეს არის ქალაქები აკაპულკოდან – კანკუნამდე, მისი შესანიშნავი ბუნება, ხალხი, ტრადიციები, ისტორია, ეკლესიები, პირამიდები, მუზეუმები, კორიდები, მარიაჩების მოედნები, პარლამენტისა და პრეზიდენტის სასახლეები, მაღალმთიანი და ზღვისპირა კურორტები, ხიდები, სპორტული კომპლექსები, სამზარეულო, გადამხდა მრავალი კურიოზი და ა. შ. და ა. შ.

ვფიქრობ, წიგნი ჩემი მექსიკაში მოგზაურობის შესახებ ჩემს წიგნთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ცენტრალური ამერიკის გზებზე ურთულესი და შარიანი სვლაგეზი მქონდა. ბელიზე, რესპუბლიკები გვატემალა, ელ-სალვადორი, ჰონდურასი, ნიკორაგუა, კოსტარიკა და პანამა მეტად საინტერესო ისტორიით, ბუნებით და ხალხით გამოირჩევიან. ამ ქვეყნებში მცხოვრებთა უმრავლესობა კათოლიკური აღმსარებლობისაა.

მხოლოდ ბელიზეს მოსახლეობის 6 პროცენტი არის პროტესტანტი. კრიმინალური სიტუაციის მხრივ რეგიონი ერთ-ერთი პირველია მთელ კონტინენტზე. ამიტომაც აქ ძალზე სახიფათო გზები და შეხვედრები მქონდა. საინტერესოა ჯუნგლის ხუთასკილომეტრიანი მონაკვეთის დაძლევა ბე-

ლიზესა და გვატემალას რესპუბლიკას შორის. ღმერთის წყალობაა იმ უსიერში გადარჩენა... მოუთმენლად ელოდეთ ინფორმაციას ამ ქვეყნებზე.

პანამის რესპუბლიკიდან ლამაზი ქალების ქვეყანაში, ბოლივარის ვენესუელის რესპუბლიკაში მივფრინავ, რატომ მივფრინავ ამ ქვეყანაში და არ გადავდივარ ველოსიპედით კოლუმბიაში?..

უდავოდ დაგაინტერესებთ სამხედროებთან კონფლიქტის შემდეგ კარაკასში ჩემი საინტერესო შესვლა.

ვენესუელა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ეგზოტიკური სახელმწიფოა. თვით სიტყვა ვენესუელა ხომ „პატარა ვენეციას" ნიშნავს?! იგი ტროპიკული ქვეყანაა. კონკისტადორ დიეგო დე ლოსადოს მიერ დაარსებულ კარაკასში ისტორიული მნიშვნელობითა და არქიტექტურით ბოლივარის მოედანი და მაგისტრალია გამორჩეული. ამ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლიტიკური პარტია „მოძრაობა სოციალიზმისაკენ". სამწუხაროდ ვენესუელა რეგიონის ერთ-ერთი დიდი ვალების მქონე ქვეყანაა. საინტერესოა, თუ როგორ მოვხვდი სილამაზის კონკურსზე სახელმწიფო ცენტრალურ უნივერსიტეტში. კარაკასში ჩემი ყურადღება მიიქციეს მუზეუმებმა, XVII საუკუნის კათოლიკურმა ტაძარმა, პანთეონმა, კაპიტოლიუმმა და თაღებმა. ვენესუელის ვალენსიაში სამხრეთ ამერიკის მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი ხარების საბრძოლო არენაა, სადაც ყოველწლიურად რამდენიმედღიანი ფიესტა იმართება.

საყურადღებოა კიურასაოსა და არუბას კუნძულები. მაინც რითაა გამორჩეული და ცნობილი ეს კუნძულები? ამის შესახებ თქვენ წაიკითხავთ ჩემს წიგნში „ვენესუელური დღიურები".

ვენესუელადან კოლუმბიის რესპუბლიკაში გადასვლისას, ვენესუელის მხარეს 75 კმ გზის გავლა ჭაობში მომიწია. გზის ორივე მხარე 3-4 მეტრი სიმაღლის ლერწმით იყო დაფარული. მთელ ამ გზაზე კი ფორდის მარკის მანქანით 2-2 რევოლვერით შეიარაღებული ორი კოლუმბიელი თავდამსხმელი მომყვებოდა. რას ითხოვდნენ ჩემგან? საინტერესო ისაა, რომ კოლუმბიაში ისინი დამიმეგობრდნენ და სასტუმროში მეწვივნენ...

მართლაც საინტერესოა კოლუმბიელთა ტრადიციები!.. რისთვის მოკლეს ორი ველომოგზაური?... ვინ იყვნენ ისინი?... როგორ გავიარე შესანიშნავი ქალაქები – სანტამარტა, ბარანკილია, კართაგენა, კარმენ-დე-ბოლივარი, ბოსკონია, ჰონდა, სანტა-ფე-დე-ბოგოტა, იბაგე, კალი, პოპაიანი, პასტო?

კოლუმბიის ერთ-ერთი ტოპოგრაფიული მახასიათებლებია ანდების მთები. ქვეყნის ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია „პიკო კრისტობალკოლონი", ორი მოქმედი ვულკანით. ისინი ზღვის დონიდან ხუთი ათას მეტრზე ბევრად მაღლა მდებარეობენ. მწვერვალები თოვლითაა დაფარული, რაც, ველოსიპედით გადაადგილებისას, ხშირად, კავკასიონის მთებს მახსენებდა.

დედაქალაქის სახელწოდება სანტა-ფე-დე-ბოგოტა, ვარსკვლავებთან უახლოესს ნიშნავს. იგი 1538 წელს დააარსა გონსალო ხიმენეს კვესადამ. თვითონ ქალაქი ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლის ზეგანზეა აშენებული (ამართლებს სახელწოდების მნიშვნელობას). გარშემო ბუმბერაზი მთები აკრავს. მთა მონსერატზე აგებულია მონასტერი და ეკლესია, რაც ქალაქს თავის დადებით აურას ჰფენს. ასევე ულამაზესია ფუნიკულიორი...

მოულოდნელი იყო რუსი დიპლომატების გაცნობა, რომელმაც ახალი მოულოდნელობა წარმოშვა, მათ ისეთი ქართველი ქალბატონი გამაცნეს, რომლისგანაც საოცარი ისტორია მოვისმინე, კერძოდ...

ჩემთვის არა მარტო ბოგოტაა საყურადღებო, არამედ მთლიანად კოლუმბია – ერთ-ერთი საუკეთესო ეროვნული სახელმწიფო ყველა სახელმწიფოებრივი მახასიათებლით. მთელ კოლუმბიაში გზა ურთულესი გამოდგა. თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ლამაზ ქვეყანას და ლამაზ ხალხს წიგნიც ლამაზი მიუძღვნა. დაველოდოთ ამ საინტერესო წიგნის დაბადებას.

კოლუმბიიდან ეკვადორის რესპუბლიკას ვესტუმრე. ჩემგან ამ ქვეყნის აღიარებისთვის მისი გეოგრაფიული მნიშვნელობაც იკმარებდა... მაგრამ წიგნი, რომელსაც მივუძღვნი ეკვადორში ჩემს მოგზაურობას საინტერესო, დაუვიწყარი ინფორმაციით იქნება გაჯერებული, თუ როგორ ავედი ველოსიპედით ჩიმბურასოს მთის 4 850 მეტრის ნიშნულამდე, ანდა როგორ ავაფრიალე საქართველოს დროშა 5 250 მეტრის სიმაღლეზე და ბევრი ამგვარი რამ წიგნში უხვად და ფართოდ იქნება წარმოდგენილი აქ გადამხდარი თავგადასავლები, ამ ქვეყნის საინტერესო ისტორია, დაკვირვებანი მის ხალხზე, ტრადიციებზე; აგრეთვე, სახელმწიფოს როლზე მსოფლიოს ინტეგრაციაში და ა.შ.

პერუს რესპუბლიკის სანაპირო ქარიშხლებსა და ძლიერ წვიმებში გავიარე. ასეთივე პირობებში მომიწია სეჩურას, ნასკას და ატაკამას (მცირე ნაწილის) უდაბნოების გავლაც. ნასკის უჩვეულო, იდუმალი „ნახატების" შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ ჩემი „ოდესეის" ამსახველი წიგნების შესაბამის ტომში. კიტოში მორბენალ ქურდთან ჩხუბი მომივიდა. ვიმედოვნებ, მას ჩემთან შეხვედრის ისტორია სამუდამოდ დაამახსოვრდება. ამ ფაქტს ვერტმფრენების გამომცდელი ლენინგრადელი პროფესორი შეესწრო, რომელმაც შემდეგ წერილიც კი მომწერა. ვფირობ, ამ წერილის შინაარსი უინტერესო არ იქნება. დღიურების ინფორმაციაც ძალზე საინტერესოა, რადგან

უდაბნოების, ქარიშხლებსა და თავსხმებში სიარულის გარდა, გზაც – არეკიპადან პუნომდე ურთულესი მქონდა ... პუნო – კუსკო – მაჩუ – პიკჩუ – პუნოს გზას და ნანახს კი ძალზე საინტერესოდ ვთვლი. უინტერესო არც ტიტიკაკას ტბის სანაპიროთი სიარული ყოფილა (კუსკოს, მაჩუ-პიკჩუს, ტიტიკაკას შესახებ საინტერესო ისტორიულ ცნობებს იხილავთ შესაბამის წიგნში). ტიტიკაკას ტბის სანაპიროთი 120კმ-იანი მონაკვეთის გავლის შესახებ ინფორმაციაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით, რადგანაც მისი ბუნება გამორჩეულია ყველასგან. ალბათ, დაგაინტერესებთ, რით!..

ბოლივიის რესპუბლიკა 4200 მ-ის სიმაღლის ზეგანზეა გადაჭიმული. საინტერესოა მისი დედაქალაქები – შუკრე და ლა-პასი, რომელთა მსგავსი სხვა დედაქალაქები მსოფლიოში არც არსებობენ. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ქვეყანაში დავინახე, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. შევიძინე მეგობრებიც. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, თაღლითებსაც რომ გადავეყარე. საინტერესოა, რით დასრულდა მათთან ჩხუბი და, ალბათ, ისიც, თუ რისთვის გამომიცხადა ლა-პასის პოლიციის უფროსმა მადლობა.

რამდენი დედაქალაქი აქვს ბოლივიას? ყოველივე ამის შესახებ თქვენ მომავალში წაიკითხავთ.

სახამას უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 4 880 მ-ის სიმაღლეზეა. იგი არა მარტო სიმაღლით, არამედ იმითაც გამოირჩევა, რომ მასზე გადის საზღვარი ბოლივიასა და ჩილეს შორის. ამ უღელტეხილზე ღამის თევამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, რატომ? ...

ჩილეს რესპუბლიკაში 1997 წლის 12 სექტემბერს შევდივარ, ქ. არიკამდე 237 კმ-იან გზას უძლიერეს ქარში გავდივარ. ამ ურთულეს გზაზე, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებში, კიდევ ერთი საინტერესო გამოცდა მოვუწყვე საკუთარ თავს, გამოცდაც და შედეგიც ძალზედ საინტერესოა...

თვეგადასვლებით ღასვლე გზა მქონდა შანტიაგო-დე-ჩილედან სრგენტინის საზღვრამდე. ძალიან ბევრი მაქვს მოსაყოლი ამ ბრწყინვალე სახელმწიფოსა და ხალხზე.



ადრე არიკა თავისუფალი პორტი იყო, რომელიც ბოლივიას ემსახურებოდა. ახლა კი, ნურას უკაცრავად...

იგი მხოლოდ ჩილეს ექვემდებარება და ატაკამას უდაბნოს დიდებულ ოაზისს წარმოადგენს. აქვს სპორტული ისტორიაც, იგი ჩილეში გამართული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი იყო. სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატის მემორიალურ დაფაზე საბჭოთა კავშირის გუნდი მოხსენიებული იყო, როგორც რუსეთის გუნდი. ეს მაშინ, როცა ნაკრებში თამაშობდნენ მსოფლიო ფეხბურთის ისეთი ქართველი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე. დასანანია, რომ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს, როგორც ქართველებს, არავინ იცნობდა. ამ ულამაზეს, საინტერესო ისტორიის მქონე ქალაქში ჩემი მასპინძელი ქ. არიკას უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანელი ვ. კლაუსი იყო. იგი შესანიშნავი მასპინძელი აღმოჩნდა. უღრმესი მადლობა მას...

შემდეგ იყო ქალაქები: იკიკე, ტოკოვილია, ანტოფაგასტა, კოპიაპო, ლა-სესუნა, კოკიმბო, ვალპარაისო, ვინია-დელ-მარი და დედაქალაქი – შანტიაგო – დე – ჩილე.

სანტიაგო – დე – ჩილეში ჩემი მასპინძელი მთის ველოსიპედით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი – პაბლო სეპულვედა გახლდათ. ორი კვირა ერთად ვვარჯიშობდით მთებში. შემდეგ მე იერიში მივიტანე მსოფლიო რეკორდზე მთის ველოსიპედით 12 საათიან უწყვეტ რბოლაში. მეტოქედ თვით პაბლო მყავდა. თუ როგორ დამთავრდა ჩვენი სპორტული პაექრობა, ამას შემდეგში გამოცემულ წიგნში წაიკითხავთ, რა თქმა უნდა, დიდი ინფორმაცია მაქვს თვითონ ქალაქზეც, სახელმწიფოსა და ხალხის მდგომარეობაზეც, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში „დიქტატორი" გუსტავო პინოჩეტე ჩაუდგა. მე ვნახე აშენებული სახელმწიფო, ქვეყანა ვალების გარეშე და ბედნიერი ხალხი. ვნახე თვით „დიქტატორის" საცხოვრებელი „სასახლეც"...

გაგრძელება იქნება

სიბრძნის სკივრი

თვალთახილვა

(აზრები)

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

გონების ზღვარზე (აზრები)
ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

***

სინამდვილეს თვალებში გამუდმებულად უნდა უცქირო, რათა თვალი არ გაგექცეს არარეალურისკენ...

***

ადამიანის საქმე და ნააზრევი, კონკრეტულ დროში, ცალმხრივი აზროვნების და შესაბამისი განზოგადებების შედეგია, მაშინ, როდესაც ბუნების ნაირსახეობა, თავისი აზროვნებით და განზოგადებით, სრულმომცველობითი განზოგადებაა, რაც უფლის აზროვნებასთან უფრო ახლოა.

***

ადამიანი ყოველთვის თავისი სხეულის ირგვლივ ტრიალებს... ეს „სხეული“ შეიძლება გიგანტური ზომებისაც კი იყოს...

***

იცოდეთ, ამ სასტიკ რეალობაში სუსტი და ავადმყოფი არავის სჭირდება; ნაკლები ისაუბრეთ თქვენს ავადმყოფობაზე და ეცადეთ გამოიყურებოდეთ უფრო მხნედ, შეუვალად და ძლიერად, ვიდრე ხართ, – თუ გინდათ, ვინმემ თქვენი არსებობა გაითვალისწინოს...

***

მომავალ გეგმებზე გამუდმებული საუბარი თქვენი პიროვნების სერიოზულობაზე ეჭვს ბადებს... ეცადეთ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დადოთ შედეგი, თუნდაც უმნიშვნელო!..

***

ადამიანებს, თავისდასასიკეთოდ, ესაჭიროებათ ერთიდაიგივეს ჩიჩინი და, ბევრჯერ, მაინც, არაფერი გამოდის აქედან.

***

ადამიანმა თამამად რომ გამოთქვას თავისი მოსაზრებები, ამისათვის საჭიროა ბევრ მოსაზრებას გაეცნოს, გონებაში შედარების მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რომლის გარეშე ძნელია, დაადგინო, რა არის საჭირო და რა არა, რა არის გენიალური და რა არა...

***

ნიჭი „ენა-მწარმოებლობისა“ არ არის პირდაპირპროპორციული გონება-მწარმოებლობისა...

***

ჩვენი ცხოვრება – ჩვენი გეგმებია.

***

ჩვენი წარმოდგენები სხვადასხვა საკითხზე ერთმანეთს ავსებენ, სხვანაირად ყოფიერებაზე სრულ სურათს ვერ მივიღებთ.

***

რა გირჩევნია – უზნეო, ბოროტი ადამიანები არ არსებობდნენ, არსებობდნენ და გებრალებოდეს, თუ, მაინცდამაინც, არსებობდნენ – გძულდეს და მტრებად გეგულებოდეს ისინი?..

***

ადამიანს არ აქვს ხანგრძლივი ცხოვრება – იყოს მეამბოხე, გმირი, შემოთავაზებული წესრიგის დამშლელ-დამამხობელი, თავისი შეხედულებისამებრ მისი ხელახლა ამწყობ-გამრიგებელი, ამიტომ ის, უპირველესად, კონფორმისტია (შეგუება ხომ გადარჩენის საშუალება და კანონია)... თუმცა კონფორმიზმი მარტო ამ მიზეზით არ აიხსნება. ის უფრო ზოგადი კანონებით და სხვა ფენომენებით ახსნას საჭიროებს...

***

დღევანდელი ადამიანი ტექნოლოგიების პირმშოა, მთლიანად მიეჯაჭვა და გახდა „საშიშად“ დამოკიდებული მასზე... მისგან მოწყვეტა არარაობად ხდის მას... დროა, ადამიანმა ეჭვი შეიტანოს ამ პირობით მოწესრიგებულობაში, სასწრაფო წესით დაადგინოს, რა ელოდება თაობებს ვირტუალური ცხოვრების წესისაგან, – არის ეს განვითარება-წინსვლა-პროგრესი თუ გარდაუვალი რეგრესია.

***

...როდესაც წყალი გადაასწორებს დედამიწას... ქარი ინავარდებს ტალღებს ზემოთ, წაიშლება კაცობრული აზროვნების კვალი, დაიკეცება ფრთები ანგელოზისა – უფალი შეისვენებს ჩვენს გამო... დარჩება „ის“ და დანარჩენი სამყარო ჩვენს გარეშე... წყალთა ზემოთ დაიძვრება მარადიული ჰანგები, – მელოდია ტრაგიკული დასასრულისა... ამ მელოდიაში, დროდადრო, სოლო ხმად აღიძვრება კითხვა ადამიანისა: შეგვწევდა თუ არა ძალა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი არსებობა, თუ, ჩვენი „მოღვაწეობა“ იყო კანონზომიერი სვლა დასასრულისაკენ...

***

იმის გარდა, რაც ისწავლა და გამოცდილებით მიიღო ადამიანმა, კიდევ „რაღაც“ იცის, მაგრამ არ იცის, როგორ თქვას და გამოხატოს ის...

***

მთავარი ის კი არ არის, რას იტყვი, არამედ, რას გააკეთებ ადამიანებისთვის.

***

როცა შენს სათქმელს სხვა ამბობს – შეგრცხვეს!..

***

როცა ახლობლები გულწრფელად გაღიარებენ, შენი სჯერათ და მეტს მოელიან – ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც მუდმივ ტონუსში ყოფნას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს შენგან.

***

დღე გითენდებოდეს, მზე დაგნათოდეს, ყანაში მარცვალი გიმწიფდებოდეს და ამ დროს კაცის მოსაკლავად ან მოსაპარად მიდიოდე – ეს წყევლაა...

***

დროის უსასრულობაში მსრბოლმა ადამიანმა თავის თავში მოძებნა მიზანი – გაადამიანურებისა...

***

შენ ვინ ხარ – ვინც არსებულ სინამდვილეს ეწინააღმდეგები, ებრძვი, ეჭიდები, თუ ვინც შემოთავაზებულ წესრიგს ეგუები?..

***

მძიმე სოციალური და სულიერი კრიზისის ფონზე ამ სამყაროს მშვენიერი ფერები თანდათან უფერულდება....

***

ამ სამყაროს იმ სახით დანახვა და შეგრძნება, როგორიც უფალმა შექმნა, ადამიანისთვის, თითქმის, შეუძლებელია.

***

ამ ბოლო დროს, ადამიანის გონება წარიტაცა აზროვნებისა და არსებობისათვის არაარსებითმა საგნებმა და მოვლენებმა...

***

თუ წინათ, შესაძლოა, არსებობდა ადამიანის ბედნიერების დეკორატიული მოდელი, დღეს მასზე წარმოდგენა გამქრალია. ბუნებით, ადამიანს აქვს სწორი რეფლექსია, ის აღიქვამს შეზღუდულ სამყაროს, რომელიც მისთვის თანდათან ვიწროვდება...
ჩაკეტილი სივრცე ხუთავს, ახრჩობს – გასაქანს არ აძლევს, – არ უტოვებს პერსპექტივას თავი დაიძვრინოს ამ მდგომარეობიდან...

***

ზოგჯერ, ბედისწერულად ვუკავშირდებით და გაუცნობიერებლად მივყვებით
ავანტიურისტ ლიდერებს; გენიოსებად ვაღიარებთ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა აზროვნებას, იდეებს, საქმეს მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები – ნგრევა, მსხვერპლი, გადაგვარება, დეპრესია – რეგრესია; გასაკვირია, ამ პიროვნებების ჩრდილში ვაყენებთ უდიდესი ჰუმანური იდეების – მშვიდობისმყოფელ პიროვნე-

ბებს, მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს; ისინი, თითქოს არ დაბადებულან და არ უცხოვრიათ...

***

ქექა-ქუხილის შემდეგ გამოდარებას უნდა ველოდოთ, ხოლო უღრუბლო ცაზე მოულოდნელად ღრუბლების გამოჩენისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

***

ხარბი ადამიანი – ოღონდაც სხვამ არ გაიხაროს – მისთვის და „მტრისთვის“ საზიანო საქმეს ჩადის და საკუთარ თვალებს ითხრის...

***

ყველა ჩვენი მსჯელობა საგნისა და მოვლენის შესახებ, არის ცალმხრივი, სუბიექტური, პიროვნულ-მიკერძოებითი, არასრულმომცველობითი...

***

ადამიანი მხოლოდ ზომიერების კაფსულაში მყოფი შეასრულებს თავის ადამიანურ მისიას და დანიშნულებას..

***

დღევანდელმა ყოფამ, ხვალ, შეიძლება ახალი მიდგომები წარმოშვას… თანამედროვე ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ მისი შეხედულებები ბევრ საკითხზე შესაძლოა დაიმსხვრეს. დადგება დრო, ნაძალადევად არავინ მოახვევს სხვას იდეებს, შეხედულებებს. ადამიანი აზროვნებაში, გადაწყვეტილებაში, არჩევანში იქნება სრულიად თავისუფალი...

***

ფანტაზიები, რომელთაც „ბედნიერი ცხოვრება“ წარმოშობს, სასარგებლო არაა; ბევრჯერ, მაცდუნებელ-დამღუპველიცაა. მხოლოდ ტკივილიანი ცხოვრება გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ აზროვნების შედეგრები, ხოლო, თუ ვის როგორ ტკივა – ეს ძალზედ ინდივიდუალურია.

***

მეგობრის ღალატი ჟანგის წვეთია, რომელიც გულს ისე ამოჭამს, მას ვერ ამრთელებს ვერც დრო და ვერც შერიგება...

***

ზოგიერთს!!! – იმდენი კი იცოცხლე, რომ რამე გესწავლა!..

***

ადამიანი მანამ ქმნის მითებს, აფართოებს წარმოდგენებს, სანამ მისთვის სიცოცხლე მისაღებია და მას ებღაუჭება, ხოლო იმ დროიდან, როცა მისი სასიცოცხლო ტენდენციების განმახორციელებელი სისტემები იმდენად დაბლოკილია, რომ ფანტაზიის ადგილი არ რჩება, მოქმედებას იწყებს თვითგანადგურების სისტემა-ინსტინქტები.

***

თუ შენი ყვავილი ლამაზად გაიშალა, სიბინძურეში ნუ ჩაკარგავ...

***

მახინჯ სარკეში, თვით კეთილშობილიც – მახინჯ გამოსახულებას შესცქერის...

***

დიდ თავს, დიდი პრობლემები აქვს.

***

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

ფარდობითობის შედეგად წარმოქმნილ
სისტემათა მწვერვალი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№22-42-ში

<u>და მაშინ როგორ ვიპოვო გზა ჭეშმარიტი</u>?

ერთი რამე უნდა გაიგოს ყველა ცოცხალმა არსებამ, რომ მან უკვე გამოხატა თავისი უმეცრება თავისი აღქმის იმ ნაწილში, სადაც თავისი წარმოსახვით „ეგო“ შექმნა. იგი, უხეშად რომ ვთქვათ, უკვე დამნაშავეა სამყაროს იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც უცხოდ, ხშირ შემთხვევაში კი, მტრად მონათლა და სასურველი იქნებოდა ის მაინც ეცადა, რომ ზიანის მიყენებაზე, ხელაღებით განკითხვაზე, შეურაცხყოფაზე აეღო ხელი, ერთი სიტყვით ნეიტრალიტეტი დაეცვა. უკვე ვიცი რასაც იტყვით, ისინი რომ არ იღებენ ხელს? ჯერ ერთი, რასაც გასცემთ, იმას მოიმკით. მოდით, ყველამ თავის თავზე აგოს პასუხი. ჯერ სცადეთ და მერე თქვით — „არ ღირს“. ეს პირველი, ვისაც გამოადგება, თქვენ თვითონ ბრძანდებით. მეორეც, თუ თქვენი ძაღლი ან კატა სახლში გაზარდეთ, საკვები და მზრუნველობა, სითბო და სიყვარული არ მოაკელით, თქვენს ეზოში შემთხვევით მოხვედრილი ძაღლი რომ სცემეთ, ჩანგრეულ ფერდებში წიხლი უთავაზეთ და ისე გააგდეთ, რატომ გიკვირთ, რომ მას ქუჩაში თქვენი დანახვისას თქვენი დაკბენა მოუნდება, ანდა ქუჩაში შეხვედრისას, უცბად, „სიკეთის ჭია“ რომ შეგიჯდეთ და მის დასაპურებლად საუკეთესო ხარისხის ძეხვი ამოიღოთ ჩანთიდან და მან ღრენით გიპასუხოთ, ეს გაგიკვირდებათ? ის ხომ თქვენ <u>აღარ გენდობათ</u>!!!

როცა „ეგო“ ვუწოდეთ მთლიანის ნაწილს, მაშინ დავთესეთ სწორედ უნდობლობის მარცვალი. მე რომ მკითხოთ, ყველაზე დიდი შეურაცხყოფა უსაფუძვლო უნდობლობაა (უსაფუძვლოც იმისათვის ვიხმარე, რომ შემერბილებინა) და ამ უნდობლობის აღმოფხვრა და ამოძირკვა მხოლოდ ნდობის აღდგენით შეიძლება. ეს ძალიან ძნელი და ხანგრძლივი პროცესია. ამ პროცესის განმავლობაში თუ რაიმე უნდობლობა დაუთესია ცოცხალ არსებას, უკლებლივ ყველა უკან უბრუნდება რეალურ ცხოვრებაში რეალიზაციით, იმის აღქმაში — დასახმარებლად, თუ რეალურად რას სჩადიოდა.

თვითონ როცა ჩხვლეტდა ქინძისთავით სხვას, ვერ გრძნობდა, მაგრამ თვითონვე როცა ჩხვლეტენ იმავე ქინძისთავით, იმავე ადგილზე, იმავე ძალით, უკვე სტკივა და აღარ უნდა მოუნდეს სხვას უჩხვლიტოს. ***<u>ვინც შურისძიების იდეას თავს დააღწევს, სწორ, ჭეშმარიტ გზას დაადგება</u>***.

უფრო მოკლე დროში ამის გაკეთება გულახდილი მონანიებით შეიძლება, წარსულის შეცდომების, ცოდვების აღიარებით. უფრო მოკლე დროში ეს შესაძლებელია იმ ფასეულობების გადაფასებით, რომელთა გამრუდებული ხედვის გამო მოხდა შეცდომების დაშვება.

ხოლო ყველაზე მოკლე დროში, ეს შესაძლებელია გულწრფელი სიყვარულის, სიამოვნების უანგარო გაცემით „ეგო“-ს კატეგორიის „მე“-ს კატეგორიაში გადაყვანით.

მაგრამ, სანამ ასეთ სასწაულებს მოახდენთ, მე გთავაზობთ, საკუთარ თავში ნეიტრალიტეტის დაცვას, ანუ თავი დაანებეთ უკმაყოფილების ფრქვევას, დაიცავით ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის წმინდა პრინციპი.

მაშასადამე, უკვე შეიძლება დავკონკრეტდეთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა სურვილის შესაბამისად ხდება დღეს დღეობით ინდივიდუალური სულის ადამიანად მატერიალიზირება. ინდურ ფილოსოფიაში ეს მოხსენიებულია როგორც მაიას (ილუზიის) უკანასკნელი ხაფანგი, ანუ ღმერთის (სრულყოფილი ინდივიდუალური სულის) მხრიდან წაქეზება, მის გარშემო მყოფ-

მა ჭეშმარიტების ცოდნის და სიყვარულის შეგრძნების მაღალი კოეფიციენტის მქონე ინდივიდუალურმა სულებმა თავი გაუთანასწორონ თავად ღმერთს. დედამიწაზე კი ამ ილუზიაში შესულთ საკუთარი შეხედულებების რეალიზაციის დემონსტრირების საშუალება ეძლევათ. ამ პატარა პლანეტაზე ხომ ადამიანი ისევეა, როგორც ღმერთი სხვა უამრავი სახეობის ცოცხალი არსებებისთვის, მაგრამ ვინც ამ ილუზიას ვერ გადალახავს და უფრო მეტიც, თავისი შეხედულებების შეცვლას არ შეეცდება, მისი მატერიალიზაცია უაზრო იქნება. ვინც შეეცდება ილუზიიდან გასვლას, წარმატებას მიაღწევს დედამიწაზე არსებობის პერიოდში, ხოლო ვინც შეძლებს ილუზიიდან სრულიად გასვლას, დედამიწაზეც უბედნიერესი იქნება ადამიანთა შორის და დედამიწის დატოვების შემდეგაც, რამეთუ აღარასოდეს მოუწევს მატერიალურ სამყაროში დაბრუნება და სამუდამოდ გადაინაცვლებს სულიერ სამყაროში.

ასე რომ, მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ადამიანად მოსვლა უკვე უზარმაზარი წარმატებაა ცოცხალი არსებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი შუალედური (ბოლოსთან ძალიან მიახლოებული) რგოლია მთავარი მიზნისკენ სვლის პროცესში.

ამ საკმაოდ რთული პროცესის გაგებისთვის და გონებით ჩაწვდომის შემდგომ მისი შეგრძნებისთვის, არაემოციური, გრძნობისმიერი შეგრძნებისათვის შევეცდები შევაერთო წინამდებარე ოთხივე თავის არსობრივი, სიღრმისეული წვდომის შედეგები, რომლებიც ამ წიგნში ასე თუ ისე უკვე გავლილია. ისინი ერთგვარი ოთხი ვექტორული, კოორდინაციული შემადგენელი ნაწილები არიან ერთი მთლიანისა, სრულისა. ეს ისეთი ნაზავი იქნება, რომელიც დაამზადებს ნეტარების ნექტარს, შემოიტანს ტრანსის შეგრძნების საშუალებას, რასაც ადამიანები ჩვენს ეპოქაში „კაიფს“ ეძახიან, რისთვისაც დაკავებულები არიან ამორალური სექსუალური ურთიერთობებით, ბრუვდებიან ჭკუის გამაბრუებელი ნარკოტიკებით, ან იხარჯებიან ძალაუფლების მოპოვებისთვის შრომით, ან სპეკულაციური ცოდნის შეძენის და შემდომ მისი თავზე მოხვევის მცდელობით.

მთავარი მიზნისკენ სვლის პროცესი

თუ მტრის ცნებაზე, საფრთხის ცნებაზე და მის არსებობაზეა ლაპარაკი, რომელიც შინაგანი სიმყუდროვის დარღვევასა და ტრანსში მოხვედრის ხელისშემშლელი მდგომარეობის დამკვიდრებას იწვევს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ხორცშესხმული ცოცხალი არსების, ამ შემთხვევაში, ადამიანის შიგნით არის და იქ უნდა ეძებოს პირად, ინდივიდუალურ „მე“-ში. რაც შეეხება გარემოს, იგი, უბრალოდ ასე ვთქვათ, ახმოვანებს, თვალისთვის დასანახს, ყურისთვის გასაგებს ხდის მას, რაც აღქმული არ არის გონების მიერ. ის, ვინც ვერ შეძლებს ამის ასე დანახვას, გარემოში დაიწყებს მტრების ძიებას, მასთან ომს (რეალურ დაპირისპირებას) და ამით ილუზიაში იქნება, ვიდრე არ გაასწორებს ამ მიდგომას. ე. წ. მტერს შიგნით, საკუთარ „მე“-ში უნდა ებრძოლო გონებისმიერი ცოდნის, განათლების გაზრდის იარაღით და გრძნობადობის, გრძნობისმიერი ობიექტურობის გაღრმავების უნარის (გულწრფელობის) აწევით.

როდესაც ადამიანი სარკეში იყურება, ხედავს თავისი დროებითი სხეულის ანარეკლს აბსოლუტურად ზუსტი კოპირებულობის ხარისხით. აი, სწორედ ასევეა გარემო, მთელი მატერიალიზირებული სამყარო და რაღა თქმა უნდა, უდავოდ, საკუთარი მატერიალური სხეულიც მხოლოდ და მხოლოდ ანარეკლია, სარკეში დანახული გამოსახულებაა საკუთარი შინაგანი სულიერი მდგომარეობისა. ყველაზე რთულია ამ ანარეკლს, დანახულ გამოსახულებას არ მიეჯაჭვო, არ ჩაეთრევინო (ჩაგითრიოს) და არ დაგავიწყდეს, რომ ის მხოლოდ საშუალებაა არ დანახულის, არ აღქმულის, არ შესმენილის და არ შეგრძნებულის აღქმისა. ის მხოლოდ საბაბია, რომ საკუთარ სულიერ შედეგს სერიოზულად გადახედო. არ უნდა მოინდომო მართო, აკონტროლო გარემო ან გახდე მართული, კონტროლირებული გარემოს მიერ. უმჯობესია შეძლო საკუთარი „ეგო“, ანუ შინაგანი ქაოსი დაიყვანო საკუთარი „მე“-ს, ანუ მყუდროების კონტროლის დონეზე. მაშინ „სარკეში არეკლილი გამოსახულება“ მეგობრად, დამხმარედ გადაიქცევა იმის დანახვაში, თუ როგორ მოახერხო საკუთარ ინდივიდუალურ „მე“-ში არსებული დისჰარმონიის კორექტირება. სამწუხაროდ, ჩემთვის ეს ჯერ კიდევ ძალიან რთულ საკეთებელ საქმეს წარმოადგენს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს შესაძლებელია. უმთავრესი ამ საქმიანობაში არის ის, რომ ანარეკლში მიღებულ არანაირ შედეგს არანაირი სახით არ მიეჯაჭვო. ნებისმიერი სახის მიჯაჭვა საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობით (ემოციებით), დაავადების გამოვლინება იქნება და მეტი არაფერი. ანუ პრობლემა, როგორც ასეთი, ყოველთვის უნდა

ეძებო შენს შიგნით და არა შენს გარეთ, მატერიალურ გარემოში. ვინც ამას შეძლებს, ის ადრე თუ გვიან ბოლომდე განიკურნება და ილუზიებისაგან გათავისუფლებული უბედნიერესი არსება გახდება. ვინც გარემოს მართვის სურვილზე ან გარემოს მიერ მართულობის სურვილზე უარს ვერ იტყვის, ის საკუთარი ილუზიების მუდმივ ტყვედ დარჩება.

ვფიქრობ, აქვე სჯობს განზოგადდეს, გაიშიფროს ეს ფენომენი, რომელიც სულიერი მდგომარეობის ანარეკლში შესვლის შედეგად ხდება. იმათ მიერ, ვინც გარემოს მართვის, მისი კორექტირების, საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევის სურვილით აღიგზნებიან ე. წ. მამაკაცური საწყისის აქტივიზირებას ახდენენ ფრაგმენტალური ჭეშმარიტების შეცვლის სულისკვეთებით განმსჭვალულნი. ის, რაც ამ ინდივიდში ამ დროს ჩნდება, არის ცნება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ამბიცია“. მასში ჭარბად ჩნდება თვითდაჯერებულობა და მიმართულია მთელი მისი მეცადინეობა იქითკენ, რომ რაღაცა განვითარების დონეზე მისულ გარემოს (მატერიალურს ან თუნდაც სულიერს) მოსთხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს ძალუძს ამ გარემოს, ამ კონკრეტულ ეპოქალურ მომენტში, მაშინ როცა, გარემოს ამისთვის ჯერ არც საკმარისი ცოდნა (განათლება) გააჩნია და შესაბამისად, არც საკმარისი ობიექტური შეფასების, სიღრმისეული შეგრძნების დონე. ძალიან მარტივი ენით რომ გამოვთქვათ, თუ რაში გამოიხატება ამბიციის არათანხვედრა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მისი განუხრელად შემსრულებელთა წარმომადგენლების ინტერესებთან, არის ის, რომ თავად ადამიანად ხორცშესხმულობის პირობებში უჩნდება ბრაზისა და აგრესიულობის შეგრძნების გამოვლინების სურვილი იმის გამო, რომ ძაღლად ხორცშესხმულ ცოცხალ არსებას ადამიანურ ენაზე ლაპარაკი არ შეუძლია და მხოლოდ ყეფს და უფრო მეტიც, ყველანაირი მეთოდებით (ძალისმიერის ჩათვლით) იწყებს ძაღლის ევოლუციერების დაჩქარებისთვის მეცადინეობას, რომ გახადოს ისეთი, როგორიც თვითონაა, მაგალითად, ლაპარაკი ასწავლოს და ა. შ. რეალურად კი ევოლუციის ამგვარი ხელოვნური მეთოდებით დაჩქარების მცდელობა რევოლუციას უფრო ჰგავს და უკუსვლის მექანიზმი ხდება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკუთარი „მე“-ს გაღმერთების, გარემოს სრულუფლებიან მმართველად გამოცხადების, თვითგაკერპების მცდელობა, სადაც იდეოლოგიად გამოიყენება მის მიერ განსაზღვრული მოვალეობათა დომინანტური პირველადობის ტენდენცია უფლებებთან შედარებით. ადამიანურ ენაზე, უახლოეს წარსულში ეს კომუნიზმად მოიაზრებოდა, ხოლო წმინდა მატერიალურ დონეზე კი, ეს კერძო საკუთრების, ნივთიერი ქონების, ერთმანეთს შორის განსხვავებულობის ამოძირკვის დონეზე მოიაზრებოდა, რაც სოციალიზმად იწოდებოდა. მაშასადამე, ამბიციას თავისი სამი ე. წ. საყრდენი გააჩნია, რომლებიც სხვა ეპოქაში არ ვიცი რა სახელწოდებებით იქნებიან ან იყვნენ შესულნი, მაგრამ ამ ეპოქაში ისინი ასე იწოდებიან:

გრძნობითი დონე — შეუნიღბავი ერთპიროვნული ტოტალიტარული დიქტატურა.

გონებრივი დონე — მოვალეობათა დომინანტური პირველადობა უფლებებთან შედარებით, იდეოლოგიური ერთიანობა, კომუნა — კომუნიზმი.

ამბიციური დონე — ერთნაირი სოციალური პირობების შექმნა, საერთო საკუთრების დომინანტური პირველობა კერძო საკუთრებასთან შედარებით. ქონებრივი განსხვავებულობის ამოძირკვა.

ემოციისმიერი დონე — ყოველგვარი განსხვავებული აზრისა და შეხედულების ცენზურით შეკავება. იმპროვიზაციული ინტერპრეტაციების არდაშვება. კონტროლირებული ანარქია.

აი, ეს არის ძალიან მოკლე განხილვა იმის, თუ რას იწვევს შინაგან სულიერ ანარეკლში თვალით დანახულსა და ყურით გაგონილზე მიჯაჭვულობა, საკუთარი „მე“-ს ჩარევით რაიმეს შეცვლის მცდელობა, სტრატეგიული კურსის თვალსაზრისით, გარემოს ბუნებრივი სვლის დაჩქარების მცდელობით, ფაქტიურად საკუთარი „ეგო“-ს ანუ ქაოსის თავზე ძალადობრივი მოხვევით.

ხოლო მათ მიერ კი, ვინც გარემოში არსებულ უსამართლობასთან (ფაქტიურად გარემოში არსებულ ხორცშესხმულ ობიექტებზე ჩამოკიდებულობით, მიწებებით) დაპირისპირების სურვილით აღიგზნებიან ე. წ. ქალური საწყისის აქტივიზირებას ახდენენ ფრაგმენტალური ჭეშმარიტების აღდგენის სულისკვეთებით განმსჭვალულნი. ის, რაც ამ ინდივიდში ამ დროს ჩნდება, არის ცნება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ემოცია. მასში ჭარბად ჩნდება უკმაყოფილების, არსებულთან დაპირისპირების ტენდენცია და მთელი მისი მეცადინეობა მიმართულია იქითკენ, რომ რაღაცა პირობებში მყოფი გარემოს (მატერიალურის ან სულიერის) ინტერესები დაიცვას, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე

ეს გარემოს რეალურად ეკუთვნის და იმაზე მეტის, ვიდრე გარემო ამას იმსახურებს. ეს ერთგვარი ადვოკატური სულისკვეთებაა, სადაც მთავარი ის კი არ არის — ობიექტი, რომელსაც იცავს, მართლა დასაცავია თუ არა, მთავარი მიზანი გარემოზე ზემოქმედის მომხდენთან დაპირისპირებაა. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, როგორც პირველ, ისე ამ შემთხვევაშიც, ეს სულისკვეთებები ერთგვარად ქრება და კონკრეტულ მატერიალურ ობიექტზე მიჯაჭვულობით ნეიტრალდება (ძირითადად ერთმანეთზე მიჯაჭვულობით), მაგრამ საწყისი ფაზა მატერიალიზირებისა განუხრელად ეს გახლავთ. ხოლო ის, თუ რაში გამოიხატება ემოციურობის არათანხვედრა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მისი განუხრელად შემსრულებელთა წარმომადგენლების ინტერესებთან არის ის, რომ მაგალითად, ადამიანად ხორცშესხმულობის პირობებში ემოციებით მოქმედს, უჩნდება სუბიექტურობისა და ინდიფერენტული კომფორმიზმის გამოვლინების სურვილი. იგი ფაქტიურად სრულიად უწევს იგნორირებას ინდივიდუალური სულის ფუნქციონალურ ასპექტს, ანუ უგულვებელყოფს ევოლუცირების აუცილებლობის ცნებას და მთელ თავის შრომასა და მეცადინეობას სულიერი უძრაობისა და უმოქმედობის დასამკვიდრებლად ხარჯავს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკუთარი „ეგო“-ს გაღმერთების, გარემოს მსახურად საკუთარი „მე“-ს გამოცხადების, კერპთაყვანისმცემლობის მცდელობა, სადაც იდეოლოგიად გამოიყენება მის მიერ განსაზღვრულ უფლებათა დომინანტური პირველადობის ტენდენცია მოვალეობებთან შედარებით. ადამიანურ ენაზე, ჩვენ ეპოქაში, ჩვენ არსებულ დროში ამას დემოკრატია ჰქვია, ხოლო წმინდა მატერიალისტურ დონეზე კი, ეს არის კერძო საკუთრების, ნივთიერი ქონების, ურთიერთგანსხვავებულობის აღზევების მცდელობა. სახელწოდებით კი, იგი კაპიტალიზმად იწოდება. მაშასადამე, როგორც ამბიციას, ემოციასაც სამი ძირითადი საყრდენი ძალა განსაზღვრავს და ფაქტიურად ამბიციის საპირისპირო ცნობიერებას მოიაზრებს მთელი თავის სიგრძე-სიგანით.

გრძნობითი დონე — შენიღბული კოლექტიური მმართველობა, ათეიზმი.

გონებრივი დონე — უფლებათა დომინანტური პირველადობა მოვალეობებთან შედარებით, იდეოლოგიური სპონტანური მრავალფეროვნება. დემოკრატია.

ამბიციისმიერი დონე — სოციალური პირობების ინდივიდუალურად შექმნა, კერძო საკუთრების დომინანტური პირველადობა საერთო საკუთრებასთან შედარებით, ქონებრივი განსხვავებულობის დამკვიდრება მიზანდასახულად. კაპიტალიზმი.

ემოციისმიერი დონე — ყოველგვარი აზრისა და შეხედულებისთვის სრული თავისუფლების მინიჭება. იმპროვიზაციული ინტერპრეტაციების წახალისება და რეკლამირება. უკონტროლო ანარქია.

აი, ეს კი არის ძალიან მოკლე განხილვა იმისა, თუ რას იწვევს შინაგან სულიერ ანარეკლში თვალით დანახულსა და ყურით მოსმენილზე მიჯაჭვულობა, საკუთარი „მე“-ს ჩარევით რაიმეს შეცვლის მცდელობა, ტაქტიკური კურსის თვალსაზრისით, გარემოში არსებული უსამართლობის აღმოფხვრის მცდელობით. ფაქტიურად, ეს არის გარემოში არსებული „ეგო“-ს ანუ ქაოსის აღზევების გზა.

ვფიქრობ, უკვე შესაძლებელია გავყვეთ იმ გზას, რომელიც შინაგანი მდგომარეობის ანარეკლზე არანაირი მიჯაჭვის გამომხატველი და ძირეული ამხსნელი და დამკვალიანებელი იქნება.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40-ში

ბრალის სახეები და ფორმები

(სისტემატიზირებული)

ბიბლიური პერსონაჟების ბრალი

გ) ბრალი უძღები შვილისა

უძღები შვილის იგავი არის მარადიული სიტყვა უფლისა და გზავნილია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, – საერთოდ კაცობრიობისათვის და თანაბრად ეხება ნებისმიერ ეპოქას. ის ასახავს ადამიანურ ურთიერთობებს – პირველ რიგში ღვთისა და ადამიანის ურთიერთობას. იგავური აზრი – შინაარსი ეხება ვნებებით, მათ შორის ბრალით აღძრულ ადამიანს – უძღებ შვილს, რომელშიც ნებისმიერმა უნდა მოვიაზროთ საკუთარი თავი. უძღებობა, – ამ შემთხვევაში ბრალი, დაიწყო ადამიდან. ყოვლად კმაყოფილებისათვის დაბადებული ადამი, რომელსაც ჰქონდა ყველაფერი ფიზიკური თუ სულიერი არსებობისათვის, ბრალს აღძრავს ედემში – უფლის წინაშე. პირველი უძღები შვილი ადამიანებს შორის სწორედ ადამია. მან, რომელმაც იცის, რომ უფალი ყოვლისმფლობელი და ყოვლისშემძლეა, აღძრავს ბრალს მის მიმართ და განეშორება მას. საერთოდაც, ყველაფერი აქედან იწყება... შეგვეძლო ეს წიგნიც ამ თავდაპირველი ბრალის განხილვით დაგვეწყო...

მამამ იცის თავისი შვილის ვნებიანობის შესახებ. შვილს მოთხოვნისთანავე მისცა თავისი კუთვნილი წილი. იგავში არსად ჩანს, რომ მამამ ამის გამო წარმოშვა ბრალი შვილის მიმართ. მამას შვილის მოთხოვნა და მოქმედება თავის შინაგანში დაშვებულად რომ არ მიაჩნდეს, აუცილებლად გამოიკვეთებოდა მისი უკუბრალი, მაგრამ აქ ეს არ არის... აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ბრალს არ წარმოშობს. უფალი (მამა) ზედმიწევნით აკეთებს იმას, რაც შვილს სჭირდება (ფართო გაგებით)... შვილნი, როგორც უძღებნი, ყოველთვის რაღაცას დაეძებენ – არ ჯერდებიან მოცემულობას (სამოთხის შემთხვევაშიც კი), ეძებენ, გარბიან, გადიან მამის მოცემული სისტემიდან. ასე ვართ ჩვენ ყველანი და ეს უფალმა (მამამ) იცის... იცის და უშვებს აღვირს იმიტომ, რომ სხვანაირად არაფერი გამოვა... შინ დარჩენილი შვილი ვერაფერს ისწავლის, ვერ შეაფასებს, ვერ დააფასებს, ვერ იგრძნობს, ვერ შეიმეცნებს მთავარ არსს, კაცობრულ სითბოს, უფლის დიდ განზომილებას და სიყვარულს, სანამ არ განიხიბლება სამოთხისაგან და კვლავ არ მოიხიბლება მისით. მართლაც, მას შემდეგ, რაც უძღებმა შვილმა ყოველივე განაბნია და დაკარგა, რაც მამისგან ჰქონდა ბოძებული, გამოსცადა შიმშილი, ტანჯვა და დამცირება – უბრუნდება საკუთარ მშობელს. მამა უკან მობრუნებულ შვილს პირვანდელ მდგომარეობაში აღადგენს, – მოსავს სამოსელით, ანიჭებს სასუფეველს, ადებს ბეჭედს – საღვთო ნიშანს და წამოაცმევს ხამლს, რათა იაროს საღვთო სიტყვით. რაც შეეხება უფროსი ძმის ბრალს, ის უმცროსისას არ ჩამოუვარდება. თუკი უმცროსი ჭკუანასწავლი და გამოცდილებით ბრუნდება, უფროსს ეს ჯერ კიდევ არ აქვს. უძღები შვილის იგავში უფროს ძმაში, როგორც წმინდა მამები განმარტავენ, იგულისხმება იუდეველნი, რომელნიც უფლის სიტყვას – საღვთო წიაღში მიეღოთ არაიუდეველნიც – ვერ გებულობდნენ და მათთვის ეს მიუღებელი იყო. არადა, იუდეველებს ნიშანი მიცემული ჰქონდათ (პეტრე მოციქულს ჰქონდა გამოცხადება), რომ ღვთის წინაშე ნე-

ბისმიერ ადამიანს შეეძლო მისვლა, რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი და მას უნდა შეუდგეს ყველა. სამწუხაროდ, ძმის მიმართ ბრალი ადამის დროიდან მომდინარეობს. მხოლოდ კეთილგონიერ ძმას შეუძლია მამის წიაღში მყოფი სისხლისმიერი ძმა უფლის სიყვარულით შეიყვაროს და არანაირი მატერიალური ღირებულებების ან სხვა მერკანტილური მოსაზრების გამო მის მიმართ ბრალი არ აღძრას, რაც, საუბედუროდ, უფრო იშვიათი და გამონაკლისია...

დ) კაენის ბრალი

ღვთის მადლმოსილებას განშორებულმა ადამმა, მართალია, ედემი დაკარგა, მაგრამ მიწიერი უფლება მაინც შეინარჩუნა. მისი ლუკმა იყო ტანჯვით მოსაპოვებელი, მისი შთამომავლობა გამზადებული იყო მრავალი განსაცდელისათვის. ადამის პირველსავე შთამომავლობაში იჩინა თავი ვნებიანობამ. ცოდვა-ბრალი თანდათან მრავლდებოდა, იზრდებოდა და მრავალფეროვანდებოდა. აქ მოკლედ შევეხებით ადამიანის პირველ ბრალს და დანაშაულს – ძმის ბრალს ძმის მიმართ. ბიბლიის ამ ნაწილის შინაარსი ყველას მოეხსენება. წინარე განხილული მასალიდან ვიცით, რომ ბრალის აღძვრის უამრავი მოტივი შეიძლება გააჩნდეს ადამიანს და რა გასაკვირია, ცოდვით დაცემულ პირველ ადამიანს ჰქონოდა ბრალი, თუნდაც საკუთარი ძმის მიმართ. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, თუ, კერძოდ, რამ გამოიწვია აღნიშნული ბრალი, არამედ იმაზე, რომ უფლის სახლიდან – მისი განზომილებიდან გასულ ადამიანს ნებისმიერი მიზეზით შეეძლო აღეძრა ბრალი... ბევრი განმარტავს, რომ კაენმა ეჭვიანობის, შურის, იმედგაცრუების და ა. შ. მიზეზებით ჩაიდინა ძმის მკვლელობა. ის უკვე ცოდვილია და რით, როგორ, რა პირობებში ან რა დოზით ჩაიდენს დანაშაულს ამის გაზომვას აზრი არ აქვს. აქ უსათუოდ არის დაშვებული, რომ ის აღძრავს ბრალს სხვების მიმართ და ჩაიდენს დანაშაულს ყოველთვის. კაენის ბრალი არის, ზოგადად, „ბრალიანობის“ ტენდენცია, რომლითაც დასნებოვნებულია ადამის და ევას შთამომავლობა. ეს „ვირუსმატარებლობა“ იტოტება მის გენიალოგიაში, რის გამოც ნებისმიერ ადამიანს აქვს ბრალი და მიდრეკილება ცოდვებისადმი.

ე) იონას ბრალი

უნდა ვთქვათ, რომ იონას ბრალი დღევანდელი საზოგადოებისათვისაც ნიშანდობლივია; ეს არის „უფლის მისაკუთრებულობის“ ბრალი ერთი კონფესიისა, რომელსაც წარმოუდგენია, რომ სხვა რელიგიის აღმსარებლების მიმართ უფალი მოწყალე არ არის. გავიხსენოთ იონას ბიბლიური იგავი: უფლის გადაწყვეტილებით იონა იუდეველთა მოძულე სახელმწიფოს ყველაზე დიდ ქალაქში იგზავნება; ღვთის სიტყვა ებრაელთა არაერთგზის ამაოხრებელ ასურელებს უნდა უქადაგოს და გადაარჩინოს ისინი უფლის რისხვისაგან. იონას ეშინოდა, რომ ქადაგებისას, ნინეველთა მხრიდან სინანულის გამოვლინების შემთხვევაში, უზენაესს იუდეველი ერი არ დაეტევებინა და სხვა ერის მფარველი არ გამხდარიყო. იონამ იმავე სულით, რითაც წინასწარმეტყველად დადგინდა, უწყოდა, რომ რაჟამს წარმართნი ირწმუნებდნენ, სწორედ მაშინ განუდგებოდა ღმერთს ისრაელის სახლი და ფიქრობდა, მის დროს არ აღსრულებულიყო ის, რაც მომავალში განხორციელდა.

იონა ღვთისმცნებათა უარმყოფელი ადამიანის მდგომარეობას განასახიერებს. მის წინააღმდეგობას და გაქცევას უფლისაგან ბრალს ვერ დავარქმევთ. მას ებრაელთა არაერთგზის ამაოხრებელი ასურიელების მიმართ აქვს ბრალი და ვერ ეგუება აზრს, თვით უფლის მოწოდების შემთხვევაშიც კი, გადაარჩინოს ისინი. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით წმინდანთა აზრს ძველი აღთქმის ამ მეტად მნიშვნელოვან პერსონაჟზე. ნეტარი იერონიმე განმარტავს: „იონა წარმართებთან იუდეველთა განკითხვის მიზეზით იგზავნება, რადგან წინასწარმეტყველისთვის ტომნი უკეთურებაში გაკერპებულან, ხოლო ნინეველნი სინანულის საოცარ მაგალითს იძლევიან“. იონა იუდაური საზოგადოების წევრია. მასაც, როგორც თვისტომთ, მიაჩნია, რომ გარდა იუდეველებისა, სხვა ხალხები ღვთისრისხვას იმსახურებენ (ეთნოკულტურების ურთიერთბრალი). ამგვარ აზრს ძველი აღთქმის რჯულში წარმოდგენილი კანონებიც განამტკიცებდა, უკრძალავდა რა რჩეული ერის წარმომადგენლებს ურთიერთობას უცხო ტომელებთან. საღვთო მოწოდებამ წინასწარმეტყველის სულში ძლიერი ორთაბრძოლა აღძრა. იონას საკუთარ თავში სიყრმიდან ფესვგადგმული რელიგიური შეხედულებები უნდა დაეთრგუნა და მისთვის სრულიად ახალი რეალო-

ბა გაეცნობიერებინა: რომ უზენაესი არსი საღვთო მზრუნველობას ყველას მიმართ იჩენს. სანამ იონა სულის სიღრმეში აღძრული მღელვარების მიზეზებში გამორკვეულა, უარს ამბობს ნინევში გამგზავრებასა და ქადაგებაზე. წინასწარმეტყველი, უზენაესის თვალსაჩინო მოწმობის გარეშე, საკუთარ თავს ვერ ერევა, შინაგან ჭიდილში კვლავ ძველი კაცი იმარჯვებს და იონა გარბის. იუდაური წარმოდგენების თანახმად, მხოლოდ აღთქმული მიწა მიიჩნეოდა ღვთის განსაკუთრებული მყოფობისა და გამოცხადების ადგილად, ხოლო წარმართული სახელმწიფოები ასეთ სიკეთეს მოკლებული იყვნენ. იონაც მსგავსი შეხედულებებით ხელმძღვანელობს და მიემართება თარშში, რომელიც იმ დროისთვის დასავლეთით, ქვეყნიერების დასასრულად მიიჩნეოდა, იგი ფიქრობდა, რომ მასში აღძრული საღვთო სიტყვა შორეულ თარშში შეწყვეტდა მოქმედებას.

უფლის პირისაგან გაქცეული იონა რჩეული ერის ურჩობასა და უგრძნობლობას განასახიერებს. წინასწარმეტყველის თავს თევზის სახით მოვლენილი სასჯელიც იუდეველთათვის განკუთვნილი საღვთო რისხვის წინასახეა, თუმცა იონა უვნებელი გადარჩება, რითიც იმავე ერისადმი შემოქმედის უზომო სიყვარული და მზრუნველობა დასტურდება. უფლისგან დანდობილი იონა ნინევეში მიდის, როგორც ეს უბრძანა უფალმა. „იარა იონამ ერთი დღე ქალაქში, ქადაგებდა და ამბობდა: კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევე. იწამეს ნინეველებმა ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდიან-პატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ... შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა და შეინანა ღმერთმა, ბოროტის ყოფას რომ უპირებდა მათ, და აღარ უყო“ (იონ. 3: 4,5, 10)

ნინეველთა მონანიებიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ ქალაქი ნინევე დაუსჯელი რჩება, რამაც იონა ძლიერ გაანაწყენა. იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება. რომ „უზენაესი არსი საღვთო მზრუნველობას ყველას მიმართ იჩენს“ იონა ვერ ეგუება ამ აზრს და აღძრავს ბრალს... ამ ბრალით იონა გაჟღენთილია და, გარკვეულწილად, საკუთარი ერის ეგოისტური განწყობის გავლენის ქვეშაა მოქცეული ნინევეს გადარჩენის შემდეგაც, რის გამოც უფალს სულის ამოხდას სთხოვს. ამ ვნებებით და ბრალით შეპყრობილი იონა, რომელიც ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ უფალმა ნინეველები შეიძლება დასაჯოს, ქალაქიდან უდაბნოში გადის. უდაბნოში გასულ იონას, საჩრდილობლად, უფლის მიერ ერთ ღამეში აღმოცენებული აყირო დიდ სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ იგი უფლის ნებითვე მალევე ხმება. ამით უფალი მიანიშნებს თავის რჩეულს, რომ უნდა გათავისუფლდეს ვნებისგან, რათა დარწმუნდეს, რომ წარმართნიც მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. „უთხრა ღმერთმა იონას: მაგრად გამწარდი ამ აყიროს გამო? მიუგო: მაგრად გავმწარდი, ლამის მოვკვდე. უთხრა უფალმა: შენ ერთი აყირო დაგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არც გაგიზრდია. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღამეში გახმა. აბა, მე როგორ არ დამენანოს დიდი ქალაქი ნინევი, სადაც ას ოცი ათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია?“ (იონ.4:9,10,11).

იონას ბრალი ნინეველების მიმართ, ასევე უფლისმიერი შეგონება, უაღრესად ნიშნეულია დღევანდელი საზოგადოებების, ეთნიკური და რელიგიური თემების, სახელმწიფოების ერთმანეთთან დაპირისპირებულობის ბრალში გასარკვევად და გასაცნობიერებლად. ამ ბრალის შინაარსი საკაცობრიო პრობლემის შინაარსია დღესდღეობითაც, და რომ, უფლის შეგონება, იონას მსგავსად, ამ საზოგადოებებს, ჯერ კიდევ, განსახორციელებელი აქვთ...

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში – როსტომ ჩხეიძის „მზის საფეხურები“. ლექსები პროზად

ქეშმარიტი მხატვრული სიტყვის უპირველესი მისია უცვლელია, ესაა სიბრძნის ძიება, სიბრძნე, ცოდნა კი ორგვარია: ურწმუნოთა, ღმერთისგან განდგომილთა მიწიერი ცოდნა (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12)(1,90), „წუთისოფლის მთავართა წარმავალი სიბრძნე და ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,6,7) (2,358).

სიბრძნის გამოვლენის მრავალი გზა არსებობს. ერთ–ერთია იგავური, სიმბოლური, რომელზედაც დავით წინასწარმეტყველი ბრძანებდა: „იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“ (ფს.49,5) (2,572).

როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნი „მზის საფეხურები“. ლექსები პროზად“ – ენიგმებით გამჟღვანებული საღვთო,მარადიული სიბრძნით იქცევს ყურადღებას.

მწერლის ცოდნა, სიბრძნე იმ კატეგორიისა, რომელზედაც გრიგოლ ნოსელი აცხადებდა: „ცოდნა სიყვარულია“ (3,15).

„მზის საფეხურების“ რელიგიურ–ფილოსოფიური, ეროვნულ–სოციალური სატკივრები, მისი საკრალური ხასიათი განსხვავებულ სამოსელს ითხოვს და მთავარი პრობლემებისიმბოლურ–იგავურ სახეებშია საძიებელი.

„ყველაზე უკეთესი ქმნილება ის არის, რომელიც ყველაზე დიდხანს მალავს თავის საიდუმლოს“. რომელიც „აღმოჩენის შთაბეჭდილებას“ ახდენს“ და „ხელს უწყობს სულის ზრდას“. განმარტავდა პოლ ვალერი (4, 301, 369-370).

დაახლოებით იგივეს გვამცნობს ფსევდო ლონგინე: „ყველაზე უკეთესია ის ფიგურა, რომელიც ყველაზე უკეთ მალავს თავის ფიგურულ აზრს“ (ამაღლებულისათვის) (5, 145).

როსტომ ჩხეიძის მეცნიერული მოღვაწეობა, მწერლის მხატვრულ–დოკუმენტური პროზა, უცხოური პოეზიის თარგმანები, განუმეორებელი ხელწერა ქმნიდა მისი დიდი ნიჭის კიდევ ახალი რაკურსით გამოვლენის მოლოდინს და „მზის საფეხურები“ – ლექსები პროზად არათუ უბრალო გამართლებაა ამ მოლოდინის, არამედ სასიამოვნო გაოცების, სრულიად ახალ სამყაროსთან ზიარების ღირსსახსოვარი ფაქტი.

წამში მარადისობის, ლოკალურში გლობალურის, დეტალებში მთელის მოხელთება, სამივე დროის პრობლემების გასიგრძეგანება უთუოდ ქეშმარიტი სიტყვის ოსტატებს ხელეწიფებათ.

წმინდა წერილიდან დაწყებული, მსოფლიოს მრავალ წარუვალ სიბრძნეს ზიარებია წიგნის ავტორი და ჩნდება რა წინაპართა ასოციაციები, თვითონაც ტოლივით ეპაექრება მარადიული სიბრძნის ადეპტებს.

დიდი კლასიკოსების გზებზე მავალი შემოქმედის წიგნში ხშირად ჩნდება რემინისცენტიბი თუ ალუზიები წინმორბედთა ნააზრევიდან.

„მზის საფეხურებში“ მკითხველს იტაცებს მრავალმნიშვნელოვანი სახეები, ქვეტექსტები, ენიგმები.

ლექსები პროზად იწყება მიმართვით მკითხველისადმი. აქვე, ეპიგრაფში დამოწმებულია იოანე მოციქულის გამოცხადების მე-14 თავის მე-18 მუხლი, რომელშიაც მიწის ვენახის ყურძენს ანგელოზი ღვთის მძვინვარების საწნახელში ყრის.

ამ მრავლისმთქმელ გაფრთხილებას სხვა კონტექსტში მრავალგზის გააჟღერებს ავტორი.

აქვე მიწის ვაზის სხვა ჩანაფიქრიც გვახსენდება, რომელიც მოაზრებულია ებრაელი ხალხის მეტაფორად: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7) (1,77).

ხოლო ზეციური ვაზის საიდუმლოს იოანე მოციქულის სახარება გვაზიარებს ძე ღმერთის განაცხადით: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ (იოანე, 15,1)(2,203).

მიწა და ზეცა „მზის საფეხურებში“ მუდმივი ინტერესის საგანია.

ზემოხსენებული ეპიგრაფით წიგნის ავტორი ამძაფრებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას და ამ ქარაგმაში შეფარულ აზრს სხვაგანაც გვიცნობიერებს, როცა ვენახის, მევენახის, ღვინისა და მამის პრობლემას თავისი პოეზიის გამჭოლ თემად აქცევს.

სულისშემძვრელია „მეხდაცემული ამბების “ (გვ.10) ჩანაფიქრი. მასში კაკლის ყოვლისდამტევი, თითქოს ცის და მიწის შემაერთებელი, ცისარტყელით გასხივოსნებული ფუღურო ის ლაბირინთია, რომელშიც ფიქრი ქმნის უკიდეგანო სამყაროს.

მაგრამ მოდის „დელგმა“, „ჭექა–ქუხილი“, წარღვნა, რომელიც, ფუღუროსთან ერთად, კაკლის ხესაც შეიწირავს, ხოლო ბაღი გადარჩება, „ამბების ანარეკლთან“ ერთად.

ეს „ამბების ანარეკლი“, ეს დაუვიწყარი მოგონება ასაზრდოებს პოეტის შთაგონებას.

და გვახსენდება პლატონი: „სული ყოვლისმცოდნეა. ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება, მოგონება ღვთიური ნიჭია“ („მენოი“) (6, 100).

ნეტარი ავგუსტინე ასე აკურთხებდა შემოქმედისთვის აუცილებელ მეხსიერების ძალას: „...ველებსა და დარბაზებში ჩემი მეხსიერებისა... აღსავსეთ უამრავი განძთსაცავით... იქ ვხვდები ხოლმე საკუთარ თავსაც...

„დიდია, უფალო, ეს ძალი მეხსიერებისა, განუზომელი სიდიადის საკურთხეველია ეს“ (7,3,10,319).

როსტომ ჩხეიძის მიერ განცდილი „დელგმა“, „მეხი“ მთელი ერის ტრაგედიაზე მიგვანიშნებს, რაც მუდმივად უნდა იყოს ხსოვნაში. ასევე, მეხდაცემული ბაღი და ხეც სიმბოლური გააზრებაა ჩვენი ხალხის მიერ გამოვლილ უბედურებათა.

როგორც ვენახი, ბაღიც ებრაელი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში: „იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს დაშრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58,11) (1,217).

როსტომ ჩხეიძის მრავლისდამტევი სტრიქონები იწვევს ასოციაციებს ქართველი კლასიკოსებისა, რომლებიც ასევე ენიგმებში, სიმბოლურ–მეტაფორული სახეებში ხვევდნენ სათქმელს: ვაჟა–ფშაველას „ხმელი წიფელი“, გრიგოლ რობაქიძის ფუღუროიანი მუხა (საუბარი კარდუსთან), კონსტანტინე გამსახურდიას ხუთასწლოვანი, კომუნისტების მიერ აკაფული მუხა „მთვარის მოტაცებაში“, გალაკტიონის იავარქმნილი „ძველი კაკლები“, მისივე მუხის ღრუში დაბუდებული ჭოტი ან კიდევ მოყვრის ნიღბით მოსული „მეორე მტრის“ მიერ განადგურებული ბაღი და ხეები „მშვიდობის წიგნში“, „ძმებისაგან“ გაყოფილი „მოხუცი ბაღი“ მისსავე „პირიმზეში“, ტერენტი გრანელის „ქარებისგან“ „ყაჩაღივით“ აკლებული ძველი ბაღი (ძველ ბაღებს დაეცნენ ქარები ყაჩაღივით)... „ბევრი ხნიერი მუხა აკაფეს, ... ყელში ამომდეს მეც აპეური (წერილები ბოთლში), შემთხვევით როდი ჩიოდა იოსებ გრიშაშვილი.

ამ მაგალითების გათვალისწინებით, როსტომ ჩხეიძის მეტაფორა ნისლს მოიცლის, გამქვირვალე ხდება და აშკარაა, რომ ფუღუროიანი კაკალი, შემდეგ „ნაკაკლარს“ რომ შეარქმევს, სამშობლოს განსაცდელზე მიმანიშნებელი სახეა.

კონსტანტინე გამსახურდია აზუსტებს: „...ბერმუხა მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა“ („ვაზის ყვავილობა“) (8, 629).

და ისევ როსტომ ჩხეიძის მუხა: „მდევდა, მეძახდა, მიზიდავდა მუხის ტოტი“, რაც გვაგრძნობინებს, რომ ეს ოდენ ხე როდია, ერის სულია და პოეტს სწყურია, მისი არგადაშენების, მარადიულობის სიმღერა იგალობოს...

„დელგმა“ და „მეხი“ რომ მხოლოდ ბუნების რისხვა არ არის, ნათელი ხდება აგვისტოს ხსენებისას, როცა ქვეყნის ავბედითმა მოვლენებმა 1924წ. აგვისტოში ექვსი ათასი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

ასე ერთვის პოეტის დიდმნიშვნელოვან სათქმელს წარსულის ხსოვნა, მიზეზ–შედეგობრიობა, აწმყოს სატკივრები, 1924წ. აგვისტოს მოვლენებისა და 2008 წლის აგვისტოს ეროვნულ ტრაგედიებზე მინიშნება და მომავლის გადასახედის ძიება (მეხდაცემული ამბები) (9,10).

შემდეგ ისევ საჭირბოროტო კითხვა და სურვილი: „და ისე ერთბაშად მომინდება, რომ წელში გავსწორდე, მხრები შევათამაშო და ამაყადაც მიმოვიხედო, რატომ დავივიწყო, რომ მეცა მქონდა ერთი დრო“...

და რწმენა: „ჰაი გიდი... ვისაც ჰქონია ის ერთი დრო, კიდეც შემოატრიალებს ჟამთა მსვლელობას და გარდასულ წამს ამოზიდავს გასაცოცხლებლად“ (ჰაი გიდი) (9,14-18).

ქართულ პოეზიაში ვერხვის შესახებ უკვე არსებობდა გენიალური გალაკტიონის შედევრი – „ვერხვები“, რომელშიც აზრი და მუსიკა ტოლფარდი ძალით იჭრება სულში.

ქართველთა პოეტების მეფე „ქარის დაბერვის“ – შთაგონების მოვლინების ჟამს „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქრის უშორეს ზღაპარს“ უსმენდა, ხოლო ვერხვი სიცოცლის ხის, უზენაესის სიმბოლოა ბიბლიის მიხედვით.

როსტომ ჩხეიძის ალტერ ეგოს – გეგენას ესმოდა ხეების ჩივილი, ხეების ვედრება. ის ზამთრის ყინვიან სუსხში ვერხვს გადაარჩენს პრაგმატისტთა მიერ მოღერებული ცულისგან მასზე ღვთისმშობლის ხატის მიკვრით და ხე ღია ეკლესიად იქცევა, ხალხთა სათაყვანებელ–სალოცავად. „ვერხვის იდუმალი შრიალი საგალობლად“ ეწვეთება სმენას.

ასე ამარცხებს რწმენა ურწმუნოებას, სიკეთისკენ მიაქცევს მხოლოდ მიწიური ინტერესებით მცხოვრებთ (რას შრიალებს ტოტი ვერხვისა) (9, 37-42).

როსტომ ჩხეიძის მიერ შემოქმედებითად, თავისებურად, ორიგინალურად არის ჩაფიქრებული ქართული კლასიკური პოეზიის მარგალიტში შეფარვით მოწოდებული პრობლემა რწმენა–ურწმუნოების მარადიული ჭიდილისა. ამაღლებული იდეალის მსახურ გეგენას მიგნებული, განუმეორებელი შტრიხებით გამოძერწილი სულიერი პორტრეტი უნებურად იწვევს როგორც ვაჟა–ფშაველას მინდიას, ისე გალაკტიონის „ვერხვების“ ლირიკული სახის რემინისცენციებს და, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ამაღლებს და უკვდავ პერსონაჟთა გალერეაში უმკვიდრებს სამარადისო ადგილს როსტომ ჩხეიძის პერსონაჟს.

საკრალურია „პურის სურნელი“ (9,21-23), რომელშიაც პურის სურნელზე საუბარს მზე ენაცვლება და ავტორის გულისტკივილიანი ფრაზა: „სადღაც გამწყდარიყო მზის ძალა და მადლი“.

ასე მიგვანიშნებს ავტორი რწმენის უზენაესობაზე, რადგან წმინდა წერილის მიხედვით, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12). (2,614).

ღმერთი არის „მზე სიმართლისა: „ამოგიბრწყინდებათ, უფლის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი. 3,20) (1,307).

ხოლო როსტომ ჩხეიძის ლექსში ხორცის საზრდელ პურს სულის საზრდელი პური, ზეციური პური ენაცვლება, ანუ ქრისტეს მცნებები, როგორც ძე ღმერთი ამბობს: „მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასდროს არ მოსწყურდება“ (იოანე, 6,34) (2,190).

ღვთისმეტყველები აზუსტებენ: „პური ცხოვრებისა ქრისტეა“ (კიპრიანე) (10,107).

„პური არსობისა“ აღნიშნავს მომავლის, ანუ საუკუნო ცხოვრების პურს, ანუ იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (იოანე დამასკელი) (11,310).

როსტომ ჩხეიძის წიგნში ისევ და ისევ სიმბოლურ ჭრილში გაიაზრება მზე, ბილიკი, ბაღი.

მთავარია „მზის ბილიკი“, „ბაღის ბილიკი“ და „სასაფლაოს ბილიკი“.

ხაზგასმულია, რომ „ბილიკს არ უნდა მოსდებოდა შამბი და ეკალი.

ბაღი სუნთქავდა ბილიკით.

სასაფლაო ბილიკით სუნთქავდა“.

ბაღში ისევ მშობლიური ეთნოსი გვეცნაურება, ხოლო გზა, ბილიკი საღვთო სახელია: „წავიყვან ბრმებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკებზე გავატარებ“(ესაია წინასწარმეტყველი, 42, 16).

გვახსენდება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ დაკარგულია ეკლესიისკენ მიმავალი ბილიკი, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“ გზას კატაბალახა მოსდებია, როგორც ურწმუნოების მაცნე.

შამბი, ეკალი ცოდვათა მომრავლების მაუწყებელია: „ეკლები ცდომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა. ამის შემდეგ ვარდის საამურობას ეკალიც თანაშეეწყვილა, რომ შეგვახსენოს ის ცდომილებები, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავების აღმოცენება მიესაჯა ჩვენთვის მიწას“ (11,357).

„კურთხეულია და სასარგებლო მწვანილის აღმომცენებელი მიწა, ხოლო რომელიც იძლევა ეკალსა და კუროსთავს, უვარგისია და ლამის დაწყევლილი. მისი ბოლოა დაწვა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 6,7,8) (2,474).

„მზის ბილიკში“ შემოდის „აგვისტოს ნათელში შემოჭრილი მწუხრის, სისხლში განბანილი“ მოვლენების ხსოვნა, „აგვისტოს ახალი ტრაგედიის“ განცდაც.

კაკლიანი „ნაკაკლარად“ ქცეულა, ამიტომ შეუძლებელია „წარუვალი მუსიკის “ შეგრძნება.

ბილიკის სიამაყე იყო „მაღალი ალვები, ამ სოფლის, ამ გვარის, ამ ოჯახის ხელშესახები სიმბოლო“ (9, 46-49).

ალვა საღვთო სახელია: „დავრგავ უდაბნოში ნაძვს, ურთხელს, მურტსა და ზეთისხილს, აღვმართავ ტრამალზე ალვას ნეკერჩხალთან და ბზასთან ერთად“ (ესაია წინასწარმეტყველი, 41,19((1,104).

საკრალურ მზესთან, „მზის ბილიკთან“ ერთად, ნაწარმოებში „წუთისოფლის მზეც“ ფიგურირებს.

„ბილიკის უჩვეულობის“ შემგრძნებად მოაზრებულია გერონტი ქიქოძე, რომელიც „ცის კაბადონზე დაუწყებდა პოვნას ამ ბილიკის პირველსახეს“.

ასეთი ამაღლებული, წმინდა გზებით დაჰყავს ავტორს მკითხველი მზის, გზის, ბილიკის იდუმალებით გასაოგნებლად.

„ამაღლებული სულიერი სიმაღლის გამოძახილია“ (ფსევდო–ლონგინე) (5,114).

მთავარია „ბილიკის საიდუმლო“, „მზის საიდუმლო“.

სევდა ახლავს „სადირბოზე დაქანებული მზის საიდუმლოს“, როგორც ურწმუნოებაზე მინიშნებას.

პოეტის სულის თანამდევია „შუადღის წყვდიადი“ თუ „შუაღამის მზის“ ხილვები, როგორც ინიციაციის გზა.

უმზეო, უვარსკვლავო ღამეში სევდის მომგვრელია წყვდიადში გახვეული, ჩაბნელებული მუხა და მით უფრო ძლიერია მზის ხილვის სურვილი, მარანში, ქვევრთან მიახლების, ქვევრის სარქველის ახდის და იქიდან მზის ამობრდღვიალების ნატვრა,

მზისა, რომელიც მარტო მარანს და კარ–მიდამოს კი არა, მთელ სამყაროს გადაანათებს.

ენატრება, სწყურია თითქოს „ქვესკნელიდან დახსნილი მზის ხილვა და მის იდუმალ ჰანგს აყოლილი ბუტბუტი მუხის“. ელანდება „იდუმალი აჩრდილი“, როგორც გალაკტიონს, (პავლე მოციქულის მიხედვით, „მომავლის ჩრდილი“, სწყურია უზენაესი სული, რომელიც მარნისკენ წაუძღვება, ქვევრის თავს აახდევინებს, რათა იქიდან მთელი სამყაროს მანათობელი მზე ამობრდღვიალდეს, რათა იხილოს „ძველი, დაწმენდილი ღვინო“, როგორც ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადობს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი დაწმენდილი ღვინით“ (25,16) (1,91).

პოეტს სურს ეზიაროს „სულიერ ღვინოს“, ზეციურ ღვინოს რომელიც, წმიდა სვიმონ ღვთისმეტყველის მიხედვით, უზენაესია და კურნავს სულიერ წყლულებს“ (10,163).

არც „ქვესკნელიდან დახსნილი მზის“ ანუ შემთხვევითი, არც მზის „იდუმალ ჰანგს აყოლილი ბუტბუტი მუხის“.

ისევ საკრალური სტრიქონები, იდუმალება, მიწიდან მოწყვეტა, რწმენის მზით სულის გასხივოსნების დაუვიწყარი მისტერია (მზე წყვდიადში) (9, 56-57).

და კვლავ გზის ძიება, კვლავ გზაჯვარედინი, ოთხივე მხრით საფრთხე. კლდეებში ისევ ამირანის კვნესა, არგონავტების მოლანდება, კოლხეთის კვირბები.

გაურკვევლობა და არა გზა.

„ძაფს უნდა ჩაებღაუჭო, გზა უნდა ეძიო, ბეწვის ხიდზე უნდა იარო“.

„ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე“, „უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“, მოძღვრავდა ერს მოსალოდნელ საშიშროებათა შემცნობი გალაკტიონი „მშვიდობის წიგნში“.

იგივე სატკივარს გაუთანგავს „მზის საფეხურების“ ავტორის სული. (გზაჯვარედინზე) (9, 49-51).

როსტომ ჩხეიძის თვალთახედვით, ცხოვრება მორევია, გრიგოლ რობაქიძის თქმით, მალშტრემი.

„მორევის“ ავტორის სურვილი: ეკლესია შეიძლება იდგეს მდინარეში, ტბაში, ზღვაში...

აკი წმინდა წერილში ცხოვრება ზღვასთან არის შედარებული: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20)(1,116).

ხოლო იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ამ ცოდვების ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, ჯვარი, ჯვარცმა“ (7,519).

ცოდვების ზღვაზე გასაგნები გზების გაკვლევაში გვეხმარება „ლექსები პროზად“, გვინერგავს, რწმენას, როგორც წმინდა მამები.

როსტომ ჩხეიძეს ენატრება „მზიანი ღამე“ (ღმერთი), „შუაღამის მზე“, მოვლინება როგორც ინიციაციაციის უმაღლესი საფეხური, სულიერი ნათელღება.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მამის სახეს, მიწიერი მამის მადლთან ერთად, ზეციური მამის ძიებას დიდი გალაკტიონის მაგალითზე. ძიება იწყება სიტყვის ოსტატებიდან–აკაკი წერეთელთან, ილია ჭავჭავაძესთან, პოლ ვერლენთან.

მერე საინფორმაციო ველი იხსნება და მამის ლანდი ჩნდება ვენახის ფონზე სასხლავით ხელში. ხდება სასხლავისა და მამის ხატების შერწყმა.

„ესაა ღრმა სიმბოლიკა–ყოფითი რეალურობის იერითაც და კონტურებითაც“ (მამა) (9,70-73).

„მამულის“ ავტორი წუხს ღვთისნიერ წინაპართა წასვლას და შემთხვევით როდი ელანდება „მოხუცი მამა“ (ღმერთი) სასხლავით ხელში, რადგან ვაზს უნდა მოსცილდეს უნაყოფო ლერწმები, ხოლო ვენახის გადაჯიშება პოეტს ამწუხრებს. ვენახი და მამა ძალზე ღრმა სიმბოლოა და ამის შემცნობი როსტომ ჩხეიძე ცალკე წუხს და დიდი წინაპარივით ენანება.

და უცბად იბმება ლოგიკური კავშირი წიგნის ეპიგრაფთან: ანგელოზის მიერ მიწის ვაზის ღვთის მძვინვარების საწნახელში ჩაყრასა და გასასხლავ ვაზს შორის...

აკი „გაუსხლავ ლურჯ ბაღზე“ სწუხდა ტერენტი გრანელიც (1921)(12,245).

როსტომ ჩხეიძის ლექსში ერთმანეთს ენაცვლება მამის კიბე და ზეცის კიბე, ჰაერში მიმობნეული კიბის საფეხურები, ერთმანეთისკენ რომ მიიწევენ და ვერც მიიწევენ, ეკვრიან და ვერც ეკვრიან“ (კიბე ზეცამდე) (9, 66-69).

ასე გაუთავისებია პოეტს სასულიერო პოეზიაში კიბის სახით მოაზრებული მარიამ ღვთისმშობელი და „არტისტული ყვავილების“ ავტორის „იისფერი თოვლის“ ხატები.

„მზის ბილიკების“ ავტორს აძრწუნებს საწყობად გადაკეთებული ეკლესია, ღმერთისგან განდგომა, უაზრო ტაშ–ფანდური, დოლ–გარმონი, ხოლო წინაპართა ცოდვების საზღაურია ძირძველი საცხოვრისიდან აყრა და ქალდეის როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ქართველთა პირველი სამშობლოს მონატრება.

პოეტის სული პლატონივით ვერ შერიგებია სულის ტყვეობას, ცხოვრების აღქმას გამოქვაბულად, სატუსაღოდ, სამუდამოდ მობორიალე ჩრდილებში ყოფნას, გრანდიოზული ჩრდილების სპექტაკლს, მით უფრო, უბედურებაა ჩრდილის (სულის) დაკარგვა.

აკი ეროვნულ მწერლობაშიც იყო გამოხატული მიწაზე ვერდატეული სულის სევდა.

დედამიწა გალია, ყუთი, მიწა–სამარე, ჰგოდებდა ტერენტი გრანელი და „მარადისობის ლაჟვარდებს“ იგულვებდა თავის სამუდამო სავანედ.

როსტომ ჩხეიძე მიელტვის მიწის ბორკილების დამსხვრევას, რათა ეზიაროს ნეტარებას, სრულქმნილ ექსტაზს–სულის განთავისუფლებას სხეულიდან.

მაგრამ არეოპაგელისეული „წმინდა ნათლის“ სიწყვდიადის განცდა ეუფლება და იმის იქიდან გადახედვის შეუძლებლობა აწუხებს.

თავისუფლების შეგრძნება თითქოს იყო, მხოლოდ თითქოს... და მზის, ბალახის, ახალშობილის მონატრებას ამჯობინებს ანგელოზთა გალობას და ემორჩილება ადამიანისთვის დადგენილ წესებს, ისევ მიწაზე ბრუნდება და მზის საფეხურებს ელტვის.

„ორი ქვეყნის საზღვრად“ იდგა ანა კალანდაძე, რომელიც ცაში მაღლდებოდა, მაგრამ ისევ მიწას უბრუნდებოდა: „ვერწყმი უდაბურ ლაჟვარდებს, მოულოდნელად ვღონდები და ისევ მიწას ვისურვებ თავის დარდით და ცოდვებით“.

ამასთან, ანა კალანდაძე წუხდა მიწისკენ მიქცეულ, ცა და ციურის, მიუწვდომლის დამვიწყებელ სულებზე (შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი“).

პოეზიის დედოფალი ჰკვირობდა: „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?“

მარადისობის ლაჟვარდებს მიახლებული და ისევ მიწაზე დაბრუნებული ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

დანტე ამბობდა: „მიწაზე ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას“.

მის პოემაში მიწიერი ინტერესების მონებს მისჯილი აქვთ მიწისთვის ცქერა: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“ (13,197).

„ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს.

„ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“, შეგვაგონებდა რუდოლფ შტაინერი (14,169,270,273).

შემოქმედება სხვათაგან უხილავის ხილვაა, იდუმალთან თანაზიარობა, ხოლო სულიერი აღზევება განუზომელ მსხვერპლს მოითხოვს, როსტომ ჩხეიძემ იცის: ვინც დროს უსწრებს და ერს სწორ ორიენტირს უჩვენებს, ბიბლიური წინასწარმეტყველივით ორმოში ჩაგდებას, ოც ვერცხლად გაყიდვას ვერ აცდება და ისიც მზად არის სრული თვითგაღებისთვის (სიზმარია, სხვა არაფერი) (9,63-65).

„მიიქეც შენივე სულის ქვრეტად.

„თუ შენი მზერა მახვილია“ და ღრმად მხედი,–მიიქეც შენივე სულიერი ცხოვრების ქვრეტად“, მოგვიწოდებს მარკუს ავრელიუსი (15,204).

როსტომ ჩხეიძის „მზის საფეხურები“ საკუთარი სულის ქვრეტაც არის, ეროვნული ფენომენის გასიგრძეგანებაც, ტაძრისკენ გზის გაკვლევაც, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე მართებული პასუხიც.

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს და საერთაშორისო მასშტაბით საგულისხმოა „გალობანი გალობისანი“ (9, 23-29).

წიგნის ავტორი წუხს, რომ სისხლში განბანილი აგვისტოს ტრაგედიებმა შეუძლებელი გახადა „წარუვალი მუსიკის“, „სამყაროს ორატორიის“ მოსმენა, მაგრამ ის მაინც მთელი არსებით აყურადებს მხოლოდ რჩეულთათვის გასაგონ ჰანგებს.

აღნიშნულია, რამ სფეროების, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური.

სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიისგან, არამედ რიტმისგან.

კოსმოსში ცხოვრობს ის გონიერი ძალა, რომელსაც ეწოდება კოსმიური რიტმი. მარადისობის ხმას მივყავართ სიკეთისა და სინათლისკენ.

მღერის სინათლე და ხმიანობს განუზომელი სივრცე.

სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის, გარემოს მუსიკის გაგონება შესაძლებელია, მაგრამ უმაღლესი სულის ხმის გაგონებისთვის აუცილებელია სულიერი ცნობიერების განვითარება“ (წერს ელენე რერიხი (16,56,63,910,143,164,191,245,411).

დანტემ, გოეთემ მოისმინეს ზეციური ხმები, რუსთველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს ესმოდათ „ციურთა დასთა გალობის ზარი“.

ილია ჭავჭავაძემ, ვაჟა–ფშაველამ, აკაკი წერეთელმა, გალაკტიონმა, ტერენტი გრანელმა გაიგონეს ეს სხვათაგან მოუსმენელი ხმები.

„უგალობეთ უფალს გალობა ახალი, უგალობეთ ღმერთს, უგალობეთ გონივრულად“, ასეთია ბიბლიური წინასწარმეტყველის მოწოდება (ფს. 32-33, 3, 47, 7,8) (2,553, 635).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში იმ ზეციური გალობის გათავისება მხოლოდ რწმენისთვის მსხვერპლის გამღებთ, თეთრად შემოსილ წმინდანებს ხელეწიფებათ.

როსტომ ჩხეიძის აზრით, „გალობანი გალობისანი“ ესმოდათ სასაფლაოზე ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლადო ასათიანს, ტერენტი გრანელს.

გალაკტიონის პოეზიიდან გვესმის „ლოცვა–ვედრება, გალობა ახალი“.

პოეტების მეფეს, ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, ეხსნებოდა „ლაჟვარდი ბროლის“, ხედავდა „ბროლის ზმანებას“, ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“ (დაბმული ქინკა) (17) ესმოდა „ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“, ციური გალობა (ღიაა ქალაქის ქალა) სიხარულის ღმერთის ხმა (სიშორით შენით), „გაზაფხულის გამმა“, „კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა“.

ე. რერიხი ირწმუნება, რომ ასტრალური სამყაროში სულს ესმის 14 ხმა, მიწაზე–9 ხმა.

უცნობი ხმები აფართოებს შემეცნებას.

რაკი სამყაროში არაფერი ქრება, ის იდუმალი ხმები „ედებიან გულს ნიავქარად“, მთაში, ზღვაზე, ქვესკნელში, სასაფლაოებზე ხმიანებენ უზენაესი ჰანგები.

როსტომ ჩხეიძის აზრით, „ზექვეყნიური, უკვდავი ხმები“ ისმის სასაფლაოებზეც და მღერის სივრცე, სასაფლაო, „მღერის არა მხოლოდ ბაგე და ყელი, მღერის ძვალი“.

გალაკტიონს ესმოდა „ციური დასის გალობა“, „სინათლის ხმა“, „საგანთიადო ხმები“, „მომავლის ხმები“, არაქვეყნიური სუნთქვა.

დანტეს სმენას მისწვდა გაბრიელ მთავარანგელოზის მახარობელი ხმები, „სინათლის ხმაი მეტყველი“, ზეციური სულის ხმა, „მიუწვდომელი, გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებს“, „ზეციური ლირა, გალობა“ (13,322).

გოეთეს ესმოდა „სფეროთა ცეკვა, ჰარმონია, ციური ჰანგი“.

როსტომ ჩხეიძეს მოუსმენია „გალობანი გალობისანი“ რაც რჩეულთა, სულიწმიდისგან მომადლებულთა ხვედრია.

ასეთ მრავალთემიანი, მრავალსახოვანი და აქტუალურია „მზის საფეხურები“, ჭეშმარიტად ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. „გზა სამეუფო“, 1994,№1
4. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1983
5. ფსევდო ლონგინე, ამაღლებულისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1975
6. პლატონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ. 1974
7. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი,თბ. 1985
8. კონსტანტინე გამსახურდია, ვაზის ყვავილობა, თბ. 1956
9. როსტომ ჩხეიძე, მზის საფეხურები, ლექსები პროზად, თბ. 2016
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ. 1990
11. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
12. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
14. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994
15. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
16. Мозайка Агни Иоги, Тб.1990
17. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

Luara Sordia

The new word in modern Georgian poetry – Rostom Chkheidze's Steps of the Sun-poems in prose

Resume

Rostom Chkeidze's Steps of theSum attracts attention by revealing religious-philosophical and national-social problems.

In the book, Georgia's national tragedies are displayed in the images of thunderstruck orchard, walnut tree with hollows, Natural disaster and thunder, fatal August, are indications towards August 1924 and August 2008 tragedies.

In the Steps of the Sun, examples of Christian tropology are: the sun, path, the poplar, bread, wine and the road. The ladder and "the purple snow" are the metaphors of Virgin Mary.

The main concerns of the author are Godlessness, fate of his homeland, loss of spirituality and the sun covered in darkness. The author seeks for future paths, sees the crossroad and believes that the nation with the great past will make the right choice and will spread the wings again.

In the book of poems there are multiple reminiscences from mythology, the Bible, Georgian and foreign classic literature, but the new directions are found through creative comprehension of traditions.

The Steps of the Sun represents the diverse talent of the celebrated scientist, writer and translator in a completely new capacity and establishes an honorable place for him in the Georgian classic poetry arena.

მანანა კვატაია

ამორძალთა არქეტიპის ლიტერატურული პარადიგმები

ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის იდეა საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს. უძველესი ტექსტების მიხედვით, პლანეტის სხვადასხვა ადგილებში ძალაუფლება ქალებს ეპყრათ. თქმულება ამორძალებზე (ამაზონებზე), მითიურ მებრძოლ ქალებზე მოგვითხრობს, რომლებიც მეოტიდის (აზოვის) და პონტოს ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ და რომელთა ტომში მამაკაცებისათვის ადგილი არ მოიპოვებოდა. მეომარი ქალები სხვა ადგილებშიც უნახავთ (ლიბია, ჩრდილოეთ აფრიკა, აზია, სამხრეთ ამერიკა, სადაც, თქმულებით, "ამორძალებიც სამეფოც" იყო). წყაროთა მოწმობით, ლიბიელ ამორძალებს მამაკაცისათვის მონის ადგილი მიუჩენიათ. არსებობს მოსაზრება, რომ თქმულებები ამორძალთა შესახებ წინარებერძნულ საზოგადოებაში შეიქმნა და მატრიარქატის ეპოქას უნდა ასახავდეს.

მითების თანახმად, მეომარი ქალები დედოფალ პენთეზილეას მეთაურობით ტროას ომშიც მონაწილეობდნენ, მათი დედოფალი კი აქილევსმა მოკლა. სხვა ლეგენდის მიხედვით, ტროას ომს გადარჩენილმა ამორძალებმა თავი კავკასიის მთებს შეაფარეს. მე-17 საუკუნეში იტალიელ არქიეპისკოპოს არქანჯელო ლამბერტის ისინი კავკასიაში მოგზაურობის დროს შეხვედრიან.

სხვა ლეგენდა მოგვითხრობს, რომ კავკასიის მთებსა და მდინარე ფაზისს შორის ამორძალების დედოფლის, ფალესტრას საბრძანებელი იყო. ფალესტრასა და ალექსანდრე მაკედონელის სამიჯნურო ურთიერთობის ამბავი რომაელი ავტორის, კურციუს რუფუსის წიგნმა "ალექსანდრე მაკედონელმა" შემოინახა. გრიგოლ რობაქიძემ ამ ლეგენდარულ სიუჟეტს უძღვნა "ამორძალი ლონდა (სონეტი ნაპირებგადალახული)" (1920). ლექსი ერთი ამოსუნთქვით, ექსპრესიულად გადმოსცემს ძალზე დაძაბულ, დრამატულ ეპიზოდს. "ფილიპეს ძესთან ომს ელიან ამორძალები ასე თამამად", მაგრამ ქერა ლონდა კუშტობს, მტევანივით ტანდაყურსული, ალექსანდრესაგან დაფეხმძიმება სურს და მასთან შესახვედრად ნადირივით ამაყად იმართება. სამდღიანი ლხინისა და ლონდასთან ერთად ყოფნის შემდეგ მრავლისმნახველ მაკედონელს აღმოხდება: "ღმერთობას მასმევს მხოლოდ შენი გიჟი ტანი ავხორცი".

ამორძალთა მითის ახალ დროში რეინტერპრეტირების მცდელობაა გრიგოლ რობაქიძის დაუმთავრებელი რომანი "ფალესტრა", რომლის წერა ავტორს 1927 წელს, გერმანიაში ყოფნისას, დაუწყია. მწერალს თვდაპირველად მის სათაურად "კავალლა" შეურჩევია, როგორც მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიწერილი ბარათი მოწმობს.

კინორეჟისორი ადოლფ უნგარ თავისი ფილმისათვის ამორძალთა დედოფლის, ფალესტრას როლის შემსრულებელს ეძებს და ქართულ-კავკასიური წარმომავლობის მშვენიერი ქალის, კავალლას გაცნობას ცდილობს. "სამასკო ბალზე" მის მაგიერ ჟანეტ გამოცხადდება. ნიღბის საშუალებით ვეზიარებით მას, ვის ნიღაბსაც ვიფარებთ, - წერს რობაქიძე. ჟანეტ ეზიარა კავალლას, ვისი "სახეც" აიფარა. იგი სხვად იქცა, რითაც დიონისეს კულტის მთავარი მოთხოვნა შეასრულა. რომანში ექსპრესიული მონახაზებითაა შექმნილი უმშვენიერესი, უძლიერესი ქალის, ამორძალური სულისკვეთების კავალლას ხატი.

… მკვლევარი ლეილა თეთრუაშვილი ხაზს უსვამს "ფალესტრას" კავშირს ჰაინრიხ ფონ კლაისტის "პენთეზილეასთან": "ფალესტრაში" პირდაპირ ძევს კლაისტის გმირი ქალის პენთეზილეას "კოდი" და იგი წოდებულია "ამორძალთა საიდუმლოდ" (თეთრუაშვილი 2003: 39).). აქვე მითითებულია, რომ "ამორძალური ბუნების არქეტიპი ოსკარ უაილდის, დოსტოევსკის, კნუტ ჰამსუნის ქალებშია განსხეულებული".

ამორძალთა ცნობილ მითს გრიგოლ რობაქიძე სრულიად ორიგინალურად ამუშავებს რომანში "მეგი", რომლის ქართული დედანი მას არ დაუწერია. თხზულების რუსული ტექსტი

მწერალს 1931 წელს, საქართველოდან ემიგრაციაში გამგზავრებისას, თან წაუღია. რომანის თავდაპირველი სათაური "მედეას ნაწნავები" ყოფილა. თვით გრიგოლ რობაქიძე განმარტავდა: "ჩემი რომანი "მეგი" ერთგვარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხეთის მითიური ქალის განცხოველებისა: მედეასი". ვფიქრობთ, აქ ავტორი საკუთარ ინტენციას ბოლომდე არ ხსნის. რომანის ტექსტი ნათლად ადასტურებს, რომ მეგის სახეში როგორც მედეას, ისე ამორძალთა არქეტიპი იკითხება, მეგი (ისევე, როგორც მედეა) მათი სისხლისმიერი შთამომავალია. ეს ნათლად მოჩანს რომანის თავში "ამორძალის წალდი", რომელიც მთავარი გმირის – მეგის ქმედების მოტივირებას ხსნის. ძიძა მენიკი ოჯახის წევრებს იმ მეომარ ქალებზე უყვება, "ძალიან დიდი ხნის წინ რომ დასახლებულიყვნენ ამ მიწაზე".

ამორძალთა მემკვიდრეობითობა იგრძნობა მეგის დედის, ციცინოს სახეში. ძველი მეომარი ქალების ჩვეულებსა და ბრძოლის იარაღებზე მენიკისეული თხრობისას ციცინო (მითიური ცირცეს ასოციაცია? – მ.კ.) "წალდის" გაგონებისას შეკრთება და "ამ დროს პროფილი ამორძალის ნამგალა მთვარისებურ წალდს მიუგავს."

მეგი ძიძისაგან ისმენს ამორძალთა მიერ ბავშვების უსიყვარულოდ გაჩენის ამბავს, მათ მკაცრ დამოკიდებულებას ახალშობილი ბიჭებისადმი, რომლებიც ქვეყნის საზღვართან გადაჰყავდათ, სადაც მათ მამაკაცები ხვდებოდნენ, თავისთან მიჰყავდათ ისინი და საკუთარი ვაჟებივით ზრდიდნენ. ამორძალებს საკუთარ შვილებად მხოლოდ გოგონები მიაჩნდათ და მათ თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. მენიკის თხრობიდან განსაკუთრებით შემზარავია ის ადგილი, სადაც ამორძალთა მიერ ტყვედ აყვანილი მამაკაცებისა და ახალშობილი ბიჭების დახოცვაზეა საუბარი. რობაქიძის თქმით, სიტყვა "ამორძალს" ძიძა მენიკი "ამაზონის" ნაცვლად იყენებს და მის მნიშვნელობას ამგვარად ხსნის: "ამაო რძალი", "ამაო პატარძალი".

ამორძალების ნამგალა მთვარისებური წალდი მეგიმ თავისი ოჯახის კედელზეც შენიშნა. ავტორის თქმით, "იგი, უძრავი ქვიდან ამოსკდარი, ცეცხლის ალს ჰგავდა" (რობაქიძე 2013: 47). მეგის სხეულს ცხელმა ტალღამ განჭოლა. "ამას პირქუში სულის და მხურვალე, ველური სისხლის ჭიდილი ჰქვია", - ფიქრობს რომანის გმირი ვატო.

გრიგოლ რობაქიძე იკვლევს საუკუნეების სიღრმიდან გამოხმობილი არქეტიპული მითოსური ხატის გრადაციას. რომანის მიხედვით, მეგრელ გოგონა მეგისა და აფხაზ ასტამურს შეეძინებათ ვაჟი, რომლის მიმართ მეგის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვს: ხან დედობრივი გრძნობა ეძალება, ხანაც ის სირცხვილი ახსენდება, ამ ბავშვის არსებაში რომ განსხეულდა და ამ დროს ჩვილს შემზარავი სახით უყურებს. ავტორის თქმით, ახალგაზრდა დედის არსებაში "სიყვარული სიძულვილის თანამოზიარე გამხდარიყო". იქნებ ამგვარი ამბივალენტური გრძნობა არც მითიური ამორძალებისათვის გახლდათ უცხო, თავიანთ ვაჟებს სასტიკი ხვედრისათვის რომ იმეტებდნენ? ვფიქრობთ, მწერალი ამ პარადიგმასაც სიღრმისეულად იკვლევს.

რომანის მიხედვით, ერთ დღესაც მეგი "არაადამიანურმა, ველურმა, პირველყოფილმა მძვინვარებამ შეიპყრო; მარჯვენა ხელი ნაწნავს ჩასჭიდა და ბავშვს ყელზე მიაჭირა". ამჯერად ჩვილი გადარჩა. დედამ შვილი ძიძას გადასცა, მაგრამ ამ არაცნობიერ ქმედებას ტრაგიკული შედეგი მოჰყვა: ბავშვი □მძიმედ გახდა ავად, დედა მისი გადარჩენისათვის მხურვალედ ლოცულობს, მაგრამ ამაოდ: ბიჭუნა მეორე დღეს გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ევრიპიდეს "მედეაშიც" შვილების მკვლელობის წინ დედა განუზომლად იტანჯება: "გადაწყდა, დებო.. ახლავე ავასრულებ ჩემს საშინელ განზრახვას და აქედან გადავიხვეწები. მაშ, მტრის ხელში ხომ არ დავტოვებ ჩემს საცოდავ შვილებს? სულ ერთია, მაინც ვერსად წაუვლენ სიკვდილს.. მახვილი იპყარ, ბედკრულო, მერე კი დაადექ ტანჯვისა და წამების გზას!.. ო, უბედურო, გიყვარს და ხოცავ? ვინ არის ქვეყნად ჩემზე ბედკრული?" (ევრიპიდე 2013: 59).

გრიგოლ რობაქიძის "მეგიში" შვილის გარდაცვალებით შეძრულ მთავარ გმირს სურს, საკუთარი ნაწნავებით ჩამოიხრჩოს თავი, მაგრამ თვითმკვლელობას მფარველი ანგელოზის კარნახით გადაიფიქრებს. რომანის დასასრულს მეგი ყველასაგან გარიყულ, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე, მდუმარე, მიუსაფარ ქალად გამოჩნდება, რომელიც არავისგან არაფერს ითხოვს. ვინ იცის, იქნებ არანაკლებ იტანჯებოდა ძველი მეომარი ქალი – მითიური ამორძალი, როდესაც მის მიერვე განწირული საკუთარი ვაჟის ტრაგიკულ ხვედრს ჩაუღრმავდებოდა? ვფიქრობთ, გრიგოლ რობაქიძის "მეგი" ამ ურთულეს ენიგმასაც იკვლევს.

ამორძალთა პარადიგმას გრიგოლ რობაქიძე მიმართავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის – ელენე დარიანის ვინაობის დადგენისათვის. 1918 წელს ჟურნალ "□ღშ"-ში დაბეჭდილ ესეში "ქართული მოდერნიზმი" რობაქიძე ვარაუდობს, რომ ელენე დარიანი "უეჭველად ქალური პოეტური სახეა ქართული პოეზიის ერთ-ერთი მამამთავრისა" (იგულისხმება პაოლო იაშვილი – მ.კ.). მისი აზრით, ეს ის "ერთადერთი შემოქმედია, რომელიც ნამდვილი ქალური სიტყვით ალაპარაკდა" (რობაქიძე 2014: 398). მწერლის აზრით, ქართველი ქალი რაღაც საიდუმლოს წარმოადგენს, მის სტიქიაში ამორძალების ბევრი ნამსხვრევია, "იმ ამორძალებისა, სიყვარულის დროს მამაკაცს შმაგად რომ მივარდებოდნენ და კლავდნენ". ამავე დროს, რობაქიძე ფიქრობს, რომ ქართველი ქალის ფსიქიკა მეშჩანობის კორძითაც არის დაფარული, მწერლის აზრით, ქართველმა ქალმა არ იცის რომანი, არ იცის სიყვარული, "ქართულ ლიტერატურაში ეროტიკული ფსიქიკის ქალებს სრულიად ვერ შეხვდებით". ამ მოტივირებიდან გამომდინარე, რობაქიძე ვარაუდობს, რომ ელენე დარიანის ხელმოწერით გამოქვეყნებული ლექსები ქალის დაწერილი ვერ იქნებოდა.

სხვა დროს და სხვა გარემოს ამშვენებდა იდუმალი დედოფალი, ლეგენდარული ნეფერტიტი, რომელშიც უძლიერესი პიროვნების იდეალი განსხეულდა. იგი მეომარი ქალების წრეს არ ეკუთვნოდა, თუმცა სულის სიმტკიცით, მიზანდასახულობითა და შეუპოვრობით ამორძალებს ალბათ ტოლს არ დაუდებდა. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის თვალსაზრისით გამორჩეული გახლდათ ძველი ეგვიპტე, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენელთა სამართლებრივ და ეკონომიკურ თანასწორობას კანონი განსაზღვრავდა, ქალები ქვეყნის მართვაშიც მონაწილეობდნენ. გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ესე "ნეფერტიტის თავი" ეგვიპტის ლეგენდარული დედოფლის ექსპრესიულ ხატს ქმნის, ცოცხლდება სახე უმშვენიერესი, შინაგანად თავისუფალი, იდუმალი ქალისა, იმდროინდელი ეგვიპტის ბედს რომ განაგებდა.

> მწერალი, რომელმაც უწყის, რომ მხატვრული ჭვრეტა განცვიფრებით იწყება, ბერლინის მუზეუმში საათობით აკვირდება ნეფერტიტის ქანდაკებას. მის წინაშე თანდათან იკვეთება ენიგმური, დიდებული დედოფლის გარეგნობა და სულიერი სამყარო, კინემატოგრაფიულად ცოცხლდება მისი გარემომცველი არე, სტატიკური ქმნილება ნელ-ნელა სულს იდგამს და მწერალთან ერთად ლეგენდარული ქალის განუმეორებელი ფიქრების თანაზიარნი ვხდებით. ნეფერტიტის გამოცანა ესეში თანდათანობით იხსნება.
>
> დიდებულია სახელგანთქმული ქანდაკების დეტალები: ეგვიპტის დედოფლის "დახვეწილ, გრძელ, მცირედ მოღუნულ ქურციკისებრ ყელზე, რომელსაც მიმქრალი მარგალიტების ახლად აელვარება ძალუძს, მეფურად აღმართული, ნატიფად გამოკვეთილი თავი ირხევა" (რობაქიძე 2012: 7-8). იდუმალი, მომნუსხველია ნეფერტიტის გამომეტყველება: "იმზირებიან მუქი წამწამებით მოჩრდილული, აკვამარინ-ცისფერი დიდი თვალები, რომლებშიც რიდი და, ამავე დროს, ძალაუფლება ბატონობს".

ქანდაკების სტატიკურ პოზაში ღრმა შინაგანი განცდა დაუნჯებულა. მწერალი მის შეცნობას ცდილობს და თვალს ადევნებს ნეფერტიტის მზერას: "მზისსისხლიან ქალს თავი სინათლის

შესახვედრად მიუბრუნებია და მისი თვალები მინავლული ჰორიზონტის ცქერისას წყნარად გაქვავებულან.. იგი ნეტარებით უსმენს: მისივე სისხლის ჩუმ სიმღერას".

შინაგანი ჭვრეტით მწერალი იმ ლანდშაფტსაც წარმოიდგენს, იდუმალი ეგვიპტელი ქალის მზერა რომ შეჰყინვია: "მზის სხივებს ოქროსფერ-ყვითელი ქვიშა გაუჟღინთავთ და ქვიშა ბრჭყვიალებს, თითქოსდა მზის მარცვლებიაო. უკიდეგანო დაბლობზე მქრქალ მეტალისებურად მძიმედ ეშვება ცისფერი ჩრდილები".

უკიდეგანო მშვენიერებით მონუსხული მწერლის წინაშე ქანდაკების სტატიკურობა თანდათან დინამიკურობით იცვლება, ნეფერტიტის თავი თითქოს შეირხევა და ნელ-ნელა ცოცხლდება კიდეც. შემოქმედის თვალწინ სულჩადგმული ქალი ყურადღებით ათვალიერებს არეს: "შუადღის სუნთქვაში მთვლემარე ქვიშის გასწვრივ ნილოსის ცისფერ-მწვანე ტალღები დიდებულად, ნელა მოგორავს". ამავე დროს, "ნილოსის დაბლობზე გადამწვარი უდაბნო ახლოვდება, შემზარავად მდუმარი. ცხელი ამოსუნთქვით მას თითქოსდა მდინარის სხეულის ჩაყლაპვა სურს". უდაბნო – წარმავლობის სიმბოლო – დედოფალს ამაოების ღრმა სევდით ავსებს და ეს ნაღვლიანი განწყობა სრულიად ბუნებრივია: დიახ, ყოველივე გაქრება, თვით ისიც: ნეფერტიტი. "ქალი ტკბილი ცდუნების წინ კრთება: მასზეც ხომ არ ინაღვლებს მზე – ეს "ანთებული კუკური, მსოფლიო ოკეანეს რომ აყვავებს?" – კითხულობს იგი. შედარება სრულიად ლოგიკურია: "ნეფერტიტი – მზის ქალიშვილი, თავს მზის სასურველად თვლის."

უნაპირო, გამოუთქმელი სევდის მიუხედავად, დედოფლის სახის ნაკვთები მშვიდი და აუღელვებელია. აქ მწერალი გამოსახულების ენიგმის არსებით მომენტს იხელთებს: ესეს მიხედვით, ნეფერტიტის სახეში უსახელო მოქანდაკემ, ვითარცა ჭეშმარიტმა ეგვიპტელმა, იდუმალი "კა" გადმოსცა. ამ ცნებას გრიგოლ რობაქიძე ამგვარად განმარტავს: "კა" არსის შინაგანი სუბსტანციაა: ის სამყაროს შექმნამდე ცოცხლობს, დედამიწაზე თავის თავს განახორციელებს, სიკვდილის შემდეგ იგი სულის სფეროებში ადის.. მასში ღვთაებრივი იხსნება. ამის შედეგად იგი მარადიული ხანგრძლივობის ნიშანს იღებს.. ეგვიპტელისათვის ყოველი წამი "კა"-თია გამსჭვალული. ამის გამო იგი ყოველ წამშია შეყვარებული.

გრიგოლ რობაქიძე მხატვრულად იკვლევს სხვადასხვა დროის ძლიერი ბუნების გმირთა სულის იდუმალებას. ამორძალთა და ნეფერტიტის ენიგმას შემოქმედი ისტორიის უძველეს ლაბირინთებში გადაჰყავს და მას, იქედან დაბრუნებულს, თანამედროვე მკითხველამდე გარდასულ ეპოქათა მიმქრალი სუნთქვა მოაქვს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. თეთრუაშვილი 2003: თეთრუაშვილი ლ. "ამორძალთა საიდუმლო" გრიგოლ რობაქიძესთან (დაუმთავრებელი რომანი "ფალესტრა" და ჰაინრიხ ფონ კლაისტის "პენთეზილეა"). – კრებულში: "თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით". თბილისი: 2003.
2. ევრიპიდე 2013: ევრიპიდე. მედეა (თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ). - წიგნში: ევრიპიდე. ტრაგედიები. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.
3. რობაქიძე 2014: რობაქიძე გრ. ომი და კულტურა (რუსულიდან თარგმნეს მანანა კვატაიამ და ნათია ორმოცაძემ). თბილისი: "არტანუჯი", 2014.
4. რობაქიძე 2013: რობაქიძე გრ. მეგი (თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა). -წიგნში: რობაქიძე გრ. 3 რომანი. თბილისი: "არტანუჯი", 2013.
5. რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. დემონი და მითოსი (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ). თბილისი: "არტანუჯი", 2013.
6. რობაქიძე 2012, 3: რობაქიძე გრ. ნაწერები, წ. 3 (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ). თბილისი: 2012.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

პოეტური სიმდიდრე

მსოფლიო ლიტერატურის, მსოფლიო ფილოსოფიის მცოდნე გამოვთქვამ, განმაცვიფრა ოცდაერთი წლის პოეტ მერაბ ლატარიას შემოქმედებითმა ხედვამ.

აი, როგორ იწყებს ის ერთერთ ლექსს: ,,რისთვის'', აუწყობელი გიტარა, სიმგაცრეცილი ისიც. მრავალი რომ იგულისხმება ამ სულ ოთხიოდ სიტყვაში. აქვე სხვადასხვა სტრიქონებში ამბობს: სისხლით ნაწერი ლექსები, რა ურითმოა ისიც, მე ასე ვწვალობ ყოველთვის, გაჩერებული ეს გული, გვამებში დარბის ისიც. ეს გადახრილი ნაბიჯი. ასე ვიცხოვრე აქამდე, მაგრამ ნეტავი რისთვის.

საინტერესოა, რამდენი წელია რაც პოეტურად, აზროვნებს ეს ახალგაზრდა კაცი? დანარჩენი ხომ ბავშვობის თუ ღრმა ბავშობის წლები იყო?

მოგეწონება თვითეული მომდევნო ლექსი. აი ერთ-ერთიც ,,საიქიოს ბილეთი'', იცის მან უკვე ბილეთის საფასური, რადგან თურმე იგი სიცოცხლეში ისევლე მოკლეს. ასე რომ იწყებს ამ ლექსს: მე სიცოცხლეში ისევლე მომკლეს. თან ამ ჭეშმარიტ პოეტს თურმე გული უპულსოდაც უცემს რომ ამბობს: და გულიც ისევ უპულსოდ მიცემს. შემდეგ კი: დღეს მთვარეც ტირის და მე საფლავიდან, მესაფლავემდე ვერ ვაწვდი ყვირილს.

საინტერესოა ამ გამაოგნებელი გარეგნობის ავტორმა როდის მოასწრო საფლავიდან მესაფლავემდე ვერ მიწვდილი ყვირილის რითმად და სტრიქონად ქმნა? ასე რომ განაგძობს სათქმელს: ისევ ვიგრძენი ტკივილი მკვდრების, ისევ გავიგე ყვირილი მკვდრების. ეს ლექსი თავიდან ბოლომდე იმდენად ღრმა და ამოუცნობია რამდენჯერმე უნდა წაიკითხო რომ სიკვდილ სიცოცხლის ტოლობა და რაობა შეიგრძნო. ბოლოს რომ დასძენს: მაგრამ რატომღაც არ მიცემს გული, აღარ იგრძნობა მაჯაში პულსი, მაგრამ რატომღაც არამაქვს სული, მხოლოდ ბილეთი საიქიოსი.

უკვდავებაში თვალგახელილ მერაბ ლატარიას მოაქვს თავი საიქიოს ბილეთის მფლობელად.

რაც ღრმად ეფლობი ამ ახალგაზრდის შემოქმედებაში იმდენად, ახალ-ახალ განზომილებებში იბლანდები. ზოგჯერ იმდენად გიტაცებს გგონია სადღაც ხარ, რომელიღაც სამყაროში და გიჭირს მასში გარკვევაც, იქიდან გამოსვლაც.

თავად მკითხველისთვის მიმინდია ლექსის ,,მატარებლის'' სტრიქონების სიბრძნის ავ-კარგის განსაზღვრა: მატარებელში, სასმელთან მარტო, არავინა მყავს მე გვერდით სანდო. თითქოს პლანეტამ ჩაიცვა ბნელი, თითქოს ვიღაცამ მთვარეს ჰკრა ხელი, მატარებელმა ჩაიცვა ნისლი და ძველ ლიანდაგს მოედო ხავსი, მემანქანე კი ეს მე ვარ მისი, რომელსაც ბედთან ჭიდილი უჭირს. მეც მიმაქანებს დარდებით დამთვრალს, მეც მიმაქანებს ამ ბედის ნადავლს. ამბობს ავტორი სხვადასხვა სტრიქონებში.

როცა ერკვევი ამ ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებაში თითქოს გგონია ერთის კიარა რამდენიმე სხვადასხვა პოეტის შემოქმედებას ეცნობი.

ლექსში: ,,მთვარე, ღამე და წვიმა'', სიყვარულით ეცნობი ამ გრძელი ლამაზი ლექსის დასასრულს. როგორ ხედავს მთვარის ტირილს ავტორი: ღამე, რომელსაც მინათებს მთვარე, მთვარე რომელიც რატომღაც ტირის.

მერაბ ლატარიას ყველა ლექსი საყურადღებოა, მაგრამ გამორჩეულთა შორის გამორჩეულია ლექსი ,,ისევ'' ... ასეთ ლექსს პოეზიაში გამობრძმედილი მრავალი ცნობილი სახე მოაწერდა ხელს.

აი ეს შემოკლებით გადმოცემული ლექსიც ,,ისევ''... ისევ მოვივლი ტაძრებს, ისევ ვიწამებ ღმერთს, ისევ ავანთებ სანთლებს, ისევ ვილოცებ ბევრს, ოთხი დაიწყო ისევ, უნდა მეძინოს ისევ, მე ისევ მახსოვს ისევ, რომ ვლოცულობდი ამ დროს, ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ, ნაბიჯსა ვნანობ ერთს, რომ არ წავედი იქით, ღმერთი რომ მიწვდიდა ხელს.

მერაბ ლატარიას ლექსწერის საკუთარი სტილი და კილო აქვს. ისინი არ ჰგავს არავისას, რაც ხშირად ემართებათ ახალგაზრდა პოეტებს.

მშვენიერება შემოქმედებაში, მშვენიერება გარეგნობაში, ის ხომ შესანიშნავი მსახიობიცაა.

სამწუხაროა ქაღალდი ვერ გადმოსცემს იმ დიქციას, რითაც თავად ავტორი კითხულობს საკუთარ ლექსებს, ათასჯერ მეტი შთაბეჭდილება რჩება მსმენელს. ამ დროს გახსენდება დიდი აკაკი ხორავას, ბატონ ეროსი მანჯგალაძის და მისთანების ხავერდოვანი ხმის ერთად შერწყმა ამ ახალგაზრდა კაცის ხმით ამოსული.

და საერთოდ თავისუფლად შეიძლება ითქვას: დღევანდელი ქართული ანუ ეროვნული პოეზიისთვის ნამდვილი აღმოჩენა და სიმდიდრეა მერაბ ლატარიას თვალშეუდგამი შემოქმედება.

როცა შენს ლექსებს ვკითხულობ
თავი მგონია არაკში,
ხანდაზმულივითა მსჯელობ
ამ ახალგაზრდულ ასაკში.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

ადამიანთა სულიერების უფლებათა დეკლარაცია!

მე-2 ნაწილი.

კაცობრიობა მიბმულია დედამიწაზე, დედამიწა კი ეთაყვანება სიყვარულის ძალას, მარადიული მშვენების საგზურია ეს სამყაროსთვის.

ქალი ნებაყოფილობით იძლევა შემოქმედებას.

ქალის საწყისი წარმოადგენს სიცოცხლის ძალას, ანუ საწყისს. ყოფიერების სათავე აქ არის.

ქალის სიტყვა გადამწყვეტია.

სულიერების ფესვი ქალშია, ამიტომაა დაბადებისას ა-სული იბადება, ანუ მაღალა ასული სული. სულით გაცისკროვნება ხდება, ეს არის სიყვარულში შესვლა, სულიერი ამაღლების ფორმა. ზებუნებრივი ეთიკა, ღვთიური სიწმინდე.

ფორმა შეიცავს სულს და აბსოლიტურ უსასრულო სრულყოფილებას, ჩვენი სულიერი მდგომარეობა, ჩვენი შემოქმედებაა მთავარი, ჩვენივე ფორმის სული დევს გულში. ამიტომ სულის ყვავილის აყვავება გვევალება, ეს მარადიულბის სიმბოლოა და უკვდავებაში შესვლას განაგებს.

ხმა ეძახის იმას რასაც სულიერება ქვია.

ყოველი გონივრული მოქმედება სამარადისოა, მარადიულობის შენაძენი.

სივრცე სავსეა ამ შენაძენებით.

დროა აღმოვაჩინოთ მთავარი, საჭიროა ჩავწვდეთ ბნელ ბრძოლას.

სიტყვით და სუნთქვით უნდა დავტენოთ სხეული, სიხარული დაუძლეველი ძალაა ბედნიერებაში, ჟანგბადი ცეცხლია და სიცოცხლეს უწყობს ხელს.

და ღ მ ე რ თ ი!

როგორ მოვერიოთ საკუთარ თავს?

არ გავაკეთოთ ის რაც გვინდა. წინააღმდეგობის გაწევა უნდა შევძლოთ საკუთარ მოთხოვნილებებთან, სპაზმა უნდა დავამარცხოთ. როგორც კი ამას შევძლებთ, იმ წამსვე ხდება სულიერ ზრდაში გადასვლა.

ზეციური ინფორმაცია გულში აღმოცენდება და სხეულიდან შეიცნობა, მნიშვნელოვანი გარდასახვა ხდება, სულის ზეგავლენა მაღლდება ადამიანში.

ღვთაებრივი ნაყოფი,დაბადება, ა-სულია, ქალიშვილი,.

მიდგომა, გადაწყვეტილება,დათმობა, მოთმენა საშუალებას იძლევა, რომ უზენაესთან კავშირი დავამყაროთ, ანუ მაღალი „მე“-სთან.

სულს აშენებს, მშენებარე ნაკადები, /შინაგანში მიმდინარე ენერგიებია/ აქ სასწაულს ახდენენ, საკუთარი თავის გამოწრთობა მიდის,, შიგნით დიდი ცეცხლია, სხეულში რაც უარყოფითი ენერგიების წვას უწყობს ხელს, მაგრამ სიტყვაა გადამწყვეტი, მას განსაკუთრებული როლი აკისრია ამ შემთხვევაში.

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი!

განსაკუთრებული მიდგომა უწყობს ხელს!

უსასრულობის მოვლენაა ეს, ყველაზე ლამაზი, შეცნობილი, თითქოს და ცისარტყელის ფერში მყოფი, ევოლუციის მწვერვალი, სადაც ბედნიერებას განიცდი.

აქ დიდი სიყვარულია, საკუთარი თავის სიყვარული! ტრანსფორმაცია ხდება, გაბედული ნაბიჯი.საკუთარ თავში ბადებ, საკუთარ თავს,ჩართვა მოვახდინოთ განვითარების მარადიულ სპირალში.

გონება უნარიანია, რომ ჩასწვდეს მაღალ შრეებს.

სულიწმინდა კი მიზანი!

შინაგანი სულიერი ღერძი შენივე კომპასია, უნდა ამოიცნო მიმართულება.

საკუთარი ევოლუციის ცენტრი, სულის მარცვალი.

სულიწმინდის ეპოქა უსასრულობის დინებას შეიცავს, საწყისია ცვლილებების, პიროვნული განვითარების.

სული მიზანია, სიკეთე სიცოცხლის საწყისი.

სულის აღმშენებლობა, ჩაღრმავება, სულის სწორი მიმართულებაა.

აზროვნება განაგებს.

დრო სხივთა სულთა მისწრაფებაა, დრო კი მარადიულობაში გადის.

ევოლუცია მდაბლის მაღლისადმი მორჩილებაა შინაგანში.

მაღლის მორჩილება კი კანონი.

ეს მაღალიც და მდაბალიც კი შენშია.

გაცნობიერებული სულიერი საგანძური ეპოქის ანთებაააა ანუ გაბრწყინება!

ყველაზე ამაღლებული ადგილი სულის გულია! იქიდან გამომდინარეობს,

მირაჟი შეუსაბამობაა სულისათვის, სული უნდა გადავარჩინოთ, ეს ვალია!

სული იტანჯება სხეულში, აუცილებელია შემოქმედებითი ასპარეზი,გული უნდა ჩავრთოთ, ანუ სიყვარული.

სულიერი პრინციპები სიყვარულს ითხოვს,გული აციცკროვნებს, სულის მარცვალის განვითარება არის ჩვენი მიზანი, ა მ ო ც ა ნ ა.

საკუთრ ღვთაებრივ საწყისს ვცეთ პატივი.

სულის განზომილება:-არ ეჭიდავო გულს!

როდესაც სულიერი საკვების უკმარისობაა ,ადამიანის გონება ეგოიზმითაა სავსე.

ადამიანების სულის ზრდა მადლია, მათ მძიმე განსაცდელებს აცილებს, მოვლენების დროს ჩამოყალიბება, მოქმედება, საკუთარი თავის დამორჩილება, სწორი ქვრეტის უნარი ყალიბდება.

სინამდვილესაც ააქვს თავისი სწორი ხმა, გემო.

სულიერი ჰიგიენა მუდმივი პოზიტივია, რადგან ცუდი იზიდავს ცუდს, ამით კი ისჯები.

სული ქურქელია, შესაბამის ხასიათს ატარებს და ფერსაც.აქტიური სინათლის წყარო, ის გამხსნელია და საფუძველი.

სულის საყრდენის გამოცლა არ შეიძლება, ანუ არასოდეს მოვცილდეთ ს ი ყ ვ ა - რ უ ლ ს !

თუ სილამაზისა და სიყვარულის შეგრძნება არ გაგაჩნია ეს ნერვიულ სისტემას ურტყავს, მისი კვება კი სულიწმინდას კლავს.

სულიერი გონება მოვიმარჯოთ!

გარე და შინაგანი გზაა, გზა რომელიც გამარჯვების მომტანია.

სულის ფორმა ითხოვს დედამიწაზე მიღებულ მწარე გამოცდილებას, გამოთალო სამყაროს ქვა ენერგეტიკულად უნდა დაამუშავო, ანუ წიტელი კვერცხი რომ გახდე უნდა მოიხარშო, მაღალ ცეცხლში უნდა გაიარო.

როგორ იწრთობოდა ფოლადი!

კეთილი სული არ იბრძვის.

ის უკვე ფორმაში ზის!

ხელი მზადაა ყველაზე მძიმე ტვირთი ზიდოს.

უხეშობა დაცემაა.

სიცოცხლე ბედნიერებისთვისაა გაჩენილი, მიწას წყალი ეწოდება სიცოცხლისა და ბედნიერების შეგრძნებისათვის.

როდესაც ღმერთმა შექმნა ადამიანი მასში ჩადო დროის გამკლავება, თვითონ უნდა შესძლო ცუდისა და კარგის გამიჯვნა.

ღერძი სულიერების ცოდნით შეხედვაა, ვეზიაროთ განსაცდელს!

ჩვენი სული, როდესაც ის მაღალ განზომილებაშია მაშინ ღმერთის სულთან ერთიანდება.

სულის განზომილებას ააქვს თავისი კანონები, არ შეიძლება ღალატი.

ძილი გვეძლევა ადამიანებს სულის ამაღლებისთვის და ანგელოზებთან საუბრისთვის.

კეთილი ადამიანი სულით მშვიდია, მცირე ადამიანი კი მუდამ აღშფოთებული.

სული აზრის შემომქმედია, მისი განზომილება კი სულიერი შემოქმედების ყველაზე მაღალი ეტაპი.

რჩეულნი ყოველთვის მარტონი მოდიან,საწყისი სულის უსასრულობის იდეას ქმნიან, ფორმით, ძალით და ნებით!

სფინქსი – ამოცანაა. – აზრის ძლევამოსილებას ფლობს.

ფილტვი, – მუდმივი ლტოლვა და მისწრაფებაა.

მისია – ნისიაა, აღბული ვალი.

ტალანტი უნდა გაამრავლო, სიცოცხლე იმართება გულით, სიცოცხლის იერარქია - ღვთაებრივ სულთა განვითარებაა.

ინტელექტის დაბადება დამორჩილებულს გხდის, სულის განზომილება აბსოლიტური შემოქმედებაა, ჩასახვით მისცა ღმერთმა ცოდნის ძალა, რისთისაც იბადება ადამიანი, ის უკვე იძენს იმ ძალას, მიიღოს ცოდნა!

ეს შანსია სხეულის.

ცნობიერებაა რომელიც იზრდება, მაგალითად დაიბადა ბავშვი, მასში სულის ცნობიერებაა, ანგელოზია, სუფთა და სათუთი, კამკამა, აბსოლიტური სიწმინდე სუფევს მასში. სული რომელიც აღწევს ღვთის ცნობიერებას ზრდაში და შეინარჩუნებს ბავშურ სიწმინდეს, ანუ არ გაბინძურდება ცხოვრების ფერხულში ,ეს უნიკალურია!

არ უნდა დავბინძურდეთ ცხოვრებისეული მოვლენებით, ან ზრდას თან მიმართებაში ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანებისაგან, ადამიანში მართვის პულტი სხეულია, სული კი აბსოლიტური ცნობიერება გამტარი სხეულში.

შეიცან თავი შენი!

სამყაროს უსასრულო ენერგიაა.

საწყისი ატომი ღვთის ნაპერწკალია, ის ატარებს ყველაფერს თავის თავში საწყისს!

სინდისი – ეს სუფთა სიტყვაა, ის ერთადერთია, რასაც ვერ დააბინძურებ, გადააბიჯებ, უსასრულობას მართავს.

სიკეთე ყოველთა.

ტანჯვა სულის განზომილების პროცესია, ტკივილი სხეულს აცოცხლებს და აშენებს!

როგორც ჩანასახი აზრიც უცებ ჩნდება, აზრის შედეგი კი მიზანმიმართული აზროვნებაა.

მიზანი კი ევოლუციაა კაცობრიობის!

ღმერთი ატომია, ატომში კი სული და მატერიაა!

აქ სულის განზომილება იწყება, გავაგრძელოთ სიცოცხლის უსასრულობა.

ტანჯვა ორი განზომილებისაა, ფიზიკური და სულიერი, ვალის გადახდა მიდის. მიზნისკენ მიმავალი წინააღმდეგობათა დაძლევა, სხეული არ უნდა მივცეთ მიწას.

შრომით უნდა მივაღწიოთ უკვდავებას,ძლევამოსილებას იძენ. ნებისყოფა უნდა გამოიმუშავო, ის ნატიფი სხეული ხდება და დაუმარცხებელ ნებას იძენს. უნდა შექმნა და ააშენო სხეული, მათხოვრის ხვედრს არ უნდა შეეგუო.

ერთადერთი ატომი კი სულის ატომია, რომელიც შენებას იძლევა., ის სრულყოფილებას ანიჭებს ჩვენს სხეულს, ეს გული და სულია.

ატომი, ელექტრონი, სული და პულსი პლიუს ფსიქიკური ენერგია უკვე დიდი ‘მე’ აა

უდიდესი სულიერი განზომილება, სულიწმინდის ფორმა!

ჩვენს სივრცეში ჩაბუდებულია უსასრულობა, ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ და გავზარდოთ სულიწმინდა. იმდენად უნდა იყო მზად რომ შენივე სულის სახე ღმერთშივე გამოფინო.

სული ჩვენი მფლობელიცაა და მართველიც, მოდგმის უკვდავების კანონს სული იცავს.

ვიფიქროთ საკუთარ ღირსებაზე.

სიწმინდის ეპოქაა დასაწყები, გაცნობიერებული სულიერი საგანძური ეპოქას ანატებს.

ჩვენი არსი: – ვინ ვარ წარმოადგენს მარტო სულიწმინდას, რომელმაც თვისი ფასი იცის.

ყველა სულის გადარჩენა ვალია! ცნობიერება წამოვწიოთ წინ.

მარცვალი რომელიც ვარდება მიწაში უსასრულობაში გადასვლას იძლევა!

კვერცხი არ უნდა გალაყდეს, ანუ უნდა გამოიჩეკოს, თესლი არ უნდა გაფუჭდეს. უნდა გვესმოდეს ყველაფრის ფასი!

ხელოვნება

ნანა სხირტლაძე

მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია „მუდარიის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ჟურნალ „მუდარიას“ მთავარი რედაქტორი

ლამზირა შეყილაძე





REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA


REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 8T

გულიადა სანოძე

ის ბრწყინავდა ყველგან, სცენაზე თუ საზოგადოებაში!

არ ვიცი, დიდ მონატრებას განვიცდი, ჩემი მეგობრების მიმართ, რომლებმაც თითქმის ნელ–ნელა დატოვეს ჩვენი თეატრი და მარადისობაში გადავიდნენ, თუ დიდ პასუხისმგებლობას მათ წინაშე.

თეატრი ჩემთვის უცხო გახდა, რადგან თვალით ვეძებ ჩემს მეგობრებს, მგონია, ოთახის კარი გაიღება და გამოვლენ, ან სადმე ეზოში ჭადრის ძირას სხედან, ან კიდევ მგონია კულისებში არიან, დამინახავენ და მომაძახებენ, – გამარჯობა „კვაღინა“.

დიდი ხანია ეს სახელი უკვე აღარ მესმის ქალბატონი ციცისგან, ამ სახელით მომართვა ჩემთვის უფრო მშობლიური იყო.

აქვე ცენტრში, ბულვარის წინ მეორე სართულზე ცხოვრობდა, ცნობილი მშობლები ჰყავდა: დედა პედაგოგი, მამა ექიმი.

ქალბატონი ციცი მაღალი კულტურით გამოირჩეოდა: ულამაზესი იყო, ქერა თმებით, გვერდზე ჩამოყრილი კულულებით, თლილი თითებით, თეთრი მოვლილი სახის კანით, ოდნავ მსხვილი ტუჩებით, რომელსაც ყოველთვის ალუბლისფერი დაჰკრავდა. ის ცხოვრებაში პომადას არ ხმარობდა, არც გრიმებს, ეს მისი ბუნებრივი ფერი იყო. ნაზი, ძალიან სათუთი ერთი შეხედვით, მაგრამ შინაგანად ის ძლიერი იყო. მისაბაძი ყველა ქალისთვის, როგორც დედა და მეუღლე. ჩაცმითაც გამორჩეული, განსაკუთრებით ორი ფერი უყვარდა: მწვანე და ყვითელი, დამამახსოვრდა ამ ორი ფერის გიპიურის კაბები, რომელსაც ის იცვამდა, საოცრად უხდებოდა.

მცხუნვარე მზეს ჩინური ქოლგით იჩრდილავდა. მაშინ 70-იან წლებში სწორედ ჩინური ქოლგები იყო მოდაში. როცა ის ქუჩაში ჩაივლიდა, არ შეიძლებოდა, ნებისმიერი გამვლელი არ შეჩერებულიყო და ქალბატონი ციცისთვის უკან არ მოეხედა.

ის ბრწყინავდა ყველგან, სცენაზე თუ საზოგადოებაში. გარდა მსახიობობისა ქალბატონი ციცი უამრავი საქმით იყო დატვირთული თეატრში. მარჯვენა ხელი იყო დირექტორისა და რეჟისორის. მას ევალებოდა რეპეტიციის დაწყებამდე, სცენაზე ყველაფერი მოწესრიგებული ყოფილიყო, მსახიობებიდან დაწყებული ნებისმიერი რეკვიზიტით დამთავრებული. ის გახლდათ რეჟისორის ასისტენტი, რაც კარგად გამოსდიოდა.

1968–69 წელს რეჟისორ **მარკი ბახტაძის** მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „ქრისტინე“ დიდი ოვაციები გამოიწვია. მონაწილეობდნენ განუმეორებელი მსახიობები: **ვერა ქვათელაძე, მარიამ ჩაჩანიძე, გურამ უგულავა, დურმიშხან მენაბდე, რევაზ შამათავა** და თქვენი მონამორჩილი **გულიადა სანოძე.** აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პიესაში ქალბატონი ციცის მეუღლე ბატონი **მურმან კვარაცხელია** მონაწილეობდა. ის მოქეიფე, გაბღენძილ ბატონს თამაშობდა, რაც მის გარეგნობას ძალიან უხდებოდა. მაშინ ვიდეო არ იყო, მხოლოდ ფოტოები შემოგვრჩა.

ვუყურებ ამ გაყვითლებულ ფოტოებს და მეხსიერებაში აღვიდგინე მაშინდელი სპექტაკლის სცენები...თხილის წკნელით შემოღობილი ეზო თავისი გადასასვლელი ალაგით. პატარა ქოხი, შუა ცეცხლი, იქვე აკვანი მტირალა ჩვილით. დაბალ ხის სამფეხა სკამზე ზის ულამაზესი ქალი, გრძელი დიდი ნაწნავით, ჩითის ჭრელი კაბით, თავზე წაკრული თავსაფრით. ახლაც ყურებში ჩამესმის, როგორ ნაღვლიანად უმღერის შვილს იავნანას. „ქრისტინე“, ეს მოთხრობა ეკუთვნის ეგ. ნინოშვილს, ხოლო პიესა ირათელს, რომელიც ტრაგიკულ ამბებზეა აგებული.

ერთ სოფელში აზნაური შეაცდენს ქალს, რომელსაც ჰპირდება ცოლობას, შემდეგ კი მოატყუებს. სწორედ ამ მთავარ გმირს თამაშობდა ქალბატონი ციცი. უარყოფილი სოფლისგან, ოჯახისგან, ახლაც თვალწუინ მიდგას მისი განაწამები სახე, აფორიაქებული სული, ღვარად ჩამოდენილი ცრემლები. მოხუცებულ მამაზე ჩუმად დატოვებული ჩვილი, თვითონ კი გაპარული ბედის საძებნელად. შემდეგ ვხედავ ქალაქში გაუბედურებულს, ჩამოძენძილი სამოსით, სასომიხდილი ლუკმა-პურს, რომ მათხოვრობს,

დღესაც ვერაფრით ვივიწყებთ მის გატანჯულ სახეს და ტანში მზარავს ეს სცენები. ქალბატონი ციცი „ქრისტინეს“ სამყაროს ისე გადმოსცემდა, რომ დამიჯერეთ, ვინც კი ერთხელ ნახა ეს სპექტაკლი, არასდროს დაავიწყდება.

მას შემდეგ 50 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ქალბატონი ციცის მოძრაობა, მისი მოქმედება სცენაზე, შეწუხებული სახე, ხელებგაწვდილი, როგორ ითხოვს დახმარებას, ჩემს მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება, სწორედ ეს არის მსახიობის დიდი გამარჯვება.

რა წაშლის მეხსიერებაში **ილია ქავქავაძის** „განდეგილს“, სადაც ქალბატონი ციცი მწყემსი ქალის როლს თამაშობდა. ეს პიესა დაახლოებით 1967 წელს დაიდგა. განდეგილს **გურამ უგულავა** თამაშობდა. ახლაც ვხედავ სცენის სიღმიდან ჯაჭვის მეშვეობით ამომავალ ულამაზეს ქალს, რომელსაც უამინდოდა დაესწრო და გზა აებნა. ამის გადმოსცემა შეუძლებელია, როგორ ასხივებდა მისი სილამაზე და სინაზე სცენაზე.

გინახავთ ქალბატონი ციცის შესრულებული ცეკვა „ესპანური“? გრძელი წითელი ფირფიშებიანი კაბა, შავი წვრილი კანტით შემოვლებული, ქერა თმებში მიმაგრებული წითელი ვარდი. მესმის მისი ფეხების რითმული ხმა, ვხედავ საოცარ მოძრაობებს, გვერდს **ზურაბ აბზიანიძე** უმშვენებს ესპანურ ტანსაცმელში გამოწყობილი. დაუვიწყარია სუნთქვაშეკრული მაყურებელი და ძლიერი ტაში „ბრავოს ძახილით“. ტაშის გრიალი დიდხანს არ წყდებოდა, სცენაზე კი მერამდენედ მადლობის სათქმელად გამოსული წყვილი ქ–ნი ციცი და ბ–ნი **ზურაბ აბზიანიძე.**

1970–71 წლებში დაიდგა სპექტაკლი **შალვა რადიანის** „ იდეა–გაიმარჯვებს“, დამდგმელი რეჟისორი **სიკო ვაჩნაძე,** შავი ბარხატის კაბაშიუ გამოწყობილი თავადის ქალბატონი. თავი ოდნავ ზევით აწეული, მოზომილი ნაბიჯებით შემოდის სცენაზე. მზერას დარბაზს მოავლებს. მაყურებლის სამარისებული სიჩუმე და უეცრად ტაშის გრიალი, საყვარელი მსახიობის გამოჩენას რომ ახლავს თან. სადაც ციცი თავადის ქალის როლს თამაშობს... საერთოდ ქალბატონ ციცისა და ბატონ რეზო შამათავას გამოჩენას სცენაზე მაყურებელი ყოველთვის დიდი ოვაციით ხვდებოდა. ისინი ალამაზებდნენ მაშინდელ ყოფას, თეატრს და შეუძლებელია მათი დავიწყება!

მინდა გითხრათ, რომ მე განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობოდა, რადგან ასაკით ყველაზე პატარა ვიყავი...

თეატრში დაიდგა **სიკო ვაჩნაძის** „შეწყვეტილი დიალოგი“, დამდგმელი რეჟისორი **სიკო ვაჩნაძე.** ქალაქში მცხოვრები კუდაბზიკა ქალი, საოცარი მანერებით, ლურჯი ზოლიანი კაბა–კოსტუმი ეცვა მაღალი ქუსლიანი ფეხსაცმელებით, მისი მიხვრა–მოხვრა ჟესტიკულაცია საოცარ განწყობას იწვევდა მაყურებელში.

დრამატურგ **გ. ბათიაშვილის** პიესა „ლალი, სიყვარული და სხვები“, დამდგმელი რეჟისორი **ტარიელ ხაჟალია,** სადაც ქალბატონი ციცი სასტიკ, გულცივ ქალს თამაშობდა, სახელად თინას, ქალს, რომელიც ოჯახურ ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებდა. ის რძლად არ ირებს და სახლიდან აგდებს სოციალურად დაბლა მყოფ ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალს. ეს სპექტაკლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვისაც, რადგან მთავარ გმირს „ლალის“ მე ვასრულებდი. ქ–ნი ციცი ისე თამაშობდა, რომ დარბაზში გაისმოდა მაყურებლის შეძახილები: ამას ნუ იზამ, ამას ნუ აკეთებთ, ეს იყო მსახიობის ნამდვილი გამარჯვება. ეს სპექტაკლი საქართვფელოს ბევრ ქალაქში იქნა ნაჩვენები, მათ შორის თბილისში, და ყველას დიდი წარმატება ჰქონდა, ამას მოწმობდა მაშინდელი გაზეთები, აღფრთოვანებული იყო დრამატურგი გურამ ბათიაშვილი.

70-იან 80-იან წლებში, ხონის სახალხო თეატრი საქართველოს მასშტაბით ბრწყინავდა, რამდენიმე გასტროლი გვქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ქალბატონი ციცი ერთ–ერთი გამორჩეული სახე იყო, მან დიდი გამარჯვება მოუტანა ჩვენს რაიონს და ჩვენს დასს თავისი უამრავი ჯილდოებით და წარმატებებით. სამაგალითო ქალი, შესანიშნავი მსახიობი, ნამდვილი ვარსკვლავი ყველგან ბრწყინავდა სცენაზე თუ საზოგადოებაში!

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-41-ებში
და ანთოლოგიის მე-5-11 ტომებში)

ბაზალეთი

...ირანული ჯარის დამარცხებებმა შაჰი საგონებელში ჩააგდო, მან ჩვეული ხერხით მოსინჯა, ზოგიერთ ქართველ დიდებულთან საზავო შეთანხმებით ძალები მოეკრიბა და ერთხელ კიდევ გადამწყვეტი შეტევით საბოლოოდ დაემორჩილებინა აღმოსავლეთ საქართველო, მაგრამ სააკაძე ამის საშუალებას არ აძლევდა.

გაოგნებულმა შაჰმა გააცნობიერა, რომ მისი მცდელობა შედეგს აღარ იძლეოდა და მისი სანაქებო არმიები თხელდებოდნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად ალავერდი-ხანის შვილს, გასპარსელებულ დაუთ-ხან უნდილაძეს დაავალა, წასულიყო საქართველოში და მოლაპარაკება გაემართა თეიმურაზთან, თანაც გადაეცა მისი ხელით დაწერილი დაპირებაც, რომ ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადებდა.

შაჰ-აბასმა კარგად იცოდა აღმოსავლეთ გურჯისტანის დიდგვაროვანთა ნაწილის დამოკიდებულება სააკაძესთან ჯერ კიდევ 1612 წლიდან, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებიდან, რაშიც, შეიძლება ვთქვათ, მისი ხელიც ერია. ღვთის შეწევნით, გიორგი გადარჩა. ახლაც ბოღმა ახრჩობდა და ბუნებრივია, ეცდებოდა თეიმურაზისა და სააკაძის დაპირისპირებით ძალა მოეკრიბა, გაძლიერებულიყო და შემდგომ საძულველი გურჯისათვის სამაგიერო გადაეხადა.

იმავე 1626 წელს დაუთ-ხანი თბილისში ჩამოვიდა და თეიმურაზს შაჰის პირობები შესთავაზა: ირანული არმია შეწყვეტდა საომარ მოქმედებებს (მეტი გზაც აღარ ჰქონდათ), თავის მხრივ ქართველ მეომრებსაც უნდა დაენებებინათ თავი სპარსთა დევნისთვის, თვითონ კი თავისი აღმზრდელის მოსაწონად ირანული ორიენტაცია არ დაეკარგა.

შაჰის კიდევ ერთი ელჩის ჩამოსვლის შემდეგ ქართველმა დიდებულებმა იოთამ ამილახვრის მეთაურობით მეორეჯერ მოსთხოვეს სააკაძეს შეეწყვიტა ირანელებთან ბრძოლა, თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოურავი მათს აზრს არ გაიზიარებდა (ცხადია, მათგან ეს ნაბიჯი ფორმალურ შინაარსს ატარებდა).

ეს იმ დროს, როცა ხერხემალში მორღვეულია ირანული ჯარი, აქა-იქღა შეყუჟულან და გარეთ გამოხედვისაც ეშინიათ, სააკაძე კი ფონს გასულია და ქვეყანაც შვებით ამოსუნთქვას ელის. იმის მაგიერ, ერთობლივი ძალით, მხარში ამოუდგნენ მოურავს, დაზავებას სთავაზობენ! თითქოს მტერი მარტო სააკაძის წილ მიწაწყალს დაანგრევს, მათი წილი კი ხელშეუხებელი დარჩება!

ულტიმატუმმა სააკაძე დიდად აღაშფოთა, ზავზე დათანხმების მსურველნი უარით გაისტუმრა. მათ მალევე აცნობეს ირანის კარს სააკაძისა და მის მომხრე ქედმოუხრელთა პოზიცია.

შაჰისაგან გადაბირებულმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ სააკაძის მიზანი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო, ამიტომ შეიმუშავეს გეგმა, სააკაძისთვის ჯერ ჩრდილი მიეყენებინათ, შემდეგ მოეკლათ კიდეც.

უტყუარი ფაქტია, რომ სწორედ თეიმურაზისა და სააკაძის ცხინვალში ერთად ყოფნის დროს აპირებდნენ გიორგის მოკვლას. მან პირდაპირ დაუსვა მეფეს შეკითხვა, რატომო, მან კი ღვარძლიანად შეუთვალა: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისი (ლუარსაბის) სისხლის მღვრელიო“. საიდან სადაო, წმიდაო საბაო!

ამის თქმა სიბრიყვეა თეიმურაზის მხრიდან, რომელსაც კარგად უნდა ხსომებოდა, როგორ აღმოჩნდა ირანში ლუარსაბი.

ცნობილია, როდესაც ადამიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდება და მისი ამომთელება-განმუხტვა შეუძლებელია, იარაღმა და სისხლმა უნდა გადაწყვიტოს.

ამ ბოლო ნაბიჯებამდე ბრალდების წაყენების წამძღვარებით ხდება უკიდურესი დაძაბუ-

ლობის მიზეზთა გარკვევა; ერთი მხარე თავისი კუთხით ამყარებს პოზიციას, თუ რის გამო მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება – ხომ უნდა წამოაყენონ რაღაც ისეთი, რაც ხალხის თვალში მეტი დაჯერების თუ არა, დაეჭვების სარჩულად მაინც ჩაეფინება საპირისპირო მხარის დაკნინების მიზეზის არსს.

იმ დროისთვისაც ასე უნდა ყოფილიყო, როცა თეიმურაზისა და ზ. ერისთავის მხარემ სიკვდილი გადაუწყვიტა სააკაძეს, ლუარსაბის სისხლი წაუმძღვარეს მიზეზად წინ.

„მთელმა ქვეყანამ და მთელმა ქართველმა ერმა იცოდა, რაც ლუარსაბ მეფე ხელში ჩაუვარდა შაჰ-აბასს შადიმან ბარათაშვილის მცდელობით, მისი ბედიც გადაწყვეტილი იყო. თავის ნებისა და სურვილის გარეშე შაჰი არა საქმეს არ აღასრულებდა.

შაჰი არ იყო დამყოლი კაცი, რომ სააკაძისთვის, ან სხვა ვინმეს მოსაზრებას აჰყოლოდა და ისეთი რამ მოემოქმედებინა, რაც მას არ სურდა“ (გივი ჯამბურია).

თეიმურაზი იმიტომაც იქნებოდა კიდევ დაბოღმილი, რომ ქვეყნისა და სააკაძის მტრებმა ამბავი მიუტანეს, გიორგი შენში შესაფერის თვისებებს ვერ ხედავს, ამიტომ გაერთიანებული საქართველოს მეფეს დასავლეთ საქართველოში ეძებსო.

სააკაძისაგან წუთისოფელგამწარებული, სისხლდადენილი, არაქათგამოცლილი, დამშეული, დაცოტავებული ირანული ჯარის ნარჩენები ქართლს ვეღარაფერს დააკლებდნენ, ისევ ხიზამბარელმა მიამბო ხალხის მეხსიერებაში შემონახული ამბავი:

„ირანული ჯარი ძლიერ დამშეული იყო, ერთი ირანული ატლასის მოსასხამი ერთ კუტ პურზე იცვლებოდაო“... ისე გასჭირვებიათ ყიზილბაშებს, ქართლის აყრა კი არა, საკუთარი კუჭის კედლების ხმაური ესმოდათ.

ირანთან ამ ეტაპზე სამშვიდობო ურთიერთობა ქართველ დიდებულთათვის გარკვეულ ინტერესებს მოიცავდა. განსაკუთრებით ზ. ერისთავისთვის, რომელიც შაჰისაგან არაგვის საერისთავოს პატრონობით იყო დავალებული. მართალია, მან დიდი მონაწილეობა მიიღო მარტყოფში შაჰის ჯარების განადგურებაში, მაგრამ ასეთი ნაბიჯი მოურავმა გადაადგმევინა; ზურაბს საქართველოში შემოსვლამდე არც უფიქრია შაჰის ღალატი, აკი 1624 წლის ბოლოს განსაკუთრებული დავალებით გაიწვია შაჰმა ის და მოურავიც (ამაზე ზემოთ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ).

მაშასადამე, შაჰი ფიქრობს, რომ არა დაუდგრომელი მოურავ-ხანი, ზურაბი ჩემდამი ღალატს არც მოიფიქრებდა, ჩემგან იყო ხელდასხმული არაგვის ერისთავად და ახლა, როცა მე იგი ასე ძალიან მჭირდება, შევუთვლი დაუთ-ხანის პირით და შევახსენებ ჩემგან გაწეულ ამაგს, რომ დიდი „ალაჰის ჩრდილი“, შაჰ-აბასი, ყველაფრის მპატიებელია და აღვადგინოთ ჩვეული ერთმანეთისადმი ძველი ერთგულებაო.

თავად ზ. ერისთავს დიდად არა ხიბლავდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეა; მისთვის, როგორც უმეტესი თავადებისთვის, მიუღებელი იყო იმ მოტივით, რომ მათ სათავადოებში ავტონომიური უფლების შეზღუდვის საშიშროება დაუდგებოდათ. ამიტომ განიზრახეს სააკაძის თავიდან მოცილება. ზ. ერისთავი მათ შორის პირველი იყო; იგი, ბუნებით უზომოდ ხარბი, სააკაძისგან აღარაფერ სიკეთეს მოელოდა. მეორე მხრივ, თეიმურაზის სიძეა, სამეფო კართან დამოყვრებული და არჩევანიც გააკეთა.

თეიმურაზს რაც შეეხება, მასაც აქვს „ირანის მზისთვის“ მოსაბოდიშებელი; შაჰი თავისთან იწვევდა, რომ სამეზობლო კავშირები უფრო მტკიცედ შეეკრათ, ის კი გაურბოდა „მამასა“ და „აღმზრდელს.“ მიზეზი, რის გამოც აღზრდილი აღმზრდელს არ ემორჩილებოდა, იყო ირანელთა ჯარისაგან თეიმურაზის სამეფოს განადგურება, მისი დედისა და შვილების მოწამებრივი აღსასრული.

... „რაც შეეხება მათი მოკვდინების მიზეზს, ეს მე მხოლოდ დიდი ალაჰის შთაგონებით აღვასრულე, იგივე ალაჰის შთაგონებით ვმართავ ირანის სახელმწიფოს და დაუთ-ხანის თქვენთან ხლებით და ჩემი დანაბარების გადმოცემით, თქვენი დედის ქეთევანის, შვილების ალექსანდრეს და ლევანის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას ვიზიარებო, – იუწყებოდა შაჰი, – და რადგან, შენ, თეიმურაზ, ჩემი აღზრდილი ხარ და ჩემივე ხელით დასმული კახეთის სამეფო ტახტზე, მე დღესაც მაქვს სურვილი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო გვირგვინი შენ გედგას თავზე, ამისთვის მტკიცედ უნდა შევიკრათ და მოურავ-ხანს, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, თვითნებობით თქვენც გაღიზიანებთ, ერთობლივად ბოლო მოვუღოთო.“

შაჰმა კარგად იცოდა, რომ მარტყოფის ომში თეიმურაზი არ მონაწილეობდა, ამდენად, ეს მოლაპარაკება ორივე მათგანის მიზნებისთვის

სასურველი უნდა ყოფილიყო, რასაც შედეგად გიორგი სააკაძის ქართლ-კახეთის სამეფო საქმეებიდან ჩამოცილება ან ლიკვიდაცია უნდა მოჰყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი შაჰის კარზე ირანული იდეოლოგიით იზრდებოდა, აბასი არ ენდობოდა, რადგან თვალი მუდამ რუსეთისკენ ეჭირა, მისგან მფარველობას ელოდა და ამ მიზეზით კახეთი ამოწყვეტა-განადგურების პირას დადგა.

თეიმურაზი და ზურაბ ერისთავი სააკაძისაგან ირანისათვის მიყენებული ზარალის ფონზე შედარებით ადვილად დასაყოლიებელ პიროვნებებადაც კი ჩანან შაჰის თვალში.

დაუთ-ხანისა და თეიმურაზის თბილისში შეხვედრის შედეგი სააკაძის მხარესთან რადიკალური დაპირისპირების გადაწყვეტილება იყო.

სინამდვილის უკეთ წარმოსაჩენად უნდა მოიჩხრიკოს ყველა ნიუანსი იმ ურთულეს დროსა და ვითარებაში, როდესაც პიროვნება ხშირად გამოუვალ რთულ სიტუაციაში ექცევა და არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება უხდება; ადამიანი არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი კუთხიდან უნდა დავინახოთ, რომ რაიმე არ გამოგვრჩეს და დიდი პიროვნების შეფასებაში შეცდომა არ მოგვივიდეს (ჩემი მოსაზრებით, ადამიანის ნაღვაწი მაინც ნამოქმედარით, შედეგებით იზომება).

მაშინდელი ლაბირინთიდან მაინც აშკარად იკვეთება, რომ შაჰისა და ირანისთვის სააკაძე მარტყოფამდე სრული ნდობით აღჭურვილი გურჯია და ამიტომაც ყორჩიხა-ხანთან ერთად გამოგზავნეს საქართველოში; მარტყოფის შემდეგ კი იგი საძულველი, ბედუკულმართი, ურგები, ირანის ჯარების გამანადგურებელი უნდო მოურავ-ხანია, რომელიც ირანისა და შაჰის მიმართ დათმობაზე არასოდეს წავიდოდა. მათ 12 წლიანი ურთიერთობით იმდენად შეიცნეს ერთმანეთი, ამაში შაჰიც მტკიცედ იყო დარწმუნებული, მოურავ-ხანისთვის სიკვდილით სამაგიეროს გადახდის გარდა სხვა წადილი აღარ გაუჩნდებოდა.

გიორგი სააკაძემ შაჰ-აბასთან საჭადრაკო დაფაზე 12 წლიანი თამაში სუფთად, შამათით მოიგო.

ბაზალეთის ომმა ფარდა ახადა ორივე მხარის ინტერესებს, გაირკვა თითოეული მონაწილის მიზანი; სააკაძის გამარჯვების შემთხვევაში ერთიანდებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. სააკაძისა და პროგრესულად მოაზროვნეთა აზრით, თეიმურაზ მეფე ვერ შეძლებდა ასეთი საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვას, ამიტომ მათ არჩიეს ერთიანი საქართველოს ტახტზე იმერეთის მეფის გიორგის შვილი ალექსანდრე დაესვათ. ეს ჭეშმარიტად პატრიოტული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მიუღებელი თეიმურაზისა და მისი მომხრე თავადებისთვის. თეიმურაზის გაღიზიანების მიზეზიც ნათელია.

სააკაძეს რომ მარტყოფისა და მარაბდის ომების შემდეგ არ გაეწია ანგარიში სამეფო წესწყობილებისთვის, თეიმურაზისთვის ქართლ-კახეთის ტახტის დაკავება არ შეეთავაზებინა და პირადი მოსაზრებით ქართველი თავადებისთვის თავს მოეხვია ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის ძებნის იდეა, ასეთ შემთხვევაში მისი საქციელი აშკარა თვითნებობა იქნებოდა.

ამასთან ნდობა და თანადგომა ერთია, მისი გამართლება – მეორე. სწორედ მეფობის ჭეშმარიტი მოვალეობის ვერშესრულებამ განაპირობა სააკაძისაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში სამეფო კანდიდატურის ძებნა. სააკაძე თავისი ინტერესებისთვის არასოდეს გაირჯებოდა, მისი გათვლები სწორი აზრის მიღწევამდე, ხანგრძლივ დროში ყალიბდებოდა. სააკაძე არ გაქცევია ტრადიციული სამეფო ცენტრალური ხელისუფლების წეს-წყობას და ორჯერ მოიწვია ტახტზე თეიმურაზი. მარაბდის ომის წინ თეიმურაზმა ვერ შეაფასა და დააფასა მარტყოფის ავჯანყების სულისჩამდგმელი სააკაძის სტრატეგიული ნიჭი. გიორგის, ცხადია, ეწყინა და უნდა ითქვას, კიდევ უფრო ცუდად ენიშნა მარაბდის ომში მეფის საბრძოლო გეგმის ზედაპირულობა. მას რომ საღად დაენახა მარტყოფის ომის გმირის მნიშვნელობა, გამოეჩინა გონიერი ნება და სარდლობა დაეთმო სააკაძისთვის, არც 9 ათასი კაცი გაწყდებოდა, მარაბდის ომსაც მოვიგებდით და არც ბაზალეთი მოხდებოდა.

ცხადია, მნიშვნელოვანი საქმეების მოქმედ სააკაძეს სიტყვაც ეთქმოდა, მაგრამ თეიმურაზი და სააკაძე, სამწუხაროდ, ერთმანეთის მიმართ უსმინარნი გამხდარიყვნენ და არც ვინმე გონიერი მრჩეველი გამოჩნდა იმ გართულებულ მდგომარეობაში, რომ ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მათი შერიგება მოეხდინა.

გიორგი სააკაძის აზრს იზიარებდნენ ბაზალეთამდე და ბაზალეთის შემდეგაც ქაიხოსრო მუხრანბატონი, იესე ქსნის ერისთავი. ზაზა ციციშვილი, ბაადურ ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი,

გერმანოზ ბარათაშველი, დომენტი ავალიშვილი, გიორგი ფავლენიშვილი, იმერეთის მეფე დიდებულები, სამცხის თავადები მანუჩარ ათაბაგი, თანუნა დიასამიძე, ელია დიასამიძე, ელიზბარ და ბეჟან თაქთირიძენი, როსტომ შალიკაშვილი.

სააკაძის აზრით, თეიმურაზმა აჩვენა, რომ მას არ შეეძლო ქვეყნის სამართლიანად და ობიექტურად მართვა, არ იცავდა ხალხის ინტერესებს, ადვილად უჯერებდა სხვებს, არ იყო შორსმჭვრეტელი...

ბაზალეთის ომმა გამოამჟღავნა ქვეყნის მაშინდელი დაყოფა, სხვადასხვა ორიენტირები, ამ ომში მთავარი მხარეთა სუბიექტური მისწრაფებები და მონაწილეთა პიროვნული დაპირისპირება და შეუთავსებლობა იყო.

თითოეულ მხარეს, გარდა სურვილისა, თავისი მყარი პოზიციაც ამაგრებდა.

გიორგი სააკაძემ ყველაფერი გააკეთა, თავის მტრებთან შერიგებისა და შვილის გაწირვის ჩათვლით, რომ ქვეყნისთვის სპარსეთის ბატონობა და აყრა-გადასახლება აეცილებინა. გამოიჩინა დიდი შორსმჭვრეტელობა, მოთმინება, დიპლომატია, არაადამიანური გამძლეობა, უებრო მხედრული ოსტატობა და სტრატეგიული ნიჭიერება, – მცირე ქართული ჯარით, მინიმალური მსხვერპლით ბევრად მეტ მტერს ამარცხებდა, – მიაღწია იმას, რომ ქართულ მიწას მოაცილა და გაანადგურა 70000 ირანელი ჯარისკაცი, ორჯერ აიყვანა ტახტზე კანონიერი მეფე და ყველაფერს აკეთებდა საქართველოს გაერთიანებისთვის. ამდენად, მას ქვეყნისთვის დიდი ამაგი და საქმე ჰქონდა გაწეული და სიტყვაც ეთქმოდა.

საპირისპირო მხარეს, თეიმურაზს, ზ. ერისთავსა და სხვებს მხოლოდ პირადი მერკანტილური ინტერესები ამოძრავებდათ. მათთვის ქვეყანა იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც მეტს გამორჩებოდნენ.

უამრავი ომის მონაწილე და მომგებ სააკაძეს არსად ისეთი განსაცდელი და გასაჭირი არ დასდგომია, როგორც ბაზალეთის ომში, სადაც ქვეყნის დასაცავად კი არ იბრძოდა, გუშინდელი მომხრე თანამოძმეების წინააღმდეგ მოუხდა სავალალო საომარ პოზიციაზე დგომა.

აშკარაა, გულდათუთქულია სააკაძე, წყალში ეყრებოდა, რის გამოც იბრძოლა, არ დაზოგა არც თავისი და არც თანამებრძოლთა ძალები, გაუხარელი, ბევრისთვის გამარჯვების სიტკბოშეუგრძნობი სიცოცხლე. ეცოდებოდა გვერდში მდგომი ძალდაუზოგავი გმირი მეგობრები, რომლებიც ყიზილბაშური სახადისაგან ქვეყნის განთავისუფლებას ვერ მოესწრნენ; ებრალებოდა ის თანამებრძო-ლებიც, ერთნაირი სულისკვეთებით რომ უტევდნენ მტერს, ახლა კი მის წინააღმდეგ ხმლები აულესავთ...

ძნელი გამხდარიყო გიორგი სააკაძისთვის ბაზალეთის ომში მთელი შემართებით ბრძოლა თავისსავე სისხლთან და მოდგმასთან. იგი ყოველთვის ცდილობდა დაეზოგა ქართული სასიცოცხლო ენერგია, მით უფრო, სიმრავლითაც არასდროს გამოვირჩეოდით, მცირე დანაკარგით აღწევდა გამარჯვებებს.

ასეთი კაცი ზრუნვით, თან კრიტიკულად ადევნებს თვალს და აფასებს თითოეული ქართველის, მოქალაქის, მეომრის ნამოქმედარსა და ნაღვაწს. მით უმეტეს, როცა მეფეზე, მისი მეფური მისიის შესრულებაზეა საუბარი და ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას...

სააკაძეს შაჰ-აბასის ზეობის დროს მოუწია ირანში ყოფნა. იგი ხედავდა, როგორი ენერგიით ცდილობდა ირანი მეზობელ ქვეყნებზე მნიშვნელოვან, აღმატებულ სახელმწიფოდ ქცეულიყო. საამისოდ შაჰი არაფერს ერიდებოდა, თუნდაც დამპყრობლურ ომებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დიპლომატიასა და ირანის აღმშენებლობაზე. ისტორიულადაც ცნობილია შაჰ-აბას I-ლის დამსახურება და ღვაწლი ირანის მიმართ და ისეთ კაცს, როგორიც სააკაძე იყო, არცაა გასაკვირი, ეოცნება საქართველოს მსგავსად და კიდევ მეტად აყვავებაზე. ხშირად წარმოუდგებოდა ხოლმე თავისი ქვეყანა, ღირსეული მეფე-პატრონისგან მოვლილ-ნაპატრონები.

ასეთი კაცი მეფის მოქმედებას, სტრატეგიასა და თადარიგიანობას, ავსა და კარგს ზერელედ და პირობითად ვერ შეაფასებდა.

ვფიქრობ, სააკაძე პირადი „მე“-ს მდგომარეობიდან არასოდეს გამოდიოდა. ორჯერ სასიკვდილოდ გამეტების, შურის, ღვარძლისა და ცილისწამების მიუხედავად, მართლაც ბევრი მოითმინა და დიდი სულგრძელობაც გამოიჩინა. ხაზი უნდა გაესვას, რომ ითმენდა და შემრიგებლურ ხელს უწვდიდა თავის მტრებს მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს ხსნისთვის ერთად დგომა, ქართველი ხალხის ერთსულოვნება იყო საჭირო, სამეფოსა და ხალხის პატრონობის საქმე – გასარკვევი და დასამთავრებელი და ღირსეულ მოღვაწეს ელოდა.

პირადული და საქვეყნო ინტერესი ისე იყო შენიღბული და ერთმანეთში გადახლართული,

არსებულ მოვლენებში ჩაუხედავ ხალხს უჭირდა ძირითად არსში გარკვევა.

თეიმურაზისა და მის მომხრეთა მიზანიც, დაუთ-ხანთან შეხვედრიდან გამომდინარე, უკვე თეიმურაზის ქართლ-კახეთის მეფედ დასმა გამხდარიყო.

კახეთის მეფე იყო და იქნებოდა თეიმურაზი, მართებულად ეჭირა კახეთის ტახტი და კახეთისა და ქართლის დიდებულებს ამ მხრივ არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ. მთავრი აქ ქართლი იყო ან გაერთიანებული საქართველო და მისი მომავალი მესაჭე მეფე გვირგვინოსანი.

ბაზალეთის მოვლენების განხილვისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ მეფის გონებაში ქვეცნობიერად მოქმედებდა საკუთრების განცდა: მისი მეუღლე ხორეშანი და იყო ქართლის მეფის ლუარსაბ მეორისა, დედა კი ასული ქართლის დიდი თავადის აშოთან მუხრანბატონისა.

თუ საკითხს ამ კუთხით განვიხილავთ, აღარ უნდა გვაკვირვებდეს, რომ თეიმურაზს ქართლიც თავის სამფლობელოდ მიაჩნდა. ალბათ ამიტომაც დაასაჩუქრა თავისი სიძე ზურაბ არაგვის ერისთავი თავისი პაპის, აშოთანის მიწა-მამულებით; მისი ასეთი მოქმედება მიუღებელი გახდა გ.სააკაძისა და მისი მომხრეებისათვის, რამაც განაპირობა, სხვაგან ეძებნათ ერთიანი საქართველოს მეფე.

ადრე ვთქვით და ახლაც აღვნიშნავთ, რომ ბაზალეთის ომის მიზეზი აიხსნება ორი საპირისპირო მხარის სურვილებით. ორი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ფაქტიურად, ბაზალეთის ომი პროვოკაციული ომი იყო, რაც შაჰ-აბასმა ქართველების დაპირისპირებით გამოიწვია.

1. გიორგი სააკაძისა და მის მომხრეთა მიზანი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მის სათავეში მხოლოდ ღირსეული და მტკიცე მეფის მოყვანა იყო;

2. თეიმურაზ I-ლსა და მის მომხრეებს ქართლ-კახეთის ტახტის შენარჩუნება უნდოდათ.

სააკაძეს ოპონენტები საყვედურობდნენ იმასაც, რომ თვითნებურად მოქმედებდა და სამოკავშირეო ურთიერთობებს აბამდა ოსმალეთთან, თავად კი სიამოვნებით თანხმდებოდნენ პირობებს, რაც იმჟამად საქართველოსთვის ბევრად მეტი უბედურება იყო. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თეიმურაზი იმყოფებოდა ოსმალეთში იგივე სამოკავშირეო გეგმით და ქართული ჯარით იბრძოდა ირანის წინააღმდეგ, თანაც ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა რუსეთთან საერთო ენის გამონახვას.

ქართველების დაპირისპირებაში, მათი ინტერესების შეუთავსებლობის გარდა, დიდია შაჰის „დამსახურებაც“. მას ერჩია ქართლ-კახეთის ტახტზე ისევ თეიმურაზი ყოფილიყო მისი მორჩილი დიდებულებით, ანუ ქართლ-კახეთი ისევ ირანის გავლენის ქვეშ დარჩენილიყო, ამიტომ გამოგზავნა თბილისში დაუთ-ხან უნდილაძე მოსალაპარაკებლად და დაჰპირდა თეიმურაზს, რომ სააკაძის გზიდან ჩამოშორების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფედ ისევ მას გამოაცხადებდა და სწორედ ეს შეიქმნა კატალიზატორი ბაზალეთის ომისა.

საგანგაშო ზარების ხმა ავის მოლოდინში გარინდებულიყო, თითქოს მიჩვეულიყვნენ ხმლისა და შუბის ტრიალს და დიდად არაფრად აკრთობდათ ერთმანეთისგან დადენილი სისხლი. თანამოძმეებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-დიდებულებს, გაჭირვების ჟამს ერთმანეთს რომ იფარავდნენ, ახლა ერთმანეთში მორიგება გასჭირვებოდათ. განა ისეთი რა მიზიდულობა ჰქონდა იმ სამეფო გვირგვინს, ძმათა შორის დაღვრილი სისხლიც რომ ვეღარ ეწონებოდა და მტერთა გასახარად მტრის საქმეს თვითონ აკეთებდნენ.

ბაზალეთის ომის შეჩერება-განმუხტვა ისევ ზ. ერისთავს შეეძლო. მას ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, – იყო ცოლისძმა სააკაძისა და სიძე თეიმურაზ მეფისა, – სიტყვაც ეთქმოდა, ძალაც შესწევდა და ანგარიშსაც გაუწევდნენ, მაგრამ ანგარებით ნაკარნახევმა მისმა პოზიციამ, – „ბატონს მივდგომივარ, ვერ ვუღალატებო!“, – შეჩერების მაგიერ უფრო გახსნა შურის კალაპოტი და იმ მოვლენებში მონაწილე ხალხის, სამწუხაროდ, თანამოძმეთა, უკვე საომრად აშლილ-აზავთებულ ბედუკუღმართთა თვალში, როგორც ახლობელმა, სახლიკაცმა, შექმნა გ. სააკაძის, როგორც არასანდო, მერყევი ადამიანის ბუნდოვანი სურათი.

ზოგიერთი თავადის სიბეცე და შორსგაუხედაობა სააკაძისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ზურაბ ერისთავმა თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად თეიმურაზის მხარე აირჩია და სააკაძის საწინააღმდეგოდ ხმალიც აფხიანა, მუხრანბატონების მამულები დაგულებული ჰქონდა და ბაზალეთის ომის თავიდან აცილებას თუნდაც მხოლოდ სიხარბის გამო ვეღარ შეეცდებოდა.

თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის სააკაძის საწინააღმდეგო თათბირები სწორედ დუშეთში, მის სამფლბელოში იმართებოდა. ეს მომენტიც ადასტურებს, რომ არაგველი ერისთავი სიძის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და არა შერიგების სურვილით, იმდენად იყო გაჟღენთილი მათი გონება ბევრი მათ მიერვე მოგონილი ჭორით.

„მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!

ვის რა გაოდა ქართლშია, მეც რომ მეჭამა პურია?!“

(იოსებ თბილელი).

თვით ბაზალეთის ტერიტორიაზე ომის გამართვა მიგვანიშნებს, რომ ზ. ერისთავი ამ სამარცხვინო საქმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე იყო. იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ კარგად ასახავს სააკაძის გულისტკივილს ერისთავის განდგომის გამო:

„მიკვირს, შენ რად გამიმეტე, რამ მოშალა ჩვენში ზავი!

მეც დამკარგავ, საქმეც ჰქენი შენი დღისაც გასათავი?“

...

„ეგებ მაბეზღარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია?

ბატონისას კი არ ვღირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია!“

ზ. ერისთავი ქართლში ერთ-ერთი ძლიერი გავლენიანი ფეოდალი იყო, ვის მხარესაც ის დაიკავებდა, უპირატესობაც იმ მხარეზე გადადიოდა.

მას რომ გამოეჩინა გონივრული ნება და არ ჩარეულყო თანამემამულეთა დაპირისპირებაში, ხელი დაებანა და განზე გამდგარიყო, მისგან ეს იქნებოდა დიდი კაცობის გამოხატვა. ამის საფუძველს სააკაძესთან სამოყვრო კავშირი აძლევდა. თეიმურაზ მეფისა კი სიძე იყო, ნეიტრალიტეტის ნება ჰქონდა. ასე თუ მოქცეულიყო, ზურაბი შეიქმნიდა სამაგალითო კაცის სახელს და ისტორიასაც ლამაზად დარჩებოდა. სამოქალაქო ომის ასაცილებლად გზის მოძებნა მომხდურ მტერთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებაზე ნაკლები ღირებულებისა არ იქნებოდა, მიეცა საშუალება, ერთხელ კიდევ მარტყოფისებურად ეკისრა ქვეყნის სამსახური, მაგრამ, სავალალოდ, მან ეს შანსი ვერ გამოიყენა.

სამწუხაროდ, ქართველებმა საერთო ენა ვერ გამონახეს და სისხლისღვრამდე მიიყვანეს საქმე. დადებითი მხარე ამ ომისა ის იყო, რომ გამოაშკარავდა, ვინ ვინ იყო და ვის რა ასულდგმულებდა. ბაზალეთის ომს არ უნდა შევხედოთ მარტო როგორც ძმათა შორის ომს, მას დადებითი მხარეები აქვს, რაც საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა.

ნიშანდობლივია, რომ ყველა ბრძოლაში უძლეველმა სააკაძემ ბაზალეთი წააგო, თანაც მას მეტი მეომარი ჰყავდა; მცირე რაზმით მტრის დიდ ჯარს ამარცხებდა, აქ კი ქართველის წინააღმდეგ, ეტყობა, ხმალი გულიანად ვერ მოიქნია. ბევრი რამაა დამაფიქრებელი და გულდასაწყვეტიც. ფაქტი ერთია: უცხოეთსა თუ საქართველოში მტრის წინააღმდეგ გამართული ყველა ომი სააკაძემ მოიგო, ბაზალეთში, თავისი თანამოძმეების წინააღმდეგ კი დამარცხდა.

გ. სააკაძის ცრემლში ნალესმა ხმალმა ვერ გაიმეტა თავისი თანამოძმენი.

ბაზალეთის ომის წინაც კი სააკაძეს მაინც ჰქონდა იმედი, რომ თეიმურაზი მას, ჯერ ქართველს და მერე ამხელა დამსახურების კაცს სასიკვდილოდ არ გაიმეტებდა. მოითათბირეს, გიორგის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი დავით გოგორიშვილი გასულიყო საომარ ველზე მის შემცვლელად მისი საომარი აღჭურვილობით. სააკაძეს უნდოდა, დარწმუნებულიყო, შერჩა თუ არა მეფეს ლმობიერება და იმედი ჰქონდა, რომ მცირედი გაბრძოლების შემდეგ დაზავდებოდნენ (როცა დასჭირვებიათ, ჩვენს მეფე-დიდებულებს მტერთან საზავო შეთანხმებაზე უკან არც დაუხევიათ), მაგრამ როგორც კი სააკაძედ შეიცნეს გოგორიშვილი, „დაგვიდექ, მოურავოო!“ – შესძახეს და მიესივნენ ზურაბ ერისთავის რაზმები; გოგორიშვილი მამაცურად იბრძოდა, მაგრამ რას გააწყობდა, ეს უბადლო ვაჟკაცი დაიღუპა. ხმა გავარდა, სააკაძე მოკლესო. მისიანები აირ-დაირივნენ...

სააკაძემ რა შეხედა თეიმურაზიანელების დაუნდობლობას, ველარ მოინელა ერთგული კაცის ასე გამეტება და სიკვდილი, ბრძოლაში ჩაება. ახალგაზრდა თავადმა ედიშერ ვაჩნაძემ თავი გამოიდო, „მე, მეფის ყმას, ვალდებულება მაქვს, შევება მოურავსო“ და ხმალმაც იელვა მის ხელში. მძიმედ დააჩნდა „გმირი“ ედიშას ნახმლევი სააკაძეს, მაგრამ უმალვე ვაჩნაძეც თავგაპობილი დავარდა ძირს. მყისვე სააკაძემ თავისი რაზმით თეიმურაზისკენ გაიწია და ხმლის მაგივრად ლახტი გადაჰკრა ესოდენ უგუნური უმადურობისთვის.

„მოურავმა ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახ-

ტი ბეჭსა ზედა, არღარა დადგა და წავიდა“ („ქართლის ცხოვრება“).

საკმარისი იყო სააკაძეს თეიმურაზი სასიკვდილოდ გაემეტებინა, რომ ბრძოლის სასწორიც უმალ მის მხარეზე გადაიხრებოდა, მაგრამ მას ეყო სულგრძელობა და ხალხს და ქვეყანას მეფე შეუნარჩუნა.

მეფის დანდობა რაინდობა იყო სააკაძის მხრიდან, რასაც ვერ ვიტყვით მოწინააღმდეგე დიდებულებზე. ყველა ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ სააკაძის ცხენზე მჯდარი და მის ჯაჭვის პერანგში გამოწყობილი დავით გოგორიშვილი უმოწყალოდ აკაფეს.

სააკაძეს წესად ჰქონდა – ქვეყნის მტერს უკიდურესი თავგანწირვით ფეხდაფეხ მისდევდა და მის ბოლომდე ამოძირკვას ცდილობდა; როცა დაამთავრა ყიზილბაშთა განდევნა და უკვე შვებით უნდა ამოესუნთქა მის ამაგიან გულსა და ქვეყანას, სწორედ მაშინ დაიწყო სატანისაგან გაღვიძებულმა შურმა და უგუნურებამ მოქმედება ქართულ ფსიქოლოგიაში.

გიორგი სააკაძის ირანიდან დაბრუნებამ გააღვივა ნაცარწაყრილი ნაღვერდალი წინააღმდეგობისა, გამოაღვიძა ეროვნული ნერვი, მისი უზღვავი ენერგია გადაეცემოდა და აღანთებდა ყოველ ქართველს... უზენაესიც ეწეოდა და გაშმაგებულ შეტაკებებში ათასი შემართული ხმლის ქვეშ მყოფს თავისი შავი ფრთა ვერ გაჰკრა თვით სიკვდილმა, თითქოს საქართველოს თანამდევი უკვდავი სული მიმოტრიალებდა გ.სააკაძის გარშემო და იცავდა მას, რამეთუ მისი სიცოცხლე საქართველოს მტრისგან გასათავისუფლებლად იყო საჭირო.

კახეთს ყიზილბაშური ჭირი შესჩვეოდა, ქართლშიც გაეღწია და აოხრება-გადასახლების შიშქვეშ გაეთანგა მოსახლეობა. დანაწევრებული ქართული ფსიქოლოგია მოკლებული იყო მთლიანობის განცდას... უფლის შეწევნით კი დამდგარიყო ჟამი, გადამრჩენი, ძლიერი და გონიერი კაცი მოვლენოდა ქვეყანას, იბრძოდა მისი გათავისუფლება-გაერთიანებისათვის, რაც ეწინააღმდეგებოდა დიდებულების ამბიციას, მარაბდის ომის შემდგომ სააკაძისაგან უკვე ძლეული შაჰის საზავო პირობებს ხალისიანად რომ ეთანხმებოდნენ. მტერთან ლოიალობა რომ დამღუპველი იყო, ამას ქართვველები გრძნობდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას უშედეგოდ მიიჩნევდნენ, მტრის ფსიგოლოგიასთან შეგუება კი მტრისავე გაშინაურებას ნიშნავდა. იმდენად მაცდური პირობების შეთავაზებით ცდილობდა შაჰი ქართველი დიდებულების გულის მოგებას, რომ შემდეგ ეს საჭირო ნორმადაც აღიქმებოდა.

გ. სააკაძის სამართლიანობისაკენ სწრაფვა და მასთან შეზავებული ადამიანური სიმკაცრე მტრისაგან დაცვის წესადაც აღიქმებოდა ქართულ მოსახლეობაში. გიორგის ფიზიკური ძალმოსილება მისავე მძლავრ გონებას და მასშტაბურ წინდახედულებას ემორჩილებოდა. ცხადია, ბევრს არ მოსწონდა მისი ამგვარი უკომპრომისობა, ბევრი წინააღმდეგობა და მუხთლობა შეახვედრეს–ყველაზე უარესი, იძულებული გახადეს ორჯერ მიეტოვებინა სამშობლო და საბოლოოდ უცხო მიწას ამოჰფარებოდა.

საქართველოს გაერთიანების საქმე ჩაიშალა, გ. სააკაძე დამარცხდა – ქვეყნის მტრებთან ყოველთვის გამარჯვებული, მაგრამ თანამემამულეთა ურთიერთშეტაკებაში დამნდობი, ვერგამმეტებელი თავისი სისხლისა და ჯიშისა, მერე მიწა-წყლისა, იმ საფიცარი მიწისა და წყლისა, რომლისთვისაც შვილის სიცოცხლე გაიღო ზვარაკად, მისი კი მუდამ ბეწვზე ეკიდა!

გიორგი ჭყონდიდელი მუდამჟამს შთააგონებდა დავით აღმაშენებელს, იაკობ მოციქულის შეგონებას. „ყოველი საჭეთმპყრობელი ადამიანი სმენაში უნდა იყოს მკვირცხლი, რისხვაში კი ნელი“.

ომებში გამარჯვების მოპოვება იცოდა სააკაძემ, მაგრამ ქვეყნის საკეთილდღეოდ გამარჯვების შენარჩუნებას არ აცდიდნენ შაჰ-აბასისაგან ქართლ-კახეთში შექმნილი მდგომარეობით მის გავლენაში მოქცეული დიდებულთა ნაწილი.

ისევ თავს დაგვტრიალებს და დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს მოუსვენარი კითხვა: ბაზალეთის ომში დამთმობი უფრო იყო სააკაძე თუ დამარცხებული? რა მოხდა? როგორი სამზადისით მიიყვანა მარტყოფის ომი სრულ გამარჯვებამდის და მის მედროშეს რაღა შეეშალა ან ვის რამდენი შეეშალა?

როცა ვაანალიზებთ ქსნის ომის შემდეგ მომხდარ მოვლენებს, ვასკვნით, რომ შაჰს ერთადერთი გზა დარჩენოდა, ზავის პირობების ულტიმატუმად წაყენება ქართველ დიდებულებთან, რასაც ირანული ფარჩა-ატლასებით, სახელოებით დასაჩუქრება, თავიანთ სამფლობელოებში უფლებების განმტკიცება და სხვა ასეთები ახლდა თან. ბაზალეთის ომის აცილება შეუძლებელი გახდებოდა სწორედ იმიტომ, რომ დაუდ-ხან უნდილაძე ჩამოვიდა საქართველოში, თეიმურაზს, შაჰის სახელით, ქართლ-კახეთის

ტახტზე გაძლიერებას დაჰპირდა. მათ გეგმაში სააკაძის როგორც შაჰ-აბასის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე პირის ლიკვიდაციაც შედიოდა. ყიზილბაშური ჯარების განადგურების ამბები საქართველოდან ირანში ხშირ-ხშირად ჩადიოდა. შაჰ-აბასს ისეღა გაუხდა საქმე, რომ აცხადებდა, თავის სახელმწიფოს ნახევარს დასთმობდა იმისათვის, ვინც გურჯი მოურავის თავს საჩუქრად მიუტანდა.რადგან მარტყოფის ომში ირანული არმია დამარცხდა, ამ მოვლენამ პირობა შექმნა ქართლ-კახეთი ერთი დროშის ქვეშ დამდგარიყო. რამაც ბუნებრივად შაჰ-აბასის მიერ ქართლში დანიშნული სიმონ II-ის გამგებლობამ იგივე მეფობის იგნორირება გამოიწვია.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე. როდესაც მარტყოფის გამარჯვებით და სააკაძის ინიციატივით, თეიმურაზ I-ის მოწვევა აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა ქართლ-კახეთი ერთი მეფის ხელში ყოფილიყო, ამ მოულოდნელმა მოვლენამ შაჰ-აბასი საგონებელში ჩააგდო. მან იცოდა თეიმურაზ I-ის ხასიათიც და ბრძოლისუნარიანობაც. გამომდინარე, კახეთზე თავდასხმების დროს, რა დროსაც თეიმურაზი დასავლეთ საქართველოს აფარებდა თავს, ამდენად ქართლ-კახეთის გაერთიანება მისაგან შეუძლებელი იყო. შაჰ-აბასმა იცოდა, მარტყოფის ომში თავისი ჯარების დამარცხებამ ქართლ-კახეთი გააერთიანა. მან ამ მიზეზებით სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და აღმოსავლეთ საქართველოს ძირფესვიანად მოსათხრელად თავი მოუყარა 50 ათასიან ირანულ ჯარებს. შაჰ-ბენდეხანსაც ბრძანება შეუთვალა, 10 ათასი მეომრით მხარში ამოსდგომოდა ირანელებს.

თუ წინა წლებში შაჰი თეიმურაზს კახეთის სამეფოდან ჩამოშორებას უპირებდა ირანში მიწვევით (იქ კი მის სიცოცხლეს რა მოელოდა ეს მარტო შაჰმა იცოდა), მარაბდაში ასეთი რაოდენობის ჯარი რომ შემოვიდა, შაჰს თეიმურაზის ან ცოცხლად შეპყრობა ეწადა, რაც მისთვის უკეთესი იქნებოდა, ან ბრძოლაში განადგურება, რომ ქართლ-კახეთში მეფობის მსურველი აღარ დარჩენილიყო.

რადგან შაჰ-აბასმა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი მიზნები ვერ აისრულა, თან ამდენი ჯარი გაუნადგურდა, მიზეზი კი სააკაძე იყო, მას სხვა გზა აღარ დარჩენოდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, მოკაკვა თითი, გამოიყენა ცბიერი ხერხი, შეამზადა დაუდ-ხან უნდილაძე საქართველოში გამოსაგზავნად,

დაუდ-ხან უნდილაძე, მისი მამა ალავერდიხან და ბიძა იმამყული-ხან უნდილაძეებისაგან მაგალითაღებული, რომ სამსახური უნდა გაეწია ირანისათვის: მან საქართველოში შაჰ-აბასისაგან ისეთი საზავო პირობა ჩამოიტანა, რომ ბაზალეთის ომი გარდაუვალი იყო.

ბაზალეთის ომში ორივე მხარეს ქართველები იბრძოდნენ. ღმერთმა დაგვიფაროს იმ განცდისაგან, რომელიმე მხარის გამარჯვება ან დამარცხება გაგვიხარდეს, მათ შორის კი შაჰისაგან ისეთი სატანა ჩამდგარიყო, შუა საქართველოში, დუშეთთან ახლოს, ბაზალეთზე, საქართველოს გაერთიანების იდეას ნიადაგი უნდა გამოსცლოდა.

შაჰისაგან შეთავაზებულ ზავზე,ზოგი ქართველისაგან

თავის კანტური, საქციელი იყო არა ქართული.

მზიანი აჭარა

ზურაბ გოგეშვილი

„ქართლის ცხოვრების“ გაყალბების თაობაზე

საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ ბოლო წლების საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებში არაერთხელ გულისტკივილით განაცხადა: „ქვეყანაში დამკვიდრდა ცილისწამება და სიყალბეო...“ ერის სულიერი მამის მიერ გაკეთებული ასეთი საგანგაშო განცხადების მიუხედავად, არაფერი შეცვლილა ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. პირიქით _ ზნეობრივი კრიზისი კიდევ უფრო ღრმავდება, რაც თავის მხრივ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის საფუძველია...

დავით-გარეჯის თემა, რომელიც ერთ-ერთი სამწუხარო მაგალითია ქვეყანაში დამკვიდრებული სიყალბისა და ზოგიერთი ვაი-ქართველის მიერ საკუთარი ეროვნული ინტერესების ღალატისა, ამის შემდეგ კიდევ ერთი მაშტაბური მოღალატეობრივი ფაქტის მომსწრე ვხდებით. კერძოდ, საქმე ეხება წიგნში „ქართლის ცხოვრება“-ში. საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიის იმ ნაწილის გაყალბებასა და ხელყოფას, რომელიც წმინდაა და ხელშეუხებელი.

„ქართლის ცხოვრება,“ როგორც ცნობილია XII საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით იწერებოდა და ივსებოდა. იგი არის საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო, რომელიც ერისათვის ყოველთვის წმინდათა-წმინდად ითვლება. ჩვენი წინაპრები კი მას პატიოსან წიგნად მოიხსენიებდნენ.

ამ წერილით შევეცდებით გავაკეთოთ მოკლე ანალიზი ამ უმნიშვნელოვანეს ქართულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიზანმიმართულ ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით.

როდესაც „ქართლის ცხოვრებაში“ საქართველოში I საუკუნის წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი ისტორიის გაყალბებისა და განადგურების ფაქტები შევნიშნეთ, უდიდესი პასუხისმგებლობით გადავწყვიტეთ მისი ყურადღებით შესწავლა, რამეთუ გულგრილობა და დუმილი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, ისტორიული ძეგლის გამყალბებელთა თანამოაზრეობის ტოლფასია.

ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, ქ. ბათუმში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა შემოქმედი ადამიანები. ამ ჯგუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენს 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემებში ისტორიის გაყალბების ფაქტების არსებობის დაგენა და სამართლიანობის აღდგენისათვის ზრუნვა.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ ჩვენი უმძიმესი სულიერი განცდის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები, ვის მიმართაც გაუგონარ დანაშაულში ბრალდება ფაქტობრივად შეიძლება

წარმოჩნდეს, მათი უმრავლესობა ქართველი ერისათვის და პირადად ჩვენთვის დიდად საპატივცემულო ადამიანებად გვესახებოდნენ, უფრო მეტიც _ გვეიმედებოდნენ.

მიუხედავად ამისა, სამართლიანობა, ეროვნული ინტერესები, პასუხისმგებლობა ღმერთისა და ერის წინაშე ყველაფერზე მაღლა დგას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვნახოთ კონკრეტულად, თუ რასთან გვაქვს საქმე:

„ქართლის ცხოვრება," როგორც უკვე შესავალში აღინიშნა, საუკუნეების მანძილზე იწერებოდა და ივსებოდა. პირველად, სრულყოფილი სახით იგი დაიბეჭდა 1849 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიკოს მარი ბროსეს ხელმძღვანელობით. შემდეგ გამოიცა მარი ბრისეს და დ. ჩუბინაშვილის მიერ.

მეფის რუსეთის შემდეგ წიგნი „ქართლის ცხოვრება" სრულყოფილი სახით გამოიცა თბილისში, 1955 წელს, სადაც ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

„ქართლის ცხოვრება" მეოთხედ გამოიცა 2002 წელს აჭარის ა. რ. მთავრობის ინიციატივით, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ წიგნი გამოდის 1955 წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, რომ წიგნის შინაარსი უცვლელად არის წარმოდგენილი და საავტორო უფლება დაცულია.

„ქართლის ცხოვრება" მეხუთედ და მეექვსედ გამოიცა 2008 და 2012 წლებში, ქ. თბილისში, სადაც იმ გაუგონარ დარღვევებსა და წმინდათა-წმინდა ისტორიის გაყალბებას ვხედავთ, რის შესახებაც ამ წერილში კონკრეტულად გვექნება საუბარი. კერძოდ:

2008 და 2012 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებიდან" სრულიად ამოღებულია ქართველი ერისათვის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ისტორიის ნაწილი, რომლის მიხედვითაც „საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად" იწოდება, ამოღებულია ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოგზავნა ღვთისმშობლემა წმინდა მარიამმა ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში წმინდა მოციქულები. ამოღებულია ანდრია პირველწოდებულის და სიმონ კანაანელის ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ დიდაჭარაში შემობრძანება. თუ როგორ აიგო სოფ. დიდაჭარაში პირველი, მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია საქართველოში, დიდაჭარის შემდეგ ქრისტიანობის ქადაგება მესხეთში, სვანეთში, ქართლში, ტაო-კლარჯეთში, ოსეთში და შემდეგ სკვითების ქვეყანაში _ ეს სიტორია სრულიად ამოღებულია. წმინდა მოციქულების მიერ საქართველოში, I საუკუნეში ქრისტიანობის ქადაგების ისტორია წარმოდგენილია მხოლოდ სამეგრელოში და ისიც გაყალბებული, დამახინჯებული ფორმით. შემდეგ კი პირდაპირ IV საუკუნეში წმინდა ნინოს მიერ ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევაზეა საუბარი.

სამეგრელოსთან მიმართებაში, წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ისტორია კონტექსტიდან არის ამოღებული. კერძოდ: სამეგრელოში ქრისტიანობის ქადაგების ისტორია წყდება იქ, როდესაც მოციქულები სამეგრელოში პირველი ქადაგების შემდეგ, გაემართებიან საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში საქადაგებლად. მეფე ადერკი, რომელიც ამის შესახებ გაიგებს, გაუწყრება თავის ქვეშევრდომებს „რომელ მშვიდობით განუტევეს ანდრია მოციქული," და დამალეს ჯუარნი და ხატნი და მეგრელებს უკანვე მოაქცევს,[1] ანუ კერპთაყვანისმცემლობაზე დააბრუნებს.

აი ასე, სამეგრელოში წმინდა მოციქულების გამოჩენით და თითქოსდა უშედეგოდ ქადაგებით მთავრდება I საუკუნეში საქართველოში წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ისტორია. ამ ისტორიის ბრწყინვალე დასასრული, რომ წმინდა მოციქულები, მეფის წინააღმდეგობის მიუხედავად უკანვე ბრუნდებიან სამეგრელოში და მეგრელებს ქრისტეს რჯულზე კვლავ მოაქცევენ და აქედან მეგრელები მშვიდობით გააცილებენ სკვითების ქვეყანაში, ეს ისტორია სრულებით ამოღებულია.

როგორც ვხედავთ, ისტორიის გამყალბებლები მკითხველს მიზანმიმართულად უქმნიან შთაბეჭდილებას, რომ წმინდა მოციქულები I საუკუნეში საქართველოში მხოლოდ სამეგრელოში

[1] „ქართლის ცხოვრება." ტ. I, თბილისი, 2012, გვ. 40; „ქართლის ცხოვრება," 2008, გვ. ...

მოსულან ქრისტიანობის საქადაგებლად, საიდანაც ისინი განუდევნიათ და ამით თითქოსდა დასრულებულა ეს ისტორია.

ზემოგანხილულიდან, სამწუხარო რეალობა ფაქტობრივად მოწმობს, რომ 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად“ გამოცხადების და საქართველოში I საუკუნეში წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ამსახველი ისტორიის განადგურებით ისტორიის გამყალბებლებმა ქართველ ერს გამოაცალეს საფუძვლები, როგორც სამოციქულო ეკლესიისა.

უფრო მეტიც. 2008 და 2012 წლის გამოცემებიდან ამოღებულია და განადგურებული ისტორია 13 წმინდა მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მათ შორის დავით გარეჯელის, რაც ასევე არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ისტორია მოგვითხრობს წმინდა მამების შუა მდინარეთიდან საქართველოში მოსვლისა და მის სხვა და სხვა მხარეში სამოღვაწეოდ გამგზავრებას; „ხოლო ლოცვითა წმინდისა მამისა იოვანესითა, მოწაფენი მისნი წარგზავნა წინაძღომითა სულისა წმინდისათა, რომელიმე ქართლს და რომელიმე კახეთს, და რომელიმე უდაბნოდ გარესჯად...“[1] ეს ისტორია 2008 და 2012 წლის გამოცემებიდან სრულიად ამოღებულია.[2]

დავით-გარეჯის თემა, რომელიც დღეს ყველაზე აქტუალურია და ფაქტიურად გადაცემულია აზერბაიჯანის მხარისთვის, მიმდინარეობს გამოძიება, ასეთ დროს განსაკუთრებით ყურადსაღებია.

როგორც 2008 და 2012 წლის გამოცემები მოწმობს, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს თავისი ტერიტორიით აზერბაიჯანის მხარედ აღიარებდა, მას ჯერ, როგორც ჩანს მეცნიერულად, ისტორიული საფუძველი გამოაცალეს. საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელოდან ამოიღეს ის ჭეშმარიტი ისტორია, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ ეყრება საფუძველი ქართულ სამეფოში, ძირძველ ქართულ მიწაზე, ქართულ მართლმადიდებლურ სამონასტრო კომპლექსს. ისტორია, სადაც ყველაფერი ნათელია, გაუგებარი და სადაო არაფერი არის, უპრინციპო მეცნიერების მიერ „ციხე შიგნიდან ტყდება“ გამონათქვამის თანახმად, როგორც ჩანს სხვა სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ იქნა განადგურებული, რასაც არანაირი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს.

ვიმედოვნებთ, რომ 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრებიდან“ დავით-გარეჯის ისტორიის ამოღების ფაქტის შესწავლა სასარგებლო სამსახურს გაუწევს შესაბამის უწყებებს და ხელს შეუწყობს დავით-გარეჯის სრულფასოვნად საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრებიდან“[1] ასევე ამოღებულია სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები მაგ. დავით და კონსტანტინეს გმირული ბრძოლისა და მათი მოწამოებრივი აღსასრულის შესახებ, თუ როგორ დაირაზმება რჩეული ქართველები არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ საომრად. ეს ყველაფერი ამოღებულია...[2]

ისტორიის გაყალბების ზემოაღნიშნული ფაქტები არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საავტორო უფლების დარღვევად, არამედ, როგორც ჩანს ეს არის იდეოლოგიური ბრძოლის მზაკვრული ფორმა ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. ეს არის საქართველოს ისტორიის იმ უმნიშვნელოვანესი ნაწილის განადგურება, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მთავარი წვლილი მიუძღვის ქართველი ერის ჩამოყალიბების და ერთიანობის საქმეში.

იქედან გამომდინარე, რომ საქმე ეხება საქართველოსა და მსოფლიოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყალბებას, და მის ხელყოფაში, ამ უდიდეს დანაშაულში კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხს, ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რაიმე მექანიკურ უყურადღებობასთან ხომ არ გვქონდა საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეში მექანიკური შეცდომა ძნელად წარმოსადგენია.

---

[1] ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი. 1955, გვ. 208.
[2] ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი. 2008, გვ. 223.
ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი. 2012, გვ. 182.
[1] ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი, 1955, გვ. 234
[2] ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი, 2008, გვ. 234
ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი. 2012, გვ. 190-191.

ტექსტის ყურადღებით გაცნობისას მსგავსი მოსაზრება იმთავითვე გამოირიცხა. ამ აზრის ჭეშმარიტებას თავადვე ადასტურებს 2008 წელს გამოცემული წიგნის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი. იგი წიგნის შესავალი ნაწილის დასასრულს განსაკუთრებულ მადლობას უხდის თავის კოლეგას ციალა ქურციკიძეს, რომელსაც წიგნის გამოცემის წინ, დამატებით ყურადღებით წაუკითხავს გამოსაცემი ტექსტი.

ტექსტზე მუშაობასთან დაკავშირებით, მთავარი რედაქტორი ასევე აღნიშნავს: „ტექსტის დადგენისას მხედველობაშია მიღებული ყველა ტექსტუალური ვარიანტი, რომელსაც შინაარსეული მნიშვნელობა აქვს“ _ მთავარი რედაქტორის ამ განცხადებაშიც ნათლად იკითხება, რომ გამოსაცემი ტექსტის შინაარსი ყურადღებითაა შესწავლილი, გაყალბებული ფაქტების გადასაფარავად კი, სარედაქციო კოლეგია სხვა და სხვა გაუმართლებელ ხერხს მიმართავს.

მთავარი რედაქტორი აღნიშნავს: „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში წარმოდგენილია ძეგლის შემადგენლობა ტრადიციული (ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული და ს. ყაუხჩიშვილის მიერ განხორციელებული) სახით* _ ნათქვამია 2008 წლის გამოცემის შესავალ ნაწილში, რაც აშკარა ტყუილია. ეს წიგნები ჩვენს წინაშეა და საპირისპიროს ადასტურებენ:

სიმონ ყაუხჩიშვილი 1955 წლის გამოცემაში, თავის შესავალ სიტყვაში ამბობს: „წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს: მაქსიმალური სისრულით წარმოადგინოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საუკუნოთა განმავლობაში წარმოებულ რედაქციულ მუშაობათა სურათი და ხელი შეუწყოს გვიანდელ ნამატთა გამოვლინებას და მაშასადამე თავდაპირველი ტექსტის აღდგენას.**

როგორც ვხედავთ, საუკუნოთა განმავლობაში წინაპართა ნაღვაწი, ნამატი, რომლითაც „ქართლის ცხოვრებას“ თავდაპირველი სახე დაუბრუნდა _ როგორც ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, 2008 წელს „ქართლის ცხოვრების“ წიგნიდან იქნა ამოღებული და გაყალბებული. ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელი კი მხოლოდ მეტი დამაჯერებლობისთვის, ისტორიის გაყალბების ფაქტების გადასაფარავად არის გამოყენებული.

2008 და 2012 წლის გამოცემების გაცნობისას, ნებისმიერი სპეციალისტი თუ უბრალოდ ყურადღებიანი მკითხველი დაინახავს, რომ წიგნში გათვლილია ნებისმიერი დეტალი _ სიტყვათა შესწორებები, ძველი ტექსტიდან გასწორებები და ა. შ. რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოს ისტორიიდან უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების გამორჩენა შეუძლებელი იყო.

იმ ფაქტს, რომ ადგილი აქვს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის მიზანმიმართულ გაყალბებას, დამატებით ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

1. წიგნი „ქართლის ცხოვრება“ გაყალბებული ისტორიით გამოიცა 2008 წელს, მაშინ როცა სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმი მთელი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირების ზენიტში იყო და არავინ იფიქრებდა ხელისუფლებიდან უახლოეს დროში მის წასვლას.

ამიტომ, წიგნში დიდი ასოებით აღნიშნულია გამომცემლების, მთავარი რედაქტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველისა და სარედაქციო კოლეგიის წევრების: აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის, ქალბატონ გიული ალასანიასა და სხვების შესახებ...

ასეთი ცნობილი ადამიანების სახელების გაგონებაზე არაერთმა ჩვენმა მეცნიერმა, ვისი უპირველესი მოვალეობა იყო ხმა აემაღლებინა და ეზრუნა მდგომარეობის გამოსწორებისთვის, პირიქით, სიმხდალისა თუ პირადული ინტერესების გამო დუმილი ამჯობინა. სამართლიანობის პრინციპი კი გვეუბნება: „საღი აზრი უნდა ბატონობდეს ავტორიტეტზე და არა პირიქით _ ავტორიტეტი საღ აზრზე,“ მით უმეტეს, რომ საკუთარი ერის ისტორიის გამყალბებელი მეცნიერი ვეღარ იქნება ავტორიტეტიული მეცნიერი.

2008 წლის გამოცემისაგან განსხვავებით დიდ გაოცებას იწვევს 2012 წლის გამოცემა, კერძოდ ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრების“ შინაარსი იგივეა, რაც 2008 წლის გამოცემისა, იგივე გაყალბებებით, ოღონდ წიგნზე ამჯერად სრულებით აღარ არის მითითებული ის აუცილებელი ინფორმაცია მთავარი რედაქტორის, სარედაქციო კოლეგიის შესახებ. საერთოდ გამქრალია ყველა რეკვიზიტი იმის შესახებ, თუ ვინ იმუშავა ამ წიგნზე, ვის უნდა „ვუმადლოდეთ ამ ღვაწლს.“ ისმის კითხვა _ ვინ უნდა აგოს პასუხი აღნიშნული წიგნის შინაარსზე?

---

* „ქართლის ცხოვრება.“ ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1955, გვ. 05.
**

ვფიქრობთ, აქ დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი აქვს „ქართლის ცხოვრების“ მიზანმიმართულ გაყალბებას _ კერძოდ, როდესაც 2008 წლის გამოცემა გაყალბებული ისტორიით მზად იყო განმეორებით გამოსაცემად, ამ დროს 2011-2012 წლებში, სააკაშვილის რეჟიმი სუსტდება და აშკარა დამარცხებისთვის არის განწირული. ამიტომ სარედაქციო კოლეგიამ, უკვე ვეღარ გაბედა თავისი ვინაობის წარმოჩენა, ვინაიდან იცოდნენ თუ რაოდენ დიდ დანაშაულთან ჰქონდათ საქმე, თუ როგორ უპატიებელ ცოდვასთან ჰქონდათ წილი ნაყარი. ამიტომ, შეცვლილია წიგნის დიზაინიც, შინაარსი კი იგივეა, სრული სიზუსტით, როგორც 2008 წლის გამოცემაში.

2008 და 2012 წლის გამოცემა, რომ ერთი და იგივე პირთაგან არის გადაწერილი და გაყალბებული, ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც კი მის შინაარსს გაეცნობა. ამას მოწმობს სხვა მრავალი ფაქტიც, რომლის მითითებაც შორს წაგვიყვანდა. ამაზე შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმუშაონ.

2. მეორე ფაქტი, რომელიც ისტორიის გაყალბების მიზანმიმართულ მზაკვრულ ჩანაფიქრზე მიუთითებს, არის შემდეგი:

2008 წლის გამოცემას, სარედაქციო კოლეგია უძღვნის საქართველოს პატრიარქის დაბადებიდან 75-ე და აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს.

ასეთი მიდგომა ისტორიის გამყალბებელთა მხრიდან მზაკვრული ჩანაფიქრის დასაფარავად, მეტი დამაჯერებლობისათვის არის გამოყენებული, ისე, როგორც ივანე ჯავახიშვილის და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელები. სწორედ ასეთი შემთხვევის შესახებ აფრთხილებდა უფალი ისეო თავის მოწაფეებს, მათ შორის ანდრია წმინდას ვიდრე საქართველოში წამოვიდოდა საქადაგებლად: „ერიდეთ ცხვრის ქურქში მგლებს,“ სიბრძნე, რომელიც როგორც ვხედავთ არასოდეს კარგავს თავის აზრს.

3. ქვემოთ, „ქართლის ცხოვრების“ გაყალბების კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვანთ:

2008 წლის გამოცემის შესავალში, მთავარი რედაქტორი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაზე მუშაობა 2004 წლიდან დაიწყეს, ანუ სააკაშვილის რეჟიმის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან. თითქოსდა ამ დღიდან მიექცა ამ დიდ ეროვნულ განძს ყურადღება. აქვე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იგი საუბრობს 2004 წლამდე გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაზე,“ რომელიც კი ოდესმე გამოცემულა სხვა და სხვა დროს, მაგრამ არ ახსენებს სულ ორი წლის წინ, 2002 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებას,“ რომელიც ტრადიციული, სრულყოფილი სახით არის გამოცემული.

* * *

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

„ქართლის ცხოვრება“ ათეული საუკუნეების მანძილზე მოღვაწე მამულიშვილების, მწერლების, მეცნიერების მზრუნველობით, მათ შორის სხვა ეროვნების ადამიანების თანადგომით იწერებოდა და ივსებოდა. გამოიცა არაერთხელ, ითარგმნა უცხო ენებზე, ურიცხვ მრისხანე დამპყრობლების ხელში გამოიარა და მიუხედავად ამისა ჩვენამდე თავდაპირველი ფორმით მოაღწია. ამასთან დაკავშირებით ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ წინასიტყვაობაში გაკეთებული არის მიმართვა ქართველი ერისადმი:

„პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, „ქართლის ცხოვრება“ გარყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებათაგან.

ხოლო მეხუთემან ვახტანგმან (საუბარია ვახტანგ VI-ზე) შეკრიბა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა რაცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი, და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და სხუანიცა წერილნი რომელიმე სომეხთა და სპარსთა და სხვათა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ისრეთ აღწერეს და შეამოწმეს, და რომელ გარყუნილ იყო გამართეს...“[1]

[1] ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი. თავი პირველი. ვახტანგის კაცთა წინასიტყვაობა. თბ., 1955, გვ. 3.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სამწუხაროდ ისტორია მეორდება. 2004 წლიდან „ქართლის ცხოვრება“ კვლავ „გარყუნილ“ იქნა ჟამთა ვითარებათაგან და თანამედროვე „რომელიმე გადამწერთაგან.“

2020 წლიდან, ჩვენს მიერ გაყალბების ფაქტების აღმოჩენიდან გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გამყალბებელთაგან, ან ვინმე, ვინც პირადი სარგებლობის მიზნით გულგრილად შეხვდა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს და დუმილს არჩევს, შესაძლებელია თავი იმართლოს ერთი გარემოებით, კერძოდ, იმით, რომ 2008 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ ისარგებლა XV საუკუნეში გამოცემული „ქართლის ცხოვრებით,“ რომელიც შეიქმნა კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მეუღლის, ანა დედოფლის შეკვეთით, რომლის მიხედვითაც საქართველოში, I საუკუნეში წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ისტორია ამოღებული ყოფილა. ასეთი არგუმენტის მოშველიება ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება საფუძვლიანი არგუმენტი და გამამართლებელი „ქართლის ცხოვრების“ გაყალბებისა, რამეთუ ის ისტორიული წერილობითი წყაროები, რომელიც XV-XVII საუკუნეებში გადამწერთაგან იქნა გაყალბებული, შემდგომ, როგორც ვნახეთ საფუძვლიან წყაროებზე დაყრდნობით „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ გადამოწმებული და გამართული იქნა.

XV-XVII საუკუნეები, როგორც ვიცით ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ბნელი დროა საქართველოს ისტორიაში. თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ, ვხედავთ ირანის თავგამოდებულ ბრძოლას ქართლ-კახეთის მოსახლეობის, როგორც ქართველი ერის საბოლოოდ გადაგვარება-განადგურების მიზნით.

ყველასათვის ცნობილი ეს ისტორია შემთხვევით არ გვიხსენებია. ეს ფაქტი მოწმობს, რომ თუ კახეთის დედოფლის ანას შეკვეთით გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის თხრობიდან გამოტოვებული არის წმინდა მოციქულების მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების ისტორია, აქ შეიძლება საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ სწორედ ირანის გავლენით, როგორც იდეოლოგიური ბრძოლის ხერხი, შეკვეთილი და განხორციელებული იქნა „ქართლის ცხოვრების“ გაყალბებული ვარიანტი, რამეთუ ქრისტიანული რწმენა იყო მთავარი სულიერი ძალა, რის გამოც შახმა ვერ შეძლო ქართლ-კახეთის საბოლოოდ დამორჩილება და განადგურება.

ამ მოსაზრებას შეიძლება ადასტურებდეს ის ისტორიული სინამდვილე, რომ სწორედ ანა დედოფლის შემდეგ პერიოდში ხდება ირანის განსაკუთრებულად აგრესიული პოლიტიკის გატარება ქართველების მიმართ, კერძოდ, კახეთში მეფე-მამის და და-ძმის მკვლელი მირზა ხანის გამოგზავნა, შემდეგ ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსასრული, სადაც შახის მთავარი მოთხოვნა ქართველი დედოფლის მიმართ ქრისტეს რჯულის უარყოფა იყო...

სწორედ ამიტომ XVIII საუკუნეში, ვახტანგ VI-მ მიზნად დაისახა გადამწერთაგან „გარყუნილი“ მთელი ტექსტების რედაქტირება მოეხდინათ და აღედგინათ საქართველოს ისტორიის რეალური სახე. ამ მიზნით, როგორც ვიცით, „სწავლულ კაცთა კომისიამ“ თავისი მისია პირნათლად შეასრულა ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით.

ივანე ჯავახიშვილი „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობისას დარწმუნებულა სწავლულ კაცთა კომისიის მაღალ კომპეტენციაში, რაც კარგად აისახა 1955 წელს ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში,“ სადაც XV საუკუნეში გადამწერთაგან ამოღებული და გაყალბებული ისტორია აღდგენილია და სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

ამდენად, ამ ისტორიის ჩვენი დროის გამყალბებლებსა და საკუთარი ინტერესების გამო, მათ მხარდამჭერებს ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი არგუმენტად არ გამოადგებათ და ამით კიდევ უფრო დაიმძიმებენ დანაშაულსა.

როგორც ვხედავთ, XV-XVII საუკუნეებში საქართველოსთვის უმძიმეს დროს, გადამწერთაგან „გარყუნილ“ _ როგორც ამას ვახტანგ VI-ე უწოდებს „ქართლის ცხოვრებას“ 300 წლის შემდეგ „სწავლულმა კაცებმა“ თავისი ღირსეული სახე დაუბრუნეს, მის გამყალბებლებს კი ისტორიამ თავისი ადგილი მიუჩინა.

დღეს ვხედავთ, რომ ვახტანგ VI-ის და სწავლულ კაცთა მოღვაწეობიდან კვლავ 300 წლის შემდეგ თანამედროვე გადამწერთაგან „გარყუნილი“ „ქართლის ცხოვრება,“ ისევ ყურადღების ცენტრში ხვდება იგივე სამწუხარო მიზეზის გამო.

აქვე ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ კიდევ ერთი გარემოების შესახებ:

შავბნელი XV-XVII საუკუნეებისაგან განსხვავებით, დღეს, უმაღლესი ტექნოლოგიების, ინტერნეტის ეპოქაში, მთელი საქართველოს მაშტაბით, საქალაქო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო ბიბლიოთეკებში, ქვეყნის ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო „ქართლის ცხოვრება“ „გარყუნილი“ და გაყალბებული სახით მთელი 13 წლის მანძილზე, დღემდე რატომღაც შეუმჩნეველი რჩებოდა... ამ უდიდეს ცოდვაში აღებული „ვერცხლით“ კი რამდენმა ფუფუნებაში და დიდ პატივში განვლო სიცოცხლე, მაგრამ დღევანდელი დღე მოწმობს, რომ „არა არს დაფარული, რაიცა არ გამჟღავნდეს.“

„ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული ზემოგანხილული ფაქტები მოწმობს, რომ ქართველი ერის, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის საქართველოს მტრების კრახით მთავრდება. ამის შესახებ თვით ისტორია მოგვითხრობს: „ამ ხელთუქმნელი ხატით ხელში მოაქციეთ ჩემი წილხვედრი ქართველები და თავდებიც ვიქმნები არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“[1] _ ასე მოუთხრობდნენ საქართველოში მოსული წმინდა მოციქულები, ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანაანელი ღვთისმშობლის დანაბარებს ჩვენს წინაპრებს, ასე დამკვიდრდა ეს ბრწყინვალე ისტორია საქართველოსა და მსოფლიოში.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები::

1. მომხდარი ფაქტით უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები, კერძოდ: წიგნის „ქართლის ცხოვრების,“ როგორც ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხელყოფისა და საქართველოს ისტორიის გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით.

2. აღნიშნული ფაქტი, კერძოდ, წმინდა მოციქულების მიერ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება და გაყალბება შეიძლება შეფასდეს საქართველოსა და მთლიანად კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: 1980-იანი წლების ბოლოს, ავღანეთში, თალიბების მიერ ბუდას ძეგლის აფეთქება, „იუნესკოს“ მიერ შეფასდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ წიგნი „ქართლის ცხოვრება“ (1955 წელს გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), რომელიც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, „იუნესკოს“ დაცვის ქვეშ უნდა იყოს.

3. საქართველოში მოქმედი ყველა ბიბლიოთეკიდან დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ფალსიფიცირებული 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრების“ ამოღება.

4. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ყოველი შემდეგი გამოცემა ეყრდნობოდეს 1955 წელს, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს.

ძველი გამოცემები უკვე შელახულია და გამოუსადეგარი ხდება მოხმარებისათვის. გამყალბებელთა ჯგუფი ამ მდგომარეობის გამოყენებით ცდილობდა გაყალბებული ისტორიით მის ჩანაცვლებას.

[1] „ქართლის ცხოვრება.“ ლეონტი მროველი. თბ., 1955, გვ. 38.

საინიციატივო ჯგუფი:

ნიაზ ბოლქვაძე - საქველმოქმედო ფონდის „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრი;
აკაკი ბერიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-ემერეტუსი;
ჯემალ მიქელაძე - ისტორიის დოქტორი, მხატვარი-არქიტექტორი, ბ.ს.უ. კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნუგზარ ჩხაიძე - ფილოსოფიის დოქტორი, სოციოლოგი, ბ.ს.უ. კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ალექსანდრე დიასამიძე - გეოგრაფიის დოქტორი;
აკაკი ზოიძე - განათლების აკადემიკური დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
ნოდარ ბასილაძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
შალვა აბაშიძე - ისტორიკოსი, პუბლიცისტი.
ცისანა ანთაძე - საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი;
გურამ ფუტკარაძე - მხატვარი, მხატვართა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბათუმის საპატიო მოქალაქე;
ლილი ბოლქვაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ნინო ახობაძე - ექიმი;
ოთარ ფუტკარაძე - ჟურნალისტი;
მანანა წულუკიძე - პედაგოგი, კულტ. საგანმანათლებლო ორგანიზაცია ,,მწიგნობარი“-ს დირექტორი.

ქ. ბათუმი, 23 ივნისი, 2021 წელი

ხელმოწერილია

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ოპტიმალური სავალუტო კურსის რეჟიმის შერჩევის შესახებ

როგორც საუკეთესო პრაქტიკითაა დადასტურებული, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა სავალუტო კურსის რეჟიმის შერჩევასთან პირდაპირ კავშირშია და ამის გამო ფინანსური გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ არჩევანის რეალური შესაძლებლობა ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო სისტემის დაშლის შემდეგ სავალუტო კურსის რეგულირების ახალი მსოფლიო მექანიზმის არ არსებობის გამო წარმოიშვა.

ტრადიციულად, ითვლება, რომ მოქნილი სავალუტო კურსები ქვეყნისათვის სასურველია სპეციფიური რეალური შოკების პირობებში, რომლებიც ფასების შეთანხმებას მოითხოვენ. მეორე მხრივ, ფიქსირებული სავალუტო კურსი ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს ფულად-საკრედიტო სფეროს სტაბილურობა იმ ქვეყნისაგან მიიღოს, რომელიც მხარს უჭერს ფულის დისციპლინის მკაცრ რეჟიმს.

მოქნილი სავალუტო კურსის დაცვა ერთ-ერთმა პირველმა მ. ფრიდმანმა განახორციელა. თავის ნაშრომში „მოსაზრებები მოქნილი სავალუტო კურსების სასარგებლოდ“ იგი აღნიშნავდა, რომ „თუ კი შიდა ფასები ისეთივე მოქნილი იქნებოდნენ, როგორც სავალუტო კურსები, ეკონომიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე, სავალუტო კურსების ცვლილებით ან შიდა ფასების ეკვივალენტური ცვლილების გზით შესაძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა. თუმცა, სინამდვილეში, აღნიშნული პირობა არ სრულდება. სავალუტო კურსი პოტენციურად მოქნილია მისი გაყინვასთან მიმართებაში, ადმინისტრაციული ქმედებების არ არსებობის დროსაც კი. უფრო ზუსტად, თანამედროვე სამყაროში შიდა ფასები მნიშვნელოვნად მოუქნელია“. გარდა ამისა, იგი უარყოფდა არგუმენტს, რომელიც ფიქსირებული სავალუტო კურსის მეშვეობით ფასების სტაბილურობის იმპორტირებასთან იყო დაკავშირებული და ხაზს უსვამდა მოსაზრებას, რომ მცურავი სავალუტო კურსები დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ კ. ვიკსელი, რომელიც წერდა, რომ ხელისუფლებას აქვს ორი ალტერნატივა:

- ან მხარი დაუჭიროს ფასების დონეს ქვეყნის შიგნით;
- ან მხარი დაუჭირონ ეროვნული ვალუტის პარიტეტს სხვა ვალუტებთან მიმართებაში. საინტერესოა, რომ კ. ვიკსელი აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალს ეროვნულ ბანკებს შორის საერთაშორისო შეთანხმებების დადების გზით, მოქმედებათა კოორდინაციაში ხედავდა.

არგუმენტები ფიქსირებული სავალუტო კურსების სასარგებლოდ, ორ ან მეტ ქვეყანას შორის, შემუშავებული იყო ოპტიმალური სავალუტო ზონის კონცეფციის თანახმად, რომელიც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დასაწყისში მომავალი ნობელის ლაურეატის რ. მანდელის მიერ იყო შემუშავებული და შემდგომში რ. მაკკინონმა (R. McKinnon) და პ. კენონმა (P. Kenen) განავითარეს.

ფაქტობრივად, ოპტიმალური სავალუტო ზონის კონცეფცია მოწოდებულია უპასუხოს კითხვას: – თუ რომელ ქვეყნებს შორის არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი სავალუტო კავშირების ჩამოყალიბება. თეორია ასახელებს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული ქვეყნები. მათ შორისაა – წარმოების ფაქტორების რეგიონთა შორის მობილობის არსებობა, ფასებისა და შრომის ანაზღაურების მოქნილობა, ეროვნული ეკონომიკების დივერსიფიკაციის დონე, მსგავსი ინფლაციის ტემპები და ა.შ.

ოპტიმალური სავალუტო ზონის კონცეფცია დაფუძნებულია იმაზე, რომ სავალუტო კურსის დინამიკა მყისიერ და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე, რითაც შედარებითი ფასების მყისიერი შეთანხმების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, ბოლო დროინდელი ემპირიული ნაშრომები გვიჩვენებენ, რომ მოკლევადიან პერიოდში ნომინალური სავალუტო კურსების ცვლილებებზე სამომხმარებლო ფასები ძალიან სუსტად რეაგირებენ. თანამედროვე პირობებში მკვლევარებს შორის სავალუტო კურსის რეჟიმზე ე. წ. „ბიპოლარული შეხედულების“ მიდგომა ჭარბობს. რაც ნიშნავს, რომ ქვეყნებმა შეიძლება აირჩიონ როგორც ფიქსირებული სავალუტო კურსის განაპირა ფორმები, ისე საკუთარი ვალუტის თავისუფალი, ან რეგულირებადი ცურვის რეჟიმები. სავალუტო კურსის ფიქსირების შუალედურ ფორმებზე (ეგრეთ წოდებული „სავალუტო დერეფანის“, „მცოცავი ბმის“ და ა.შ.) კი უარს ამბობენ. აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთი მომხრე, მსოფლიო სავალუტო ფონდის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ს. ფიშერი ამას იმით ხსნის, რომ ე. წ. „რბილი ბმის“ რეჟიმებმა თავისი უუნარობა დაადასტურეს, როცა ქვეყნებმა კაპიტალის საკუთარი ეროვნულ ბაზრები გახსნეს. მაგალითების სახით მოყავს ევროპის სავალუტო სისტემის 1992-1993 წლების კრიზისი და კრიზისების შემდგომი სერიები განვითარებად ბაზრებზე. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ვალუტის „რბილი ბმის“ სისტემის კრახი ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას განაპირობებს. აღნიშნულ არგუმენტს შეიძლება ეწოდოს „ემპირიული“, მაშინ როდესაც თეორიულად, რბილი ბმის რეჟიმი უპირისპირდება „შეუძლებელი სამების“ პრინციპთან, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. კაპიტალის მზარდი მობილობისას ფულის მმართველები ცდილობენ სავალუტო კურსის მერყეობის ზღვრების მხარდაჭერით შედარებით დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. ს ფიშრის მოსაზრებით ასეთი სიტუაცია, ადრე თუ გვიან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების შეუთავსებლობამდე მიგვიყვანს.

ს. ფიშრი, მსოფლიო სავალუტო ფონდის (მსფ) ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის რეჟიმების კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, ემპირიულად ახდენს დემონსტრირებას, რომ 1990-იანი წლების განმავლობაში ნამდვილად განხორციელდა გადახრა ზღვრული რეჟიმების – მცურავი სავალუტო კურსების და „მყარი ბმის“ (სავალუტო მართვა, უარის თქმა ეროვნულ ვალუტაზე) მხარეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მალევე, 2000-იან წლებში აღნიშნული ტენდენცია უკვე შენელდა. თუ შევადარებთ სავალუტო კურსების რეჟიმებს 2003 წლის ივნისისა და 2006 წლის ივნისის თვის ბოლოთა მონაცემებს, დავინახავთ, რომ ეროვნულ ვალუტაზე უარის მთქმელი ქვეყნების რიცხვი ისევ 41 დარჩა (მათ შორის ევროზონის 12 ქვეყანა, რომელთა ერთიანი ვალუტა – ევრო თავისუფალი ცურვის რეჟიმით ხასიათდება). ქვეყანათა რიცხვი „რბილი ბმის“ მრავალფეროვანი ფორმით 57-დან 63-მდე გაიზარდა, ხოლო ის ქვეყნები, რომელთა ვალუტა თავისუფალ ან მართვადი ცურვის რეჟიმშია, 82-დან 76-მდე შემცირდა (ამასთან, თავისუფლად მცურავი ვალუტის ქვეყანათა რიცხვი 35-დან 25-მდეა შემცირებული). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლის პირველ ნახევარში ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც

საკუთარ ვალუტას „რბილი ბმის“ მეშვეობით არეგულირებს, ხშირად კაპიტალის ტრანსეროვნულ მოძრაობაზე კონტროლისთვის სხვადასხვა ფორმას იყენებს, მათ

შორის სავალუტო შეზღუდვებს, რომლის ნათელ მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნას ჩინეთი.

თანამედროვე პირობებში, სავალუტო კურსის თანდათანობითი ცვლის თეორიული ინტერპრეტაცია, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მთელი რიგი მკვლევარებისა, განსაკუთრებით, პოსტკეინსიანური მიმართულების მიმდევარნი, ხაზს უსვამენ, რომ სავალუტო კურსის დინამიკას საგარეო ვაჭრობის პროცესი კი არ განსაზღვრავს, არამედ ინვესტორების სპეკულაციური პოზიციების ცვლა. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსი განიხილება, როგორც ფინანსური აქტივის ფასი. ასეთი მიდგომისას კი, მანდელ- ფლემინგის კლასიკური მოდელი უკვე აღარ მოქმედებს.

გლობალიზაციის პროცესი ისეთი მსოფლიო სავალუტო სისტემის პირობებში, მიმდინარეობს რომელმაც ბრეტონ-ვუდსის სავალუტო შეთანხმება შეცვალა და იამაიკის სავალუტო შეთანხმების სახელწოდებით არის ცნობილი (რომელიც 1975 წლის იანვარში კინგსტონში – იამაიკაზე დადებული შეთანხმების მიხედვით იყო დაკანონე-ბული, 1978 წლის აპრილში კი რატიფიცირებული). ახალი სისტემა დაფუძნებულია იმაზე, რომ ქვეყნებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ სავალუტო კურსის რეჟიმი, მაგრამ დე-ფაქტო – აშშ-ის დოლარი მსოფლიო ვალუტის სტატუსს ინარჩუნებს. ეს აშშ-ს შესაძლებლობას აძლევს, მსოფლიო სავალუტო სისტემის მდგრადობისათვის შიდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განახორციელოს ისე, რომ მას არ დაექვემდებაროს (რაც, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების პერიოდშიც ხორციელდებოდა).

ზოგი მეცნიერი, მათ შორის სავალუტო პრობლემებზე მომუშავე ქართველი სპეციალისტი თვლის, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიო სავალუტო სისტემის ბივალუტიანობის (ევრო - მეორე მსოფლიო ვალუტად ჩამოყალიბდა) ან უფრო მულტივალუტიანობის (აქ აზიაში რეგიონალური ვალუტის წარმოქნმნის შესაძლებლობა ან ჩინეთის იუანის პოზიციის გაძლიერება იგულისხმება) მორიგი ტრანსფორმაცია მიმდინარეობს.

მიუხედავად ამისა, ო.ვ. ბუტორინამ თავის ნაშრომში წარმოაჩინა, რომ სავალუტო რეზერვების გაზრდის პროცესი მსოფლიო სავალუტო სისტემაში გამოიწვევს აშშ დოლარის პოზიციის და სარეზერვო ვალუტის სტატუსის მხარდაჭერას, რასაც ხელს უწყობს საკუთარი სავალუტო კურსის აქტიურად მარეგულირი მთელი რიგი ქვეყანა (მათ შორის, ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, რუსეთისა და ჩინეთის ჩათვლით), რომელიც არ უშვებს აშშ დოლარის მიმართ საკუთარი ვალუტის კურსის ზრდას. ქვეყნების ერთობლივი სავალუტო რეზერვები, რო მელთა სტატისტიკას მსოფლიო სავალუტო ფონდი ახორციელებს (ოქროს აღრიცხვის გარეშე), 2004 წლის ბოლოდან 2007 წლის ბოლომდე 2,49 ტრილიონი SDR-დან (Special Drawing Rights)[1] 4,08 ტრილიონ SDR-მდე გაიზარდა. ამასთან დოლარის წილი მსოფლიო სავალუტო რეზერვებში შემცირდა, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვნად: 1999 წლის71%-დან 2007 წლის ბოლოსათვის 64%მდე.

ქვეყნების უმეტესობა, რომლებიც მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვების დაგროვებას

[1] https://www.imf.org/en/About/Factsheets/Sheets/2016/08/01/14/51/Special-Drawing-Right-SDR - 24.03.20. – საერთა-შორისო სავალუტი ფონდის განმარტება: SDR- საერთაშორისო სარეზერვო აქტივია, რომელიც მსოფლიო სავალუტო ფონდმა შემოიღო 1969 წელს წევრი ქვეყნების ოფიციალური რეზერვების მისაღებად. დღემდე, წევრ ქვეყნებზე გამოყოფილია 204.2 მლრდ SDR, რაც აშშ დოლარში 281 მლრდ.-ის ექვივალენტია.აქედან 182.6 მლრდ. SDR 2009 წელს გამოიყო მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით. SDR-ს ღირებულება განისაზღვრება 5 ვალუტის კალათით: აშშ დოლარი, ევრო, ჩინური იუანი, იაპონური იენი და ბრიტანული გირვანქა სტერლინგი.

ახდენენ, საგარეოე კონომიკური პირობების ცვლილების შემთხვევაში „უსაფრთხოების ბალიშის“ შექმნის მიზანი კი არ ამოძრავებთ (ბევრმა უკვე გადააჭარბა სავალუტო რეზერვების საკმარისობის ყველა რეზერვეს), არამედ, მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ექსპორტის კონკურენტუნარიანობას ზრდა.

გ.გ. ფეტისოვი მულტივალუტიანობას განიხილავს, როგორც გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრობლემას ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა-თვის. მულტვალუტიანობა, მისი მოსაზრებით, ერთიანი მსოფლიო ვალუტისა და ერ-თიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არარსებობა, ლიბერალიზებულ გლობალურ ეკონომიკაში წამყვანი ვალუტათა კურსებისათვის დამახასიათებელი არამდგრადობა და არასტაბილობა, ხოლო დანარჩენი ქვეყნებისათვის კი – მათი ვალუტების საერთა-შორისო კონკურენტუნარიანობაზე და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე „თავისუფლად გამოყენებადი ვალუტების“ მქონე ქვეყნების სტაბილურობაზე დამოკიდებულებაა. იგი თვლის, რომ მსოფლიო სავალუტო სისტემაში დოლარის მიერ მონოპოლიური პოზიციების დაკარგვა იწვევს მსოფლიო ვალუტის შექმნის აქტუალურ პრობლემას და მსოფლიო სავალუტო ფონდის (მსფ) მოსესხების სპეციალური უფლებების საფუძველზე მისი შექმნის ვარიანტს თავაზობს (70, გვ. 20).

მ.უ. გოლოვინის თვალსაზრისით, პოსტ-ბრეტონ-ვუდსის სისტემა გარკვეული მდგრადობის დემონსტრირებას ახდენდა. ბოლო დრომდე მდგრადი იყო სხვადასხვა ვალუტებს შორისაც, პირველ რიგში კი აშშ დოლარის უპირატესობის ჩამოყალიბება. ეს განპირობებული იყო ჩინეთის, იაპონიის, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების მიერ ამერიკულ დოლართან მიმართებაში საკუთარი ვალუტის კურსის რეგულირების ხარჯზე და ესწრაფოდნენ აშშ-ის ბაზარზე საკუთარი საქონლის კონკურე-ტუნარიანობის ზრდას. სწორედ აქედან დაიწყო ბოლო წლებში სავალუტო რეზერვების მოცულობის ზრდის ტენდენცია. თუ კი აღნიშნული ქვეყნები საერთაშორისო რეზერ-ვების შემადგენელი ვალუტების კალათასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პორტფელურ მიდგომებს დაუჭერენ მხარს, მაშინ მათი ვალუტის დოლართან მეტობას შეიძლება ეწოდოს არაოპტიმალური, 2002 წლის დასაწყისიდან 2008 წლის ივნისამდე დოლარის კურსის ევროსთან მიმართებაში მუდმივი დაცემის ტენდენციის გამო. მაგრამ პრაქტიკაში ისინი კონკურენტუნარიანობის ზრდასთან დაკავშირებული სავალუტო პოლიტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობენ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ქვეყნებს სავალუტო აქტივების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები უჩნდებათ მათ მიერ ე. წ. „ეროვნული კეთილდღეობის ფონდების“ შექმნით, რომელთა სახსრების განთავსებისას სახელმწიფო მოქმედებს მეტი პასუხისმგებლობით და კლასიკურ პორტფელურ ინვეს-ტორად გვევლინება.

ამრიგად, სახეზე გვაქვს ორგვარი სიტუაცია. ერთი მხრივ, ევრო გვევლინება, უფრო ძლიერ რეგიონალურ ვალუტად, მაგრამ ევროზონის ქვეყნების ეკონომიკა ბოლო დრომდე ზრდის შედარებით დაბალი ტემპით ხასიათდება, ვიდრე აშშ-ის ეკონომიკა. გარდა ამისა, ევროში ნომინირებული აქტივებს განიხილავდნენ როგორც დაბანდებისა-თვის მიმზიდველ ობიექტს. ევროს წილი საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების გამო-შვებებში იზრდებოდა. მაგრამ, გრძლდებოდა სავალუტო რეზერვების აშშ დოლარში დაგროვება იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც ამერიკული ვალუტის მიმართ საკუთარი ვალუტის კურსის ზრდით არ იყვნენ დაინტერესებული. შედეგად, ევროს მიერ მეორე მსოფლიო ვალუტის სტატუსის მიღებისათვის ზოგიერთი წინაპირობა ჩამოყალიბდა, მაგრამ ამასთან, ევროპული ვალუტა ჯერ კიდევ რეალურად არ არის მზად თავისთავზე აიღოს მსოფლიო სავალუტო სისტემაში სარეზერვო ვალუტის და არა მხოლოდ საერ-თაშორისო პორტფელური აქტივების განთავსების ვალუტის ფუნქციები ისე, როგორც ამას აშშ დოლარი აკეთებს. ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციე-

ლების თვალსაზრისით „თავისუფალი ცურვის შიშის“ პრობლემიდან გამომდინარე, ეს ნიშნავს, რომ ევროპის კავშირთან გეოგრაფიულად და ისტორიულად ახლო მდებარე ქვეყნების გამოკლებით, დანარჩენი ქვეყნები საკუთარი ვალუტის კურსის რეგულირებისას (მართვადი ცურვა იქნება თუ მრავალფეროვანი ბმა), ორიენტირებას ისევ აშშ დოლარზე გააგრძელებენ.

ერთ-ერთ თეორიულ ვარიანტად შეიძლება განხილული იქნას აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ევროპის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკათა კოორდინაცია. მაგრამ, პრაქტიკაში, ასეთი ვარიანტის განხორციელება, მათი საკუთარი ეკონომიკური პრობლემების განსაკუთრებით დიდი ოდენობის გამო ნაკლებად რეალურია. მაგალითად, დღეს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა, პირველ რიგში, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის პრობლემების მოგვარებაზე, ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკი – ინფლაციური პროცესების შეკავებაზე არის ორიენტირებული.

ბიბლიოგრაფია

1. გოგორიშვილი ი. საერთაშორისო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 2000.
2. მოსიაშვილი ვ. ქელიძე მ. ხიდირბეგიშვილი ნ. ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, თბ. 2017.
3. მოსიაშვილი ვ. ქელიძე მ. აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბ., 2020.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2020 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
5. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №141/04 2020 წლის 21 ივლისი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4932101?publication=0
6. https://sputnik-georgia.com/economy/20201005/249613058/ra-xdeba-savaluto-bazarze.html
7. https://pia.ge/ka/news/economics/laris-ophitsialuri-gatsvliti-kursis-gaangarisheba-bmatch-platphormaze-dadebul-garigebebs-daephudzneba
8. www.sabanko.com

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე

❤❤ ფასეული ❤❤

განძი და საჭურჭლე ულევია,
ყელამდე ავსებით დაგახრჩობს!
სიხარბეს მადლი არ ურევია,
თუ არ იკმარებ შენს სარჩოს.
ქვეყნად საზრუნავი იმდენია,
ზოგჯერ სხვა საერთოდ არ გახსოვს,
სიმდიდრე თუ შენთვის დაგრჩენია,
უფალს შენდობას აღარ სთხოვ?
ბედნიერებას თუ სხვას არ გაუყოფ,
შენი ერთი გროში ვის უნდა?!
სხვის არსებას თუ არ დააფასებ,
ამბორით გახდები იუდა!
შენი ოფლი ითვლის გასამრჯელოს,
ფარაონს ნუ აუგებ აკლდამას,
სხვასაც არგე თუ რამ გაბადია,
ფასი სულ ერთი აქვს დაკრძალვას.

ერთგული შვილები

ქვეყნად რომ იყოს ისევ ილია,
ვიტყოდით ჭირი გადავლილია.
ღელვა ქვეყნისთვის თუ ნამდვილია,
მეომრად ქცევა არც ადვილია.

როცა სხვებს მეტი ხარბად ერგებათ,
ამ დროს პატარებს ჭერი ენგრევათ,
ილიასავით მძაფრი შეგრძნება
არ გააჩნიათ, უნდა შეგნება.

ძმას თუ მოყვარე მტრად გადაექცა,
თუ გასაჭირში უმალ გაექცა,
რისთვის ახურავთ მაშინ ერთი ცა?!
ერი იქცევა მტვერთა ნამცეცად.

ქვეყნად იცოცხლებს ისევ ილია
თუ ერისკაცი მისი შვილია,
არ დაინანოს რაც საშველია
და ვიტყვით ჭირი გადავლილია!

✍ რ ძ ო ლ ა ✍

რამდენ ბრძოლაში გიწევს გადარჩე,
სიცოცხლისათვის დროშა აღმართო,
აზვირთებული ტალღების ღელვას
მტკიცე მკლავური წინ მიუმართო.
რამდენჯერ ბრძოლით ხარ დამაშვრალი,
სისხლი ძარღვების კალაპოტს სცდება,
გონება დარდით გადალესილი,
უნებურადაც ზოგჯერ შეცდება.
იარას შველის ერთი მალამო,
უიმედობას გამოესალმო,
წინსვლისთვის კარი რომ არ ალაგმო,
მაცდუნებელი კვლავ უნდა დაგმო.

☀ მზესავით თბილს ☀

ამომავალ მზეს გადარებ
და მფარველად ღმერთს გაბარებ,
რომ არსებობ - ეს მახარებს ,
ჩვენს სიმრთელეს თან ვატარებ.
არც კი მყოფნის მოგონება,
ახალს მუდამ ვეძებთ ერთად,
ბაასი არ მომბეზრდება,
ხან სიტყვის თქმაც არ გვჭირდება.
შენ ინახავ ჩემთვის ძვირფას საუნჯეს,
შენი ცქერა ცვრიან კოკორს მაგონებს,
არ იღელვო თუ ეს სივრცე გვაშორებს,
ჩვენს ნახატებს წვიმაც ვერ წააშორებს.
წვიმა , შენ რომ ასე ძლიერ გახარებს,
ავდარისას ისევ თავს შეგაფარებ,
ჩემო გულო, მიუწვდომლად გაფასებ,
შენს წაბლისფერ თმას აბრეშუმს
ვამსგავსებ.
სიკეთით და სიხარულით იარე ,
თვით ედემის ყვავილებთან იხარე ,
მე უსაზღვროდ, ძლიერად შეგიყვარე,
დალოცვა და მადლი მუდამ ატარე.

სიამე

რა უცნაურად აინთო დილა,
ცას ფარდად ფარავს ღრუბელთა ფთილა,
მთელ აივანზე ყვავილებს ღვიძავთ,
უღიმის ,უმღერს ველებს გვირილა.
კიბის საფეხურს რომ ჩაუყვები,გამო
გაცილებს თან ფლორის დასი,
მთების კიდეებს აბრწყინებს ჭირხლი,
მოსჩანს ელვარე როგორც ალმასი.
სამყაროს თუკი მოსწყურდა წვიმა,
ფუმფულა ღრუბლებს ქარი აერთებს,
ცა გაანათა ელჭექის ბზარმა,
შავ ღრუბლებს გაყრის, გამოიდარებს.
ყვავილთა ფოთლებს,ვარდთა კოკორებს,
გარს შემოუწნავთ აივნის კიდე,
წვიმის შხაპუნით,წვეთით დანამვით,
ილაღობებენ ისინი კიდევ.

შემოდგომაა

ახლა თავბრუს გვახვევს ყურძნით ღვინობისთვე,
ახლა იბრაწება კენწერო ნაკვერჩხლით,
უხვი ნალექების ნიაღვარს თან გაჰყვა,
ჟლალად შეფერილი ფოთოლი ნეკერჩხლის.
ამ სეზონს მარნები ხვავით აუვსია,
ირგვლივ მიმოფანტულ სითბოს აგროვებენ,
მიაქვთ და ბუდეებს ათბობენ საზამთროდ,
ვერავინ იმეტებს ქვეყანას საავდროდ.
ახლა ბარძიმი საწნახელს შეუცვლია,
დოქით ეზიარა უკვე გამრჯე ხალხი,
ფიალას შესტრფიან, რთველი ნაკურთხია,
ღვთისმშობელს მადლობენ ცად,
,, შენ ხარ ვენახი"...
ახლა თავბრუს გვახვევს ყურძნით ღვინობისთვე,
ახლა იბრაწება კენწერო ნაკვერჩხლით,
უხვი ნალექების ნიაღვარს თან გაჰყვა,
ჟლალად შეფერილი ფოთოლი ნეკერჩხლის.

მილოცვა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპრიფილიანი საერთაშორისო აკადემია, დამადების დღეს ულოცავს, ამავე აკადემიის ვიცე პრეზიდენტს (აჭარის რეგიონში) ქალბატონ ნანა მღმცელიძეს, თილოლოგს, იურისტს, მხატვარს და ახალი ჟურნალის დამფუძნებელს.

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

Samsung Triple Camera
Galaxy A41-ით ჩვენება

ჩემს შვილიშვილს, თილოლოგს, მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია „ბუდარია“ პრეზიდენტს, ნანა ხხირტლაძეს ახალი ჟურნალის „ბუდარიას“ დამფუძნებელს, ვულოცავ, დაბადების დღეს.

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
*** უფალო დამიმშვიდე ერი 2
ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები
მოციქულები პეტრე, მათე და ანდრია პირველწოდებული 3
მთავარანგელოზი გაბრიელი 4
ზიერება 5
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი 6
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო..... 7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 8
გულნაზ ხარაიშვილი 9

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ვაჟა ეგრისელი..... 10
მაყვალა გონაშვილი 14
ამირან ამირანაშვილი 17
ედუარდ უგულავა..... 20
ნათია დაშნიანი..... 22
ეთერი ჭელიძე 24
მალვინა ჭელიძე 28
ეკატერინე ციცქიშვილი..... 32
პაპუნა ქვარიანი 34
თემურ გოგსაძე..... 36
ბადრი ქუთათელაძე..... 38
თეა კანდელაკი 40
ანზორ ჯაფარიძე 42
ელგუჯა ადეიშვილი..... 44
უშანგი მოსიაშვილი 46
ნანა ნოზაძე 48
ვახტანგ გოგრაჭაძე 52
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 54
ხათუნა ჩიტაძე..... 56
შორენა ჩხიკვიშვილი..... 58
ეკა ნადირაშვილი..... 59
ლია შენგელიძე..... 60
ნელი საღინაძე 62
შოთა ვეკუა 66
ჯუბა ღებელი 68
ანამარია ლილუაშვილი..... 70
დავით ახლოური..... 74
მამუკა ოჩიაური 76
გიგი თეთრაძე 78
კობა ადეიშვილი 80
გერმანე საზანოელი 84
ნინო უძილაური..... 87
ცაგო აბაშმაძე 88
ლეილა ვადაჭკორია..... 92
მანანა სამყურაშვილი..... 94
ირმა სარაული..... 98
ნიკა ფუხაშვილი 101
ხათუნა დოლიძე..... 102
მერაბ ლატარია..... 104
ირინა ხურციძე..... 106
ლალი ევლალია პერპერიდი 108
მაია კახიძე 110
მარინე შანიძე 111
თამარ მეტრეველი..... 112
ნანა ჩარკვიანი..... 116
თინიკო ხაბურზანია 120
ნელი გიუნაშვილი 121
ლამზირა შეყილაძე..... 122
თამარ სვანი ნიჟარაძე..... 124
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 126

ᲙᲠᲝᲡᲪᲘᲮᲔᲑᲘ

გულნაზ ხარაიშვილი..... 130

ᲠᲓᲐᲕᲘᲜᲧᲔᲑᲐ ᲛᲝᲚᲕᲐᲜᲗᲔᲗᲐ

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 136
ბეჟან ხარაიშვილი..... 138
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
შენნაირები არა კვდებიან (გურამ ჭავჭანიძეს) 140
ლეილა გაფრინდაშვილი 141
ნელი გიუნაშვილი 141
გურა-ანგურა. გურამ გედევანიშვილი..... 142

ᲗᲠᲝᲒᲐ

მერაბ შათირი
ანატორი..... 143
ვახტანგ გოგრაჭაძე
ორი აჭარელი (COVID-19) 164
გარი ჩაფიძე
სიყვარულის ლაბირინთი 168
რეზო ადამია
მზე-ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი“..... 174
ირმა კეკელიძე
უმთვარო ღამე 181
ხათუნა დოლიძე
ლოცვის ძალა..... 186
ირინა ხურციძე
უკანასკნელი იმედით..... 187
სინანულის ცრემლები 189

მერაბ ზაქარიაძე
იქ, მისი შვილის გული ძგერდა (მინი რომანი) 194
ეთერი ჭელიძე
მზევ შემოდი ჩემში?! 195
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
ფოლკლორი..... 197
სვანური სულის ღაღადისი 197
ყვითელი ფოთლები 198
სიხარულის ზეიმი..... 198
დედის დღეზე მორთმეული ძვირფასი საჩუქარი 200
ბედი 202
ფიქრის ხეივანი..... 203
ყველა პროფესიას თავისი ღირსება აქვს 205
2017 წელი 26 მაისი..... 206
ნანა ნოზაძე. ლექსისა და სიკეთის ქალბატონი..... 214
ის რისი გაკეთებაც შეგიძლია..... 216
ცისკარელი 217
დღეს აკადემიაში..... 217
დედის ნაამბობიდან 218
ჩემი მამამთილი..... 220
ლეილა გაფრინდაშვილი 223
გიორგი კეკელიძე 225
ელგუჯა მგელაძე..... 227

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა
საკაცობრიო მნიშვნელობის ღვთიური მისია შესრულებულია..... 232

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 235

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი..... 238

ემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
ბრალის თეორია..... 242

წერილები

ლუარა სორდია
ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში – როსტომ ჩხეიძის „მზის საფეხურები“. ლექსები პროზად..... 245
მანანა კვატაია
ამორძალთა არქეტიპის ლიტერატურული პარადიგმები 253
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
პოეტური სიმდიდრე 257
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე 259

ხელოვნება

ნანა სხირტლაძე..... 263
ლამზირა შეყილაძე..... 267
გულიადა სანოძე
ის ბრწყინავდა ყველგან, სცენაზე თუ საზოგადოებაში!..... 269

ისტორია

ნიკო ხერკელაძე
ცრემლში ნალესი ხმალი..... 271

მზიანი ჭერა

ზურაბ გოგეშვილი
„ქართლის ცხოვრების“ გაყალბების თაობაზე 279

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ოპტიმალური სავალუტო კურსის რეჟიმის შერჩევის შესახებ 287

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე..... 292

მილოცვა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)
ნანა მომცელიძე..... 294
ნანა ხხირტლაძე 296

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „წმინდა გიორგი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

მათემატიკის განყოფილების რედაქტორები: სოსო ფოჩხუა – პროფესორი და ლალი ქელბა-ქიანი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი